ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

12

1990

# მნათობი

წელიწადი 66-ე № 12 დეკემბერი, 1990 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## პროზა, პოეზია

სოსო პაიჭაძე — სადაით დაეცი. მოთხრობა . . . . . . . . 3
ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები . . . . . . . . . 68
გივი ალხაზიშვილი — ლექსები . . . . . . . . . 73
თემურ ჩხეტიანი — ლექსები . . . . . . . . . 78
ლელა გაბური — ლექსები . . . . . . . . . 81
ალექსანდრე გიგიტაშვილი — ლექსები . . . . . . . . 83
ლეილა მესხი — სიმარტოვის თავშესაფარი. მოთხრობა . . . . . . . . . 84

## 150 — აკაკი — 150

ალექსანდრე ბარამიძე — აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიური ნაფიქრ-ნააზრევი . . . . . . . 110

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მერაბ კოსტავა — ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ . . . . . 115
ლალო ავალიანი — „...ბანა სუყველას თქმა უნდა!“ . . . . . . . . 124
ნინო ფირცხალავა — ასტრონომიული კოსმოსის ეთიკურ კოსმოსად გარდაქმნის ცდა „ჯადოსნურ მთაში“ . . . . . . . 130
კოვდა დინა — ეგზისტენციალური არჩევანი . . . . . . . . 138
არქიმანდრიტი რაფაილი — ბიბლიის სიმბოლური ენა. თარგმნა მალხაზ კვინიკაძემ 143
მაია ჯალიაშვილი — წარმოსახვა და რელიგია . . . . . . . . . 150
სპარტაკ რეხვიაშვილი — საქართველო — მალყარის ურთიერთობის ისტორიიდან 157
ნატა ჩხეიძე — არდავიწყება ღვაწლისა . . . . . . . . . . 164

## წიგნების მიმოხილვა

თემურ შავლაძე — ერთი პოეტისა და მისი ორი ლირიკული კრებულის შესახებ . 170

ჟურნალ „მნათობის“ 1990 წლის ნომრების შინაარსი . . . . . . . . . 173

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო პაიჭაძე

# სადაით დაეცი

> „მოიხსენბდ, უკუეთუ სადაით დაეცი, და შეინანე და პირველნივე საქმენი ქმნენ; უკუეთუ არა, მოვალ ადრე და აღვძრა სასანთლე შენი ადგილისაგან თჳისისა, უკუეთუ არა შეინანო“.
>
> გამოცხადება იოანესი.

სადღაც ახლოს, მთლად ყურის ძირას ისმის თაგვის შემაღონებელი ფხაჭუნი, შემდეგ — ხალვათი, შვების მომგვრელი სიჩუმე და კიდევ შემდეგ — ბავშვის საყვარელი ჭყიპინი და წყლის ჩხრიალი — შორს, ძალიან შორს, ქუჩის გადაღმა თუ იმის იქით, რომელიღაც სხვის ბინაში დედა აბანავებს შვილს და მართას გულს მალამოდ ეცხება ახალგაზრდა ქალის მსასოოვარი ხმა: „სუქ... სუქ... სუქ...“ — ეს მთრთოლვარე ლოცვა, ხელაპყრობილი ვედრება, მუხლმოყრილი თაყვანისცემა. საოცარია პირდაპირ, როგორი სახიერია წყვდიადში მოფათქუნე ხმები, სიტყვები, ბგერები, ბგერებს შორის გაბმული პაწაწინა სინათლეებიც როგორ ნამცეც-ნამცეც აკოწიწებს ბნელი ღრმულებით დაფლეთილ მეხსიერებას. მთელი ცხოვრება ამ ხმებისაგან შედგება, ამ შორიშორად გაბნეული მნათი კუნძულებისაგან, მათ შორის კი სიცარიელეა, არყოფნა, დუმილი. აი, ისევ უამურად ფხაჭუნობს თაგვი იატაკის ქვეშ, გულმოდგინედ ღრღნის მუხის ფიცარს წვეტიანი კბილებით. „თაგვო, ჩემი კბილი შენ, შენი კბილი — მე... თაგვო, ჩემი კბილი — შენ, შენი კბილი — მე... თაგვო...“ — სამჯერ, დაეჭვებით, შიშით, ჟუნდობლად, მაგრამ რაღაც მაგიური საიდუმლოების მღელვარე განცდით და პირველი ზიარების გაოცებული სიხარულით: მომძვრალი კბილის უძირო ორმო — მარადიულად განხმული სამარე, სიკვდილის მეწამული წყვდიადი; სიცარიელე; არაფერი... აჰა, ისევ მოისმის შორიდან ბავშვის ჰირვეული წიწკინი, წყლის ჩხრიალი და ქალის აფოფინებული ლოცვა — „სუქ... სუქ... სუქ...“ — ანგელოზის ფრთების ფათქუნი; ერთი ყლუპი ჰაერის ნეტარება; თავისუფლების წყურვილი; სურვილი გაქცევის... ეს გრძნეული ბგერებია სიცოცხლის ერთადერთი მაცნე, მათში გამოისმის სიცოცხლე, მათშია ღმერთი — ამ კანტიკუნტი ხმების ნათელხილულ სიცხადეში. „პეტრე! პეტრე! შეხედე რა ლამაზია! რა საოცარი სურათია, პეტრე!“... იქ, დაბლა, საჯავახოს ულელტეხილოდან გადაშლილ უკიდეგანო ველზე, ჩამავალი მზის სხივებში მეწამულად ანთია ბროწეულის ტყეში შეყუჟული ოდასახლების კრიალა კრამიტები. როგორც კივილი, როგორც დროშა. მას აქეთ მთელი ქვეყანა ბნელეთშია ჩაძი-

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რული. იმ დრომისა და იმ კივილის მე-წამულ წყვდიადში ბორგავს. იქიდან გამოისმის მხოლოდ ცალკეულ სიტყვებად, მხოლოდ ბგერებად, მხოლოდ ხმებად... აჰა, კედელს მიღმა საწოლი აჭრიალდა, ავადმყოფმა ვიქტორმა გვერდის შეცვლა დააპირა, მაგრამ მტკივანი სხეული ველარ დაძრა და მხოლოდ კვნესა აღმოხდა — ესეც მარტო ხმაა, სხვა ხმების, ბგერების, სიტყვების ქაოსში ჩართული ერთი ჩქამი. ვიქტორი კი არა, თვით ეს კვნესაა მართას შვილი, მისი სისხლი და ხორცი, მას ეხება უსინათლო თვალების ბნელეთში მოფათურე ხელებით, მას განიცდის დედობრივი მწუხარებით, შვილი კი არ ეცოდება ამ ტანჯული ხმის გაგონებაზე, არამედ ის ბგერა, სნეულმა რომ ამოთქვა. წელმოწყვეტით წამოდგა საწოლიდან, ხელის ცეცებით მოძებნა ელექტროჩამრთველის ღილაკი და ნაცნობი წკაპუნის გაგონებაზე ტანით იგრძნო გარემოს ფერიცვალება, თანდათან გაცრეცილ წყვდიადში ამოტივტივდა ჯერ — მწვანე. ოქროვანი ნაყშებით მოვარაყებული ჭაღი, შემდეგ — იისფერი ფთილებით მოფენილი ჭერი და კედლები, შემდეგ — იგივე ოთახი უჭაღოდ — უდაბური, ავადმყოფური, გულსაკლავად საბრალო... ასეთი იერი ჰქონდა ვარდო ბებიას, როცა ძილის წინ თავისი განუყრელი ჩიხტიკოპი მოიხადა და პატარა მართას ძვირფას საიდუმლოსავით გაუმხილა ფერფლისფერი თმის სინათლეში უმწეოდ გაშიშვლებული დაღლილი სიკეთე. ცვილის-[illegible] ლაწვებსა და ყვრიმალებზე ჩამო-[illegible]ილი ციმციმა კულულები ნელ-ნელა ტოკავს და წკარუნობს ჭაღის ბროლის წკირებივით — ეს, გიორგი ბაბუა დგას მაღალზურგიან მოჩუქურთმებულ სკამზე და სასოებით ჩამოჰყავს ჭერიდან ძვირფასი ჭაღი, მოწიწებით ასვენებს მუყაოს ყუთში, როგორც წმინდა ზვარაკს, ჭერზე კი გარდაცვლილის ხსოვნასავით რჩება ჭაღის სამაგრის მკრთალი, არამქვეყნიური ანარეკლი — ვარდო ბებიას სევდიანი სურათი გაქერცლილ შპალერიან კედელზე. ალბათ ახლა ეს ჩრდილიც გამქრქ[illegible]-შალა ისევე, როგორც [illegible]-რებული ირმებიანი გობელენების ფერმიხდილი ლანდები. აღარც ბავშვობის დროინდელი ავეჯი არსებობს, აღარც დაბინდული ნახატები, რომლებზეც შრიალა ხეები და მოჩუხჩუხე ნაკადულები იყო გამოსახული. ახლა მხოლოდ მათი ხმები ესმის მართას, ნახატების დანახვა კი უჭირს. ხმები... ხმები .. ყრუდ, შორეულ ჩქამებად ხმიანობენ ხოლმე, თითქოს უჩინარი ბუშტები დაფარფატებენ ჰაერში და ტკაცანით სკდებიან აქა-იქ. პაჰ... პაჰ... პაჰ... — სკდება ბუშტები სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან, იქ, სადაც ძველებური სავარძელი იდგა. სავარძელში ლაპლაპა ტყავის ქურთუკიანი მამაკაცი ზის. „რას იზამთ, ქალბატონო რუსუდან, დროა ასეთი. ხომ ხედავთ, როგორ შეიცვალა ქვეყანა? ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, ცოტათი თავიც უნდა შევიზღუდოთ, ზოგი სიამოვნება მოვიკლოთ, ქონების ნაწილი რევოლუციას შევწიროთ, გამოადგება... აი, თქვენი ქალიშვილი მეთანხმება. რა გქვია, გოგონი? მართა?... მართა... რა ლამაზი გოგოა, როგორი ჭკვიანი თვალები აქვს... მართა, ახალი საქართველოს მოქალაქე“... სავარძელში ისმის ეს ხმა, სავარძელთან, იქ სადაც სასტუმრო სავარძელი იდგა, ახლა კი პირდალებული სიცარიელეა, უძირო ხარო, უფსკრული... უფსკრულიდან ამომავალი ხმები... „მარტი, აპრილი, მაისი... ივნისი... — თითებზე ითვლის ფარდაგიან ტახტზე წამოწოლილი მამა — ივლისში სოფელში წავალთ გაბრიელ ბიძიასთან. იქ სიმშვიდეა, წიგნებს წავიკითხავთ“.... „სიმშვიდე?.. ღმერთო ჩემო, აღარც მგონია, თუ სადმე კიდევ არის სიმშვიდე და სიწყნარე“... — დედის ხმა ბუდუარში ისმის, იქ სადაც ბუდუარი იყო და ახლა წყვდიადია, უცხო კილოზე მოყღარუნე წყვდიადი. კედლებს შორის, კედლებს იქით და აქით ცოცხლობენ საშინელი, ველური ხმები: ჩექმების ბრახუნი, ფლოქვების თქარუნი, ძრავების რახრახი, ყვირილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინება, ათასენოვანი ყაყანი და შეძახილები — ქართული, რუსული, სომხური, თათრული, ყივჩაყური; სროლა! „ღმერთო, შენ გვიშველე!.. ღმერთო, შენ დაიფარე ცოდვილი საქართველო...“ ვარდო ბებიას ხმა პატარა საძინებელ ოთახში, როგორც ბრინჯაოს სანათთან მოფრთხიალე ფარვანას ჩქამი; მაქმანებიანი ნაქარგებით მორთული კედლები; ფასკუნჯის თავებიანი ნიკელის საწოლი; ჩუქურთმებით შემკული სალტეებიანი სკივრი; შვინდისფერი ფარდაგი; ცივი, მეწამული სიცარიელე — სამარესავით. სკივრი და ფარდაგი სანთლებითა და ყვავილებით მორთულ მუხის კუბოდ იქცა“. „ვარდო ბებიას კი ეკუთვნის ჩვენგან ღირსეული გაცილება, — ამბობს მამა, — მუხის სასახლე უნდა შევუკვეთოთ“... სასახლე შუა ოთახში ასვენია, მოხავერდებულ ტახტზე, რომელიც ახლა აღარ არსებობს. მის ნაცვლად უცხოური საწოლი დგას და შიგ ავადმყოფი ვიქტორი ბორგავს. მთელი სახლი უცხო ავეჯითა და საგნებითაა გამოტენილი. ისინი მართას არასოდეს უხილავს და ვერ იხილავს, ამიტომ არც არსებობენ მისთვის. ყველაფერი თითქოს სადღაც შორს, სხვაგან, გამოქვაბულის ხისტ და გამთოშავ სიცარიელეში ყრია. შვილის კვნესაც იქიდან გამოისმის. ალბათ უჭირს, დამაყუჩებელი ნემსის გაკეთებას ითხოვს, რომ ოდნავ მაინც დაიცხროს აუტანელი ტკივილი, აშფოთებული სული მცირე ხნით დაიმშვიდოს. ნუცას რატომღაც შეაგვიანდა, მართა კი რა ნემსის გამკეთებელია? მაინც დახედავს შვილს, თავს აიძულებს და შევა იმ გამოქვაბულში, როგორმე შეაღებს მძიმე, საძულველ კარს და ქვესკნელის სიცივეში შეაბიჯებს. მაშინვე იგრძნობს იმ მყაყე, გულის ამრევ სუნს: ჯერ ნელნელა მისწვდება, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თითქოს ნიავის წამობერვას მოჰქონდეს შორეული სანაგვიდან, მერე თანდათან ჩამოდგება, სულში ჩაუგუბდება და გულ-გვამს აუმყრალებს. სულ ასე იყო, თავიდანვე, იმ დღიდან, პირველად რომ შეეხო ახალშობილის თოთო ხორცს და ცომის გუნდასავით თბილი, სურნელოვანი თავი რძით შეწუხებულ მკერდზე მიიხუტა. მაშინვე იმ ღვთაებრივ სიხარულსა და ნეტარებასთან ერთად იგრძნო ეს უამური სუნი და ავის მომასწავებელი გუმანით შეძრულმა ძუძუს მიწებებული შვილი ზიზღით მოიწყვიტა გულიდან. ახლაც ყურში უდგას ჩვილის განწირული ჩხავილი, ახლაც თან სდევს უპატიებელ სასჯელად, გაუნელებელ მწუხარებად. ხმები... ხმები... ხმები... „მართა, შვილო, ცოცხალი ხარ?.. ღმერთო ჩემო, შენა ხარ, მართა?... მითხარი რამე, ხმა ამოიღე... ენა რა სატანჯველმა წაგართვა, შვილო, რა ცოდვამ დაგამუნჯა!... მართლა ვერ ლაპარაკობ?... ღმერთო, დიდებულო... ეს ბავშვი... ვისია ეს ბავშვი... რატომ არ დამიძახე მე სასიკვდილეს, დედასთან რატომ არ მოხვედი, თუ სული გედგა... სად დაეხეტებოდი, შვილო, ასე უენო და უბედური... ეს ბავშვი, მართა...“ ...ყველა ხმა ერთიმეორეს შერწყმია, ერთმანეთში არეულა, უსინათლო თვალების წყვდიადში გამოისმის დედის მოთქმაგოდება, ჩვილის გადაფიჩინებული ტირილი, სნეულის კვნესა, პატარა ბიჭის ეჭვიანი შეკითხვა: „დედა, მართლა შარაზე გაკეთებული ნაბიჭვარი ვარ?... მართლა არ იცი, მამაჩემი ვინ არის?“... ხმები... ხმები... აი, რაღაც აზმაურდა წინკარში, ვიღაცამ კარი შემოაღო და დიდ ოთახში შემობრახუნდა. ნუცაა, რა თქმა უნდა, ქოშინით, ვიშვიშით, სპილოს ნაბიჯებით მოაბოტებს სამზარეულოსაკენ, ხორაგით გატენილ ჩანთებს მოათრევს და გაბეზრებული ყვირის:

— ცოცხლები ხართ? არავინ მოსულა?

ჯერჯერობით ცოცხლები არიან. არც არავინ მოსულა. ადრეა, ყველაფრის გაკეთება მოესწრება: სუფრაც გაიწყობა, შინაურებიც მოგროვდებიან, სტუმრებიც მოვლენ, მოსახდენიც მოხდება და ყველაფერი ავად თუ კარგად დასრულდება. ჯერჯერობით კი ვიქტო-

რია მისახედი. დილას აქეთ წვალობს, კვნესის. იმ წყეული ნემსის გაკეთებას ითხოვს. ნუცას ეძახის, დედ-მამის სულს უტრიალებს.

— მუქთახორები! დებილები!... — უკვე ქმრის ოთახიდან ისმის ნუცას კაპასი. — შინ ვერ მოსულხარ ადამიანი... მთელი ქუჩები გადაკეტილია. ტრანსპორტი არ მოძრაობს... ფეხით მოვეთრევი ამხელა გზაზე. დამაწყდა მკლავები! პატრონი არ ყავს ამ ქვეყანას... დებილები!... იცოდნენ მაინც, რა უნდათ, რისთვის არიეს ეს დაწყობილი ცხოვრება... შენ როგორ ხარ?... ძალიან გტკივა?... ჭამე რამე?

— სად დაიკარგე! — ილრინება ვიქტორი.

— რამე თუ ჭამე მეთქი. მართას ხომ დავუბარე.

— არ მინდა საჭმელი.

— რა არ გინდა! რა არ გინდა! აბა რამ უნდა მოგარჩინოს? მარტო ამ წყეული ნემსის ჩხიკინი გეყოფა? აღარ შემიძლია მეტი...

— გარეთ რა ხდება?

— ჯანდაბა და ოხრობა ხდება! რაში გაინტერესებს?.. ბოლო ხომ უნდა ექნეს ამ სისულელეს, ერთხელ ხომ უნდა დამთავრდეს!...

— არ დამთავრდება... გამიკეთე ეს ოხერი ნემსი. ყველაფერი მტკივა...

— წამდაუწუმ ნემსი შეიძლება? მოითმინე როგორმე. ეგ მოგკლავს შენ, თუ მოგკლავს, მეტი არაფერი.. ჯერ საჭმელი ჭამე.

— არ მინდა საჭმელი!... არაფერი არ მინდა თქვენი! დამანებეთ თავი, თქვენი კეთილებიც...! შემეშვით!...

— კარგი ჰო, ნუ ნერვიულობ. ვაჟკაცი არა ხარ?

— ვკვდები...

— ნუ გეშინია, არ მოგკლავთ. ბოლოსდაბოლოს ორი ცოლი დაგტრიალებს თავზე, მალე მესამეც გეახლება. მერე რაღა გაგიჭირდება.

— წადით, თქვენი...

— წავალ, ჰო, წავალ. რაღას ვბრუნდებოდი ნეტავი, რატომ ფეხი არ მომტყდა!

მართლა რაღას ბრუნდებოდი [illegible] ფიქრა მართამ და გული [illegible] მოეწურა. განა არ იცოდა, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია? ვერასოდეს ვერ დაბრუნდები იქიდან, სადაც ერთხელ წახვედი, თუ ნამდვილად იყავი წასული, ველარ დაბრუნდები. ყველა წასულმა იცის ეს, მაგრამ მაინც დაბრუნებას ცდილობენ, რადგან წარსულმა მონატრება იცის. ყველაზე მწარე წარსულმაც კი, ისევე, როგორც ოდესღაც გადატანილმა მძიმე ავადმყოფობამ, როგორც სულის ამომხდელმა ტკივილმა. სიხარული ისე არ ენატრება ადამიანს, როგორც დიდი მწუხარება. „დედა, მართლა შარაზე გაკეთებული ნაბიჭვარი ვარ? მართლა არ იცი, ჩემი მამა ვინ არის?“.. აქედან იწყება ეს ბნელეთში ჩაძირული წარსული და არა იმ დღიდან, თვალის ჩინი რომ დაჰკარგა. რა პასუხი უნდა გაეცა ვილაც ენაჭარტალა დედაკაცის სიტყვებით მეხდაცემული თორმეტი წლის ლლაპისათვის, როგორ ალიარებდა იმ საშინელ სიმართლეს? როგორ ეტყოდა მოულოდნელი მხილებით გულშემოყრილი დედა მწარე ეჭვებით გაბოროტებულ შვილს, თუ რა მძიმე ცოდვას დაატარებდა მთელი ცხოვრება და რა მარადიულ სასჯელად ედო მის ძალლუმადურ არსებობას შორეული ახალგაზრდობის ერთი წუთიერი თავდავიწყება, ერთი საბედისწერო ნაბიჯი, რომელსაც ალბათ ახლაც, ისევ ის გოგო რომ იყოს, უყოყმანოდ გაიმეორებდა. რა საოცარი საღამო იყო! როგორი სილამაზე გადიშალა საჯავახოს ულელტეხილიდან! ძოწისფერი ნაყოფით დახუნძლული ბროწეულის ტყე; ფერდობებზე ჩაფენილი ველური ხურმის ხეების ტევრი; ერთიმეორეზე წამოქოჩრილი ქლალი კორტოხები, ზვირთებივით რომ მიექანებიან ქვევით, სულ ქვევით და თანდათან ინთქმებიან უკიდეგანო დაბლობის ძლევამოსილ სიმშვიდეში. იქ კი, ცისკიდურს შერწყმული დასაწყისიდან თვალმიუწვდომელი დასასრულისაკენ ნეტარებით მიიზლაზნება ვერცხლისფერი რიონი. ჰორიზონტზე ჩამავალი

მზე ჯერ მხოლოდ გარშემო ღრუბლებს აფერადებს მკრთალი ვარდისფერი არილით. მაგრამ უცებ, თითქოს თვალი აახილაო, ერთბაშად ამოეფინა კაშკაშა სინათლე, არემარეს გადაევლო და ფერდობებზე შეფენილ ბაღ-ვენახებში აჭიატდა აქამდე უჩინარი სახლების წითელი კრამიტები, მერე ხასხასა სიმწვანეში შეყუჟული ბროწეულებიც აკიაფდა და უსაზღვრო სივრცის გულში ამოიზიდა მეწამული სინათლის კუნძული. თვალის დახამხამებაში აფრიალდა და ჩაქრა, უკიდეგანო სილურჯეში განქარდა, როგორც მოჩვენება. მართლა მოჩვენება თუ იყო?! „პეტრე! პეტრე! დაინახე? რა ლამაზი იყო, პეტრე!“... და ალტაცებულმა მართამ ახლოს, მთლად ყურთან, ალეწილ ყვრიმალთან გაიგონა პეტრეს ცხელი სუნთქვა და მთრთოლვარე ხმა: „ჰო, ლამაზი იყო, ძალიან...“ ...მართლა რა ლამაზი იყო ის საღამოც, ის საიდუმლო ჯვრისწერაც სოფლის ეკლესიაში, ის შეცბუნებული, საყვარლად მოფუსფუსე მღვდელიც. ის მართაც — ახალგაზრდა, უცოდველი, უბიწო თეთრ კაბაში მოფართქალე და თავისი განცდებით გაოცებული. და ის პეტრეც, არა, პეტრე კი არა — პეტრე არც არსებობდა მისთვის იმ წუთებში — პეტრე კი არა, პეტრეს ნატვრა, მოლოდინი, მისი ყოფნის სურვილი, ის გრძნობა, რასაც ეს საღამო, ცა და მიწა, ხორცისა და სისხლის თანაზიარი ბუნება, ეს მშობლიური ხმები და ფერები ბადებდა მართას არსებაში. მაშინ პეტრე კი არ შეჰხებია მის მოზეიმე ხორცსა და სულს, არამედ იმ სურვილისაგან, იმ ბუნებისგან, იმ საღამოსგან გამოძერწილი უხილავი ძალა, რომელიც ქვეყანასავით მშვენიერი და ძლიერი იყო. როგორ აუხსნიდა ამას პატარა ბიჭს? ლაპარაკიც რომ შესძლებოდა, ენაც რომ არ ჩავარდნოდა, მაინც როგორ უნდა ეთქვა შვილისათვის, რაც თავს გადახდა? ან მერე რა უნდა ექნა, დაკაცებული ვიქტორისათვის მოეთხრო მთელი სიმართლე? განა რომელიმე დედა გაბედავს შვილისათვის ასეთი საშინელი ცოდვის გამხელას? შეუძლებელი იყო ეს. მაგრამ [illegible] ნებ მაინც უნდა ეცადა, იქნებ [illegible] გულახდილად უნდა ეამბნა ყველაფერი, ისევე, როგორც პატიმრობიდან დაბრუნებულმა ვიქტორმა უამბო თავისი საოცარი თავგადასავალი. ვიქტორმა ყველაფერი იცოდა... დაუჯერებელი იყო ეს, მაგრამ იცოდა... საიდან იცისო, ფიქრობდა გულშეძრული მართა, ვის უნდა მოეთხრო, როცა თვით მას არავისთვის არაფერი გაუმხელია. უტყვი ბაგეებით გადარაზულ გულში ჰქონდა დამარხული და მთელი ცხოვრება საიდუმლო საუნჯესავით მალულად დაატარებდა. ან კი ვის გაუმხელდა? რას ეტყოდა? განა თავად კი იცოდა, ნამდვილად შეემთხვა ის უბედურება თუ ყველაფერი სიზმარი იყო? ეს რომ სცოდნოდა, აქამდე ხომ ცოცხალიც აღარ იქნებოდა. მაშინვე თავს მოიკლავდა, ირგვლივ მოზუზუნე ტყვიებს შეუშვერდა წაბილწულ სხეულს, ხანძრებში გადავარდებოდა, აღარც შვილის ცოდვაში ჩადგებოდა და აღარც შვილიშვილების, საშოშივე ამოიფხვრიდა დამპალ თესლს. მაგრამ, აი, თითქმის სამოცდაათი წელი გავიდა იმ დღიდან და ახლაც სიზმარში დაბორიალობს, უდაბური წყვდიადისა და დუმილის საუფლოდან ვერ გამოუღწევია და ცხადში ვერ დაბრუნებულა. სიმართლე რომ იცოდეს, ეტყოდა კიდეც. იქნებ ცოტათი მაინც მოელბო გული გაბოროტებული შვილისათვის, მიეხვედრებინა, რომ მთლად ბედკრული დედამისის კისერზე არ იდო მისი ცოდვა. თვით მართასაც უშველიდა ეს ძნელი აღსარება, მცირეოდენ შვებას მაინც აგრძნობინებდა, თუმცა შენდობის იმედი არ ჰქონდა და არც ითხოვდა. პირიქით, ნეტარებასაც კი ჰგვრიდა თავისი სავალალო ყოფა, რადგან ეს იყო ერთადერთი კუთვნილი მისაგებელი ჩადენილი დანაშაულისათვის, მარადიული ტანჯვითა და თვითგვემით უნდა გამოესყიდა ის ჯოჯოხეთური ცოდვა. მთავარი დანაშაული ის კი არ იყო, რაც იმ ავბედით დღეებში თავს დაატყდა, არამედ ის, რომ იმ დღეების ნაყოფი შვა და ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერებას ბოროტებად მოუვლინა. თვით შვილი იყო მისი შეცოდება და ამას ვერავითარი სინანული ვერ უშველიდა. ერთადერთი ხსნა მისი სიკვდილი იყო, სამოშივე მოშთობა, დაბადებამდე გაქრობა, ღმერთო, შეუნდე ეს საზარელი ფიქრი, მხოლოდ ეს იქნებოდა ერთადერთი საშველი, თუ მართასთვის არა, მისი შთამომავლობისათვის მაინც, რადგან ეს დღე აღარ დადგებოდა და იქნებოდა მხოლოდ მტკივნეული სიცარიელე, სხვა არაფერი. ჩასახვამდე... დაბადებამდე... დაბადებისთანავე... ახლა უკვე გვიანია. ახლა წევს იგი მართას უსინათლო თვალების წყვდიადში და ისმის მისი გაწამებული ვედრება: „თავი დამანებე, დედა, არაფერი არ მინდა... წადი, მარტო დამტოვე...“ ...მართამ ხელებით ანიშნა, წამალს მოგაწვდიო, მაგრამ ისევ გალიზიანებული უარი მიიღო და გულმოკლული თავის ოთახში შებრუნდა. აქ უკვე აღარ გრძნობდა ამ აკვიატებულ სუნს, არც იმ სევდასა და მარტოობას, სხვა ოთახებში რომ ეუფლებოდა, მეტადრე მას შემდეგ, თვალის ჩინი რომ დაკარგა, ხილულ ქვეყანას განუდგა და სიზმრებში გადასახლდა. რამდენი ხანი გავიდა იმ დღიდან, რამდენი ახალი ხმა მოჰყვა ვიქტორის დაბრუნებას, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით აივსო სახლი, მდუმარე ოთახები ახმაურდა, გარემო ათასგვარი ვნებებითა და საზრუნავებით შემოადგა, ახალი სათქმელი მიეძალა მუნჯ ბაგეებს. მაგრამ ეს ყველაფერი მაინც სადღაც გარეთ, მისი არსების მომცველი წყვდიადის მიღმა სიცარიელეში ხდებოდა. იქ არც ერთი გოჯი ადგილი, არც ერთი ყლუპი ჰაერი მას არ ეკუთვნოდა, ყველაფერი მისხალ-მისხალ სხვისი იყო, სხვასამყაროსეული, სულ სხვა ვნებებითა და ხმებით სავსე. მხოლოდ მართას ოთახი იყო ერთადერთი კუნჭული ამ სახლში, სადაც ჯერ კიდევ ფეთქავდა ოდესღაც ხილული ქვეყნის ხმები და მოგონებები. აქ, მისი ხათრით, ბევრი არაფერი იყო შეცვლილი, პირიქით, სასწაულით გადარჩენილი რამდენიმე ძველი ნივთიც ამ ოთახს შემოემატა, გახუნებულ კედლებზე ძველი ფოტოსურათები ეკიდა და დედისეულ საწოლში განაბული მართა გონების თვალით იცხადებდა მათზე გამოსახული ადამიანების ძვირფას სახეებს; რაც დრო გადიოდა, მით უფრო თვალნათლივ ხედავდა თითოეულ მათგანს, მეტადრე მაშინ, როცა ძვირფასი ლითონის ზოდივით მძიმე ალბომს გადაფურცლავდა და ხელისგულებით ათვალიერებდა ინკრუსტირებული გვერდების ნაჭდევებში ჩასმულ ფოტოსურათებს. სადაც არ უნდა გადაემალა და რომელ სურათსაც არ უნდა შეხებოდა, მაშინვე გონებით კი არა, დამდნარი თითებით წარმოიდგენდა ზედ გამოსახული ადამიანების სახეებსა და განწყობილებებს, მათ ასაკსაც კი გრძნობდა და იმ გარემოსაც ალიქვამდა, სადაც სურათი იყო გადაღებული. როგორი ხმები ისმოდა ამ სურათებიდან, როგორი მშვიდი, მარადიული სიკეთითა და სიმშვიდით მანუგეშებელი კამკამა ბგერები კრიალებდნენ ძვირფასი თვლებივით ამ უცხო ღრიანცელსა და აურზაურში. თუ რამ გასაგები იყო ამ ქვეყანაზე, მხოლოდ ის, რაშიც იმ შორეული ბგერების ექო გამოისმოდა. თვით შვილიც კი, მეზობელ ოთახში რომ იწვა, უკვე ამ სურათებისა და წარმოსახვების საუფლოში არსებობდა და მხოლოდ ორ გაელვებად ცოცხლობდა მასში: ერთი იყო ის გაბუტძგნული, კუშტად მზირალი, ვიღაც ავსული დედაკაცის ნათქვამით შეძრული და საბედისწეროდ დაეჭვებული ბიჭი, თავისი საიდუმლო ჩასახვის სიმართლესა და მამის ვინაობას რომ ეძებდა, მეორე კი — უკვე დაკაცებული, გადასახლებიდან დაბრუნებული უცნობი ვიქტორი — შემზარავი ჩვენება, შვილის დანახვაზე რომ წამოელანდა. სხვა ყველაფერი მხოლოდ ზოგადი ფორმებია, მხოლოდ გამოცდილება, მხოლოდ მსგავსება და სხვა არაფერი. მხოლოდ ხმები, ხმები, უცხო, უამური ბგერები... ყველა ხმა ერთმანეთში არეულა: თაგვი ფხაჭუნობს. ვიქტორი კვნესის. ნუცა სამზარეულოში ჩხარუნობს. სადღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს. მოედანზე გუგუნებს ხალხი და შემაკრთომლად ნაცნობი სიტყვები სწვდება მართას გაასპიტებულ სმენას. ხმებიც საბედისწეროდ ეცნობა. ფანჯარასთან მანქანა ჩერდება. კარი ჯახუნობს. ერთი, მეორე... წინკარში ბავშვების ჟრიამული ისმის. ასმათი წიკვინებს. როსტომი როხროხებს:

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ვივა ჯორჯია! ნუცა, დამოუკიდებლობა როგორაა იტალიურად, თუ იცი?

„მოქაქანდნენ. ახლა დაიწყება რაც დაიწყება. ღმერთო გვიშველე..."

— შენც ხომ არ გასულელებულხარ, ბიჭო? მაგ უქნარებმა ხომ არ აგიყოლიეს?

— აბა როგორ! რომ შეყუყულხართ სახლებში და მწვადებს აშიშხინებთ, იმპერიის უღელს ვინ გადაგვიგდებს? ქართველებს თავისუფლება არ გვინდა?

— ქართველებს მწვადები გირჩევნიათ. მწვადებმა და ტყემლის საწებელმა გადაარჩინა ჩვენი მრავალტანჯული ერი!

— და ღვინომ...

— ღვინომ გამოადებილა. თუ არა და კი უყურებთ თქვენი თვალებით, რა დღეშიც ვართ. რათ, ბებო გენაცვალოთ, რა გვინდაო იმ გიჟებმა?

— დემოკ... დემოკრ... დემო-კრა...

— დემოკრატიაო?

— ჰო, დემოკრ... დემოკ-კრ...

— ოჰ, მაგათ ელრძოთ ენაც და ტვინიც. როგორ გამიტანჯეს ბავშვი... კიდევ, ბებო, კიდევ რა გვინდაო?

— საქართველოვო...

ეს სულ ნამლევა უნდა იყოს... კი, ის არის, თავისსავე ნათქვამზე კისკისებს, ხარობს, კვდება სიცილით. რა საყვარელი ბავშვები არიან — თბილები, ლუნლულები, წკრიალები. როგორ ეალერსებიან მართას, როგორ ეტიტინებიან. მისვლისთანავე შეუცვივდებიან ოთახში და გარს შემოეხვევიან, კალთაში შეაბობლდებიან, სახეზე უფათურებენ ფუნჩულა ხელებს. უკვირთ, რატომ ვერ ხედავს დიდი ბებო, რატომ არაფერს ეუბნება. აკი თვალიც აქვს და პირიც... იქნებ ენა არა აქვს? ტუჩებს უხსნიან, პირში სჩრიან პაწაწა თითებს, ენას უწიწკნიან. მართას გულს უხალისებს მათთან ყოფნა. რაღაც უცნაური ანდამატური ველი შემოეგარსება მის ბებერ სხეულს, საამოდ ფეთქავს ირგვლივ. მაგრამ სულში ვერ შემოდის, გარეგარე წრიალებს და წკმუტუნებს მიუსაფარი ლეკვივით. „მომწყდით თავიდან, თქვე კუდიანებო, თქვე საბრალოებო... — სიყვარულით უჯავრდება გულში აბეზარ პატარებს. — თავი დამანებეთ, თქვე ცოდვის შვილებო..."

და სათითაოდ იკრავს ატკივებულ გულში, შეცბუნებულ ძუძუებში იხუტებს მოუსვენარ თავებს. ხუთნი არიან, სულ გოგოები. ორი იამზესია, სამი — ასმათის. მაყვალა კი უშვილოდ ბერდება. ესეც სასჯელია თუ რა არის? მთელი ოჯახი ქალებითაა სავსე. ერთი ამრიკოა და ისიც გიჟი. კაცად არც თვლიან. საწოლის ფეხზე მიბმული საცოდავი ამრიკო. ნეტავი ვის ჰგავს? ვიქტორს?.. ღმერთმა დაიფაროს... კიდევ კარგი, არც ამრიკო უხილავს, არც სხვა შვილიშვილები. ყველანი მისი დაბრმავების შემდეგ გაჩნდნენ — წყვდიადში, ქაოსში, არარაობაში. თითქოს არიან და არც არიან. ამ უსასრულო სიზმრებში ცხოვრობენ და იქიდან ეხმიანებიან მართას. ნინოც იქ არის, იმ გამოულწეველ სიზმარ-ცხადში. საყვარელი გოგო, მართას ერთადერთი ნუგეში და სიხარული. როგორ სწყურია მისი ნახვა, როგორ ენატრება. რა იქნება, რომ ერთი წამით ღმერთმა თვალი აუხილოს და ნინო აჩვენოს. სულ ერთი წამით... ამრიკო ამბობს, ნინო ბებიას ჰგავსო. მაგრამ გიჟს რა დაეჯერება? როგორ შეიძლება ნინო მართას ჰგავდეს, როცა მისი სისხლის წვეთიც არ ურევია? მაყვალა ან ასმათი ან იამზე კიდევ ჰო, ისინი ვიქტორის შვილები არიან, ამათი შვილებიც მართას ჯილაგისაა, მის წარწყმედილ საშოში ჩაისახნენ და შეიძლება კიდეც დაემსგავსნენ თავიანთ ცოდვილ წინაპარს. მაგრამ ნინო ხომ სხვისი სისხლ-ხორცია, სხვისი ნაშიერი. ნინო ვიქტორის გერია და მართას როგორ ემსგავსება? არადა, ამრიკოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუჩემებია. ნინო ახალგაზრდა მართა ბებიაათ. საბრალო ამრიკო. შეჭანებული. საწოლის ფეხზე დაბმული. მთლად აურია ამ ბოლო დროს. მისი ბოდვები რომ ესმის. მართას გული უსკდება შიშისაგან. ვინ იცის რას ჩაიდენს: მართლა არ აიშვას თავი. უბედურება არ დაატრიალოს. ეგლა აკლია მართას ცოდვებს. ღმერთო, შენ დაიფარე, ღმერთო. აკმარე სასჯელი... ისიც ეყოფა, რომ შვილიშვილები არ უნახავს. ერთი საალერსო სიტყვა არ უთქვამს ხმამაღლა. სახელები ვერ დაუძახნია. ზღაპარი ვერ მოუყოლია. არადა. როგორ უყვარდათ ზღაპრები. ლეკვებივით წკავწკავებდნენ. მოგვიყევიო. და სულგანაბულნი მიაჩერდებოდნენ მუნჯ ბებიას, ხანდახან თუ შეეხმიანებოდნენ, ისიც იმისთვის. რომ ენიშნებინათ — აქა ვართ და ყურადღებით გიყურებთ. ყველაფერს ვიგებთ და ძალიან გვაინტერესებსო. მართლაც როგორ უგებდნენ საკუთარ მუნჯურ ენას. არც ერთი ნიშანი არ გამოეპარებოდათ. საოცარი იყო პირდაპირ: არც ვიქტორს, არც ნუცას და არავის არ ესმოდათ მართას ენა, ამატომ. როცა გაუჭირდებოდათ, ბავშვებს ეძახდნენ, რა უნდა. რას ამბობსო. რა სასაცილო იყო, ერთიმეორეს თარჯიმნობას რომ არ აცლიდნენ. მეტადრე ამრიკომ იცოდა თავის გამოდება, გაფიქრებულიც კი არ ჰქონდა მართას, რომ სხაპასხუპით ჩამოაყალიბებდა მის სათქმელს. როგორი ნიჭიერი და მიხვედრილიაო. უკვირდა მართას, ბიჭი მაინც ბიჭია. გოგოს ჭკუა-გონება რას შეედრებაო. მაშინ რა იცოდა, თუ რა უბედურების მომასწავებელი იყო პატარა ამრიკოს ეს საკვირველი უნარი. თურმე ბედი ახალ განსაცდელს უმზადებდა. მართას კი უფლის წყალობად მიაჩნდა და უხაროდა. თავს ევლებოდა. დედობასაც უწევდა და მამობასაც, რადგან მშობლებს ბიჭისათვის სად ეცალათ. ვიქტორი და ევა, დილით რომ გავიდოდნენ სახლიდან. ზოგჯერ ღამითაც არ ბრუნდებოდნენ, ნუცა კი მაშინ საერთოდ წასული იყო. რა საძაგელი დრო იყო. ვერაფრით ვერ გაეგო მართას. თუ რა ხდებოდა [illegible] დარეულ ოჯახში. ვინ სად მიდიოდა, ვინ საიდან მოდიოდა. რა ხმები ისმოდა მისი სახლის კედლებში. რა ვნებები ბობოქრობდა. ნუცამ სამი შვილი მიატოვა და ვიღაც კაცს გაეკიდა. მერე ევა მოვიდა. ჩემი თანამშრომელიაო, გააცნო ვიქტორმა მართას. ცოლი კი არა — თანამშრომელიაო. მოვიდა და დამკვიდრდა. სახლის ნაწილიც მიიზომა და ოჯახის სრულუფლებიანი წევრიც გახდა. მალე ამრიკო მოევლინა ქვეყანას. ევა ბიჭის დედა გახდა და უბატონოდ ხმას ვინ გასცემდა? როგორც იქნა. ოჯახში ვაჟი გაჩნდა. ვიქტორის მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი. თან როგორი ჭკვიანი იზრდებოდა. როგორი დინჯი და საზრიანი იყო. დების თამაშსა და ცელქობაში მაინცდამაინც არ ერეოდა. სულ მართას კალთას იყო გამოკერებული. სულ მის ახლოს ფუსფუსებდა. გოგოებიც შეეგუენ ძმის ხასიათს. აღარც სათამაშოდ იწვევდნენ და თითქმის აღარც ელაპარაკებოდნენ, თანდათან გაუუცხოვდნენ და ბოლოს მთლად მიანებეს თავი. ბებიის ოთახიდან სხვა ოთახებში გადაინაცვლეს და მართა და ამრიკო ერთმანეთის ამარა მიატოვეს. როგორ განიცდიდა მართა ამ ამბავს. ისეთი გრძნობა ჰქონდა. თითქოს ბავშვები მასაც გაებუტნენ, ამრიკოსთან რაღაც საიდუმლო შეთქმულებაში სდებდნენ ბრალს. მთლად არ შემიძულონო. წუხდა მართა და შვილიშვილების შემორიგებას ცდილობდა, მაგრამ რა უნდა ექნა. ლაპარაკი არ შეეძლო და თვალის მიდევნება, უმწეოდ დაბორიალობდა ოთახებში და ამაოდ ლამობდა გათიშული ბავშვების დაახლოებას. საკვირველი ის იყო. რომ უდედოდ დარჩენილი გოგოები დედინაცვალს უფრო მიეკედლნენ. ვიდრე ბებიას. მართას თან სწყინდა ეს ამბავი. თან უხაროდა. ევას სიკეთე და გულთბილობა სიამოვნებდა. ოღონდ გოგოები არ დაჩაგროს და ჯანდაბას ჩემი ბეხრეკი თავი, ათასი სიმწარე გადამიტანია და ამასაც გავუძლებო, ფიქრობდა. ამასობაში კი შვილიშვილებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზრდებოდნენ. მართა გაფაციცებით აკვირდებოდა ამრიკოს ხასიათის ცვლილებებს და თანდათან საგანგაშო წინათგრძნობა იპყრობდა — ბიჭის უჩვეულო ნიჰსა და უნარში სულ უფრო და უფრო აშკარად იკვეთებოდა რაღაც არაბუნებრივი, ავადმყოფური თვისებები. მწარე სიმართლეს ჰპირდებოდა მართას ეს გუმანი, ცდილობდა არ მიჰყოლოდა, ბოლომდე არ ჩასძიებოდა, თავს ინუგეშებდა, იქნებ მეჩვენებაო. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო უმართლდებოდა უამური ეჭვები და ბოლოს: რა საშინელი დღე იყო... ამრიკო იატაკზე იჯდა — მაშინ უკვე შემჩნეული ჰქონდა, რომ ბიჭს იატაკზე ჯდომა უყვარდა, მაგრამ ესეც მისი ერთერთი უცნაურობა ეგონა და მეტი არაფერი — ამრიკო იატაკზე იჯდა და ალბომს ათვალიერებდა... საღამოა, მათ გარდა შინ არავინ არის. ვიქტორი ჩვეულებისამებრ, გადაიკარგა. სამი დღეა აღარ გამოჩენილა. ევა სამსახურშია. ბავშვები სკოლიდან არ დაბრუნებულან. ნუცა კი კაცმა არ იცის სად არის ან საერთოდ თუ არის ამ ქვეყანაზე. ბეჩავი, თვინიერი ნუცა... ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი რამის ჩადენა შეეძლო... შვილები მაინც როგორ მიატოვა... როგორ სძულებია ვიქტორი... ის კაცი როგორ ჰყვარებია... ის კაცი... პეტრე... მამა... ის კაცი, კლდიდან რომ გამოდის, ქვიდან რომ მოიბრძვის... ნინოს კაცი... ვინ წარმოიდგენდა, რომ ნუცა ასეთ ნაბიჯს გადადგამდა, ოჯახს მიატოვებდა და საყვარელს გაეკიდებოდა სადღაც, უგზოუკვლოდ. მაგრამ მართას არა აქვს განკითხვის უფლება. ყველაფერი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა. ეს არის ჩადენილი ცოდვის საზღაური. ვიქტორის ახლოს ყველაფერი ყარს, ეს არის სასჯელი. ვიქტორის არსებობით უნდა აგოს პასუხი, ვიქტორის შვილებით, ცოლებით, ნაბიჭვრებით. იმით, რაც იმ დღეს მოხდა — ამრიკო იატაკზე ზის და სურათების ალბომს ათვალიერებს — „ვერა მეთქი, ხომ გეუბნები, კაცო!! აბა როგორ წავიდე, როცა დაბმული ვარ... აი, საწოლის ფეხზე ვარ მიბმული... არ შეიძლება, არა, ვერ გავწყვეტ... ჯერ ვერა... სად არის?... ამოდენა ჯაჭვს ვერ ხედავ? მამაჩემმა დამაბა... ჰო, ვიქტორმა... ვიქტორი ჰქვია... არ ვიცი რატომ... შენს მამასაც ვიქტორი ერქვა. აი, იმას, მოიცა, ვიპოვო... აგერაა, რამსიგრძე ულვაში აქვს... რა ლამაზი კაცია... კი, ბებიაც ლამაზია... თავის ბაბუასა ჰგავს. გინდა გაჩვენო?... აი, აქაა, ამ გვერდზე... გახსოვს?... როგორ ვერ ლაპარაკობს... როგორ ვერ ხედავს... დაბმული რომ ვარ? კი, იცის, იცის, მაგრამ ბებიამ რა ქნას?... ჯერ არა... ჯერ არ შეიძლება... მამა გაჯავრდება...“ — და მეტი არაფერი ახსოვს მართას. მაშინ მეტი არაფერი გაუგონია, რადგან ამრიკოს ხმა საკუთარი გულის ბაგუნმა დაუხშო. გიჟიაო! — დასცეცხლა გონებაში. — შეშლილიაო! ეს რა ესმის ბედკრულ მართას, ეს რა დღე გაუთენდა! არ სჯობდა, ყურებიც დავსებოდა და ეს არ გაეგონა? როგორ დაილუპა... როგორ გაუმართლდა საშინელი გუმანი!... იატაკზე მჯდომარე შვილიშვილთან მილასლასდა, ხელი მოჰკიდა, მიეფერა, ფეხზე წამოყენება დაუპირა, მაგრამ ამრიკო გაუძალიანდა, ხელი გააშვებინა, რას შვრები, ვერ ხედავ, რომ დაბმული ვარო, გაუჯავრდა და ისევ ძირს დაჯდა. გულშემოყრილი მართა კი სავარძელში ჩაესვენა და სიკვდილი ინატრა. ღმერთო, ასეთი სასჯელი რაღა საჭირო იყო? ამ საბრალო ბავშვმა რა დააშავა, რატომ უნდა მოეკითხოს წარწყმედილი ბებიამისის ცოდვები? ეს რატომღა უნდა ეწამოს სხვისი ბრალის გამო, რატომ უნდა იყოს დაღდასმული სხვების ბოროტებით, საკუთარი ცხოვრებით რატომ უნდა ზღოს წინაპრების დანაშაული? ეს ხომ სულ სხვა დროის შვილია, იმ შავბნელ ხანაში რა ესაქმება. მართას სიზმრებში რა უნდა? აღარ უნდა გათენდეს ეს უსასრულო ღამე? ეს დამქანცავი ძილ-ღვიძილი არ უნდა დამთავრდეს?...

— არ უნდა მორჩეს ეს ოინბაზობა?
— ბუზღუნებს ნუცა. — სიცოცხლეს არ აცლიან ადამიანს! გააჭირვეს საქმე! კაცი საკუთარ სახლში ვერ მოსულ-

ხარ!... საიდან შემოუვლიან ახლა ეგენი, ამ დუდგაში როგორ გამოაღწევენ?... ქუჩაში ხომ ვერ მიატოვებენ მანქანებს მე შენ გეტყვი და ხელს არავინ ახლებს... ჯიბგირები!... უსაქმურები!... მაგათ ხალხი ჰკიდიათ ფეხებზე ... ითომ საქართველო ედარდებათ?... მართა, ნინო არ გამოჩენილა?... ევა შინ არის, თუ იცი?...

არა, არ უნდა იყოს ევა შინ. დილას აქეთ მისი ხმა არ გაუგონია. არც ნინო გამოჩენილა. არადა, როგორ უნდა მისი ხმის გაგონება, როგორ ენატრება, ენაცვალოს ბებია. სად არის ნეტავი, სად დაეხეტება ასე მუცელგაბერილი და საყვარელი?... „მართა, შვილო, ცოცხალი ხარ?... ეს ბავშვი... ვისია ეს ბავშვი... რატომ არ დამიძახე მე სასიკვდილეს, დედასთან რატომ არ მოხვედი, თუ სული გედგა?... ღმერთო, ჩემო, შენა ხარ, მართა?... სად დაეხეტებოდი, შვილო, ასე უენო და უპატრონო... ეს ბავშვი... ვისია... ეს ბავშვი!..." ...არა, არ მოსულა, არც ევას ხმა გაუგონია. გავა, ნახავს, ამრიკოსაც დახედავს, დღეს არც კი მოუკითხავს საბრალო.

— თუ სახლშია, გამოვიდეს, გულის გასახარელ ამბავს ვეტყვი...

რა შენი თქმა უნდა, თვითონაც კარგად ეცოდინება. ევას არ ეტყოდა ვიქტორი თუ რა გგონია? ევაც მისი ცოლი არ არის? ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი. ჯოჯოხეთია, აბა რა არის?... ორი ცოლი შინ უზის, მესამე კიდევ სადაცაა კარს შემოაღებს. სიზმარში კი არა, საგიჟეთშია მართა. ვიქტორიც შეშლილია, ყველანი შეშლილები არიან, სულით ავადმყოფები, გზადაბნეულები... ნუცას რაღა მოუვიდა? მოიგონა თუ მართალია ეს ამბავი? ამ საღამოს ვიქტორის ცოლ-შვილი გვეწვევაო, ამბობს, დეპეშა მოვიდა, დღეს ჩამოფრინდებიანო. ნუთუ მართლა აასრულა ვიქტორმა თავისი ჩანაფიქრი? ამ ბოლო დროს იმუქრებოდა, ბიჭი უნდა ჩამოვიყვანო, ჩემი გვარის გამგრძელებელი და ერთადერთი მემკვიდრე ის არისო, სახლ-კარი უნდა ჩავაბაროო. ღმერთო, ნუ გადარევ... რომელი შვილი? სადაური მემკვიდრე?!... გადასახ[illegible] რომ გააჩინა?... ერთხელ რომ [illegible]-თას, ნუცას მოყვანამდე, და მას მერე არც გახსენებია? თუ სულ ახსოვდა და ამ დღისათვის ინახავდა? კი, ბატონო, მართას ყველაფერი ეკუთვნის, ამაზე უარესი სასჯელიც დაიმსახურა, მაგრამ ორ წყება ცოლ-შვილს რას უპირებს. შვილებსა და შვილიშვილებს რას ემართლება? ასე რამ გააბოროტა, რომ ამ გატიალებული ოჯახს მთლად დაქცევა გადაუწყვეტია? მაგრამ დედაზე იძიებს შურს. დედას უხდის სამაგიეროს თავისი გაუკუღმართებული ცხოვრებისათვის, ამღვრეული სისხლისათვის, უკანონო არსებობისათვის, იმისათვის, რომ საშოშივე არ აღმოიფხვრა მისი დამპალი თესლი. მაინც არ სჯერა მართას, რომ შესაძლებელია ამგვარი სისასტიკე, თუნდაც ვიქტორისთანა მგლისაგან. მაგრამ მგელი რის მგელია, თუ თავისი ზნე მოიშალა? განა მისი ბრალია, რომ ასეთად დაიბადა? მგლების ნაშიერი მგელი იქნება, აბა სხვა რა გამოვიდოდა? მგლის ჯიშია, მგლის ბუნება აქვს, მგლის სუნი ასდის. ო, ეს სუნი! — მყრალი, ველური, დამპალი სისხლის სუნი! — მგლების ხროვაში ჩაისახა, მგლად იშვა და მგლადვე კვდება... ნუთუ მართლა კვდება? გული უკვნესის ამის გაფიქრებაზე. ნუთუ ესეც მისი ცოდვის საზღაურია, რომ შვილის სიკვდილს მოესწროს? ვიქტორის გამოუცნობი სენი ხომ მისი წყალობაა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მისი ბრალიც იყოს და ეს ამაზრზენი ეჭვია, ყველაზე მეტად რომ სტანჯავს. ვინ იცის, ვისი თესლი გაუღივდა წაბილწულ საშოში, ვისმა უკეთურმა ჯიშმა იხარა და იმძლავრა. იქნებ ამრიკოს ავადმყოფობაც მისი დამპალი თესლის ნაყოფია? ალბათ ამიტომაც ვერ იტანს ვიქტორი, დაუჟინია, აქაურობას მოაშორეთ, ეგ რომ სახლში მეგულება, მშვიდად ვერ ვიძინებო. შვილის ეშინია, ყველაფრის ეშინია, საკუთარი თავისაც. სადღაც ცხრა მთას იქით მიტოვებულ ნაბიჭვარსაც იმიტომ უხმობს, რომ სიკვდილის ეშინია, სიკვდილის კი არა, სიკვდილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ დარჩენილი სიცარიელის, იმისი, რომ მასთან ერთად გაქრება ბოლომა. გულში რომ ჩახვევია. ის ბოროტება და სიავე, მისი არსებობა რომ ამკვიდრებს ამ ქვეყანაზე. იმ გადამთიელი შვილის ჩამოყვანა იქნება ვიქტორის საბოლოო შურისძიება მართაზეც და მთელ ცხოვრებაზეც. ის იქნება გაგრძელება, ხსოვნა, მარადიული სასჯელი და სამაგიერო. ვიქტორი მოკვდება და დარჩება საშინელი წყევლა, ანათემა, საუკუნო შეჩვენება... რას ამბობს ეს ნუცა, რამ გადარია! ან მართა რას მიედ-მოედება! რა სჭირს ვიქტორს სასიკვდილო... რომელი შვილი, რისი მემკვიდრე... ისიც ხომ სნეული იქნება, თუ მართლა არსებობს? იმასაც ხომ ვიქტორის სისხლი ექნება ძარღვებში, ამრიკოს სისხლი, ამათი, მართას შთამომავლობა რომ ჰქვია. ნეტავი მართლა არსებობს? უნახავს ვიქტორს მას შემდეგ, პატარა რომ მიატოვა? სურათი მიიღო ამას წინათო, ამბობს ნუცა, ოფიცერია, ამრიკოს ჰგავსო... ამრიკოსო... საწყალი ევა, როგორ არ ემეტება შვილი საგიჟეთისათვის. დღეს-ხვალო, ატყუებს ქმარს, აი, მოვემზადები და წავიყვანო. რა ვუყო, მეცოდებაო, შესჩივის მართას, პატარა ხომ არ არის, ამოდენა კაცია, იქ ვინ მოუვლისო. რას აშავებს ეგ უბედური, არის თავისთვის წყნარად, საწოლის ფეხზე მიბმული და ნიჟარას უსმენსო. ევამ რა იცის, ერჩის თუ არ ერჩის. ერჩის და მერე როგორ... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამღვრეულ გონებაში იმ ძაფის გაწყვეტა მოუვიდეს. გული უსკდება მართას, ყური სულ ამრიკოს ოთახისაკენ უჭირავს. მას შემდეგ, რაც მისი ფიქრები გაიგონა — ესეც სასჯელია, აბა რა არის — რაც მისი ფიქრები გაიგონა, საშინელების მოლოდინი არ ასვენებს, მაგრამ ვერავისთან გაუმხელია. მაინც არ დაუჯერებენ, მართაც გიჟი ეგონებათ, აბა სხვისი ფიქრების მოსმენა ვის გაუგია? მართასაც არ სჯერა ბოლომდე ეს ამბავი. მეჩვენებაო, ფიქრობს, აბა მაინცდამაინც მაშინ რატომ მესმის, ამრიკოსთან რომ ვარო, მაგრამ შვილის სუნსაც ხომ მაშინ გრძნობს, როცა ე[illegible] არიან? ამრიკო ნიჟარას უსმენს [illegible]ლში ლაპარაკობს, მართას კი ესმის. მაგრამ ვიქტორმა რა იცის? რისი ეშინია? ევა წუხს. რა უნდა ვიქტორს, რას ერჩის საბრალო ბიჭს, რა დაუშავებია მისთვისო. ნუცასაც უკვირს ვიქტორის მრისხანება, ავადმყოფი გერი ეცოდება — გერია თუ ვინ არის ნუცასათვის? რას გაიგებს ადამიანი... კეთილი ნუცა. როგორ ემადლიერება ევა, სულ ლოცავს — შენ გაიხარე ამრიკოს მფარველობისათვის, ღმერთმა სიკეთე მოგცეს, შვილები გიცოცხლოს და გიბედნიეროსო. მაინც რა საკვირველი ურთიერთობა აქვთ, ნამდვილი დებივით არიან. კიდევ კარგი, სახლი დიდია, ცალ-ცალკე ცხოვრების საშუალება აქვთ. ვიქტორმა, ნუცას დაბრუნების შემდეგ, ევას ორი ოთახი გამოუყო. არა აქვს თუ რა? კაციშვილი არ კითხულობს, საიდან მოაქვს ამდენი ფული, რა ოქროს საბადოს მიაგნო. მართა გრძნობს, რომ ვიქტორის ქონებასაც ცუდი სუნი ასდის. ლეშივით ყარს ყოველი კუთხე-კუნჭული, ყველა ნივთიდან ვიქტორის სუნი სცემს. სხვები კი ვერც ამ სუნს გრძნობენ — ვერც ცოლები, ვერც შვილები. ეს ბედოვლათი სიძეები ხომ ვერა და ვერ გრძნობენ. ფეხებზე არ ჰკიდიათ? სიმამრის ფულებს რად დაყნოსავენ? ამ ფულებით მოიწყვეს ცხოვრება — საკუთარი სასახლეები წამოჭიმეს, ძვირფასი ავეჯით გამოჯეჯგეს, მანქანებში გამოიჯგიმნენ, სასმელ-საჭმელს არ კითხულობენ და ჩაცმა-დახურვას. სხვა რა ენაღვლებათ! ფეხქვეშ ეგებიან თავიანთ მარჩენალს, ტერფებს ულოკავენ, თავმოყვარეობა დაკარგეს, მონებად ექცნენ და სულ არ აწუხებთ ეგ ამბავი. იმასაც ეგუებიან, ოჯახში ორი ქალი რომ არის ერთდროულად, ვიქტორის ორი ცოლი, თავთავიანთი შვილებითა და ნაბიჭვრებით. ახლა მესამეც თუ მართლა ჩამოვიდა, მთლად სეირი იქნება — იმასაც დედას დაუძახებენ. სიყვარულსა და სიამტკბილობას ითამაშებენ, რადგან ვიქტორს ასე სწადია და მის ნებას ვინ გადაუვა. მძა-

ლე. გულის მძმარავი სიხარული ეუფლება მართას. ამ ურთიერთობებს რომ აკვირდება. თითქოს კმაყოფილია, ოჯახში სიმშვიდე რომ სუფევს, ერთმანეთს რომ არ სჭამენ რძლები, დასწყევლოს ღმერთმა. ერთმანეთს პატივს რომ სცემენ. მაგრამ მაინც აშფოთებს ეს ჩასაფრებული, ვერაგი, გველივით გალურსული სიმშვიდე და კეთილდღეობა, ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს დორბლიანი ტუჩებით ლოშნიდეს ვიღაც ის... ვიღაც, იქ რომ იყო... ღმერთო ნუ გაახსენებ... ამრიკოსაც იმიტომ მფარველობს ნუცა, რომ ევას ელაქუცება, იმადლიერებს, ამით უნდა შეინარჩუნოს ხელახლა მოპოვებული მონური ბედნიერება. ევამაც იცის ეს და ვიქტორმაც. ყველამ ყველაფერი იცის. ასე რომ არ იყოს, ამრიკო ახლა საგიჟეთში იქნებოდა. საგიჟეთში არაო, გული უსკდება მართას. ოღონდ საგიჟეთში არ წაიყვანოთ და რაც გინდა ის ქენით, როგორც გერჩიოთ, ისე იცხოვრეთ, თქვენი საშველი მაინც არ იქნებაო. ამრიკო რომ საგიჟეთში გაგზავნონ, ნინოს სულ ვერ შეხვდება მართა. ახლა ხანდახან მაინც შემოივლის ამრიკოს ხათრით და მაშინ მართასაც ინახულებს ხოლმე. უჩუმრად შემოძვრება ოთახში, ვიქტორმა რომ არ გაიგოს და ერთი ვაიუშველებელი არ დააწიოს. როგორ ეჯავრება საბრალო გოგო, როგორ ებრძვის. გაიგებს მის მოსვლას და ილანძღება, გარეთ გააგდეთ ეგ გომბიო, მაგის ნაბიჭვარი მაკლია სწორედ ოჯახშიო. პირდაპირ ცოფდება ორსული გერის დანახვაზე — გერია თუ რა არის ვიქტორისათვის? — თითქოს ისედაც არ ეხვიოს ნაბიჭვრები, ზოგი თავისი, ზოგი — სხვისი. ეშმაკმა უწყის ვინ ვინ არის, საიდან მოსულან, საით მიდიან, კიდევ რა კრულვად ამოხეთქავს მართას შეცოდება. სადაცაა ნინოსაც შვილი გაუჩნდება. ცხრა თვისა ვარო, თვითონ ამბობს და მართასაც ასე აქვს გამოთვლილი. კარგად ახსოვს, აგვისტო იყოო, ნინომ რომ უთხრა, ამას რა დაავიწყებს, — მაშინაც აგვისტო იყო იქ, საჯავახოს ულელტეხილზე, ბროწეულების ტყე რომ დაინახა... „რა ბედნიერი ვიყავი, ბებო, რომ იცოდე. რა ბედნიერი“... ...ახლა მაისია. სწორედ ცხრა თვე გავიდა, მაგრამ ამრიკოს რომ ჰკითხო, ცხრა თვეში კი არა, ათშიაც ვერ შობსო. სულელი ამრიკო! ამოიჩემებს რაღაც საოცრებას და გულს უხეთქავს. მანამდე იქნება ფეხმძიმედო, სანამ... — ღმერთო, შენ დაიფარე ცოდვილი მართა ამ ტვინამღვრეულის სიმართლისაგან... — მანამდე ვერ შობს, ვიდრე ვიქტორი ცოცხალიაო... — ღვთისმშობელო დედაო, წმინდაო ქალწულო, წმინდაო მარიამ, შეიბრალე უბედური მართა, არიდე ყველაზე საშინელი სასჯელი, გაუმტყუნე ავი წინათგრძნობა, წმინდაო, მოწყალევ, შეისმინე ეს ვედრება... — ვიდრე თავს არ ავიხსნიო!... ნინოს მუცელში მე ვყევარ და ჩემზე უკეთ ვის ეცოდინება, როდის გავჩნდებიო. სანამ ამ ჯაჭვს არ გავწყვეტ, ტყუილად ელოდებითო... კიდევ კარგი, რომ მარტო მართას ესმის გიჟის ბოდვა. ბოდვაა, აბა რა არის? მაგრამ, ვინ იცის... სიზმარში ხომ ათასი საოცრება ხდება? განა ნაკლები რამ გარდახდენია ან სმენია მართას ამ უსაშველო ძილ-ღვიძილში? ამრიკოს სნეული გონება ისეთ სასწაულებს სწვდება, ჩვეულებრივ ადამიანს შეშლის ბოდვა რომ ჰგონია. მაგრამ ზოგჯერ მართალს არ ამბობს? ნინო ხომ მართლაც ის გოგოა, საჯავახოს ულელტეხილზე რომ დატოვა მართამ. ბროწეულის ტყეში რომ იდგა და ჩამავალ მზეს უყურებდა. მერე რომ დაბნელდა და ბოსელში რომ იწვა ხმელ ჩალაზე, პეტრეს გვერდით, და ბედნიერებით დაღლილსა და დაბანგულს რომ ჩაეძინა და მას აქეთ რომ ვერ გაუღვიძნია, ისევ იქ რომ დაბორიალობს, იმ სამოცდა ათი წლის წინანდელ სიზმრებში. ნინო ჩემი ბებიააო. ბებია როგორღა იქნება, თუ მუცელში ყევხარ. შე სულელო? მაგრამ ალბათ იმ ბებიას გულისხმობს, ალბომის ფოტოზე რომაა გამოსახული — ლამაზი, ბედნიერი, ნეტარებით მღუარი, მაისის დღესავით... ჰო, მაშინაც მაისი იყო — ბედისწერაა თუ რა არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მაისის თვე — ახლაც გუშინდელივით ხედავს. ვერაფერმა ვერ ამოუშალა მეხსიერებიდან იმ დღის ხსოვნა — ვერც სიხარულმა, ვერც მწუხარებამ, ვერც საშინელმა ზმანებებმა. ცამეტი-თოთხმეტი წლისა თუ იქნება იმ სურათზე: მუხლებს ქვემოთ ჩაშვებული თეთრი აბრეშუმის კაბა აცვია დიდი ქალივით. მაღალყელიანი თეთრი წინდები და გადასაბნევი თეთრი ფეხსაცმელი — ახალთახალი, ქუსლიანი, ჭრაჭუნა. ახსოვს: კარი გადაუყვლიფა ძოუთელავმა ტყავმა და საშინლად ეწოდა დაწყლულებული ფეხი. ვიდრე დღედაძ ძალამოსავით გრილი და სურნელოვანი ცხვირსახოცი არ ჩაუფინა და ტკივილი არ დაუამა — როგორ ენატოება ის სიამე, როგორი შვება და მადლიერება მოეფინა გულზე და როგორი გასაგები გახდა ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა. ამიტომაც თუ აქვს ისეთი გაცისკროვნებული სახე, თვალები პირველხილვის გაოცებით დაუჭყეტია, შუბლზე შეკრეჭილი მოკლე თმაც თითქოს ნიავისაგან კი არა, გაკვირვებისაგან აჰბურძგვნია. ორივე ხელით ჩაბღუჯული მინდვრის ყვავილების კონა გულზე მიუხუტებია და პირი ისე დაუღია, თითქოს რაღაცის თქმას აპირებს, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი უნდა ამცნოს ქვეყნიერებასო, ყოველთვის გრძნეული აზრით ხედავს ამ წამს, სურათზე რომ გარინდულა: დედას ცისფერი ყვავილებით მოჩითული კაბა აცვია — შრიალა, მხრებაწურული, თავზე თეთრბაბთიანი მრგვალი ქუდი ახურავს და მისი პრანჭია ფარფლებით მოჩრდილულ სახეზე უჩვეულოდ კეკლუცი და ეშმაკური ღიმილი დასთამაშებს — მართასათვის შემაცბუნებლად უცნობი და მოულოდნელად ამხსნელი იმისა, თუ რატომ უყვარს მამას დედა და რა იყო მათ შორის ადრე, მართას გაჩენამდე. და მამაც რატომ არის ასე ამაღელვებლად უცხოც და საიმედოდ მშობლიურიც მთელი თავისი იერითა და გარეგნობით — თეთრი ტილოს გრძელკალთებიანი კოსტუმი და თეთრი ფეხსაცმელი აცვია, პიჯაკის კალთა დარდიმანდულად გადახსნია. ერთი ხელის ცერი ჟილეტის ჯიბეზე თუ საათის ძეწკვზე ფრონცქად ჩამოუდევს, მეორე ხელი მართასათვის მხარზე თანამზრახველურად გადაუხვევია, თითქოს რაღაცისაგან იცავს, ამხნევებს, ბოდიშსაც უხდის დედის ღიმილში მის უნებურად წამოცდენილი უხერხული საიდუმლოსათვის და იმისათვის, რომ ორივენი, მამაც და დედაც, იმ წუთას უხამსად ახალგაზრდები არიან და იმ დროში ცხოვრობენ, როცა მართა არ არსებობდა ამ ქვეყანაზე. ირგვლივ კი, სურათის მთელ სივრცეზე, გალაღებული ხალხის ზღვა ირწევა და ახლომახლო ბუნდად გამომზირალი სახეები ისეთ საზეიმო სინათლეს ასხივებენ და მართაც ისეთი შუქიანი და ბრწყინვალეა და ყვავილებიც ისე სასოებით მიუხუტებია გულზე, თითქოს ჯვრისწერის მღელვარებით აფოფინებული პატარძალი ყოფილიყოს. ახლაც ათბობს ის საქორწილო განწყობილებით აღსავსე გაზაფხულის დღე, საზეიმოდ მორთული პროსპექტი, გულისგულამდე მშობლიური კაცების და ქალების ბედნიერი სახეები, აღგზნებული ახალგაზრდების რიარია, დროშების ელვარება, ლოზუნგების შეძახილები, მილოცვები, სიტყვები, რომელთა აზრს მაშინ ვერც კი სწვდებოდა ლამის ხორციელი ნეტარებით გათანგული გოგო, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და საბედისწეროდ ნანატრი დღე დამდგარიყო მის სამშობლოში, ეს საყვარელი ადამიანები ძალიან ბედნიერები იყვნენ და ამიტომ თვითონაც გულუბრყვილო ბავშვური აღფრთოვანებით და გამოუთქმელი მადლიერებით შეერთებოდა ამ საყოველთაო სიხარულს, გულში სასოებით იმეორებდა თითოეულ სიტყვას, სახელდახელო ტრიბუნებიდან რომ ესმოდა, აზავთებული ხალხი რომ იტაცებდა და ნაცნობ-მეგობრებში გალაღებული მამაც სასოებით რომ წარმოთქვამდა. მაგრამ ახლა საიდან მოდის ეს გნიასი და აღტყინებული ხმები, თითქოს იქიდან, იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორეული წარსულიდანაა, მაგრამ სადღაც ახლოდან და ამ წუთას რომ ესმის? ქალაქის მდორე ხმოვანებაში ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ერთიმეორეზე მოვარდნილ ტალღებად იჭრება საბედისწეროდ ნაცნობი, შემაშფოთებლად იგივე ბგერები, იგივე ხმები, იგივე კილო... „სამშობლო... თავისუფლება... საქართველო... დემოკრატია... გაუმარჯოს... ძირს... ძირს... ძირს..." — ტაშის გრიალსა და ყიჟინაში ეხლება მართას გულსა და გონებას. ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ის სიტყვებია, გაბრიელ ბიძიას სახლის აივანზე ჩასაფრებულსა და გაფაციცებულს რომ ესმოდა, მამასა და პეტრეს საიდუმლო საუბრებიდან რომ იტაცებდა და გაუგებარ აზრებად აკოწიწებდა... ეს ხომ ის მომავალი სამშობლო იყო, პეტრე რომ წამდაუწუმ ახსენებდა და ახარბებდა, ნაირნაირი ფერებით რომ უხატავდა სულ სხვა ვნებებსა და ოცნებებში გადახვეწილ მართას. ახლა პეტრეს ხმაც იმ ხმებში ესმის, მისი სახეც იმ სახეებში ელანდება — სიხარულით აცეტებულ დარბაისელ მამაკაცებსა და მოყიჟინე ახალგაზრდებს შორის, საქორწილო ფოტოსურათზე, მის გვერდით, იმ ადგილას, სადაც ყვავილებიანი ქალიშვილის მხარზე ხელჩამოდებული მამაკაცი დგას. ის ქალიშვილი კი მართაა თუ ნინო — თეთრ სადედოფლო სამოსში გამოწყობილი, წმინდა, კამკამა, იმ დღესავით ნათელი და ლამაზი... "რა ბედნიერი ვიყავი, ბებო, რომ იცოდე, რა ბედნიერი..." ...რა ხანია აღარ გაუგონია მისი ხმა, არ მიჰფერებია, კვირტივით მფეთქავ მუცელზე არ მიუდევს ბეხრეკი თავი. სად არის ნეტავი? სად დაეხეტება ასე გაბერილი და უპატრონო? დღედღეზე უნდა იმშობიაროს, ენაცვალოს ბებია. ცხრა თვე გავიდა უკვე, კი, ნამდვილად ცხრა თვეა, აგვისტო არ იყო? ბედისწერაა, აბა რა არის, — აგვისტო იყო, ახლა მაისია. როგორ გარბის დრო, კი არ გარბის, აქეთ-იქით ქანაობს, ირხევა, წინ და უკან აწყდება, რომ წყვდიადის კედლები გამოარღვიოს და ცხადში გამოიჭრას. ყველაფერი იქ არის, ყველანი იმ მერ[illegible] ბადეში გაბლანდულან და თავი ვერ დაუღწევიათ. წყვდიადი... წყვდიადი... წყვდიადი... დაბადებამდელი წყვდიადი და ქაოსი და ხმები... სიტყვები... ბგერები...:

— ევაც მოვიდეს ბარემ. ასმათ, ევას დაუძახე, მგონი შინ უნდა იყოს, ხმა გავიგონე.

„კი, შინ არის. წელან მოვიდა თავის ვაჟბატონთან ერთად. სადილს აკეთებენ. რა სუნია..."

— აბა ჰო, ევა არ დაგავიწყდეს როგორმე, თორემ მოგვეჭრა თავი!... შენი მეორე ნახევარი, თუ მესამე?... რომელი ნახევარია?

— მეოთხეა. თვლა არ იცი?

„როგორ წიკვინებს ეს ასმათი, ლამისაა კედლები გახვრიტოს. ევას რას ერჩის? წიკვინი მერე იკითხე, ახალ ამბავს რომ გაიგებს. მერე ითვალოს მესამეა თუ მეოთხე".

ასმათ, რა ლაპარაკია ეს, დედებს ასე ექცევიან?

„უცნაური ბგერა აქვს როსტომს, ორმაგი, თითქოს ორი კაცი ლაპარაკობს ერთდროულად. სახეც ორმაგი ექნება: ერთი სერიოზული, მეორე — დამცინავი, ერთი — ჭკვიანი, მეორე — ბრიყვი. საბრალო ასმათი".

— კიდევ მყავს ერთი დედა იქ, ციმბირში. იმასაც ხომ არ დავუძახო?

„გამოცხადებული მამიდაჩემია. ვხედავ კიდევაც: ხმელი, ხიწვიანი, სიმინდის ნაქურჩალივით, და ჩხაკუნა. კეხიანი ცხვირი, წვრიტინა თვალები, უტუჩო პირი — შეწებებული, დანით რომ ვერ გაუხსნი, მაგრამ თუ გააღო, — მტრისას! გადაგლესილი თმა, დაფშრუკული ნამცეცა ყურები, ნიგვზის ხეჭივით. ძვალტყავა თითებს პარჭყავს საითკენღაც, ციმბირისაკენ. საბრალო როსტომი".

— ციმბირი მაქეთაა. შე გეოგრაფოსო?

— ჯანდაბაშია! ციმბირი მირჩევნია აქ ყოფნას. არ დაგინახავდით მაინც!

— კარგი რა, ასმათ, რა მოგივიდა, ამ დიდებულ პურ-მარილს ნუ ჩაგვაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხამებ. ძლივს თავი მოგვიყრია.

„მაყვალაც მოსულა თავისი მინისტრი მეუღლითურთ. ყველანი აქ არიან, ნინოს გარდა. ეს მაყვალა ხომ გამოხოხებული პელოა — მუდამ კმაყოფილი და ზავის მახვეწარი. ტკბილეულით გატიკნული, ფუმფულა—სკამზე ჩამოფლავებული აბრეშუმის დუნდულები, ღაჟღაჟა ლოყები, მარწყვივით ტუჩები, მოციმციმე თვალები, ბედნიერი სახე. ზედვე აწერია სიბერწე. საშვილოსნო საერთოდ არ ექნება. რა საყვარლად კიკინებს... ნინო სად იქნება ნეტავი. ჩემი გაბერილი გოგო...“

— ნუ დარდობ, არ უნდა შენი დაძახება. თავისით გეახლება. აბა ამ სუფრას ვისთვის ვაწყობ? წელი მოვიწყვიტე ამეების თრევით.

„ესეც ასე .. რა იოლად გამოუვიდა. თან ვითომ იცინის, ხუმრობს. მართლა საოცარი ქალია ეს ნუცა. თავს იტყუებს თუ სხვებს უიოლებს? ვერაფერს გაუგებ. ხმაც ისეთი აქვს, გეგონება ხუფის ქვეშ დაუმწყვდევიაო. თავის ახდა მოგინდება. რაო, რა თქვა? თავისით გეახლებაო? ღმერთო, გვიშველე!..“

— არ ვხუმრობთ, არა, მართლა გვეწვევა სადაცაა, თავისი ვაჟკაცით.

— რა გაცინებს, ქალო, არ გადამრიო!

— რა ·გრევს ნეტავი? არ ელოდი თუ? არ იცოდი ადრე თუ გვიან ასე რომ მოხდებოდა?

— კაცი ვარო, ვიქტორმა უნდა თქვას, სამი პირი ცოლშვილი დაადგება თავზე. ყოჩაღ, ჩემო სიმამრო! ჰაჰა-ჰა-! სამი ცოლი ერთ ოჯახში! ბრავო!

„მთლად უცხოსავითაა, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, ალბათ ასმათიც. საკვირველია, როგორ შეუძლია. შვილები თუ მაინც ედარდება? კაცი ვარო. ვიქტორმა კი არა, მაგან უნდა თქვას“.

— პირველი ის არის, ვაა არ დავავიწყდეთ, რომ ბიჭი ჰყავს მასთან, გვარის გამგრძელებელი... მემკვიდრე...

— რა ენაღვლება, რა! მე შენ გეტყვი და გვარს დაიწუნებს ან სახლ-კარი არ მოეწონება. თავადი... ეეეე... რ[illegible] თუ იცი?

— რა, ჩვენს გვარზეა?... როდის მოასწრო?

„იამზემაც ხმა ამოიღო. თავისი ბედოვლათი უჩა სადა ჰყავს? ფერი ფერსაო მაგათზეა ნათქვამი. ლოკოკინები, ნიჟარებსაც თან დაათრევენ. ზურგებით. დასჭირდება და შეძვრებიან. მარტო საცეცები უჩანთ. მაგათი შვილები რა უნდა გამოვიდნენ? მთელი ქვეყანა გარეთაა გამოფენილი, ესენი კი აგერ იძუძგებიან“.

— რა მნიშვნელობა აქვს ვის გვარზეა. ჩამოვა და გვარსაც მისცემს და სახლ-კარსაც დაუმტკიცებს.

— დაუმტკიცებს რა, ჩვენ არავინ გვეკითხება? ჩვენ შვილები არა ვართ? თუ ქალებს შვილებად არ გვთვლის?... სიძეები იგივე შვილები არ არიან? გურამ, თქვი რამე!

„მაგან რა უნდა თქვას? ამ წყეულ სახლს რა თავში იხლის, საკუთარი სასახლე არა აქვს თუ რა? მე შენ გეტყვი და შვილები აწუხებს. თავისი უკვე განაღდებული აქვს. სიმამრის ფულით მოიწყო ცხოვრება. სახელი არ აკლია და თანამდებობა, მინისტრი კაცია, ისე მაგან იხაროს, ვიღაც გადამთიელი ცოლისძმა რაში ენაღვლება?... ამრიკო, შე საბრალოვ, როგორა ხარ? ძაფი ხომ არ გაწუხებს? ვილას ახსოვხარ, შენთვის ვის სცალია... ნინოც რომ აღარ გამოჩნდა... სად არის ნეტავი, სად დაგორავს?“

— რა უნდა ვთქვა, რა ჩემი საქმეა თქვენი ციმბირელი ძმა...

— რას ჰქვია, შენი საქმე არ არის!... აბა ვისი საქმეა? თუ დიდი ხალხი ხართ და არ გეკადრებათ, სკამებს და სახელს უფრთხილდებით, არ გინდათ ოჯახის ნაგავში ქექვა, გეშინიათ სუნი გარეთ არ გავიდეს და ხალხი არ შეაწუხოს?... ხელებს იბანთ, იმასავით... რა ქვია...

— პილატესავით!

„ეს უჩა კიდევ მთლად ბრიყვია. ღმერთო ჩემო, საიდან მოიყარეს თავი ასე ერთნაირებმა? ესენიც ხომ ვიქტორის



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები არ არიან. სისხლი რამ გაუწყალათ?"

ჩვენ მართლა რა შუაში ვართ. ამრიკო აგერ არ არის? მთავარი მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი ის არის. ვერ შეიშნოვებს თუ?

„როსტომია. სხვა ვინ იქნება — მასხარა. ქარიფანტია. თვალის მოსჯირე ისე. სხვებს მაინც ეგ ჯობია. მამაკაცს მაინც ჰგავს. რამდენი საყვარელი ეყოლება? საბრალო ასმათი, ასეთი კაპარჭხანააა და საკუთარ ქმრისათვის ვერ მოუვლია. იმიტომაც იცოფება..."

— როსტომ. დაგვცინი ხომ? სამასხარაოდ გვაქვს საქმე? სულ ღლაბუცი გაგონილა?

— სერიოზულად ვამბობ. კანონი ამრიკოს მხარეზეა.

— რა კანონი! გიჟის კანონი ვის გაუგია! დღეს თუ ხვალ საგიჟეთში უნდა წავიყვანოთ. ან კი რას გამოგვყავდა...

— დედამისს არ ეკითხებით? იმან გამოიყვანა და ის მოუვლის. რა თქვენი საქმეა. საგიჟეთში დააბრუნებს თუ შინ ეყოლება დაბმული.

„ნუცაც კაი საწამლავია, თუ დასჭირდა. დაბმულიო. აკი მისი საცოდაობით იწვის? ამრიკო, საცოდავო, შენ მოგიკვდა ცოდვილი ბებია. ნინოს მუცელში როგორა ხარ?... ვინ იცის, იქნებ მართლა ბიჭი უნდა ეყოლოს... ერთი ნორმალური მამაკაცი არ გამოერევა ამ დაწყევლილ ოჯახში? ნინოც ხომ ჩვენი ჯიშისა არ არის... ღმერთო ძლიერო, მართლა ხომ არ გადააშორა ცხრა თვეს, ამრიკოს სიტყვები ხომ არ უნდა ახდეს? ღმერთო. შენი სახელის ჭირიმე..."

— მართლა, ამრიკო როგორ არის?

— გმადლობთ, არა უშავს. ჩვენც არა გვიშავს, სანამ აიწყვეტდეს. ნუცა, რომელი ძაფით გყავთ დაბმული — ბამბის თუ აბრეშუმის? ისე, რომ იცოდეთ, კაპრონის ძაფი უფრო საიმედოა, თანაც — ლამაზი!

ულმერთოები!... ცოდვის შვილები!.. აღარ შეუძლია ამათი მოსმენა, მაგრამ სად წავიდეს, თავი სად შეაფაროს, თავისი სმენის გადამკიდე მარტო სად იქნება? არადა. როგორ ენატრება სიჩუმე, სიმარტოვე... არსაიდან ჩქამიც რომ არ ესმოდეს. არც გარედან არც შიგნიდან. აღარ შეუძლია მეტი. დაიღალა. აღარც მამასთან ლაპარაკი შეუძლია. მაგრამ არ ისვენებს წყეული გონება. როგორც კი თავის სენაკში ჩაიკეტება, იმ წამსვე მამის სურათს მიაპყრობს უსინათლო თვალებს და თავიდან იწყებს თავის მტანჯველ აღსარებას. ყოველ დღე, ყოველ ღამე. თითქოს ცოცხალს ელაპარაკება. ნეტავი იმ ღამის შემდეგ რომ ცოცხალი ენახა და მართასაც ლაპარაკი შესძლებოდა. ასევე გაანდობდა გულს? ასეთივე თვითმგვემი სიმართლითა და შეუბრალებელი გულწრფელობით გაუმხელდა ყველაფერს. სიზმარსაც და ცხადსაც? მამა ხომ ერთადერთი ადამიანი იყო ამ ქვეყნად, ვინც უეჭველად გაუგებდა და აპატიებდა. ის ხომ ყველაზე ახლობელი და ძვირფასი იყო, თვით პეტრეზე უფრო საყვარელი და სანატრელი, მართას იმედი და სიამაყე, მისი ოცნება, მისი მომავალი, რომელიც უეჭველად უნდა არსებულიყო ბუნებაში, რაკი არსებობდა ასეთი სიხარული, ასეთი ნეტარი მღელვარება და ბედნიერება, მამის სიახლოვე რომ ანიჭებდა. პეტრე რაღაცით ჰგავდა მამას, მაშინ კი არა — მერე, დიდი ხნის შემდეგ, მომავალში, რომელიც თითქოს მოვიდა და ვეღარც მოვიდა. უცნაური რამ ხდებოდა მართას ცნობიერებაში: რაც უფრო შორდებოდა იმ საბედისწერო დღეს, რაც უფრო ემატებოდა ასაკი, პეტრეც მასთან ერთად იზრდებოდა, თანდათან კაცდებოდა, მამას ემსგავსებოდა და მის თვისებებს იძენდა. სიზმრებში რომ გამოეცხადებოდა, პეტრე კი იყო, მაგრამ მამის ხმით ელაპარაკებოდა, მამის ხელებით ეფერებოდა და მართასაც ისეთი სიხარული და სიამაყე ეუფლებოდა, პატარაობაში მამის სიახლოვეს რომ განუცდია. ზოგჯერ, ამ უსასრულო სიზმარში ჩაძინებული, იქითა სიზმარში ხედავდა მის გვერდით მწოლარე პეტრე-მამას, გულისხეთქვით ილვიძებდა და აქეთ ეშურებოდა, თა-

ვის მარადიულ სიზმარ-ცხადში, სადაც ნამდვილი პეტრე ეგულებოდა. მაგრამ ნამდვილი პეტრეც თითქოს მოჩვენება იყო, ისე უეცრად მოვიდა და წავიდა, რომ დამახსოვრებაც კი ვერ მოასწრო, ისიც არ იცის, ნამდვილად იყო თუ არა და მართლა სიყვარული თუ იყო ის გრძნობა, პეტრეს სიახლოვეს რომ განიცდიდა. ან იმას რა სიახლოვე ეთქმოდა — გაბრიელ ბიძიას სახლის აივნიდან ქურდულად უმზერდა ხოლმე ცაცხვის ჩრდილში მამასთან მოსაუბრე პეტრეს, გადაშლილ წიგნში ყასიდად თავჩარგული გაფაციცებით აყურადებდა კაცების ხმადაბალ ლაპარაკს, ცდილობდა, კანტიკუნტად ყურმოკრული უთავბოლო ფრაზებით გამოეცნო მათი საუბრის შინაარსი, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა გარდა იმისა, რომ მისი დინჯი, ჭკვიანი მამა და ეს მშფოთვარე, მუდამ ქალაქური პეწით ჩაცმული სანდომიანი სტუდენტი ისეთ რამეებზე ლაპარაკობდნენ, რისი ხმამაღლა თქმაც სახიფათო უნდა ყოფილიყო. ხანდახან მამა და პეტრე ღამღამობით სადღაც მიდიოდნენ და ავისმომასწავებელი გუმანით აფორიაქებულ მართას ვერ აეხსნა, თუ რა უნდა ყოფილიყო ის საიდუმლო საქმე, ამ ორი ადამიანის აგრერიგად შეკავშირება რომ შეეძლო. უამური ეჭვებითა და ვარაუდებით გაწამებულ გულში თანდათან ისადგურებდა იმის შიში, რომ რაღაც გარდაუვალი განსაცდელი ახლოვდებოდა და ეს განსაცდელი მარტო მამას კი არა, პეტრესაც ემუქრებოდა, იმასაც გაკვირვებით აღმოაჩენდა, რომ არ იცოდა, თუ ვისთვის უფრო წუხდა, ვინ მეტად ადარდებდა — მამა თუ პეტრე. შემაცბუნებელი და საამო გულისტკივილის მომგვრელი იყო ეს აღმოჩენა, თითქოს მამის წინაშე დანაშაულს გრძნობდა, თითქოს მის სიყვარულსა და ერთგულებას ღალატობდა და ამის შეგნება ისეთი სევდითა და სინანულით ავსებდა, თითქოს მართლა პირველ სიყვარულს ეთხოვებოდა. მაგრამ გარდაუვალი იყო ეს გამოთხოვება. სულ უფრო და უფრო იპყრობდა პეტრესთან სიახლოვის სურვილი, დღითიდღე [illegible] ვდა და მთვარეულის ზმანებებში [illegible] ბორიალებდა. ჰო, იყო ამ თავდავიწყებულ ლტოლვაში მისთვის უჩვეულო ავბედითი ვნება, რაც არაფრით არ ესადაგებოდა მართას ზნეკეთილ ბუნებას. იმასაც გრძნობდა, რომ პეტრეს გარეგნობასა და ხასიათში იყო რაღაც მაცდური, ეშმაკეული ჯადო-თილისმა, რომელსაც საბედისწერო სითამამითა და განწირულობის საამო განცდით ემორჩილებოდა. და ჰა, ერთხელ ვეღარ მოერია ამ ეშმაკეულს: აგვისტოს ბოლო იყო, მამა რომ თბილისს გამოემგზავრა. მალე დავბრუნდებით, უთხრა მართას, დედას წამოვიყვან და ორ-სამ დღეში აქ ვიქნებით. არ მოიწყინო, არ იდარდოო, დაუბარა, მაგრამ მართას დარდი და მოწყენა კი არა, სამარცხვინო სიხარული და მოუთმენლობაც კი დაეუფლა იმის გამო, რომ რამდენიმე დღით პეტრესთან რჩებოდა — მარტოდ-მარტო, უმამოდ, საკუთარი თავისა და ამოსახსნელი ვნებების ამარა. მართლა სიცხიან ბურანში იყო თუ სიზმარი იყო ის ყველაფერი? მართას თეთრი კაბა ეცვა, გულისპირზე მაქმანმოყოლებული, მსუბუქი, ჰაერივით სუფთა და ალერსიანი, ისე რბილი და სიფრიფანა, რომ მთლად ნერვებად ქცეულ ტანზე გრძნობდა საღამური ნიავის ნელთბილ ფათურს, გზისპირის გაყოლებით მოჩუხჩუხე ღელის ჭავლებს, შრიალა ჭალის სურნელოვან სუნთქვას და მთელი ბუნების ველურ, პირველყოფილი სიმართლით გამხალისებელ სიცოცხლეს. პეტრე სულ ახლოს იყო, ისე ახლოს, რომ მართას აღარც ახსოვს მისი არსებობა, მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ თეთრი, თეთრი, თეთრ სამოსში გახვეული, საღამურ ბინდში თეთრად შემოგარსული სინათლე მიჰყვებოდა გვერდით და ჯერგანუცდელი სიხარულით ავსებდა. გონებით კი არა, მთელი მოჯადოებული არსებით აღიქვამდა პეტრეს მღელვარე ლაპარაკს და ვერ ხვდებოდა, თუ რა კავშირი იყო ამ ბუნდოვნად ნაცნობი. უცნაური აზრების გამომხატველ სიტყვებსა და იმ განც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს შორის, მის სულს რომ დაუფლებოდა. რა საქართველო?!.. რისი თავისუფლება?!... სადაური დამპყრობლები?!... რომელი სამშობლო?! რას მიედმოედება ეს პეტრე! რა დროს სამშობლოა? განა ეს გრძნეული საღამო სამშობლო არ არის?... რისი ბრძოლა?... რომელი ბოლშევიკები?! სადაური მტერი?!... ხომ არ გაგიჟდა ეს პეტრე!... აი, თურმე რა ყოფილა ის საიდუმლო საქმე... თურმე ეს სიტყვები ესმოდა მამისა და პეტრეს საუბრებზე ყურმიდებულ მართას... ამიტომ იკარგებოდნენ ღამღამობით, ამისთვის აეჭვებდნენ და აფორიაქებდნენ... მაგრამ ახლა რატომ ნუსხავს პეტრეს უცნაური ლაპარაკი, რატომ უთრთოლებს გულს საამო მღელვარებით და ამ სიტყვების მოუხელთებელი, შორიშორად ნაგრძნობი სიმართლეც რატომ ებრძვის ასე შეუბრალებლად მართას არსებაში დავანებულ უბრალო ქალურ ბედნიერებას? რისი თავისუფლება, რომელი საქართველო? განა ეს საქართველო არ არის? გაიხედე, პეტრე, რა ძვირფასი და მშობლიურია აქაურობა, რა საოცარია ეს სერი, რა წარმტაცი გადასახედია, როგორი სინათლე დაჰფენია არემარეს! სად არის სხვაგან ასეთი სილამაზე, ასეთი მწვანე მინდვრები, ან ეს ძოწისფრად მოხასხასე ბროწეულის ტყე, ან ეს ოქროვანი მარცვლებით დახუნძლული ველური ხურმის ხეები! გინახავს სადმე ამგვარი მშვენიერება? ხედავ რამოდენაა, სადამდე ჩაფენილა როგორ გამოდის ღრუბლებიდან მეწამული მზე, როგორ ახარებს არემარეს, ის ველი, როგორ მიიზლაზნება ზედ ვეებერთელა რიონი და როგორ უბზინავს ვერცხლის ქერეჭი, ან ის ნავები და ბარჟა-ტივები რა სასაცილოდ დაფაცურობენ მის სიმშვიდეში? ხედავ, პეტრე, როგორ არხევს ცის ტატანს შვინდისფერ დროშასავით? ხედავ, როგორი უცნაური სინათლეა ირგვლივ? რის თავისუფლება, რომელი სამშობლო? განა ამაზე ლამაზი სამშობლო იქნება? რას ამბობ, რა დროს ბრძოლაა, რა დროს სისხლია... სად უნდა წახვიდე... გაჩუმდი, გაჩუმდი თუ ღმერთი [illegible] თასთან მიდი, ყური მიუგდე, როგორ უძგერს გული, ხელი მოხვიე, არ გაუშვა, თორემ ლამისაა გადაფრინდეს ამ სიმაღლიდან! ღმერთო, შენ უშველე!... ღმერთო, ნუ წაუმწარებ ამ სიხარულს!... როგორ უნდა აეხსნა ეს განცდები პატარა ბიჭისთვის? როგორ უნდა მიეხვედრებინა, თუ რა გრძნობამ შეიპყრო იმ საღამოს კლდის ძირას მიგნებულ მიტოვებულ ბოსელში, სადაც არც კი ახსოვს როგორ აღმოჩნდნენ შემდეგ, არემარე რომ დაიბინდა, მზე რომ ჩაქრა, მდინარის იქით ჩაესვენა და თითქოს განგებ გაუჩინარდა. მართლა სიზმარი იყო თუ ზღაპარში შევიდნენ — დრო გაჩერდა, არე-მიდამო გაინაბა, აღარაფერი და არავინ არ არსებობდა ქვეყანაზე. არაფერი არ ახსოვს, გარდა იმ ზღაპრიდან განსაცვიფრებელი გამოსვლისა: უსხეულოდ იწვა ბუნდოვნად გამჭვირვალე სიბნელეში და გარე სამყაროზე ყურმიდებული თავისი ვინაობის შეცნობას ლამობდა. გავიდა რამდენიმე საათი, იქნებ რამდენიმე დღეც კი, ვიდრე თანდათან გამოფხიზლებულმა, დამცხრალმა და გონმოკრეფილმა მართამ თავისი არსებობის გამჟღავნება გაბედა. ჯერ ხელი შეატოკა და ტანი მოიისინჯა, მერე თმა შეისწორა, გულისპირი შეიბნია და ჩალაზე პირქვე ჩამხობილ პეტრესაკენ გადაიხარა. კარგა ხანს უჩუმრად, სიყვარულით დასცქეროდა საკუთარ განცდებში გატრუნულ კაცს — „კაციო“... პირველად თავის სიცოცხლეში ამ სიტყვით გაიცნობიერა მის გვერდით მყოფი ადამიანი, „კაციო“ გაიფიქრა და უეცარმა სინანულმა თუ შიშმა გული მოუღვენთა, გაკვირვებით მოათვალიერა თავისი პირველი სიყვარულის სარეცელი — ეს სიტყვაც საკუთარი ზნეკეთილობისა და სიწმინდის გამქილიკებელი ირონიით წარმოთქვა გულში — მიტოვებულ ფარღალალა ფარდულში თუ ბოსელში იწვნენ, ხმელი ჩალის საგებზე. მისი სუნის გარდა კიდევ რაღაც მკვრივი, ყუათიანი სურნელი იდგა ირგვლივ — მიწისა თუ სიკვდილისა თუ დროისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი შეგრძნება ზეცაში მოფარფატე სულს დედამიწაზე აბრუნებდა. პირველი, ვინც გულისმომკვლელი სევდით გაახსენდა, მამა იყო. როგორ უნდა შეხვედროდა ამის შემდეგ, როგორ უნდა გაესწორებინა თვალი იმ ადამიანისათვის, ვინც მისი სასოება, მისი სინდისნამუსი, მისი არსებობის მიზანი და გამართლება იყო? მთლად მისავათდა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორი ჩრდილი დაეფინებოდა მამის ნათელ სახეს, როგორი ბავშვური გაოცება და საყვედური ჩაუდგებოდა კეთილ თვალებში. იცოდა, რომ ამ წუთას პეტრეც ამაზე ფიქრობდა. შეებრალა, თანაგრძნობითა და ნუგეშით მიეფერა ჩალაში ჩარგულ თავზე და თვალთმაქცური ხალისით შეეხმიანა: „პეტრეეეე... პეტრეეეე... გაიღვიძე... გათენდააა...“ და მიუჩოჩდა, მიუკრუტუნა, ფოთოლივით აეკრა ტანზე. კარგა ხანს ასე ჩახუტებულები და გატრუნულები იწვნენ და შეწუხებულ სულში სალბუნად იფენდნენ ერთმანეთის სითბოსა და სიახლოვეს, თითქოს ამ გაშინაურებული სითამამით და გულითადი, მშვიდი ვნებით გარე სამყაროში აკანონებდნენ იმას, რაც მათ შორის ახლახან მოხდა და რაც აწი უნდა მომხდარიყო. ამ შიშნეული მომავლის სიტკბოებაში ჩაძირულ მართას თანდათან ავსებდა გარდამსახველი რწმენა და თავდაჯერება და კიდევ რაღაც მეტისმეტად საამო ქალური განცდა, რისთვისაც სახელი ვერ მოეძებნა, მაგრამ ძალიან ჰგავდა თავისი ბედისწერული ვალის შეცნობისა და აღსრულების სიამაყეს. თურმე შესაძლებელი ყოფილა ასეთი ბედნიერება! მთელი მისი არსება განუყოფლად სხვას ეკუთვნოდა, იმ მარადიულსა და სანუკვარს, მის წმინდა ყმაწვილურ ვნებებსა და ზმანებებში რომ ცოცხლობდა. ცოტა ხნის წინ განცდილი შიში, ტკივილი, სირცხვილი, გაოცება მხოლოდდამხოლოდ წმინდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი ყოფილა, მხოლოდ სამსხვერპლო კოცონი, რომელზედაც მისი ზვარაკად მიტანილი სული იწვოდა და ნეტარებდა. ამ თვითშეწირვამ საბოლოოდ გაალო მართას გულის კარი ნამდვილი სიყვარულისათვის, რადგან იმან, ვისაც შეეწირა, უდიდესი მადლიერებითა და მოწიწებით მიიღო ეს მსხვერპლი, უდაბნოს წყურვილით შეისრუტა და ახლა, გულისგულამდე ახლობელი და მშობლიური, მართას წმინდა საიდუმლოების შემცნობი და თანაზიარი, პეტრეს ხორცით შემოსილი წევს მის გვერდით და უცნაურ სიტყვებს ეჩურჩულება. ჰო, რა თქმა უნდა, სულ ერთად იქნებიან. ამას რა დასტური სჭირდება, რა თქმა უნდა, სამარის კარამდე ეყვარება, სამარეშიც, ჰო, რა თქმა უნდა, კარგი იყო, ძალიან კარგი, ახლა მართა სულიან ხორციანა პეტრესია, სულ მას ეკუთვნის, უკანასკნელ წერტილამდე, ესეც პეტრესია, ესეც... ესეც... სუყველაფერი პეტრესია... ჰო, რა თქმა უნდა, ახლა უფრო უყვარს, უფრო ბედნიერია, ისეთი ბედნიერი, რომ შეიძლება გაგიჟდეს ბედნიერებისაგან... მამა? მამა, რა თქმა უნდა გაუგებს და აპატიებს, მამა ხომ ყველაზე ახლობელია, ძალიან უყვარს, ძალიან, პეტრეზე უფრო, პეტრესავით, პეტრე კი იმიტომ უყვარს, რომ მამას ჰგავს. სისულელეა? არ არის სისულელე. მამა მისი ღვთაებაა, მისი პირველი სიყვარული. უარესი სისულელეც უთხრას პეტრეს? პატარა რომ იყო, დედასი შურდა კიდეც, საშინლად ეჭვიანობდა. ოთახში ჩაიკეტებოდა და ტიროდა... ჰო, რა თქმა უნდა, ახლა პეტრეს ცოლია და პეტრეც ისევე ეყვარება, როგორც მამა, ჰო, ახლა აღარ იეჭვიანებს, რადგან პეტრე მხოლოდ მართასია... სასაცილოა? იყოს სასაცილო, ოღონდ პეტრემ თავს მოუაროს, ცუდი არაფერი მოიწიოს, ხომ ხედავს როგორი დროა. ნუ ლაპარაკობს ასეთ საშიშ რამეებს... როგორ არა, ყველაფერს ხვდება, ბავშვი ხომ აღარ არის... ნუ ეშინია? როგორ არ ეშინოდეს, როცა ირგვლივ ასეთი ჯოჯოხეთი ტრიალებს. დღე ისე არ გაივლის, რომ ვინმეს დაპატიმრების ამბავი არ გაიგონ. რამდენი ნაცნობი და ახლობელი გაქრა თბილისიდან. ამბობენ, ზოგი ცოცხალიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ არისო. ამის წინათ ლუკა ბიძია წაიყვანეს, მამას მეგობარი ექიმი. იმან რაღა დააშავა? ასეთ ცნობილ ექიმს რა ბოროტება უნდა ჩაედინა? მამამ თქვა, ალბათ ჩემი ჯერიც მოვაო. მამაც ხომ ექიმია, რამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული. მართამ იცის: სოფელში იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ ხიფათს გარიდებოდნენ, მაგრამ აქ უარესი ამბავი დახვდათ. ვერაფერი გაუგია, რაღაც ბოროტი ნება განაგებს ქვეყნიერებას. ცხოვრება უნდა შეიცვალოსო, ახალი ყოფა უნდა დავამკვიდროთო. რატომ? რისთვის? განა ცუდად ცხოვრობენ? განა ხვალ იგივე საქართველო არ იქნება? სამშობლოს რა შესცვლის? გააგებინოს რამე პეტრემ, აუხსნას, რატომ აირია ცხოვრება? ეს ადამიანები ერთმანეთს რამ გადაჰკიდა? ძმა ძმას რისთვის გადაემტერა? ან მამა და პეტრე რას უმალავენ, ღამღამობით სად იკარგებიან? რა ფიქრები უტრიალებს პეტრეს თავში, რას უქადაგებს მართას ასეთი გატაცებით, რას ელოდება, რისი ეშინია? აკი ცუდი არაფერი ხდებაო? აკი ნუ დარდობო? დარდობს და მერე როგორ! ახლა, როცა მართას გულში ასეთი ნათელი ჩამოდგა, როცა მთელი მისი არსება თავბრუდამხვევ ოცნებებსა და იმედებს აღუტაცნია, როცა ამ ფარღალალა ბნელ ბაგაზე კი არა, უბრწყინვალეს ზღაპრულ სასახლეში აღსრულდა განგების ნება და მართას ღვთაებრივი სული უდიდესი სიყვარულისათვის გაიხსნა, რა დროს მტრობა და ომია, რა დროს თავისუფლებისათვის ბრძოლაა, განა ამაზე სრული თავისუფლება და ბედნიერება ოდესმე იქნება? რა დროს შფოთი და დავიდარაბაა, პეტრე, ან მართას ჰკვიანი მამა რამ ააცეტა? სად წავიდა ასე უცაბედად, რატომ დაუბარა გაბრიელ ბიძიას, მართას მიხედეთო და რატომ იყო ასე აფორიაქებული და დამნაშავესავით შეცბუნებული, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა? რას ნიშნავს ეს გაუგებარი ამბები, ან ის რა ხმები ისმის ქვევით, ჭალაში, რა ყვირილია, რა ბათქაბუთქი? ეს რა ცხენები მოთქარუნობენ ფარდულისაკენ? პეტრე რამ შე[illegible] ტომ წამოხტა ფეთიანივით? რა დაიწყო, პეტრე, რას ამბობ! სად უნდა გაიქცნენ?!... ვიღაცეები აქეთ მორბიან, მოახლოვდნენ, აჰა, კარიც შემოგლიჯეს და ორი თოფიანი კაცი ფარდულში შემოვარდა! ვინა ხართო, ღრიალებს ერთი, ნაბდიანი, იარაღშემართული, პეტრესთან მიდის და თოფის ლულას უღერებს, აქ ვის ემალებითო, უყეფს ცოფიანი ძაღლივით. ახლა გაისროლის!... გაისროლის!... მართა თვალებს ხუჭავს, პეტრეს მკლავზე ეპოტინება, ცახცახით ეკვრის, მაგრამ სროლის ხმა იგვიანებს. თვალი დააჭყიტა, გაფოთებული მიაჩერდა ავზნიანივით მქშინავ კაცს, იქნებ იცნოს, შეევედროს, რომ არ მოკლას პეტრე, მას ხომ არაფერი დაუშავებია, ახლავე წავლენ აქედან, უკანმოუხედავად გაეცლებიან, ოღონდ გაუშვან, ქორწილის ღამე არ ჩაუშხამონ... მაგრამ კაცის სახე არ ჩანს სიბნელეში, პეტრე კი მთლად გაიყინა შიშისაგან, ხელი უკანკალებს... ნუ გეშინია, პეტრე, მართლა კი არ დაგვხოცავენ, მართლა ველურები კი არ არიან. გაიგებენ ვინცა ვართ და გაგვიშვებენ... აი, მეორე კაცმა ასანთს გაჰკრა, აქეთ მოჰყავს სინათლე, რათა სახეში მიაშუქოს და მიხვდეს, რომ არავის მტრები არ ყოფილან პეტრე და მართა, ცოლქმარი არიან და სახლში წასვლა უნდათ. აი, ხედავს კიდეც მართა მის სახეს, ღმერთო უშველე, რას ჰგავს!... „ჩააქრე! — ღმუის ნაბდიანი, — ჭკუა გაგცვივდა?“... „არ მეცნობიან, — ამბობს მეორე, — სადაურები ხართ?“... „აქაურები ვართ, მეზობელი სოფლიდან...“ — მართას საკუთარი ხმა ძლივს ესმის, სიტყვები გამხმარ ყელში ეხირება. „ვის ემალებით!“... „არავის...“ — პეტრეს ხმაა, — ისე შემოვედით...“ მართა შეცბა, სირცხვილისაგან აილეწა. რა დროს სირცხვილია... „კარგი დრო კი მოგინახავთ! ამისთვის გცალიათ, ხომ? ვერ ხედავთ რა ხდება?“... ჰო, რაღაც მართლა ხდება. სროლა და ყიჟინა სულ ახლოს ისმის. ფიცრების ღრიჭოებში ცეცხლის ნათელი კანკალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბნელეს ანაკუწებს და შიშივით ფრთონავს კედლებზე, იატაკზე, უცხო, შემზარავ სახეებზე. არა, არასოდეს უნახავს ეს კაცები. თოფის ლულა გველივით ლაპლაპებს და პეტრესაკენ მისრიალებს. „ამბაკოს სახლი იწვის. ვერ გაასწრებდნენ. ცოცხლად ამობუგავენ ძაღლიშვილები!“... ნაბდიანი კედლის ღრიჭოებში იმზირება. „შეთქმულები ხართ? წითლებს ემალებით?“... შეთქმულები!... წითლები!... — თოფივით ჰექს მართას გონებაში. აი, თურმე რას ნიშნავდა მამისა და პეტრეს საიდუმლო საუბრები და ღამეული გაუჩინარებები! აი, თურმე რატომ იყვნენ ასე აფორიაქებულები და უცნაურები. მამის უცაბედი გამოთხოვება და საეჭვო გამგზავრებაც სულ სხვა აზრით იმოსება, პეტრეს საშიში ლაპარაკიც. მართას ავი წინათგრძნობაც ტყუილი არ ყოფილა... როგორ ვერ მიხვდა აქამდე... პეტრე, პეტრე, ეგ რა ჰქენით, რა გვეშველება ახლა?... როგორ ძაგძაგებ დანაშაულზე წასწრებულივით, ენა რად ჩაგივარდა?!.. თქვი რამე სანუგეშო, ან მართას უთხარი ან ამ კაცებს, თორემ ლამისაა შიშით გული შეუღონდეს... „რას გაჩუმებულხარ, ვირიშვილო! ზედვე გეტყობა ვინც იქნები! აჯანყდი, არა? ბოლშევიკებს ებრძვი?“... არა, პეტრე, არაფერი არ თქვა. რისი აჯანყება, რომელი ბოლშევიკები... „სტუდენტი ვარ... რა აჯანყება... არც გამიგონია“... როგორ ლუღლუღებ, პეტრე, ხმა ამოიღე... „სტუდენტები აქცევთ ქვეყანას! ნაბიჭვარი თავადები! კონტრები!“... ლულას სჩრის პირში. მართას თვალთ უბნელდება, გონება ებინდება, მაინც გაშტერებული მისჩერებია ნაბდიანის ხელს. იცის, გასროლისთანავე გული გაუსკდება. ემუდარება: „არ ესროლო, არ მოკლა, ღმერთი არ გწამს?... გაგვიშვით, არაფერი დაგვიშავებია“... ვერ ხვდება, ისმის მისი ხმა თუ მხოლოდ გულში ლაპარაკობს. „მამა გიცხონდებათ! სანამ აქ ვართ, გარეთ ცხვირს ვერ გაჰყოფთ! ბედი თქვენი, რომ ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც ამაზე მკიდია“... ღმერთო დიდებულო, გადარჩნენ. აღარ მოკლავენ პეტრეს. ნაბდიანი თოფს დაბლა უშვებს და მართას უახლოვდება. მართა ხედავს, როგორ მოიწევს მისკენ ვეება ტორი, ნიკაპზე გრძნობს თუჯის თითებს, თავი ელრიცება, კისრის მყესები აწყდება, ახლოს, შემზარავად ახლოს გრძნობს ნაბდიანის მტაცებლურ თვალებს, ლომის პირისახეს, ნადირის აქოთებულ სუნთქვას და მეხივით ეცემა მისი ხროტინი: „სტუდენტი, ხომ? სტუდენტი!... კარგი საპროშტნავი კი გიშოვია... ვისი ხარ, გოგო?“... ენა სადღა აქვს მართას, რომ უპასუხოს, ან იმისი აზრი — უპასუხოს თუ არ უპასუხოს... მამა!... მამააა!... „რას დავეძებ, ვისიც გინდა იმისი იყავი. კარგი კი ხარ და... რა ვუყოთ ახლა ამას?“... მართას ყელსა და მხრებზე მოხოხავს ქვასავით ტორი, აწივლებულ კანს უქლიბავს... „იარაღი ხომ არ გაქვს, გოგო?“.... ტანი ეკრუნჩხება, ხელ-ფეხი უშეშდება, კი არ გრძნობს, ესმის, როგორ უფათურებს კოჟრიან ტორებს ნაბდიანი, თავიდან ფეხებამდე ჩხრეკს, კაბაში უძვრება, ძუძუებს უბურჯგნის, ბარძაყებს უჯგვლემს ხორკლიანი, ხრაჭუნა ხელისგულებით. მართას აზრის ნატამალი არ უჭაჭანებს გაყინულ გონებაში, ზიზღისა და შიშის ზოდად ქცეული იმასაც ვერ ხვდება, რას ეუბნება ნაბდიანი, ხელს რად იშვერს ფარდულის კუთხისაკენ. უნებლიედ მიჰყვება იმ ხელს, კედელს ეკვრის, მუხლმოკვეთილი ეშვება მიწაზე და კუთხეში იკუნჭება. შემდეგ ხედავს იქითა კუნჭულში მოკუნტულ პეტრეს და ჩალაზე ჩამსხდარ კაცებს და ესმის მეორის ხმა: „ლოგინი კი კაი ჰქონიათ... ქვეყანა იქცევა, ესენი კი აქ...“ ...და მართას ტვინი ღრჭიალებს იმ სიტყვის გაგონებაზე, მეორემ რომ წარმოთქვა, თითქოს მაუზერმა იჭექა და გული შეუნგრია და მოკვდა და ყურებში გაუქვავდა ის არსმენილი სიტყვა — შიშველი, ერთადერთი, ტყვიასავით პირდაპირი და დაუნდობელი სახელი იმისა, რადაც უეცრად გადაიქცა დღევანდელი დღე — მისი მოლოდინი, მისი სიხარული, მისი სილამაზე და თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისუფლება — ნამდვილი, თავდავიწყებული სიყვარულის პირველი განცდა, საამური შიში და სირცხვილი... ვაი, ეს რა საზარელი სიმართლე წამოცდა ამ პირუტყვის ბინძურ პირს! პეტრე, ნუთუ შენც გაიგონე? რა თქმა უნდა, გაიგონა!... ორივემ ერთად მოისმინა, ორთავეს გონებაში ერთხმად გაღრჭიალდა გამოგონებული აზრი, რომ ის, რაც ამ კაცის ენამ წარმოთქვა, კიდევაც ზუსტად გამოხატავდა მათ საქციელს და მდგომარეობას, რადგან იმ დროს, როცა ერთმანეთის სიყვარულითა და თავისუფლებით ლაღობდნენ, ამ მყუდრო სამყოფელს მიღმა მიტოვებულ ქვეყანას ასეთი განსაცდელი მოვლენოდა. ამ წუთზე ოცნებობდა პეტრე, ამ დღეს ელოდა, ეს სროლა და ცხენების თქარათქური ხმიანობდა მის მღელვარე ქადაგებებში, მართას რომ აგრერიგად აკრთობდა და აკვირვებდა, ეს იყო ის სანუკვარი დასაწყისი, პეტრე რომ ოცნებობდა, და ახლა, როცა ეს დასაწყისი დამდგარა, ზის პეტრე აგერ ბნელ კუთხეში მოკუნტული, უბრძოლველად დამარცხებული და ძალიან სძულს მართა, რადგან ის სიტყვა, მეორე კაცმა მათ საქციელს რომ უწოდა, მართამაც გაიგონა პეტრესთან ერთად, ორივემ ერთდროულად გაიგონეს და ამიერიდან ველარაფერი ველარ აღმოფხვრის მათში და მათ შორის ამ სიტყვის გამპარტახებელ სიმართლეს, რომელიც საშინელი მარტო იმით კი არ არის, რომ საშინელია თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ ერთმანეთის წინაშეა საშინელი, ერთმანეთისათვის, და ორივემ ერთდროულად იცის, რომ მეორე კაცმა სწორედ ის თქვა, რაც პეტრემ ჩაიდინა და ამას აღარაფერი ეშველება, პეტრე ვერასოდეს აპატიებს მართას ამის ცოდნას, ვერც მართა აპატიებს პეტრეს და ამიტომ ყველაფერი დამთავრდა, დასამარდა და მართას ბედნიერებაც ნაცარტუტად იქცა. განა შეძლებდა ამის ახსნას შვილისათვის? განა მიახვედრებდა, თუ რატომ ერჩია სიკვდილი ყაჩაღების ტყვეობიდან თავის დახსნას და პეტრესთან მარტო დარჩენას? ახლა ისევ ეს კაცები თუ მიშველიანო, გაუელვა გონებაში და ამ მუხანათური ფიქრით შეძრწუნებულმა უკანასკნელი იმედით შეხედა ფეხზე წამომდგარ მაღალ კაცს, რომელმაც პაპიროსის მოსაკიდებლად ასანთს გაჰკრა და ხელისგულებში მოპარპალე ალის სინათლეში ამოიყვანა თავისი გამოჩორკნილი სახის უშნო ნაკვთები, გესლიანად მბზინავი ყურყუმა წვერი, პიტალო შუბლზე დაბურჩხული წარბები და პაპიროსგაჩრილი მოხეული ლაშები. აჰა, პირიც გააღო რაღაცის სათქმელად და სამარცხვინო მოლოდინით გაფაციცებულმა მართამ გაიგონა მისი სანატრელი ხმა: „მგონი წავიდნენ. ხმაური აღარ ისმის". ჰო, წავიდნენ, წავიდნენ. სროლის ხმა შორიდან მოდის. ახლა ნაბდიანი იტყვის გავუშვათო და მართას და პეტრეს გარეთ გაყრიან, ერთმანეთის პირისპირ დატოვებენ იმ საშინელი, გამტიალებელი სიტყვის ამარა... ნაბდიანიც წამოდგა, კედლის ღრიჭოდან ზვერავს მიდამოს, ახლა მობრუნდება და იტყვის, წადითო... „მაინც მოვიცადოთ. სადმე იქნებიან ჩასაფრებულები. გათენებამდე ასვლას კი მოვასწრებთ მგონია". მართამ შვებით ამოისუნთქა... „მიხაკო უნდა ვიპოვოთ. წისქვილში იქნება"..

„უკან ვერ მივბრუნდებით. გზები შეკრულია, დაგვცხრილავენ"... „მაგათი დედა... რავა ხოშკაკალივით დაგვაყარეს მაგ ძაღლიშვილებმა!"... „რუსები არიან მაგენი, უცხო ყაყანი გავიგონე"... „რა ვიცი, მაგათი ჯიში და ჯილაგი... გინდა რუსს მოუკლავხარ და გინდა თათარს. უკან დაბრუნება არ ივარგებს. დაგვიანებაც არ იქნება. — ჩვენს იმედად არიან, ფარა გვაქვს აღებული"... ფირალები, ფირალები ყოფილან!... გაუგონია, ესენი ტყუილუბრალოდ არავის ერჩიანო. გამხნევდა, გულზე მოეშვა, მხრებში გაიმართა და ნაბიჯიც კი წადგა პეტრესაკენ. პეტრეც შექანდა ბნელ კუთხეში, სიცოცხლე დაეტყო. ნაბდიანი ამბობს: „ეს ბიჭი უნდა გავგზავნოთ, მეტი გზა არაა". მართას გული შეუფრთხიალდა, ცერად გახედა პეტრეს... „გაგვყიდის ვირიშვილი"... „ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვყიდის, მე ვიცი მაგის წამალი. მოდი, ბიჭო, ჩემთან“. ნუთუ მართლა ეს უნდოდა მართას? ამას იხვეწებოდა გულში? არა, არა! ღმერთმა დაუფაროს! რას უპირებენ ნეტავი? აპატიე, პეტრე, ყველაფერი მართას ბრალია... შეგიძლია ისე მოიქცე, როგორც გინდა, მართა ხმასაც არ ამოიღებს. ნუ გეშინია, დაუჯერე, რასაც გეტყვიან... „ბუკნარი ხომ იცი?“... იცის, როგორ არ იცის, სწორედ ბუკნარი არ გამოიარეს აქეთობას? ხომ გახსოვს, პეტრე, როგორი ლურჯი მდინარე მორბოდა ხევში, როგორ თევზაობდნენ პატარა ბიჭები, როგორ ჩქაფუნობდა წყალი წისქვილის ღარში... „ჰოდა, სიცოცხლე თუ გინდა, ერთი საქმე უნდა გაგვიკეთო. ხევში, ბოგას გაღმა, წისქვილია. იქ ერთი კაცი გველოდება, მიხაკო ქვია. აქ უნდა მოიყვანო. უთხარი, ასლანა გელოდება თქო. გესმის?“ ...ასლანა ბასილია! — გულის რეჩხით ახსენდება მართას სოფელში განაგონი,— ფირალი ასლანა, კაციჭამია!... „სირბილით მოკურცხლავ, ჭალა-ჭალა. იცოდე, თუ გულში ფინთი რამე გაივლე, ქვესკნელიდან ამოგიღებ! ვინიცობაა ჩავარდე, ენას კბილი მაგრად დააჭირე, ჩემი სახელი და ადგილსამყოფელი არ წამოროშო! სანამ დაბრუნდები, ეს გოგო აქ დარჩება, მძევლად. გაიგე?“... მძევლად, ღმერთო ჩემო, მძევლად!... ესე იგი, მარტო პეტრეს უშვებენ, მართა აქ უნდა დარჩეს, ამ ყაჩაღებთან... არ დატოვო, პეტრე, არ დაუჯერო!... უთხარი რამე მაგ კაცებს, შეეხვეწე. ორივე წავალთ თქო, მართალი არ გეგონოს. რაც წელან მართამ გულში გაივლო... „მარტო ვერ წავალ“... — ძლივს ამოსთქვა პეტრემ. „ისე წახვალ, რომ სულ კუნტრუშ-კუნტრუშით! ამ გლახას ვერ უყურებ? რა ვიცი ვინ ვირიშვილები ხართ, ვინ ოხერს დამაყენებთ თავზე! ეს გოგო აქ იქნება, გითხარი და მორჩა!“... დაიფიცე, პეტრე, არ დაგასმენ თქო, პატიოსანი სიტყვა მიეცი, რაში გვჭირდება თქვენი დასმენა თქო, უთხარი, ორივე გაგვიშვით და მოგიყვანთ იმ მიხაკოს თქო, შეეხვეწე პეტრე. მართა ამათ ხელში არ ჩააგდო... „თუ არ დამასმენთ, არც საქმეს გამიკეთებთ. შინ გაიცუ[illegible]ბით ორივე. შენი მოსატყუებე[illegible]ლი კარგა ხანია მოიცვალა ასლანა ბასილიამ. ადექი ახლა და გაშპი, და კარგად დაიხსომე, რაც გითხარი. ბუკნარში, წისქვილში. მიხაკო ქვია. ცალი თვალი გაფუჭებული აქვს სანახევროდ. ნუ გეშინია, არ შეგიჭამთ შენს ტურფას“. ...რას შვები, პეტრე, მართლა მიდიხარ? მართას უპატრონოდ აგდებ? თვალი კარისაკენ რატომ გიჭირავს, წასვლა რად გეჩქარება? „არ წახვიდე, პეტრე, არ დამტოვო. მეშინია!...“ ...„რისი გეშინია, გოგო, — ლაშებს ილოკავს მაღალი, — მხეცები კი არ ვართ“. ...„არ დამტოვო, პეტრე...“ ...პეტრე კი უკვე კართან დგას, არც აქეთაა, არც იქით, მართას თვალს ვერ უსწორებს... „მოუსვი მეთქი, თორემ მოგაჭედე ტყვია!“... ხელი გაუშვით! ძალით ნუ აგდებთ გარეთ, ხომ ხედავთ, რომ არ უნდა წასვლა, მართას ვერ ტოვებს... ყაჩაღებო!... ულმერთოებო!... კაციჭამიებო!... თავი დაანებეთ, კარეში ძალით ნუ ტენით... არ, წახვიდე, პეტრე, ვაჟკაცი არა ხარ?... მართა არ გიყვარს?... გადის, კარი ჯახუნობს, შორეული ხანძრის შუქი ფართხალებს წამიერ ლიობში, ფარდულში დახტის და მართას ჩრდილს კედელზე აცახცახებს, მაგრამ მაშინვე იხუთება, ქრება და ირგვლივ კუნაპეტი სიბნელე ისადგურებს. სიბნელე... წყვდიადი... ბნელეთში გაქვავებული დრო, ბნელეთში გამოცხადებული ბედისწერა, ბნელეთში მოვლენილი სასჯელი... არაფერი არ დაუნახავს, არ გაუგონია და არც არაფერი ახსოვს, გარდა ერთისა — დიდხანს. უსაშველოდ დიდხანს გრძნობდა საკუთარი თავის ზიზღს იმის გამო, რომ გონებას არ ჰკარგავდა, გული არ უსკდებოდა და არ კვდებოდა საშინელი დამცირებისა და შეურაცხყოფისაგან. ხორცზე უფრო სული სტკიოდა, შიშზე მეტად სასოწარკვეთილებას განიცდიდა, საზარელ უბედურებაზე უფრო ის აძრწუნებდა, რომ შესაძლებელი იყო ადა-

მიანის ასეთი უმოწყალო გათელვა, ასეთი პირუტყვული ძალადობა, ასეთი დაუნდობელი წამება. კიდევ ის ახსოვს, რომ ირგვლივ ყველაფერი ყარდა და გული ერეოდა და როცა ღებინება აუტყდა, თავი განზე მიაბრუნა, რომ ზედ პირთან მქშინავი კაცისათვის სახეში არ შეენთხია. შემდეგ იგრძნო, რომ განზე გაათრიეს და ისევ გაჯეგეს. მაგრამ უკვე აღარ წუხდა. სულმაც და ხორცმაც კონკრეტული შეგრძნებისა და აღქმის უნარი დაკარგა. ის, რასაც ოდესღაც მართა ერქვა და მთელ სამყაროში იყო განფენილი, ახლა საკუთარი გვამის სამარეში იწვა და რატომღაც ცოცხალი იყო. შემდეგ იქ, სამარის წყვდიადსა და მდუმარებაში ჩაესმა შორეული ხმა: „გვეყოფა ახლა, არ შემოგვაკვდეს ეს უბედური“. ...მერე უფრო შორიდან მჭახე ბგერები გაიგონა და უნიათოდ მფეთქავმა გონმა უაზროდ და შეუგნებლად აღნიშნა, რომ შორს კი არა, იქვე ახლოს ისროდნენ და კედლის ჭუჭრუტანებში ცეცხლის წერტილებიც კიაფობდა. მაინც ვერ მოვიდა ცნობაზე. ვერც კაცის სიტყვებმა, ვერც საშინელმა გრიგვინვა-გრიალმა ცხადში ვერ დააბრუნა. თვალდაჭყეტილი მისჩერებოდა ორ შავ ლანდს, აქეთ-იქით რომ აწყდებოდნენ, ნეტავი რა უნდა იყოსო, ფიქრობდა, ან ეს ციცინათელები რას დაფრინავენ ირგვლივ, აკი გათენებულაო. და ადგომა რომ დააპირა, თავი რომ წამოსწია და სანახევროდ წამომჯდარმა საშინელი ტკივილი და ამაზრზენი სისველე რომ იგრძნო, მხოლოდ მაშინ გაახსენდა ყველაფერი, კი არ გაახსენდა, ერთბაშად დასცეცხლა გონებაში, რომ ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი ჩამოსცილდა, მთელი ცხოვრება დასაბამიდან ამ წამამდე და ამ წამის შემდეგ, მოსწყდა და სადღაც გაფრინდა და ირგვლივ დარჩა მხოლოდ პირდაღებული შავი სიცარიელე, ისე აშკარა და მიმზიდველი, რომ შეეშინდა ამ უეცრად გაჩენილ უფსკრულში არ გადავიჩეხოო, ბოძს მოეჭიდა, გამაგრდა, გაბაჯაჯგინდა. იმწამიერ სინამდვილეში ჩაქვავდა სამუ[illegible]გა ყველაფრის მიმართ [illegible] უშიშარი, აღარც ფარდულში მოზუზუნე ტყვიებს უფრთხოდა, არც აქეთ-იქით მორბენალ დაფეთებულ ყაჩაღებს, არც იმას შეუშფოთებია, ნაბდიანმა რომ დაიღრიალა — „გაგვყიდა მაგ ლორიშვილმაო“, არც იმას, რომ უეცრად მაღალი კაცი ჭყვირილით ავარდა ჰაერში, ძირს დაენარცხა და ფხარკალი დაიწყო. ტყვია მოხვდაო, გულგრილად გაიფიქრა მართამ და ახლა იმას დაუწყო ლოდინი, ნაბდიანიც როდის აჭყვიტინდებოდა. მუცელში დაჭრილი მაღალი ღმუოდა და სიმწრისაგან მიწას ფხოჭნიდა, შენი დედა ასე და ისეო, იგინებოდა, შენმა კურომ გაგვყიდა, მაგ ლორიშვილმა, სალდათები დაგვაყენა თავზეო. თანდათან უწყდებოდა ხმა, ძლივსღა ტოკავდა, მალე მთლად გაყუჩდა, უკანასკნელად გაცახცახდა და ჩაქრა. მოკვდაო? — გაუკვირდა მართას, ფარდულში მოატარა თვალი, ნაბდიანს დაუწყო ძებნა, თითქოს მისგან სურდა პასუხის მიღება, მაგრამ მაშინღა წაატანა მზერა, როცა იგი გარღვეულ კედელში გაძვრა და მინდორ-მინდორ გაიქცა. თოფშემართულმა სალდათებმა და მილიციელებმაც ყვირილითა და ბათქაბუთქით ჩაირბინეს ფარდულის გასწვრივ, გაქცეულს გამოუდგნენ და მასთან ერთად გაუჩინარდნენ. სამაგიეროდ რაღაც მოულოდნელი სიმშვიდე და სიხალვათე მოეფინა მართას გულს, რაღაც შორეულად ნაცნობი და გადავიწყებული ხილვა შემოიჭრა მის ცნობიერებაში და სული შეურხია. გაღნიოშებულ კედელში განთიადი შემომდგარიყო. გამოცხადებასავით მოჩანდა მსუბუქ ნისლში გახვეული სოფელი: მწვანე მინდორი, გვიმრისა და მაყვლის ბუჩქები, მეჩხერი რცხილნარი, სერზე შეფენილი სიმინდის ყანა, უძირო ლურჯი ცა... გაოცებული მისჩერებოდა ამ სანახაობას და შვებასა და ნუგეშთან ერთად გულის მომწყვლელი სინანულიც დაეუფლა იმის გამო, რომ კედლის ღიობში თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი მარადიული ხმებითა და ფერებით მომზირალი ბუნება ჩვეულ სიხარულს ვეღარ ანიჭებდა. იგი უკვე აღარ იყო მისი სამშობლო და იყო მხოლოდ მიწა, ბალახი, მთა, შარა, სადაც აქედან გასვლა და უმიზნოდ ხეტიალი შეიძლებოდა. გზა, რომელმაც ამ ფარდულში მოიყვანა, უკან ვეღარ დააბრუნებდა. ამის გაფიქრებაზე გული ამოუჯდა, მიწაზე მოღრეცილ გვამს მიაპყრო ცრემლით ამღვრეული თვალები და გულამოსკვნით აქვითინდა. მუცელზე ხელწავლებული და ფეხებმოკაკვული კაცი გვერდულად იწვა, ტუჩების კიდეებიდან გადმოღვრილი სისხლი შავ წვერში ჩაჰგუბებოდა, სახეზე აუწერელი ტანჯვა ეხატა, ღია თვალები საყვედურით თუ პატიების მუდარით მიეპყრო მართასათვის და არც ისე საზარელი იყო, როგორც ღამის სიბნელეში ჩანდა. მართას მოეჩვენა, რომ თავის უბედობას კი არა, ამ კაცს დასტიროდა ასეთი სინანულითა და ჭირისუფლური სიმძიმილით, მის სიკვდილს გლოვობდა, იმას ვალალებდა, რომ ცოცხალი აღარ იყო მისი დამღუპველი და დამაქცევარი, ამ გაუთენებელი ღამის მთავარი მოწმე და მონაწილე. და წყვდიადსა და სიცარიელეში გამოკიდებული დარჩა მართას მწუხარება. ამ საზიზღარი ყაჩაღის საძულველი სიცოცხლე მის უბედურებას რაღაც აზრს მაინც შესძენდა, მცირეოდენი ნუგეში და თითქოს გამართლებაც კი იქნებოდა იმის ცოდნა, რომ სადღაც ამ წყეულ მიწაზე დადის კაცი, ვინც მის ცოდვას დაატარებს, უცნობოდ თუ ცნობიერად თან დააქვს თავისი მძიმე დანაშაულის შეგნება და თუნდაც უგულო, განუცდელი ხსოვნა ერთი უმწეო ყმაწვილი ქალისა, რომელიც ასე ულმერთოდ შეიწირა და გაანადგურა. მაგრამ ეს ერთადერთი იმედიც აგერ გასისხლიანებული უსულოდ გდია მიწაზე, არაფერი ახსოვს და ვეღარას გრძნობს, მართამ კი ამიერიდან მარტოდმარტომ უნდა ათრიოს ამ ღამის ცოდვის ტვირთი და ეს იმდენად უსამართლო და უაზრო სიმართლეა, რომ მისი წვდომაც კი არ შეიძლება. როგორ უნდა აეხსნა ეს [illegible]ბით გულდაკორტნილი შვილისათვის, როცა თვითონაც ვერაფერი გაუგია? როგორ უნდა მიეხვედრებინა, თუ რატომ გაუკრთა უცებ გულში წყალწყალა იმედად, იქნებ ნაბდიანი მაინც დაუსხლტა მდევრებს და ცოცხალი გადარჩაო? განა შესაძლებელია ამის ახსნა და გამართლება? მართა კი ოდნავ გამხნევდა კიდეც, ეს რომ წარმოიდგინა და ალბათ ჭკუაზე აღარ ვარო, გაიფიქრა, იმდენად უკუღმართი იყო ეს სურვილი. უკვე გულგრილად დახედა არაფრის მაქნის გვამს, ცრემლი შეიმშრალა, სამოსი მოიწესრიგა და თმაც კი ჩამოივარცხნა თითებით, რომ ფარდულისაკენ მომავალ უცხო კაცებს მშვიდად და ლამაზად სჩვენებოდა. კარი გაალო და თავის საიდუმლო მწუხარებასა და ტკივილებში გოროზად ამართულმა ზღურბლს გადააბიჯა. დილის ცინცხალმა ჰაერმა და ამომავალი მზის სითბომ ნაგვემი სხეული დაუამა და თითქოს ყინულით ამოქოლილი გულიც გაულღო. ცნობისწადილით მოავლო თვალი არემარეს, გარს შემოხვეულ თოფიარაღიან კაცებს დააკვირდა და ისიც კი გაიაზრა, რომ მათ შორის ნაცნობ სახეს ეძებდა, სწორედ ნაცნობ სახეს და არა პეტრეს, რადგან პეტრე ახლა მხოლოდ იმით განირჩეოდა ამ ადამიანებისაგან, რომ ნაცნობი სახე ჰქონდა და რაღაც აქამდე არსებულს ბუნდოვნად ახსენებდა. ესენი კი სრულიად უცხონი იყვნენ სახითაც, ჩაცმულობითაც, ლაპარაკითაც და სრულებით არ ჰგავდნენ იმ ადამიანებს, მანამდე რომ ენახა. ისიც კი გაიფიქრა, ნეტავი საერთოდ, ადამიანები არიან თუ ვინ არიანო, დაუფარავი ინტერესითა და გაკვირვებით აღიქვამდა მათ სხვაგვარ სახეებს, სხვაგვარ ენას, თავიდან ფეხებამდე უჩვეულო გარეგნობასა და იერს, რომელიც არასდიდებით არ ესადაგებოდა ამ მიწა-წყალს და ისე უამურად ზედმეტი იყო ბუნებისათვის, როგორც წუხანდელი ღამე მართას ცხოვრებაში. ამ ადა-

მიანებმა არც მისი საიდუმლო იცოდნენ და ამიტომ საშინლად სძულდა ისინი. მხოლოდ ნაბდიან ფირალზე ფიქრობდა, შიშით იხედებოდა აქეთ-იქით, ხომ არ მოუკლავთ ან ხომ არ დაუჭერიათო, მაგრამ არც ნაბდიანი ჩანდა სადმე და არც პეტრე, ორთავეს ერთად გახსენებაზე კი ფირალის ნათქვამიც გაუხმიანდა გონებაში — „გაგვყიდა მაგ ლორიშვილმაო“, ისიც მაშინვე მოაგონდა, ფარდულში მოზუზუნე ტყვიების წვიმაში რომ იდგა, ყველაფერი რომ იცხრილებოდა და იფლითებოდა ირგვლივ, მერე ჰაერში შემხტარი მაღალის განწირული ყვირილიც გაიგონა და ისიც დაინახა, როგორ იკლაკნებოდა მიწაზე ტკივილებისაგან გაშმაგებული კაცი, და მართასაც რაღაც ეტკინა შიგნით, მწარედ, გაუძლისად, მოეჩვენა, რომ თვითონაც სასიკვდილოდ იყო განწირული პეტრესაგან, მართალია გადარჩა, მაგრამ პეტრეს ხელით მოკლული იყო და ახლა ეს უფრო უმოწყალო და გაუგებარ სასჯელად მოეჩვენა, ვიდრე მთელი თავს დატეხილი უბედურება. ტყვიით სიკვდილი მადლი და საშველი იქნებოდა მართასათვის, მაგრამ პეტრეს ღალატზე ფიქრი აოგნებდა. ყველაფერი ადასტურებდა ამ გაუძლის ეჭვებს, მაგრამ მაინც ვერ იჯერებდა, ვერც მაშინ დაიჯერა, მოულოდნელად დაძგერებულმა უფროსმა მილიციელმა მუქარით რომ დაუტრიალა მაუზერი ცხვირწინ, „მაშ შენა ხარ ნაკაშიძის ასული? — ჰკითხა და უტიფრად აათვალიერ-ჩაათვალიერა — ექიმ ნაკაშიძის? სამშობლოს გამყიდველის! ხალხის მტრის! სად არის მენშევიკი მამაშენი? ტყეში, არა? შეთქმულებთან! არ იცი?... გაცოდინებ, შე კონტრის თესლო! გველის წიწილავ! სალდათებს რომ მოგისევ, მაშინ ისწავლით ჭკუას შენც და მოღალატე მამაშენიც!... მერე გაიგებ, როგორ უნდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლა!... მოიყვანეთ პატიმარი!“... ღმერთო, ოღონდ პეტრე ნუ იქნებაო, ნატრობდა მართა და გვერდზე გახედვასაც ვერ ბედავდა, რომ პეტრე არ [illegible] მაგრამ მილიციელმა წაუბიძგა და ძალით მიახედა იმ მხარეს, საიდანაც სალდათები გათოკილ ტყვეს მოათრევდნენ. პეტრე რომ არ იყო, მართა უცებ მიხვდა და შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მაშინვე გულში ტყვიასავით მოხვდა მოყვანილის ნაცნობი გარეგნობა და სიმწრის კვნესა აღმოხდა — კი არ იცნო, გაალმასებულმა ალღომ უკარნახა, რომ ის სამოსშემოფლეთილი, გასისხლიანებული, სიშმაგისაგან სახეშეშლილი კაცი ასლანა ბასილია იყო, მისი ავი ბედისწერა, მისი სისხლის მსმელი ნადირი, მისი მომავლის მკვლელი, და თუკი ამ ქვეყნად იოტისოდენა სამართალი კიდევ არსებობდა, სწორედ ასე და ამაზე უფრო სასტიკად უნდა დასჯილიყო თავისი ბოროტებისათვის, მაგრამ ახლა ეს გვემული, გასაცოდავებული კაცი ისეთი ახლობელი და მშობლიურიც კი იყო, რომ მართას შურისძიების მწყურვალ გულში სიბრალული და თანაგრძნობა გაუკრთა, და უცებ შეცბა და გაკვირდა ამ გაუგებარი განცდისაგან, უფრო კი იმან შეაკრთო, რომ ახლა მთლად მოერია ის ვერაგი, სამარცხვინოდ მზაკვრული კმაყოფილება, წეღან ფარდულიდან გაქცეული ასლანას დანახვაზე რომ წამოეძალა. გამხნევდა, თითქოს დამშვიდდა კიდეც, აქამდე უნუგეშოდ ბნელ, დამაფრთხობელ მომავალში იმედის სხივმა გაიჭიატა — ასლანა ცოცხალი იყო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მართას ტრაგედიაც აღარ იყო ისე უპატრონო და მიუსაფარი, აქამდე რომ ეჩვენებოდა, მის გაუმხელელ საიდუმლოს ამ საძულველი ადამიანის არსებობაში მაინც ექნებოდა საზიარო ბინა და თავმისადები, მართას გულს გარდა კიდევ სადღაც ეყოლებოდა პატრონი, თუნდაც უკითხავად და უჩუმრად იფათურებდა ვიღაცის ცხოვრებაში და აღარ იქნებოდა ასე უაზროდ და უსამართლოდ საკუთარი. მისი იმედების მომსპობი ახლა მისივე უკანასკნელი იმედი და სასოება იყო, მისი საუნჯის ერთადერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცველი, ერთადერთი თანამოაზრე და მეგობარი ამ შემაძრწუნებელი მუქარით ჩასაფრებულ ქვეყნიერებაზე. და მართას მოეჩვენა, რომ უყვარდა ეს კაცი, უფრო საბედისწეროდ და სამუდამოდ, ვიდრე პეტრე, ვიდრე მამა, ვიდრე ყველა ის ადამიანი, ვინც აქამდე ჰყვარებია. განდობილის ფარული ნიშნებით და საყვარლის იდუმალი შეფრფინვით უჭვრეტდა თავის დამაქცევარს, თითქოს აგულიანებდა კიდეც, ვაჟკაცობისა და მხნეობისაკენ მოუწოდებდა, თავს გაუფრთხილდიო, ემუდარებოდა, არ დამღუპო, მარტო არ დამტოვო ამ ტიალ ქვეყანაზეო. და კაციც მიუხვდა გულისთქმას, შეთქმულებრივად გაუღიმა და თვალიც ჩაუკრა, ნუ გეშინიაო. თან საყვედურის გამომხატველი სახით ანიშნა, ხომ ნახე რა გვიყო შენმა ვაჟბატონმა, როგორ უნამუსოდ გაგვყიდა, შენც როგორ გაგიმეტა, სალდათების საჯიჯგნად როგორ დაგაგდოო. აგე, მოგადგნენ კიდეც ეგ ძაღლიშვილები, ტუჩებს ნდომით ილოკავენ და ხვანჯრებს იხსნიანო. მიშველეო, უხმოდ დაუძახა მართამ, მიშველე, ასლანა, მიყვარხარ, ქმარი ხარ ჩემი, ამ უჯიშო გადამთიელებს ნუ მიმცემ, ვაჟკაცი არა ხარო? ასლანა ბასილიამ გაიგონა ეს ალტაცებული კივილი, გააფთრებით გაიბრძოლა, გარს მოხვეულ მილიციელებს მხრებითა და წიხლებით დაერია, აქეთ-იქით მიჰყარმოჰყარა, ბუღასავით გაქანდა, მაუზერშემართულ უფროს მილიციელს ცხვირპირში თავი აძგერა და გულაღმა გაშხლართა, მერე მართასთან მოძიძგილავე სალდათებს ეცა, ისინიც თვალის დახამხამებაში მიჰფანტ-მოჰფანტა, ნადირივით ღმუოდა, თვალებს აბრიალებდა. ზურგზე გაკრული ხელების გათავისუფლებას ლამობდა. გონსმოსული სალდათები ერთად მისცვივდნენ და კონდახები დასცხეს. ასლანა დაეცა, ისევ წამოფორხილდა და კბილების გააფთრებული ღრჭიალით მიეტანა დაფეთებულ სალდათებს, ისევ ატაკა კონდახით გაჩეხილი შუბლი ერთ მათგანს და ცხვირპირმინაყული გადააქცი[illegible] ლდათებს მილიციელები მიეშ[illegible] არაქათგამოცლილი ასლანა წააქციეს და ფეხებით შედგნენ. დაცემული მაინც არ ცხრებოდა, ღრიალითა და გინებით უძალიანდებოდა, იბრძოდა. და მართას ალტაცებას ჰგვრიდა მისი საზარელი ხმა, ყაჩაღის გულიდან ამოხეთქილი ყოველი უწმაწური სიტყვა და გულგვამის ამომტანი ბილწი გინება მოზეიმე ექოდ ხმიანობდა მის არსებაში, გულისგულში უძვრებოდა, აქამდე შეუგრძნობელ ფესვებს სწვდებოდა, რაღაც ძალიან მთავარი და სხვაგვარად გამოუთქმელი ჭეშმარიტების შეგნებით ახარებდა. ბედნიერების განცდით სულშეგუბული შეჰყურებდა ამ უთანასწორო ომს და თუმცა დანამდვილებით იცოდა, რომ გაკოჭილი, დაჭრილდაჩეხილი და გასავათებული ასლანა ამდენ შეიარაღებულ მტერთან ვერას გახდებოდა, მაინც სიამაყეს ჰგვრიდა თავისი ჯალათის ძლიერება და უთრგუნველობა, უნდოდა მიშველებოდა და სალდათების ამაზრზენი სახეები ფრჩხილებით დაეპოტნა, მაგრამ შიში და უძლურება კი არა, რაღაც სხვა, მუხანათური გრძნობა არ ანებებდა ამის გაკეთებას, და ვერ გაერკვია, შურისძიების ჟინი იყო ეს თუ თავისი ვერაგი ქალური პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების წყურვილი, ასლანას სიკვდილი სურდა თუ მისი სიცოცხლე, მისი ველური ვნებისა და ენერგიის ხელახლა შეცნობა და დამახსოვრება, და ამიტომ, ამ გულის მჯიჯგნავი განცდებით დაბნეულმა შვებით ამოისუნთქა, როცა, ბოლოსდაბოლოს, გამარჯვებული სალდათები და მილიციელები გაიშალნენ და მიწაზე დაგდებული თვალებგადმოკარკლული ასლანა მიატოვეს. მართა დაწყნარდა, გათავისუფლდა, ყველაფერი ამით დამთავრდაო, დანანებით გაიფიქრა, გვამს ზურგი აქცია და ჭალისაკენ გაემართა, რადგან უკვე კარგა ხანია უგულოდ გრძნობდა და უთვალოდ ხედავდა, რომ იქ, ღელის პირას კლდეზე მიყუდებულ გათოკილ

კაცებს შორის ერთ-ერთი პეტრე იყო. ნელნელა უახლოვდებოდა. მაგრამ მისვლა არ უნდოდა: პეტრეს სიცოცხლე უხაროდა. მაგრამ არ ანუგეშებდა: მისი ხმის გაგონება სწყუროდა. მაგრამ აშინებდა. უნდოდა ეკითხა: გამაგებინე. პეტრე. სადა ვართ. სიზმარში თუ ცხადში. მითხარი. რა ამბავია ჩვენს თავს. სად არის ის სამშობლო. შენ რომ მინატავდი და მახარბებდი. ან ჩვენი ჯვრისწერის დღე რად გადაიქცა. ან ჩვენს სიყვარულს რა მოუვიდა. მართლა ხომ არ გამწირე. პეტრე. მართლა ხომ არ გამიმეტეო. მაგრამ პასუხის გაგონება არ შეეძლო. ვაიმე. პეტრე. ვაიმეო, ჰგოდებდა გულში და პეტრესაკენ მიმართული თოფების გრიალს ელოდა, რათა ყველაფერი მალე დამთავრებულიყო და ვერასოდეს შეეტყო იმ შეკითხვის პასუხი, სულს რომ უდაგავდა. მაგრამ ულვაშა ოფიცერი ბრძანების გაცემას არ ჩქარობდა, უკან დაბრუნდი, გოგო. მაქაურობას მოეცალეო, უყვიროდა მართას. შენც არ მიგაკლათ მაგ ნაძირალებსო. მართა კი მაინც მიდიოდა და მიდიოდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ. რა მიზნით. რის სათქმელად და საკითხავად. და ბოლოსდაბოლოს, მიაღწია კიდეც. ისე ახლო მივიდა, რომ პეტრეს კანკალიც იგრძნო და მინავლული ხმაც გაიგონა: „მართა. წადი. აქ ნუ ხარ... ბუკნარის ტყეში წადი. მამაშენთან, იქ გელოდება... ილოცე ჩემთვის და...“ კიდეც იგრიალა... მართამ თვალნათლივ დაინახა ტყვია, ყურთან რომ გაუზუზუნა და პეტრეს გულში ჩაეჭედა. იმავ წამს სისხლისფერმა ლაქამ გამოყონა თეთრ პერანგზე, გადიდდა, გაიშალა, თითქოს წითელი ყვავილი იფურჩქნებოდა ისე ახლოს და ისე ლამაზად, რომ მართამ უნებლიედ გაიწოდა ხელი, რათა თითებით შეეგრძნო ჩვილი ფურცლების სიცოცხლე, ხელისგული დააფარა თვალწინ აღმოცენებულ უცნაურ ყვავილს და ტანში გადაეღვარა მისი საამო სითბო და მთრთოლვარება, საოცრად მსგავსი იმისა, საჯავახოს ულელტეხილზე რომ შეიგრძნო ჩამავალი მზის მეწამულ სინათლეში [illegible] რომელი ნეტარებაც ის [illegible] პირველმა მოფერებამ რომ მოჰგვარა. ეს სიყვარულიც ისეთივე ღვთაებრივი და მარადიული იყო, როგორც იმ თავდავიწყებაში განცდილი. ახლაც ისევე უნდოდა ეთქვა. შეხედე, პეტრე. რა ლამაზია ეს ყველაფერიო!... და კიდეც გააღო პირი ამ სიტყვების ამოსათქმელად, მაგრამ ხმა არ ამოუვიდა. მეც მკვდარი ხომ არ ვარ ან სიზმარი ხომ არ არის ეს ყველაფერიო, გაიფიქრა და გამომცდელად მოათვალიერა გარემო. მაგრამ არ იყო მკვდარი და არც სიზმარი უნდა ყოფილიყო ეს იგივე ცა. იგივე მიწა, იგივე ფარდული. ასლანა ბასილიას გვამიც ისევ ისე აგდია მინდორში, მართასაც ისევე საზიზღრად სტკივა რაღაც მუცელთან. პეტრეს მკერდზე გაშლილ თითებს შორისაც ისევ მოჩანს ჩამავალი მეწამული მზე — როგორ ღუის, როგორ ირხევა, როგორ კიაფობენ ძოწისფერი ბროწეულები მის სიზმარეულ სინათლეში — სიზმარია. აბა რა უნდა იყოს? თავისი ხმაც იმიტომ არ ესმის. პეტრეც იმიტომ არის ასე სხვანაირი და გაუგებარი. რომ მართას ესიზმრება. ხმა ამოიღე, პეტრე, რას გაჩუმებულხარ? ვერ ხედავ. რა ლამაზია აქაურობა? აი, შენი სამშობლო. შენი საქართველო!... რატომ არაფერს ამბობ?... სიხარულმა ასე როგორ დაგამუნჯა?... ნეტავი მართაც დამუნჯდებოდეს... ნეტავი უფალმა წყალობა მოიღოს და ლაპარაკის უნარი წაართვას... თვით სიკვდილიც კი არ იქნება ახლა მისთვის ასეთი ჯილდო. რადგან სიკვდილი ყველაფერს ერთბაშად წაჰგვრის, უცებ გააქრობს ამ სანეტარო სინანულსა და მწუხარებას. დასაკარგავად რომ არ ემეტება. არ შეიძლება ახლა სიკვდილი. მართა ცოცხალი უნდა იყოს და გულში დამარხულ ძვირფას საუნჯედ უნდა ატაროს ამ დღეების საზარელი სიმართლე, მარადიულად უნდა იცოცხლოს და უყუროს, თუ როგორ იქნება დადაღული მისი არსებობა ამ ერთადერთი სიმართლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სამუდამო სათქმელით, რომელსაც გამხელა არ უწერია, როგორ ივლის დედამიწაზე ამ სატანური ბოროტების ბრალდებად, მოწმედ და მონაწილედ და როგორ ექნება ქვეყანას ყელში გაჩხერილი მისი წყეული სიცოცხლე, მარტო მართასი კი არა, მისი შვილის, მისი ჯიშის და ჯილაგის, ყველასი, ვინც ამ ჯოჯოხეთური ცოდვის წიაღში ჩაისახება. არა, მაშინ გულში არ გაუვლია, რომ შვილი გაუჩნდებოდა. ეს რომ ეფიქრა, მაშინვე იმ სისხლის მორევში ჩაიხრჩობდა თავს, ირგვლივ მოზუზუნე ტყვიებს მიუშვერდა მკერდს პეტრესავით და ყველაფერი დაწყებამდე დამთავრდებოდა, მაგრამ მაშინ ასეთი ღვთის რისხვა ვერ წარმოედგინა, რადგან ბუნებაში არ არსებობდა იმაზე დიდი რისხვა და სასჯელი, რაც თავს დაატყდა. იმ წუთას მხოლოდ საკუთარი უბედურებით იყო მოჯადოებული, რალაც უმისამართო ჯიბრისა და შურისძიების ჟინს გაეჩხიბა, შვილიც ის იყო და ძირიც — ის წინასწარგანცდილი, ზვარაკის ექსტაზური სიხარულითა და სიამაყით წარმოსახული მომავალი, რომელიც აჰა, რა ხანია დამდგარა და ახლოს, სულ ახლოს ესმის მისი ხმა:

— ევას არ დაუძახეთ? ასმათ, გადი, რა მოგივიდა, თუ მე წავიდე?

— რისთვის დავუძახო. მაგას თავისი განალდებული აქვს.

— მასე გეგონოს...

— უთხარი, სადილზე გეპატიჟებითქო. თავისი კავალერიც მოიყვანოს, თუ უნდა.

— დედა, შენ მთლად გაგიჟებულხარ მგონია... ოჯახია თუ ბარდელი, ბოლოსდაბოლოს!...

— ბარდელი აწი ნახე, ყველანი რომ თავს მოვიყრით, ნინოც თუ მოვიდა თავისი მუცლით...

„ნინო არა, ოლონდაც ნინოს ნუ შეეხებით და რაც გინდათ ისა ჰქენით, იმას ნუ გარევთ ამ სიბილწეში. ნუცა მთლად ნერვებადაა ქცეული, თორემ ნინოს არ გაიმეტებდა. ალარაფერს ელოდება. თანდათან ივსება და ნაპირებიდან გადმოდის. ევა და ანტონი მართლა რალად უნდა. ბარემ ამრიკაც მოაყვანინოს და სასამართლოც სრული შემადგენლობით იქნება. მაგრამ რალა დროს... განაჩენი უკვე გამოტანილია... იქ... მაშინ..."

— დედა, სიძეების მაინც მოგერიდოს!

— მართლა, მეოთხე სიძე რა მექნა? რატომ გვემალება? თუ სულ არ არსებობს ამ ქვეყანაზე? იქნებ უხორცოა, იქნებ სული წმინდაა და ჩემმა ქალწულმა ქრისტე ღმერთი უნდა მოგვივლინოს?

„ღმერთო, შენ დაიფარე, ღმერთო ნუ გარევ ამ სიბილწეში... ღვთისმშობელო დედაო, მოხედე ჩემს საყვარელ გოგოს... მაკმარე სასჯელი და გადამირჩინე ეს ერთადერთი იმედი... ნუ შეახებ ამათ ბოროტ ფიქრებს, მოუმართე ხელი ჩემდა სანუგეშოდ, წმიდაო მფარველო..."

— მართლა და მართლა, არ უნდა ვიცოდეთ ბავშვის მამა ვინ არის?

— აჰ, თქვენც გაწუხებთ ეგ ამბავი? აკი ყველაფერი ფეხებზე მკიდიათ. კაი დროსია ახლა! სიძე ხარ, ბოლოსდაბოლოს, სახელი და თანამდებობა გაქვს, სიტყვა-პასუხი შეგიძლია... წასულიყავი, მოგეძებნა, მოგეკითხა ის ვაჟბატონი, იქნება შველებოდა რამე ამ საქმეს.

— სად მომეკითხა?..

— სადაც ყრიან! მთაში, ტყეში, ჯანდაბაში! არ იცი სად დაწანწალებს ის ქალბატონი? რესტავრატორია, ბატონო! დაქცეულ ეკლესიებს აშენებს! საქართველოს აღორძინებისათვის შრომობს, ნაბიჭვრებით აპირებს ერის გამრავლებას და გაძლიერებას... აი, ისეთებით, ეგერ რომ ბლავიან!..

„დაქცეული ეკლესია... როგორ წვიმდა... მოგეტეოს, რამეთუ შენ ხარ მსხვერპლი უმწეო... ალსდექ, შვილო ჩემო... ის კაცი დანგრეულ საყდარში... ქვის კაცი მთვარიან ღამეში... „რა ბედნიერი ვიყავი, ბებო, რომ იცოდე, რა ბედნიერი ვიყავი..." ...ნინო, ჩემო ან-

გელოზო, სად დაიკარგე, როგორ მომენატრა შენი ხმის გაგონება... სად დაეხეტები, შვილო, ასე უპატრონოდ..."

— ააა, ევა, მობრძანდით, დაბრძანდით, აი აქეთ. ბატონო ანტონ, თქვენ ამ სკამზე, ევას გვერდით. როგორ ბრძანდებით. რატომ დაგვივიწყეთ? ასე უნდა ნათესაობა და მეგობრობა? თუ რა ვართ ერთმანეთისთვის? ევა, შენ არ იცი, ბატონი ანტონი რად მერგება?

„აი, მოხადა ხუფი. ამოუშვა... ამოდენა გესლს როგორ ინახავდა? მართლა ნუცაა თუ ვინ არის?..."

— სალამი, სალამი... ჰე-ჰე-ჰე... როგორ გიკითხოთ...

— დედა, ჩვენ წავედით! ადექი, როსტომ!... ბავშვებო, ჩაიცვით, მივდივართ!

— რა გეჩქარება, ასმათ, სტუმრებს არ უნდა შეხვდე? ძმის ნახვა არ გაინტერესებს? ძმისშვილი არ უნდა გაიცნო? შენ რომ მასეთი უგულო არ იყავი, ახლა რა მოგივიდა?

— ვაი სულო! ძმისშვილებიც მყავს? ეგ სულ არ მიფიქრია. რა ბედნიერებაა!

— რაო, უკვე ჩამოდიან?

„ევა ხრანტალებს. ეტყობა მართლა იცის. ორივე ცოლს მოეთათბირა. ანტონსაც ეცოდინება, რა თქმა უნდა, ისიც ხომ ოჯახის წევრია. რა რჯულის კაცია ეს ანტონი? უცხო კილო კი ეტყობა, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოიცნობ სადაურია. ევას ლაპარაკზე არ ეტყობა, მაგრამ ანტონს რომ ეჭუკჭუკება ხოლმე, მასაც უცხო ჯილაგის ხმა აქვს. ვერაფრით ვერ ვხედავ. მარტო ხმაა და მეტი არაფერი. რა უამურად ხრანტალებს, ყვავივით. ნეტავი აქ საიდან გაჩნდნენ?"

— დეპეშა მოვიდა, აჰა, დატკბით.

„როდის მოვიდა? აგერ ახლა არ ამბობდა ვიქტორი, წერილი უნდა გავგზავნოო? ესე იგი მართლა გაუგზავნია... მაინც არ დაიშალა, მაინც აურია... ნუთუ მართლა ჩამოვლენ? ღმერთო, შენ გვიშველე!... ასმათი კითხულობს, აბა ვის დაანებებდა... რაო?... მარგო... ჰო, მართალია, მარგო ქვია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარგო ვინ არის?

„ეს მაყვალა მართლა ასეთი ბრიყვია თუ განგებ ისულელებს თავს? ვითომ ვერაფერს მიხვდა?"

— თავს ნუ იშტერებ, თუ ქალი ხარ!... ვინ არის და დედაშენი, ძვირფასი, სანატრელი დედიკო!

— მერე დღეს რა რიცხვია? ოცდაექვსშიო, მასე არ წერია?... დღეს ოცდაექვსია?

— გაჩუმდი ახლა, ისედაც დაწყვეტაზე მაქვს ნერვები!... ქუჩაში მაინც არ გაგივლია? ყური მაინც არ მოგიკრავს? თუ მთლად გადაგიგლისა ქონმა ჭკუა-გონება?

— გურამ, ჩამოასხი, ავუხსნათ ამ პატრიოტ ასულს დღეს რა დღეა!

— ოცდახუთი არ არის?... დედას გაფიცებთ, ოცდახუთი არ არის?...

— გაჩუმდი მეთქი, თორემ შეიძლება გავაფრინო!

— გააფრინე ალალიო, რაც არ არი — არ არიო... გურამ, მომიჭახუნე... უჩა. შენც ტყემალზე ხომ არ ზიხარ მეუღლითურთ? მოკიდე ჭიქას ხელი. ძვირფასო ქართველებო! ჩვენი მრავალტანჯული ერის ისტორიაში...

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, რა დროს ისტორიაა, ღლევანდელობა თავზე გვექცევა! შენ ის მითხარი, ახლა რა გვეშველება?

— ჩვენ თუ საქართველოს?

— ჩვენ! ჩვენ! საქართველოს საშველი მაინც არ იქნება ამისთანების ხელში. ჩვენს გაჭირვებაზე ვიფიქროთ, სადაცაა კარზე მოგვადგებიან...

— მოგვადგნენ მერე, ცუდად ვხვდებით თუ? ძვირფასი ქართული პურ-მარილია გაშლილი, მეტი რაღა ვქნათ?

— იმათ გაუშალე ეს სუფრა ხომ, დედაჩემო? არ გამიკვირდა? ვიფიქრე სამშობლოს თავისუფლების დღეს ზეიმობს მეთქი. თურმე საპატიო სტუმრებს ხვდება!

— რას ვიზამთ, ქართველები ვართ...

— რაც კარ-გე-ბი ვააართ. ქარ-თვე-

ლეები ვააართ!... დავლიოთ, ბატონო მინისტრო, სამშობლოს სადღეგრძელო!

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!

— თავისუფალი საქართველო მინდააა!...

— მერე აქ რას პეტელობ? გადი ქუჩაში და შენი ნარნარი ხმა შეუერთე ერის ომახიან ბღავილს!

— ეხლა კი მართლა ვიბღავლებ!... სალღაბუცოდ გვაქვს საქმე? დედა, შენ მაინც მითხარი, რას აპირებ.

— არ ვიცი, ველარ ვაზროვნებ. ანტონ, იქნებ თქვენ გვირჩიოთ რამე. ბატონო ანტონ, ძვირფასო, ახლობელო...

— მე, ქალბატონო ნუცა... მე, გარეშე კაცი...

— როგორ გეკადრებათ, რას ბრძანებთ!... თქვენზე ახლობელი ვინა გვყავს ამ ქვეყანაზე? ერთადერთი მამაკაცი თქვენ ხართ ამ ოჯახში, ერთადერთი გულშემატკივარი. თქვენ რომ არ გვყავდეთ, რა გვეშველებოდა? ვიქტორი ახლა ცოცხალიც აღარ იქნებოდა და არც ეს ბედნიერი დღე გაგვითენდებოდა. თქვენი ნაშოვნი წამლებით უდგას სული. იცით, რა წამლები მოაქვს ვიქტორისათვის? ფულსაც არ გვართმევს, ისეთი კეთილია. ასე არ არის, ევა?

— კი, ძალიან კეთილია... ამრიკოსაც შვილივით უვლის.

— აი, ხომ გესმის, როსტომ, შენ კი არა გგავს.

— დიდი მადლობა, ბატონო ანტონ. თქვენს ამაგს დამოუკიდებელი საქართველო გადაიხდის აუცილებლად. შემიძლია მამა დაგიძახოთ?

— როსტომ, ნულა დალევ, სტუმრებს მთვრალი ხომ არ უნდა შეხვდე?

— მე განა ღვინომ და-მა-თროო!... ასეთი დღეა და ღვინო არ დავლიო? ირგვლივ ამდენი ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ხომ მართალი ვარ, ბატონო ანტონ, ძვირფასო მამავ... სიმამრო... დღევანდელი დღის სადღეგრძელოს რატომ არ სვამთ? თქვენ ხომ მაინც იცით, რა დღეა დღეს. აი, მაყვალამ არ იცის... უთხარით მაყვალას, რა დღეა. მიტინგებზე დადიხართ, ეროვნულ მოძრაობაში ხართ ჩაბმული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს, ქალბატონო მაყვალა, ოცდაექვსი მაისია, საქართველოს თავისუფლების დღესასწაული.

— გენაცვალე ქართულ ჯიგარში! ერთი სადღეგრძელო, ამასთან დაკავშირებით!...

— გაუმარჯოს თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს!...

— გეხუტუნე პატრიოტიზმში! კიდევ ორი სიტყვა, ანტონ. ჯიგარო!...

— ჩვენს მომავალ სამშობლოს გაუმარჯოს!

— ჰირიმე შენი!

აჰა, პეტრე, ის მომავალი, შენ რომ ნატრობდი... იმ ღამეს ჩაისახა, ის გზა გამოიარა, ის სუნი გამოჰყვა — იმ მძალე სხეულების, იმ გვამების, იმ ბინძური საზიდრების, რომელზეც მორჩილად, ბედს მინდობილად ავიდა, ისე ცქვიტად და იოლად, რომ არც კი დასჭირვებია მწითური, ჰორფლიანი სალდათის ხელის შეშველება. სალდათიც მარდად შეხტა ძარაზე და გვერდით მიუცუცქდა, წითელბუსუსებიანი ხელი კაბაში შეუყო და ცინგლიანი ცხვირპირით მიეგლასუნა. მართამ ზიზღით მიაბრუნა სახე და ყუთებს შორის ჩაჰედილ ცხედარს დააჩერდა. გვამს დაბებკილი, ბინძური ჩვრები და სისხლიანი მოსასხამი ეფარა და ერთ მხარეს შიშველი, გაზანგული ფეხის ტერფი მოუჩანდა, მეორე მხარეს — სისხლშემხმარი შუბლი და ბობრ თავზე ჩამოცმული წითელვარსკვლავიანი ძაბრულა ქუდი. საცოდავი რუსიო, გაიფიქრა მართამ, აქ რამ მოიყვანა, ამ უცხო მხარეში რა გასაჭირმა გადმოაგდო, ან ახლა სად უნდა წაიყვანონ, სად უპირებენ დამარხვას, ნეტავი სამშობლოში თუ შეატყობინებენ მის დაღუპვასო. გული მოუჭუჭკა უცხო მიწაზე გათხრილ სამარეში მწოლარე სალდათის წარმოდგენამ, ვერაფრით ვერ მიუსადაგა ერთმანეთს თავისი მშობლიური ბუნება და გადამთიელი მიცვალებულის იერი

და შეწუხდა ამ შეუთავსებლობისაგან. ისეთი ტკივილი იგრძნო მკერდში, თითქოს თვითონ იყო ეს მიწა და ის საფლავიც მის სხეულში უნდა ამოეთხარათ. აი, თხრიან კიდეც, გამალებით უჯიჯგნიან ტანს რკინის ბარით, წერაქვით, ხიშტით, აქოშინებული ქორფლიანი მესაფლავეც უკვე წელამდე ჩასულა მართას ხორცზე ამოპოტნილ ორმოში, ხვითქი გადასდის სახეზე, ნეტარებით ხვნეშის, ღრუტუნებს, გაუგებარ სიტყვებს ბუყბუყებს, რკინის ჰანგებით აგლეჯს ლორთქო ბელტებს და აქეთ-იქით ყრის. ცოტა ფრთხილად მაინც გაისარჯოს, თორემ ტკივილებისაგან სადაცაა გონებას დაჰკარგავს მართა, ან ეს გვამი მაინც მოაშოროს, განზე მისწიოს, თორემ საზიდრის ხრიგინჯაყჯაყში სულ ახლოს მოჩოჩებულა, სუდარიდან გამომძვრალა, ზედ თვალებთან უქიცინებს დაჩეჩქვილ თავპირს, სახესა და ტანზე ეხლება და მართას აწუხებს მისი გამთოშავი სიცივე და სიმაგრე. ახლა ორივე — ცოცხალიც და მკვდარიც—ერთად დასწოლია გულზე და უმოწყალოდ ჰყლეტენ, საზიდრის ფიცრებზე სრესენ და ხეხავენ, უკვე სული ეხუთება და გული მისდის. არა, ასე არ ვარგა, ასე შეიძლება მოკვდეს კიდეც ან სიმწრისაგან გაიღვიძოს და მაშინ ხომ დასრულდება ეს ჯოჯოხეთური სიზმარი და ყოველივე მასთან ერთად გაქრება — გუშინდელი დღეც, წუხანდელი ღამეც, დღევანდელი დილაც, ეს მკვდრები, ეს ცოცხლები, ეს საზარელი ხმები, გრილი და ბათქაბუთქი და მერე რიღათი იარსებოს მართას მწუხარებამ და სინანულმა? მაგრამ მადლობა ღმერთს, ჯერ ცოცხალია, ჯერ ისევ ცხადად ესმის ეს გამამხნევებელი ხმები — სადღაც ახლო, მთლად ყურისძირთან გამაყრუებლად ქუხს, მიწა ირყევა და გარემო ზანზარებს, ცხენები ჰიხვინებენ, ადამიანები ყვირიან და ხრიალებენ, მართა კი სადღაც მიექანება ჯაყჯაყით, ხრიგინით, ტკივილით, წამოდგომას ცდილობს და ვერ ახერხებს, საზიდრის ფიცრებს ეხეთქება, კასრებსა და ყუთებს ეხლება. [illegible] პიტალო სხეული ეჯახება ტანზე, მკლავს უნაყავს და ხორცს უბეგვავს. ახსენდება: მკვდარია! მოშორება უნდა, მთელი ძალ-ღონით აწვება, მაგრამ გვამი მორივით მოგორავს და ქვეშ იტანიებს. „უკან! უკან! — ისმის ვილაცის ღრიალი. — სად გარბიხართ, ლაჩრებო! გამყიდველებო! უკან!...“ ...გინება... სროლა... ჰყივილი, შეძახილები: „დასცხეთ, მაგათი... ტყეში არ შეუშვათ, ტყეში!... სიკვდილი დამპყრობლებს!... სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!“... მამა! — რეკავს მართას გონებაში, — მამა!... მამის ხმა ესმის! ახლავე გაიღვიძებს, ახლავე თვალს გაახელს და მამას დაინახავს! აი, დგება კიდეც... მაგრამ ეს გვამი, ეშმაკმა დალახვროს, ეს გაფიჩხული მწითური სალდათი მარწუხივით ჩაფრენია მკლავზე და არ უშვებს. მკვდარი რაღას გადაეკიდა! მეტი აღარ შეუძლია, მთლად გასავათდა, წამოდგომის იმედიც დაჰკარგა და ამ დროს — „თავისუფლება!... თავისუფლება!“ ზედ ყურთან გაიგონა აღმაფრთოვანებლად ნაცნობი ხმა, და უკანასკნელი თავგანწირვით გაიბრძოლა იმ ხმის დასანახავად, თავზე გადმომხობილ ცხედარს დაეჯაჯგურა, მუხლებით მიებჯინა, მკლავი გაჩაჩხულ ლაჯებში გაუყარა და რის ვაივაგლახით წამოზიდა, რომ გვერდზე გადაეგორებინა და უცებ ხელისგული დაუზაფრა რაღაც უცნაური, წარმოუდგენელი ხორცის ამაზრზენმა სიშიშვლემ და სიგლუვემ... „მამა! მამაააა!“ — სასოწარკვეთილი ყვირილი დაადევნა უკვე მიუწვდომელ სიშორეში მილეულ სანატრელ ხმას, მაგრამ ეს ყვირილი საზარელ ქუხილში დაინთქა, არემარე შეზანზარდა, ცად აფრქვეულ კვამლისა და მტვრის ბუღში წამიერად გაილანდა ყალყზე შემდგარი გაშმაგებული ცხენები, აყირავებული გარემო, ნაცრისფერი ცა და მაშინვე ყველაფერი სიჩუმესა და წყვდიადში ჩაიძირა... წყვდიადი... წყვდიადი... პირველყოფილი ბნელეთი და მდუმარება. და ხმები... „...ცოცხალია... — ამ-

ბობს ქალის ხმა არამქვეყნიური სინაზითა და მწუხარებით. — თვალი ჩაახილა ამ უბედურმა"... მართამ სიზმრიდან სიზმარში გაიღვიძა და დანისლული მზერა მოავლო გარემოს — აი, ფიცრული ჭერი. ლამფების ღრიჭოებში აჯებებული გაზეთის გაყვითლებული ნაკუწები. აი, მომაქმანებული თეთრი ტილოს აბაჟური შიგ ჩამდგარი ფრთხილი, მოალერსე ნათელით. აი, უროქამის ბოლში გამოყვანილი ღარკილული კედელი. კედელზე — ფანდური, დაირა, მოსევადებული ხანჯალი. აი, ატლასის ყურთბალიშებით გაწყობილი ხალიჩიანი ტახტი. ტახტზე — საქარგავი ჯალდები, ყაისნალი, ძაფის მურგი. აი, საწოლის რიკულები. საწოლში მართა წევს და გაღვიძებას ცდილობს, ცხადში დაბრუნება უნდა, რომ ბოლოსდაბოლოს გაარკვიოს რა ხდება მის თავს, სად იმყოფება ახლა, ვინ არიან ეს ადამიანები, ასეთი თანაგრძნობით რომ დასცქერიან. მოცახცახე სივრცეში ორი მამაკაცი ილანდება, რაღაცას ჩურჩულებენ, თათბირობენ, მრავალმნიშვნელოვნად აქნევენ თავებს, ქალი, რომელიც ვარდო ბებიასავით მშობლიური და სანდოა, სულ ახლოს დახრილა, სახეში ჩასცქერის თავისი კეთილი, ნაღვლიანი თვალებით, დაყვავებით ეუბნება: „რავა ხარ, ნენა, შე საცოდავო, მოსულიერდი? აწი არაფერი გიჭირს, ნუ გეშინია. ოჯახში ხარ, შენიანებთან"... მამა?... პეტრე?... ისინი? — იხსენებს მართა, წვალობს, იძაბება, უნდა, რომ სიზმრის ჯურღმულებიდან გამოძვრეს და ამ მანუგეშებელ ცხადში გამოაღწიოს, ამ მონატრებულ ქალთან, ამ მგლოვიარე ადამიანებთან, ამ მწუხარე ჭირისუფალთან, მის კუბოსთან რომ დგანან და დაღონებულნი დასცქერიან. მაგრამ მართა ხომ ცოცხალია, მხოლოდ რაღაც საშინელი ძილქუში დასწოლია, საზარელ სიზმრებში მარჩენილა და თავი ვერ დაუხსნია. ახლავე გაიღვიძებს, დაილაპარაკებს და ყველა მიხვდება, რომ მკვდარი არ ყოფილა. და მაშინვე გახალისდებიან, ამოძრავდებიან, საქორწილო სუფრას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსხდებიან და სიცილ-ქილიკით შეუწდობენ მართას და პეტრეს ამ სულსწრაფობას, ამ ყმაწვილურ აცეტებას, მეტისმეტი სიყვარულითა და ქარაფშუტობით რომ მოუვიდათ. ახლა გაიღვიძებს და ყველაფერი იქიდან გაგრძელდება, სადაც შეწყდა. აი, წამოიწია კიდეც. ქალისაკენ იწვდის ულონო ხელს, რომ მოახედოს, მოეჭიდოს და ამოძვრეს ამ კუბოსავით ღრმა საწოლიდან. აი, შენიშნეს კიდეც მისი მოძრაობა, ვილაც გამოეყო ოთახში მოცახცახე ლანდებს, საწოლს მოუახლოვდა, ქალისაკენ დახარა ყაბალახიანი თავი და რაღაც უჩურჩულა ყურში, საეჭვოდ, მართას რომ არ გაეგონა. „რა ვიცი, — ყოყმანით პასუხობს ქალი — ორი დღეა უგონოდ წევს, პირში წყალიწმინდა არ ჩასვლია, ღონე სად ექნება... შეძლებს წამოსვლას? ...ღმერთო, სიკვდილში და კურმუხეთში წაიყვანე ყველა, ვინც ეს ანგელოზი ამ დღეში ჩააგდო... ღმერთო, უბედურად ატარე ამის გამაუბედურებელი არაკაცები... რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე... გამომხედე, ნენა, ნუ გეშინია, ნუ კანკალებ, შენს თავს ალარავის დავანებებთ აწი..." — ეფერება, ბუდესავით თბილ და მყუდრო მკერდში იხუტებს მართას თავს, „ადგები, ნენა? წახვალ მამაშენთან? ეს პატიოსანი კაცი შენი მამის ამხანაგია, შენს წასაყვანად მოვიდა. მამაშენმა გამოგზავნა. ტყეში გელოდება, შვილო. რაკი ღმერთმა მოგვხედა და გადარჩი, აწი არაფერი გიჭირს... დაწყნარდი, ნენა, მოგიკვდეს ჩემი თავი, ახლავე ცხელ ჩაის დაგალევინებ, პატარას მოღონიერდები და შებინდებულზე ქე წახვალთ... სიარულს ხომ შეძლებ?..." ...შეძლებს, როგორ ვერ შეძლებს, უკვე კარგად არის, აღარაფრის ეშინია, მაგრამ ეს კაცები ვინ არიან? მართლა მამამ გამოგზავნა? ტყეში რა უნდა, ვის ემალება? დავმარცხდითო, ამბობს ის ხელშეხვეული კაცი, გაგვწირა ბედმა, ხელისუფლება მოგვერიაო. ყველგან ბოლშევიკები დაძრწიან, ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჭერენ, სისხლის ღვარს აყენებენ, წუხელ ნახევარი ვაზიანი ამოხოცეს, ვინც ხელში მოჰყვებათ, განუკითხავად ხვრეტენ, დიდი ცოდვა ტრიალებს ქვეყანაზე, დაიქცა, დაიღუპა ჩვენი საქართველოო... საქართველო... საქართველო... რომელი საქართველო? პეტრე რომ ახსენებდა?... მამას რომ უყვარდა? საქართველო დაიღუპა. პეტრეც დაიღუპა. მართაც დაიღუპა... ყველაფერი დაიღუპა. ამ უცხო კაცს კი სადღაც მაინც მიჰყავს მალულად, ჭალა-ჭალა, მდინარეში მიჭყაპუნობენ, უშველებელ ლოდებზე ებლატებიან, ვითომ შარაზე სიარული არ შეიძლებოდეს, ვითომ ყველაფერი სულერთი არ იყოს... ეს ფუთაში გამოკრული საჭმელი სადღა მიაქვთ? ორი დღის მშივრები არიანო, ამბობს ეს კაცი. რატომ უნდა იყოს მამა ორი დღის მშიერი? ასეთი რა ძალა დაადგა, რომ ლუკმა პური ვერ უშოვია? ჩქარა მაინც იარონ, რომ დროზე მიაღწიონ იმ ბუკნარის ტყეს და მამას საჭმელი მიუტანონ. ახლა სხვა არაფერი ადარდებს მართას, არც იმაზე ფიქრობს, როგორ შეხვდება, პეტრეს სიკვდილს როგორ ეტყვის ან თავის ამბავს როგორ მოუყვება. არაფერსაც არ მოუყვება, ტყუილუბრალოდ გული რატომ უნდა მოუკლას? ეს ხომ სიზმარია და არა ცხადი, აი, ახლა უკეთაა მართა, იმ დალოცვილმა ქალმა დედასავით მოუარა, დაბანა, დააპურა, უწამლა და კარგად გამოაძინა, ახლა სადაცაა გაიღვიძებს და ყველაფერი ისევ ისე დაჰხვდება, როგორც დაძინებამდე დატოვა — შინ ხომ ჯვრისწერის სუფრაა გაშლილი, სტუმრები ელიან, ალბათ დაეძებენ კიდეც მართას და პეტრეს, სად გაიპარნენო, კითხულობენ, რა მოუთმენლობა დაემართათ, განა მარტო დარჩენას ვერ მოესწრებოდნენო? ვაი სირცხვილო, მართლა რა სულსწრაფობა შეეყარათ, თავი როგორ უნდა გამოყონ ხალხში. პეტრე, პეტრე, შენც კაი ვინმე ხარ, ცოტა ვერ მოითმინე? მაგათ ქილიკს რა გაუძლებს? მაგრამ არა უშავს, გაუგებენ ალბათ, თვითონაც ხომ იყვნენ ახალგაზრდები, ფარულ ჯვრისწერასაც აპატიებენ და ყველაფერი იოლად ჩაივლის, ოღონდ მალე გაიღვიძოს მართამ და დაინახოს, რომ პეტრეც მის გვერდით არის და მამაც, დედაც, ახლობლებიც, ყველანი ერთად არიან და ქვეყანაზეც ისეთივე მშვიდობა და სიკეთე სუფევს, მუდამ რომ იყო. დროა უკვე, კმარა ამდენი ძილი, თორემ ლამისაა მართალი ეგონოს ეს საზარელი სიზმრები... მაგრამ ეს უცხო კაცი რომ აქ არის? აი, მართას წინ მიუძღვება, ნადირივით მიიძურწება ბუჩქებში, არემარეს ზვერავს, ხელით ანიშნებს — გაჩერდი, გვიმრებში ჩაიმალე და დამელოდე, მალე მოვალო. სად წავიდა? რა უნდა იმ ქოხში, ზევით გზის პირას რომ მოჩანს და დუქანს რომ ჰგავს? სად დაიკარგა ამდენ ხანს, მართა ხომ არ მიატოვა? აი, რაღაც ხმები ისმის იქიდან, ვილაცეები ყვირიან, ჩოჩქოლობენ, შავი ლანდები გარბი-გამორბიან, სროლაც ატყდა. ცეცხლის ენები კიაფობენ შარაგზის გაყოლებაზე, ფერდობზე შეფენილ ტყეში მიძვრებიან, ხეებში ჰიატობენ, როგორც იქ, მაშინ... ფარდულის ღრიჭოებში... გუშინ... გუშინწინ... სიზმარში... ცხადში.. იგივე ხმები... იგივე ლანდები... იგივე სიჩუმე... მხოლოდ ღელის ჩქაფუნილი ისმის შორიახლო და ჭალა შრიალებს დაუჯერებელი მოგონების ამშლელად... ისევ მარტო დარჩა მართა, უმეგზუროდ და უგზო-უკვლოდ უნდა იაროს ამ ბნელ ღამეში. საით წავიდეს — წინ თუ უკან? თუ არსაით? მაგრამ მამა რომ ელოდება? აი, ეს ფუთაც აგერ დევს. რა მძიმე ყოფილა... შიგ ჯერ კიდევ თბილად შენახულია რაღაც, ალბათ მჭადები — ყვითელი, მოტკბო, მამას რომ უყვარს, ისეთი. ბუკნარის ტყე საით არის, აქეთ თუ იქით? ვის კითხოს... ჩამიჩუმიც არსაიდან ისმის. სოფელი გატრუნულა და გამოუცნობ სამყაროს აყურადებს. ჰაერში ავდრის სუნი ტრიალებს. ალბათ გაწვიმდება. თავის შესაყუდრებელი უნდა მოძებნოს. იმ კეთილ ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მიბრუნდეს, მაგრამ მიიღებენ? კარს გაუღებენ? რალაც შფოთვა და მოუსვენრობა შენიშნა მასპინძლებს, ყოველ გაფაჩუნებაზე შიშით იჭყიტებოდნენ ფანჯარაში, იმ კაცს უსიტყოდ ეუბნებოდნენ, წადით უკვე, გაგვარიდე ეს გოგო, რაიმე უბედურებას არ გადაგვყაროთო. ასეთი რა დააშავა მართამ, რომ მისი სტუმრობისა ეშინიათ? მასპინძლების ჩურჩულიც გაიგონა, არ მოუსწრონ, თორემ სახლკარს გადაგვიწვავენ, დედაბუდიანად ამოგვჟუჟავენო. ეს რა ღვთის რისხვა ტრიალებს მართას თავს? ასეთი რა ცოდვა აწევს, რომ კეთროვანივით უფრთხიან?... მაგრამ კეთროვანზე უარესი არ არის? წარწყმედილი... აქოთებული მეძავი... შინ ვინ შეუშვებს... ოჯახს ვინ წაბილწვინებს? ისევ ტყე-ტყე უნდა იწანწალოს, ჭალა-ჭალა უნდა ეხეტოს ცოფიანი ძაღლივით, სადმე ხის ძირას უნდა ჩაკვდეს პირზე დუჟმორეული... არა, არა, არ უნდა მოკვდეს... უნდა იარსებოს, ქვეყანას უნდა გადაურჩინოს თავისი ტკივილი და მწუხარება, თავისი დალუპული ცხოვრება, თავისი გამწარებული სიცოცხლე, მომავალს უნდა შემოუნახოს დღევანდელი დღის ბრალდებად, სასჯელად, სინანულად... ამის წარმოდგენაზე გული სიბრალულით აევსო და ცრემლიც კი მოადგა თვალებზე — მონანული, ჭირისუფლური, უნუგეშოდ მგლოვიარე. მარტო თავის უბედობას კი არ იგლოვდა, მთელი ქვეყანა ეცოდებოდა იმ გულქვა, სასტიკი განაჩენისათვის, თავისი გადაწყვეტილებით რომ გამოუტანა, სამშობლო და ხალხი ენანებოდა იმ სირცხვილის გრძნობისათვის, მისი ბოროტად ნიშნისმომგები სიცოცხლე რომ მოჰგვრიდა. ღმერთო, მაპატიე ეს ვერაგობაო, შეევედრა, ღმერთო, განმწმინდე ეშმაკისაგანო. პატიებისა და შენდობის მუდარით მიაყურადა წყვდიადში თავშეფარებულ სოფელსაც და პასუხად შორეული, ბუნდი შხუილი შემოესმა. თანდათან მოახლოვდა ეს ხმა, ირგვლივ შემოადგა, ღელის ლოკი და ტყის შრიალი დათრგუნა. ახალი განსაცდელის მოლოდინით გაფაციცებულმა მართამ უეცარ შვებად შეიგრძნო აცახცახებულ ხელებში მოშხაპუნე წვიმის წვეთები, თვითონაც საამო თრთოლვამ აიტანა. საკმევლის ნელსაცხებელივით... 

ტარებით შეისუნთქა სველი მერქნისა და დამბალი ნეშოს გამაბრუებელი სურნელი და ჭექა-ქუხილით მოვარდნილ წარღვნაში გადაეშვა. ხშირ ტოტებში წამიერად შეგუბებული წყალი თქრიალით ჩამოექცა თავზე და თვალის დახამხამებაში გალუმპა. ანგარიშმიუცემლად დასტაცა ხელი საჭმლის ფუთას, გულზე მიიხუტა, ზედ გადაეფარა, შემდეგ კაბის ქვეშაც შემალა, რომ მამის ულუფა წახდენისაგან გადაერჩინა, მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო იყო — გავეშებული წყალი ჩანჩქერივით დასდიოდა თავზე, კაბაში კი არა, სხეულში უძვრებოდა და გულ-გვამში აღწევდა. უკვე აღარ ცდილობდა წყლით გაჟღენთილი ფუთის დაცვას, არც თავშესაფარზე ფიქრობდა, იდგა გაზაფხულის ზავთიან მერეხში და საოცარ ნეტარებას განიცდიდა იმის გამო, რომ წყალობად მოვლენილი წმინდა წყალი ურეცხავდა წაბილწულ სხეულს. ზეციური მადლი მოეფინა მის გვემულ სულსა და ხორცს, თითქოს შენდობით გარდამოვიდა უფალი მართასა და ცოდვილ ქვეყანაზე, დიდსულოვნად მოუვლინა ეს წარღვნა, რათა წარეხოცა ბიწიერება მართასაგან და სისხლი მიწისაგან და ორივე ერთად აღედგინა ახალი სიცოცხლისათვის. და ისე ძლიერი და მაგიური იყო ამ ერთიანობის, თანაზიარობისა და თანალმობის შეგრძნება, რომ მართამ უნებლიედ მოიყარა მუხლი, ძირს დაწვა და უბედურ მიწას ჩაეკონა. ერთხანს ასე პირქვე ჩამხობილი იწვა და მიწასთან ერთად იწმინდებოდა, მერე გულაღმა ამობრუნდა და მადლიერი და გადაშლილი მიეცა წვიმას. განა მართლა ღვთის წყალობა არ იყო ეს განცდა? თუნდაც წამიერი, თუნდაც გიჟური შეგრძნება იმისა, რომ თვითონ იყო ეს გაბახებული მიწა, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწა იყო გაუპატიურებული მართა. მიწა მისი სხეული იყო და ორივენი, ერთარსად შერწყმულ-შეხორცებულნი, ერთ ბედქვეშ იყვნენ და ერთმანეთი უნდა გაემხნევებინათ, ერთიმეორე ეზიდათ და ერთად აეტანათ საერთო ტკივილი, მწუხარება და სირცხვილი... განა შესაძლებელი იყო ამისი ახსნა? რას გაუგებდა ის ეჭვებით გაბოროტებული პატარა ბიჭი, მამაჩემი ვინ არისო, რომ ეკითხებოდა? ან თუნდაც დაკაცებული ვიქტორი რას ჩასწვდებოდა მართას სიმართლეს? რა თქმა უნდა, სიგიჟე იყო, თვითონაც კარგად იცის — იმ დღეებში რა ჭკუა მოეკითხებოდა — სიგიჟე და სიზმარი იყო ის ყველაფერი — პეტრეც, ბროწეულებიც, ფარდულიც, ის სიყვარულიც, ის წვიმაც და ის მოულოდნელი, ნათელხილული ჭეშმარიტებაც, წვიმაში რომ გამოეცხადა: საჯავახოს ულელტეხილზე განცდილი ალტაცება და თავდავიწყება არც უნებლიე შეცოდება იყო და არც სიყმაწვილის შეცდომა. იგი ბედისწერა იყო, ზეგარდმო კარნახი გარდაუვალი უბედურების წინ, თითქოს გრძნეული სული წინასწარ გრძნობდა დასასრულის მოახლოებას და უკანასკნელად ზეიმობდა, ნამდვილი სიყვარულისა და ბედნიერების მოსწრებას ლამობდა, თავისუფლების შეცნობა და დამახსოვრება სურდა სამუდამოდ. ეს იყო სიცოცხლის ბოლო ჯილდო და სახსოვარი, რომელზეც უარი ვერ თქვა სიხარულისათვის გაჩენილმა. თან რა ლამაზი იყო ირგვლივ ყველაფერი! პეტრეც როგორი კარგი იყო, რა უცნაურ სიმართლეს ეუბნებოდა! როგორ უყვარდა მართას პეტრე, და თუ ეს შეცოდებაა, უნდა შეუნდოს უფალმა ღმერთმა. ეს წვიმაც ხომ იმის ნიშანია, რომ მამაზეციერი მზად არის შენდობისათვის. ახლავე უნდა მოინანიოს მართამ თავისი საბედისწერო სიყვარული, მუხლებზე უნდა დაეცეს და პატიება სთხოვოს, ახლავე, აი ამ ეკლესიაში შევა და წარსდგება წინაშე უფლისა... მართლა ეკლესიას ჰგავს ის სილუეტი, მაღლა, სერზე რომ ილანდება. ესეც განგების ნებაა, აბა რა არის — წვიმასთან ერთად მოუვლინა სახლი თვისი. თანაც რა ახლო. უცებ მივა და შეეფარება. ეს ფუთა მთლად დალბა და განადგურდა, რაღა აზრი აქვს მის თრევას. აი, ბილიკიც, ეკლესიისაკენ მიმავალი. წვიმამ ძვალ-რბილში შეაღწია, კაბა სულ გაუტალახიანდა, უამურად ეწებება ტანზე და სიარულს უშლის. შესცივდა კიდეც. იქ, ეკლესიაში, სითბო და სიმყუდროვეა. ცივ ეკლესიაშიც კი მუდამ თბილა. როგორ ენატრება მისი სურნელი. აი, კარიც. ახლა შევა, დაემხობა ქვის იატაკზე და წარმოთქვამს სიტყვებს სინანულისა თვისისა. შემდეგ ლოცვით დაღლილი მიწვება თბილ ქვაზე და დაიძინებს. შემდეგ გაიღვიძებს და აღმოჩნდება, რომ ყოველივე სიზმარი ყოფილა. ამიტომაც უხმობს უფალი თავის სახლში, რომ ცხადში დააბრუნოს. მაგრამ საყდრის კარი მოგლეჯილია, კედლები — ჩამოქცეული, გუმბათი — მორღვეული. შიგნით კი სიბნელეა, შავი, უდაბური სიცარიელე. აწვიმს საკურთხეველს, აწვიმს ამბიონს, აწვიმს წაქცეულ კანკელს. იატაკიც მთლად გალუმპულია. მხოლოდ ერთგან, სანახევროდ მონგრეულ ბურჯებზე შემორჩენილა გუმბათის ნაწილი. მის ქვეშ სიმშრალე და სიმყუდროვეა. საკურთხევლის გაბზარულ კონქში ღვთისმშობლის ფრესკა ილანდება, კი არ ჩანს, სასწაულებრივ სუფევს ნისლით შედედებულ წყვდიადში, უხილავად არსებობს იქ, მაღლა, იმედით აპყრობილი თვალების სინათლეში—სათნო, უხრწნელი, უბოროტო, წმინდა დედობის ღვთაებრივი მადლით მოსილი და თავისი უჩვეულო ყრმით მომავალში საზეიმოდ მწუხარე. ესეც ალბათ განგების ნებაა, რომ მაინცდამაინც ღვთისმშობლის სახე მოუვლინა ცოდვილსა და მონანულს. აჰა, გაახსენდა, გაახსენდა! იმ დღეს ხომ სწორედ მარიამობა იყო. ორი დღეა უგონოდ ხარო, უთხრა ამ დილით იმ კეთილმა ქალმა, დედასავით რომ მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა. ესე იგი გუშინწინ ყოფილა ის დღე, მართა და პეტრე ერთმანეთის გვერდით რომ იდგნენ სოფლის ეკლესიაში. ყველანი იქ იყვნენ: ნათესავები, ახლობლები, მეზობლები, ახალგაზრდები, ბავშვები, მთელი სოფელი შეკრებილიყო და სიხარულით გაბრწყინებულ მარია ბიცოლას ულოცავდნენ, — აქამდე არც დაჰკვირვებია მართა, რომ მარია ბიცოლა მარიამი იყო, — შემდეგ სულგანაბულნი უსმენდნენ მღვდლის საზეიმოდ მწუხარე ქადაგებას და მისი სათნოებითა და სიკეთით შემოსილი ხმა მართას აფოფინებულ არსებასაც მშვიდი მღელვარებისა და სევდიანი სიხარულის ნაკადით აცხრობდა... მათ დღეთა შინა აღსდგა მარიამ და წარვიდა მთათ კერძო მსწრაფლ ქალაქად იუდასსა, და შევიდა სახლსა ზაქარიასსა, და მოიკითხა ელისაბედი, და იყო, ვითარცა ესმა ელისაბედს მოკითხვა მარიამისი, ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსსა მისსსა.. ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა მისსა... ჰკრთებოდა ყრმა იგი... და აღივსო სულით წმიდით ელისაბედ და ხმაჰყო ხმითა დიდითა და ჰსთქვა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა... და ჰსთქვა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისა, რამეთუ აჰა ესერა, ამიერიდან მნატრიდინ მე ყოველნი ნათესავნი... მაშ, მარიამობა დღეს მოუვლინა უფალმა ეს განსაცდელი!... სწორედ მაშინ, როცა მართას გაცისკროვნებულ სულს პირველად შეეხო სიყვარულის ზეციური მადლი და მისი უხრწნელი წიალიც პირველად შეაკრთო წმინდა ჩასახვის ღვთიურმა ნეტარებამ, სწორედ მაშინ განსცადა უფალმა და მოუვლინა ეშმაკი და აღავსო გულისთქმითა და ამპარტავნებით — თანდათან მის აღგზნებულ გონებაში წმინდა სანთლების საიდუმლო მისტერია ჯვრისწერის საზეიმო ბრწყინვალებად გარდაისახა! ცდუნება იყო ის წუთი, აბა სხვა რა უნდა ყოფილიყო — მათრობელა ვნების ბურუსში გახვეული იდგა პეტრეს გვერდით და არვინ იყო მათ გარდა, სხვას ვერაფერს ხედავდა და ვერაფერს გრძნობდა და მხოლოდ მღვდლის სადღესასწაულო ხმა სწვდებოდა ზეგარდმო სიშორიდან — გიხაროდენ, ძეგლო ქალწულობისაო, გიხაროდენ, ბჭეო ცხოვრებისაო, გიხაროდენ, დასაბამო საცნაურისა აღმოდიდებისაო, გიხაროდენ, ხრწნილებისა საგრძნობელთასა უჩინო-მყოფელო. გიხაროდენ, სძალო უთესლოსა სძლობისაო, გიხაროდენ, შუენიერო სიკეთეო ქალწულთაო. გიხაროდენ... გიხაროდენ... გიხაროდენ... არა, არ აპატიებდა უფალი ამ სიხარულსა და ამპარტავნებას, და აკი მოუვლინა კიდეც საშინელი განსაცდელი... მას აქეთ ძილ-ღვიძილში დაცოდვილობს და ვერა და ვერ გამოფხიზლებულა, ვერ გამორკვეულა და ცხადში ვერ დაბრუნებულა. ახლა კი თვალს გაახელს და დარწმუნდება, რომ ისევ იქ არის, საჯავახოს უღელტეხილზე, იმ ფარღალალა ბოსელში, პეტრეს გვერდით ბედნიერებით დაღლილს წუთიერად ჩასძინებია. საჩქაროდ უნდა ადგნენ და შინ წავიდნენ, იქ სუფრაა გაშლილი და ეკლესიიდან დაბრუნებული შინაურები ელიან. იმას რას იფიქრებენ, რომ სადღაც ღელის პირას მიგდებულ ბოსელში სძინავთ და მართას საზარელი სიზმარი ესიზმრება: ვითომ ომია, ვითომ ქართველები ერთმანეთს დაერივნენ, ვითომ პეტრე მოკლეს, ვითომ მართას ვიღაც სასტიკმა კაცებმა საშინელება დამართეს, ვითომ კიდევ სხვებმაც უყვეს ის საშინელება, ვითომ კვდებოდა და ძლივს გადაარჩინეს, ვითომ ახლა ამ დანგრეულ ეკლესიაში შესულა და უყურებს წვიმიანი ღამის წიაღში მანათობელ წმინდა ქალწულს. ალბათ მართლა დიდია უსჯულოებანი და შეცოდებანი მისნი, რაკილა სწორედ თავისი ხსენების დღეს მოუვლინა ყოვლად მოწყალემ და სათნოების სხივმა ასეთი სიზმარი... ახლავე მუხლზე დაე-

ცემა და შეევედრება, რომ მიუტევოს შეცოდებანი, ნებსითიც და უნებლიეც, ცხადიც და სიზმარეულიც, ყოველივეს აღმოთქვამს და მოინანიებს, რაც მართლა განიცადა და რაც ეზმანა, სუყველაფერს აღიარებს და განთავისუფლდება და გაიღვიძებს... ყოვლად წმინდაო დედოფალო ღვთისმშობელო, ყოველთა დაბადებულთა უპატიოსნესო, შეუწევნელთა შემწეო და უსასოოთა სასოო, მიიღე შენი ულირსი მონის სავედრებელი... ვიცი, რომ დიდია ჩემი ცოდვები და არა ვარ ღირსი შენდობისა, მაგრამ უსაზღვროა სულგრძელობა და სიკეთე შენი, წმინდაო ქალწულო, და ნუ მომაკლებ მოწყალებას შენს წარწყმედილ მხევალს, შემინდე გულისთქმანი და ვნებანი, მაკმარე ტანჯვა და გამომიყვანე განსაცდელისაგან, ამიხილე თვალი და დამიბრუნე გონება და გამაღვიძე და მანუგეშე, რომ სიზმარია ეს ყოველივე და რომ არ ყოფილა ეს ავბედითი ზმანებანი — არც ის ღამე, არც ყაჩაღები, არც გადამთიელი სალდათები, არც ის გვამები... მითხარი, რომ არ ვარ წარწყმედილი ბინძური ძეძავი, შარაგზის ძუკნა... განმიდევნე ეს საზარელი მოჩვენებანი და დამაბრუნე ცხადში, სახიერო. ვიცი, ღირსი ვარ სასჯელისა, რადგან ვერ დავიოკე გულისთქმა და შევცოდე წინაშე შენსა და ძისა შენისა, და ქვეყნის წინაშე, რადგან მე, ბიწიერმა და გულისთქმას მინდობილმა, დავღუპე პეტრე, სულ სხვა მიზნით დაბრმავებულმა ვერ დავინახე მისი მიზანი, სულ სხვა სიტყვების მწყურვალმა ვერ გავიგე მისი სიტყვები, სხვა სიხარულის მომლოდინემ ვერ ავხსენი მისი სიხარული, სულ სხვა სიმართლის მცნობელმა ვერ შევიცან მისი სიმართლე და არ გავუშვი იქ, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო. მე, ეჭვებითა და პატივმოყვარეობით შეპყრობილმა, ვაიძულე ღალატი და ჩავაგდე სინანულსა და სასოწარკვეთილებაში და მოვკალი ჩვენი სიყვარული. შემინდე, უფალო, ეს უნებლიე ცოდვა, რომელიც ჩავიდინე სიყმაწვილითა ჩემითა და ნუ დამსჯი სიბრიყვისა და უმეცრებისათვის. მაკმარე საშინელი სასჯელი, ნუ მომიძაგებ მე, წარწყმედილსა და ბიწიერს და ნუ შემრისხავ ძალადობისაგან დაცემულს. შემიწყალე, ყოვლადმოწყალეო დედოფალო, აღმიდგინე სიმშვიდე და სიხარული, რომელიც წამგვარა კაცთა სიავემ და ბოროტებამ და ნუ დამსჯი მე ურწმუნოთა ცოდვებისათვის. განა დამინდობდა იგი, ვინც ხელჰყო სახლი შენი, დააქცია ეს წმინდა კედლები, შეურაცხჰყო ჯვარი კურთხეული, თავისი უსჯულოებით უარჰყო უფლის მცნებანი და კაც ჰკლა და გასწირა ძმა თავისი და სისხლი ანთხია მამა-პაპათა მიწას?.. განა შემიბრალებდა იგი მე, უმწეო ქალს, რომელმაც ვცოდე სიყმაწვილითა და ალტაცებითა ჩემითა... ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო, აღმოგვიყვანე ჩვენ ცოდვათა სიღრმისაგან და ბოროტისაგან სვრისა, ძვრისა, ცეცხლისა, მახვილისა და ზედმოსვლისაგან უცხო თესლთა და ტომთასაგან ბრძოლისა, და გამხრწნელისაგან ქარისა და ყოვლისა ბოროტისაგან იხსენ სამშობლო ჩვენი, მოგვეც სიხარული, სახიერო, და განანათლენ გონებანი ჩვენნი და თვალნი გულისა ჩვენისანი... განკურნე, დედაო, ვნებათა ჩემთა სნეულება და ღირს მყავ წყალობისა შენისა... წმინდაო ღმერთო, წმინდაო იესო, წმინდაო ძლიერო, მოუტევე პეტრეს უნებლიე შეცოდებანი და მომიტევე მე...

და ანაზდად, ამ გულმდუღარე ვედრების პასუხად, სადღაც მაღლიდან თუ შორიახლო წყვდიადიდან, კოკისპირული წვიმის თქრიალში გამოისმა ხმა: „მოგეტეოს ყოველნი ცოდვანი შენნი, რამეთუ შენ ხარ მსხვერპლი ბოროტისა, აღსდექ და დაიცხრე გული და შეუდექ გზასა უფლისა მცნებათასა“... მართამ თავი ასწია და გაფოთებული მზერა მიაპყრო იქით, საიდანაც ეს ხმა მოეყურა. ნუთუ მართლა სასწაულით გარდამოვიდა უფალი და უსმინა და მიუტევა!... დიდება შენდა, ღმერთო ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო, დიდება შენდა, რადგან ინებე ჩემი ხსნა სინანულისა ცრემლითა... დიდება შენდა, მეუფეო, რადგან მოწყალე ხარ და...

უკანასკნელი სიტყვა მეხის გრიალმა წარტაცა თუ აღარც წარმოუთქვამს, რადგან ენა უკვე აღარ ჰქონდა, მაშინვე ჩაუვარდა. როცა უეცრად გაელვებულმა კაშკაშა სინათლემ ნისლით შედედებული წყვდიადი გაფლითა და ამბიონზე ხელაღმართული მოჩვენება გაამჟღავნა. პირველ ელჭექს მაშინვე მეორე მოჰყვა, შემდეგ — მესამე და ყოველ განათებაზე მართა სულ ახლო ხედავდა ამ უცნაურ გამოცხადებას, თითქოს სინათლესა და სინათლეს შორის გაჩენილ მეყვსეულ წყვდიადში იზრდებოდა და სახიერდებოდა, თავსა და ხელშუა ძეხორციელის იერით იმოსებოდა და ბოლოს შეძრწუნებული მართას წინაშე სული და გამოცხადება კი არა, ერთი რაღაც მქშინავი არსება აღიმართა, რომელიც ძალიან აგონებდა ადამიანს, ყოველ შემთხვევაში, ხელფეხიც ესხა, თავიც ება და თვალებიც ისეთივე ავბედითი და იოლად ამოსაცნობი ზრახვით უკვესავდა, როგორც იმათ, ღმერთო დაიფარე, როგორც იმ კაცებს, აქამდე რომ შეხვედრია! მართამ გაიგონა, როგორ გაილრჭიალა ცხელმა, დაკბილულმა გორგალმა მის ტვინში, კეფასთან დასცეცხლა და რაღაც ამოშანთა იქ, უიმედოდ ამოთხარა და ამოძირკვა. „ღმერთო მიშველეო!" — რაც ძალი და ღონე ჰქონდა ამოიძახა შეძრული წიაღიდან, მაგრამ ხმა არ ამოჰყვა, ენა უმწეოდ გასავსავდა პირში, მხოლოდ უიმედო სიჩუმე ამოხძვრა ყელიდან და მიხვდა, რომ დამუნჯდა, შიშისაგან კი არა — სასოწარკვეთისა და უდიდესი გაწბილებისაგან, გულის მომკვლელი, სულის გამპარტახებელი წყენისაგან, სამარადისოდ დადუმდა, რათა არასოდეს დასცდენოდა ბაგეთაგან ის, რასაც იმ წამს ელოდა და განიცდიდა და რაც ახლა უნდა მომხდარიყო. „რა იყო, გოგო, რამ დაგაფეთა?" — დაუყვავა თავზე წამომდგარმა კაცმა. შემდეგ მის წინ ჩაიმუ[illegible] ლაბადის კალთას ამოფარებული [illegible]ბული სანთელი მიაშუქა და ისევ ალერსიანად უთხრა: „მთელმა წითელმა არმიამ გადაგიარა და ჩემი გეშინია? ბოლშევიკებს მაინც არ ვჯობივარ, მაგ ტილიანებს? თავადის სისხლი მიდუღს ძარღვებში..." მაგრამ მართას აღარც ბოლშევიკების ეშინოდა და აღარც მენშევიკების, არც ადრინდელ ზიზღსა და ტკივილს გრძნობდა. თავის გამოუღწეველ მდუმარებაში ჩათბუნებულჩამყუდროებული აკვირდებოდა სიბნელეში გამოლანდულ გარემოს, წვიმის თქიშინს, საამურად მშრალი ქვის ფილების საწოლს, კაცის გაათფთრებულ ალერსს — საშინელს, წარმოუდგენლად უცნაურს, სიცოცხლესთან გამოსათხოვარს, და უკვირდა და ბოროტად უხაროდა, რომ მის წაბილწულ, უგრძნობ სხეულს შეეძლო კაცში ასეთი ველური განცდების გამოწვევა, ადამიანის ამგვარი დამდაბლება და გათახსირება. შურისძიების ვერაგი ნეტარებით ეთანხმებოდა ყველაფერში და მხოლოდ იმას ნანობდა, რომ სიბნელეში ვერ ხედავდა იმის პირუტყვულ სახეს, ვისაც მთელი ღამე ასე თავგანწირულად ეძლეოდა. მიხვდა, რომ ეს უჩინარი და უსახური არსება მისი მსხვერპლი იყო, იმასაც გრძნობდა, რომ კაცმაც იცოდა ეს და ამიტომ ისე უყვარდა მართა, როგორც სიცოცხლის უკანასკნელი წუთი, როგორც სიკვდილი. მთელი ღამე უყვარდა. გამთენიისას წვიმამ გადაიღო, გადაიკარა და საყდრის გარღვეულ გუმბათში ლურჯად მოკამკამე ქვეყანამ შემოიხედა. გაშლილ მოსასხამზე ისხდნენ და ერთმანეთს მისჩერებოდნენ. მამის ტოლა კაცი იყო — ეშხიანი, ვაჟკაცური, კეთილი, გაოცებული უყურებდა მართას, ვერ დაეჯერებინა, რომ ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი იყო. მისი თეთრი საქორწილო სამოსიც უკვირდა. მართამ მთლად გაოხრებული, ლაფში ამოსვრილი კაბა საგულდაგულოდ ამოიკეცა ფეხებში, დაჰმუჭნული კალთა ხელისგულით გაის-

წორა და ვითომ სხვა არაფერი აწუხებდა, სინანულით გააქნია თავი. მართლა არაფერი არ აწუხებდა, პირიქით, მთელს არსებაში დაუტევარ სიხარულს გაეშალა ფრთები და ჩიტივით ამჩატებულ სხეულს ცისაკენ ეზიდებოდა. ძალიან მობეზრებული, ზედმეტი სიმძიმისაგან განტვირთულიყო მისი ღვთაებრივი სული და მის ადგილას კამკამა, გამჭვირვალე სიცარიელე დავანებულიყო. ნეტავი რა მჭირსო, გაოცებით აკვირდებოდა ამ უცნაურ შეგრძნებას და უცებ გაახსენდა, რომ მუნჯი იყო, მთლად ალიტაცა ამ გახსენებამ. ერთხელ კიდევ შიგნით მოისინჯა ეს საამური სიცარიელე, მაგრამ არ დასჯერდა, ხმამაღლა შემოწმება და თავისი სიმუნჯის გაგონება მოუნდა, სათქმელი არაფერი ჰქონდა და გონებაში ნებისმიერად წამოტივტივებულ ბგერებს ჩააფრინდა, ერთიმეორეს გადააბა, ასხმარტალებული ენა რის ვაივაგლახით მოარგო და დალებული პირიდან ამომძვრალ ჰაერის ტალღებს გულის ფანცქალით მიაყურადა: „თა-ვი-სუ-ფა-ლი სა-ქა-რთვე-ლო...“ — ოდნავადაც არ შერხეულა მძიმე, გაურღვეველი სიჩუმე. „რა თქვი?“ — პირში ჩააფრინდა გამოცოცხლებული კაცი, — „ხმა ამოიღე, გოგო, ასე როგორ გეჯავრები, რომ ერთი სიტყვაც არ გემეტება! მითხარი რამე, ნუ გადამრევ, ჩემი გაჭირვებაც მეყოფა!“ ავი გუმანით დაფეთებულმა მხრებში ჩაავლო ხელები და გამეტებით შეანჯღრია: „ხმა ამოიღე, თორემ მიგასრისე კედელზე!“ მართამ კისერი წაიგრძელა, გაბადრული სახე სიბრაზითა თუ შიშით დალმეჭილ კაცს მიუახლოვა, ნიშნისმომგები მონდომებითა და ჯიბრით ააცმაცუნა ტუჩები, გამოყოფილი ენა თვალთან გაუსავსავა, ლამის ქუთუთოები აულოკა გაოგნებულ კაცს და დაიყმუვლა — კეკლუცი სასოწარკვეთილებით, გაპრანჭული მწუხარებით, თითქმის ავხორცული უმწეობით. „მატყუებ!“ — დაიღრიალა კაცმა და ფეთიანივით წამოხტა, — შენ გგონია დაგიჯერებ? რამ დაგამუნჯა ვითომ, რა მოხდა ასეთი! ნადირი ხომ არ ვარ! ჩვეულებრივი კაცი ვარ! დამარცხებული!... დაგლახებული!... უსამშობლოო!.. ლაჩარი!... მოღალატე! მაგრამ მაინც ადამიანი ვარ! სხვები რითი მჯობნიან ვითომ! რით განსხვავდებიან ჩემგან!.. მითხარი, ხმა ამოიღე! მარტო მე ვარ ამ დღეში? მარტო მე ვარ გასვრილი ჩემიანის სისხლით?.. მარტო მე გამოვდექი უღღეური და გამყიდველი? მარტო მე ვიმალები კურდღელივით აქ დაქცეულ ეკლესიაში?... თუ, ცოცხალი რომ დავრჩი, იმიტომ არ მთვლი კაცად! მკვდრები გირჩევნია? შენ გგონია, ისინი გმირები არიან?... იმათ უყვარდათ სამშობლო და თავისუფლება და მე არა? ერთნაირი მთხლე ვართ სუყველა!... მონები!... დედლები!... უტვინოები!... მაგრამ მართალი ხარ, მკვდარი მჯობია ახლა მე. მკვდარი მეტ ცოდვას ველარ ჩაიდენს. ჩემისთანა გლახაკისა და წარწყმედილისთვის კი აწი ყველაფერი სულერთია, მეტი აღარაფერი მომეკითხება. არც მე, არც შენ. ორივე ერთ დღეში ვართ. აღარც სამშობლო გვაქვს, აღარც სახლ-კარი. სისხლ-ხორცი და თვისტომი აღარ გაგვაჩნია. სული დავკარგეთ და ეს ცოდვილი მძორი რაღას მაქნისია აწი, რას უფრთხილდები, რას განიცდი, რას ინანიებ... რისთვის გინდა შენი უბიწოება, კაცი აღარ დარჩა ამ ქვეყანაზე... ქართველის ჭაჭანება აღარ არის... აღარც ღმერთია... გაგვწირა, მიგვატოვა... აი, ხომ ხედავ, ეს ეკლესია რა დღეშია... ეკლესიას რომ დაანგრევს, იმ ხალხთან ღმერთს რა უნდა... აწი უფალს ის უფრო ეამება, რაც მეტად გავირყვნებით და გავთახსირდებით. ამიტომ დამიბნელა გონება. შენი ლოცვა რომ გავიგონე, გული კინაღამ გამისკდა სიხარულით. ღმერთმა მომივლინა მეთქი, ვიფიქრე, თავისი ხელით გამომიგზავნა ეშმაკი, რომ ბოლომდე გამაოხროს და გამათახსიროს მეთქი, ამ დაქცეულ საყდარში ჩამადენინოს ყველაზე ამაზრზენი სიბილწე და ამით დაგვანახოს, ვინა ვართ ჩვენ, ადამიანები, სადამდე დავცემულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვართ, სადამდე მივუყვანივართ ჩვენს ულმერთობას. სიხარულისაგან ტვინი ამემღვრა, სისხლი ამიდუღდა, მივხვდი, რომ დიდი მისია მქონდა აღსასრულებელი და აღვასრულე კიდეც. ამისათვის ზიზღი კი არა, სიყვარული მეკუთვნის, თაყვანისცემა, საიქიოში ცხონება! შენ კი გძულვარ, ხმას არ მცემ, დამუნჯდი თუ რა მოგივიდა! მართლა ხომ არ ჩაგივარდა ენა! ..“ ჰო, დავმუნჯდი, დავმუნჯდიო, თავს უქნევდა მართა, ენა ჩამივარდა შიშისაგან, რადგან მართლა უფლის გამოცხადება მეგონა, შენი ხმა რომ გავიგონეო, ფეხებზე ეპოტინებოდა აძაგძაგებულ კაცს, შეშლილ თვალებთან უფათურებდა ხელებს, გაბზარული ღვთისმშობლისაკენ ახედებდა, — იმან დამამუნჯა, იმან დაგვსაჯა მეც და შენც, სუყველა იმან გაგვასამართლა, მთელ ქვეყანას იმან მიუზღო სამაგიერო ღმერთის დავიწყებისათვისო — ხელებს ასავსავებდა, უტყვი ბაგეებითა და სახის ღმეჭით ეუბნებოდა, და ხარობდა, ზეიმობდა, ალტაცებით შეჰყურებდა კაცის ხელში მოლაპლაპე დამბაჩას, მიდი გაბედე, გაბედეო, აქეზებდა, ოღონდ ჯერ მე მესროლეო, შეევედრა, მკერდი გადაიღეღა, თვალები დახუჭა და პეტრე დაინახა! — თეთრი, თეთრი, თეთრი სამოსით მოსილი და სპეტაკ სინათლეში მომავალი — მესროლე, პეტრეო, — მუდარით ამოიკვნესა და კიდევაც დაიჭექა ტყვიამ, სადღაც შორეულ კლდე-ღრეებში გაჯახუნდა ალტყინებული, მოდღესასწაულე ექო, გრიალით დაბრუნდა უკან, საყდარს მოასკდა და კედლები შემოანგრია. მაშინვე ზეცაც გრუხუნით ჩამოიქცა და დედამიწა შეაზანზარა. მართამ თვალი გაახილა და ჯერ რუხ ღრუბლებად დაგრაგნილი მტვერი დაინახა, მერე — დილის სხივებში მოკამკამე ნაწვიმარი მდელო, მერე — ყანები, მთები, ლაჟვარდოვანი ცა. ეკლესია კი აღარსად იყო. ირგვლივ ეყარა მხოლოდ დუღაბით შეკრული ვეებერთელა ლოდები, დამსხვრეული სვეტები, დაქუცმაცებული კამარები, ქვა და ღორღი... ახლა კი გამეღვიძებაო, გაიფიქრა მართამ, თვალები დაჰყიტა და მოლოდინით გაფაციცდა. კარგა ხანს ელოდა შვების მომგვრელ ცვლილებებს, მაგრამ არაფერი არ იცვლებოდა. ბოლოსდაბოლოს, გაწბილებული წამოდგა, ძირს გაფენილი მოსასხამი აიღო, გაფერთხა და იმ ადგილს დაუწყო ძებნა, სადაც, მისი აზრით, ნანგრევებში მოყოლილი კაცი უნდა წოლილიყო. ბოლოს, ორიოდე ნაბიჯზე, ქვაღორღის ნაყარში საფლავის ბორცვივით ამოზნექილ ალაგს დაადგა თვალი, მოსასხამი გადააფარა და ნასაყდრალიდან გამოვიდა. პირველი, რაც გაახსენდა, სადღაც შორიახლო მიტოვებული აბგა იყო. მის საძებნელად გაემართა და ჭალისაკენ რომ დაეშვა, ზევით, ნასაყდრალთან, ხალხის ხმა შემოესმა. შეჩერდა, მიაყურადა, გაუკვირდა, რომ კიდევ არსებობდნენ ცოცხალი ადამიანები ამ ქვეყანაზე. დაზაფრული ქალების ვიშვიში შემოესმა: „დედა, დედა, დედა, ამას რას ვხედავთ, რავა დაქცეულა, რავა გასწორებულა მიწასთან... ღმერთო, გვაპატიე!... ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, დაილოცოს შენი სამართალი...“ „რაფერ იგრიალა, ქალო, რა საზარელი ხმა გავარდა, ქვეყანა დაიქცა მეგონა... დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა!... “ეს რა ღვთის რისხვა დაგვატყდა თავზე, ხალხო, რავა დევილუპეთ, არ გვაპატიებდა ამდენ ცოდვას და ულმერთობას, აბა რა იქნებოდა... გაიგეთ ხომ, რა საშინელება დატრიალებულა წუხელის ბუკნარის ტყეში?... მთლათ ამოუჟუჟავთ ერთმანეთი. ზარბაზნებით დოუგლეჯია რუსის ჯარს იქაურობა, რა გადაარჩენდა ვინმეს იმ ჯოჯოხეთში... ასალო მოვარდა წუხელის, ადამიანის ფერი არ ედო. უბედურება ტრიალებსო. ძმა ძმას არ ინდობს და მამა — შვილსო... ერთიმეორის დასმენას ვერ ასწრებენო... სალდათები და მილიციონერები დარბიან თურმე სოფელ-სოფელ, სახლებიდან გამოჰყავთ ხალხი დასახვრეტადო... დიდი ცოდვა ტრიალებს... ღმერთო, შენ

გვიშველე... საჯავახოში რკინიგზას მიწყდომია ხალხი თავის საშველად, ერთი წყვეტა და ალიაქოთი ყოფილა. ღვთის რისხვაა, აბა რა არის... დედა, დედა, რავა მტვრად ქცეულა ეს ეკლესია, დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!...“ ბუკნარის გაგონებაზე მართას მამა გაახსენდა, წარმოიდგინა, როგორ იდგა ამაყად თავაღერილი და ოცნებით განათებული თოფების და ზარბაზნების გრიალში, ცეცხლსა და ტყვიების წვიმაში და როგორ იბურებოდა დენთის კვამლით მისი ლამაზი სახე და ტანი. როგორ გამოისმოდა ჯოჯოხეთური გვრგვინვა-ქუხილსა და ველურ ყიჟინაში მისი მშვიდად მღელვარე, ძლიერი ხმა — საქართველოზე მლოცველი და მსასოოვარი. შემდეგ დაინახა, როგორ მოხვდა მამას ტყვია გულში და როგორ შეელება სისხლით საკინძე, როგორ ჩაიჩოქა მკერდზე ხელმიდებულმა და როგორ ჩაეხუტა მიწას. მერე დაინახა, როგორ დაინახა მამამ მართა — თეთრ საქორწილო კაბაში გამოწყობილი, ბედნიერებით გაცისკროვნებული და სუფთა. კამკამა, როგორც ღვთისმშობელი. ნუგეშად მოეფინა ეს ხილვა, სიხარულით გაიფიქრა, ნამდვილად მკვდარი იქნება, აბა რა გადაარჩენდა იმ მეორედ მოსვლაში, ყველა თუ დაიხოცა, მამას რა ღმერთი გაუწყრებოდა, რომ ცოცხალი გადარჩენილიყო, დაიიმედა თავი და ამ იმედით გამხნევებულმა აბგის ძებნა განაგრძო. მალე იპოვა კიდეც გვიმრებში. იქვე ლოდზე მოიკალათა, აბგა გახსნა, ტილოში შეხვეული დამბალი მჭადები, ერთი წველა ყველი, მწვანილი, მოხარშული კვერცხები და შაშხის მოზრდილი ნაჭერი ამოალაგა, კალთაში გაიშალა და ჭამა დაიწყო. მამის ულუფას შეექცეოდა — დაგემოვნებით, ნება-ნება და თითქმის სულ მოათავა, გაქონილი ტუჩები ტილოთი შეიწმინდა, კალთიდან ნამცეცები ჩამოიბერტყა და ასადგომად წამოიმართა, მაგრამ ძირს დაგდებულ ცარიელ აბგას რომ შეხედა, მუხლმოკვეთილი ისევ ლოდზე დაეშვა, — უცებ მეხის გავარდნასავით დასცეცხლა, რომ მამა მართლაც მკვდარი იყო. იქ, ბუკნარის ტყეში კი არ მოუკლავთ, აგერ, ამ წუთას თვითონ მოკლა, თავისი ხელებით და კბილებით დაგლიჯა — გაახსენდა, როგორი სურვილით დაფლითა და ნაჭერ-ნაჭერ შესანსლა მისი ხორცი, როგორ გამოსვლიპა ძვლები და როგორი კმაყოფილებით მოისროლა ტყავი — ფეხიც კი დაადგა მიწაზე დაგდებულ ცარიელ აბგას, რომ მის სიკვდილში დარწმუნებულიყო — და ისე ცხადი იყო ეს შეგრძნება, რომ შეძრწუნდა თავისი საქციელისაგან, ცივმა ოფლმა დაასხა, თავბრუ დაეხვია და აკანკალა. მაშინვე გულიც აერია, ლოდზე გადაეყუდა და რაც შეჭამა, უკანვე ამოანთხია. მერე წარწყმედილივით გაშორდა იმ ადგილს და შარაზე გავიდა. კარგა ხანს ისე იარა, რომ ძეხორციელი არ შეხვედრია. უდაბნოს სიცარიელეში მიაბიჯებდა. მზეც უდაბნოსავით აცხუნებდა, ნაავდრალ ქვეყანას თვალსა და ხელშუა აშრობდა, აფიცხებდა და ისედაც ბურანში მოლასლასე მართას მთლად სიზმარეული განცდებით აბრუებდა. გულგრილად ჩაუარა მის შესახვედრად მომავალ წითელვარსკვლავიან მხედრებს, რომლებსაც უნაგირზე საქონელივით გამობმული ხელებგათოკილი კაცები მოჰყავდათ. მხოლოდ მეწინავე ცხენოსნის ხელში ალმართულ წითელ დროშას გააყოლა თვალი და თითქოს რაღაც გაახსენდა, მაგრამ გააზრება დაეზარა, გზა განაგრძო. მერე დიდხანს იარა უკაცრიელ ადგილას. მერე სოფლის თავში გრძელ ფიცრულ შენობასთან შეკრებილი ხალხი დაინახა და როდის-როდის მიხვდა, რომ მათ წინაშე მიწაზე დაწყობილი უძრავი სხეულები მორები კი არა, ადამიანები იყვნენ. მიუახლოვდა, ცოცხლებსა და მკვდრებს შორის ჩამდგარი სალდათები მისწია-მოსწია და გვამებს დახედა. დაჟინებით, ცნობისწადილით აკვირდებოდა თითოეულ სახეს და თავს აკანტურებდა, თითქოს ყოველ მათგანს სცნობდა და გულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმახსოვრებდა, რომ სადღაც წაეღო მათი ამბავი. როგორ ჰგვანან ერთმანეთს, თითქოს ერთი დედ-მამის შვილები არიანო, ფიქრობდა გაოცებული. ერთი მათგანი სულ უწვერული ყმაწვილი იყო, ორიც მთლად თეთრწვერა მოხუცი. დანარჩენები მოწიფული ვაჟკაცები ჩანდნენ. ყველას ერთნაირი ტკივილი და სინანული ეხატა სახეზე, რაღაც შემაცბუნებლად საერთო, შემაწუხებლად ჯიშისმიერი, უტიფრად სისხლისმიერი ნიშანი, რაღაც თავხედური, მოძალადე, დამთრგუნველი ღვიძლობა, რაღაც უამურად სტიქიური, გენისმიერი ძალა, რომელიც ამაყად მოიბრძოდა ამ უსიცოცხლო სხეულების ბნელი წიაღებიდან ზევით, დაჩეხილ-დასახიჩრებული, ტყვიებით დახვრეტილი სისხლიანი სახეებისაკენ. რა ლამაზები იყვნენ, რა მშობლიურები, რა საზარელი და მშვენიერი იყო ეს სახილველი. ეს რა მოგსვლია, ჩემო პეტრეო, ამოიკვნესა მართამ, როგორ დაუსახიჩრებიხარ ამ წყეულებს, ძლივს გიცანიო. მონუსხულივით დასჩერებოდა სისხლიან გვამებს, აინუნშიაც არ აგდებდა არც მისი გაბედულებითა და უცნაური საქციელით გაკვირვებულ სოფლელებს, არც მეთაურს, ამათგან ვინმეს ხომ არ იცნობო, რომ ჩასჩიჩინებდა. როგორც იქნა, მისწვდა მისი ხმა, კი ვიცნობო, თავი დაუქნია, ყველას ვიცნობო, თქვენც გიცნობთო, მზერა მოავლო ირგვლივ, შენცო, მეთაურს მიეტანა, თვალებს აბრიალებდა, სახეს მანჭავდა, გაურკვევლად იშვერდა ხელებს სადღაც აქეთ, ამ დღისაკენ, ამ სახლისაკენ, ამ ხმებისაკენ. ახლა რომ ესმის... გიჟია ეს ოხერი, გადარეულები და მუნჯები მაკლდნენ ახლა სწორედო, აქაქანდა მეთაური, აქედან მოუსვი, სანამ ამათ გვერდით არ მიმიწვენიხარო. ულრიალა და კინწისკვრით გააგდო ეზოდან. გიჟი ვარო, გზადაგზა ემოწმებოდა მართა, მკერდზე ეპოტინებოდა, სახეზე ეტანებოდა და ფრჩხილებით პოტნიდა. მაგრამ გიჟი კი არა, სიზმარში იყო და ამაოდ ლამობდა გაღვიძებას. ისიც სიზმარი იყო, კარგა ხნის სიარულის შემდეგ სერზე გადამდგარს მოულოდნელად რომ წამოეფეთა — ლალისფერად მოკამკამე ბროწეულის ტყე! გული სიხარულით შეუფრთხიალდა მის დანახვაზე. მზის გულზე გაზუთხული ვეებერთელა მდინარეც იცნო და ჰორიზონტისაკენ ტალღებად მსწრაფი გორაკებიც. ვაიმე, მოვსულვარო, გაიფიქრა, კი არ გაიფიქრა,— უცაბედად დარეკა გონებაში მხსნელი დასასრულის იმედმა, — აჰა, როგორც იქნა გამოაღწია და მოადგა ამ უსასრულო სიზმრის სათავეს, ახლა გაიღვიძებს, თვალს გაახელს და დაინახავს, რომ არაფერი არ შეცვლილა ქვეყანაზე და ყველაფერი ისევ ისე დახვდება, როგორც დაძინებამდე დატოვა. მაგრამ რა უსაშველოდ გრძელია ეს გამოფხიზლების წამი, არა და არ იქნა, ვერ გადმოლახა ძილ-ღვიძილის მიჯნა და ცხადში ვერ გამოვიდა. თითქოს თვალნათლივ ხედავს ნაცნობ არემარეს, მაგრამ მაინც სულ სხვაა ეს გარემო — მანუგეშებლად მშობლიურიც და შემაშინებლად უცხოც, ეს მზის გულზე გესლიანად მოლაპლაპე ლიანდაგიც სიზმრის გაგრძელებასავით გაწვართულა მდინარის გასწვრივ და მასთან ერთად მიედინება უცნობ მომავალში. ეს წასასვლელად აქოთქოთებული ორთქლმავალიც ბედისწერული გარდუვალობით უხმობს ახალი განსაცდელებისა და ტკივილებისაკენ, და ისე მაცდუნებლად სანუკვარია მისი წინასწარი შეგრძნება, ისე საამურია მწვანე ვაგონებს მისეული ჭრელი ბრბოს ველური გნიასი და ისე დამამშვიდებლად საიმედო და მიმზიდველია მისი ბნელი, მდუღარე წიაღის თავშესაფარი, რომ რაღა დროს შიში და ყოყმანია! ჩქარა, ჩქარა, ვიდრე გვიანი არ არის, ვიდრე მატარებელი არ დაძრულა და ეს ღვთის წყალობად მოვლენილი ერთადერთი საშველი ხელიდან არ გამოსცლია. შეფრთხიალდა, გული გაიმაგრა, შლეგივით დაქანდა ციცაბოზე, ჯაგნარებში ჩაფხოწიალდა, ბაქანზე შევარდა და ახვართქალებულ

ბრბოს შეერია. „უკან! უკან!... სად მორბიხართ, თქვე ლორიშვილებო! დავხოცავთ სუყველას!“ — იარაღშემართული წითელი ოფიცერი ვაგონის კარში გაიძურლა და წიხლებით ერეკება საფეხურზე ახორხლილ ხალხს. ძაბრაქუდიანი არმიელები და მილიციელები ხელებგადაგრეხილ მამაკაცებს მუჯლუგუნებითა და კონდახების ცემით მიდენიან ბაქნის გადაღმა პატიმრებით გაჯეჯგილი ეზოსაკენ. ქალებისა და ბავშვების წიოკში, წყევლა-კრულვასა და ლანძღვა-გინებებში, ათასენოვან ყაყან-ჭენიაში, სროლასა და ორთქლმავლის სტვენა-ქოთქოთში გამოისმის ახალგაზრდა კაცის გულგვამიდან ამოგლეჯილი, ბოლმითა და სასოწარკვეთით გაძაგრული ყვირილი: „გაუმარჯოს საქართველოს!“ პეტრეო! — დასცეცხლა ვაგონის კედელზე მიჰყლეტილ მართას. უკანასკნელი ძალღონით გაიბრძოლა, მოზვავებულ სხეულებს აებლატა და კისერი წაავრძელა იმ განწირული ძახილისაკენ, მაგრამ ვერაფერს გახდა და ისევ მინებდა აზავთებული ხალხის მორევს, ვაგონის კიბეს მიაწყდა. მაშინვე ვიღაცის ღონიერმა ხელებმა მაღლა აიტაცა და კიბეზე შეაგდო. თვითონაც დაჰიჩმაჩდა, მუხლებით აფორთხდა საფეხურებზე და რის ვაივაგლახით აძვრა ტამბურში... შემდეგ სარკმელთან იჯდა და გარეთ იყურებოდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა და არც არაფერს გრძნობდა, გარდა მძიმე, უძრავი, უსახელო სიცარიელისა. შემდეგ ვიღაც მხარზე შეეხო და შეანჯღრია. მერე იმ ვიღაცის ხმამაც შეაღწია ცნობაში და მიხვდა, რომ კარგა ხანია ეჯაჯგურებოდა ის ხმა მის გათიშულ გონებას: „შემომხედე, შვილო, რა მოგივიდა, ცუდად ხომ არ ხარო“ — ჩასძახოდა ვიღაც სოფლელი დედაკაცი და თვალებთან უქიცინებდა გალეულ, შეწუხებულ სახეს, ისე ახლოს და მოულოდნელად, რომ მართამ შიშით შეჰყმუვლა და სარკმელთან მიიკუჭა. თავისი ყმუილის გაგონებაზე კი — ისევ მუნჯი ვარო, სიხარულით გაი-

ფიქრა და ღიმილმა გაუბ[illegible] უცნაური ღიმილით შე[illegible] დაკაცი ახლა შორიდან ეკითხებოდა: „მუნჯი ხომ არ ხარ, გოგოო?“ კიო, ამაყად დაუქნია თავი. „მუნჯი ყოფილა ეს უბედურიო, — შეიცხადა ქალმა, — მერე სად მიდიხარ ასე უპატრონოდ? ბათუმში?“... ჰოო, ისევ დაუქნია თავი. „ბათუმში რა გინდა, იქ ცხოვრობ?“ — ახლა ერთი ახმახი, ცხვირა კაცი ჩაეძია და საზარლად ნაცნობი თვალები გულისპირში ჩაუყო. მართას შეაჟრჟოლა და მთელი ტანი ასტკივდა. „ავად არისო, — დაასკვნა კაცმა, — რამე არ სჭირდეს ამ ოხერსო“ — და გრძელი ცხვირი ზიზღით მიაბრუნა. „ავზნიანი ხომ არ ხარ ქალო?“ — ამრეზით შეხედა დედაკაცმაც. მართამ ისევ გაიღიმა და სარკმელში გაიხედა. მატარებელი რომელიღაც ბაქანზე იდგა. ვაგონის წინ ხალხი ირეოდა. შეიარაღებული კაცები მიმოდიოდნენ, რუსულად გაჰყვიროდნენ და დაფეთებულ ადამიანებს აჩქარებდნენ. სადგურის შენობასთან უცხო ჯილაგის ჩაქურიანი კაცები წრიალებდნენ და მთლად გაუგებარ ენაზე ყაყანებდნენ. შენობის უკან სროლა და ყვირილი გაისმა, ჩაქურიანები იქით გაცვივდნენ. სამმა თოფშემართულმა სალდათმა კი ნალების ღრაჭუნით ჩაირბინა სარკმელთან. ერთ მათგანს ძაბრულა ქუდი გადასძვრა და მიწაზე გაგორდა. სალდათი სარკმლის წინ შედგა. მოხოტრილ თავზე ხელი წაივლო, რატომღაც მართას ამოხედა და ნაცნობივით შესცინა სახეში. კი გიცანიო, თავი დაუქნია მართამ. ოთხთვალზე რომ გაფიჩხული ეგდე, ის რუსი არა ხარო? რას მერჩოდი, შენი გალიგვული სხეულით რომ გვერდები დამილეწეო? სალდათმა ვერაფერი გაიგო, ქუდს ხელი დასტაცა და გაქცეულებს გამოუდგა. მატარებელი დაიძრა. მართამ ვაგონში მოიხედა და ის ჩაქურიანი კაცები დაინახა, წელან სადგურის უკან რომ გაცვივდნენ. იდაყვებით მოარღვევდნენ გასასვლელში ჩაჭედილ მგზავრებს და ვიღაცას დაეძებდნენ.

ერთი მათგანი მართას მხარეს გამოძვრა. სარკმელში გადაეყუდა და ბაქანზე დარჩენილ ჩაქურიანებს რაღაცა გასძახა. უცებ მატარებელი მკვეთრად დამუხრუჭდა, ვაგონები ჯახუნით მიეალა ერთმანეთს, თაროებიდან ბარგი ჩამოხრიალდა, ჩაქურიანიც გადმოქანდა და ჩამოცვენილ ჩანთებთან და ჩემოდნებთან ერთად მართას თავზე დაახვავდა. მართამ თავგანწირვით გაიბრძოლა, ორივე ხელით მიაწვა ზედ გადმომხობილ კაცს, მაგრამ ძვრა ვერ უყო და გასავათებული გადაიჩაჩხა სკამზე. ფერდში მტკივნეულად მიბჯენილი დამბაჩის ტარი რის ვაივაგლახით მოიშორა და ერთიანად მოჩვარული და დანებებული ჩაქურიანის სხეულში გაყუჩდა, გაბრუვდა, წვირიანი ქსოვილის მძაფე სუნში, თამბაქოსა და ოფლის ოხშივარში ჩაიხაშმა. ჩაქურიანმა რამდენიმე თათრული სიტყვა ამოიხვიხვინა და მართას ტანზე დაბანაკდა. მთელი ვაგონი ზედ მაწევსო, მოეჩვენა საშინელი სიმძიმით გაჭყლეტილ მართას და რომ არ დახუთულიყო, კაცის ყანგიან კისერსა და მხარს შორის გაყო თავი. ენა გადმოაგდო და დასიცხული ძაღლივით აქელდა. კაცი მოშიშვლებულ მხარზე დააცხრა და გამეტებით უკბინა, ისეთი შიმშილითა და ნდომით ჩაკბიჩა, რომ შეძრწუნებულმა მართამ მოფამფალებული კბილების ჭრიალიც კი გაიგონა და ზიზღით წარმოიდგინა, როგორ ჩარჩებოდა ხორცში კაცის დამპალი, აქოთებული ღჯოლები. მერე მხოლოდ ჩაქურიანის ღრუტუნი ესმოდა, მეტი არაფერი. მერე ჩაქურიანი წამოდგა, სისხლიანი ლაშები სახელოთი მოიწმინდა, „იახში, იახშიო“, — დაიხვიხვინა და წავიდა... „ღმერთო, შენ დაგვიფარე... ღმერთო, გვიხსენი...“ — ძლივს ამოთქვა მართას გვერდით მჯდომმა ჩიხტიკოპიანმა ქალმა და პირჯვარი გადაიწერა. — „არ შეგეშინდეს, შვილო“. — თბილი, მსუბუქი ხელი გადაუსვა თავზე, კაბა გაუსწორა, საკინძე შეუბნია, გაწუწული თმა გადაუწია. „ვისი ხარ, დედა, ასეთი უბედური, მოგიკვდეს ჩემი თავი... რა ვქნა, რით[illegible] შველო მე სამიწემ...“ — ხმადაბ[illegible] თქვამდა და დაკრუნჩხულ ტანზე ეფერებოდა. მართამ თავი გააქნია უარის ნიშნად, აღარაფერი რომ არ უშველიდა და არც უნდოდა შველა, იმის სათქმელად, აღარც საიმისო ძალა ჰქონდა, რამე რომ ეთხოვა. რაღაც სტკიოდა საზიზღრად, სამუდამოდ, თავის მოსაკლავად. უყურებდა ქალის მწუხარე სახეს, შიშითა და თანაგრძნობით სავსე თვალებს, ცვილისფერ ლაწვებზე ჩამოფენილ ჭაღარა კულულებს და უკვირდა მისი არსებობა, ვერ გაერკვია, მართლა ხედავდა თუ სიზმარში ელანდებოდა ეს დაუჯერებლად ჩვეულებრივი სახე და გარეგნობა, დაუბრუნებლად მიტოვებული სამყაროდან მომავალი ნაცნობი ხმა და ეს ხელები — წარსულიდან ვედრებით გამოწვდილი. გაოცებული უყურებდა ამ უცნაურ არსებას და მის მწუხარე სახეზე ამოკითხული საშინელი სიმართლე თანდათან უნელებდა სატკივარსა და სადარდებელს: მარტო მართას უბედურებას არ განიცდიდა ეს ქალი, მარტო მას არ ანუგეშებდა თავისი დედობრივი, დალილი სიკეთითა და სათნოებით. რაღაც უფრო მთავარ დანაკარგს იგლოვდა, რაღაც ენანებოდა უფრო მეტად, ვიდრე მართას თავისი დაქცეული ცხოვრება, რაღაც იცოდა უფრო მეტი, ვიდრე მართამ და ამ ცოდნით ამხნევებდა, ჭირ-ვარამს უიოლებდა, თვალებით, სახით, გულით ეჩურჩულებოდა, რომ მარტო არ იყო თავის ტკივილსა და უბედურებაში, რომ მართაც რაღაც დიდი, საყოველთაო ცოდვის საზღაურს იხდიდა, სასჯელად მოვლენილი სტიქიური უბედურების მსხვერპლი იყო, მთელი ხალხის განსაცდელს იზიარებდა და ამიტომ უნდა გაეძლო, გამხნევებულიყო, მოთმინებითა და სიამაყით უნდა ეზიდა თავისი მძიმე ჯვარი. ამისმა შეგნებამ საოცარი შვება მოჰგვარა, სახლი გაახსენდა, თბილისი, დედა, ახლობლები, გული საამოდ შეუფრთხიალდა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორ მიი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანდა შინ თავის შეწირულ ახალგაზრდობას, განადგურებულ ხორცსა და სულს და როგორ მიემატებოდა მისი ტკივილი საერთო სატკივარსა და მწუხარებას, როგორ იქცეოდა ეს ტკივილი რაღაც ძალიან მნიშვნელოვან და ძვირფას ტანჯვად, რაღაც საყვარელ ავადმყოფობად, რაღაც გულისგულში ჩაზრდილ ერთადერთ სამშობლოდ...

— რა დროს სამშობლოა, ხალხო, ოჯახი თავზე გვექცევა. რა გვექორდანიება და გვესტალინება. ის გვირჩევნია, საკუთარ სტალინს მივხედოთ, სანამ ყველაფერი არ დაგვიკარგავს...

— ჩუმად, გოგო, არ გაიგონოს...

— არ ძინავს?

— დაიძინა მგონია. შეტევა ჰქონდა და ნემსი გავუკეთეთ. ევა, დაიძინა? თუ ძინავს, კარი გამოხურე და მოდი, შეჭამე რამე.

— მადლობა ღმერთს, ნემსი თუ მაინც შველის ცოტათი.

— ანტონს უნდა უმადლოდეთ. ეგ რომ არ გვყავდეს, რა გვეშველება, წამალს ვინ უშოვის. ანტონ, ძვირფასო, ცუდადაა საქმე, გვითავდება, ერთი-ორი გაკეთებაღა დარჩა. თუ რამე არ მოვახერხეთ, დავიღუპებით ნამდვილად. ხომ იცი, სული მაგით უდგას.

— მოვახერხებთ, ნუცა, ნუ გეშინია. შეპირებულია ერთი კაცი, ხვალ უნდა მომიტანოს. ხომ იცი, ვიქტორისათვის სულს არ დავიშურებ. მაგისი ამაგი რომ მახსოვს.

— ჰო, შენ გენაცვალე, თორემ აღარ ვიცი რა წყალში ჩავვარდე... როცა არ ძინავს, საშინლად იტანჯება. განსაკუთრებით გამთენიისას უჭირს... სული ეხუთება, ისე ხრიალებს, რომ გეგონება უკანასკნელად ამოისუნთქებს და გათავდებაო. წუხელის გულგახეთქილი წამოვვარდი...

მაშინაც... იქ. იმ უცხო ქალაქში, მაისის დილას, ღმერთო, დაილოცოს შენი სასწაული, მაშინაც ეს დღე თენდებოდა, კარგად ახსოვს, რადგან ქუჩებსა და ზღვისპირა ხეივნებში მილიციელები და რაზმელები დაძრწოდნენ და კედლებზე გაკრულ ფურცლებში ფხრეწ-დნენ — ეს დღე თენდებოდა, ჩვილის უჩვეულო სუნთქვამ რომ გამოაღვიძა. დაფეთებული წამოხტა ლოგინიდან, საწოლთან მოდგმულ აკვანს მიაყურადა, ბავშვისაკენ გადაიხარა და სანამ ლოყაზე შეეხებოდა, შორიდანვე იგრძნო ჩახურებული საფენებიდან და პაწაწინა თავ-პირიდან ადენილი ცხელი ოხშივარი, დაზაფრული წამოვარდა, შუქი აანთო და გათარანებული ჩვილის დანახვაზე ყმუილი აღმოხდა. სასწრაფოდ ახსნა არტახები, საფენების გამოცვლა დააპირა, მაგრამ ბავშვი ცხელ ოფლში ცურავდა და ნიავმა არ დაჰკრასო, შეეშინდა, ისევ საგულდაგულოდ შეფუთნა, თავშალშიც გაახვია და კარგა ხანს უაზროდ და უმწეოდ დაჰყურებდა, მერე, როგორც იქნა, აზრი მოიკრიფა, ხალათი შემოიცვა და ეზოში გავარდა. ჰო, მაისი იყო, გაღუებული გაზაფხულის სითბო და სურნელი მოეფინა და გოხება გადაუწმინდა. ექიმი უნდა მოეყვანა, მაგრამ როგორ? საიდან? ამ ქალაქის გზა-კვალი არ იცოდა და ექიმს სად მიაგნებდა? ან თავის გასაჭირს როგორ აუხსნიდა, რას გააგებინებდა? ფულიც სულ აღარ დარჩა, სწორედ გუშინ გადაუხადა კატოს ბინის ქირა. კატო უკვე ამდგარი იქნება. მეეზოვეები ხომ დილაბნელზე დგებიან. სტეფანეც ადგებოდა, ოღონდ არ გაასწრონ. იმათი ოთახისაკენ გაქანდა. სარკმელში შუქი ჰიატობდა და იმედმოცემულმა დააკაკუნა მინაზე. გაწეულ ფარდაში კატომ გამოიჭყიტა. მართას გული გაუხალისა მისი მშვიდი, კეთილი სახის დანახვამ. ხელების ქნევითა და ცრემლიანი თვალებით აუხსნა თავისი გასაჭირი. კატო მაშინვე მიუხვდა, ნუ გეშინია, მართაჯანო, გამოსძახა და თავის კაფანდარა სტეფანესთან ერთად მართას ოთახისაკენ გაცუხცუხდა. შიშისა და სასოწარკვეთისაგან დაძაბუნებული მართა კი კედელს მიყრდნობილი იდგა და ფეხის გადადგმა ვერ მოეხერხებინა. თუ არ უნდოდა? საშინელი ტკივილით გაუკაწრა გული ამის უეცარმა შეგნებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ მართლა არ უნდოდა? ღმერთო, აპატიე ცოდვილი ფიქრები, მაგრამ თუ ასე არ იყო, მაშინ რატომ იდგა უძრავ მედროდ და თავისთავისვე გაუმხელელი სამარცხვინო იმედით რატომ ელოდა კატოსაგან უბედურების ნიშანს? რატომ გაუელვა გონებაში რაღაც გამოუთქმელმა დაუმთავრებელმა აზრმა, რას ევედრებოდა ღმერთს — შვილის გადარჩენას... თუ სიკვდილს? რა მოჰქონდა იმ უსასრულოდ გაგრძელებულ წუთს — სასჯელი თუ თავისუფლება? თუ თავისუფლება — მაშინ რისთვის განსცადა უფალმა და თუ სასჯელი — მაშინ აქამდე რაღად აცოცხლა ბავშვი, რატომღა აწვალა მართა იმ ღვთაებრივი სიხარულით, ახალშობილის პირველი ხილვისას რომ განიცადა? რად უბოძა დედობის ბედნიერება, თუ მაშინვე ასეთი ეჭვებითა და სინანულით დატანჯავდა? ხვდება, ხვდება: სწორედ ეს იყო უფლის სასჯელი ჩადენილი ცოდვისათვის, ბავშვის ავადმყოფობა კი არა, ის განცდები, გულს რომ უჯიჯგნიდა, შვილის დაკარგვის შიში და მწუხარება კი არა, ის საშინელი ფიქრი, სიცხით გათანგული სულთმობრძავი ჩვილის დანახვაზე რომ გაუკრთა გონებაში. აქამდე არც უფიქრია, რომ შვილის სიკვდილი იხსნიდა განსაცდელისაგან, წარსულს უკვალოდ წაშლიდა და ახალი ცხოვრების გზაზე დააყენებდა. ჯერ ხომ მხოლოდ თვრამეტი წლისა იყო, მართალია გაბახებული და ენაჩავარდნილი, მაგრამ მაინც ახალგაზრდა ლამაზი ქალი, რომელსაც ჯერ მთელი სიცოცხლე წინ ჰქონდა. უშვილოდ შინ დაბრუნებასაც შესძლებდა — დედა, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ მიიღებს, ყველაფერს გაუგებს და აპატიებს. როგორ დაეძებს ალბათ საწყალი მთელ ქვეყანაზე შვილსაც და ქმარსაც — ჰო, დაბრუნდება და ყველაფერს უამბობს. მართა ხომ მსხვერპლია და არა ბრალეული. მას ხომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, გარდა ერთისა, ღმერთო აპატიე, გარდა იმ წუთიერი თავდავიწყებისა, პეტრესთან რომ განიცადა. მაგრამ ის ხომ სიყვარული იყო და განა სიყვარული [illegible]ვაა? ყველაფერს აიტანდა, ოღონდ დარწმუნებული იყოს, რომ ეს სიცხით გათარანებული ბავშვი იმ პირველი შეცდომის ნაყოფია და არა იმ ჯოჯოხეთური შეცოდებისა; ოღონდაც იცოდეს, რომ ვიქტორი პეტრეს შვილია, მისი სისხლი დაუდის ძარღვებში და არა იმ ავაზაკი ფირალების, იმ მწითური სალდათის, იმ დაქცეულ საყდარში თავშეფარებული მეამბოხის, იმ გაჯეჯგილ ვაგონში წამოფეთებული გადამთიელის, იმ წითლების, თეთრების, შავების, უსახური მოძალადეების, საზარელი მოჩვენებებისა და სიზმარეული ლანდების! ღმერთო, ველარ უნდა გამოაღწიოს ამ უსასრულო ძილქუშიდან? ცხადში ველარ უნდა დაბრუნდეს? რისია ეს სუნი, ჩვილის პირველი სიახლოვისთანავე რომ იგრძნო? რატომ არ შორდება ამდენ ხანს? — ნუთუ იმათი სუნი უდის — ყველასი ერთად! ნუთუ შესაძლებელია, რომ მართლა ყველასი იყოს? სიცხისაგან გაპარპალებული მთლად აშმორდა. კატო ვერ გრძნობს ნეტავი? კატომ ხომ არ იცის, რისი შეიძლება იყოს ეს საზიზღარი სუნი? კატო, მიშველე, კატო! მითხარი, რა სჭირს ჩემს საცოდავ შვილს! ექიმს დაუძახე, იქნებ არ მომიკლას, იქნებ ცოდვაზე ცოდვა არ დამიმატოს! ღმერთო, იხსენი პატარა ვიქტორი, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, დაიფარე ბედკრული მართა. კატომ იცის რა უნდა ქნას, ხუთი შვილი გაუზრდია... „ნუ გეშინია, მართაჯან, აი, ეს დამიჭირე, ახლავე თხის ქონით და ძმრით დავზილო, წამალიც დავალევინო, სტეფანე უკვე გარბის ექიმის მოსაყვანად. ფული? არა გრცხვენია, მართაჯან, აქ არა ვართ? აბა, წამალი დალიე, გენაცვალე, აბა პირი დააღე..." ნუთუ მართლა ვერ გრძნობს კატო, ვერავინ ვერ გრძნობს მართას გარდა? შორიდან მოდის იგი, იმ წუთიდან, როცა პირველად შეეხო კვირტივით მფეთქავ თოთო სხეულს და სასოებით გულზე მიიხუტა.

თვალცრემლიანი სიხარულით აკვირდებოდა, როგორ გადადიოდა მისი მკერდიდან შვილში მაცოცხლებელი ძალა და თვითონაც სოიცარი ძლიერებით ივსებოდა. თანდათან ქრებოდა ყველა ტკივილი და მწუხარება. რაც მანამდე განეცადა. ნელ-ნელა მკრთალდებოდა გულისა და გონების მდაგველი მოგონებები და მხოლოდ ერთი მწარე სინანული აწუხებდა — ამ სიხარულსა და ბედნიერებას რომ ვერ გამოხატავდა, ხმამაღლა რომ ვერ გამოთქვამდა თუნდაც ერთ აზრიან სიტყვად, ერთ გასაგებ ამოძახილად. რათა ქვეყნიერებისათვის ემცნო თავისი სათქმელი. ეს იყო ტანჯვა, მაგრამ უდიდესი ნეტარებაც, უმძიმესი სასჯელი და უძვირფასესი საზღაურიც ამ სასჯელისათვის, რადგან ნებისმიერი სიტყვა, ხმამაღლა წარმოთქმული ბგერაც კი უეცრად დაუშრეტდა სულში ჩამდგარ სინათლეს. რაც უფრო უკვირდებოდა თავის ყოფას, მით უფრო ხვდებოდა, რომ ეს ტკბილი ტანჯვაც უფლის წყალობა იყო, ყველაფერი განგების ნებით იყო განსაზღვრული და განხორციელებული. არა, არ შეიძლებოდა იმისი ხმამაღლა აღიარება და მიღება, რაც ასეთი ცოდვის ნაყოფი იყო, რაც ბილწად ჩაისახა და სიბილწისათვის იშვა. მისი მხოლოდ ამგვარი უკულმართი სიყვარული შეიძლებოდა და აი, მიუბოძა კიდეც ღმერთმა იგი მარადიული სიმუნჯისა და სინანულის საზღაურად... და ამ სუნის!... მაშინვე, იმ პირველ სიხარულსა და მწუხარებაში იგრძნო, რომ ჩვილს რაღაც უამური სუნი ასდიოდა. ჯერ იფიქრა, ყველა ახალშობილს ასეთი სუნი აქვსო. მაგრამ ვერ მოიგონა, რომ ოდესმე სმენოდა ამგვარი რამ. მერე მიხვდა, რომ ბავშვს კი არ ასდიოდა ეს უჩვეულო სუნი, არამედ თვით მას, მართას, თუ ორივეს ერთად, დედასაც და შვილსაც, ერთიმეორის სიახლოვეს, მათ ერთად ყოფნას. დაუჯერებელი იყო, მაგრამ აშკარად გრძნობდა, რომ მხოლოდ მაშინ აღიძვროდა ეს სუნი, შვილს რომ ხედავდა ან ეხებოდა. იქნებ ორსულობაში დაემართა? გ[illegible]ძიმე ქალის ათასგვარი უც[illegible]კილება უჩნდებაო. ზოგი ნახშირის ჭამას დაიჩემებს. ზოგი კირისას, ზოგს რა სუნი აეკვიატება და ზოგს რაო. მაგრამ ორსულობაში რომ არაფერი შეუმჩნევია? იქნებ მშობიარობის ბრალი იყო? რამდენჯერმე დააპირა. კატოს ან ვინმე გამოცდილ ქალს ვკითხავო. მაგრამ ვერ გაბედა. რადგან უკვე საკუთარი თავისთვისაც გაუმხელელად, გულის მომკვლელი ეჭვებით ხვდებოდა, თუ რის ბრალი უნდა ყოფილიყო ეს. დიდხანს უძალიანდებოდა ავისმეტყველი გუმანის გაცხადებას, მაგრამ ერთხელ მაინც ვერ გაუძლო და თავზარდაცემულმა აღიარა — ვიცი ეს რისი სუნიც არის. ვიცი, ვიციო! — და მაინც ვერ დაიჯერა ასეთი უმოწყალო სასჯელის შესაძლებლობა. მაშინ არ დაიჯერა, მაგრამ შემდეგ, დიდი ხნის მერე, პატიმრობიდან დაბრუნებულ ვიქტორს გულში რომ იხუტებდა, უცაბედად, მეხის დაცემასავით იგრძნო ის გადავიწყებული სუნი და შიშისაგან მუხლები მოეკვეთა მართლა ის იყო — იმ წყეული ღამის, იმ ჯოჯოხეთური დღეების, იმ ძალმომრეობის, იმ პირუტყული ვნებების, აქრილი თესლის საზიზღარი სუნი... გულშემოყრილმა შეხედა ათი წლის უნახავ შვილს და მისი გადაგვარებული სახის ნაკვთებში, მთელ მის იერსა და გარეგნობაში, მეტადრე მღვრიე, დამთრგუნველი უტიფრობით გამომზირალ თვალებში იცნო ის შორეული დრო! ვიქტორი საოცრად დამსგავსებოდა თავის მამას — იმ ერთარსებად ქმნილ მრავალთავიან ურჩხულს, რომლის საზარელი სახება დღითიდღე, წლითიწლობით იძერწებოდა მართას ცნობიერებაში, ასო-ასო იკრიბებოდა საშინელი მოგონებებისა და სიზმარეული ხილვების ცალკეული ნაწილებისაგან, ნელ-ნელა იბადებოდა პირდაღმეჭილი და თმაგაწეწილი დროჟამის ბნელი საშოდან — ღამეული ბუნების შავი ღრმულებიდან, პირუტყვის სუნით გაჟღენთილი ბინძური ბოსლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან. დაქცეული ეკლესიებიდან, ხალხით გაჭედილი შმორიანი ვაგონებიდან, ველური ენერგიით გატენილი ბანჯგვლიანი სხეულებიდან... ეს არსება ახლა მის წინაშე იდგა, არა წარმოსახული ან სიზმრისეული ჩვენება, არამედ რეალური, ხორციელი ადამიანი, გამოცხადებული მამა იყო. როგორც კი სახეში შეხედა, გააზრებამდე ელდად ეცა ეს ნაცნობი იერი. ტვინში დასცეცხლა და გონება დაკარგა. შვილს ეგონა, ჩემი დანახვის სიხარულით მოუვიდაო, ხელში აიყვანა და საწოლზე დააწვინა. „დედა! დედაო!“ — ჩასძახოდა შეწუხებული. ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე მფეთქავ მართას ეს ხმაც იმ საწყევარი დღეების ხმაურში ჩაესმა, ნელ-ნელა გაახილა თვალი, წყვდიადიდან წყვდიადში გამოვიდა და მიხვდა, რომ კიდევ ერთხელ დიდი წყალობით გარდამოვიდა უფალი, კიდევ ერთხელ დაინდო ცოდვილი მართა და თვალის ჩინიც წაჰგვარა, რათა ამიერიდან აღარასოდეს ეხილა შვილის სახესა და გარეგნობაში ცხადლივ აღბეჭდილი პასუხი მთელი ცხოვრების მტანჯველ შეკითხვაზე. გულმხურვალე მადლობა შესწირა ამ წყალობისათვის. ამიერიდან თავისი სიბრმავისა და სიმუნჯის ტაძარში განდეგილი გაათრევდა მისჯილ წუთისოფელს, ვერც პირი მისი და ვერც თვალი ველარ გასცემდა გულში ჩამარხულ სიმართლეს, მხოლოდ მამაზეციერს ეცოდინებოდა ჭეშმარიტება, იგი შეუნახავდა საიდუმლოს უკუნითი უკუნისამდე, მხოლოდ მას, გულმოწყალესა და ყოვლის მიმტევებელს, თავისი მარადიული დუმილისა და მარადიული წყვდიადის საუფლოდან გაანდობდა სათქმელსა და სავედრებელს...

— გეყოფათ ახლა, თავიდან არ დაიწყოთ. როგორ არ გრცხვენიათ!

— თქვენ მაინც რა გაქვთ სათქმელი. მე კიდევ ჰო, მაგრამ თქვენ? ცუდი მამობა გაგიწიათ თუ რა? ვერ გაგზარდათ? ვერ გიპატრონათ? არ გადაგყვათ სუყველას. შინაურსაც და გარეულსაც? სწავლა-განათლება მოგაკლოთ თუ კაი ცხოვრება! რას ერჩით, რითი ხართ უკმაყოფილო...

— იმას ვერჩით, რომ ამ დღეში ჩაგვყარა! სასტუმროდ აქცია ოჯახი! ნაბიჭვრებით და მაწანწალებით გაავსო აქაურობა! ახლა კიდევ ის ვაჟბატონი ჩამოიყვანოს და მთლად დაგვამშვენებს!

— ის ვაჟბატონი ისეთივე შვილია მისი, როგორებიც თქვენ ხართ.

— ჰოდა გყავდეთ, ბატონო, ჩვენ რალას გვეძახდი, თუ ყველაფერი გადაგიწყვეტიათ! მაინც კი ხარ მიჩვეული სხვისი ნაბუშრების გაზრდას! ერთ ნაბუშარს მალე შენი ქალიშვილიც მოგიყვანს და მერე რაღა გიჭირს...

— ჩემს ქალიშვილს თავი დაანებე! მის ნაბუშარს შენ არავინ გეკითხება, არც არაფრით გაწუხებს.

— რას ჰქვია არ გვაწუხებს! შეწუხება რა გგონია შენ? თავმოყვარეობა არა გვაქვს? საზოგადოებაში არ ვცხოვრობთ? თუ ტყე-ტყე დავწანწალებთ შენი შვილივით ან შენსავით!

— ასმათ, ახლა მართლა ზედმეტები მოგდის. დედაა, რაც არ უნდა იყოს...

— პატარები რომ მიგვატოვა, მაშინაც დედა იყო?

— ასმათ!...

— აი, ხომ გესმით, ის დღე დაიქცეს, მე რომ ამ სახლში დავბრუნდი...

— რას ბრუნდებოდი ნეტავი! რა მოგვიტანე სირცხვილისა და სიმწრის მეტი, ან მამაჩემის მზრუნველობამ რა მოგვიტანა? აი, ამ ქალით გაგვაბედნიერა და გიჟი ძამიკოთი...

— მამაშენს საყვედური არ ეკუთვნის, არც თქვენგან, არც ჩემგან...

— აბა რა მიგარბენინებდა...

— თვითონ იცის, რატომაც წავედი... მაგასთან მართლა სასტუმროს ბოზად ვგრძნობდი თავს, მე კი ნორმალური ადამიანური ურთიერთობა მინდოდა... ახალგაზრდა ქალი ვიყავი, სიყვარული მწყუროდა, თავმოყვარეობა მქონდა, თქვენსავით მონა კი არ ვყოფილვარ... ამიტომ წავედი. თქვენ კი სულ მახსოვდით. შორიდან გეფერებოდით, თუ სა-

დმე ტანსაცმელს ან სათამაშოს წავაწყდებოდი, თქვენთვის ვყიდულობდი, მაგრამ ვერ გიგზავნიდით, მე უბედური, მამათქვენის მეშინოდა — არ გადაუყაროს და ბავშვებს გული არ მოუკლას მეთქი. ნინოსთვისაც კი არ მიმიცია იქიდან არაფერი. სულ ცალკე მქონდა გადანახული. ხანდახან გამოვაწყობდი, სათითაოდ ვათვალიერებდი და გიჟივით ვეფერებოდი. არავინ არ იცის ეს... არავინ არაფერი არ იცის... არ მეგონა, თუ ასე გამიჭირდებოდა... სიყვარულმაც ვერ გადამატანინა უთქვენობა, ვერც ნინოს გაჩენამ. თქვენ რომ არ მყოლოდით სადარდებელი, ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა... მაშინ ასე მეგონა... თუ რამე სიხარული მინახავს ამ ცხოვრებაში, ის წლები იყო. მაგრამ ყველაზე დიდი ტანჯვაც მაშინ განვიცადე... თქვენ ვერ გაიგებთ ამას... ქალები ხართ და მაინც ვერ გაიგებთ, რადგან გულები არა გაქვთ, სიყვარული არ შეგიძლიათ. თქვენ შეცდომის უნარიც კი არა გაქვთ... ამიტომ ვერც წასვლას მაპატიებთ და ვერც დაბრუნებას...

— ჩვენი გულისათვის არ დაბრუნებულხარ! გამოგაგდეს და იმიტომ მოხვედი. წასასვლელი აღარსად გქონდა...

— არ გამოვუგდივარ, ჩემით წამოვედი... იმაში კი მართალი ხარ, რომ მარტო თქვენთვის არ დავბრუნებულვარ. ვერც ამას მიხვდებით. ნინოს მამასთან მართლა ბედნიერი ვიყავი. ვუყვარდი და მეც მიყვარდა, ქალად ვგრძნობდი თავს, თანასწორ ადამიანად... მამათქვენის შემდეგ სხვა რა უნდა მენატრა. მაგრამ დრო გავიდა და თანდათან რაღაც წუხილი შემეპარა გულში, თითქოს შიში დამეუფლა, შეშფოთება ვიგრძენი თუ... არც კი ვიცი რა დავარქვა იმ განცდას... თითქოს რაღაც ემუქრებოდა ჩემს ბედნიერებას, თითქოს მყარი არ იყო, საფუძველი არ ჰქონდა... მაშინ ვერ ვხვდებოდი ამის მიზეზს, მაგრამ მერე ამოვხსენი, მგონია... ეტყობა, სიყვარულსაც რაღაც სხვა ძალა უნდა ამაგრებდეს, იქნებ შიშიც. არ ვიცი... რაღაცის დაკარგვის შიში... სიფრთხილე... რაღაც [illegible]ლება იმის წინაშე, ვინც გიყვარს... ეტყობა, ან შენ უნდა იყო ძლიერი და მისი სისუსტე უნდა გიყვარდეს, ან — პირიქით. ორი თანასწორი ერთმანეთს დიდხანს ვერ შეიყვარებს, რადგან ვერც ერთი თავისუფალი ვერ იქნება. სიყვარული კი თავისუფლებაა. უაზრო თავისუფლება კი არა, არაფერს რომ არ გავალებს, და არც პასუხს გთხოვს, არამედ ისეთი... დამოკიდებული... მოვალეობით შებორკილი თავისუფლება... ან შიშით... ან რაღაც სხვა გრძნობით... სულაც სიძულვილით... ჰო, სიძულვილითაც... არც კი ვიცი, რატომ გყვები ამას, რას მივედმოვედები... ძნელია ამის ახსნა. ალბათ შეუძლებელია... მაგრამ მაპატიეთ. მინდა როგორმე თავი გავიმართლო, მიგახვედროთ, რატომ დავბრუნდი. ყოველ შემთხვევაში, მაშინ რამ მაიძულა... სისულელეს ვროშავ... ერთი სიტყვით, ის სიყვარული და თავისუფლება არაფერს არ მთხოვდა, არ მაშინებდა, არაფერზე არ იყო დაშენებული ისეთზე, გასაფრთხილებელი რომ ყოფილიყო. ერთმანეთზე დამოკიდებული არ ვიყავით, აი რაშია საქმე. მხოლოდ თანასწორობა არაფერს ნიშნავს. ერთმანეთის ვალი არ გვქონდა — არც სულიერი, არც ხორციელი, არანაირი... ვიცი, თქვენ გინდათ თქვათ, არც მატერიალურიო, საერთოდ, ალბათ, ამასაც აქვს მნიშვნელობა, ალბათ კი არა, ჰქონია მნიშვნელობა, მერე დავრწმუნდი, მაგრამ მაშინ ეს არ იყო მთავარი. ფულს არც ახლა ვგულისხმობ. მდიდრები არ ვყოფილვართ, მაგრამ არც ლუკმაპური გვენატრებოდა. ამ მხრივ სწორედაც რომ მასზე ვიყავი დამოკიდებული, რადგან მე არ ვმუშაობდი და ის გვინახავდა... ეს არაა მთავარი ამ შემთხვევაში... მე სულ სხვა ძალაზე ვლაპარაკობ, იმაზე, მამათქვენს რომ ჰქონდა... სულ ვძულდი... ვიცი ეს... მაგრამ არ იმჩნევდა, იმიტომ, რომ მაგარი კაცია, ძლიერი ნებისყოფა აქვს და არ ამჟღავნებდა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიძულვილს. პირიქით, გარედან მაყურებელ ადამიანს მოეჩვენებოდა, რომ მასზე მოყვარული და ყურადღებიანი ქმარი მეორე არ მოიძებოდა. ჩემი გულისათვის კაცი ჰყავს მოკლული. პირველად ვამბობ ამას, არავინ არ იცის...

— ესეც ახალი ამბავი! კაცის მკვლელის შვილი ვყოფილვარ! ღმერთო ჩემო...

— მოეჩვენა, რომ სხვანაირად შემხედა. მაგრამ არ იყო მართალი. არაფერი სხვანაირად არ შეუხედავს იმ კაცს. არც ვიცნობდი. აქ მოიყვანა და ერთად დალიეს. ტყუილუბრალოდ აუხირდა. მაგრამ შევეშვათ ამ ამბავს, რა გასახსენებელია...

— ამ სახლში...

— შევეშვათ მეთქი. ამ სახლში არ მომხდარა. კარგა ხნის მერე გაუხსენა სადღაც.

— შენ კი ამბობ არ ვუყვარდიო.

— ხანდახან მართლა მეჩვენებოდა, რომ ვუყვარდი. ჩვეულებრივი ადამიანური სიყვარულით კი არა, რაღაც მტაცებლური, სისხლისმსმელი ვნებით, დესპოტურად... მაგრამ ესეც სიყვარული იყო და მთლად გულგრილობას მაინც მერჩივნა. იმედიანად ვიყავი — ვილაცას, თუნდაც ნადირს, ვეკუთვნოდი, ძალზე ძლიერსა და უჩვეულოს. ვიღაც მიცავდა, მიფრთხილდებოდა, ჩემს მაგივრად ფიქრობდა და მოქმედებდა, ამან კი შეჩვევა იცის, ჩემო კარგებო, ბედნიერების ილუზიით გაბრუება, და თავის დახსნაც აღარ გინდა ამ ტკბილი, დამბანგავი მონობისაგან. ეს ავადმყოფობას ჰგავს, სიგიჟეს, ნარკომანობას — ერთხელ შეიძლება კი დაფიქრდე და მიხვდე, რომ თავს ილუპავ, სულიან-ხორციანა ნადგურდები და განკურნებას მოინდომებ. შეიძლება ნებისყოფაც გამოიჩინო და იმკურნალო კიდეც. მაგრამ ვერ დაივიწყებ იმ ნეტარებას, ავადმყოფობაში რომ განიცდიდი. ვერც მე დავივიწყე. იმ ერთხელ თითქოს გავბედე, ავჯანყდი და გავიქეცი კიდეც. მაგრამ სად გარბიხარ თურმე, რომელ თავისუფლებაში. მონის თავისუფლება ვის გაუგონია? [illegible] ლი ცხოვრება გაგაწვალებს ეს [illegible] ფლება, სიცოცხლეს გაგიმწარებს, სიყვარულს სიძულვილად გიქცევს. სწორედ ასე დამემართა და ამიტომ დავბრუნდი. მშვიდი და უხიფათო მონობა მომენატრა. ვიქტორის საიმედო და მზრუნველი ტირანია. ასი საყვარელიც რომ დაეხვედრებინა შინ, მაინც ეს მერჩივნა. ფეხებში ჩავუვარდი და პატიება ვთხოვე. ვიცი, რომ არ მაპატია. მაგრამ იმისათვისაც მადლობელი ვარ, რომ კარი გამიღო და შემომიშვა. მთელი ცხოვრება მადლობელი ვიქნები. თქვენ გგონიათ, იოლი იყო ამის გაკეთება? ან იმას გაძლება არ უნდოდა, სახლში სხვა ქალი რომ დამხვდა? ევა, ხომ გახსოვს, რა დღეში ვიყავი, როგორ მიჭირდა, მაგრამ ერთი გადაბრუნებული სიტყვა მაინც მითქვამს შენთვის? იმიტომ, რომ უფლება არ მქონდა. დამნაშავე ვიყავი და ტანჯვითა და მოთმინებით უნდა გამომესყიდა ეს დანაშაული. მართა, სად ხარ, ხომ გესმის ჩემი ლაპარაკი? გამოდი, დამემოწმე, რომ ასე იყო. შენ ხომ მაინც კარგად იცი, რა ცეცხლი მენთო გულში, ხომ აგიხსენი მაშინ ყველაფერი, აღსარება ხომ გითხარი?...

„ვიცი. ყველაფერი კარგად ვიცი. ყველანი ჩემთან მოდიხართ აღსარებებით, თითქოს წყალი ვიყო ანდა მცენარე... ჰო მცენარე... ბებია მცენარედ იქცევაო... რას არ მოიფიქრებს გიჟის გონება... ყველანი ჩემში ხართ, ჩემს ცოდვებში იწყებით და გრძელდებით. ერთ დაუსრულებელ აღსარებად და მონანიებად. და არვინ იცის, როდის მოვა შენდობა... თუ განკითხვა?... განკითხვა... ამრიკო, ხომ მაგრად ხარ დაბმული? რამე ხომ არ გაწუხებს? ამ დილით რაღაც არ მომეწონე, თითქოს აღგზნებული იყავი... რისი გეშინოდა, შე საბრალო?"...

— ჰო, მეშინოდა კიდეც. მაგრამ იმისი კი არა, როცა იქნება ყველაფერს გამიხსენებს და გარეთ გამაგდებს მეთქი. ამისაგან დაზლვეული

ვიყავი, რადგან კარგად ვიცნობდი მის ხასიათს. რაკი მიმილო, მიმილო და მორჩა. ვითომც არაფერი მომხდარა. ეს არ მაფიქრებდა. მაგრამ იმისი კი მეშინოდა, მე თვითონ არ დამეშვა შეცდომა, რაიმე ისეთი არ ჩამედინა, ჩემსავე მადლიერებაში რომ დამაექვებდა, იმაზე არ მეფიქრა, თუ რა იყო მისი სიკეთის მიზეზი. არადა, ვიცოდი, და ეს იყო ყველაზე ძნელი. მთელი ცხოვრება ვთვალთმაქცობდი. ტყავში ვძვრებოდი, რომ გულუბრყვილო და მადლიერი ვჩვენებოდი, მოსიყვარულე ცოლობა მეთამაშა, ბოლომდე დავმონებოდი ჩემს მწყალობელს, მთლად გავნადგურებულიყავი და ამით შემენარჩუნებინა ბედნიერების განცდა, ღირსების გრძნობაც. სხვათაშორის, იცის ვიქტორმა: არავინ არის დამარცხებულ და შეწყნარებულ ამბოხებულზე უფრო ერთგული და ბედნიერი. საკუთარი გამოცდილებით იცის, მთელი თავისი ცხოვრებით. ახლა მეც ვიცი, რომ ესეც სიცოცხლეა, მასშიც არის თავისებური ვნება, ერთგვარი სიყვარულიც და თავისუფლებაც. მითუმეტეს, თუ ქალი ხარ, თუ მშვენიერი სახლ-კარიც გაქვს, ჩაცმა-დახურვა თუ არ გაკლია და ლუკმა-პური არ გენატრება; შვილებიც თუ გვერდით გყავს და მათი მომავალი შენი თავსატეხი არ არის, მაშინ ხომ მთლად სამოთხეში მოგეჩვენება თავი. ევა? ევა ვიქტორის კანონიერი ცოლი არასოდეს ყოფილა. ჩვეულებრივი საყვარელი იყო. თუმცა... რას ვამბობ, ჩვეულებრივი როგორ იყო... ჩვეულებრივი რა არის მამათქვენის ირგვლივ... განქორწინებულები არ ვყოფილვართ, მაგრამ ევა სახლში მოიყვანა, შვილიც გააჩენინა და ოჯახში დამისვა. იცოდა, რომ შევეგუებოდით ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობას. იმიტომ, რომ არც ერთს არ გვქონდა ამ სახლში ყოფნის უფლება. როცა მოისურვებდა, მაშინ გაგვყრიდა აქედან. მაგრამ არ გაგვყარა. გვაიძულა, რომ ერთმანეთი გვძულებოდა და მაინც ერთმანეთის ფერებში ვყოფილიყავით. და მისთვისაც ერთად გვებანა ფეხებ[illegible] შიც რიგრიგობით.. მოიცა[illegible] ყვეტინებთ... ჯერ კიდევ არ იცნობთ მამათქვენს. წარმოდგენაც არა გაქვთ, როგორი ვერაგი და ჭკვიანია... აი, ანტონი. არ გაინტერესებთ, ანტონი ვილაა? ან ამ სპექტაკლში რა როლი აკისრია? ძალიანაც გაინტერესებთ, მაგრამ გეშინიათ სიმართლის... ანტონ, ხომ არ გეწყინება? აწი ყველაფერი სულერთია, რაღა მნიშვნელობა აქვს. ანტონი ჩემი დაბრუნებიდან სამი წლის შემდეგ გაიჩინა ევამ. ასე არ იყო? ფსიქიატრიულში გაიცნეს ერთმანეთი, ამრიკო რომ პირველად დააწვინა. მაშინ. ანტონს მსუბუქი შიზოფრენია ჰქონდა და იქ მკურნალობდა. კარგი კაცი იყო გარეგნობით, ხასიათითაც. ევა ხომ პირდაპირ მზეთუნახავი იყო — ეშხიანი, წერწეტა, ვნების ბომბი. მე რომ შინ დავბრუნდი და პირველად დავინახე, მაშინვე გამიელვა, წასულია ჩემი საქმე. ვიქტორი ამის დამთმობი არ არის მეთქი. გახსოვს, ევა, რა ლამაზი იყავი? როგორი შურით და სიძულვილით გიყურებდი? ან შენ როგორი სიამაყითა და ნიშნისმოგებით გადმომხედავდი ხოლმე? ვაი, ჩვენი ბრალი... პოდა, ევას ანტონზე გული შევარდნია, არ ვიცი, შეებრალა თუ რა იყო, იქნებ შეუყვარდა კიდეც. ცოლივით უვლიდა და მოარჩინა. ვიქტორმა რომ ეს ამბავი შეიტყო, როგორ გგონიათ, რა ქნა? თავი გაიგიჟა? სახლიდან გააგდო? არა, ძვირფასებო, ერთი მაგრად ეეჟა და სახლში წამოათრია. ანტონიც მოიყვანა და შინ დაისვა თავისი საყვარლის საყვარლად. და თუ მიხვდებით რატომ? ევას ვერ შეელია? ანტონი შეეცოდა? არა, ბატონო. ვიქტორი ის კაცი არ არის, რომ გული აუჩუყდეს და ქალს ასე იოლად ღალატი აპატიოს. ორივე დაგვსაჯა ამ უკულმართი სიკეთით. ევა რომ გაეგდო, მე ხომ გავიხარებდი, გავთავისუფლდებოდი და მერე ვინ იცის, იქნებ ხმაც ამომეღო, ოჯახის სრულუფლებიან პატრონად ჩამეთვალა თავი. ევა ხომ უფრო დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონა და თან ახალი მონაც შეიძინა — ანტონი. ცალკე ბინა გამოუყო. სარჩო დაუნიშნა. ჩვენსავით აცმევდა და ახურავდა, სხეულსაც თანაბრად გვინაწილებდა — ერთ ღამეს ჩემთან იწვა, მეორე ღამეს — ევასთან, ჩემს ლოგინში! მარტო ერთ რამეში გამოიჩინა სიძუნწე — ანტონს არ გაუყო ჩემი თავი. სხვა ყველაფერი საზიაროდ გვქონდა. ანტონი რას კარგავდა, უჩემოდაც კმაყოფილი იყო: კაი სახლი, კაი სმაჭამა, კაი ქალიც სანახევროდ. მეტი ბედნიერება რაღა იქნება? სამაგიეროდ, ყურმოჭრილ ყმასავით ემსახურა შინაც და გარეთაც, ახლა კი წამლებს არ აკლებს თავის მწყალობელს. გული უსკდება, არ მოკვდეს, არ დავილუპოთ და გაუჩენელს აჩენს. მაგრამ რაღ გინდა, ამას საამქვეყნო პირი არ უჩანს და მართლა ვილუპებით მგონი ყველანი. მერე ნახეთ, ეს სიამტკბილობა რა შხამადაც გვექცევა, როგორ დავერევით ერთმანეთს. ავადაა და რაებს ვბედავთ, რომ მოკვდება, ხომ ადვილი წარმოსადგენია, რასაც ვიზამთ. თვითონაც ხედავს, რომ კარგი ამბავი ვერაა მის თავს, ძალაუფლება შეერყა, შეიძლება ხელიდან დავუსხლტეთ და თავს ვუშველოთ, ან ფიქრი და ლაპარაკი დავიწყოთ, აი, ასე, ახლა რომ ვლაპარაკობთ. ვიქტორი რისი ვიქტორია, ამას რომ შეეგუოს და იოლად დათმოს. ერთი ვერაგობა შავი დღისთვისაც შემოინახა და ა, ბატონო, აგერაა ეს დეპეშა, აგერ ეს სუფრაც და აწი თქვენ იცით და თქვენმა ჭკუა-გონებამ. მე დავამთავრე, გავდივარ თამაშიდან.

— ბრავო, ნუცა! ბრავო! ასეთი სიტყვა რომის სენატში არ წარმოთქმულა ყველაზე დიდი დემოკრატიის დროს. დაასხი, გურამ, დავლიოთ ნუცას სადღეგრძელო!

— როსტომ, ბოლოსდაბოლოს მასხრად გვიგდებ თუ რა მოგივიდა! ამის შემდეგ, რაც ახლა გაიგონე, კიდევ ხუმრობა და ლაზღანდარობა შეგიძლია?

— რა გავიგონე ისეთი, რაც არ ვიცოდი! ან რა მოხდა მართლა და მართლა. ჩამოვიდეს ის კაცი. თუ [illegible] და. თქვენი ძმა არ არის? უფროსი ძმა! რა ისეთი ქონება უნდა წაგართვათ, თავებს რომ იხოცავთ...

— ქონებაში არაა საქმე...

— აბა რაშია...

— მაგასაც ვერ ხვდებით?

— რა დიდი მიხვედრა უნდა: მამაა, შვილი ენატრება ბერიკაცს...

— არ იცი შენ...

— დედა, გაგვაგებინე რას ამბობ, რა არ ვიცით, რა ამბავია ჩვენს თავს...

— მე რა უნდა გაგაგებინოთ? რაც ვიცოდი, გითხარით. დანარჩენი მაგას ჰკითხეთ, რომ გაილვიძებს.

— რა დანარჩენი... რა უნდა ვკითხო, ნუ გადამრიე. რას გვეტყვის იმაზე მეტს, რაც შენ გვითხარი...

— ოოოო... მაგან ბევრი რამე იცის, რომ არ დაგესიზმრებათ, ისეთი...

— დედა!..

გაჩუმდი, ნუცა, გულს ნუ უხეთქავ მაგ უბედურებს... ვიქტორმა ბევრი რამე არ იცის... რა უნდა თქვას? რაც დედას უამბო ერთხელ, დიდი ხნის წინ, გადასახლებიდან დაბრუნებულმა? მერე, განა თვითონ კი იცის რა უამბო? ან მართამ იცის, ნამდვილად უამბო თუ მას ეზმანა თავის უსაშველო სიზმარ-ცხადში? როგორ ყვებოდა, რა გაათფთრებით, დაუნდობლად, უმძიმეს ბრალდებასავით... მაშინ მართას მოეჩვენა, რომ გაბოროტებული შვილი ყველაფერს იგონებდა, განგებ გაზვიადებულად და შავი ფერებით უხატავდა თავის თავგადასავალს და იმ სამყაროს, სადაც თორმეტი წელი გაატარა. უნდოდა, ამით გადაეხადა სამაგიერო დედისათვის, საშინელი, დაუჯერებელი სიმართლით ეტანჯა და ასე ეძია შური თავისი დაღუპული მომავლისათვის, გაველურებული გულისათვის, გაუკუღმართებული გრძნობებისათვის და ყველაფრისათვის, რაც იმ ჯოჯოხეთიდან გამოიტანა. მართას ესმოდა, როგორი სიამოვნებით თხზავდა შვილი თავისი ცხოვრების საზარელ სურათებს, როგორ ცდილობდა, რომ სადღაც შორე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ საიდუმლო წარსულში ჩარჩენილი დედის არსებაში ჩაენერგა და მისი სულის განუყოფელ ნაწილად ექცია ის, რაც თვით მას ენახა და განეცადა. თავისი გაურღვეველი მდუმარების კარავში თავშეფარებული მართა უხმო ქვითინით ისმენდა ამ საბრალმდებო ალსარებას, მაგრამ იმას კი არ სტიროდა, რომ ყველაფერი ეს სიმართლე იყო და მართლა გარდახდენოდა მის ერთადერთ შვილს, მისი სისხლისა და ხორცის ნაწილს, არამედ იმას, რომ ვიქტორს შეეძლო ამგვარი ვნებები გამოეხმო მის დასასჯელად, თვით მართასთვისაც წარმოუდგენელი საშინელებები შეეთხზა ადამიანის ბოროტებასა და დაცემაზე და ამით ეხარა, სულერთი იყო, მართალს ჰყვებოდა ვიქტორი თუ ყველაფერს იგონებდა, მთავარია, რომ ასეთი რამ არსებობდა მის შვილში, როგორც თვისება, ხასიათი, ცხოვრებასთან დამოკიდებულება. სხვა ყველაფერი მხოლოდ შედეგი იყო და მართას ალგზნებულ წარმოსახვას ალარ უჭირდა მათი რეალურ ხილვებად გარდაქმნა. შვილის ყოველი სიტყვა სულში ეზრდებოდა, მის მოგონებებსა და სიზმრებში იბუდებდა და მის ცხოვრებას ქმნიდა — ტკივილით სასოწარკვეთით, სინანულით ალსავსე შინაგან სამყაროს, რომელიც უპატიებელი დანაშაულის შეგნებით თრგუნავდა და სულს უშფოთებდა. ვიქტორმა რა იცოდა? რა უნდა ეთქვა ისეთი საშინელი, მართას გულში გამოკეტილ სიმართლეს რომ შედარებოდა? მარტო ვიქტორის თავგადასავალი, რაგინდ დანაშაულებრივიც არ უნდა ყოფილიყო, ერთი გზაკვალარეული, გამგელებული ადამიანის უკულმართი ცხოვრების ამბავი იქნებოდა და მეტი არაფერი, მთავარი ის იყო, რაც ამ ამბავს მიღმა არსებობდა — მართას უსინათლო თვალების წყვდიადში, სამარის დუმილში, სიზმარეულ მოგონებებში. ვიქტორს რა უნდა ეთქვა? ყველაფერით, აშინებს ნუცა შვილებსა და სიძეებს, მაგრამ ვიქტორმა კი იცის ეს ყველაფერი? დიდ-დიდი იმას მოჰყვეს, [illegible] უამბობდა ხოლმე — როგორი წავიდა ომში, როგორ იბრძოდა სადღაც უცხო მიწა-წყალზე, როგორ ჩავარდა ტყვედ, რა საშინელებები გადახდა ტყვეობაში, მერე როგორ გაათავისუფლეს და სამშობლოს ღალატისათვის ცხრა მთას იქით გადაასახლეს, რა სატანჯველი გამოიარა საპატიმრო ბანაკებში, თავისი სულმდაბლობისა და გამცემლობის ამბებსაც მოჰყვება, კიდევ ათასგვარ სიძაგლობას ალწერს, საკუთარი ტყავის გადასარჩენად რომ ჩაუდენია: ბადრაგი რომ იყო და გაქცეულ ქართველს რომ ესროლა, მისსავე ბედში მყოფ პატიმრებს რომ არ ინდობდა და ლუკმა პურისათვის ჰყიდდა, ტუსაღობიდან გათავისუფლება რომ არ უნდოდა და მაინც გაათავისუფლეს, საქართველოში დაბრუნება რომ არ უნდოდა და მაინც დააბრუნეს — გაველურებული, გაავებული, მგლად ქცეული. ყველა საზიზღარ დანაშაულს ალიარებს — ქონების უნამუსო ხვეჭასაც და სხვა სიბილწეებსაც, რაც თავისუფლებაში ჩაუდენია. მაგრამ განა ეს „ყველაფერი“ იქნება? ასეთი რამეები ხომ ყველა ადამიანს ჩადენილი აქვს, მიუხედავად იმისა, მართლა ჩადენილი აქვს თუ არა. ვიქტორს კი ჰგონია, რომ თვითონ ესროლა მატარებლიდან გადამხტარ ქართველს, ასეც იტყვის, მე მოვკალიო, მაგრამ მართამ ხომ იცის, რომ ვიქტორს არ მოუკლავს და მოკლულიც მარტო ის კაცი არ იყო, მას რომ ჰგონია. ამას მაშინვე მიხვდა მართა, როგორც კი შვილმა იმ მკვლელობის ამბავი მოუთხრო. ან კი რა დიდი მიხვედრა უნდოდა — პატიმრობიდან დაბრუნებული ვიქტორი კი არა, ის პატარა, ეჭვებით გულგამოხრული ბიჭი უყვებოდა თავისი დიდობის თავგადასავალს და წამდაუწუმ დაჟინებით ეკითხებოდა: „დედა, მართლა შარაზე გაკეთებული მილეთის ნაბიჭვარი ვარ? მართლა არ იცი, ჩემი მამა ვინ იყო?...“ ეს მტანჯველი შეკითხვაა ყველაფრის თავი და ბოლო, ის ჩასახლებოდა სულსა და სხეულში ავთვისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან სნეულებად, თანდათან ღრღნიდა და ანადგურებდა. რას ამბობო, — დაზაფრული სახითა და უტყვი ბაგეებით იგერიებდა სასოწარკვეთილი მართა, — იმ ბოროტ დედაკაცს ყურს ნუ უგდებ, მამაშენი კარგი კაცი იყო, სამშობლოს თავისუფლებას შეეწირაო. დანუგეშებული ბიჭის წარმოსახვა კი უცნობი გურიის ღობიროებსა და ტყე-ღრეებში დაეხეტებოდა, გულის ფანცქალით უთვალთვალებდა ნაბდიანი ყაჩაღებითა და შეიარაღებული სალდათებით ამოშუშებულ გზა-შარებს და „მილეთის ხალხში“ ჩაკარგული მამის დანახვას ცდილობდა: ხან ცხენზე ამხედრებულ ხმალამოწვდილ ვაჟკაცად დალანდავდა, ხან დამბაჩაშემართულ წინამძღოლ ოფიცრად, ხან ჩალმიან თათრებთან ხელჩართულ ბრძოლაში წარმოიდგენდა, ხან — კოხტაპრუწა ევროპელ ჯარისკაცებთან ომში, ხან თეთრგვარდიელთა ფორმაში გამოწკეპილ მწკრივებს ცელავდა, ხანაც — ტყავისქურთუკიან ბოლშევიკებს, მაგრამ მამის სახეს ვერა და ვერ ხედავდა. მამა არც ახალგაზრდა იყო, არც ხნიერი, არც ლამაზი და არც უშნო, არც წითელი და არც თეთრი, არც ქართველი და არც უცხოელი, საერთოდ არავინ არ იყო და ამიტომ თვით სამშობლოც, რომლის თავისუფლებასაც მამა შეეწირა, ისეთივე ბუნდოვანი და საეჭვო რამ იყო მისთვის, როგორც მამის არსებობა. მამა არც გახუნებულ კედლებზე დაკიდებულ სურათებში იყო, არც მძიმე, კაპიტალური ალბომის მოვარაყებულ ფურცლებზე; ამ სურათებზე გამოსახული ადამიანებიც ნათესავები და ახლობლები, ბებია და ბაბუა, იმათი მშობლები და და-ძმები კი არ იყვნენ, არამედ რაღაც იდუმალებით მოცული არარსებული სამყაროს ბინადარნი და ყველას და ყველაფერს — თვით ამ უზარმაზარ გაპარტახებულ სახლსაც და საძულველი წარსულის ნაშთად შემორჩენილ ძველისძველ ნივთებსაც — ერთნაირი წილი ედო მისი გაჩენის საიდუმლოებაში და იმაში, რომ შარაზე გაკეთებული მილეთის ნა-

ბიჭვარი იყო. „დედა, მართლა ... ჩემი მამა ვინ არის?“... აი, ეს ... გაბოროტებული პატარა ბიჭი ლაპარაკობდა ვიქტორის პირით, თორემ ვიქტორმა რა იცოდა? განა ის, რასაც ვიქტორი ყვებოდა, შესაძლებელი იყო ადამიანს ჩაედინა ან ვინმესთვის ეამბნა, მითუმეტეს დედისათვის? მაგრამ უამბო, დაუნდობლად, ჯიბრით, უმძიმეს ბრალდებასავით და მართა ახლაც ისევე ხედავს ყველაფერს, როგორც მაშინ გაიცხადა დაზაფრულ გონებასა და უსინათლო თვალების წყვდიადში — სიტყვა-სიტყვით, წერტილ-წერტილ ახსოვს ის დღე და ის წუთი, როცა საბადრაგო ტამბურში მთვლემარე ვიქტორმა ყვირილისა და სროლის ხმის გაგონებაზე კარაბინს ხელი სტაცა და ვაგონის კარი გამოგლიჯა... თეთრი ტრამალის ცქაფი სინათლე კლანჭებით შეახტა სახეში და თვალები ამოკაწრა. ერთხანს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ქუთუთოებში მოცახცახე ბრჭყვიალები თანდათან გაიფანტა და უსასრულო სივრცეში ადამიანის მუქი სილუეტი გამოიკვეთა. ვიღაც გამალებით მიბუქნაობდა მუხლამდე თოვლში, წვალებით მიიბრძოდა, ეცემოდა, დგებოდა, ოთხით მიარღვევდა გამტკეცილ ნამქერს. წინა ვაგონიდან ავტომატის ჯერი დაედევნა, გაქცეულს მისწვდა და ხოშორი თოვლის ბუქში გაახვია. კაცი პირქვე წაემხო. წამით გაირინდა და რაკი სროლა აღარ განმეორებულა, ჯერ სასინჯად წამოიყუნტა, მერე თამამად და თავგამეტებით წამოიმართა და კოჭლობით წაიფორხილა. დაჭრილიაო, გაუელვა ვიქტორს და შეშფოთებით გახედა ლტოლვილისაკენ გაჩქარებულ სამ სალდათს. ვეება ნაბიჯებით რომ მიარღვევდნენ თოვლს, თვალსა და ხელშუა უახლოვდებოდნენ და აგერ-აგერ წამოეწეოდნენ კიდეც. ცხადი იყო, რომ დაჭრილი, გასავათებული, შიმშილით დაოსებული ადამიანი შორს ვერ წავიდოდა. ან კი სად უნდა წასულიყო? თავის შესაფარებელი კი არა, ფეხის წამოსაკრავი არაფერი ილანდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაწიერზე. სად გარბოდა? რისი იმედი ჰქონდა? ნუთუ მხოლოდ რამდენიმე წუთის თავისუფლებისათვის გასწირა თავი? თუ გაქცევა გაბედა, შესაფერისი დრო და ადგილი მაინც შეერჩია მაგ ვირიშვილსო, გაიფიქრა ვიქტორმა. რაღა გაჩერებული ეტაპიდან გარბოდა ამ ტრიალ მინდორში, გზაში მაინც გადამხტარიყო. იქნებ ბადრაგს ვერ შეენიშნა და ყვირილი არ აეტეხაო. ამის წარმოდგენაზე ტანში გასცრა — მართლა რომ ასე მომხდარიყო, რა ეშველებოდა მაშინ ვიქტორს? რა ხანია ამ წუთს ელოდა, დღისით თუ ღამით მონადირესავით ჩასაფრებული და გალურსული უთვალთვალებდა, თუ როდის გადადგამდა ქართველი ამ საბედისწერო ნაბიჯს, როდის გაბედავდა იმის აღსრულებას, რისთვისაც ამდენი ხანია ემზადებოდა. მარტო ვიქტორმა იცოდა მისი განზრახვა, მხოლოდ მას, მთელ ბარაკში ერთადერთ თანამემამულეს და მეგობარს, გაანდო თავისი სახიფათო გადაწყვეტილება: უნდა გავიქცეთო, უჩურჩულა ერთ ღამეს, თუ გაგვიმართლა, ხომ კარგი, თუ არა და, ასეთ ყოფას მაინც სიკვდილი მირჩევნია, მომივიდეს რაც მომივა, აქ გამჩერებელი აღარ ვარო. ამის გამგონე ვიქტორის გული სიხარულით შეუფრთხიალდა, მე ვერაო, თავი მოიკატუნა, სიკვდილის მეშინია, როგორმე გავძლებ, იქნებ ოდესმე გავაღწიო ამ ჯოჯოხეთს, შენ კი, როგორც გულმა გითხრას, ისე მოიქეცი, დამილოცნიხარ, რითაც შემიძლია, დაგეხმარები, რაც არ უნდა იყოს, ბადრაგი ვარო, შეაგულიანა, წააქეზა და ნეტარებით წარმოიდგინა ეს წუთი, ახლა რომ დამდგარიყო, ეს პანიკური შიშიც იმ დღიდან დაეუფლა, მაშინვე ჩაუსაფრდა ქართველს და გაფაციცდა, არ გამეპაროს, არ დავიღუპოო. მაგრამ არა, ახლა მაინც არ გასწირა ღმერთმა, აჰა, აგერაა მის თვალწინ, ღია კარიდან ხედავს, როგორ მიფორთხავს მუხლამდე თოვლში დაჭრილი, ქანცგაწყვეტილი ლტოლვილი. ვიქტორიც აგერაა, თოფიც აქვე აქვს და ხელსაც არავინ უშლის. ვერავინ მისწვდება ტიხარს იქიდან, კარიც ურდულითაა ჩარაზული, მართალია, ყველანი ვიქტორს მისჩერებიან, ნარებიდანაც წამოიშალნენ და ნელ-ნელა მისკენ მოიწევენ, მაგრამ რას დააკლებენ რკინის გისოსებით შემოზღუდულს! ახლა მთავარია, არ დააგვიანოს, ბადრაგმა არ დაასწროს — ცოცხლად არ შეიპყროს ლტოლვილი და ვიქტორს უკანასკნელი იმედი არ გამოაცალონ. როგორც იქნა ეღირსა ამ წუთს და ახლა ხელი არ აუკანკალდეს, თვალმა არ უმტყუნოს, სიხარულმა არ დააბნიოს. აჰა, კარაბინიც მოიმარჯვა, მღელვარებისაგან აჭრელებული თვალებით მოზომა სივრცე, აფართქალებულ გულს ჩაცხრობა აცალა და აუჩქარებლად დაუმიზნა. ახლა სასხლეტს გამოჰკრავს და საბოლოოდ გათავისუფლდება ამ გაუძლისი ენერგიით დამუხტული მოლოდინისაგან, სულში რომ ჩატენვია, როგორც ტყვია. ახლა კარაბინი კი არ გავარდება, ვიქტორის გული გაისვრის ამ აუტანელ ღვარძლსა და მძულვარებას, ამ შიშსა და ბოროტებას, მთელი ცხოვრება რომ თან ახლავს, დასაბამიდან რომ მოჰყვება, როგორც მარადიული სასჯელი, როგორც ანათემა. სულ ერთი წამი, ერთი გაელვება, ერთი ბათქი და ყველაფერი დამთავრდება. ოღონდ არ შედრკეს და უკან არ მოიხედოს, როგორმე გაუძლოს გისოსებთან მომდგარი პატიმრების გავარვარებულ მზერას, ზურგში რომ მობჯენია, ხორცს რომ უწვავს და მიზანს რომ უმრუდებს. გველური სიბრძნით იცის ვიქტორმა, რომ ეს ოცდათოხი პირგამეხებული, ნერვებდაძაგრული ადამიანიც საშველივით ელოდება ამ გასროლას, ამ ჯადოსნურ აქტს, რომელმაც ერთ-ერთ მათგანს, ყველაზე ძლიერს და გაბედულს, გისოსებს იქით საბადრაგო ტამბურში რომ იმყოფება, საბოლოოდ უნდა დაუკახონოს თავისი გამოტანჯული, ათასგვარი ვერაგობით, სულმდაბლობით, ღალატით მოპოვებული საძულველი კეთილ-

დღეობა, ყოველგვარ პატიმრობაზე უფრო პატიმრული, მისჯილი თავისუფლება, რომლის შესანარჩუნებლად იძულებულია ესროლოს გაქცეულ თვისტომს, თავის ჯიშსა და ჯილაგს, თავის სისხლისმიერ ძმას და მერე ლაჩრული გულადობით, უბადრუკი სიკერპითა და საცოდავი უტიფრობით გაუძლოს ოცდაოთხი კაცის ზიზღსა და მუქარას — ზიზღსა და მუქარას კი არა — ამას უკვე შეჩვეულია ვიქტორი — ზიზღსა და მუქარას კი არა, ერთ გამპარტახებელ სიმართლეს: მთავარი ის კი არ არის, რომ მოკალი კაცი, შენსავე ბედში მყოფი ადამიანი, შენი ჰირის მოზიარე და თანამდგომელი, არამედ ის, რომ იძულებული იყავი ეს ჩაგედინა, რადგან სხვა გზა არ გქონდა — ერთხელ უკვე შეეკარი ეშმაკს, სული მიჰყიდე და აწი ყველაფერი სულერთია; ამიერიდან ყოველი შენი საქციელი ბუნებრივი და გამართლებული იქნება, ყველაზე დიდ ბოროტებასაც კი დაერქმევა სიქველე, ყველაზე სულმდაბალ უნამუსობას — ნამუსი, ყველაზე მძიმე დანაშაულს—სიმართლე, და ამას წინ უკვე ველარაფერი აღუდგება. არა, რა თქმა უნდა, მარტო ზიზღი და მუქარა არ იყო გისოსებთან მომდგარი პატიმრების მქუხარე დუმილში — ამის ატანა გაცილებით იოლი იყო, რადგან ზიზღი და მუქარა იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ვიქტორს ჯერ კიდევ კაცად თვლიდნენ, მათსავე მსგავს ადამიანად, რომელიც შეიძლება შეიძულო და დასაჯო, მოკლა კიდეც რაიმე მძიმე დანაშაულისათვის, იმისათვის, რაც ახლა უნდა ჩაიდინოს — ეს სასჯელი თაფლი და მალამო იქნებოდა ვიქტორის ბალღამიანი გულისათვის — მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ამ გაწამებულ, დათრგუნულ, უსუსურ ადამიანთა თვალებში მან შური დაინახა, შური და თანხმობა, შური და მორჩილება, შური და აღიარება. ოცდაოთხი წყვილი თვალი შურით, მოწიწებით, გამართლებით ელოდა ამ გასროლას, რადგან თოფის გავარდნასთან ერთად ვიქტორი სულ სხვა სამყაროში გადასახლდებოდა, უეცრად გარდაისახებოდა და რაღაც გაუგებარ, აზრმიუწვდომელ, ჩვეულებრივი ადამიანური ნიშნებით განუსაზღვრელ არსებად, რომლის საქციელი უკვე საყოველთაო კაცური სიმართლის კანონებით არ განისჯებოდა. კარაბინის სასხლეტზე გამობმულმა ვიქტორმა იგრძნო, რომ მათი გამყოფი ცხაური უბრალო რკინის ზღუდე კი არ იყო, არამედ სანუკვარი მიჯნა, ორ სამყაროს შორის აღმართული. იქით მარადიული ადამიანური ვნებებითა და ურთიერთობებით აღსავსე ცხოვრება რჩებოდა, აქეთ კი — თვითონ, ამ დამამცირებელი ცხოვრებისაგან თავდახსნილი არსება, რომელიც აღარასოდეს დაუბრუნდებოდა ამ მიჯნის გაღმა მიტოვებულ სამყაროს. ყველაფერი დარჩება იქ — საძულველ სიმართლეში — მისი საიდუმლო დაბადებაც, გამწარებული ბავშვობაც, განადგურებული ახალგაზრდობაც, გაბახებული დედაც, გაპარტახებული სახლ-კარიც, სადღაც შორს არსებული დავიწყებული მიწაც, ვითომ მისი სამშობლო რომ არის, ვითომ საქართველო რომ ჰქვია და რომელსაც მხოლოდ ეს თოფის ლულაზე დასმული ქართველი აგონებს, მხოლოდ მისი სიცოცხლე ახსენებს ხანდახან, რომ სადღაც ცხრა მთას იქით არსებულ მიწის წიაღში ჩამარხულია ჭიიან თესლზე აღმოცენებული მისი ფესვის ნაგლეჯი, რომელიც სადღაც სხეულს გარეთ მოუხელთებლად აწუხებს, როგორც ხეიბარს მოკვეთილი კიდური. ქართველი, დროს რომ მოიხელთებდა, გამღიზიანებლად გაუგებარი, ვიქტორისათვის სამუდამოდ გაუცხოებული გრძნობით ელაპარაკებოდა ერთადერთ საქართველოზე, მშობელ ხალხზე, მიწის ყივილზე, თავისუფლებაზე, გატაცებით უკითხავდა ლამაზი სიტყვების რახარუხით გაწყობილ ლექსებს, სადაც წამდაუწუმ ზურმუხტისფერი მთა-გორები და ლაჟვარდოვანი ჩანჩქერები იყო ნახსენები და ადამიანები სამშობლოსათვის სიკვდილს ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრობდნენ. ეს სიტყვები ვიქტორს ღვარძლითა და ბოროტებით ავსებდა და კიდევ რაღაც შემაჩქვიფებელი. უჩვეულო გრძნობით, რომელიც შიშს უფრო ჰგავდა, ვიდრე სხვა რამეს: იქნებ მართლა იყო მათში რაიმე მნიშვნელოვანი აზრი, რაკი ეს თავქარიანი ქართველი ასეთი სასოებითა და ოცნებით წარმოთქვამდა? ხომ არ სწამს ვიქტორს ღმერთი, მაგრამ ხომ არსებობს ეს სიტყვა, რომელიც თავის თავში, თავის ერთადერთ ბგერებში შეიცავს რაღაც მოკრძალებისა და სიფრთხილის აღმძვრელს, რაღაც ისეთს, რაც პასუხისმგებლობის შესაძლებლობით გაშინებს ან გაფიქრებს მაინც? ეს სიტყვებიც შეუცნობელ მუქარად ტრიალებდნენ ჰაერში, ყვავებივით თავზე დასჩხაოდნენ, ვიღაცის საიდუმლო აგენტებივით დასდევდნენ და უთვალთვალებდნენ. როგორმე უნდა მოეშორებინა ისინი, უნდა გაესრისა, გაეცამტვერებინა და საბოლოოდ გათავისუფლებულიყო, იმ სამყაროში გადასულიყო, სადაც ეს სიტყვები მთლად ცარიელი რახარუხი იქნებოდა და სხვა არაფერი. და რა იოლად მოხდა ეს გადასვლა! ცივი ბეტონის იატაკზე დაჩოქილმა, ფიზიკური ტკივილის პირველსავე შეგრძნებაზე ცრემლებით, ბლავილით მუხლებზე ხოხვით დაფქვა ყველაფერი, რაც იცოდა და არ იცოდა გაქცევის მოთავეებზე, სხაპასხუპით ჩამოთვალა განდობილთა გვარები და აკანკალებული ხელით მოაწერა თავისი სახელი, მაგრამ ხელი შიშისა და ტკივილისაგან კი არ უკანკალებდა, არამედ სიხარულისა და ნეტარი მღელვარებისაგან, რადგან ეს საზიზღარი სულმდაბლობა და ღალატი მისი ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო, ყველაფრის სამაგიერო და საზღაური: მისი უწმინდური ჩასახვისა და დაბადების, ჩაშხამებული ბავშვობის, კახპა დედის, მეზობლის ქალის გველური სისინის, დაკარგული სამშობლოსი და ყველაფრის, რაც მის აქამდელ ცხოვრებას შეადგენდა. არც სინანული უგრძვნია და არც სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ მისი დასმენილი ადამიანები იმ დღის შემდეგ აღარ უნახავს, მას კი ორიოდე ლუკმით მეტი შავი პური და ბადრაგობა უწყალობეს და სხვა ბარაკში გადაიყვანეს, რათა თანამობინადრე ტუსაღთა შურისგებისაგან ეხსნათ. მაგრამ შურისგება სულ სხვა, მოულოდნელი გზით მიადგა და იმ ქართველის სახით მოევლინა, უფრო სწორად, იმ სიტყვებში გამოეცხადა, ქართველი რომ წარმოთქვამდა. ადამიანთა შურისძიების არ ეშინოდა, რადგან აქ, მავთულხლართებით შემოღობილი სამყაროს ყოველი ბინადარი, თვით ყველაზე უდანაშაულოც კი, რაღაცის წინაშე დამნაშავე იყო, უფლებააყრილი, უკანონოდ გამოცხადებული, თავის სიმართლეში დაეჭვებული და დათრგუნული, ამიტომ დამნაშავეთა შორის ჩადენილი ყველაზე დიდი დანაშაულიც კი არ იყო უეჭველი ბოროტება, რადგან ათასნაირად შეიძლებოდა მისი ახსნა და გამართლება. მას შემდეგ, რაც ეს ჭეშმარიტება აღმოაჩინა, ვიქტორზე თავისუფალი ადამიანი ამ ქვეყნად არ მოიძებნებოდა. მავთულხლართების თავისუფლება ყველაზე დიდი ბედნიერება იყო მისთვის. ბარაკებში შეყრილი ბეჩავი, დამონებული ადამიანები — ყველაზე საყვარელი არსებანი, სათვალთვალო კოშკებზე შემომდგარი ავტომატებიანი სალდათები — ამ თავისუფლების მფარველი ანგელოზები, ხოლო მთელი ეს დახშული, გარე სამყაროს მოწყვეტილი, ათასგვარი სნეულებით, განუკითხაობით და სიკვდილით აღსავსე გარემო იყო ის ადგილი, სადაც ჭეშმარიტი სიცოცხლე სჩქეფდა და ყველაზე სანუკვარი ვნებები ბობოქრობდა. აქ ნამდვილი სამოთხე სუფევდა ვიქტორისათვის და ახლა რაღაც უაზრო, ზედმეტი სიტყვა „სამშობლო“ ამ სამოთხიდან გაძევებით ემუქრებოდა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ისეთს შეიცავდა, რის წინაშეც შემდეგ, ოდესმე, შესაძლოა, პასუხი უნდა ეგო. ვიქტორი მარტო არ იყო. მის გვერდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო“ იყო ატუზული და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა მოეშორებინა ეს თანამდევი, მოძალადე სიტყვა, უნდა მოესპო ის არსება, ვინც ამ საძულველი სიტყვის ხორცშესხმული სახება იყო. და აჰა, აგერ, თოფის სამიზნეზე უზის იგი, მოტეხილ ფეხს მიათრევს, ძლივს მიფორთხავს და თოვლზე სისხლის წითელ ზოლს სტოვებს. უნდა მოასწროს და ესროლოს, უნდა მოკლას, ვიდრე დაჭრილს მდევრები არ წამოსწევიან და არ შეუპყრიათ, ვიდრე უკან არ მოუბრუნებიათ და ისევ მასთან არ შემოუსახლებიათ, აჰა, ვიქტორიც მზადაა, სამიზნეც გასწორებულია — პირდაპირ თავში... თხემში... კეფაში და... მორჩა, გათავდა!... გასროლის ხმაც კი არ გაუგონია, მხოლოდ დაინახა, როგორ წაემხო ლტოლვილი თოვლში, გაფართხალდა და გაშეშდა...

ერთხანს თვითონაც გაოგნებული და სიცარიელეში განქრეული იდგა. შემდეგ დაინახა, როგორ მიიჭრნენ მდევრები მოკლულთან, დაკვირვებით გასინჯეს პირქვე ჩამხობილი გვამი, ფეხები წაჰკრეს, გულაღმა გადააბრუნეს, ერთმა მათგანმა ავტომატის მოკლე ჯერი დაახალა, ისე, ყოველი შემთხვევისათვის, და რა დარწმუნდნენ, სული აღარ უდგასო, ავტომატები მხრებზე გადაიკიდეს და მატარებლისაკენ გამოემართნენ. ვიქტორმაც კარი გადარაზა და ტამბურში შემობრუნდა. ეტაპი დაიძრა. პატიმრები მძიმედ, ავისმომასწავებლად დუმდნენ. გააკვირვა ამ უცნაურმა დუმილმა და იმან, რომ სიმშვიდისა და თავდაჯერების ნაცვლად, ასეთი იმედით რომ ელოდა, მღელვარება დაეუფლა. თითქოს სინანულიც იგრძნო, თითქოს შიშიც ამ უეცრად დაწყებული ნატრული სიცოცხლის წინაშე. გაწბილებულმა თავი აილო და გისოსებს მიღმა დარჩენილი სამყარო მოათვალიერა. პატიმრები დამბლადაცემულივით უძრავად იდგნენ და ჯიქურ მისჩერებოდნენ. ნატანჯი, დამაშრული, ერთნაირი სახეები გამოუცნობი ზრახვით დალმექოდათ. მაგრამ ეს ჯერ მუქარა არ იყო — მაშინვე შე[illegible] ვიქტორი და ამან უფრო შეაშფოთა — ეს ჯერ მუქარა და შურისძიების წყურვილი კი არ იყო, არამედ მოლოდინი, გამოცდა, თვალთვალი. ნერვებად ქცეული და ცერებზე შემდგარი პატიმრები ვიქტორის პირველ მოქმედებას ელოდნენ, პირველ ბუნებრივ რეაქციას საკუთარ საქციელზე, ახალ სიცოცხლეში გადადგმულ პირველ ნაბიჯს, რომელიც საბოლოოდ გაარკვევდა მის უფლებებსა და მდგომარეობას. მათ ყოყმანსა და გაურკვევლობაში მუდარაც გამოსჭვიოდა და ვიქტორი მიხვდა, რომ რაღაც უნდა ეღონა, დაუყოვნებლივ, უნდა ჩაედინა რამე ისეთი, რაც საბოლოოდ და გარდაუვალად დაამკვიდრებდა თავის თავში. ახლა ნებისმიერი სისუსტის, თუნდაც წამიერი შიშისა და დაბნეულობის გამჟღავნებაც დაღუპავდა, უმცირესი ყოყმანი ამ ასაფეთქებლად შეძგიბულ დუმილსა და მოლოდინს მძვინვარე შურისძიებად აქცევდა და მაშინ ვიქტორს ველარაფერი იხსნიდა. იქნებ ამ წუთას კი გადარჩენილიყო როგორმე, იქნებ ამ რკინის ცხაურს დაეფარა გააფთრებული პატიმრებისაგან, მაგრამ ეს არ იქნებოდა საბოლოო საშველი, რადგან ფიზიკურადაც რომ გადარჩენილიყო, მაინც დამარცხებული მიიქცეოდა თავის ძველ სიცოცხლეში. ეს კი სიკვდილზე უარესი იქნებოდა. რაღაც უნდა ეღონა, მაგრამ ვერაფერი მოესაზრებინა. იდგა და პირგამეხებულ კაცებს გაჩხიბულივით მისჩერებოდა. გავიდა ერთი დახაღმული წუთი... მეორე... მორჩა, გათავდა ვიქტორისათვის მიცემული დრო. ახლა შეტოკდებიან, ნელნელა გამოძვრებიან შიშის ბუნაგებიდან, ფრთხილად მიუჩოჩდებიან, როგორც ბებერი, უძლური, მშიერი მგლები ავადმყოფ მსხვერპლს. მერე გათამამებულნი გისოსებსაც მოადგებიან, დაეჯაჯგურებიან, შიგ შემოჰყოფენ ძვალტყავა კლანჭებს, ნაწილ-ნაწილ დაჯიჯგნიან და შესანსლავენ, აჰა, დაიძრნენ კიდეც. ჩანს, ვიქტორი ჯერ ისევ მათთანაა, ჩანს,

ჯერ ვერ მიუღწევია მიზნისათვის, რაკილა ამ უბადრუკ არსებებს მისი დასჯის სურვილი არ გაქრობიათ. ქართველის მოკვლა საკმარისი არ ყოფილა! რაღაც კიდევაა საჭირო თურმე. კარაბინი მოიმარჯვა. საკეტი გააჩხაკუნა. შიშით, სინანულით, სასოწარკვეთით დაიღრიალა: „ადგილებზე! ადგილებზე! დაგხოცავთ, თქვენი დედა...! დაგცხრილავთ, თქვე უდღეურებო!" და ჰაერში გაისროლა. მაშინვე ზურგს უკან ტამბურის კარი ყრიალით გაიღო და უცაბედად შემოვარდნილ სუსხსა და ბორბლების დგანდგარს მარგოს დაფეთებული წივილი შემოჰყვა: „ვიქტორ! ვიქტორ! რა მოგივიდა! დამშვიდდი, ვიქტორ!"... „გაგჟუჟავთ!" — უკვე სულ სხვა ხმა ამოუვიდა ყელიდან, რადგან გულით და გონებით კი არა, შიშისაგან ახორკლილი ტყავით იგრძნო გადარჩენა. — „თქვე მონებო! ცვედნებო! დედლებო!"... „დაწყნარდი, ვიქტორ, ჩემო საყვარელო, ვაჟკაცი არა ხარ?"... „ვაჟკაცი ვარ!... დედას გიტირებთ!... აწი სულ ერთია... ის ერთი ხომ მივაძაღლე... მარგო, შენ ხომ იცი, ვინც იყო ის შობელგაგლეჯილი?"... „დამშვიდდი, ვიქტორ, ჩემო ძვირფასო", — ემუდარება მარგო და აცახცახებულ ტანზე ეხვევა, სახეზე ეფერება, — „ნუ გეშინია, აქ არა ვარ?"... „თქვი, ვინ იყო, — ხრიალებს ვიქტორი. — გააგონე ამ ვირიშვილებს! უთხარი, რომ ძმა იყო ჩემი, ქართველი იყო, ჩემი სისხლი და ხორცი, და მაინც დავბრიდე! უთხარი, მარგო, რომ მთელი ომი ერთად გამოვიარეთ, ფაშისტის ტყვიას გადაურჩა და მე ვესროლე, იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო! უთხარი, შე ნაბოზარო!"..

„ჰო, ძმა იყო, შენიანი, ქართველი... დაწყნარდი, შემოჴგევლე... დამშვიდდი... ნუ გეშინია"... „არ მეშინია!... დაგხოცავთ!... არ დაგინდობთ!..." — ბღლვინავს ვიქტორი, გისოსებში კარაბინის ლულას ჰყოფს, მუცლებში სცემს ზედ მომდგარ მძვინვარე კაცებს. „ამას ვერ მომჭამთ, თქვე ცვედნებო, პედერასტებო! — ხვანჯარს იხსნის და ხორცს იშიშვლებს. — ამა[illegible] კვნეტთ, კაცი ვარ და იმიტომ! ხვადი ვარ! თავისუფალი ვარ! ხოში მაქვს, რომ თავისუფალი ვიყო! ამაზე დაგიხევთ სუყველას!"... „ვიქტორ, ვიქტორ, გონს მოდი, რამ გაგაგიჟა..." — მარგო ტანზე ეკვრის, სიშიშვლეზე ეფარება, კისერზე ეპორწიალება. „მოდი ჩემთან, მარგო! ვაჩვენოთ ამ მონებს, როგორია თავისუფლება!"... „რას შვები, ვიქტორ, ხომ არ შეიშალე..." მაგრამ ვიქტორს აღარაფერი ესმის, რადგან ეს არის ახლა ერთადერთი საშველი. მხოლოდ ეს იხსნის ამ გაათფრებული კაცებისაგანაც და საკუთარი თავისგანაც. ახლავე უნდა დათრგუნოს ეს გამოღვიძებული ბრბო, თორემ მერე გვიანი იქნება. აქვე უნდა დაუმტკიცოს ამათაც და თავის თავსაც, რომ, ვიქტორი აღარ არის ადამიანი და ამიტომ უაზრობაა მასთან ბრძოლა. ეს არაადამიანური საქციელი დააკანონებს ვიქტორის სიცოცხლეს გისოსებს გამოღმიერ სამყაროში. მხოლოდ ეს დაანახებს ამ უბადრუკ პირუტყვებს, თუ რა განსხვავებაა მათსა და ვიქტორს შორის. მხოლოდ ეს საბოლოო დაცემა აამაღლებს და დაამკვიდრებს ნანატრ თავისუფლებაში. ასეთი წვითა და დაგვით რომ მოიპოვა. მარგო, საყვარელო, მოდი აქ, აბა შენ იცი და შენმა ქალობამ. ჩემი ანგელოზი ხარ, ხსნა ხარ ჩემი! მოდი, შე კახპების დედოფალო! მიშველე!... ალტაცებით მიეჭრა და ტყაპუჭი შემოაგლიჯა. ქალი არ გასძალიანებია, რადგან მიხვდა, რომ აქ — სისხლის, ოფლის, ლპობის, შარდის, ველური სურვილის სუნით ამძაღებულ მოჭახჭახე ყიამეთში, ამ უდრეკი რკინით გაყოფილი ორი ქვეყნის საზღვარზე, ამ ხმაგაკმენდილ, სუნთქვაშეკრულ, გაოგნებულ პატიმართა თვალწინ უნდა აღსრულებულიყო რაღაც სატანური აქტი, რაღაც მაგიური როკვა, ველური რიტუალი და თვითონაც ამ ბნელი ძალით გაჩხიბული და ატაცებული თავდავიწყებით გადაეშვა მასში! ტკარცალებდა, ხაროზდა,

მთელ თავის უნარსა და გამოცდილებას უშურველად უძლვნიდა კაცს, რათა იგი ტრიუმფული მარშითა და ძლევამოსილი ყიჟინით შესულიყო იმ ცხოვრებაში, საითკენაც ასე გონსგადასული გაათფთრებით მიილტვოდა. ხოლო როცა წამოდგნენ, როცა განდობილთა იდუმალი შეფრფინვით და გამარჯვებულთა ზვიადი ჟესტებით მოიწესრიგეს სამოსი და ხორცის საზეიმო შიშველი ამაყად დაიფარეს, ვიქტორი გისოსებთან გაქვავებულ პატიმრებს მიუბრუნდა და მშვიდად უბრძანა: „აბა, ადგილებზე!“ და ისინიც მორჩილად, უხმოდ მიეყარნენ ვაგონის კუთხეკუნჭულებში და მხოლოდ ბორბლების დგანდგარით გაჯერებული სიჩუმე ჩამოწვა. „შენც!“ — უთხრა ვიქტორმა სასოებით შემყურე ქალს, — „იქ დამელოდე“. მარგომაც თანხმობით დაუქნია თავი, ტყაპუჭი მოიფუთნა და წავიდა. სად წავალ, გაიფიქრა მაშინ ვიქტორმა, ვერსადაც ვერ წავა, მთელი ცხოვრება გვერდით მეყოლება, ერთად ვიქნებით თუ არა, განუყრელად თან მეხლება, თქვა გულში, რადგან ქალმა გასვლისას ისეთი გულთმისნური წვდომით შეხედა, ისეთი საბედისწერო ერთობა და თანამზრახველური ერთგულება გამოსჭვიოდა მის თვალებში და ისეთი საშინელი საიდუმლოებ ფლობა ეწერა სახეზე, რომ იმ მზერაში ვიქტორმა მთელი თავისი მომავალი გამოიცხადა, მყისიერად გაიაზრა და განიცადა მთელი თავისი ცხოვრება იმწამიერი დასაწყისიდან დასასრულამდე, აი აქამდე, როცა უკვე მოახლოებულია ეს დასასრული და, თავის საძულველ სახლში საწოლს მიჯაჭვული, ხსნასავით ელოდება ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით დატოვებულ თავის ჯიშსა და ჯილაგს, თავის მემკვიდრესა და გაგრძელებას, ვისაც უნდა გადააბაროს საკუთარი სულიც, წარსულიც, მომავალიც და ყველაფერი, რაც გააჩნია...

— ვის უნდა ჩააბაროს, ვილაც ჩამოთრეულ ნაბიჭვარს? აქ უნდა ჩამოათრიოს თავისი კახპა დედით და თ[illegible] დაგვასვას? სირცხვილით სად გა[illegible] ყოთ თავი, თორემ მე არაფერი არ მინდა, ცეცხლმა და ნავთმა დაწვას აქაურობა!

— ჩუმად, რა გაყვირებს! ხომ ნახე, ძლივს დაიძინა...

— დაიძინა, თორემ მკვდარი კი არ არის! გაიღვიძებს და ისევ გვიტირებს ყოფას, ვერ გაიგონე, რაებს იძახდა?

— კარგი ერთი, რა მოგივიდა... ჩვეულებრივი შეტევა ჰქონდა. ნემსი რომ დაუგვიანდება, ეგრე მოსდის, რაღაცეები ელანდება, წარსული აწვალებს... თქვენ რა იცით, რა გადაიტანა...

— მერე, ჩვენც უნდა გადაგვატანინოს ყველაფერი? ღმერთმა აცოცხლოს... ავია თუ კარგია, მამაა ჩვენი, მაგრამ ეს შვილის ჩამოყვანა, რაღას აიჩემა...

— სადა აქვს ის ოხერი ანდერძი, გვაჩვენე მაინც სანამ გაუღვიძია, ხომ უნდა ვიცოდეთ, რას გვიპირებს...

— არ ვიცი სადა აქვს, ანტონს ჩააბარებდა ალბათ, ანტონ...

— მე?... არა, მე არაფერი არა მაქვს... საიდან...

— ანტონ, ძვირფასო, მამის მაგიერო, კეთილო, ანტონ, მოიტა ანდერძი.

— მე... არ შემიძლია... როგორ... გაიღვიძებს და...

— გაიღვიძებს თუ არ გაიღვიძებს, მაგას დიდი დღე არ უწერია, ჩვენ კი ამ ქვეყანაზე უნდა დავრჩეთ და ერთად უნდა ვიცხოვროთ... მოგვეცი, გევედრებით, შენ ხომ სულ ჩვენი სიკეთე გინდოდა, ანტონ...

— ვერ მოგცემთ, ვერა, დაფიცებული მაქვს, ვიქტორს ვერ ვუღალატებ.

— ვიქტორი დღეს თუ ხვალ მაინც მოკვდება...

— არ მოკვდება ვიქტორი!

— ნუ გეშინია, ხომ ხედავ, სული ძლივს უდგას... თუ ასე გიყვარს, ნუ ჩაადენინებ უკანასკნელ სიგლახეს.

— არ მოკვდება, არა, ვიქტორი სხვა კაცია... თავისი სიკვდილით არ მოკვდება!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიკო, შენი ხმა იყო თუ რა შემოესმა უეცრად მართას? რამ შეგაშფოთა შე საბრალოვ, რამ აგაფორიაქა? გაიგონე, რა თქვა ანტონმა? ბებიას ხომ არ ეძახი? ახლავე მოვა, დაგამშვიდებს, მოგეფერება, დღეს არც უნახიხარ. მართასაც ხომ არ დაავიწყდი ამ აურზაურში? ახლავე მოგაკითხავს. ნინო ხომ არ გამოჩენილა?... აი, დგება, კარისაკენ მიფათურობს, აივანზე მიბორიალობს .. რა საღამოა... როგორ თბილა... ნამდვილი მაისია — რბილი, სურნელოვანი, კრიალა, ალბათ მთვარე ქათქათებს ცაზე... მთვარის ჩრდილები ირხევა კლდეზე და კლდიდან გამოდის ქვის კაცი... ნინოს კაცი... პეტრე!... პეტრე!... როგორ ყვირის... როგორ მოიბრძვის... რა ნაცნობი ხმები ისმის სადღაც ახლო... იქ ხალხია. მთელი მოედანი ხალხითაა სავსე... ნემსიც კი არსად ჩავარდება, იმდენი ხალხია... მართაც იქ არის, დედაც, მამაც, ყველანი იქ არიან... ნინოც მოსულა, ნინო-მართა, მუცელი ცხვირზე წამომხობია, ძლივს დაბაჯბაჯებს... „როგორი ბედნიერი ვიყავი, ბებო, რომ იცოდე, როგორი ბედნიერი ვიყავი!..."

— ევა, სანახევროდ შენი გაზრდილები ვართ, გვიშველე რამე, იქნებ შენ მაინც დაგიჯეროს მაგ უჯიშომ... სად გაიქცა, მოაბრუნე, თუ ქალი ხარ...

— არ დამიჯერებს, ვიქტორის ნებას არ გადავა...

— აბა რა ვქნათ? დედა, შენ მაინც მოიფიქრე რამე, თორემ სადაცაა კარზე მოგვადგებიან... აღარ შემიძლია მეტი... მეცა მაქვს ნერვები, მეც ადამიანი ვარ...

— თქვენი არ ვიცი და მე მივდივარ! თავში ქვა გიხლიათ! ადექი, გურამ!...

— მოიცა, ქალო, არსად წამსვლელები ჩვენ არა ვართ, დაჯექი მანდ, კონიაკი მოსვი, ნერვებს დაგიწყნარებს.

— დამისხი, დამისხი! მეც დავთვრე ერთი, იქნებ ყველაფერი დავივიწყო...

— რა ყველაფერი?...

— ის რომ თქვენი ჯიშისა ვარ!... რომ ამ წყეულ ოჯახში დავიბადე!...

— ვერ მოგართვეს, [illegible] მაგ ბედნიერებას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნუ ყვირით მეთქი, არ გაალვიძოთ...

— რას დაგიჩემებიათ ეს არ გააღვიძოთ და არ გააღვიძოთ!... როცა იქნება გაიღვიძებს, აბა რას იზამს... თუ იმის იმედი გაქვთ, რომ...

— დედა!...

— ჰო, ჰო... თქვით ბარემ, ნუ გეშინიათ!...

— ღმერთო ჩემო...

— გეყოფათ! რა სისულელეა... ეგ კი არა, დროა რომ გააღვიძოთ, მოვლენ სადაცაა.

— რას მოვლენ, ხომ ხედავ გარეთ რა ამბავია? მთელი ქუჩები გადაკეტეს.

— სული გადაეკეტოთ, სული! არ აამტუტეს ქვეყანა? არ გვინდა, ბატონო, მაგათი მოტანილი თავისუფლება, საერთოდ არაფერი არ მინდა! ორი პარასკევი დამრჩენია და გავძლებ როგორმე!

— შვილები, მაყვალა, შვილები!... შენ თუ არ გინდა, შვილებს უნდათ...

— სადა მყავს შვილები...

— აბა ესენი ვინ არიან? მოდით ბავშვებო აქ, თავისუფალი სამშობლოს მოქალაქეებო! გესმით ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლი დეიდათქვენი რას ამბობს?

— რა საძაგელი კაცი ხარ...

— ბავშვებო, ხომ გინდათ თავისუფლება?

— გვინდა...

— მოხარშული წაბლი არ გინდათ?

— კი გვინდა!

— წადით იქ, მიტინგზე არიგებენ! ჰაჰა-ჰა! კიდევ რა გინდათ?

სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი უნდა უბედურ მართას! უღლეურები!... გზადაბნეულები!... ცოდვის შვილები!... ღმერთო, რად არ იცოდებ, რატომ ასმენინებ ამ გულსაკლავ ხმებს... როგორ ხარხარებენ, როგორ ზანზარებს მთელი სახლი — როსტომი როხროხებს, ასმათი წიკვინებს, ევა ხრანტალებს, ბავშვები ჰყლოპინობენ, ვიქტორი ფშვინავს, ამრიკო ღმუის, კბილებს აკრაჭუნებს... გამარჯობა, შე საბრალოვ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაფით დაბმულო, როგორა ხარ? თვალებს რატომ აბრიალებ? გაწუხებს რამე?... რაო?... რას ამბობ?... ჰო, ვიქტორს ძინავს... ნემსი გაუკეთეს და პატარა ხნით ჩაიძინა... ქეიფობენ... კი, უფროს ძმას ელიან... სადაცაა უნდა მოვიდეს... ჰო, ეშინიათ... ვიქტორისაც ეშინიათ... რისი წამსვლელები არიან... ერთმანეთისაც ეშინიათ... სუყველაფრის ეშინიათ მაგ საბრალოებს, უდღეურებს, უბედურ დღეზე გაჩენილებს... იმედი აქვთ, რომ არ ვაილვიძებს?... აბა?... იმედი აქვთ, რომ გაილვიძებს?.. მე?... მე... არ ვიცი, ღმერთო ჩემო, ვიქტორი ხომ ჩემი შვილია, ჩემი სისხლ-ხორცი... მე გავაჩინე, მე ცოდვილმა... სუნი?... ჰო, გვამის, ჰაობის, სანაგვის... მაშინვე? ჩვილი რომ იყო?... პირველად რომ?... ის ღამე... დილა... ჰო, მართალი ხარ... მახსოვს, მაგას რა დამავიწყებს... კი გავიფიქრე მე ცოდვილმა... არ ვიცი რა დამემართა... უნებლიედ, ღმერთო შემინდე... არ მინდოდა... მიჰირდა მაშინ, მარტო ვიყავი უცხო ქალაქში, ახალგაზრდა, მუნჯი, უპატრონო... კი მინდოდა... ღმერთმა არ გამწირა... შემინდო წმინდა ღვთისმშობელმა... გადარჩა, ჰო, გადარჩა, მაგრამ მაინც მთელი ცხოვრება ვინანიებ იმ დღეს... ახლა?... რა ახლა?.., რას ამბობ, ბებო, არ შეიძლება... როგორ აგიხსნა... რატომ... ვიცი, რომ მეტი აღარ შეგიძლია... კი გაწვალდი... ნინოც გაწვალდა... ტკივა?... ჰო, ალბათ ძალიან ტკივა... საბრალო საყვარელი გოგო. მართლა როგორ გაიტანჯა... დრო უკვე, დროზე მეტიც... ჰო, აგვისტო იყო, ახლა მაისია. მაშინაც აგვისტო იყო. მე რომ... ნინო რომ... პეტრე... ნუ მაწყვეტინებ... პეტრე რომ... ნუ მეჩრები... შენს გიჟურ აზრებს ნუ მკარნახობ!... რაო?... გაჩუმდი, იმათ არ გაიგონ, ისედაც გიჟად გთვლიან... ხარ კიდეც გიჟი, საყვარელი გიჟი... აბა ეგ რამ ჩაგაგონა?.. ნინოს მუცელში როგორა ხარ?... არა, არა, მაგას ნუ მკითხავ... მთელი ცხოვრება გამიმწარა ერთმა მაგისთანა შეკითხვამ... კარგი, დამშვიდდი... იქ არის მაღლა, მთვარ[illegible] ში... ნინოც იქ არის... ჰო, საყდ[illegible] ჰო, ნინოც... დანგრეული ეკლესია უნდა აღადგინონ... არა, ის არა, ის სულ სხვა იყო... არ იყო... იყო... ჰო, შეიძლება, რომ სიზმარში... ანდა ცხადში... სიზმარში... ცხადში... რომ გავიღვიძო?... მე რომ გავიღვიძო?... ვიქტორმა?... მაშინ... არა! არა! არა!!!... შეიბრალე უბედური ბებიაშენი... არ უნდა გაიღვიძოს?... სანამ ცოცხალია?... არა, არა, მე შეშლილო!... რომელი ჯაჭვი?... ეს ხომ ჯაჭვი არ არის... შენ გეჩვენება... იმათ ჩაგაგონეს, შე საბრალოვ... ჰო, ვიქტორმა... აი, შეხედე, უბრალო ძაფია... ერთს გაიწევი და გაწყდება კიდეც... ღმერთო, დამიფარე... თავვი?... რა თავვი?... კედელში?... თავში?... შენ თვითონ სცადე, ნუ გეშინია... ჰო, თავისუფალი იქნები... თავისუფალი გიჟი იქნები... კი, კარი დახურულია... მარტოა... ოღონდ ფრთხილად... არ იბრახუნო... არ იყვირო... არ გააღვიძო... ძილში... სიზმარში... ბოსელში... ოთხთვალზე... საყდარში... მატარებელში... მოიცა, ნუ ჩქარობ, ჯერ მე წავალ... ჰო, ნინოსთან... დაველმარები... არ ეტკინოს... არ შეშინდეს... აი, მივდივარ... არ იხმაურო... ჩუმად... არაფერი არ გამაგონო... სულ არაფერი... ღვთისმშობელო დედაო, მომხედე მე ცოდვილსა და წარწყმედილს და დამიხშე ყურიც, ყურიც, რომ არაფერი გავიგონო, რომ ქვად ვიქცე... მიწად... მცენარედ... ღმერთო, შეიწყალე ჩემი უბედური, სნეული მოდგმა, ვიქტორის მოდგმა, მიუტევე ჩემი ცოდვები, მიუბოძე სიყვარულის უნარი და დაუბრუნე სამშობლო. მე წყეულმა რომ წავართვი... წმიდაო ქალწულო, ამ ერთხელაც მოიღე მოწყალება, დამაყრუე, დამფალი სამუდამო სიჩუმეში, რომ არ გავიგონო ის ხმა... ის ხმები... ყველა ხმა ერთმანეთში ირევა, ყველა ხმა ერთ გაუგებარ ხმაურად შერწყმულა და გონებას მიმღვრევს... სადღაც ახლოს ზღვასავით გუგუნებს ხალხით გაჭედილი მოედანი... ზღვასავით... ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟარაში დამწყვდეულ ზღვასავით... ამრიკოს ნიჟარაზე უდევს ყური... ყურზე უდევს ნიჟარა... ბუნების ხმას უსმენს... „სა-ქარ-თვე-ლო!... „სა-ქარ-თველო... სა-ქარ-თვე-ლო!... სა-ქარ-თვე-ლო!“... ამრიკო ჯაჭვს ეჯაჯგურება... ძაფია ეგ, სულელო, ჩვეულებრივი ძაფია... ერთს გაიწევი და გაწყდება... ახლავე მარტო დაგტოვებს მართა... აი, ეს კარი აივანზე გადის, ხომ არ დაგვიწყნია?.. იქ კიდევ თეთრი კარია, მარცხნივ, მთლიანი, შემინული კი არა, არ შეგეშალოს, მართას ოთახში შეხვალ... იქიდან კი ვიქტორისაკენ გასასვლელი მუხის კარია, ძველებური, გულიანი... ფრთხილად შეაღე... მართა კი მიდის... აი, წამოდგა... წაფახფახდა... აივანი... კიბე... ეზო. აქ აუზი იყო და შიგ ოქროს თევზები დაცურავდნენ... აი, ჭიშკარი. რა საამო ხმა ჰქონდა, სევდიანი, სალამურის კვნესასავით... ოკრობოკრო ქვაფენილი... ქუსლები როგორ კაკუნებდა... ცაცხვი. გიორგი ბაბუას დარგულიაო, მამამ უთხრა... ცოცხალია... როგორ შრიალებს... ფანჯარა... დედა როგორ ჩანდა ხოლმე ოთახში, ფარდის მიღმა, სანთელივით... ახლა იქიდან ხმები ისმის, ბუნდოვანი. ნაწყვეტ-ნაწყვეტ... ილევა... სხვა ხმებს უერთდება...

— ისე, რომ დავხვედროდით, არ დაიქცეოდა ქვეყანა. მამასაც ესიამოვნება. რა გიჭირდათ სიძეებს, რომ დახვედროდით? მანქანები გყავთ...

— არც ახლაა გვიანი. თუ არ წამოვიყვანეთ, თავისით ვერ გამოაღწევენ ამ დუდგაში. წავიდეთ, გურამ? ერთიც დავლიოთ და წავიდეთ.

— რაღას სვამთ, თუ მიდიხართ ,რა ნახეთ ამ ოხერ ღვინოში!

— ქენშინა!... მალჩატ!... ვიქტორს გაუმარჯოს! უჩა, მოკიდე ჭიქას ხელი, რა ცხვირი ჩამოგიშვია! ვიქტორს გაუმარჯოს! დღეს ბედნიერი დღე აქვს, ოცდათხუთმეტი წლის უნახავ ცოლშვილს იხილავს! აზრზე ხართ!... ყოჩაღ, ვიქტორ! ვიქ-ტორ!... იცით თქვენ, რას ნიშნავს სიტყვა „ვიქტორ?“... აბა თუ მეტყვით? ევა, ა[illegible] ლიცეუმში?

— აბა, ფეხზე ადგომით! ვიქტორს გაუმარჯოს! ჯანმრთელად იყოს, ვიქტორრრ... გლევძძძეეე... შვლართავ...

— აერპრტშშშიიიი... რეისააპმმმ... ქრლდდათთვძ წლრიიოათვსიი...

— წრლოააანნტტნნსსაა?...

— არა!

— გამლევძძაამბლსეეე... როიტპრნნასრლლოოოო...

— არა!... ააარარრაააა...

— ვქტრრრაააა... ვქტრსუუუუგრჯსვქტრრრააა... გლძვძააააა...

„სა-ქარ-თვე-ლო!... სა-ქა-რთვე-ლო!... საა-თეეე-ლოოო!... საააალოოოო! ააააა... ოოოოოოოოო!... ააა-ოოო!... აააა...“

...და შეწყდა! შეწყდა!... მადლობა უფალს, ისევ ისმინა მართას ვედრება! თავბრუ დაესხა უცაბედი ცვლილებისაგან, შებარბაცდა, ხელები მოაფათურა ჰაერში, მაგრამ საყრდენს ვერაფერს მისწვდა და ისევ საკუთარ სხეულს მოეჭიდა, მოფამფალებული მუხლები გაიმაგრა და ტერფებით ჩაებღაუჭა მიწას. ერთ წამს ასე სივრცეში გაძაგრული იდგა და გარემოს იხსენებდა, მერე ზურგითაც იგრძნო დიდი, ძლიერი ხის სიახლოვე, იმედიანად შექანდა, ფეხის გადაუდგმელად გადაიზნიქა, ხეს მისწვდა, მიეხუტა და ბებერი მერქნის სიმშვიდეში შევიდა... მორჩა... გათავდა... რა სიჩუმეა... რა სიბნელე... რა სინათლეა... როგორი ბედნიერი ვიყავი, ბებო, რომ იცოდე, როგორი ბედნიერი! უცებ სულ სხვა სიცოცხლეში აღმოვჩნდი... არ ვიცი რა იყო ეს, ვერც ვერავის ავუხსნი ალბათ, მხოლოდ შენ გეუბნები, იმიტომ, რომ შენ სხვა ხარ, შენ შეგიძლია ყველაფერი ისე დაინახო, როგორც მოხდა... სიგიჟე იყო ეს, რა თქმა უნდა, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო... რაღაც უხილავი ძალა მეწეოდა მისკენ, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი, მონუსხული წამოვდექი და გარეთ გავედი... საოცარი ღამე იყო — თბილი, უძირო, უკიდეგანო, იმოდენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვასავით სივრცე ჩანდა ირგვლივ, რომ დავილრჩობი მეთქი, გავიფიქრე. ვეებერთელა მთვარე ბრიალებდა ახლოს, სულ ახლოს, გეგონებოდა ხელს გავწევ და მივწვდებიო. მთლად გაჩახჩახებული იყო არემარე. ხომ გინახავს, ბებო, ასეთი მთვარე, ხომ შეგიძლია წარმოიდგინო... აღარ მახსოვს, როგორ მივედი მის კარვამდე. მე კი არ მივედი, თითქოს ვიღაცას ხელჩაკიდებული მივყავდი. თან მეშინოდა, თან საოცრად მიხაროდა, და ისეთი სინათლე იყო ირგვლივ, მეგონა იმ ვეებერთელა მთვარეში შევდივარ მეთქი. კარავში შუქი ჭიატობდა და მივხვდი, რომ არ ეძინა... მაგრამ იქ არ დამხვდა... საყდრისაკენ წავედი, კლდეს მივუახლოვდი და დავინახე!... არ შეგეშინდეს, ბებო, შენი ჭირიმე მართლა გიჟი არ გეგონო... მთვარის შუქზე... მთვარის ჩრდილებში... კლდიდან ამოდიოდა თითქოს, ჩრდილებს მოჰყვებოდა თუ თვითონ იყო მთვარის ჩრდილები... არ ვიცი რა იყო... კლდიდან გამოსვლას ლამობდა, წვალობდა, იტანჯებოდა, ყველაფერი ტკიოდა — ქვიდან სანახევროდ ამოძრობილი მკერდი, დაძაგრული კისერი, ბეჭები... ცალი ხელი ჯერ კიდევ მკერდში ჰქონდა, მეორე გაეთავისუფლებინა და იმ თავისუფალი ხელით ფეხის ამოძრობას ცდილობდა, აი, ასე, ბებო, ხომ ხედავ, აი, ასე, და საშინელი დაძაბულობისაგან და ტკივილისაგან ყვიროდა... პირი არ ჰქონდა და მაინც ყვიროდა... მთელი ღამე იმ ყვირილით იყო სავსე... მინდოდა მივშველებოდი და ადგილიდან ვერ ვიძროდი... მეც ამტკივდა მთელი ტანი... არა, იმას ტკივილი არ ჰქვია — რაღაცას ითხოვდა ჩემი სული და ხორცი, იმ ძალას, ქვას რომ არღვევდა,... იმ კუნთებს... იმ ტანჯვას... იმ ყვირილს... თითქოს მეც ქვა ვიყავი და უნდა დავმსხვრეულიყავი, რაღაც უნდა გათავისუფლებულიყო ჩემი სხეულიდან... ბურანში გადავდგი ნაბიჯი და გავშეშდი — ვიგრძენი, რომ ვიღაც იდგა ჩემს უკან, მისი სუნთქვაც კი გავიგონე... შემოვბრუნდი... გადმოიწია, მომხვია ქვის ხელი, ქვის მკერდში ჩამიკრა, ქვის კუნთებით დამლეწა... სახე არ ჰქონდა, ბებო, ჯერ სახე გამოკვეთილი არ ჰქონდა და ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ამაყი იმით, რომ კლდე გამოარღვია და გამოვიდა, და მეც ისეთი ბედნიერი ვიყავი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

# „ველარამან გამახარნეს“

* * *

მიჯაჭვული ამირანი
მთაზე კავკასიონის,
უსაზღვროა ძალა ღვთისა —
ზარი რეკავს სიონის.

არავისი იმედი გვაქვს,
არავის ნასუფრალის,
უპატრონო ეკლესიის
პატრონია უფალი.

## ტვირთი...

ლურჯი კვამლივით მშვენიერი
ერთვი ცისა ფერს,
ხოლო ვიღაცა იფურთხება
ღრუბლის პირიდან,
კაცმა არ იცის, რა სჭირდება
კაცის მისაკვლევს,
იმ მისაკვლევთან ვინ მივიდა
ან ვერ მივიდა.

რაა სიცოცხლე, ან რომ იყავ,
ნეტა ვის ახსოვს,
ტირილ-წივილით წასვლა-მოსვლა
ღირს კი წამებად?
სიძულვილის ნუ გეშინია,
ჩემო ძვირფასო,
უფრო ძნელია, სიყვარულის
ტვირთის ტარება.

## დიდება ტაძარს!

გაჩანაგებულ ყანებს და სოფლებს,
სისხლივით მოსჩქეფს მღერა
მკვლელების
სწორი მოუკლეს ქუჩაში სწორფერს,
გადაუარეს ჩვილებს კევრებით...

ნეტავ სადაა თავშესაფარი
ან სასაფლაო საგვარეულო,
ჭრილობას ასდის სუნი ზაფრანის
და მოსწყვეთს თაფლი შხამგარეული.

ის უნებლიე მკვლელი არ გახლავთ,
ვერც კი შეამჩნევ არის თუ არა,
მაგრამ ბალახიც უმალ გადახმა,
შავი ჩექმით რომ გადაუარა.

თუმცა მარტვილი ისევ მარტვილობს,
ისევ მაგრა დგას რკონი და კაცხი,
უჭირს კარიბჭეს, ფრთხილად,
ქართველო,
სული ზეიმობს უზნეო კაცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჭირს კარიბჭეს, ფრთხილად,
ქართველო,
უტიე ჰკუით და სიმამაცით,
ლოთია იგი, სისხლით დათვრება
და ყაზარმაში წავა ბარბაცით.

რაც დღეს აკლია ქართველის სუ[illegible]
პირველად შობილს გიძღვნი ცისა ფერს,
დიდება ტაძარს, დიდება უფალს —
ვართ უკუნითი უკუნისამდე.

## დაღამების წინ...

მაინც არ ამცდა სუსხი ბედისა,
ბნელში, უკუნში, იესუს დავეძებ,
დაიწვა ბედი შემოქმედისა,
ჰუჰყი მეტია სისუფთავეზე.

ჩქარა გათენდი, ჩქარა დაღამდი,
ქუჩაში ვგდივარ, მე დაჭრილი ვარ,
მანამ მიყვარდი, ვიდრე განახავდი,
სიკვდილო, შენი ღვიძლი შვილი ვარ!

## წყალობა

ღამის განმგებელნო, ვარსკვლავებო,
დღისა განმგებელო, ჰელიოსო,
უმალ დამიწყევლეთ მხარ-მკლავები,
თუ თქვენი ნათლით არ შევიმოსო.

პურის მაგიერი ქვაი მომეც,
მწვანე ბალახი და კალიები,
რიყით ნაშენები ჩემი ყორე
იყოს ჩემი მინდვრის ყვავილები.

ღმერთო, კაცის სიტყვას გაგახსენებ,
ნუ გამხდი ბოროტების შემცნობელსა,
წვიმა მოუვლინე ლამაზ ველებს,
ველი დაუნამე მეზობლებსაც.

მომეც ჩემი ნეკნი, დედაკაცი,
მომეც ერთ ძვალად და ერთხორცადა,
ხმას არ ამოვიღებ, მზეს დავაცლი
შიშველი სხეულის შელოცვასა.

მუცლით ნუ მახოხებ გველივითა,
მტვერი არ მაჭამო გატანჯულსა,
არა, არ მაცხოვრო გერივითა,
ნურცა გამირიყავ კაცთა რჯულსა.

ღირსი, ღირსი არ ვარ წყალობისა,
მაინც კეთილობა მიწყალობე,
აჰა, ესე მსხვერპლი გალობისა —
რაიც სამსხვერპლოდან გიგალობე.

ყური მომაპყარი, როგორც ბებერს,
ერთო, ორი სიტყვის არა მთქმელო.
ვანგრევ ვერცხლისა და ოქროს
კერპებს, —
ღმერთო, ერთი არის საქართველოც!

## გემორჩილები, ციერო

ყურს ვუგდებ ირმის ბღავილსა,
დარდი მაქვს ჩაკლულ ჯავრისა,
ხატო, მზიანი ღამისა,
ხატო, უჟამო ჟამისა.

მეც შენი ცის ქვეშ ვძლიერობ,
ცასა შევსტირი ყინწვისსა,
გემორჩილები ციერო, —
მონა ვარ შენი მიწისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იქით, შორს...

დაწყვეტილია სიმები,
დაცვენილია ფოთლები,
ქუჩას მოსდევენ წვიმები, —
ფეხარეული ლოთები.

გულს ცეცხლის ალი მედება,
მზის მკერდზე სევდად შებმულო,
მშვიდობით, ჩემო ედემო,
სამოთხის შეყვარებულო.

მშვიდობით, შენ გენაცვალე,
შენ, ჩემო უარმყოფელო,
სიკვდილში როგორ გამცვალე,
ვაჰ, რა შიგან ხარ სოფელო.

თამარი ხარ თუ შორენა,
სავსე მაქვს შხამით ჰიქები,
მე შენთვის არ ვარ, თორემა
შენ ჩემთვის მუდამ იქნები.

* * *

დიდება ყინწვისს,
ქარი ფრთებს უფრო შლის,
ნეტავი ვინ წევს,
ვინ წევს იმ კუბოში?

ირხევა ფარდა
ცისფერი ნისლების,

და სევდის გარდა
სინათლით ვივსები.

ჩიტს ვუმზერ დიდხანს,
მიმალულს სუროში
და ჩუმად ვკითხავ, —
ვინ წევს იმ კუბოში?

## ულიანოვი და კობა

ამხ. ზინოვიევს — „ხომ არ გახსოვთ კობას გვარი? მოკითხვით,
ულიანოვი"
22 აგვისტო, 1915 წ.

ამხ. კარპინსკის — „დიდი თხოვნა მაქვს, გამიგეთ კობას გვარი"
9 ნოემბერი, 1915 წ.

სისხლის წვიმამდე რაღა დარჩა, ქრება „კოლბასი",
ძეხვი კი არა, აღარაა თვითონ „მონპასი",
ემუდარება ზინოვიევს ულიანოვი —
ხომ არ გახსოვთო გვარი კობასი?
კობას ჰგონია, რომ ლენინის არის ტოლფასი,
მაგრამ ხანდახან ურევს კომპასი,
სამხრეთს ჰკარგავს და ჩრდილოეთით გადაიხრება,
როცა სხვას უხნავ, შენი მიწა არ დაიხვნება.
ახლა კარპინსკის ეხვეწება ულიანოვი —
გამიგე, სანამ გაგამწესე ციმბირს „კანვოით".
ასე, სამი თვე იხვეწა და ვერა გაიგო,
ხოლო რუსეთი სადუხჭირო და საბარიგო
ელოდა ორ ძმას, ლენინს და სტალინს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი ამ დროს, ძებნაშია სტალინის გვარის,
ზინოვიევი და კარპინსკი ეძებენ კობას,
ბოლოს მათ ქამად ემზადება კობა ვით კობრა.
ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთი მონახა ძმობამ,
ერთად ებრძოდნენ შიმშილობას, შურსა და მტრობას...
დაიმსახურა თუმც ლენინმა სტალინის ნდობა,
ისე მოკვდა, რომ ვერ გაიგო ვინ იყო კობა.

## ლექსი მივიწყებულ ჯალათზე

ბახვით, სართიქალით, კაცხით,
ჩორდით, ლაჯანით და თერჯოლით,
სისხლში ამოთხვრილი კაცი
იდგა ულმობელი ეჟოვი.

იდგა ულმობელი სული,
იდგა სისხლის მსმელი ჩვენ შორის,
განუკითხაობა სრული
სახელს ატარებდა ეჟოვის.

ხომ არ დავივიწყეთ რიგი?
ქარში ხომ არ ვდგევართ გამქოლში?
ბერიას ხელას იგი
წიწაკას აგდებდა ხარჩოში.

შეფასებულია ცუდად
შეუფასებელი ლალატი,
დროა, გავიხსენოთ უნდა
ძილად მივიწყებული ჯალათი
უფრო სისხლიანი ჩექმით,
უფრო სისხლიანი ხალათით!

## მოსკოვის სასტუმროდან...

ცა არაყის ფერი არის,
შინნახადი არაყის,
სარკმლით შვიდი გუმბათი ჩანს,
შვიდი ოქროს ვარაყით.

ხახვისთავა გუმბათებო,
რეკავს კრემლის საათი,
მე ჩემთვის ვარ, არავისი
არა მაქვს მისამართი.

იქვრიტება სათოფური
მწყობრი აგურებიდან,
რა ჯანდაბა გამომიყვანს
ახლა ამ გუნებიდან...

თოვლი, თოვლი ეფინება
კოშკებსა და შენობებს,
დგანან თოვლში ზვიადები
და რაღაცას ჩემობენ.

თავის თოფი, თავის საქმე,
თავის მთა და ბარი აქვს,
რა დიდია ეს ქვეყანა,
ცა კი რა დაბალი აქვს.

ცას შეეჭრა თვითმფრინავი,
ბრჭყალით ბინდი გაბასრა,
რეკავს კრემლი და მისი ხმა
გაჩრილი აქვს დაბალ ცას.

არცა ვინმეს მიზანში ვარ,
არც არვინ მყავს სამიზნე,
წავიკითხავ „ოგონიოკს“,
რამეს ვნახავ სტალინზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სინანული

შენ გამირბი.
შენ გრცხვენია
ქალაქის და უბნის,
გახსოვს?

განგებ ჩამიარე
და ვერ დამინახე,

შენ რომ ზურგი
შემაქციე —
ის არ იყო ზურგი,
შენ რომ სახე
ამარიდე —
არც ის იყო სახე.

## ორად გაყოფილი ქვეყანა...

ისეც ხდება,
ქექენ ნაგავს,
„პიკეტობენ“, „პაკეტობენ“,
გაირჭობენ ლვედში ნაგანს
და აგენტზე უფრო მაგრა
მსტოვრობენ და აგენტობენ!

მაგრამ ბევრი ანთებს სანთელს,
ბევრი ლოცვით გამთბარია,
ყველა რაინდს, ყველა ქართველს,
ღმრეთო, ხელი მოუმართე,
ვინც კი შენთან მართალია!

## პ-ს

მახსოვს, ჩვენი სიყვარულის
ლურჯი სიო ქროდა,
ავ თვალს არ ენახვებოდი —
რა ჯიგარი გქონდა?!

ღმერთო ჩემო, რა წამხდარი
არის ეს ქვეყანა...

ვერც შევიტყვე, ეს წამხდრობა
როდის შეგეყარა.

ბილიკს ვიწროს და გზას ფართოს
ადგას საქართველო,
ღმერთმა ხელი მოგიმართოს,
სულ კაი გზით გევლოს!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**გივი ალხაზიშვილი**

* * *

უძველეს სიტყვებს ვიმეორებ —
ათასწლეულთა ცოდვა-მადლით
დადასტურებულს:
წარმავალია, ყოველივე წარმავალია.

მაგრამ წუთები გაზაფხულით
გაბრწყინებულნი
გულს რად უხმობენ სასიყვარულოდ,
ნიშნად იმისა, რომ უცვლელად
მეორდება,
რაც ნიადაგ წარმავალია.

დროის დიადო უსასრულობავ,
სიყვარული ჰგავს მეწამულ ყვავილს
შენს სუნთქვაში აღმოცენებულს
და ნაღვლიანად ვიმეორებ უძველეს
სიტყვებს —
ათასწლეულთა ცოდვა-მადლით
დადასტურებულს:
წარმავალია, ყველაფერი წარმავალია.

## ავტოპორტრეტი ანუ გაქცევა სიმარტოვეში

მე გავრბოდი ქალაქიდან,
როცა მბეზრდებოდა ხალხი...
მე გავრბოდი სახლიდან,
ერთფეროვნების შიშით...

მე გავრბოდი სამსახურიდან,
როცა მიმონებდა ჩინოვნიკური
სიმშვიდე...

მე გავრბოდი შენგან,
რათა მეგრძნო:
შენ კი არა, ჩემს თავსაც არ ვეკუთვნი!

...და მივდიოდი იმ ქვეყანაში,
რომელსაც ჰქვია მარტოობის
უსასრულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოობა დედაა ჩემი
და ჩემი სენი — თანდაყოლილი
დარდი —
მემკვიდრეობითია.

დღენიადაგ გაქცევაზე მიჭირავს თვალი
და მე გავრბივარ იქიდანაც კი,
სადაც მუდამ უკან ვბრუნდები.

შენ რომ გგონია, —
ჩვენ ერთად ვართ
და ერთმანეთს თვალებში ვუმზერთ,
მე მაშინაც კი სხვაგან ვარ ფიქრით —
იმ ქვეყანაში, რომელსაც ჰქვია —
მარტოობის უსასრულობა.

ნუ შემიყვარებ,
არ ვარ ღირსი სიყვარულისა,
მუდამ გაქცევა ილანდება
ჩემი თვალების სიღრმეებიდან.

ხეს რომ ვუყურებ,
მე მის ფესვებს ვხედავ თვალნათლივ
და შენ რომ გიმზერ —
უნებლიეთ შენს წარსულს ვხედავ.

ოი, სიამევ,
მოჩვენებითი ბედნიერების,
ჭეშმარიტების მიღწევის
მძლავრო სურვილო,
შენა ხარ შხამი უპირველესი
და სინათლის უარმყოფელი.

ულამაზესი ტყუილები
გვხრავენ თანდათან
და გამოფიტულ სხეულებში
წყვდიადი სუფევს.

## ნეკროლოგი

დაიბადა და მოკვდა.
აი, ორი ღირსსახსოვარი თარიღი
მისი ბიოგრაფიიდან.

ამ ორ თარიღს შორის
იგი გვირაბს თხრიდა
სინათლეში გასაღწევად
და როგორც ხედავთ —
ის საკუთარ საფლავს თხრიდა
მთელი სიცოცხლე.

• • •

მე ბოლოს მაინც ჩავიკარგები
ღამის თვალებში ვარსკვლავთ
საკრეფად,
ამისრულდება ნება განგების
და მიწიერი ყოფა გაქრება.

გადავივიწყებ დღეებს შხამიანს
რომ დარაჯობდა გველი წითელი,
რომ ჩვენს თვალებში მაინც ღამეა,
სადაც წვეთწვეთად ჩავიწრიტებით.

თითქოს სხვა დარდი არა მყოფნიდა,
შეუბრალებლად მყიდის ორპირი,
შენი თვალების მწვანე ყულფიდან
მე ვიმზირები უარყოფილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დავუბრუნდები ცარიელ ფურცელს,
შენზე იდუმალს და უფრო სანდოს,
რომ მოთმინება შვილივით ვზარდო
და არ ვიფიქრო არსობის პურზე.

დავუბრუნდები ღამეულ გვირაბს,
რომელიც ისევ გამიყვანს დღეში,
რომ შენი მკერდით ავსილი პეშვი
მზედ მოვაჩვენო ღრუბლიან კვირას.

დავუბრუნდები წარსულის ნანგრევს —
მე — შეჩვეული თანდათან ნგრევას —
შენების ქინი დღითიდღე ქრება,
ვგრძნობ. შენს თვალებში, რომ უნდა გავქრე.

## საუცხოო თავშესაფარი

შენ როგორ გითხრა,
როცა თვითონ არ ვიცი, ვინ ვარ,
ვარ კი, საერთოდ, ამ ქვეყანაზე?!
იქნებ, საცოდავს მეჩვენება ეს ყოველივე
და შენი ხმა ალერსიანი —
სულაც არაა შენი ხმა და
სხვა სამყაროდან აღწევს ჩემამდე?!

განა შენ იცი, ვინ ხარ?!
ან გჯერა რომ მართლა არსებობ?!

ჩვენ ვართ ლანდები
და ჩვენ ვმალავთ ნამდვილ სახეებს,
ვმალავთ გულდასმით.

ნამდვილ სახეებს
სიკვდილის შიში გამოგვიჩენს
უკანასკნელ დღეს
და რომ გავქრებით
ჭეშმარიტებას მხოლოდ მაშინ
დავუბრუნდებით.

მე არ ვიცი ვინ ვიქნები ხვალ
და არც შენ იცი
რას გიკარნახებს ქალური ალღო
და ცივ ლოგინს ვის ჩაუთბუნებ.

მე ისევ ვსწავლობ
სურვილების უარყოფას
და ვნების ჩაკვლას,
თან ვგრძნობ, სიმწარე უარყოფისა
ერთ მშვენიერ დღეს
სიმარტოვედ გადამექცევა.

ვიცი, უშენოდ, დავრჩები ერთხელ
და უშენობას თავიდანვე მსურს შევეჩვიო.

. . .

სიახლოვის ერთფეროვნებას
მალე წაშლის განშორების ნაღვლიანი სივრცე,
რათა მობეზრება მონატრებად,
ხოლო მისაწვდომი
მიუწვდომლად აქციოს.

მე არ ვიცი —
ახლა შენ გეფერები
თუ ჩემს წარმოსახვას ვეფერები.
არც შენ იცი —
მე ვარ შენთან თუ ის კაცი,
რომელიც შენ გამოიგონე.

მე მიყვარს ჩემი წარმოსახვა,
ხოლო შენ კი საკუთარი გამონაგონი.
ერთმანეთისთვის უცხონი ვართ,
უცხონი, უცხონი, უცხონი...

შეგვაკავშირა უსიყვარულო დღეებისა
და სიმარტოვის გაბმულმა შიშმა
და მერე, როცა გამთლიანდა ორი სიმარტოვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივეს დაგვავიწყდა საკუთარი
მარტოობა.
ისე კი, ჩვენ ერთმანეთისათვის
უცხონი ვართ, უცხონი
და ჩვენი ოთახი არის თავშესაფარი
საუცხოო.
ერთმანეთიც მანამ გვეყვარება,
სანამ საუცხოო სიუცხოვეს
ბოლომდე არ აეხდება ფარდა.

მე არ ვიცი, ვინ ვარ,
არც შენ იცი, ვინ ხარ,
და ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ
სხვათაშორის
და ეს ნაცნობობა საკმარისია
ორი სიმარტოვის გასამთლიანებლად,
რათა მე და შენ
ერთმანეთში დავემალოთ
სიმარტოვის შიშს.

## ინფორმაცია — 1990

ცვედანი სიყვარულზე ქადაგებს,
ქურდი — თავისუფლებაზე,
მეძავი — ზნეობაზე,
ჰომოსექსუალისტი — დემოგრაფიულ
საკითხებზე,
უქნარა შრომის ნაყოფიერებაზე,
ლესბოსური ტრფიალის ერთგულნი
ოჯახის სიწმინდეზე
და ყველა, ვისაც არ ეზარება,
ერის სახელით ლალადებს
„ჭეშმარიტებას".

არასრულფასოვანი არსებებისთვის
წყლის ამღვრევა
სარფიან საქმედ გადაიქცა.

ძალადობა, ძალადობა, ძალადობა...
ძალადობა ყოველი მხრიდან.

პოლიტიკური ჭორებით დაბნეულო,
საბრალო ხალხო,
მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი
მეთოდურად აგრძელებენ
თქვენს გამოთაყვანებას.

ტყუილ-მართალი ისეა ერთმანეთში
აზელილი,
რომ ეშმაკიც ვერ გამოაცალკევებს.

დალლილო ხალხო,
ისე სწრაფად გამოგალვიძეს,
რომ ვერ მოასწარ გამოლვიძება.
შეიძლება კი სამოცდაათწლოვან
კოშმარულ სიზმრებს
შენი ფსიქიკა არ დაერღვია?!

რას იტყვი ახლა
მონის ულუფა გირჩევნია,
თუ მშიერი თავისუფლება!

ნუთუ შენ ისევ
ბელადების ძებნას დაიწყებ,
რომ საკუთარი მონობა კვლავ
დაადასტურო?!

* * *

თითქოს და გაქრა პეიზაჟი,
ის აღარაა მიმზიდველი
დღევანდელი პოეზიისთვის.
ჩაფერფლილია გულუბრყვილო
აღფრთოვანება,
გამკაცრდა ფრაზა,
ის დაემგვანა დღევანდელ დღეს
დაუნდობელს და გულამღვრეულს.

დღეს, სამწუხაროდ,
წმინდა სიტყვაც — სიყვარული,
ისე ჭრიალებს, როგორც საწოლი
მოძველებული.

ჩვენ დავიღალეთ
ისტერიული პუბლიცისტიკით
და გაქცევაზეც აღარ ვოცნებობთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგან, ყველგან,
სადაც დამალვა დავაპირეთ,
სატკივარმა თავი იჩინა.

ტკივილია ჩვენი თანმდევი.

დედამიწაზე არ არსებობს
მტკაველი მიწაც,
სიცოცხლეში რომ სიმშვიდე ჰპოვოს
ძე ხორციელმა.

ან როგორ ვუძლებთ
გამუდმებულ ნერვების წყვეტას?!
ჩვენ შევიშალეთ,
თითქმის ყველანი შევიშალეთ
მოლოდინის ბუნდოვანებით.

ახსოვს კი ვინმეს —
რას გამოხატავს სიტყვა —
„სიმშვიდე"?!

რამდენი შხამი დაგროვილა
უკანასკნელ ათწლეულებში.
ყოველ სიტყვაში
გარეულა თითქოს სამსალა.

მილიონების თვალებიდან
დაბნეული ლამეები იხედებიან...
დიახ, გაქრა პეიზაჟი,
ის აღარაა მიმზიდველი
დღევანდელი პოეზიისთვის,
რადგან სამყაროს უდიადესს
ველარ ალვიქვამთ.
დიახ, ქრება პოეზია,
ესე იგი ვქრებით ყველანი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემურ ჩხეტიანი

## სტუმრები

„წუთისოფლის სტუმრები ვართ“.
ხალხური

„ჩვენ სტუმრები ვართ
და თქვენც სტუმრები იქნებითო“, —
ასე გვითხრეს აქ დამხვდურებმა.
ჩვენ დავიჯერეთ
და დასტურიც მივეცით,
რომ სტუმრების მოვალეობას
უსათუოდ შევასრულებდით...
მასპინძელი კი არსად ჩანდა.

ჩვენს საარსებოდ იქცა მერე
აქ არსებული:
ბაღი, ქალაქი, მინდორი თუ
მყუდრო ოთახი;
ხელმისაწვდომი გახდა ჩვენთვის
პურიც და ღვინოც,
ხელთათმანიც, კალამიც, აფრაც,
ჯვარიც, ლურსმანიც, მახვილიც და
წმინდა სანთელიც, —
ასეთი იყო ალბათ მისი განკარგულება...
მასპინძელი კი არსად ჩანდა.

უფლება გვქონდა ყველაფრისა,
თითქმის ყველაფრის:
ღიმილის, ძილის, სიტყვისა და უთქმელობისა;
უფლება გვქონდა საქმისა თუ უსაქმურობის;
უფლება გვქონდა მარტოობის,
და ერთად ყოფნის,
უფლება დარდის, განცხრომის და სასოწარკვეთის;
უფლება გვქონდა უფლების და უუფლებობის;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფლება გვქონდა დავიწყების
და გახსენების...
შექირვებისას ვიხსენებდით უცნობ მასპინძელს.
მასპინძელი კი არსად ჩანდა.
ჩვენ ვინც დაგვიხვდნენ,
სათითაოდ გაიკრიფნენ, გაუჩინარდნენ
და ჩვენ ვიქეცით დამხვდურებად;
მოვიდნენ სხვები,
რომელთაც უკვე ჩვენ ვასმენდით:
„ჩვენ სტუმრები ვართ
და თქვენც სტუმრები იქნებით-თქო“. —
მასპინძელი კვლავ არსად ჩანდა.

ახლა უკვე ჩვენ მივიბარგებით,
დიახ, მივდივართ —
სტუმრის წესი უნდა აღსრულდეს!..
მივიბარგებით უბარგოდ და, უკანასკნელად
თვალს ვავლებთ რა აქაურობას,
ერთადერთი —
სინანული მიგვყვება საგზლად,
მასპინძელი რომ ვერ ვიხილეთ.

## დაჭმუჭნული ფურცელი

რა დაერქმევა ჩვენს განვლილ ცხოვრებას?
რა სახელი მოეძებნება
ჩვენს წარსულს, სულს რომ გვიხუთავს ახლა?..

რა დაერქმევა ჩვენს განვლილ ცხოვრებას —
შეცდომა?
    ფარსი?
        აბსურდი თუ...
დაჭმუჭნული ფურცელი მხოლოდ,
გაბრაზებით რომ მოისროლეს?..

რა დაერქმევა ჩვენს განვლილ ცხოვრებას?..
რა დაერქმევა ჩვენს მწარე წარსულს?..
სწორედ ჩვენსას,
თორემ ამისთვის
საუქვო და საორჭოფო არაფერია:
ისევ ამოდის მწვანე ბალახი
გადამწვარ მინდორზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სადღაც ვიღაცა გველოდება

სადღაც ვიღაცა გველოდება — დღეების მიღმა,
წლების იქით დგას მომლოდინე, არის და გვიცდის, —
რა ვუყოთ, თუ ის დღეს სულ სხვაზე ნახულობს სიზმარს
და ჩვენს შესახებ არაფერი მან ჯერ არ იცის.

სადღაც ვიღაცა გველოდება, თუმც იგი ახლა
სხვისთვისაა და მისცემია დღევანდელ ლოდინს;
ან, შეიძლება, ამ წუთებში ვიღაც სხვას ახლავს,
მაგრამ ის მოდის,
ჩვენს მომავალ სიზმარში მოდის.

სადღაც ვიღაცას ველოდებით, მაგრამ არ ვიცით,
რომ ველოდებით ვიღაც სხვას და ჯერ კიდევ უცნობს
და რომ მივდივართ შეხვედრაზე დიდი ხნის იქით,
ჩვენ ახლა მხოლოდ გვერდით მყოფის სიცილს თუ ვუსმენთ.

სადღაც ვიღაცას ველოდებით განგების ძალით,
თუმც ახლა სხვისთვის ვლაპარაკობთ დღევანდელ მართალს
და სწორედ მისთვის ვეძებთ მისებრ მშვენიერ ყვავილს
და ველოდებით მოთმენლად — ქუჩაში, კართან...

სადღაც ვიღაცა გველოდება და თვითონ ვუცდით,
დღეს ვეფერებით თუმცა სხვისას თვალებს და ხელებს;
დღეს ჩვენ სრულიად გულწრფელნი ვართ მაგრამ არ ვუწყით,
რომ ჩვენს გრძნობებში ჩვენ მართალნი ვიქნებით მერეც.

სადღაც ვიღაცა გველოდება — დარდიც და ბედიც,
არ ვიცით ვინ ვართ ან ერთმანეთს რა უნდა ვუთხრათ...
სადღაც ვიღაცა გველოდება და თვითონ ველით
სხვა ლამაზ თვალებს,
სხვა ღიმილს და
სხვანაირ კურცხალს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლელა გაბური

* * *

დაშრა თვალები,
სავანე კი აქვეა ახლოს,
ხელმოცარული მებადური ნაპირს ვერ
გავცდი,
მინდა გაჩვენოთ ოქროს თევზი —
ფსკერზე რომ სახლობს
და ოკეანის ამოხაპვა მიხდება საცრით...
აწყდება ნაპირს აქოჩრილი ტალღების
რემა,
ჰა, დამსხვრეული, დალეწილი
ფრთები — ურჩები,
მე დავბრუნდები
ირონია როცა დაცხრება,
მე დავბრუნდები თუ ამ ტალღებს
გადავურჩები.

## მამულს

სულო, ამაღლდი და აყვავილდი,
ნიჭო, დაივანე სამკვიდრებელს...
იმავ სახატესთან დგებიან და
იმავ სადიდებელს ადიდებენ,
სადმე სიყვარული თუ დაგაკლდა,
რწმენა საუკუნოდ არ აენთო.
მიხმე — ერთგული და უჩინარი,
ფუძეს ჩამაწნან და ჩამალევენთონ,
სადმე მხედარი თუ გაგელია,
სისხლო,
შეივედრე იმედები...
ისე გამიმეტე სიკვდილისთვის,
როგორც სიცოცხლისთვის მიმეტებდი

## კითხვა

ცა ლამურის ფრთასავით
ირკალება ირიბად
და ეულმა მთიებმა
ნისლი შემოირიდა,
სიკვდილი თუ სიცოცხლე,
რა იწყება მთის აქეთ,
რით თავდება ამგვარი
სწრაფვა სინათლისაკენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არ მეშინია უკვე არაფრის,
მე დასათმობი დავთმე ბოლომდის.
დღეს სინანულის ქარი არა ქრის,
დაუსრულებელს ვირჩევ მოლოდინს.

ჩემი სიკვდილი და დგომა ცალკე
ლექსების სიკვდილს რადგან მერჩივნა,
მე მოველ შენთან რომ დამეკარგე,
და სიყვარული გადამერჩინა.

## ლტოლვა

თეთრი ღრუბლები დაღმა მიდიან
და უხუნდება ცისკარს ფერები,
რაღაც ზეცაზე უფრო დიდია,
უფრო ნათელი და საფერები.
რაღაც იმაზე უფრო მეტია,
რაც ჩვენ გვხიბლავს და
რაც ჩვენ გვაწვალებს.
ქარი მიწაზე ვერ დაეტია,
ყაანაპირა ჩემი საძვალე.
ჰა, მოჩვენება საზრდოობს ხვალით,
ბილიკზე ლანდმა გადაიარა,
ვერხილვის მწუხრით ღამდება თვალი,
ვერცნობის დარდით იწვის იარა.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გიგიტაშვილი

## დაგვიანება

მეო მითი ვარო, უცნობი სიზმარი.
კმარა თვალთმაქცობა გზით ნათილისმარი.
მეო გედი ვარო, გზაო, შენი ბედი.
არა, არ მჯერა, არ მქონდა იმედი.
მე ხომ არა მქონდა სიზმარივით წმინდა
სული, და მეგონა ჩემი სული გინდა,
შენ დემონო მარნის, მზეო ჩემი რთველის,
სული მე მკირდება, წინ ბრძოლები მელის.
იქნებ შენ გინდოდა სულ წვეთის ოდენა
თვალზე სიხარული და ცრემლის მოდენა.
როგორც ყველა გოგოს, გსურდა მოფერება,
და ნამოფერალით ყელის მოღერება.
აკვირტული მთა ხარ, ციური, ფეროვალი,
დასაპყრობი მოსჩანს ახალი მწვეროვალი,
ვგონებ, ჩვენ შევეძლო ერთურთის მორჩენა,
ვგონებ, სიყვარულშიც არის გამორჩენა.
ჩემი სიყრმის მთა ხარ, სიბრძნის მთა ათონი,
სხვისი მონა ხარ და ჩემი ქალბატონი.

* * *

თუ შენი ლექსი სულს ვერ აშუქებს
მხამდ გერგება გზაზედ ქებანი.
შენ გაიხსენე ძველად აშუღებს
როგორ ესმოდათ ნეტარებანი

და სანთლებივით ქალის თითების
მწვავს და მატირებს სუნთქვა ციური,
ეს არი კვნესა ძველ მიზგითების.
თუ წყნარი მუქი ეკლესიური.

ის აქ სიონში რწმენის წამისკენ
შებრუნდა როგორც ქრისტეს ფირალი
და მიახედა მარიამისკენ
ქართველი გოგო ჩვენსკენ მზირალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეილა მესხი

# სიმარტოვის თავშესაფარი

მოთხრობა

ახალ საცხოვრებელ სახლს, მოჭრიალე კარებს, ძველისძველ კედლებს, მწვანედ ჩაბურულ ეზოს, ხიდზე გადაქროლილი მანქანების უთავბოლო ხმაურს თუ ქუჩისპირას ჩამორიგებული ელნათურების ფორთოხლისფერ შუქს ყველაფერს შეჩვევა სჭირდებოდა. უპირველესად, კედელს იქით, საწოლის ყრუ ჭრიალს, სუსტ ხველებას და ავადმყოფის უხმაურო ნაბიჯებს (რაც ყველაზე მეტად აფრთხობდა).

იგი გარიგარ უვლიდა სახლს.

სალამოს პირს, ბინდბუნდში გამქრთალ ეულ შუქსაც კრთომით ადევნებდა თვალს, უკანა ოთახიდან გამოსხლეტილ ხმებსაც უსმენდა, კიდეც რომ ალწევდა და არც ალწევდა...

სახლის ძველ მეპატრონეს, თითქოს წუთშესვენება გამოეცხადებინოს, რაც შემეძლო გავაკეთე, აწი თქვენ იცითო. ამიტომ, ეზო-კარს მარჯვე ხელი აკლდა. სიმარტოვისგან ჩამყუდროებულიყო, სევდიანი ფერი დასდებოდა. სახლები ხომ ადამიანებივით დარდობენ... მარტოობას ვერ იტანენ.

მიუხედავად ჩაძველებისა და ჩამყუდროებისა, მისაზიდი და თვალმისატაცი მაინც ახლდა ეზოს. თუნდაც, გზის პირას ჩამორიგებული ალვები, გრძელ-გრძელები, შხვართალები და ფოთოლებშრიალები. გაზაფხულზე ხომ ლამაზები იყვნენ, ახლადაკვირტულნი, მწვანედ მოხასხასენი, შემოდგომაზე უფრო მგრძნობიარენი ხდებოდნენ, როცა ფოთლები დაცვივდებოდათ და ტანშიშველნი რჩებოდნენ. იდგნენ და ეულად ტოკავდნენ...

ასეთ დროს ხის გრილ სხეულს ეკვროდა ქალი. აყურადებდა რაც შიგ ხდებოდა, თვით ხეში, მის სისხლძარღვებში, ხმაურობდნენ და გუგუნებდნენ ალვები, მზესა და ქარს ეფიცხებოდნენ, ებრძოდნენ, მერე თანდათან მშვიდდებოდნენ, შოშმინდებოდნენ. მათ ტოტებქვეშ გრილი, ნოტიო ჰაერი უჩნდებოდა. შემოეხვეოდა ქალი ხის გრილ სხეულს და გრძნობდა, როგორ რბილდებოდა და ნაზდებოდა თავად. მცენარის წვენი თითქოს მის სხეულში გადმოდიოდა, შეუმჩნევლად იღვრებოდა...

ასეთ დროს იგონებდა რაღაც ძნელს, კარგა ხნის მივიწყებულს, მის სიყმაწვილეს თუ ნორჩქალობას ჩამცხრალ ფერებად რომ შემორჩენოდა.

ეჩვენებოდა, რომ საუკუნემ ჩაიარა მას შემდეგ, რაც ქალაქს შემოეხიზნა, მისი ბინადარი გახდა.

ოღონდ, წარსულს არა მთლიანად, ერთიანობაში აღიდგენდა, არამედ დაცალცალკევებულად.

ჯერ თავის მშობლიურ სახლს ხედავდა, წაბლის ხისაგან ნაშენ კოპწია ოდა-სახლს, სიმწვანეში ჩაფლულ ეზოს, მერე თითოეულ ბინადარს ცალცალკე... სათითაოდ.

ქორწინების ბედი მოულოდნელად ეწვია... თუმცა ხეირიანად არც იცოდა რა ბედი იყო ეს, საიდან გაჩნდა, რომელმა წუთმა მოუტანა. ყველაზე მეტად მაინც შავად მბზინავი „ვოლგა" დაამახსოვრდა. უცხო ელვარებით შემოიჭრა მათ სოფელში მთავრობის მანქანა. ხმაურა ნომრები, ერთობ ახალი ხილი იყო სოფლისთვის. ვერ გაარკვია ანანომ, სად დაადგა ვაჟმა თვალი, სად მოიხელთა. არადა, უმატა ალმა-დალმა ქროლვას, ქალიშვილთან პირისპირ შეხვედრაც მოისურვა, ერთხელ [illegible] ფეხი შემოდგა, მორჩა! შინაური გახდა... ნიშნობის დღეც დათქვეს. მოკეთეებიც იახლა, ბიძებიამ. გაიცნო, თუმცა თანმხლებნი არც ისე ახლობლები აღმოჩნდნენ. ერთს „[illegible] აბესალომიჩს" უძახდა, მეორეს „გიზო პარ[illegible] ფენიჩს". ხოლო, შემდგომ, ქალაქური ყოფის მრავალფეროვნებაში ერთხელაც ვერ იხილა ისინი, მზერა ვერ მიაწვდინა. თითქოს იმ ერთი დღის დასამშვენებლად წვეოდნენ. არადა, მართლაც შვენოდნენ ქორწილს: [illegible]ხი, მოლხენა. არაფერი არ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიც დაცალეს, მაშხალებიც ისროლეს, დაილოცეს, ისედაც დარცხვენილი თუ ენაჩავარდნილი სიძე კიდევ უფრო მიჩრდილეს, მიიყურისძირეს. სიძე-კაცს არა მარტო მოყვარე-ნათესავების თვალთვალი აკრთობდა, თანმხლები მამაკაცების გადამეტებული მხიარულებაც, მათი სიცილ-ხარხარი აშფოთებდა. ენაჩავარდნილი იჯდა. ლამის პატარძალიც დავიწყნოდა, სუნთქვააფორიაქებული და ერთიანად შეძრული რომ უჯდა გვერდით, ერთხელაც არ მოუხედავს მისკენ...

მერე წამოიშალნენ, ფერადი ბაფთებითა და თვალპაჭუნა დედოფალათი დამშვენებულ მანქანაში ჩასვეს და ჰაიდა! ქალაქის გზას გაუყენეს. ახლობლებთან დამშვიდობებაც ვერ მოასწრო, ვერც ორიოდე კურცხალის გადმოგდება, თუმცა რა ჰქონდა სატირალი, გადასაკარგავში კი არ მიდიოდა, ყველაფერს თავი დავანებოთ, ორი დღის შემდეგ ხელახლა ეწვივნენ მოყვრებს, მხიარული მიეთ-მოეთით, სიცილ-კისკისით.

ნაძალადევში, ვიწრო ჩიხში, ჩიტის ბუდესავით პატარა ბინა იქირავეს. ერთი მაგიდა და ერთი საწოლი. ტანსაცმელი — ლურსმანზე, ჯამჭურჭელი — თაროზე. ყველაფერი და არაფერი.

რატომღაც ქალაქთან შეჩვევა გაუძნელდა ანანოს, ქუჩა-ქუჩა ხეტიალსა და მაღაზიებში დღედაღამ წანწალს, შინ ჯდომა და ქმრის ლოდინი ამჯობინა.

ქმარი ხომ ქარს ჰგავდა, მიმქროლავ ნიავს, ვინ იცის როდის შემოიქროლებდა, როდის მოიცლიდა მისთვის. ისიც ელოდა... მაგიდას რომ უჯდა და სადილს შეექცეოდა, მაშინაც გაქცევაზე იყო ვაჟი.

რამდენჯერაც შეეცადა ანანო ქმრის სამსახური, მისი ადგილსამყოფელი გაერკვია, ვერ შეძლო. „რომ მოხვიდე, მაინც ვერ მნახავო", — პასუხობდა ვაჟი. ამით არა მარტო იცილებდა ქალს, არამედ წინასწარ აფრთხილებდა, ქუჩა-ქუჩა ხეტიალს შეეშვიო. სამაგიეროდ, სამმართველოს უფროსის, „გურამ ზურაბიჩის" სახელი ეკერა პირზე. იმდენად ხშირად, მრავალჯერ, აღფრთოვანებით თუ აღტაცებით, რომ უფროსის სახელი თუ მამის სახელი, ლამის გამთლიანდა ქალის გონებაში, იგი — „გურამზურაბიჩად" იქცა.

პატარა ოჯახში „გურამზურაბიჩი" იყო მთავარი, ყოველივე მის სურვილზე იყო დამოკიდებული. როდის წავიდოდა თუ დაბრუნდებოდა ქმარი, როდის მოიცლიდა მისთვის. რაც დრო გადიოდა „გურამზურაბიჩი" ყოვლისშემძლე ძალად იქცა. თენგო რომ კრძალვით ახსენიებდა თავის უფროსს, აქ არაფერი იყო უჩვეულო, ლამის ცოლსაც გადაედო მისი მორჩილება;

დაიგვიანებდა ქმარი, ღამის ორ-სამ საათზე მოადგებოდა ოთხკუთხა ოთახში გამომწყვდეულ ქალს. დაგვიანების მიზეზს ნაკლებად ეძებდა, ისედაც იცოდა — „გურამზურაბიჩი" ქეიფობდა, ილხენდა, სტუმრებს აცილებდა, ვიღაცას აკითხავდა და ვიღაცას ელოდა. მძღოლი და მანქანა მისი დანამატი იყო, ელოდა თმენით, მანქანაში ჩამოძინებით, ალაგ-ალაგ წიგნის კითხვით, მთქნარებით და უბების მონგრევით.

ზოგჯერ ქალს ეჩვენებოდა, რომ ქმარს დაკარგული ჰქონდა თავისი ნამდვილი სახე. იგი ლანდს ჰგავდა, ვიღაცის ჩრდილს, ორეულს, სხვის ნებასურვილზე მოსიარულე არსებას.

ძნელი იყო სხვისი ჩრდილის ცოლობა. თანდათან ევსებოდა მოთმინების ფიალა... მართალია, არ ეკამათებოდა ქმარს, მთელი დღის სიმარტოვისთვის, განუწყვეტელი ლოდინისთვის, არც საყვედურს ეუბნებოდა, მაგრამ გრძნობდა, დადგებოდა წამი, როცა მეტს ველარ მოითმენდა. ოღონდ არა ისე, როგორც მას წარმოესახა, აღშფოთებითა და აღრევით, წყენაგაღიზიანების წამოშლით, არამედ უბრალოდ გარეთ გასვლით, უცხო, გარეშე ადამიანებთან დაახლოების უსაზღვრო წადილით. ყველაზე საოცარი ის იყო, საკუთარ თავში ახალი სურვილი აღმოაჩინა ანანომ — „გურამზურაბიჩი" ენახა. ერთხელ მაინც შეევლო თვალი. ზუსტად ისეთი იყო როგორიც წარმოედგინა თუ სხვაგვარი. როგორ ეცვა, დადიოდა, ილიმოდა. მაინც რა ძალა გააჩნდა, რომ ასე ადვილად იჯაბნებდა თუ იმორჩილებდა ადამიანებს. ენახა მოსაუბრე თუ მოპაექრე, ქუჩაში, კაბინეტში. ოღონდ ენახა. ერთი ფიქრით გადაწყვიტა. სუფრას გავშლი და შინ მოვიწვევთ. თენგოს გაუმხილა. იმგვარი შეშფოთებით მოხედა, ვაჟმა, თითქოს იოცებდა: „აქ... ამ ოთახში აპირებ მიღებას?" მონური შიში, მორჩილება აღბეჭდოდა თვალებში. სწორედ ამის გამო შეებრალა იგი. როცა ადამიანი საკუთარ თავს არ ეკუთვნის სხვათა ნება-სურვილის აღმსრულებლად რჩება, ჩრდილად იქცევა, სხვის ჩრდილად... ძნელია ასეთ კაცთან ცხოვრება!

ასეთ დროს წყნარად და უსიამოდ იშორებდა ქმრის მკლავებს, ატკეცილ სახეს გვერდზე აბრუნებდა, ერთი სული ჰქონდა როდის გაიცილებდა მას.

ზოგჯერ შუაღამისას, უთავბოლო მოლოდინის ჟამს, ფანჯრის რაფაზე გადაყრდნობილი, ხარბი, დანატრული მზერით რომ გასცქეროდა ქალაქს, აყურადებდა ხმებს, თავისდაუნებლიედ „გურამზურაბიჩის" სახე დაუდგებოდა თვალწინ. დონდლო სახე, ღორის თვალები, ჟელესავით მოთანთალე უბები და საფულესავით ღია პირი... ყველაზე აუტანელი მისი ცხვირი იყო, თითქოს კარაქისაგან მოეზილათ.

საკუთარი წარმოსახვით ტკბებოდა ქალი.. ჩუმად იცინოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დაქორწინების პირველ თვეებში საოცარი ფიქრი შეიპყრობდა ანანოს. მართალია მისი ცხოვრების ყოველი წამი ქმარს ეკუთვნოდა, მის სათვალთვალოდ თუ სამოქმედოდ გაეხადა, მაგრამ გრძნობდა, აღმოჩენას-აღმოჩენაზე ახდენდა, ვინ უყვარდა და ვინ ძულდა ქმარს... რა აინტერესებდა? ვისკენ მიიწევდა...

თუმცა, რა აღმოჩენა უნდოდა, დაქორწინების, პირისპირ შეყრის პირველივე წუთებიდან მიხვდა ქალი, ყველაზე მეტად ქმარს მანქანა უყვარდა. ახალთ-ახალი, შავი „ვოლგა“. მისი ყოველი ნაწილი, თითოეული დეტალი, იშვიათი წადილით, ინტერესით ჩაკირკიტებდა ყოველ ნაწილს — გაოცდებოდი, რა დასამალია და, მანქანა მართლაც საამო სანახავი იყო. მსუბუქი, სრიალა, ზიმზიმა, მბრწყინავი, მთავრობის ნომრებით, შოკოლადისფერი შალითათი, ტელეფონით, შრიალა ფარდებით. მანქანისთვის ყველა გზა ხსნილი იყო, ყველა კარი გაღებული. ამ ზიმზიმა „ვოლგიდან“ მძღოლიც სხვაგვარი მოჩანდა, უფრო ამაყი, თავისთავში დაჯერებული, მხიარული ყმაწვილკაცი. გადმოვიდოდა და... გრძელცხვირა, გამხდარი ბიჭი აღმოჩნდებოდა. გასაღებების ჩხარუნით, სტვენა-ღიღინით რომ არბოდა და ჩამორბოდა კიბეზე.

რა დასამალია და, ანანოსაც მოსწონდა მანქანა. თავიდანვე მოეწონა. პირველსავე დანახვაზე. იოცა კიდეც. მათ სოფელში არასდროს ასეთი მანქანა არ მოსულა. მერე მის გზაკვალს რომ გაეკრა ბიჭი და ცოლობა თხოვა, აქაც მანქანამ გადაწყვიტა მისი ბედი, ისე ლამაზი იყო, ისე კრიალა, ფუმფულა. სავარძელზე პირველად რომ ჩამოჯდა და ბიჭმა უთხრა, უნდა მოგიტაცოო... ლამის გული შეუღონდა გოგოს. ყველაფერზე თანახმა იყო.

ეს ახლა უკვირს მაშინდელი ამსუბუქება, უცაბედი გადაწყვეტა. თორემ, მაშინ... ყველაფერზე თანახმა იყო.

მხოლოდ მოგვიანებით, როცა ერთფეროვანმა ყოფამ გული გაუწვრილა, მიხვდა: მანქანა მხოლოდ მის მოსატყუებლად დაგებული ანკესი იყო. როგორც ქმარი გააბრუეს და დაიმორჩილეს მანქანის ეშხით, მისი ლაზათით, ისიც მანქანის მსხვერპლი აღმოჩნდა. საქმროზე მეტად, მანქანაზე შევარდნოდა გული. ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაჯდებოდა, გაიქროლებდა, მოისმენდა სიმღერებს... მუსიკას.

მხოლოდ ახლა ხვდება, მანქანა ის კერპი იყო, რომლისთვისაც ყოველ დღე უნდა ესათუთათ, ელოცათ, გარშემო ეტრიალათ. დღეები და საათები დაუზოგავად შეეწირათ. თვითონ თუ არა, ქმარი ხომ გადაგებული იყო. რკინის კერპი არა მარტო ზეთსა და ბენზინს ხვრეპდა, ადამიანის სიცოცხლესაც დაუნდობლად ნთქავდა.

როგორც მორწმუ თავის კერპს აუნთებს სანთლებს, საკლავს მიართმევს, მსხვერპლს შეწირავს, ასე ამ ორი ახალგაზრდის სიცოცხლე მიუძღვნეს მანქანას — რკინის არსებას. თუმცა, მანქანა ხომ რკინის ჯართია, რომელსაც ვერაფერში გამოიყენებ, სანამ ყოვლისშემძლე ხელი არ შეეხება, აამუშავებს და აამოძრავებს. გამოდის რომ მსხვერპლი კი არა, მისი ქმარი ყოვლისშემძლე ყოფილა.

მაგრამ! ასე რომ არ არის... პირიქით, ვერც ერთ ნაბიჯს თავისდასაამოდ ვერ გადადგამს, სანამ იქ, უფრო მაღლა, მასზე უფროსი არ მოინებებს. გამოდის, რომ მანქანაც და ისანიც წყვილი არსება, ეკუთვნის სხვას, უფრო მაღლა მდგომს.

იქამდე მიღწევა ხომ ძნელია, მიახლოება მით უფრო უარესი. სამაგიეროდ იგი ადვილად იმორჩილებს მათ. მისი სურვილი ყოვლისმომცველია, მისი ნება — ყოვლისშემძლე.

* * *

იმ წვიმიან კვირა დღეს, ახლადჩაძინებულ ქმარს, თბილი შალი რომ მიახურა ქალმა, კარზე ფრთხილმა დაკაკუნებამ შეაკრთო. სახლის მეპატრონე აღმოჩნდა, თხელი, კაფანდარა ქალი, უცნაურად დამფრთხალი მზერა და ჩუმი ნაბიჯები რომ ჰქონდა.

— ანანო! შვილო... ვიღაც კაცია მანქანით.

— ჩვენთან?

— ჰო... თენგოს კითხულობს.

— ახლავე...

ქმარს მოხედა. პირღია ეძინა... გადაწყვიტა თავად მიეღო სტუმარი.

ნაცრისფერპიჯაკიანი კაცის დანახვამ არამარტო დააბნია ანანო, შეაკრთო და გააოცა. მისმა სიმაღლემ, შუქიანმა თვალებმა, თეთრად მოელვარე კბილებმა და რაც მთავარია, მხიარულმა მზერამ, გააოგნეს იგი. არადა, ზედ კარს მოდგომოდა, საცა იყო შემოვიდოდა...

— გამარჯობა, პატარძალო! — მიესალმა სტუმარი.

— გამარჯობა, ბატონო!

— თენგო შინ არის? — გაიღიმა.

ანანო მიხვდა, ვინც იყო.

— გავაღვიძებ... — უხერხულად აწრიალდა ქალი — მობრძანდით.

— არა, არ გინდა! — მიიხედ-მოიხედა — ვიწროდ ცხოვრობთ...

ქალი შეიშმუშნა.

— თუ მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზეც ადვილად თავსდება?

მამაკაცის მხიარული გამოხედვა, თეთრი კბილები, მოქნილი ტანი და რაც მთავარია, საოცრად აბლობლური, შინაურული მზერა აბრუებდა ანანოს.

— „გურამზურაბიჩი“... — გაუელვა.

— ცუდია, რომ ტელეფონი არა გაქვთ.

მისი ყოველი სიტყვა ესმოდა და არც ესმოდა ანანოს. თავისდაუნებურად კრთოდა. ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირიანად ვერც ის გაერკვია, რა უნდოდა სტუმარს, რისთვის სწვეოდათ უდროო დროს. ან ქმარი რამ ჩააძინა ასე მკვდარივით, არაფერი ესმის... არადა, ეს ემხიანი, შავგვრემანი კაცი მთასავით რომ აღმართულა შემოსასვლელში, თითქოს მის შთანთქმას აპირებს, უზადო ღიმილით, ლაზათიანი მიხვრა-მოხვრით... იმორჩილებს.

— შემობრძანდით... — კიდევ ერთხელ მიიპატიჟა ანანომ. ცდილობს თავი დაალწიოს მამაკაცის გიჟმაჟ მზერას, ოდნავი გაოცებით, ღიმილით, სიყვარულით თავიდან-ფეხებამდე რომ ათვალიერებს ქალს, თითქოს უკვირს, ამ ვიწრო ჩიხში, წვიმით დასველებულ სახლებს შორის, საიდან აღმოჩნდა, მტრედის ხუნდივით უწყინარი, თაფლისფერთვალა გოგო... საოცარი სიწრფელე თუ უბიწოება რომ უდგას თვალებში... სწორედ ამან მონუსხა ეს თამამი, უდარდელი კაცი, ამიტომაა წასვლას არ ჩქარობს, სათქმელის ამოთქმასაც აძნელებს...

— გავალვიძებ... — კვლავ ოთახისკენ იწევს ქალი.

— არ გინდა. ექვს საათზე ჩემთან იყოს, მოსკოვში მივფრინავ. ეს წამალი კი, იქ მიიტანოს.

— სად?

— იცის.. — კიდევ ერთხელ მოხედა ვაჟმა. უხმოდ უმზირა — აბა, წავედი! — ადგილს მოწყდა, სწრაფი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე. ქუჩა გადირბინა და მოგუგუნე „ტაქსში" ჩაჯდა. მანქანა დაიძრა და წავიდა. სულ ეს იყო.

ახლა, შუა ოთახში დგას ანანო. გაოგნებული, გაოცებული. განა ვერ მიხვდა, ვინც იყო სტუმარი, რა სურდა ან რა ეწადა, მაგრამ მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ შეაკრთო. რატომ?

ქმარს მოხედა. ისე გამოლლილ-გამოცარიელებული ეჩვენა, მოლვენთილი სხეულით, ჩაცვენილი თვალის უპეებით. ეუცხოვა კიდეც. „ცოდოა", — გაუელვა ფიქრმა.

თან იგრძნო, ამას სულ სხვა ქალი ფიქრობდა, ვილაც სხვა... უცნობი ქალი. იგი იცოცხლებდა მის ქმარს, საბანს მჭიდროდ ახვევდა, ბალიშს უსწორებდა. ყოველივე ამას ჩადიოდა სხვა, არა თვითონ.

თვითონ ისევ იქ იდგა, სადაც დატოვეს, ლია კარებში, უაზრო და უხალისო.

ქუჩას გასცქეროდა. შხაპუნით წვიმდა. სიბნელეში აღმართული ხეები მოწყენით არხევდნენ ტოტებს, სველ ფოთლებს იფერთხავდნენ... უცნობის სტუმრობამ რალაც შეაშფოთა მასში. რა? ბინის ჩათბილულ კედლებს, მისი სხეულის სიგრილე შემორჩენოდა, ძალის, მლელვარების, თმენის და ვერ მოთმენის წუთები მოქონდა...

წამით მოეჩვენა, რომ ქმარს არ ეძინა. უბრალოდ თავი მოიმძინარა. რატომ? რად შეატოვა ახალგაზრდა ქალი უცნობ მამაკაცს? ამით ვისი გამოცდა სურდა? ცოლის? სტუმრის? ვერაფერი გაიგო. ოლონდ, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ვილაც უხილავი არსება მიუახლოვდა და სულის ყველაზე საიდუმლო კუნჭული გაუშიშვლა. ქალი დაბნეული დასცქეროდა ქმრის მიხუჭულ თვალებს, უმოძრაო სხეულს...

დილით აღარ წვიმდა, ოლონდ ციოდა.

არ გაუგია, როდის წავიდა ქმარი. ნუთუ გაიგო სტუმრის მოსვლა? თავი რად მოიმძინარა? არადა, გარკვევით ახსოვს, დილაადრიან როგორ წამოადგა თავზე და უჩურჩულა: „აეროპორტში მივდივარ, შენ იძინე"... ამით ყველაფერი ვიცი, ყველაფერი მესმოდა, ატყობინებდა.

წამოდგა. პერანგისამარა მიეჭრა ლია ფანჯარას, ირგვლივ სიჩუმე იყო. გარინდებული სახლები, ქუჩები, ელექტრო ბოძები, ხეები ოდნავადაც არ იძვროდნენ. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს თითოეული მათგანი მონუსხული იყო. ეს არ ჰგავდა დილის სიმყუდროვეს, იგი უფრო დაცარიელებული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

წამით, თვითმფრინავის შორეული გუგუნი ჩაესმა... აფრენის წამი არ შეუცვნია, არც ჰაერში აჭრის პირველი რხევა, სადლაც, ნაცრისფერი ღრუბლების მიღმა. ცივ ერთფეროვნებაში გაელვებულ მის ბოლო ჩქამს მიაყურა „ეგებ იმ თვითმფრინავში ზის"... — გაუელვა წამით. კვლავ მასზე ფიქრობდა... ფიქრობდა შემდეგაც, შემდგომ დღეებში, დაბრუნების და ვერ დაბრუნების გაურკვევლობაში, როცა ყოველივე ასე ბუნდოვანი და ძნელად შესაცნობი გახდა. არადა, რალაც ცვლილება მოხდა მათ პატარა ოჯახში. ამდენხანს თუ ენად იყო გაკრეფილი თენგო, თავისი უფროსის ხსენების მეტს არაფერს აკეთებდა, მის მზეს იფიცებოდა და მის სახელს ალშერთებდა, ახლა ერთბაშად ჩაჩუმდა, ჩაწყნარდა, თითქოს საკუთარ თავს უფროსის ხსენება აუკრძალა. ამიტომ იყო, ხეირიანად ვერ გაიგო ანანომ როდის დაბრუნდა მოსკოვიდან ღამის სტუმარი, თენგო თუ დახვდა აეროპორტში.

ადამიანი ყოველთვის იმას ეკრძალვის, რაც ყველაზე მეტად ეშინია, გამხელა უჭირს ანანოს ცხოვრებას რალაც იდუმალი, მოუხელთებელი განცდა შეემატა, ააფორიაქა და აწეწა მისი მშვიდი ყოფა.

* * *

ამდენხანს თუ ქმრის დაგვიანება, შინ უდროო დაბრუნება ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა, ახლა მისი მალიმალ შემორბენა აოცებდა, ალიზიანებდა კიდეც. „რა მოუვიდა?"

მერე კინოში წაიყვანა, უნივერმალის საწყობიდან ახალი კაბა გამოუტანა, ამას თითქოს ვილაცის სურვილით აკეთებდა, ის ვილაცა ურჩევდა მოდურ სამოსს, ხასხასა, მხიარულ ფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს. თეატრის პრემიერის ბილეთებიც მოიტანა. ბენუარის ლოჟა. ჩანდა, ბილეთების ნამდვილი პატრონი პრემიერაზე არ წავიდოდა. ოღონდ, როცა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი უცხო ქალებსა და მამაკაცებს შორის აღმოჩნდნენ, საუკეთესო ადგილებზე წამოიჭიმნენ და მიმოიხედეს, თავი შებოჭილად იგრძნეს. მათი უხერხული ყოფა, თითქოს გარშემო მყოფებმაც იაზრეს, გაოცებით მოხედეს, ჩანს სხვებს ელოდნენ და სხვები შერჩათ ხელში. გამქირდავი მზერით ახედ-დახედეს... განსაკუთრებით ერთი გრძელკისერა ქალი დაინტერესდა, ცივი თვალებით დააცქერდა ანანოს.

ასე გაგრძელდა დანარჩენი დღეებიც... ახალი ფილმები, ახალი სპექტაკლები... ისინი თითქოს უსულო მარიონეტებად იქცნენ, უსიცოცხლო თოჯინებად, რომელთა სხეულს, ხელსა და ფეხებს, ვიღაც სხვა, ყოვლისშემძლე ამოძრავებდა.

ალბათ კარგა ხანს გაგრძელდებოდა ცოლქმრის ერთმანეთთან მიახლოების თუ გათიშვის წუთები, რომ ერთ დღეს... მღელვარებისაგან თვალებანთებული ვაჟი ოთახში შემოიჭრა და ცოლს განუცხადა:

— მორჩა, თავისუფალი ვარ!

— მოხდა რამე?

— უფროსი საზღვარგარეთ მიდის...

— როდის?

— ხვალ.

— სად?

— ფინეთში?

— რამდენი ხნით?

— ერთი თვით...

— კარგია... დაისვენებ.

— კიდევ ერთი სიახლე, ოღონდ თუ არ მაკოცებ, არ გეტყვი...

— თქვი!

— ახალ ბინაში გადავდივართ.

— რომელ ბინაში?

— არის ერთი...

— როგორია?

— ბრწყინვალე!... ეზო, ბაღი, სახლი... ყველაფერი ჩვენს განკარგულებაში იქნება.

ქალი მიხვდა, ზედმეტი ჩაძიებით კიდევ უფრო ააფორიაქებდა ქმარს, ჯობდა ეცლია, გასამხელს თავად გაამხელდა.

— კერძო ბინაა? — ჩაეკითხა.

— ჰო.

— სად იპოვე?

— ვიპოვე... ხვალვე გადავალთ.

— ასე რატომ ჩქარობ?

— არის მიზეზი... ხომ გაგიგონია, „ობლის კვერი ცხვა, ცხვა და ბოლოს გამოცხვაო"...

საკუთარი ობლობა არასდროს გახსენებია თენგოს, არც უწუწუნია. მთელი ცხოვრება ჩარხივით იტრიალა. მიდგა და მოდგა, ცოლიც შეირთო, ოჯახიც შექმნა; თუ ჟამი-ჟამ, ვიღაცვიღაცეების წინაშე თავის დამდაბლება, ლირსების დამცირება უხდება, [illegible]ლი მიზეზის გამო, რასაც ცხოვრებაში თავისგატანა ჰქვია.

არადა, უკვე მანქანაში ისხდნენ და ახალი ბინის დასათვალიერებლად მიდიოდნენ.

რა ხანია გასცილდნენ ქალაქის ცენტრს, ხმაურიან ქუჩებს, მდინარის დგაფუნა ნაპირს, ერთფეროვანი სახლების უთავბოლო მწკრივს, ხიდს გადაევლნენ, სადღაც ჩაუხვიეს და როცა სიმწვანეში ჩაფლულ წითელ კრამიტიან ოდა-სახლს მიუახლოვდნენ, ქმარმა მოხედა, გაუღიმა.

— აქ? — იკითხა ანანომ.

— ჰო.

უპირველესად ქმრის თავისუფალმა ნაბიჯებმა გააოცეს იგი. ისე უდარდელად შეაღო ჭიშკარი, მანქანა ეზოში შეიყვანა, საბარგულიდან სავსე ჩანთა გადმოიღო და მჩატე, მსუბუქი ნაბიჯით აჰყვა კიბეს, თითქოს დიდი ხანია შეჩვეოდა აქაურობას.

ანანოს ვერ გაეგო, თან გაჰყოლოდა თუ უკან დარჩენილიყო. ჩანთიდან პურის გოგორას, რძიან ბოთლს და ორცხობილას კოლოფს ამოეყო თავი.

— უხერხული არ არის? — შეყოვნდა ქალი.

— რა არის უხერხული? წამოდი!

სანამ სახლამდე მიაღწევდა თავს ლაღად გრძნობდა ანანო, ჩქარობდა კიდეც, სული მისდიოდა როდის იხილავდა ახალ ბინას, ხოლო ახლა, მძიმე ჩანთით წინ რომ მიუძღვებოდა ქმარი, უპირველესად ფიქრი აკრთობს: „სად მიდის და რატომ?! ვისთან მიაქვს სურსათით სავსე ჩანთა? მასპინძლად ვინ დახვდებათ".

აივანზე მდგომმა უპირველესად ეზოს მოხედა, ალვის ხეების უსასრულო მწკრივს, მოლაპლაპე მდინარეს, ხიდზე გადაქროლილი მანქანების გძელ რიგს.

სადღაც დაილაპარაკეს, ხმა ვერ იცნო.

— „ვის ელაპარაკება?"

აივანი გაიარა, ღია კარებში შეიჭვრიტა და ჭაღარა ქალი დაინახა. საშუალო ტანის ქალს ნაცრისფერი, თბილი მოსაცმელი ეცვა. ბებერ, გაქუცულ ფრინველს ჰგავდა; თხელ, წანწკეტებულ ნიკაპზე, სახეზე, თუ ხელებზე ხიბერის ტალები აჩნდა. ამგვარი ფერი დიდი ხნის მზედაუხედავ ადამიანებს აქვთ. იგი ფაიფურისფერი თვალებით მისჩერებოდა თენგოს, თავის ქიცინითა და ენის წკლაპუნით, რაღაცას ეკითხებოდა. ენის წკლაპუნი უფრო მოურგებელი პროტეზის ბრალი იყო. როცა თენგო პასუხობდა, იგი მალიმალ ყურზე წაივლებდა ხელს. სახე დაძაბული ჰქონდა, ჩანდა ცუდად ესმოდა. ორთა შორის უცნაური შეთანხმება სუფევდა. ისინი მშვენივრად უგებდნენ ერთმანეთს.

უგებდნენ იმ უცნაური სიახლოვით უფროსსა და უმცროსს შორის, მოძველესა და მოსავლელს შორის რომ დამყარდება ხოლმე. ამ წუთში, ლამის საკუთარი ქმარიც [illegible] ეცნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანანოს, მოხუცი ქალისადმი იგი არამარტო სათუთ გრძნობას ამჟღავნებდა, ულიმოდა, უალერსებდა კიდეც, ვინ იყო ეს ბერიქალი?!

მათი არცერთი მოძრაობა არ გამოპარვია ანანოს. მოხუცი ხელებს შლიდა, აწეწილ თმას ისწორებდა, რაღაცას მოითხოვდა... ვიღაცას მოუცლელობა თუ უნახაობა წყინდა.

სახეზე ჭერაც შერჩენოდა მარტოობით გამოწვეული სევდა.

თენგო არ ეწინააღმდეგებოდა. უხმოდ უქნევდა თავს. იგი უკვე აღარ იყო ის მოქნილი ყმაწვილკაცი, სულ ახლახან შავ „ვოლგას" რომ მოაქროლებდა, ცოლს ბეჭზე ხელს უთათუნებდა...

ვაჟი საქციელწამხდარი ჩანდა. ვერ გაბედა ერთხელ მაინც მოეხედა ღრიჭოდ დარჩენილ კარისკენ, სადაც ცოლის თვალები ელოდა. იგი წყალწაღებულივით ებღაუჭებოდა ყოველ სიტყვას, თავს იცავდა მოხუცის რისხვისაგან, საკუთარ თავთან ერთად იცავდა იმ სხვას, ვინც გამოგზავნა. სურსათ-სანოვაგე გამოატანა, ხოლო მოსავლელად ვერ მოიცალა.

ვინ იყო ეს მოხუცი ქალი ან ასე რად ესათუთებოდა თენგო? მასთან საუბარმა ცოლი რად დაავიწყა?! არც ეძახის, არც თავისკენ იხმობს.

ან თავად სანამდე უნდა დარჩეს ამ უცხო ბინაში, სხვისი ცხოვრებით, წარსულით სავსე საგნებს შორის. ყველა ისინი სხვათა არსებობის, სიხარულის თუ წყენის მოწმენი იყვნენ. ახლაც სხვისი ცხოვრებით აგრძელებდნენ არსებობას. ასეთ გარემოში შეგუება ყოველთვის ძნელია. თავად საგნები გიშორებენ, გიცილებენ. ბინა თითქოს ძველი ნივთების თავშესაყარად ქცეულიყო.

თავდაპირველად როიალი გაარჩია, ალაგ-ალაგ სალებავაცლილი, მტვერდადებული, სპარსული ნოხი, თაროზე — წიგნები, უთვალავი, ურიცხვი, რუსულ-ქართული, უცხოური ლექსიკონები, ბოლო წაბლის ხის ძველი კარადა, ჩუქურთმებითა და გასალებების მთელი აცმით დაჭინჭლული, დაღლილ კაცივით მიყრდნობოდა კედელს. მწვანე დივანი, სავარძელი, ბინა ძველმოდურობის შთაბეჭდილებას ტოვებდა...

კვლავ შეხედა მოხუცს, წამლის შუშაზე წარწერას კითხულობდა.

ყველაზე საწყენი მაინც ის იყო, არცერთ მათგანს ანანოს არსებობა არ გახსენებია. ქმარი მაინც რამ გამოაშტერა? ერთხელაც არ მოიძია ცოლი.

პირი იბრუნა. უხმოდ დაეშვა კიბეზე. მანქანის კარი გამოაღო და ჩაჯდა. რბილ სავარძელში ჩაფლულს, შეეძლო რამდენ ხანსაც სურდა ეთვალთვალა სახლისთვის, ეზოსთვის, ყველასა და ყველაფრისათვის. თავის დალწევაზე უფრო სასიამოვნო, თავის შეფარება აღმოჩნდა.

წამით. რაღაცამ შეაკრთო. რაღაც საგანმა. „მალბოროს" ცარიელი კოლოფი. ქმარი არ ეწევა. ჟურნალი „ნოვი მირი" არც მისი წამკითხველია... აქ, ამ ადგილას „ის" ჯდება... სავარძელს ხელი გადაუსვა. მოეფერა. ღმერთო! რა ბედნიერია! ამ სიხარულმა გააოგნა იგი.

ღილაკს თითი დააჭირა. მუსიკა ჩართო. როგორც ფოთლის შრიალი, უხილავი ჩქამი ისე გახმოვანდა მუსიკა. თანდათან მომძლავრდა ხმები, ერთ, მთლიან აკორდად იქცა. მანქანის სიმყუდროვეში განაბულ ქალს მოეჩვენა, რომ ვიოლინოს საოცარ ხმასთან ერთად მიიწევდა სულ მაღლა. მაღლა, აქაურობა მისი ნასუნთქი ჰაერითაა სავსე. როგორ მოენატრა!... სულ მასზე ფიქრობს... მხოლოდ მასზე... მხოლოდ ერთხელ ნახა, ერთელ შეავლო თვალი და...

უცებ კარი გამოაღეს. თენგომ შემოიხედა.

— ცუდად ხომ არა ხარ?

— არა. მარტო რატომ დამტოვე?

— რა ვიცი, ვერ გავბედე შენი შეყვანა.

— რატომ? შევჭამდი?

ვაჟს ჩაეცინა. მანქანა ეზოდან გამოიყვანა და ჭიშკარი ჩაკეტა. კიდევ ერთხელ მოხედა ანანომ სახლსა და ეზოს, იქაურობა გამოცარიელებული ეჩვენა, თითქოს არცერთი სულიერი არსება შიგ არ ცხოვრობდა.

— აქ ყოველდღე დადიხარ?

— თითქმის...

— ის რუსის ქალი ვინ არის?

გაიცინა.

— რუსი არ არის... ქართველია...

— შენ საიდან იცნობ?

— უფროსის მამიდაა.

— ვინ უვლის?

— მე...

— ჩვენს სოფელში შენნაირ კაცზე იცი რას ამბობენ? „ყველას ბებია არისო..."

ვაჟმა გადიხარხარა.

— ხვალვე შევკრავთ ბარგს და გადმოვალთ.

— ჩვენ? აქ? რატომ?

— ასეა საჭირო... ეს ამბავი უჩვენოდ გადაწყდა.

— ვინ გადაწყვიტა?

ხელი მაღლა ცისკენ, აღმართა.

— უფალმა...

— „შე საწყალო... ვიცი ვინცაა შენი უფალი". — გაიფიქრა ანანომ.

* * *

„რატომ ხდება, რომ საკუთარი მშობლის, ახლობელი ადამიანის მოვლა-პატრონობა არ სურთ ადამიანებს... სხვას გადააბარებენ, ვილაც გარეშეს... უცხოს".

ყველაზე უსიამო მაინც ავადმყოფის საწოლთან მიახლოების პირველი წუთი იყო. რას ეტყოდა იგი, როგორ მიიღებდა. ან მიიღებდა კი? ამ გაკერპებულ ბერიქალს, სიგამხდრისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან წაწყვეტილი ნიკაპით მტაცებელ ფრინველს მიუგავს. როგორ მოაწონოს თავი?!

როგორ მიიღებს ანანოს, ეამება კი მისი ხილვა; რა თვალით შეხედავს?! მოიყვანე და გამაცანიო, თენგოსთვის უთქვამს. ჰოდა, გააცნობენ.

მეორე დღეს ძალისძალად შეიყვანა თენგომ. მოხუცი ქალი ფართო, ჩაცვენილი თვალებით უსიტყვოდ შესცქეროდა საწოლიდან.

— ჩამოართვი ხელი... — უჩურჩულა ვაჟმა.

გამომშრალი ხელისგული მაგრად მოუჭირა ახალგაზრდა ქალის რბილ, მგრძნობიარე თითებს. რაოდენი განსხვავება იყო ამ ორ ხელს შორის. ერთი თბილი, ვარდისფერი, ფუნჩულა ხელისგული, სიჯანსაღით სავსე. მეორე — დამჭკნარი, დამჭკნარი, დატალღული, ლონეგაცლილი და ფერდაკარგული:

— რა გქვია? — სადღაც სიღრმიდან ჰკითხა მან. ხმაში რუსული აქცენტი დაჰკრავდა.

— ანანო.

— ა-ნა-ნო?!.. მე ელენე გეორგევნას მეძახიან, — გაეცნო იგი. შენ ელენე დამიძახე, დეიდა ელენე. კარგი?

— დიახ.

ის მცირე ხანი, რაც ორმა ქალმა, მოხუცმა და ახალგაზრდამ ერთმანეთის გაცნობას მოანდომეს, რატომღაც მომქანცველი აღმოჩნდა. ეს დაღლილობა უპირველესად საწოლში ჩაკარგულ მოხუცს დაეტყო. თვალები დახუჭა, ჩაჩუმდა.

ანანოს, წამით, კარგა ხნის მივიწყებული, თავისი ასი წლის ბებია გაახსენდა. მამის შორეული მამიდა... მათ ოჯახს შეკედლებული, ყველასთვის უცხო მოხუცი.

უცხო იყო, რადგან იმ ადამიანებს, ვისთანაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრება უწევდა, მასთან არაფერი ჰქონდა საერთო, მისი თანატოლები რა ხანია წავიდნენ, იმქვეყნის ბინადარნი გახდნენ, მხოლოდ ის ერთი შემორჩა აქაურობას; ხოლო ისინი, ვინც ამჟამად მის გვერდით იმყოფებოდნენ, მისთვის უცხოები იყვნენ. დესპინე გელოვანის ქალი... იგი სოფლის ექიმბაში იყო. წამალი ჩვილთათვის, დამწვრობისათვის, დასიცხულისათვის...

რახანია დესპინეს აღარც ყურში ესმოდა, თვალისჩინიც დაკლებოდა, განაფული ხელები კი თავის საქმეს მაინც აკეთებდა. გამხმარი ბალახები, სამკურნალო მცენარეები... უკვდავა და მრავალძარღვა, ტუფტი და კულმუხო... მათი სუნიც კი იყნოსა.

სწორედ ამგვარ სუნს გრძნობდა ახლა; მიხვდა, სიძველესაც თავისი სუნი ჰქონდა... დავიწყების სუნი. პატიების მთხოვნელის ღიმილით შემოსცქეროდა მოხუცი საწოლიდან.

სწორედ ამგვარი ღიმილი ჰქონდა დესპინე გელოვანის ქალსაც... რამდენი წელი იცხოვრა მათ ოჯახში? ლამის მთელი ბავშვობა მის ფერხთით გაატარა ანანომ. ასე რამ დაავიწყა?!

გოგო-ბიჭები ხშირად მის ოთახში [illegible] თავს. ასეთ დროს, მოხუცი საწოლში [illegible] სებოდა. ბავშვებს ისე გაუბედავად შესცქეროდა, თითქოს ებოდიშებოდა. პატიებას თხოვდა. საკუთარი უმწეობის თუ უსუსურობის გამო. — ხანგრძლივი სიცოცხლის გამო... ამას ახლა ხვდება ანანო.

მერე ერთ დღეს საწოლში იპოვეს მკვდარი. პერანგისამარა იჯდა. მთელი ღამე ასე მჯდარიყო... წინდის ჩაცმა მხოლოდ ცალფეხზე მოესწრო. ისე უჩუმრად გათავებულიყო, როგორც ლამფა ჩაიწევა ხოლმე, ჩაიჭრუტება და ბოლოს სულ ჩაქრება.

ანანოს გააჟრიალა.

ეგებ ამ მოხუცსაც ამგვარი დღე ადგას.

მიხვდა. ამ ფიქრით არა მარტო იცოდებდა მას, არამედ ცდილობდა, რაიმე საერთო მოენახა მასთან.

— როდის გადმოხვალ? — ეკითხება მოხუცის მზერა.

— ხვალ...

* * *

ჰოდა, გადმოვიდნენ. მათ ბარგს რა შეკვრა უნდოდა, ერთი ჩემოდანი, ერთი ხელი საწოლი, ათი თეფში, სარკე და სავარცხელი. მოკლედ, ბარგს დიდად არ დაუმძიმებია, სამაგიეროდ მიახლოების. შეჩვევის წუთები გაძნელდა.

თუ ვაჟი ქარი იყო, შემოიჭროლებდა, აწეწდაწეწდა სივრცეს, ბაგეს გააფიცხებდა და ხურვილის ცეცხლს შეუნთებდა, ქალი სალამოსპირს გრილ-ჩრდილში განაბული ნიავი იყო, ოდნავ ჩქამიანი, ალერსიანი, მყუდროდ მონანავე.

ყველაზე მეტად შემძვრელი და გულშიჩამწვდომი ქალს თვალები ჰქონდა, სავსე, ბუდეშურა. ბუნებრივი სიწმინდით მბრწყინავი. ამ თვალების იქით მისი სულიც ჩანდა, მისებრ სუფთა და მისებრ უებრო. რაკი თვალები ადამიანის სარკეა, ახალგაზრდა ქალის სულის ანარეკლიც მისი თვალებში აღბეჭდილიყო: რა უხაროდა და რა წყინდა...

ახალი სახლ-კარი შეგუებას და შეჩვევას თუ ითხოვდა, უპირველესად მისგან ითხოვდა. ვაჟი თუ ქარი იყო, მოუსვენრობით ძნელად შესაგუებელი, სამაგიეროდ ქალი თმენა უნდა ყოფილიყო, ქირთა, ლხინთა, შესაძლებელთა და შეუძლებელთა თმენა.

ვაჟს ბოლომდე არაფრის მოსმენა არ უყვარდა. იტყოდა და ერიჰა! ასრულდებოდა თუ არა დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა. ხოლო ქალი, როგორც სადგურში მომლოდინე მგზავრი, ვაგონების გრძელ რიგებს, მგზავრთა სახეებს, ორთქლმავლის ქოთქოთს თმენით უნდა აჰყვეს. ასე მოთმენით უნდა შეუყოლოდა ყოველ წუთს.

თუკი მას ეუხერხულა ახალ ბინაში ადმოსვლა, სწრაფი გადმოსახლება. ვაჟმა ერთი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნებებით გადაწყვიტა. ან რა ბარგი ჰქონდათ. ერთ საათში უკვე მანქანაში ისხდნენ და აქეთ მოიწევდნენ. ეგებ ეს სიხარულნარევი აჩქარება იყო მიზეზი ან ვაჟის ალტყინება და ფორიაქი, რომ ვერა და ვერ შეძლო ქალმა თავი შინაურად ეგრძნო ამ ეზო-კარში, რომლის ბოლო ოთახში, ღია ფანჯარასთან, მისი ნამდვილი მეპატრონე ეგულებოდა. ასეთ დროს იგი არაფერზე არ ფიქრობდა... გუნება აწეწილი ლობე-ყორეს ედებოდა.

ამოდენა ეზო-გარემოში კუთხე ვერ ეპოვა თავი მყუდროდ ეგრძნო. ხოლო წამიერი შეხსენება იმისა, რომ ბოლო თვეებში ყვრიმალები აუფერადდა, შუბლი დაეტალა და ძუძუს კერტები ჩაუშავდა უკვე აგუებდა იმ შეუცნობელ ბედნიერებას, დედობის მადლი რომ ერქვა. იგი მზად უნდა ყოფილიყო ამ ბედნიერებისთვის.

ბოლოსდაბოლოს, მართლაც რა ევალებოდა. სურსათს ვაჟი მოიტანდა, სადილ-ვახშამი, ბინის დაგვა-დასუფთავება, ავადმყოფის მოვლა (მოხუცის თეთრეულს ფუთად შეკრავდა ვაჟი და სამრეცხაოში მიქონდა).

სამაგიეროდ მზა-მზარეულზე მომივიდნენ... სახლი და კარი, მწვანედ ჩაბურული ეზო.

ოღონდ! ყველაფერს შეჩვევა სჭირდებოდა... უკანა აივანზე, მზისყურში, ნივრისა და წიწაკის სანცრობელებს, დახეხილ ქვაბებს, დაკემსილ ტომრებს, ზოლიან წინსაფარს... ყველაფერს. ოღონდ ქალი რეცხავდა თუ კერძს ამზადებდა, მყუდრო ოთახში უჩუმარი ნაბიჯებით ვიმოდიოდა, ეჩვენებოდა რომ მის ყოველ ნაბიჯს ვიღაც უთვალთვალებდა. ის, უცხო სიმყუდროვიდან მზირალი არსება იყო. დადგებოდა დრო, როცა მოთვალთვალე შეწყვეტდა მზერას, საკუთარ თავს შეახსენებდა, ამიტომ განუწყვეტელ მოლოდინში იყო.

თითქოს ცუდად არ ცხოვრობდა, ქმარი ზრუნავდა, თავს ევლებოდა, ყველა სურვილს უსრულებდა, მაგრამ რაც ამ სახლ-კარს შეესაბლა, ტალებით დაფარულ სახეს, ოდნავ შემრგვალებულ მუცელს და შვილის პირველ გაჩაჩუნებას, შემაშფოთებელი სიხარულით კი არა, განსაცდელით მოელოდა.

ადამიანი ხშირად მხრებზე ისეთ სიმძიმეს იდებს, რომლის ზიდვაც არ შეუძლია. ისიც იცოდა ანანომ, ბინაში იმიტომ შემოუშვეს, რომ ავადმყოფისთვის მოევლო. ეს ოდნავ გამაღიზიანებელი და დამამცირებელიც იყო. მაგრამ რა ექნა? როცა რაიმე მოქმედებას საკუთარი სურვილით სჩადიხარ, ნაკლებად გაფორიაქებს. ხოლო როცა ისეთ გარეწრად გთვლიან, რომელმაც ოღონდ მცირედი მოგება ნახოს და ყველაფერზე თანახმაა... ძნელია!

თუკი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის მოქმედება უბინაობის მიზეზით ხდება, რაღა ჰქვია მისი ნამდვილი მეპატრონის საქციელს?! იგი ხომ იმას ყიდულობს რაზედაც ხელი მიუწვდება, სულერთია, რაც იქნება, ადამიანის სული თუ სხეული. თავის ნებაზე ათამაშებს მათ, ამ შემთხვევაში ორთავე მხარე ერთი სამოსელით იმოსება, სამოსელით რომელსაც ყოვლისკადრება თუ ყოვლისქმნა ჰქვია. ხოლო როცა ორთავე მხარე თანაბრად შეიცნობს დანაშაულის სიმძიმეს, ცდილობენ ბინძური საქმე ისე გაარიგონ, ერთმანეთს პირისპირ არ შეეფეთონ, ორთავენი სუფთები დარჩნენ.

ალბათ ელენეც, საწოლში თუ საკუთარ ნაჭუჭში იმიტომ იმალება, რომ მის საამაყო ძმისწულს, ლაქა არ მოეცხოს, არ გაილანძღოს... ყველაზე ახლობელ ადამიანს, ღვიძლ მამიდას გულცივად ეპყრობა, მოსანახულებლად ვერ იცლის... გაურბის. ვიღაც უცხო ადამიანებს ანდობს მის მოვლა-პატრონობას.

როგორ უბრალოდ და ჩვეულებრივად ხდება ყოველივე...

* * *

მათი დაახლოება ერთბაშად მოხდა. ერთი მოგუნებებით, ერთი გადაწყვეტით... ისე დანატრებით გაიწიეს ერთმანეთისკენ, თითქოს უკვირდათ კიდეც ამდენხანს რად ვერ აღმოაჩინეს ურთიერთი. რად გაურბოდნენ ურთიერთს, როცა ამდენი რამ ჰქონდათ საერთო, საამბობი თუ მოსათხრობი. ელენეს, ცხოვრებანანახ, მრავლისმნახველ ქალს შეეძლო დღე-დღეზე გადაება და ყოველი წუთი ახლის შეხსენებით თუ აღმოჩენით წამოეწყო. ვინ იყო, საიდან მოვიდა, როდის, რატომ... იმასაც კი მიხვდა ანანო, რაც დაიმალა მათ შორის, რისი თხრობაც საწოლში ჩაკარგულმა მოხუცმა არ ისურვა. არც თავად ჩაუკითხავს ანანოს, ისედაც მიხვდა, ადამიანს ოდესმე, სადღაც, ვიღაცის წინაშე, ყოველთვის გამხელის, აღიარების სურვილი მოეძალება, სურვილი საოცარი ძალის აღმოჩნდება, იგი წუთი-წუთამდე შეიხსენებს ჩავლილ დღეებს, გამოაფხიზლებს, გამოაცოცხლებს და სანატრელი მსმენელის წინაშე გადმოაპირქვავებს.

ანანო მისი გულითადი მსმენელი გახდა. და მოხდა საოცარი, ხანშიშესულ, უზასიათო, დამტვრეული ქართულით, ბარძიკ-ბორძიკით მოლაპარაკე ქალს თანდათან შემოეცალა ბუნდოვნებისა და მიუღებლობის ბურუსი, მორღვეული მზერა თუ ჩანისლული გამოხედვა გაუქრა. ერთიანად გადასხვაფერდა, შეიცვალა.

...გერმანული ენის სპეციალისტი, სამამულო ომის მონაწილე, თარჯიმანი. ოფიცრის სამხრეებით, ბერლინი, ჟენევა, პრაღა. სიმპოზიუმები, კონგრესები.

ბოლო წლები მოსკოვში გაატარა. პენსიაში გავიდა და მშობლების სახლში დაბრუნება მოისურვა.

ჩამოვიდა და... სულ მარტო დარჩა. ძველი ნაცნობებიდან არავინ დახვდა... დარჩა ერთადერთი ძმისწული, რომელსაც ხეირიანად არც იცნობს.

ანანო დააფიქრა მისმა ნააზრობმა, შეზარა... იგივეა, თავად რომ დაბრუნდეს მშობლიურ სოფელში და ვერავინ იცნოს... ახლობლები აღარ არიან... ძველები წავიდნენ... ახალ თაობასთან კი არაფერი ესაქმება. ასე მოწყვეტილად როგორ უნდა იცხოვრო? ნუთუ ეს ყველაფერი სიმართლეა?

ფაიფურისსახიანი, ჩაფერფლილი მოხუცი ქალი. ნუთუ არავინ შემორჩა იმ ძველი წლებიდან, არც მეგობარი, ახლობელი, შვილი თუ ძირი. ასე კენტად როგორ იცხოვრა? ყველაფერს თავი დავანებოთ მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც უჭირს. ბორძიკობს, რუსულ, გერმანულ სიტყვებს იშველიებს. რა ქვია ამგვარ ცხოვრებას? სხვა სამყაროდან მოსულს ჰგავს, ოღონდ, თითქოს არც იქიდან წამოეღოს რაიმე, რაც შეიძინა, იქვე დატოვა... სურვილი, წადილი, მისწრაფება. ახლა მშობლიურ კუთხეში დაბრუნებული ხელახლა იწყებს გაცოცხლებას, ახლად დაბადებას, აღმოცენებას. ამიტომ მიუჩინეს ანანო. ანანოს ევალება მისი გალვიძება, გაცოცხლება... ფეხზე წამოდგომაც მისი შემწეობით უნდა მოხდეს. მერე შეძლებს?

* * *

მზიანი დღე იდგა, ნათელი, ჩახჩახა. ჭიშკართან „ტაქსი" გაჩერდა. მანქანიდან ორი ქალი გადმოვიდა. მოდურად ჩაცმულები, მხიარულები. იმგვარი სიცილ-კისკისით, უდარდელობით გამოაღეს მანქანის კარი, ეზოში შემოვიდნენ, თითქოს ვერავის ამჩნევდნენ, ვერც კიბის თავში შეჩერებულ ანანოს, გაოცებით რომ უმზერდა უცხო სტუმრებს; ვერ მიმხვდარიყო ვინ იყვნენ ისინი, რა უნდოდათ, განსაკუთრებით ოქროსფერთმიანი დაწინაურდა. იმგვარი ყურადღებით დააცქერდა ანანოს, თითქოს მის სანახავად მოსულიყოს...

ანანოს სიჩუმე, შეცბუნებული მზერა, დიდად არ ესიამოვნათ სტუმრებს, გაკვირვებისაგან წარბიც კი აწკიპეს. მერე აივანზე ამოიჭრა ოქროსფერთმიანი, მოაჯირს გადაეყრდნო, ეზოს გადახედა. გვერდით თანმხლები ამოუდგა მწვანეკაბიანი, ტანკენარი ქალი.

— რა მშვენიერი ეზოა... — ჩაილაპარაკა თანმხლებმა.

— ჰო, კარგია!..

ოქროსფერთმიანმა ანანოს მოხედა. უხმოდ უმზირა.

— მე დალი ვარ. გურამის მეუღლე.

— ომ! მაპატიეთ. ვერ გიცანით...

— როგორ შეეჩვიე აქაურობას? — ოდნავ გალიზიანებული ხმა ჰქონდა.

— კარგად.

— ელენეს სძინავს?

— წელან არ ეძინა...

— ნახე, თუ არ ძინავს, შევალ.

— ახლავე...

კარი შეაღო.

— ვინ არიან?!.. — საწოლიდან დაბრუნდა მზერით უცქერდა მოხუცი.

— ვერ ვიცანი... ორი ქალია... ორთავე ლამაზი... მაღალი.

— უთხარი ძინავსთქო... — მხარი იცვალა, კედლისკენ გადაბრუნდა — СПЛЮ Я. СПЛЮ...

ფრთხილად გამოხურა კარი.

— სძინავს ხომ? — მოუთმენლად ჩაკითხა ოქროსფერთმიანმა, თან ჩაიცინა. — ასეც ვიცოდი... მოვალ და თავს მოიმძინარებს.

— რატომ იქცევა ასე? — დაინტერესდა თანმხლები.

— რას გაიგებ. სკლეროზ! შენ როგორ შეეჩვიე აქაურობას? — უკვე მეორედ ჰკითხა.

— გმადლობთ, კარგად.

— გელაპარაკება?

— კი. როგორ არა...

— წარმოგიდგენია? — მიუბრუნდა თანმხლებს. — თითქოს ვერც გამჩნევს. თვლემს...

— ეგებ ვერ გცნობს?

— რას ვერ მცნობს. უბრალოდ ტიპია ასეთი... ადამიანები არ უყვარს. რამდენი მომვლელი არ მოვიყვანეთ ყველა გააგდო. ალბათ, ამასაც მალე... — ანანოს მოხედა.

ანანომ გვერდზე გაიხედა. თითქოს არ ესმოდა მათი საუბარი.

— დალი, გამაგებინე, ვინაა ეს მოხუცი. საიდან მოიყვანეთ? — დაინტერესდა მწვანეკაბიანი.

— ხომ გიამბე, გურამის მამიდაა. მთელი ცხოვრება მოსკოვში გაატარა, გერმანიაში მსახურობდა, საელჩოს თანამშრომელი იყო..

— მერე?

— შეუჩნდა ჩემი დედამთილი, ჩამოდი და ჩამოდიო... გურამიც თანახმა იყო, ორი მოხუცი თავს უფრო კარგად იგრძნობსო. ჩამოვიყვანეთ და, ერთ თვეში ჩემი დედამთილი გარდაიცვალა. ეს კიდევ ჩვენ დაგვრჩა მოსავლელად...

— მოსკოვში ბინა ხომ აქვს?

— როგორ არა, ძველ არბატზე ბრწყინვალე სამოთახიანი ბინა ჰქონდა.

— მერე?

— ესენი ხომ კანონის ხალხია... წამოსვლის წინ განცხადება დაწერა, ბინა სახელმწიფოს ჩააბარა.

— ავეჯი?

— კაპიკებად გაყიდა, მხოლოდ წიგნები წამოიღო...

— რა წიგნები?

— დრეზდენის... ლაიფციგის გამოცემები. თომას მანი, შილერი, ჰაინე...

— ვახ! ბუკინისტებთან ზღაპრული ფასი ექნება.

— მაშ!

— მერე ამათ უტოვებთ? — მოხედა ანანოს.

— მაშ! ესენი ხომ დედანში კითხულობენ შილერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხა! ხა!

— არა, ვუთხარი ჩემს ქმარს, მოხუცთა პანსიონატში მივიყვანოთ, პერსონალური პენსიონერია, კარგი მოვლა ექნება, ჩვენც მოვაკითხავთ-მეთქი. არაო, გაჯიუტდა. ვინც მას მოუვლის, სახლიც იმას დარჩებაო. ხომ ჭკვიანია?!..

— ახე ვინ მსჯელობს დღეს?

— ჩემი ქმარი, ბატონო...

— რა უცნაურია ცხოვრება, ზოგს სიცოცხლე ენატრება, ზოგსაც კიდევ...

— ნეტავ რა ფასი აქვს მაგის სიცოცხლეს, მოკვდეს არა ჯობია? თვითონაც მოისვენებს და ჩვენც მოგვასვენებს.

ანანო გაოგნებული იდგა, ვერ გაეგო რა უნდოდათ ამ ქალებს, რატომ ნატრობდნენ მოხუცის სიკვდილს...

— კლარა ხომ იცი, ჩვენი სანიტარი, ის მოვიყვანე მომვლელად. მარტოხელა ქალია, მარჯვე, საზრიანი. ვიფიქრე, შეეჩვევიან ერთმანეთს-მეთქი. შენც არ მომიკვდე, სისხლი გაუშრო. გააქცია. ხან რძეს დაუქცევდა, ხან ჩაის. კრეტინკას ეძახდა „გდე ეტა კრეტინკა?" ისე იკითხავდა, თითქოს სახელი დავიწყნოდა. ბოლო დროს სულ ჩაწვა. ნევროპათოლოგმა სიმულაციის ბრალიაო. რამდენჯერ ვუთხარი ჩემს ქმარს, გავყიდოთ ეგ სახლი, არ მომის მინა... იცი რა კერძომესაკუთრეა... ერთი ვინმე უჩივლებდეს, რას გავიხარებ!

— ჩამოართმევენ?

— აბა როგორ, სამ ბინას ვინ მისცემს...

მოქნილი, გამომწვევი სხეული ჰქონდა ქალს, სუნამოს საამო სურნელით განჭორილი. ჩანდა უჭირდა სურნელს ჰაერში გაფანტვა და ირგვლივ შემოხვეოდა ქალს, მოდიოდა და თან მოჰქონდა.

ცნობილი ექიმის ერთადერთი ასული. ოთხოთახიანი ბინა სპორტის სასახლესთან, კერძო სახლი — ბარნოვზე. დუღან და გადადუღანო ქმარი უამბობდა ანანოს. ხეირიანად ვერ გაეგო რა უნდოდა ამ ქალებს, რისთვის მოვიდნენ. არც შველას ითხოვდნენ ანანოსგან, არც დახმარებას, ისინი გვერდითა ოთახში, მიწაბულ ავადმყოფსაც არარად აგდებდნენ. ერთხელ რომ შეიხედა ოქროსფერთმიანმა, ძინავსო და მორჩა, მერე არ შეუხედავს. სასტუმრო ოთახში მიმოდიოდა. კარადის უჯრებს აღებდა. ქექავდა, ჩხრეკდა, ისევ კეტავდა. ანანომ ვერ გაუბედა ეკითხა, რას ეძებდა.

— შენს ქმარს ჭკუა არა აქვს, ერთი ბებრის მოვლა რა გახდა ასეთი, მთელი ცხოვრება ვიღაცას არ შეატენოს, — განაწყენებული ხმა ჰქონდა დაქალს!

— განა არ ვუთხარი, ნუ ერევიო... გამაფრთხილა. აი, ეს სურათია, მეჩვიდმეტე საუკუნის მხატვრობაა.

— მხატვარი ვინაა?

— უცნობია...

ნაძვის ხე მდინარის პირას. ... ლი მზე და ქილისქუდიანი მოხუცი ... სიოცარი სევდა იყო. სურათი ჩამოხსნეს. შეფუთეს და გვერდზე მიდეს. ეს საქმე რომ მოილიეს, — შევალ... ვნახავო და საძინებელი ოთახის კარი შეაღო დალიმ.

ავადმყოფი არ იძროდა.

— მამიდა როგორა ხარ? — საწოლზე ჩამოუჯდა.

ელენე უსიტყვოდ შესცქეროდა.

— სულ ასე მდუმარედ არის? — მიუბრუნდა ანანოს.

ანანო შეიშმუშნა, არ იცოდა რა ეთქვა.

— ზოგჯერ... — ელენეს მზერას წააწყდა, მის უტყვ გამოხედვაში ყრუ გაფრთხილება ამოიკითხა.

წამით ეჭვმა გაჰკრა ანანოს. ქალბატონი ელენე ეგებ საერთოდ არ არის ავად, იგონებს. არაფერი არ სტკივა... კითხულობს და მუსიკას უსმენს. მაშასადამე... ყველაფერი გამოიგონა, თავი მოიავადმყოფა, ვითომ მოძრაობა არ შეუძლია, არ ესმის, ვერ ხედავს. რატომ? იმიტომ რომ დაიმალოს? კარგად დაიმალოს? მერე ვის ემალება?

ერთხანს უხმოდ იჯდა დალი, ყვრიმალები შეფერადებოდა, თმენა-წყენისაგან თითები უთრთოდა. მერე ერთბაშად წამოიჭრა ფეხზე, არავის დამშვიდობებია, ისე გაიჭრა გარეთ. ანანომ ქალები გააცილა. როცა შემობრუნდა, ისევ ისე გაუნძრევლად იწვა ელენე.

— წავიდნენ? — იკითხა მან. მხიარული ხმა ჰქონდა. ცელქი გოგონას გამოხედვა. — რისთვის მოვიდნენ?

— თქვენი ნახვა უნდოდათ...

— შენ გჯერა? — იმგვარი ინტონაციით წარმოთქვა, ერთს რომ ამბობდა და მეორეს გულისხმობდა.

ანანო მიუხვდა ფარულ აზრს.

— გულგრილობა ადამიანთა ყველაზე მძიმე სენია... ესენი სწორედ ამგვარი სენით არიან დაავადებული, საკუთარი თავის გარდა ვერავის ამჩნევენ, არავინ უყვართ...

ანანო თვალებგაფართოებული შესჩერებოდა.

— რასაც ეძებდნენ, იპოვეს?

— დიახ.

— რა წაიღეს?

— სურათი.

არ უკითხავს, რომელი...

— საცოდავები არიან...

ანანომ იგრძნო, საწოლში ჩაკარგული ქალი ბრძოლას უცხადებდა ყველას და ყველაფერს. შეთქმულებას უწყობდა. მხოლოდ ანანო შეიყვარა. ნეტავ რა თვალზე იხილა იგი, რა თვისებები აღმოაჩინა მასში. მორჩილ, თვინიერ ბავშვივით ყოველ მის შემოსვლას სიხარულით ეგებება. მაინც რა მოხდა?! ან თავად მას, ახალგაზრდასა და უთვალავი სურვილებით სავსეს, სიამოვნებდა კი მთელი დღეები

ბერიქალთან ყოფნა? მისი თანამოაზრეობა, შეთქმულების წევრად ყოფნა. როცა ხეირიანად არც იცის ვის წინააღმდეგ ილაშქრებს. მთავარია ერთმანეთთან პირი შეკრეს, საერთო ენა გამონახეს:

სტუმარი ქალების გაცილების იმავე საღამოს... სამფა გიშრის მძივი. შავად მოელვარე ბურთულების მთელი აცმა ისე უცებ ჩამოკიდა ყელზე. შეკრთა ანანო. ჩანდა ბალიშს ქვეშ ჰქონდა დამალული. ბურთულებს მისი სხეულის სითბო ახლდა. შეეცადა მოეცილებინა, ყელიდან მოეხსნა, არ დაანება. ძვლადქცეულ სხეულს საოცარი ძალა აღმოაჩნდა. არ დამიწუნოო. ევედრებოდა, კრთოდა. ცახცახებდა.

შედგა ანანო.

— რომ იცოდე ვისია... ჩემი დედის...

— მე რა შუაში ვარ, ქალბატონო ელენე! რძალს აჩუქეთ.

— რძალს არა...

— მე გარეშე ვარ...

— ჩემთვის ყველაფერი ხარ... გთხოვ... როგორ დაგშვენდა, ნაქანდაკებივით ყელი გაქვს. კამოდის თავზე დედაჩემის სურათია... მოიტანე.

ფართოთვალებიან, ნაზ, სიფრიფანა ქალს გიშრის მძივები ოთხ აცმათ ეხვია ყელზე.

— ოჯახური რელიქვიაა... დღეის შემდეგ შენ ატარე...

მასთან შებრძოლება ძნელი იყო, შეწინააღმდეგებაც. ისევ უნდა ეზიდა მოთმინების ტვირთი. თუმცა იცოდა, ყველას რომ ეპატიებია, ის ლამაზი ქალი. ვერ აპატიებდა ამგვარ საქციელს. ვინ იცის როგორ მონათლავდა, რა სახელს შეარქმევდა... მოძალადეს... სხვისი სისუსტის, უუნარობით მოსარგებლეს.

ძნელი იყო მასთან შეპირისპირება. ვერც მოხუცის უძლური თითები დაიცავდა, იგი თავად იყო დასაცავი... ამასთან, მოეჩვენა თუ მართლა იყო, საჩუქრის გადაცემის ცერემონიალის დროს, ელენეს დანაოჭებული სახე. თითქოს თანდათან გაუსწორდა. მილეული ტუჩები შეევსო და ჩაბუტული თვალებიც სინათლის სხივით აუელვარდა.

* * *

წიგნები თავსაყრელად ჰქონდათ. ძველ სახლს, ბიბლიოთეკაც ძველი ჰქონდა. თაობების ნაგროვები, მამა-პაპათა ხელშენავლები. სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა გამოცემები, ავტორები, მხატვრული და პუბლიცისტური, ისტორიული და გეოგრაფიული...

ელენეს, თითქმის ყველა წიგნი წაკითხული ჰქონდა. წაეკითხა და დავიწყნოდა, ახლა იგი ხელახლა იწყებდა ძველის შეხსენებას, ამიტომ ყოველი ახალი გამოცემა, ჟურნალი თუ გაზეთი, ახლად დასტამბული წიგნი, მისი სიხარული იყო. ანანოს პირველ ხანებში ვერ გაერკვია. საიდან ქუჩდებოდა მაგიდაზე ამდენი წიგნი, ვის მოქონდა, მერე ერთი-ორჯერ ქმარს შეასწრო და მიხვდა, რაც დრო [illegible] წოლში ჩაფერფლილ ბერიქალ[illegible] ვის დაავადება შეუროდა, მისი მკურნალობა, დამშვიდება თუ გამოჯანსაღება წიგნებს შეეძლოთ... ისინი იუვნენ მისი მასაზრდოებელნი. მაცოცხლებელნი.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ... მოხდა მეორე უცნაურობა, განუწყვეტელმა კითხვამ. საუბარმა, ახალმა წიგნებმა, ანანოს ცნობიერება გაუფართოვეს. მსჯელობდნენ ისეთ საკითხებზე, რომელთა შესახებ მანამდე არაფერი იცოდა. სურდა რაც შეიძლებოდა მეტი გაეგო, შეეცნო. მიმხვდარიყო. ლამის გაჯიბრებოდა ლოგინში მწოლარეს. უცხო და ათასფეროვანი ცხოვრებით ნაცხოვრებ მოხუცს. წიგნებს წიგნებზე ნთქავდა. წიგნები აფერადებდნენ მათ ყოველდღიურობას, ერთმანეთთან ძნელად მისაღწევ სიახლოვეს. წიგნები ამძიმებდნენ თაროებს და ავსებდნენ მათ სულს.

არადა ყოველდღე ელოდა სახლის ნამდვილი მეპატრონის დაბრუნებას. უხაროდა რომ შეცვლილი და გადასხვაფერებული დახვდებოდა აქაურობა, ადრინდელი სიცივე და მიუსაფრობა სადღაც გაქრა. გაცოცხლდა და გათბა ყოველი კუთხე. ახალი ფარდები, დაგვილი ეზო, გაფენილი სარეცხი, ფეხის საწმენდი ტილო... უბრალო და უმნიშვნელო საგნები, ოღონდ ყოველი მათგანი აცოცხლებდა ძველ სახლს.

ხოლო იმ ღამით, ნახევრად მძინარეს, თვალდახუჭულმა ქმარმა მკლავი რომ მოხვია და უჩურჩულა: „ადრე გამაღვიძე", რაღაცამ შეაკრთო ანანო.

— მოხდა რამე?

— აეროპორტში გურამს უნდა დავხვდე...

ლამის გული გაუჩერდა ქალს. თავისდაუნებლიედ მიეკრა ვაჟს.

— ჩამოდის?

— ჰო. შენ რა გიხარია?

— ...მე რა შუაში ვარ... — დაიბნა ანანო. — აქ მოიყვანს?

— აქ რატომ? თავის ცოლთან.

* * *

თეთრკოსტუმიან მამაკაცს უცხო, უცნაურ სურნელთან ერთად გასაოცარი სიმსუბუქის თუ სილამაზის ელფერი ედო. ისე სწრაფად შემოვიდა, ისე მოხდენილად, დაიბნა ანანო. ვერ იცნო. ვერც ახალმოსულმა; თითქოს პირველად აღმოაჩინეს ერთმანეთი.

— ეს შენ ხარ, პატარა დიასახლისო? — თვალებში ჩახედა კაცმა, გაუღიმა.

— დიახ.

— როგორა ხარ?

— გმადლობთ, კარგად.

— შეეჩვიე აქაურობას?

მხრები შეიშმუშნა ანანომ.

— ეს შენ! — უცხოური წარწერებიანი კოლოფი მიაწოდა. ზედ ალუბლის მარცვლები ეხატა. მოკოლადის სურნელი შეიგრძნო

ანანო გაოგნებული იდგა, ერთადერთი, აკვიატებული ფიქრი — „უკვე ჩამოვიდა?!„ — ვერ მოიცილა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ეგებ ჯობდა, ეცლია მამიდა-ძმიშვილისთვის, მოფერება, ალერსი... მერე როგორ დაძაბული ელოდა ელენე, რარიგ ააფორიაქებდა მისი ხილვა. „გელოდებათ...“ — უჩურჩულა. თვალებით მიხურულ კარისკენ ანიშნა.

— „მამიდა!“.. Элена Георгевна! მილებთ?“ — ჩაესმა ხმა.

— Ой, Гурамчик, сольнишко ты моё.

ანანომ კოლოფს დახედა. შეატრიალა და შემოატრიალა... მადლობაც არ წაცდენია. „საჩუქარი“, — წყენით გაიფიქრა. კოლოფი მიაწოდა და უმალ გაეცალა. როგორც ძაღლს მიუგდებენ ძვალს, ასე მიუგდეს...

უგუნებო განწყობილებამ ფერი უცვალა ჯერ ოთახს, მერე საგნებს, ააცეკვა და აატორტმანა იქაურობა. ეს ორი ოთახი ერთმანეთისაგან კედლითა და კარებით გამიჯნული, ორ დაუსახლებელ კუნძულად აქცია. თითოეულს თავისი მობინადრე ჰყავდა;

ხმები ოდნავ ისმოდა და ისიც ისე ბუნდოვნად, ხეირიანად ვერ მიმხვდარიყო რაზე საუბრობენ ერთმანეთს დანატრული, მამიდა და ძმისშვილი. რაკი ერთმანეთი იპოვეს, სხვა აღარ ახსოვთ... არც ქმარს დავიწყებია ძველისძველი ჩვევა, მანქანაში ზის და უფროსის გამოსვლას ელოდება, არც მას ჰქონდა აქ შემოსვლის უფლება, სადაც დატოვეს, იქვე დარჩა...

სარკეში საკუთარი თავი დალანდა ანანომ. თმაგაწეწილი, ყვრიმალებაფერადებული... ასე რამ აალელვა?

მთელი ეს დღეები ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც შორიდან უთვალთვალებდა. ყოველ მის ნაბიჯს, მოძრაობას აყურადებდა. ახლა — თვალთვალი შეწყვიტეს. გვერდითა ოთახში, თეთრპიჯაკიანი მამაკაცის მშვიდი, უდარდელი ხმა ესმის, ხვდება რაღაც უცნობ გრძნობას მოუცავს მისი არსება. რა გრძნობა იყო არ იცის, ოღონდ ყველაზე მეტად საკუთარი თავის ეშინია. საკუთარი გრძნობების... ფიქრებისა და სურვილების.

იგრძნო, მის ცხოვრებაში ყველაზე დაძაბული წუთი ჩამოდგა. სწორედ ამ წუთმა უნდა გადაწყვიტოს მისი მოწავალი;

ოთახში გურამი შემოვიდა.

იმგვარი მზერა ჰქონდა ვაჟს, თითქოს პირველად შეამჩნია ფართოთვალებიანი, ყვრიმალებდატალული ახალგაზრდა ქალი.

— დაღლილი სახე გაქვს...

ქალმა თავი დახარა.

— დიდი ვალი დამდე...

— რა ვალი?

— სითბო, სიკეთე... რაც გაეცი...

— განა იმისთვის გახცემენ, რომ სამაგიერო მიიღონ?

ვაჟი დაკვირვებით დააცქერდა. ახლოს მიუწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— იცი რა თქვა მამიდამ?

— რა?

— ადამიანის ცხოვრება უმეტესად ერთფეროვანი დღეებისაგან შედგება... ერთმანეთის მინამსგავსი წუთებისაგან. ერთფეროვნება კი ღრუბელს ჰგავს, წვიმით გაჟღენთილ ღრუბელს, ნელ-ნელა რომ გისრუტავს, რათა საბოლოოდ გშთანთქას. ეს გოგონა ჩემი სიხარულია... მადლობა მისი აღმოჩენისთვისო...

— მაშასადამე თქვენ აღმომაჩინეთ, — ჩაეცინა ანანოს.

წამით მოეჩვენა, მათ საუბარს არამარტო სახლის ძველი კედლები უსმენდა, არამედ საწოლში გატრუნული მოხუცი და მანქანაში ჩაკარგული ქმარი. ყოველმა მათგანმა იცოდა ამ შეხვედრის თავი და ბოლო, ყოველი სიტყვა რაც მათ შორის ითქვა, ისიც იცოდნენ რამდენხანს შერჩნენ ერთმანეთს ასე განმარტოებით, უხერხულობით გატრუნულნი. კრძალვით შემოფარგლულმა წუთებმა რამდენხანს გასტანა. დაცილების ჟამს დაბნეული მზერა რატომ ჰქონდა ქალს, ან საიდუმლოს შენახვის სურვილს რად აეტანა მისი გონება. მერე რა საიდუმლო იყო ასეთი?! სად იწყებოდა და რით მთავრდებოდა. მყუდრო ოთახში განაპირებულ ქალსა და კაცს მაინც რა უნდა ეთქვათ ისეთი, რომლის გაცხადებაც სხვებისთვის შეუძლებალი იყო.

ან თქვეს კი?!

მხოლოდ, როცა კიბეს ჩაჰყვა ვაჟი, ეზო გაიარა და ჭიშკარს მიეფარა, მიხვდა ანანო, მოლოდინის წუთები დამთავრდა. ძნელადმისახვედრი დღეები იწყებოდა.

ოღონდ! უკან შებრუნება და საწოლში ჩაკარგული მოხუცისთვის თვალის გასწორება არ შეეძლო. ახლა არავის ხილვა არ სურს, არც საუბარი... მხოლოდ მარტო ყოფნა სწადია. სულ მარტო... მარტო.

ერთხანს აივანს შერჩა ანანო. ეზოშიც იწრიალა, გათოშილი და ფერგადაწრეტილი უკან რომ შემობრუნდა, უპირველესად მოხუცის გაფაციცებული მზერა იგრძნო.

— მოხდა რამე? — უჩურჩულა მან.

— არაფერი.

— რამდენი გეძახე, სად იყავი?!

— ეზოში...

მიხვდა, რაც უთხრა, არ დაიჯერა მოხუცმა, პირიქით მის სიტყვას სხვა მნიშვნელობა მისცა. თითქოს რასაც ფიქრობდა ან ეჭვად გულში გაივლო, იმის შემოწმება სურდა.

ოღონდ, გვიან, ღამით უცნაურად აფორიაქებული მოხუცი, ძლივ-ძლივობით რომ წამოდგა, ხალათი მოისხა და როიალს მიუჯდა, შეცბა ანანო. ამდენი ხნის განმავლობაში იგი პირველად მიუჯდა როიალს. მიუჯდა და... თქვენ წარმოიდგინეთ, დაუკრა. რაც დაუკრა და რაც

განაბულმა ქალმა მოისმინა, დაუჯერებელი იყო. პირველივე ბგერებმა თავბრუ დაახვია. ვერ წარმოედგინა ამგვარი ჟღერადობა თუ ჰქონდა ძველისძველ ინსტრუმენტს, ან მოხუცი ქალის დამჭკნარ, უძალო ხელებს, საიდან გაუჩნდა ამდენი ძალა, რა განგებამ შეაცოცხლა ისინი. საიდან მოდიოდა ეს საოცარი ბგერები, რომელთა მოსმენაც ასე უჭირდა ანანოს. ჩუმად ტიროდა... ტიროდა სიმშვიდის საოცარი განცდით. ხმები ამშვიდებდნენ, თან აფორიაქებდნენ, თავისკენ ეწეოდნენ, აბრუებდნენ...

მოგვიანებით, როცა ინსტრუმენტი დახურა ელენემ და მხრებში მოხრილმა, ჰაღარა განეწილი თმით სულ ახლოს ჩაუარა, ერთბაშად გამოერკვა ანანო.

რა უნდა ამ ხალხს? რატომ აწვალებენ? ცის რა დაუშავა? როგორ შეიძლება ადამიანმა აიტანოს ამდენი განცდა ერთად... წყენის, სიხარულის, აღფრთოვანების თუ აღშფოთების. რა უნდათ?!

* * *

ქველაფერს თავი დავანებოთ ქმარს ველარ ცნობდა ანანო. მუდამ მხიარული, ცანცარა და ქარს აყოლილი, თითქოს ერთბაშად დადუმდა, უენო და უთქმელი გახდა. ისე უგუნებო და დაბღვერილი დადიოდა, კითხვას ვერ გაუბედავდი.

სხვა მრავალი ჩვევის აკრძალვასთან ერთად, ნადირობაც აიკრძალა თენგომ. ერთდროს ფეხდაფეხ დასდევდა უფროსს, ყოველ მის ძახილზე გარბოდა. არამარტო სურვილი უკუაგდო, თოფიც დაივიწყა, შუა ოთახში, ჩამოხრჩობილივით რომ ეკიდა, თავდაყირა.

წინათ, თენგოს აზრსა და გონებას უფროსი განაგებდა, ნადირობა მისი გატაცება იყო. მონადირეთა კავშირის წევრიც მაშინ გახდა, თოფიც შეიძინა, მაღალყელიანი რეზინის ჩექმებიც იყიდა. ყოველივე ეს უფროსის თუ მისი ძმაკაცების ხათრით მოიმოქმედა. ერთგული პარტნიორი სჭირდებოდათ, ჰოდა, მასზე ერთგულსა და ყველა სურვილის აღმსრულებელს სადღა იპოვიდნენ.

მაშინ, მტრედისსაბუდარისოდენა ოთახში რომ ცხოვრობდნენ, თოფი კი არა თავად ვერ ეტეოდნენ შიგ. რამდენჯერ თხოვა ანანომ, გაყიდე, მოიცილეო, მაგრამ უფროსის სიტყვას როგორ გადავიდოდა თენგო, უდროო დროს რომ მოესურვებინა სანადიროდ ხეტიალი და პარტნიორი ვერ ეპოვა, რა ეთქვა, ცოლმა დამიმალა და იარაღი გავყიდეო?!

ასე იყო თუ ისე, იარაღის სიახლოვე თავისდაუნებლიედ აშფოთებდა ანანოს.

ხოლო ახლა, მაღალ ჩექმებში, ტყავის ქურთუკსა და თოფ-იარაღში ჩამჯდარმა მამაკაცმა კარი რომ შემოაღო, შეკრთა ანანო. მართალია, ხტუმარი იცნო, ოღონდ, მისი მოულოდნელი ხტუმრობა ეუცხოვა.

— სანადიროდ მივდივართ! — [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თენგო მოემზადე!

სანამ თენგო იცვამდა და სანადიროდ წასასვლელად ემზადებოდა, დაქანცულ ადამიანივით ოთახიდან-ოთახში მხრებაწურული დადიოდა ანანო, ქმარი რომ დაიმარტოხელა, ჩურჩულით ჰკითხა:

— სად მიდიხართ?

— რა ვიცი.

— ჩვენთან წადით სოფელში, ბევრი კურდღელია...

— კურდღლის დევნის თავი მაქვს... — ნაწყენი ხმა ჰქონდა თენგოს.

ფანჯრის რაფას აეკრა ანანო, მზერადაბინდული, მშობლიურ სანახებს, ფერდობზე შეფენილ წითელ კრამიტიან ოდა-სახლებს, ჩალის ზვინებს, სუროშემოხვეულ, მსხლის ბებერ ხეებს ხედავდა. იგრძნო, რარიგ მონატრებოდა იქაურობა. ტყეში სოკო იქნება... მჭადა სოკო, ხარისფაშვა, ნიყვი და მანჭკვალა. ნაწვიმარზე იფეთქებდა.

— ტყეში ახლა სოკო იქნება, — ჩაილაპარაკა.

ვაუმა ხელი აუქნია — მოგცლია ერთიო. გაერიდა ანანო, მოხუცს შეაკითხა. უცნაურად დაყურსული იჯდა ელენე, უსმენდა და არც უსმენდა ძმისწულს.

მიხვდა ანანო, ნადირობა მხოლოდ მოგონილი ფანდი იყო, არცერთ მათგანს ალმა-დალმა ხეტიალი, ცრუ ფათერაკების ძიება არ სურდა. ორთავეს აქ, ამ მყუდრო ბინაში დარჩენა ერჩიათ. ამას ერთბაშად მიხვდა. ამ სურვილის მიზეზი კი თვითონ იყო, თავისი უსიტყვო მორჩილებით. მისი დუმილი სასოწარკვეთაში აგდებდა ორთავე მამაკაცს, აახლოებდა და აცილებდა ერთმანეთს.

რა ხანია გაქრა ტყე — სოკოებით, ნეშომპალათი. ახლა მამიდა-ძმისწულის საუბარი ესმის.

— ინგლისური სეტერია. გამოვცადოთ მინდა. — ამბობს გურამი.

— როგორია?

— ხმელ-ხმელია, მაღალფეხა, დაუოკებელი ტემპერამენტი და სწრაფი ძებნის უნარი აქვს.

— ლამაზი იქნება.

— აბრეშუმივით რბილი, გრძელი ბეწვი აქვს.

— სად გყავს?

— მანქანაში.

— მომიყვანე. მანახე...

გურამმა სულ ახლოს ჩაუარა ანანოს, გაუღიმა და თვალი ჩაუკრა.

ძაღლი მართლაც საოცრება იყო. ტყავის სახელურით, ადამიანივით საზრიანი მზერა ჰქონდა, ოდნავ სევდიანი.

— გარეულ ფრინველებზე ნადირობს. საოცარი ყნოსვა აქვს. თანდაყოლილი ნაბული. ბრიტანეთის კუნძულებზე გამოიყვანეს მეჩვიდმეტე საუკუნეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი ანანოს შესცქეროდა.

— რა ქვია?

— ბობი.

— ბობი, მოდი ჩემთან მოიხმო ელენემ.

ძაღლმა დაკვირვებით შეხედა.

— კაკიე უმნიე გლაზა, — ხომ ყეფს? მუნჯი ხომ არ არის?

გურამს ჩაეცინა.

მოხუცი გახალისდა.

— სადღაც წავიკითხე, ინგლისის რომელიღაც ქალაქში, ერთ კაცს ერთგული, ჭკვიანი ძაღლი ჰყავდა, ოღონდ მუნჯი. არ ჰყეფდა. პატრონს მობეზრდა მუნჯი ძაღლი და გადაწყვიტა გაეცილებინა, იმ ხანებში, რამდენიმე დღით სხვა ქალაქში მოუწია გამგზავრებამ. ძაღლი შინ დატოვა. წავიდა მასპინძელი და იმავე ღამით ქურდი შემოვიდა ბინაში. ქურდმა ოთახები მოიარა. წასაღები ერთად შეაქუჩა, წასვლა რომ დააპირა, ისკუპა ძაღლმა. წააქცია და მკერდზე თათი დაადგინა, განძრევის საშუალება არ მისცა. წარმოგიდგენია, სამი დღე პატრონის დაბრუნებამდე ასე გაუნძრევლად ამყოფა. დაბრუნდა პატრონი, და... პირველი რაც მოიმოქმედა, სამზარეულოში გავიდა და მთელი ვედრო წყალი დალია...

— საცოდავი, სწყუროდა ალბათ...

— აბა, რა იქნებოდა...

— მერე, გაიცილა პატრონმა? — იკითხა ანანომ.

— არა. სამუდამოდ დარჩა მასთან.

— ხედავ, რამდენა ერთგულება შეუძლია ცხოველს. ადამიანი თუ შეძლებს ამდენს? — იკითხა ელენემ.

— გამოდის, რომ ძაღლს მეტი ერთგულება შეუძლია... ვიდრე... — აღარ დაამთავრა ანანომ.

— ასეა... — ღიმილით მოხედა გურამმა.

ანანოს შეკითხვაში შინაგანი გაღიზიანება იგრძნობოდა, თითქოს თავად იყო ყრუ და მუნჯი, განსაზღვრული დროის მანძილზე მოიმსახურებდნენ, მერე მოისვრიდნენ. ქალის ყრუ წყენა, ორთავემ იგრძნო, ძაღლმაც იყნოსა, ამდენხანს რომ ჩუმად იდგა, პატრონის ახლოს, თავაწეული და შემართული, უცებ აფორიაქდა, სივრცე მოყნოსა, ნაბიჯი წადგა საწოლისაკენ, თითქოს მთავარი დამნაშავე იქ, თბილ ქვეშაგებში ეგულებოდა.

— რა მოხდა, ბობი? — ჰკითხა გურამმა.

ძაღლს ნესტოები უთრთოდა.

— იდი კო მნე, მოდი... ნუ შფოთავ... — აწყნარებდა პატრონი. — ადამიანების ამოჩემება იცის. უბრალოზე შეიძულებს.

— მე მგავნებია... — ჩაიცინა ელენემ.

— ამ ჩვევის გამო ოჯახში ვერ შემიყვანია. დალი ვერ იტანს.

— რატომ?

— რას გაიგებ ქალების კაპრიზს. პირველსავე ხილვისას აუხირდა. არ მომწონსო, დიდიათ იატაკს დამისვრისო... მოკლედ წაიღო ყურები. პატარა ძაღლები უყვარს... იაპონური ჯიშის.

— სანამ ფინეთში ვიყავი მეგობრის ოჯახში მყავდა დამალული. ჩამოვედი და... როგორ მოვიქცე არ ვიცი. ახლა სანადიროდ მიმყავს, გამოვცადო მინდა.

— მარტო მიდიხარ?

— ამხანაგებს ველოდები... საცაა მოვლენ.

— გამოდის, რომ მე და ბობი... — სიმწრით ჩაიცინა ელენემ — იზ პოკინუტოგო სტადა...

— რა ლაპარაკია, მამიდა? — იწყინა გურამმა — რატომ ასე მკაცრად?

— რას იზამ, თვითონ ცხოვრებაა ასე მკაცრი... დაუნდობელი.

ანანო თითქოს შორიდან, სადღაც დასალიერიდან უჰვრეტდა მათ. არც საუბარში ერეოდა, წყენაც გაქრობოდა.

— რომ დავბრუნდებით, ბობის თავშესაფარი უნდა ვუპოვო...

— ორივე სასაცილო ხართ, შენც და ბობიც. გამოდის რომ აქ ტოვებ...

— ძაღლს ადამიანივით უნდა მოვლა, ამდენს სად შეძლებთ?! — ანანოს გახედა — ხომ ასეა ანანო?!

საყვირის ხმა გაისმა.

— აბა, კარგად. წავედი!

გურამზე ადრე ბობი გაიჭრა გარეთ.

მეორე დღეს, მზის ჩასვლის წინ, ტალახში ამოთხვრილები, დაღლილები, ბირკა-ბირკებით დაბრუნდნენ. ჯერ ძაღლი გადმოხტა მანქანიდან. გადმოიტანეს ჩანთები, თოფები, ყველაზე დიდ სიხარულს ბობი ამჟღავნებდა, ცმუკავდა, უკანა ფეხებზე დგებოდა. ანანო რომ დაინახა, მივარდა, შემოუარა, ფეხსაცმლის ლანჩა გაულოკა.

— რა იყო ბობი? ისახელე თავი?

უფრო სწორედ გურამს ჰკითხა, თავმომწონედ რომ მოზქონდა ნანადირევი: ტყის ქათმების მთელი აცმა.

ახლა ქმარს გახედა ანანომ. მხარჩამოგდებული მოაბიჯებდა. ძლივს მოათრევდა თოფს, მოქონდა ფეხები.

— დაიღალე?

— ხომ გაგიგონია, მოცლილი კაცი...

ჩაუარა და წავიდა.

* * *

პირველსავე ღამეს, პირველსავე დაყეფებაზე მიხვდა ანანო, არცერთ სულიერს მათ ეზოში ჩამოლწევა არ შეეძლო. ვერც შინმობრუნებული თენგო გაბედავდა შეუმჩნევლად შემოსვლას. მის ყოველ ნაბიჯს, ძაღლის ყოველი შეხმაურება გაამხელდა. კარგი იყო ეს თუ ცუდი ჯერაც ვერ მიმხვდარიყო.

არადა, პატრონს დიდ პატივში ჰყავდა ცხოველი, ახალი ხორცით, ძვლებით ამარაგებდა. მალიმალ აკითხავდა, ასეირნებდა... თანამდებობითა და ღირსებებით შემკული თავმომწონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი ჩვეულებრივი და ახლობელი გახდა, „გურამზურაბიჩის“ საბურველი ჩამოცილდა. რამდენჯერაც წაცდა ქმართან, უფროსის გადამეტებული ქება, იმდენჯერ მის უკმაყოფილო სახეს წააწყდა.

იმ საღამოს, ერთხანს ტელევიზორს უსხდნენ (შავ-თეთრის ნაცვლად სულ ახლახან ფერადი ტელევიზორი მოიტანა თენგომ), თბილ შალში გაფუთვნილი მოხუცი ერთხანს დივანზე იჯდა, ყურადღებით უსმენდა გადაცემებს, მერე დაიღალა თუ ძილი მოერია, წამოდგა. ანანომ მკლავი მოხვია და საძინებელ ოთახში გაიყვანა. მათ ყოველ მოძრაობას შეუჩნევლად უთვალთვალებდა სტუმარი. იგი წასვლას აყოვნებდა, თითქოს დავიწყნოდა კიდეც... მერე მოხუცმა ჩაიძინა და სასტუმრო ოთახში ფეხაკრეფით დაბრუნდა ქალი, ეკრანიდან ახლეტილი მომწვანო-მოიისფრო სხივები სტუმრის სახეს სევდიანსა და მიუსაფარს აჩენდა. „რა მოუვიდა?“ — გაუელვა ანანოს.

— წავალ აწი... — წამოდგა გურამი.

ერთხანს უხმოდ უმზირა ანანოს.

— ალბად გიკვირს რატომ დავდივარ ასე ხშირად, — ვაჟის ხმა ეუცხოვა ქალს. დაიძაბა, არაფერი უპასუხა.

— ყველაფერი შენი ბრალია... — სულ ახლოს მოვიდა.

— ჩემი? რატომ? — გაოცებით იკითხა ანანომ.

რატომ მოვიდა ასე ახლოს?! რა უნდა?! საოცარმა განცდამ ხელფეხი შეუბორკა ანანოს. ნესტოებთან უცხო, ნაკლებად ნაცნობი სუნი იგრძნო, სხვა, უცხო მამაკაცის სუნი — მისი თმის, ბაგის... მთრთოლვარე ტუჩების, სიბნელის, სურნელის, სისხლის აფორიაქების, დაუძლეველი ალტყინების შედეგად მოგვრილი. ქალის ნახევრად დანამულ, ნახევრად გაპობილ ბაგეს (თავისდაუნებლიედ ვიღაცას რომ ელოდნენ), შეეხო მეორე... მამაკაცის მხურვალე ბაგე. ასე თავდავიწყებით რად ეხვევა? ან ქალი რად დაყვა მის ალერსს, რატომ მოსწონს მისი ტუჩების სიმხურვალე, რად არ ეუცხოება, ასე რად სიამოვნებს. იგი ხომ უცხოა, გარეშეა, სხვა მამაკაცია...

ერთბაშად გამოერკვა ანანო. გვერდით ოთახში, თენგოს ეძინა. საშინელება იყო! მკლავებიდან დაუსხლტა ვაჟს. გაეცალა. შეეშინდა არ დადევნებოდა იგი. ფეხდაფეხ არ აჰყოლოდა. საძინებელი ოთახის კარი შეაღო.

როდის შემოვიდა აქ... რა უნდა... რად მოაშურა მწოლარე მოხუცს — არადა, ხმა ესმის... უძალო, დახშული ხმა.

— წავიდა გურამი?

— კი.

— „რატომ შემოვედი ამ ოთახში?!“ — მკითხა საკუთარ თავს.

მოხუცი საწოლზე წამომჯდარა. მშვიდი სახით შესცქერის.

— ტელევიზორი გამორთე

— კი...

— წინათ იშვიათად დადიოდა გურამი... ახლა...

— ალბათ ბობის გამო...

— ალბათ.

მოხუცის სიტყვებმა ერთბაშად მოაგონეს ფარული ძრწოლა, მთელ მის სხეულს რომ დაუფლებოდა. განცდა, რომელიც მისმა მგრძნობიარე ბუნებამ სულ ახლახან განიცადა და ჯერაც ხეირიანად არ გაუაზრებია. „ნუთუ მიხვდა...“

— დაღლილი სახე გაქვს, მოისვენე...

ეს სიტყვები იმგვარი ინტონაციით თქვა ელენემ, თითქოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩააქსოვა შიგ. ანანომ გაკვირვებით შეხედა. მაშინვე მიხვდა, რა ფარული აზრი ახლდა მის კითხვას.

— ნელზია იგრაც ს სუდბოი... ყრუ დახშული ხმით ჩაილაპარაკა მოხუცმა. სახე საბანში ჩამალა.

ერთხანს სდუმდნენ.

მხოლოდ მაშინ შეკრთა ორივე, როცა კარის გაღების ხმა გაისმა და აივანზე ვიღაცამ გაიარა. „წავიდა“.

მოხუცს მოხედა, მის გუბისწყალივით მღვრიე თვალებში გაოცება თრთოდა.

* * *

ფანჯრიდან შემოპრილ მკრთალ შუქზე საგნები დაგრძელებული და დაბრეცილი ჩანდნენ. კარადის კარი ღრიჭოდ დარჩენილიყო, მკვეთრი სიცივე იცქირებოდა ღია კარიდან. სიცივე აღწევდა საწოლამდე და იქვე დედდებოდა.

უცხო მელოდიის საამო ხმები თავდაპირველად დანაწევრებით ჩაესმოდა ანანოს, შორეულად, გაძნელებით. მერე ერთბაშად, მთელი სიმკვეთრით მოისმინა. საოცარი მელოდია იყო, ნაუცბათევი ალერსის ჯერაც გადაუვიწყებელ სიამეს რომ ახლდა თან. ტკბილი, უცხო და უჩვეულო იყო იგი, გაოგნების, თავბრუდახვევის უსასრულობაში ხვევდა.

უკვე შუაღამემ მოატანა. რაც დრო გადიოდა გრძნობდა, სიამის განცდა თანდათან ნელდებოდა, სამაგიეროდ დაეჭვების, შეუცნობლობის განცდა ეძალებოდა. სინამდვილეში მოხდა თუ თვითონ გამოიგონა, არარსებული წარმოიდგინა, როგორც დიდი ხნის ნანატრი სურვილი ერთ დღეს ამხდარი და ასრულებული მოგეჩვენება, ასე დაემართა მასაც. მისმა მოუთმენელმა ბუნებამ მთელი სასავსით წარმოიდგინა ნანატრი ალერსის ყოველი წუთი...

საკუთარი აფორიაქება რომ დაემალა, ითვალთმაქცა ქმრის წინაშე, გაეგება და გაეთილისმა, გაიძვრე და ისე დაწევიო, დივანზე არ გაცივდეო. ფეხიც დაბანა, საწოლიც აუშალა. ნამგზავრ, ტყე-ღრეში ნახეტიალებ ქმარს პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივით რომ მიეგებება მომლოდინე ცოლი, თბილ წყალში ფეხებს ჩააყოფინებს, ჩაუცუცქდება, ალერსით, თითების ცაცუნით დაბანს ფეხისგულს. ამგვარი მობოდიშებით, სიყვარულით და ალერსით აავსო იგი. ოღონდ, გამხდარ, წაფერდებულ ბეჭებზე საბანი რომ მიაფარა, მიხვდა, ყველაფერს აკეთებდა, რათა დროულად ჩაემყუდროებინა სახლი. საკუთარ ფიქრებთან, ზმანებებთან, ძნელად გასამხელ სურვილებთან მარტო დარჩენილიყო.

რა ხანია ჩაეძინა თენგოს. ჩამიჩუმი არ ისმის ელენესთან, აღარც ბობი ჰყეფს. უწყინარი, გუნებიერი კაცის ძილით ძინავთ... რა ბედნიერები არიან! ეგებ პირიქით, თავად ანანოა ბედნიერი. მის ცხოვრებაში წარმოუდგენელი წუთი ჩამოდგა. როცა სამყარო ასე ბუნდოვანია, როცა ხეირიანად ვერ გაგირჩევია რა ხდება ცოდვა-უცოდველობისაგან, სურვილის ასრულება-აუსრულებლობისაგან. როცა შენივე ნამოქმედარი კიდეც მოგწონს, კმაყოფილიც ხარ და თავსაც იჯოჯოხეთებ. როცა ერთ პიროვნებაში ორი ადამიანია გამთლიანებული. და გიჭირს შეცნობა, სადაა სინამდვილე, სად კიდევ არსებული სამყარო. ცხოვრება ხომ სიმართლისა და ტყუილის მუდმივი მონაცვლეობაა. როცა გგონია, რომ სიკეთეს ჩადიხარ, სწორედ მაშინ იქმ ბოროტებას.

გვერდი იბრუნა, ქმარს გახედა. მაინც რა დანაშაული მიუძღვის ქმრის წინაშე?! კითხვები ნელ-ნელა მოდიოდნენ, ერთმანეთის მიჯრით, მონაცვლეობით. მოდიოდნენ და უმალ ქრებოდნენ. აფორიაქებული გონება სიმშვიდეს ითხოვდა, წუთშესვენებას. მთვარის სხივებით დაფენილი სივრცე, ფანჯრის ჭრილში მოშრიალე ალვის ტოტები, მამაკაცის უშფოთველი სხეული, ყველაფერი, ისე ახლობელი და კარგა ხანია შეჩვეული, თითქოს რაღაც ძალამ ერთმანეთში გადახლართა, ერთმანეთის შუქით განბანა. რაც მანამდე მოხდა, ან აწი უნდა მოხდეს, ქმრის მიმართ შიში თუ მოხუცის გაფაციცებული მზერა, ყოველივე უსუსურობა იყო იმ უმშვენიერეს წუთებთან შედარებით, რაც ახლახან განიცადა. რაც ასე მოულოდნელად აენთო მის არსებაში.

რატომ მოესურვა მასთან ალერსი? რატომ არ გაუწია წინააღმდეგობა, თავად გაუწვდინა მკლავები... თავად ჩაეკრა...

გამოერკვა.

რატომ არ შეუძლია გაამხილოს თავისი სურვილი? აღიაროს სიმართლე, რომ სულ ახლახან, ამ ოთახში მთელი არსებით ეხვეოდა სხვა მამაკაცს, უკოცნიდა ყელსა და კისერს, ეჩურჩულებოდა ათასგვარ სისულელეს...

მთავარია მას არ რცხვენია ამ განცდის, პირიქით ყველაზე დიდ ბედნიერებად მიაჩნია. თუნდაც არასდროს განმეორდეს, ვერც ვერასდროს შეხვდეს; მაინც კმაყოფილია... ბედნიერია.. ხომ არსებობს ასეთი წუთები, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის...

გვიან, განთიადის სხივებით განბანილს და განწმენდილს, ღრმად ჩაეძინა.

* * *

მთელი კვირა ისე ჩაილია, ერთხელაც არ გამოჩნდა გურამი. არ მოვიდა, არ მოინახულა. თითქოს გამოსაცდელი ვადა დაუნიშნა საკუთარ თავს, მოხუცის, ძაღლის თუ მათი მომვლელის უნახავად რამდენხანს გაძლებდა.

ეგებ არავითარი ადგილი არ აქვს მის ცხოვრებაში სიმყუდროვეში ჩაძირულ სამეულს. ისინი შემთხვევით ამოტივტივებული საგნები არიან, რომლებსაც სულ მალე მახსოვრობის მღელვარე ტბაში ჩაძირვა ელით. ნელ-ნელა ჩაითრევენ ტალღები, შლამსა და სილას წააყრიან და ბოლოს შეუმჩნევლად, ოდნავ რხევით ფსკერზე დაუშვებენ. მახსოვრობის ფსკერზე...

მთელ ამ დღეებში გულჩათხრობილი, ხევდიანი დადიოდა ანანო. მოხუცის მზერას გაურბოდა.

— ყველაფრის ახსნა შეიძლება, მაგრამ ყველაფერს არ აქვს ახსნა... — ფილოსოფოსობდა ელენე.

მისი ნართაული სიტყვა-პასუხი აღიზიანებდა ანანოს. ეჩხია, ძაღლის გასეირნება მოემიზეზებინა და ქუჩა-ქუჩა ეხეტიალა. ამყვა კიდეც ერთხანს ხიდზე გადაქროლილ მანქანებს აყოლებდა მზერას. საღამო ჟამს დაღლილი და გასავათებული ჭიშკარს რომ მოადგებოდა, გული დაუწყებდა შფოთვას: „ხომ არ მოსულა". გულამოვარდნილი აირბენდა კიბეს. შეაღებდა და... მოხუცის მიმხვედრი მზერა იმგვარად მოებჯინებოდა, თითქოს სულისა და ხორცის ყოველ წერტილს უშიშვლებდა, მისი საფიქრალის შეცნობა სურდა.

— ძნელია განსაზღვრო ადამიანის მორალური ბუნება, თუ სპარტელ ქალს ქუჩაში შიშველს გააგდებდნენ, ეს მისთვის სიკვდილზე უარესი იყო, იამაიკაში ინდიელი ქალები დედიშობილა დადიან. დის ცოლად შერთვა დანაშაულია, ძველ ეგვიპტეში კი ასეთ ქორწინებას გამართლებული აზრი ჰქონდა, — ქადაგებდა ელენე.

ანანომ ბუნდოვნად იცოდა სად იყო იამაიკა, სპარტელ ქალებზეც სმენოდა ცოტა რამ, ოღონდ ამით რისი თქმა სურდა ელენეს, ვერა და ვერ მიმხვდარიყო.

საოცარი ის იყო, პატრონის მოლოდინი ყველაზე მეტად ბობის აშფოთებდა. მთელი ღამე ღრინავდა, ყეფდა, წკმუტუნებდა. ჩანს ვიღაცას ელოდა. ამას თავი დავანებოთ, ეჩვენებოდა თუ მართლა ხდებოდა, ღამით ვიღაც შემოდიოდა ეზოში. დამფრთხალი ნაბიჯებით ედებოდა ლობე-ყორეს, ძაღლსაც აკითხავდა; ასეთ დროს იმგვარად ჩაწყნარდებოდა ცხოველი ჯაჭვის

რაჩხუნს შეწყვეტდა, თითქოს ვიღაცის სანატრელ თითებს უალერსებდა, ლოკავდა... ვინ იყო?! ბალიშიდან თავის წამოწევა უძნელდებოდა ანანოს.

* * *

ადამიანის ცხოვრებაში დგება წუთები, როცა თავად ველარ ცნობ საკუთარ თავს, რაც გუშინ გიტაცებდა — დღეს მოსაბეზრებელი გეჩვენება, რაც გიყვარდა, რისკენაც მთელი გულით მიისწრაფოდი — აღმოაჩენ, რომ საინტერესო არ არის.

დროდადრო ანანოს ეჩვენებოდა განგება შეუცნობელსა და მიუხვედრელს უმზადებხო მისგან არავინ არაფერს ითხოვს, მას უბრალოდ აბრუებენ, ძალას ართმევენ. ზოგჯერ ეჩვენება, რომ უმწეო, თვალგაუხელელი ცინდალია, კნავის და ყველას ფეხებში ედება, თუ ითმენენ მის კნავილს, ისიც დროებით, ერთი ადგილიდან ფრთხილად მეორე ადგილზე გადასვამენ, ხოლო როცა მობეზრდებათ მისი ცუღლუტობა, ყურში ხელს წაავლებენ და გარეთ მოისვრიან. როდის მოისვრიან?!

თვალისმომჭრელმა ელვამ, რომელსაც ქუხილი მოჰყვა, ფანჯრები გაანათა. გაანათა ოთახი, ფანჯარასთან მჯდომი ახალგაზრდა ქალი, მწოლიარე მოხუცი. სინათლემ გაამჟღავნა მათი არსებობა.

— ანანო! — მოიხმო ელენემ.

— ბატონო!

— ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, რამდენი ნაცნობები მყავდა, ახლობლები, ოჯახის წევრები... ყველანი წავიდნენ... სულ მარტო დავრჩი...

— ცუდად ხომ არ ხართ?

— არა. მთელი ეს დღეები ამაზე ვფიქრობ...

— დამშვიდდით. სხვა რამეზე იფიქრეთ.

— ალბათ მეც მალე წავალ...

— სად?

არ მიპასუხა.

ანანომ ვერაფერი გაიგო, ელენე რაღაც სხვანაირად ლაპარაკობდა, არაამქვეყნიურად. ხმა მილეოდა, მისუსტებოდა. თავისი ხმით, მბჟუტავი მზერით, ხაბანში ჩაკარგული უძალო სხეულით იგი თითქოს ეთხოვებოდა.

— ჩემი რჩევაა. რაც შეიძლება შორს წადი ამ სახლიდან...

— რატომ?

— აქ არავის გაუხარია. იგი მუდამ მარტოსულთა თავშესაფარი იყო. რაც არ უნდა შეეცადო, ვერაფრით ამოავსებ ორთა შორის არსებულ სიცარიელეს. რაც არ უნდა ახლობელი იყოს შენს გვერდით მდგომი ადამიანი, იგი მაინც უცხო რჩება... სულ სხვაა სულიერი სიახლოვე... რაც ყოველთვის ჰქონდა, მითუმეტეს ახლა, როცა ადამიანები ასე დასცილდნენ ერთმანეთს. გამოქვაბულში ცხოვრებისას მეტ სულიერ სიახლოვეს გრძნობდნენ, ვიდრე ახლა, ცივილიზებულ სამყაროში.

მიჩუმდა.

— ქალბატონო ელენე, … ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა. უბრალოდ სათქმელს ვერ ვუყრი თავს. მო, სახლზე გიამბობდი. ამ სახლში არავის გაუხარია. დედა დავტოვეთ და შვილები მიმოვიფანტეთ. განუწყვეტლივ გვთხოვდა გვემუდარებოდა, დაუბრუნდით მშობლიურ სახლსო, ჩამოდითო. ვერ მოვახერხეთ. ვერც მე, იმდენად დაკავებული აღმოვჩნდი, რომ დედის დასაფლავებაზეც კი ვერ ჩამოვედი. მერე რძალმა ისურვა ამ სახლში ცხოვრება, გურამის დედამ. დიდხანს ვერც მან გაუძლო ერთფეროვან ყოფას, შვილთან გადასვლაც არ ისურვა. მე მომიწვია, ორნი უკეთესად ვიქნებითო. თავად მოვიწევდი აქეთ. მეგონა ისევ ის ძველი, ყმაწვილქალობის დროინდელი ყოფა დამხვდებოდა, ჩამოვედი, მოვტყუვდი. ძველი ნაცნობებიდან არავინ დამხვდა, ყველანი წასულიყვნენ...

— სად?

— სად მიდიან ადამიანები?

არ უპასუხა.

— ვერც რძალთან შეხმატკბილება მოვასწარი. დაიძინა და ველარ გაიღვიძა. დავრჩი მარტო. თუმცა კარგა ხანია მარტო ვიყავი, მაგრამ აქაური სიმარტოვე მაინც სხვაა. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ბოლოსდაბოლოს ამასაც შევეჩვეოდი, მაგრამ დაუბრუნდე წლობით ნანატრ, მშობლიურ ადგილ-გარემოს და თავიეულად იგრძნო, ყველაზე საშინელებაა. ერთხანს ვერ მივხვდი ასე ძლიერ რად განვიცადე ეს მარტოობა, რომელმა ქარბორბალამ გადიქროლა ჩემს თავზე. რატომ გავეთიშე ადამიანებს ან რად გამიჩნდა ზედმეტობის უსიამო შეგრძნება. ვერც ვერვინ მიხვდება რარიგ მტანჯველია ეს გრძნობა.

მიჩუმდა.

არასდროს ამდენი არ ულაპარაკია ელენეს. მის მშფოთვარე სულს, აღიარების სურვილი მოძალებოდა. როგორც ცოდვილი განიწმინდება სულიერი მამის წინაშე, ჩანს ამგვარად სურდა მასაც გაწმენდა...

— გურამის ცოლმა ჩემი პანსიონატში მოწყობა მოისურვა. იცი რა არის პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატი? ერთი მხრივ იგი ყვავილებში ჩაფლული ნათელფანჯრებიანი, ვრცელი შენობაა, სადაც უკრავს მუსიკა, უჩვენებენ ახალ კინო-ფილმებს, ამზადებენ გემრიელ კერძებს და აწყობენ ლექცია-შეხვედრებს; მეორე მხრივ ეს ნიშნავს, უცქირო ათეულობით მარტოხელა ადამიანს, მარტოსულთა მთელ სამყაროს. უცქირო მათ სევდიან, გამოფიტულ სახეებს, ულიმღამო ნაბიჯებს უსუსურ მზერას... ეს საშინელებაა! ჩემს შიშს ერთადერთი გურამი მიხვდა, მომვლელი მივუჩინოთო დაიჩემა. ამიტომ იყო მომვლელთა მთელი წყება შემომიხიზნეს, ტუტრუცანა, თავხედი დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკაცების მთელი ანსამბლი, ფარისეველნი, უტიფარნი და გულგოროზნი... მათი ატანა შემეძლო?

— რატომ ასე დაუნდობლად?

— ასეა... სიბერის ჟამს ადამიანი აუტანელი ხდება, დაუნდობელიც. ყველაზე მეტად იგი ქაოსს ვერ იტანს. გაურკვევლობას. მისებრ დაჩაჩანაკებულ სახეებს, დაჩამიჩებულ სიფათებს... ამიტომ შემომიგზავნა გურამმა შენი თავი. მაგრამ მან ვერ გაიაზრა მეორე უკიდურესობა. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალის თვითშეწირვა საიდან მოდიოდა, რა მიზეზით? ადამიანთა ერთი ნაწილი ქონების მოხვეჭის სურვილით იხიბლება. სწორედ ამ სურვილმა მოიყვანა კლარა ჩემამდე. ეგონა ხითხითით, მიეთ-მოეთით, „ელენა, გოგო რავა ხარ?" გამაბრიყვებდა, მაგრამ ადამიანის შეძულებას რა უნდა. ეგებ სრულიად უბრალო, უმნიშვნელო რაიმეზე შეიძულო იგი, მეც შევიძულე კლარა. ამ სიძულვილს ყოველწამს ვამჟღავნებდი და გავაქციე კიდეც. მერე გამოჩნდი შენ და, პირველსავე ხილვისას მივხვდი, სულ სხვა იყავი. განგებამ საოცრება მარგუნა. სისუფთავის, სინაზის და კდემის წუთებს მაზიარა. იმასაც მივხვდი, შენნაირი ადამიანები ქონების შეძენის სურვილით ნაკლებად იხიბლებიან, მათ სხვა გრძნობა იმორჩილებთ...

— რა გრძნობა?

— მაგასაც გეტყვი. მადროვე. მაინტერესებდა რამ მოგიყვანა ჩემთან, დაჩაჩანაკებულ ბებერთან, რომლის დღეებიც დათვლილია. რატომ ითმენდი ჩემს უხასიათობას, უმადურობას, თავი სამსხვერპლოზე რისთვის დადე?

— ქალბატონო ელენე!

— სუუ... არაფერი თქვა, მე უკვე ვიცი.

— იცით?

— ჰო, შენ სიყვარულმა მოგიყვანა აქ... ხომ ასეა?

— გადავწყვიტე წავიდე... — ამბობს ელენე.

— სად?

— იქ... — სადღაც კედლის მიღმა მიათითა, ანანო უმალ მიხვდა. ირიბად გახრილი ფარდის იქეთ, ქალაქის, თუ მთელი ამ ერთფეროვანი დასახლების მიღმა, ელენეს აკრძალული სამყოფელი ეგულებოდა, რომელსაც ყველაზე ძნელად ასატანი სახელი — „უპატრონო მოხუცთა თავშესაფარი ერქვა". თუმცა, პირველად მიმსვლელთათვის თუ შიგ მცხოვრებთა საიმედოდ ხმაურიან, მყვირალა სახელს არქმევდნენ: „პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატი".

— მინახულებ?

ანანოს თავი არ აუწევია...

— საბუთები უკვე მზად მაქვს.

— ვინ გაამზადა?

— რძალმა.

— „აი, თურმე რისთვის მოსულა".

* * *

მოხუცთან საუბარმა გული ატკინა ანანოს. დანაშაულის გრძნობამ მოსვენება არ მისცა, კარი გამოაღო, აივანზე გავიდა, ფრთხილი ნაბიჯით კიბეზე დაეშვა, რომ...

ბოლო საფეხურზე ნაბიჯის ჩადგმა ვერ მოასწრო, ძაღლი მოახტა, — „ვინ აუშვა?!" — გაუელვა ფიქრმა.

სიხარულით, კუდის ქიცინით, ჩახტომა თუ ამოხტომით შეეგება იგი. თითქოს რაღაც მოუსვენრობა შეეყროდა ცხოველს, წკმუტუნებდა, წინა ფეხებს მკერდზე აბჯენდა, თითებს ულოკავდა. არ ისვენებდა. გარს უვლიდა, ყნოსავდა ქალს, თითქოს რაღაცას ანიშნებდა, თხოვდა, ემუდარებოდა, ყავისფრად მბზინავი სხეულით ეხახუნებოდა. მოკლე, მოქნილი ნახტომებით თავგზას უკარგავდა. „რა გინდა, ბობი? მითხარი, რა მოხდა?" — ჩაკითხავდა მალიმალ. ძაღლი ცქმუტავდა, ჯაჭვს აჩხარუნებდა, ირგვლივ უვლიდა. „ასე რამ შეგაშფოთა? გამაგებინე, რა მოხდა?"

ცხოველი კვლავ შეარხევდა უკანა ტანს, ოდნავ ჩაყუჩდებოდა, სივრცეს გაუშეშებდა მზერას, შორეულ ხმებს მიაყურადებდა და ისევ შემოურბენდა, კიდევ და კიდევ...

ჩაუმუხლა ქალმა, თავზე ხელი გადაუსვა.

— რა იყო ბობი?! — სიყვარულით ჰკითხა.

ქალის ალერსი საოცრად ეამა ცხოველს, თავი ახლოს მოუტანა, მუხლებზე გაუხახუნა, ფართო თვალებში სითბო ჩაუდგა. მერე ისევ აფორიაქდა, აწრიალდა; გაიქცა და გამოიქცა. თან თავისკენ ეწეოდა ანანოს, თითქოს რაღაცას ანიშნებდა, ემუდარებოდა...

— სად მიგყავარ, ბობი?

თვითონაც აჰყვა ძაღლის ნებას, გაედევნა. ჯერ სახლს შემოუარა ბობიმ, მერე კიბე დაყნოსა, იქედან გამოქცეული ალვის მწკრივებს გაეძია... ყნოსვა-ყნოსვით, წკმუტუნით, უკან მოხედვით და წინ გაქცევით.

ანანო მიხვდა, ვიღაც იყო ეზოში. სულიერს თუ უსულოს გაედევნა ბობი, მისკენ მიჰყავდა ანანოც.

ჭიშკარს მიაზტა, შეჰყეფა, შეწრიალდა, მიაღწია ანანომაც...

— ვინ იყო, ბობი?

ჭიშკრის გამოღება და გადასვლა ვერ გაბედა, უმალ იბრუნა პირი — „წავიდეთ, ბობი! შინ დავბრუნდეთ!"

რატომ უნდა გადევნებოდა ვიღაცას, შორს წასულს... ან ძაღლი რამ შეაშფოთა ასე? რა მოეჩვენა? ნუთუ ეზოში ჩამოვიდა ვინმე, თუ ჩამოვიდა, სად მიიმალა...

თანდათან შიშმა შეიპყრო. მიმოიხედა. თითქოს ქალაქი იყო და არც ეთქმოდა ქალაქი. გარეუბანი იყო და საგარეუბნო ჩვევებს გარიდებოდა. სიზმრისეულ მოჩვენებებს მგავდა გარე სამყარო... ცხადს რომ წააგავს და არც ჰგავს.

კვლავ გაებლანდა თეთრი ლანდი, ნუთუ ელენე იყო? როდის ადგა? ან სად მიდის? ნუთუ ანანოს ჩაეძინა და გაიპარა? მაგრამ რომ არ უძინია?! საოცარია!

არ დაუძახია, არც საკუთარი ვინაობა გაუმხელია, ისე აჰყვა შორეულ მოლანდებას, როგორც ჩრდილი — ჩრდილს გაედევნა. ერთი მიმართულებით დაიძრნენ.

ერთხანს შუა ქუჩაში იდგა თეთრსამოსიანი არსება, თითქოს რაღაცას იხსენებდა და ვერ გაეხსენებინა. არადა, ნახევრად ჩაბნელებულ, ჩრდილმოძალებულ ეზოში, მწვანე ბალახში ჩამდგარი თეთრი აჩრდილი გარკვევით მოჩანდა. მართალია, უმწეო და მარტოსული იყო, მაგრამ მთელი დღის ლოგინში ნაწოლი, ოფლით დანამული სხეულით ნეტავ რად აჰყოლოდა ღამის მოლანდებებს. ეს აყოლა კარგს არას ნიშნავდა, არ მოასწავებდა. ამიტომ გაედევნა მის ყოველ ნაბიჯს ანანო; საითაც წავიდა, იქითკენ გაჰყვა. წინწასულმა ამ კუთხე-გარემოს ყოველი ადგილი იცოდა, ბუჩქი და ხის ძირი, უბრალო კენჭსაც კი ცნობდა. ხოლო თვითონ, ანანოს აკანკალებულსა და შიშატანილს, სანამდე უნდა ერბინა? ფეხდაფეხ, უხმაუროდ, შეუსვენებლად. ერთხელაც რომ აშლოდა ნაბიჯი, ფეხი წამოეკრა, მუცელქმნილი, ორსული ქალი ტომარასავით გაგორდებოდა ძირს. რა ექნა?! უკან დაბრუნებაც არ სურდა, თითქოს უხილავი ძაფით გამოება მოხუცმა, მიდიოდა და თან მიჰყავდა. ქუჩაში გადავიდნენ. მდინარის ნაპირს გაჰყვნენ.

ერთხელაც არ შებორძიკებულა, ქარივით მჩატედ მიქონდა სხეული, თეთრი ხამოსი უფრიალებდა. ღამეულ მოჩვენებას, ავს სულს უფრო ჰგავდა, უდროო დროს საზეტიალოდ გამოსულს. ყველაზე საოცარი ის იყო, ერთხელაც არ დაუკვნესია ავადმყოფს, არც ჩაუმუხლია. მერე მდინარისკენ რომ აიღო გეზი, უკვე შეშინდა ანანო, ნეტავ ქმარი მაინც შემეღვიძება, რაიმე ხათაბალას არ გადავეყაროთ. ავადმყოფი უკვე ვიწრო ბილიკს მიჰყვებოდა. საცა იყო მიიმალებოდა, უნდა ეჩქარა. ღმერთო! ამ შუაღამისას რაიმე უბედურებას არ გადაეყაროს.

ლამის ეყვირა ანანოს, ქვეყანა შეეყარა...

წელის ტკივილი იგრძნო. სხეული დაუმძიმდა. ამდენი სირბილი, აღმა-დაღმა ხეტიალი სად შეუძლია... მოხუციც არა ჩანს.

— ქალბატონო ელენე!

გასძახა სიბნელეში, ხიდზე ჩამორიგებულ ელნათურებს, აქა-იქ გამსხლტარ, დაგვიანებულ მგზავრთა ლანდებს, წყლის თვალისმომჭრელ ლიცლიცს. მოშრიალე ბუჩქებს შორის გამავალ საცალფეხო ბილიკს. ყველაფერს რასაც, ფათერაკიანი ბერიქალი შეიძლებოდა გასდევნებოდა.

— „ეგებ მომეჩვენა?!“

ის იყო გამობრუნება დააპირა, ბუჩქებს იქეთ, მდინარის ნაპირთან, თეთრ ლანდს მოჰკრა თვალი. ბუჩქი გადასწია, კი, ის იყო... მოხუცი. დაუძახოს? ვაი, რომ შეკრთეს! [illegible] ხებული მღვრიე ტალღებს შეჰყურებს.

— ქალბატონო ელენე!

ნიავის ქროლვას გაჰყვა მისი ძახილი, შორეულ ჩურჩულად მიწვდა მოხუცს.

— ეს თქვენ ხართ? — იკითხა გაოცებით.

— დიახ.

— აქ რა გინდა?

— შემეშინდა... ვაი, თუ...

— რა?

ანანომ არ უპასუხა.

— მომეცი ხელი.

მისი უძალო, აცახცახებული თითები უმალ მოიმწყვდია ახალგაზრდამ. გულში ჩაიკრა.

— მე მეგონა... — ატირდა ანანო.

— სუ, ნუ ტირი, რა გეგონა?!. მე ხშირად მოვდიოდი აქ, ეს ჩემი სიყმაწვილის ჩვევაა...

— ჩვევა?

— ჰო. მდინარე ჩემი მეგობარია. ჩვენ დიდი ხანია ვუგებთ ერთმანეთს. ხანდახან ისე მომენატრება...

— რომ გაცივდეთ?

— არაუშავს. თუ გავცივდები და... თქვენი ჭირი წამიღია, — ლაპარაკობდა მხიარულად, უდარდელად.

ფარფატა სხეული კიდევ უფრო გამსუბუქებოდა მოხუცს.

— მდინარემ საოცარი მონატრება იცის... ხანდახან ისე მომინდება აქ მოსვლა. სადაც კი ვყოფილვარ, მიცხოვრია, ყველგან ამ მდინარეს ვნატრობდი... მის ბუტბუტს, ჩურჩულს...

— არ გეშინიათ?

— რისი უნდა მეშინოდეს?! მე ხომ აქ დავიბადე, გავიზარდე. ჩემს სიყმაწვილეში იცი რა სუფთა მდინარე იყო?! ქალაქი აბინძურებს, სიცოცხლეს უსპობს. წინათ აქ ვბანაობდით.. ახლა ფეხსაც ვერ ჩადგამ.

— მე არასდროს მიცხოვრია დიდი მდინარის პირას. ჩვენს სოფელში პატარა ღელე მოედინება.

— ჩვენ პატარა მდინარეებისა და პატარა ღელეების პირას გაზრდილი ადამიანები ვართ ხომ? კარგია. ნახე, წინათ აქ კენჭები მოჩანდა... ფერად-ფერადი კენჭები.

ანანო მიხვდა, საუბრობდნენ რაღაც სხვაზე. აქამდე მისთვის ნაკლებად საინტერესო თემაზე, რომელსაც ახლა, ამ წუთებში საოცარი მიმზიდველობა შეეძინა.

— ადამიანი ყველაფერს ეგუება, — განაგრძო ელენემ — უპირველესად საკუთარ ბედნიერებას თუ უბედობას. ადამიანი ოთხკუთხედში რომ მოამწყვდიო, უმოძრაოდ, იქაც გაძლებს. მთავარია ოცნება დაუტოვო. როდესმე აქ მოსვლის ოცნება.

მიჩუმდნენ.

— რატომ ქმარი არ შეალვიძე? თავად რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამედევნე? გალვიძება დაგენანა? — მოხედა ანანოს.

— არა.

— მაშ?

— მეგონა, ჩემი სიახლოვე გერჩიათ.

მოხუცი შებორძიკდა.

— მე არავის შეცოდება არ მჭირდება.

— მე არ გიცოდებთ, მე უბრალოდ თქვენს გვერდით ყოფნა მინდა.

— როგორ?

— როგორც ახლა ვართ... — ჩაეკრა.

— გვიანაა, — გაიცინა.

— რაა გვიან?

— ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილია...

— როგორ?

არ უპასუხა.

ანანო კიდევ უფრო მიეკრა მოხუცის კაფანდარა სხეულს. თავდაპირველად თუ ოდნავ შეებრძოლა იგი, ახლა საბოლოოდ დანებდა. ასე წყვილად გაიარეს ეზო, ამოუყვნენ კიბეს. ოთახამდე მიაღწიეს.

ბავშვივით მორჩილად ჩაწვა საწოლში, ანანომ მოხერხებულად ამოუკეცა საბანი, ჩაათბუნა. წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით სიცივისაგან გათოშილი სხეული თბილ ქვეშაგებთან ერთად ახალგაზრდის მზრუნველობამ, მალიმალ მოხედვამ და ყურისგდებამ არამარტო გაათბო და ჩააწყნარა, სიმყუდროვის ნეტარებას აზიარა.

* * *

მზით გამთბარ, ერთიანად ჩამტკბარ სივრცეში, ქალაქიდან შემოღწეულ შორეულ ქროლვასა და ჩქამს, წითელჯვრიანი, თეთრად მოზიმზიმე მანქანა გამოეყო. ხიდზე გადმოიქროლა და ჭიშკარს მოასკდა. განგაშით, ხმაურით, ძახილით მოიწევდა. უკვე ეზოში შემოვიდა.

კიბეს თეთრხალათიანი ადამიანთა ჯგუფი მოჰყვებოდა. იმგვარი თავდაჯერება, რწმენა აღბეჭდიათ სახეზე, ძნელი იყო მათთან შეპირისპირება. საოცრად ლამაზი, დახვეწილნაკვთებიანი ტანკენარი ქალი მოუძღოდა. სწორედ ის, დალის რომ ახლდა ერთხელ.

— გამარჯობა, გენაცვალე! — მიესალმა ანანოს.

— გამარჯობა.

— როგორ არის? — კარისკენ გაიხედა.

პასუხს არ დაელოდა, ჯიქურ შეაღო კარი. ანანოც თან შეჰყვა.

— გამარჯობა, დეიდა ელენე! მიცანი?

ელენე უხმოდ უმზერდა. მის უტყვ სახეზე არავითარი განცდა არ აღბეჭდილიყო, არც სიხარულის, არც წყენის, იგი საერთოდ ვერ ამჩნევდა, თეთრხალათიანთა ჯგუფს. დუმილშიხჯილი ჩანდა.

— გაგსინჯოთ მინდა... — საწოლზე ჩამოუჯდა ექიმი.

— ვინ გამოგგზავნათ? — დახშული ხმით იკითხა ანანომ.

— ვის უნდა გამოვეგზავნე? ეს ჩემი მოვალეობაა... თუ აუცილებელი იქნება საავადმყოფოში გადაგიყვანთ.

— „ვიცი მე თქვენი საავადმყოფო..." — გაიფიქრა ანანომ.

— საბანი გადაუწიეთ, ფილტვებს უნდა მოვუსმინო...

ანანომ იგრძნო, მცირედი მიახლოებითაც კი გაანაწყენებდა მოხუცს.

— თქვენი ასაკის ადამიანები ხშირ შემოწმებას საჭიროებენ, თქვენ კი უარყოფთ, რატომ?

ავადმყოფი მძიმედ სუნთქავდა. ბატისტის პერანგის სახელოები აჩაჩვოდა, გამხდარი, ერთიანად დაძარღვული მკლავები საბანზე ისე დაეწყო, თითქოს მოძალადეებთან შებმას აპირებდა.

ასეთი ელენე არასდროს ენახა ანანოს. არადა, გარკვევით ისმოდა მისი მძიმე სუნთქვა, ხრიალი, როდის გაცივდა? მდინარესთან ხეტიალისას? ავადმყოფურად მბზინავი თვალები აკრთობდა მნახველს...

— მაშასადამე, უარსა ხართ? არც წნევა გინდათ გაგისინჯოთ? — ჩაეკითხა ექიმი.

— გთხოვთ, ნუ აწუხებთ... — წყენა გაერია ანანოს ხმაში.

ექიმმა გაოცებით მოხედა. იგი თითქოს ეკითხებოდა: „თქვენ რას ერევით". თავმომწონე, ეშხიანი სტუმარი, ცოდნა-გამოცდილებაზე მეტად საკუთარი გარეგნობის დემონსტრირებას ახდენდა, მოღერებული ყელი... ნაქანდაკევი მუხლები.

ანანო ვერ მიმხვდარიყო მოხუცის განაწყენების მიზეზს, ვის გაურბოდა, ექიმებს? დაავადების დასახელებას, მკურნალობის წესებს თუ თეთრხალათიანთა უდარდელ მზერას; ეგებ ყველაფერს ერთად.

არადა, როგორც მოვიდა, ისე წავიდა მანქანა.

ანანოს მოეჩვენა, მოხუცს არათუ ეშინოდა სიკვდილის, პირიქით, ყველაზე მეტად აწუხებდა, რომ ცოტა ხნით კიდევ უნდა ეცოცხლა.

ასეთ დროს მასთან სიახლოვე კი არ ჭირდა, პირიქით უცნაურ გარდასახვას იწყებდა, თითქოს ერთი ადამიანის სული, მთელი მისი არსება, შეუმჩნეველი სიახლოვით უახლოვდებოდა და უერთდებოდა მეორეს...

* * *

ვინ იყო ეს ქალი და რატომ კვდებოდა ასე მიუსაფარი და მარტოხული, რად არ აღმოჩნდა მის გვერდით თუნდაც ერთი ახლობელი ადამიანი, რატომ დატოვეს ასე მარტო? რატომ გაწირეს, შეელიენ...

მოხუცი ჯერ სუსტად სუნთქავდა, მერე თანდათან უმატა, უფრო მძლავრად, ამოოხვრით.

ანანოს ვერ გაერკვია რა ხდებოდა...

— დეიდა ელენე! — ჩასძახოდა.

არავითარი ყურადღება.

ანანომ იგრძნო მის თითებში როგორ შეკრთა მოხუცის შეშუპებული ხელი. შეკრთა და დაიძაბა.

— დეიდა ელენე!

ავადმყოფმა უხეშად გამოგლიჯა ხელი, თითქოს მისმა ძახილმა ძილთან ერთად რაღაც საამო ზმანება დაუფრთხო. ოდნავ, შეუმჩნევლად უტოკავდა წარბი. სახეზე წყენა თუ ლიმილი თანმიმდევრულად მონაცვლეობდა, ჩანდა წარსულის ზოგიერთი წუთები, განსაკუთრებით ბედნიერი წუთები, მკაფიოდ აღდგა მის წარმოდგენაში...

ცოტაც და, ყველაფერი დამთავრდებოდა.

ხშირი სუნთქვა ერთბაშად შენელდა. თვალი გაახილა. მისი მზერა უფრო შეკითხვას გამოხატავდა...

ყველაზე მეტად ანანო ამ მზერამ შეაცბუნა. მიხვდა, რომ დასასრული მოახლოვდა. რა ქნას ახლა, როგორ მოიქცეს?

არ გაუგია რამდენ ხანს იდგა შუა ოთახში, უაზროდ. მხოლოდ ქიშკრის რაწკუნმა თუ მოახლოებულმა ნაბიჯებმა მოიყვანა გონს.

— ომ! ეს თქვენა ხართ? — იკითხა ვილაცამ და ანანოც მოწყდა ადგილს. უგონოდ ჩაიკეცა. მერე არ ახსოვს, არაფერი არ ახსოვს...

* * *

კუთხეში სანთელი ენთო. ალი ალაგ-ალაგ აპარპალდებოდა, აიწევდა, კვლავ ჩაიწევდა, რომელიღაც კუთხიდან ქარი უბერავდა; მიცვალებულისკენ არ გაუხედავს ანანოს, უხმაუროდ და მსუბუქად გადადგა ნაბიჯი.

შუა ოთახში ტახტზე გაშოტილი სხეულის დანახვამ, თეთრი ზეწრის ქვეშ გამოსახულმა გამხდარმა, წაწვეტებულმა ნაკვთებმა, იგი არა მარტო აალელვეს, ლამის გათოშეს.

სუნთქვა შეეკრა, ისე სიზუსტით აღიქვა ზეწარქვეშოთ გაშოტილი სხეული, გაშეშებული ფეხები, დაკრეფილი ხელები, რომ გააზრიალა.

სკამები კედლის გასწვრივ ჩამოემწკრივებინათ. სარკეზე ფარდა ჩამოეფარებინათ. ჩამოელოთ სურათები, არწივის ფიტულიც გამქრალიყო. როდის მოხდა ეს? თვითონ სად იყო? ვინ შეცვალა აქაურობა?

მიხვედრა უჭირდა.

სულ მალე აბეზარი ხალხის მისვლა-მოსვლა განდევნიდა მას ამ ოთახიდან... უნდა ეჩქარა! როგორმე თავი უნდა დაეღწია აქაურობისათვის.

ქმარი მოიძია. თენგო. ამდენხანს ფეხებში ედებოდა, აქვე ტრიალებდა, ახლა გაქრა. ალბათ უფროსს ემსახურება, მის ყოველ სურვილს ასრულებს.

კიდევ ერთხელ მოხედა ნახევრად დაცარიელებულ ოთახს.

წამით მოეჩვენა, რასაც თვითონ ფიქრობდა, იგივე ფიქრი გადასდებოდათ [illegible] ხელში მოფუსფუსე ადამიანებს... ახლადგარდაცვლილი მოხუცი ქალი გათიშულ ადამიანებს თითქოს ერთმანეთს აკავშირებდა. ეს დასაჯერებელიც იყო და დაუჯერებელიც.

ამიტომ მოხედა ასე გაოცებით ოთახში შემოსულ ქმარს. თვალები ნამტირალევი ბავშვივით დასწითლებოდა თენგოს. მწუხარე და სევდიანი ჩანდა. ზოლიან ფარდაგზე გარდიგარდმო დგამდა ფეხებს...

— მოვიტანე... — ყრუ ხმით. ჩაილაპარაკა.

— რა? — უაზროდ იკითხა ანანომ.

— ყინული... სად დავაწყო? — მიმართა ვილაცას.

— რამდენიმე აქ შემოიტანე, დანარჩენი სარდაფში დააწყვე, ნახერხი ხომ არ დაგვიწყნია? — ეს გურამი იყო. ნეტავ როდის შემოვიდა... ცოლიც გვერდით ედგა...

ანანო კვლავ ქმარს უთვალთვალებდა. მის ყოველ ნაბიჯს, მოხრილ ბეჭებს, ყინულისაგან დაწითლებულ თითებს... ჯერ ერთი ლოდი შემოათრია, მერე მეორე... არავის მისი წახმარება არ უფიქრია, უჭირდა თუ არ უჭირდა არავინ ყურადღებას არ აქცევდა.

— კუბო მოიტანეს? — იკითხა გურამმა.

— კი.

— მუხისაა?

— დიახ. სანთელში...

— ფული მიეცი?

— არ აიღეს.

— როგორ შეიძლება! — განაწყენდა დალი. — ეს ვერაფერი პატივისცემაა... ასეთ რამეში ფული უეჭველად უნდა გადავიხადოთ.

— ხელოსანს დავუტოვე...

— კარგი გიქნია...

მათი საუბრის მოსმენა არ სურდა ანანოს, თენგოსკენ დაიძრა.

— მოგეხმარები... — უჩურჩულა. თითები შემოაჭდო ყინულის ლოდს, სველს, სლიპინას, უსიამოს და ძნელად გასათრევს.

— არ გინდა, მძიმეა... — ჩაესმა ქმრის ხმა.

მაინც არ გაუშვა ხელი, ერთად დაიძრნენ.

— ნუ ასწევ... მძიმეა... გაუშვი ხელი... — განაწყენდა თენგო.

ანანოს გული შეეკუმშა, ტირილი მოუნდა. ხელი მაინც არ გაუშვა, ტაატით დაიძრნენ.

მთელი ამ გაწევა-გამოწევის წუთებში, გატანასა და ვერ გატანას შორის, კვლავ განუახლდა ის განცდა, რომ ამ შავგვრემან, ცბვირკეხიან გამხდარ ბიჭთან ერთად დაობლდა ანანო. მოუკვდათ ახლობელი. ძალზე ძვირფასი ადამიანი... ახლა თმენითა და ტკივილით ბოლო საგალობელს უგალობენ მას, ბოლო წუთებს ულამაზებენ.

* * *

მწუხარებასთან გათეული ღამე უფრო შესაგუებელი გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კულისებში მოწრიალე მსახიობები ეგუებიან მაყურებელთა ფეხის ხმას, კაბების შრიალს, ჩურჩულს, ძახილს თუ გადაძახილს, სცენაზე გასასვლელად ემზადებიან, ასე ემზადებიან ისინიც... ხვალისთვის. პანაშვიდზე მოსულ ხალხს თავიანთ როლებში უნდა დახვედროდა. მხოლოდ თენგო და ანანო არ მიიღებდნენ ამ რიტუალში მონაწილეობას, ისინი სადმე კუთხეში მიიმალებიან, ნაკლებ იწრიალებენ( ნაკლებად გაამჟღავნებენ თავიანთ არსებობას, რომ ქუჩის მაწანწალა ძაღლივით პანღური მაინც არ მიიღონ. სწორედ ამ პანღურს უნდა დამალოდნენ ისინი. თუმცა ამგვარ საჩუქარს ისედაც მოელიან, რადგან არცერთი კეთილი საქმე — სიკეთით არ დაგვირგვინებულა, ამქვეყნად, სიკეთეს მუდამჟამს ბოროტებით იხდიან.

რა ხანია ყინულის მძიმე ლოდების თრევა მოთავდეს. არც სარდაფში მოსცილებია ანანო ქმარს, მის გვერდით ყოფნა და ტირილი არ მოიშალა. იმასაც მიხვდა, ქმრის მალიმალ მოძიება ერთი მოგუნებებით არ მომხდარა, იგი რაღაც წუთმა მოიტანა, აუცილებელმა და ძნელადშესაცნობმა წუთმა. ორთავე, ერთმანეთის პირისპირ დააყენა და საკუთარი თავი ხელახლა აღმოაჩენინა. ამის მიზეზი ელენეს გარდაცვალება იყო.

მარტოხელა მოხუცის უცნაურმა სიკვდილმა არა მარტო შესძრა ახალგაზრდა ქალი, არამედ ერთ გარდუვალ ჭეშმარიტებას აზიარა. ადამიანები მაშინ არიან ძლიერები, როცა გვერდიგვერდ დგანან, ერთი თუ წაიქცევა, მეორე წამოაყენებს. მაგრამ ვაი, მარტოხელას, წამომყენებელი თუ არავინ ეყოლება. ეს ელენეს ბოლო სიტყვებია, ბიბლიაში ამოკითხული სიბრძნე. ამით გაფრთხილების, შეცნობისა და მიგნების ბოლო გაკვეთილს უტარებდა ანანოს.

მხოლოდ მოგვიანებით, მოსასვენებლად თუ ჩასამუხლად რომ მოიცალეს, საკუთარ თავს ჩაეძია ანანო. მთელი ამ დღეების განმავლობაში, უსიამოდ გაწელილ წუთების უსასრულობაში, იმიტომ გაიტანჯა თავი, ტკიპასავით აეკრა ქმარს, რომ... „ის" არ ენახა... პირისპირ არ შეხვედროდა. მის თვალებს არ შეფეთებოდა. ყველაზე აუტანელი მაინც მისი დამორჩილებული მზერა იყო, ლაღი კაცის ძირს დაშვება, ფრთებშეკვეცილი შევარდენის დაცემა. რა დაემართა?

კითხვა თითქოს ჰაერში ეკიდა. ხმიანობდა. არადა გრძნობდა, სადაც კი წავიდა, ყველგან მისმა თვალებმა მოძებნეს. ქვემოთ სარდაფში, ქმართან ერთად ყინულის ლოდებს ნახერხს რომ აყრიდა, მაშინაც თავზე ადგა.

— „ბედთან თამაში არ შეიძლება!"

ვინ ამბობს ამას?! ვისი ხმა ჩაესმის?

— „გურამის მსგავს მამაკაცებს თავის განწირვა არ შეუძლიათ. მათ ყველაზე მეტად კომფორტი, თანამდებობა, ლამაზი ცოლი და მხიარული მეგობრები უყვართ".

რატომ ჩაესმის ეს ხმა?

მაშასადამე, ვაჟის მოქუფრული სახე, მწუხარე იერი, დაობლებული ბიჭუნას გამოხედვა მატყუარაა, კაკანათია, ვიღაცეების გასაბმელად გამზადებული. ვინაა ის ვიღაცა?

— „საშინელებაა, როცა შენით ერთობა ვიღაც... გიმსახურებს... გიყენებს. შენც, მომლოდინე მზერით შესცქერი.

როდის იჭრება ადამიანის სულში ამგვარი ეჭვი, დაუნდობლობა როცა არაფერი გჯერა, არ გწამს... რამდენად მეტს ფიქრობდა, მით უფრო უჭირდა ბოლო წუთებთან მიახლოება, საკუთარი თავისთვის განაჩენის გამოტანა. თუ ორჭოფობს, იმიტომ რომ ჯერაც ვერ შელევია თავბრუხვევის საოცარ განცდას. „მას" არა მარტო დამორჩილება შეუძლია, არამედ თავის ნებაზე ტარება, ამიტომ ეძებდა თენგოს...

— თენგო სად არის?

— თენგო ხომ არ გინახავთ?

ეკითხებოდა ყველას, ეძებდა ყველგან...

რამდენი ქალია ამქვეყნად, აიკვიატებს ვინმეს სიყვარულს, მთელ ცხოვრებას მას მიუძღვნის, ყველაფერზე უარს იტყვის. ამოიჩემებს იმ ერთს... თავს მის მონად გამოაცხადებს. და ისე ჩალევს გაუკუღმართებულ წუთისოფელს, ერთხელაც არ შეეცდება მონობის უღლისგან განთავისუფლდეს, ოდნავ მაინც მოითქვას სული. სხვა ვინმე შეამჩნიოს. სხვები აღმოაჩინოს... მისი მპყრობელი კი, ცხოვრობს ლაღად, საკუთარ ოჯახში, საკუთარ ცოლ-შვილთან. სასაცილოა. ნეტავ რისი მაქნისია ამგვარი სიყვარული?! უმწეო, ბრმა პეპელა...

თუ ახლა არ მოერია საკუთარ თავს, თუ ახლა არ შეიცნო ყოველივე, შემდგომ გაძნელდება...

კარი გაიღო. ვიღაც შემოვიდა. ანანოც შეკრთა. უკან მოხედვა ვერ გაბედა. თენგოს უხმობდა და... „ის" შემოვიდა.

თითქოს ხელფეხი შეუბორკეს, გაშეშებულივით შედგა ანანო. ისე გაშტერებით, გამჭვალავად შეაცქერდა ახლადშემოსულს თითქოს ვერ იცნო.

ნაცრისფერ ბინდ-ბუნდში უცნაურად ელავდნენ კაცის თვალები, რომელიღაც ჯიშის ცხენის თვალებს წააგავდნენ, მოგრძო და მეტისმეტად ფართო, წყლიან, თეთრ გარსზე თავისუფლად რომ დაცურავდნენ.

ხელში ნაცრისფერყდიანი რვეული ეჭირა.

ეს რვეული ხშირად უნახავს ელენეს ხელში, არასდროს მისი წაკითხვა არ უფიქრია ანანოს.

— მამიდას დღიურებია... წაიკითხე?

— არა.

— ნახე რა სწერია — „ამქვეყნად ზოგი დასჯით ცხოვრობს, ზოგიც — თვითდასჯით". ხვდები რას ნიშნავს?

ქალმა თვალები დახარა... „ღმერთო! როგორ გინდა წინააღმდეგობა გაუწიო ამ კაცს..."

— მთელი ეს დღეები შენთან შეხვედრა მინდოდა. ახაო? — ჩურჩულით უთხრა.

— ?!

— ყველაფერს გავაკეთებ შენთვის... რასაც მოისურვებ...

პასუხი ვერ მოასწრო ანანომ, კარი გაიღო და ოთახში დალი შემოვიდა.

მათი განმარტოება არაფრად ჩაუგდია.

— გურამ! სასაფლაოდან დაბრუნდნენ. ზუსტად ის ადგილი შეარჩიეს შენ რომ გინდოდა, მშობლების გვერდით...

— აკი არ არიხო...

— გამონახეს.

— როგორ?

— ფულით.

— აულებელი ქვეყანაა... არავითარი კანონი მათზე არ მოქმედებს.

— სასაცილო ხარ! მათ ხომ თავიანთი კანონები აქვთ... გავიდნენ.

ერთხანს უაზროდ იდგა ანანო, ვერ გაერკვია რა უნდოდა ამ ხალხს, რას მოითხოვდნენ. რაზე ემადლიერებოდნენ ან სამომავლოდ რას პირდებოდნენ. ეს კაცი თითქოს რამდენიმე როლს თამაშობდა, ცოლთან ყურადღებიანი ქმარი იყო, მამიდასთან — მზრუნველი ძმისწული, მძღოლთან — მხიარული უფროსი, ანანოსთან...

ერთდროულად რამდენიმე როლი. სად იტყუება? რომელ მათგანს ატყუებს. ეგებ ყველას ერთად.

ძნელია, ყველაზე უსიამო ეჭვების დროს მშვიდი და მომთმენი იყო, ან სანამდე უნდა დრჩეს ამ დაცარიელებულ სახლში, ნამკვდრევ ნივთებთან ერთად, როდის აპირებს იმ აუცილებელი ნაბიჯის გადადგმას?!

კარი გამოაღო.

— თენგო სად არის? — ჰკითხა ვილაცას.

— თენგო ხომ არ იცით სად წავიდა?

პასუხის ნაცვლად ვილაც მკლავებზე ხვევს.

— რა მოგივიდა, ანანო! ვერ მხედავ?

— სად იყავი?

— სად ვიქნებოდი, ათასი საქმეა...

— ჩვენ ახლა აქედან წავალთ.

— როგორ?

— ჩვეულებრივად. ბარგს შევკრავთ და წავალთ.

— მერე გურამი რას იტყვის?

— რა უნდა თქვას?

— არ ეწყინება?

—შენ მის წყენას დარდობ, თუ ჩემსას?

— რა მოგივიდა?

— რა უნდა მომსვლოდა. არ შემიძლია აქ მოცდა. ვერ გაიგე.

— მოხდა რამე?

— რა უნდა მომხდარიყო... მე მივდივარ.

— ავად ხომ არ ხარ?

— შეიძლება.

— ცოტა მოიცადე და... დავასაფლავებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა. სწორედ დასაფლავების [illegible] მოვუცადოთ...

— მაშინ დალამდება და წავიდეთ?

— გაიპარო გინდა?! ამ ოჯახიდან გაპარვა არ შეიძლება. აქედან აშკარად უნდა წახვიდე.

— შენ ავად ხარ!

— კი. ავად ვარ.

— ანანო!

თენგო გაოცებით შესჩერებოდა ცოლს.

შეეცადა დაემშვიდებია, მხრებზე ხელი მოხვია. არ მიიკარა ქალმა.

— თენგო! იცოდე მე არ მოვიცდი.

— კარგი, მოემზადე...

* * *

ნელ-ნელა ჩამოუყვა კიბეს. ეზოში, რამდენიმე კაცი გრძელ სკამს აჭედებდა. მეზობლის ქალები ბრინჯს არჩევდნენ.

ამდენი ხალხი ამ სახლში არასდროს უნახავს. სიძველისაგან ჩაშავებულ ეზო-კარს ახალ ელფერს აძლევდნენ, ლებავდნენ, ჭედავდნენ. ამდენხანს რად არ ეკარებოდნენ აქაურობას. ვის რას უშავებდა ელენე, მთელი ცხოვრება სიმარტოვესთან ბრძოლაში რომ გაატარა. რად განუდგნენ, რად შეატოვეს მდუმარე კედლებს. ახლა რაღა დროსია ამდენი მიეთმოეთი, ჩაქუჩის ცემა, ხერხის ღრჭიალი, გადაძახილი. ყოველივე ეს, უფრო ადრე, თუნდაც ორიოდე კვირის წინ რომ მომხდარიყო, გაახარებდა, გაართობდა ბერიქალს. ეულად არ იგრძნობდა თავს.

კიბეს ჩამოჰყვა; ეზოში გამოვიდა; საოცარია ამ ახმაურებულ ეზო-კარში არავის მისი ნაბიჯები არ ესმის, არც შეუმჩნევია, არც დაინტერესებულა. ყველაზე მეტად ვისიც ეშინოდა, სწორედ ის არ ჩანს. მუხლები თუ უკანკალებს, ისიც იმის შიშით, თავზე არ წამოადგეს, მოულოდნელად არ შეეხმიანოს.

კიდევ ერთხელ მოხედა სახლს. უცხო ეჩვენა. ბებერ ქალბატონს ჰგავდა, ფერუმარილით გათითხნილს, ჭრელ-ჭრულით შემოსილს. „ნეტავ რამ მოაფიქრათ სახლის გადალებვა, განა სიძველის ფერი არ სჯობდა; გახუნებული, მტვერდადებული. ეს დალის სურვილია.

მეტი აღარ მიუხედავს.

ჭიშკართან, ცხვირით მოყენებული მანქანის ახდილ საბარგულში თავჩამხობილი თენგო მოჩანს.

— თენგო!

— ჰო...

მისმა თვალებმა მიახვედრეს ანანო, იგი ცოლის თანაგრძნობას არ აპირებდა. თუ აყოვნებდა, იმიტომ, რომ დროებით ქალის თვალებს მიმალვოდა, რათა დამშვიდებულიყო, აკვიატებული აზრი გონებიდან ამოეგდო.

— მივდივართ? — ეკითხება ქმარს.

— რა გჭირს, გოგო? გამაგებინე!

— ხომ გითხარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე სად მიდიხარ?

— ამოდენა ქალაქში ბინის შოვნა არ შეიძლება?

— შეიძლება, როგორ არა... მაგრამ უხერხულია...

— ერთ წუთსაც არ მოვიცდი!

— კარგი, დაჯექი, ცოტას გაგატარებ-გამოგატარებ.

— არ მინდა გატარება-გამოტარება...

— რატომ? რა მიზეზით გარბიხარ. ხალხს უყვარხარ, შენს მზეს ფიცულობენ...

— მზეს არა... აქ, არავის არავინ არ უყვარს...

— თუ არა და... ერთი მაგათი... — შეიგინა—ცოტა მოგეთმინა გურამის განაწყენება არ მინდა. ტრესტში ახალი „ფიატები" მოვიდა, ერთი მე მეკუთვნის...

—თუ გეკუთვნის მოგცემენ...

— არ იცი, როგორ ნაწილდება?!

— მანქანა გირჩევნია თუ...

ერთხანს უაზროდ იდგა ვაჟი. მერე ჩაჯდა და აამუშავა.

ყრუდ და გაუსაძლისად გუგუნებდა მანქანა.

— ჩაჯექი! ნუ მალოდინებ!

კარი გამოაღ კუთხეში მიიკრუნჩხა.

ერთი ხმამაღლა ამოიქშინა მანქანამ და დაიძრა.

— თენგო! თენგო! — მოისმა ძახილი. — სად მიდიხარ?

შედგა მანქანა.

მანქანის კარი გაიღო. ვილაც შემოჯდა. სუნამოს სურნელმა, შრიალა კაბის შარიშურმა, მაღალქუსლიანმა ლაქის ფეხსაცმელმა თუ ქალის მოქნილმა სხეულმა ლამის ამოავსო იქაურობა.

დაპატარავდა ანანო, მიილია და მიეკრა კედელს.

ერთხანს ხელჩანთას ჩხრეკდა დალი, სარკეში საკუთარ თავს უმზერდა, ოქროსფრად შეღებილ თმაზე თითები გადაისვა.

— უპირველესად პარიკმახერთან წავიდეთ, ფრჩხილებიც უნდა გავიკეთო. ზიზილალა და ზუთხი მოხატანია. გურამის სახელი ახსენე და მოგცემენ. ზეთისხილი არ დაგავიწყდეს... მხოლოდ შავი... გასაგებია?!

ქალი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, ავალებდა, თენგოც მორჩილად უქნევდა თავს. მხოლოდ ანანო გრძნობდა თავს შებოჭილად, მთელ ამ გართი-გამორთში, საქმიან საუბარში არ ერეოდა.

მანქანა მიქროდა.

წამით, სარკეში ვილაცის თვალები დალანდა ანანომ. ჯიქურ შესცქეროდა, თითქოს იმ წუთს ჩასაფრებოდა, როდის მოიცლიდა ანანო, მზერას მიაპყრობდა. ფართო, თაფლისფერი თვალები... თენგოს თვალები იცნო. საოცრად გაუხარდა. ქმარი მას უთვალთვალებდა. რაკი მზერა დაიჭირა, გაუღიმა კიდეც. თვალი ჩაუკრა. ანანომ შვება იგრძნო, დაძაბულობა მოეხსნა.

ვაჟი რაღაცას ეკითხებოდა. წყრომამ გადაგიარაო?!

თენგოს შემოხედვამ გამოაცოცხლა ანანო, ქუჩის პირას ჩამორიგებულ სახლებს გახედა, ფერად ზუზაბანდებს, ვაზით გადაბურულ აივნებს. „გასტრონომი", „კაფე", იუწყებოდა წარწერა.

— სად ჩამოდიხარ? — ცხვირაწევით ეკითხება დალი.

ანანო დაიძაბა, რა ეპასუხა არ იცოდა.

ქმარი, მალიმალ მოხედვით და თვალისჩაკვრით უბრალო გასეირნებად მიიჩნევდა მის წამოსვლას. ერთფეროვნება, ჩაკეტილობა და მწუხარება უეჭველად მობეზრდება ადამიანს. გავლა-გამოვლას, ხულის მოთქმას მოისურვებს, ბოდა, მანქანაში ჯდომაც ამგვარად ჩაეთვლება ანანოს. გაივლის, გამოივლის და დაბრუნდებაო, ფიქრობდა ვაჟი. სინამდვილეში? ის მცირე ჩანთა ფეხებთან რომ უდევს და ასე გულდაგულ მალავს, მისი ბარგია, გაქცევის დროს საგულდაგულოდ შერჩეული. სად აპირებს წასვლას? ვის სურს რომ შეეფაროს. მტრედისსაბუდარისოდენა ბინას მიაკითხოს? უწყინარი მეპატრონე იპოვოს? იგი არც შეფარებაზე ეტყვის უარს და არც იმას გამოიძევს, შინიდან რად გამოიქცა, მისი ყალიბის ადამიანებს დიდად არაფერი აოცებთ, თავადვე დაასკვნის: ალბათ, ასე იყო საჭირო... მაგრამ იქ, ვიწრო ჩიხში დაბრუნება თავად არ ენადა ანანოს. სილარიბიდან, არქონებიდან გამოსული ოჯახის წევრი სიმდიდრეში, ლაღ ცხოვრებაში რომ აღმოჩნდება, მის გემოს გაიგებს, მერე რაც არ უნდა გაუჭირდეს, არსებობა გაუძნელდეს, უკან დაბრუნებას არ ისურვებს. რადგან პირველსაწყისთან მიბრუნება ისე დამამცირებელია, როგორც ოდინდელი ცოდვის ხელახლა შეხსენება. რაც უფრო მალე დაივიწყებ, უფრო მშვიდად იქნები. მაშასადამე, ძველ ბინაში არ მიდის, მაშ სად?

კიდევ ერთ შენობას ჩაუქროლეს, მწვანეში ჩაფლული ნათელფანჯრებიანი შენობა... იცნო. მისი სიყმაწვილის ოცნება! ფარმაცევტული სასწავლებელი. სამი გამოცდა ჩააბარა, სამი ოთხიანი მიიღო, ჩარიცხვით კი... იქეთ გახედვა არ უნდოდა. აქ, მეორე თუ მესამე სართულის ბოლო ოთახში, ფართო ჩარჩოიან კარადებში სამკურნალო მცენარეებია გამოფენილი. მაშინ, ანანოსთან ერთად რამდენი ვინმე შესჩერებოდა დამჭკნარ, ფერშეცვლილ მცენარეებს, მხოლოდ ის ერთი ცნობდა მათ, ზუსტ სახელებს ასახელებდა: ცერცველა, ძაღლყურძენა, ყოჩივარდა, კატაბალახა... დესპინე გელოვანის სიმდიდრე, მისი ნაანდერძევი, ანანომ ისეთი მცენარეებიც იცნო, ჩუმ მონატრებად რომ შერჩენოდა მის სიყმაწვილეს... ფითრი, რწყავი, კუნელი, თრიმლი, ქაცვი, კოწახური, ჭინჭარი, სიმინდის ფოჩი, ჭვავის რქა, თირკმლის ჩაი... ყველა ამათ, სამკურნალოდ ხმარო-

ლეილა მეხი
ეროვნული

ბდა დუსპინე... საოცარია! რამ გაახსენა. მათ ოჯახში ძველისძველი კარაბადინიც ინახებოდა. საექიმო წიგნი... სად წავიდა, ვინ წაიღო ის წიგნი, მოხუცის გარდაცვალების შემდეგ გაქრა, მოიპარეს. მთვარის ქვაც დაიკარგა. რატომ? ულირსი მემკვიდრეები დარჩა დუსპინეს? ვერ მოუარეს? ვერ უპატრონეს? ძველის შეხსენება არა მარტო მივიწყებულ სახეებს აცოცხლებდა, მცენარეთა სურნელი, მათი გემოც მოქონდა...

გამოერკვა.

გვერდში მჯდომი შეუსვენებლად ლაპარაკობდა. გაზედა. თვალის უპეებთან ნაოჭები მოძალებოდა... დაუნდობელია ასაკი, ვერავითარი ნელსაცხებელი ვერ ფარავს...

— დილის ექვს საათზე მღვდელი უნდა მოვიყვანოთ, — თქვა დალიმ.

— რატომ?

— წესი უნდა ავუგოთ, ისე ვერ დავასაფლავებთ.

— მორწმუნე იყო? — გაიოცა თენგომ.

— სიკვდილის მოახლოებისას ყველა მორწმუნე ხდება.

თანდათან გონს მოვიდა ანანო. შეინძრა, ჩაახველა.

— გამოიღვიძე? — მოხედა დალიმ.

— არ მეძინა...

— რა ვიცი, მე მეგონა თვლემდი... შენთან ერთი საქმე მაქვს.

— რა?

— გუშინ მაგიდის გადასაფარებლები მოიტანეს. არც ერთი მათგანი არ მომეწონა. ხელახლა გასარეცხია... როგორც კი დაბრუნდები, ყველა გამოხარშე. მათეთრებელი და სახამებელი არ დააკლო. ისე უნდა გააუთოვო, რომ ნაკეცში ტყდებოდეს...

ანანო სდუმდა.

ქმრის თვალები ველარ დაინახა სარკეში.

— „მინამოსამსახურე..." — გაუელვა. „...მეეტლე და მინამოსამსახურე".. რა ეშველებათ?! ზოგი ადამიანი ისე ურცხვია, ერთხელ თუ დაუხარე თავი, მორჩა! გაგთელავს, როდიდან გახდა ეს ქალი მისი მბრძანებელი?!

სულის მოთქმა გაუძნელდა.

— გააჩერე! — ბრძანა. თავისი ხმა თვითონვე ვერ იცნო. სიმკაცრე და მოუთმენლობა ჭარბობდა შიგ.

მანქანა შედგა. სადღაც, უადგილო ადგილას, ნაკლებად ხალხმრავალ ქუჩაში, სტადიონსა და სავარჯიშო მოედნებს შორის, მტკვრის მარცხენა ნაპირას გადმოვიდა.

— სად მიხვალ? — ჩაესმა ქმრის ხმა — ანანო! არ გესმის?

ხელი აუქნია, მომეშვით — ანიშნა.

ერთხანს უაზროდ განაგრძო გზა. ლამის გარბოდა. უკან მოუხედავად, მუხლჩაუსვენებლად. რალაცაზე და ვილაცაზე განაწყენებით, მიიწევდა წინ. საკუთარ ბედით თუ უბედობით შემწყრალს, ერთბაშად რომ [illegible] ბა სულში წყენა და ლიბზი, მოუთმენელს გაგბდის, ამგვარი მოუთმენლობით მიჰყვებოდა ქუჩას, გზისპირას ჩამორიგებულ ელექტრონის ბოძებს.

გარბოდა მაგრამ... სად? ვისთან? რატომ?

კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეეძლო. ისინი მტრედის ხუნდებივით ასხდნენ მხრებზე, აფრენას არ აპირებდნენ.

ოღონდ ეგ იყო, გაქცევის ნაცვლად რამდენად შედგა და შეყოვნდა, იმდენად გაუძლიერდა შიში, მღელვარება, არა მიტოვებული მანქანის ან ქმრის, არამედ სხვა, უფრო შეუცნობის... უფრო სასიხარულოს და თან შემაშფოთებლის... რა იყო ეს? ყრუ გაჩაჩუნება?! უმნიშვნელო ტოკვა... შერხევა. ეგებ მოეჩვენა. ბავშვის სულის ჩადგმა ნუთუ ამგვარად ხდება. პირველი შერხევა... ცოცხალ არსებად ქმნა?! შვილის პირველი რხევა... ეგებ მოეჩვენა?! პირშექცეული, გატრუნული და თვალმინაბული კედელს მიეყრდნო, ორთავე ხელი მუცელზე შემოიჭდო. მიაყურადა. თვეები ჩამოთვალა, ერთმანეთის მიმდევრობით ჩამორიგებული ოთხი თვე... ნუთუ სინამდვილე იყო?!

ნელ-ნელა შემობრუნდა.

როგორც იქნა, ნაცრისფერ, ყრუ კედელს თავი დააღწია, სულიერ შფოთვას, საოცარი სიმშვიდე მოჰყვა. ამას დაემატა პირდაპირ შემოფეთებული, თითო-ოროლა მგზავრის გაოცებული სახე. ისინი ანანოს გაოცებით, თან ოდნავი შეწყალებით უმზერდნენ. ამას დაემატა, მეორე სიახლეც — ვილაც მაღალმა, აწოწილმა კაცმა ქუჩა გადმოჭრა. თეთრი ხალათი შეეხსნა. მორბოდა. მზე სახეში აშუქებდა, მოქნილი, მჩატე ნაბიჯებით მოიწევდა. ღმერთო! თენგო...

მხრებში გამართული, ლაღი. ალარც გასაღებების აცმა უჩანს ხელში.

როგორც იქნა მოაღწია, განაწყენებული ჩანდა.

— ასე უცებ საიდან გაჩნდი? — გაიხარა ქალმა.

— შენთან წამოვედი.

— მანქანა?

— დავტოვე...

— სად?

— მანქანაში. გავალე და გადმოვედი. გასაღებები ფეხებში ვესროლე...

— ვის?

— მორჩა! დამთავრდა ამდენი ბატონობა.

— რა სახაცილო ხარ, თენგო?

— სახაცილო აქამდე ვიყავი.

— მე მეგონა...

— რა?

— ვერ დათმობდი.

დავამთავრე მათი მოვლა-პატრონობა, ახლა იმ კაცივით...

თეთრმაისურიანი, ფეხშიშველა კაცი რეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის მილით სტადიონზე მოხახხახე ბალახს რწყავდა — მოვრწყავ ხეებს, ყვავილებს. ვერ წარმოიდგენ როგორ მენატრება სველ ბალახში ფეხშიშველა სიარული. არ შეიძლება ეს ნატვრა აისრულოს კაცმა?!

— შეიძლება, როგორ არ შეიძლება! — გაიხარა ანანომ.

და ერთბაშად, როგორც მკერდზე მომხვდარი ტალღა შეგეხლება და შეგატორტმანებს, უეცრად მოვარდნილმა სიცილის ტალღამ შესძრა ანანო. რა იყო ეს? ღამის საკუთარი თვალით იხილა, იქ შუა გზაზე, უთვალავ მიმქროლავ მანქანებს შორის, უპატრონოდ მიტოვებული „ვოლგა“. სათაგურში გამომწყვდეულ წრუწუნასავით ფანჯრებს აწყდება ლამაზი ქალი, კაპასობს, ანჩხლობს. მძღოლს ეძახის... მძღოლი კი არ ჩანს... საყვირის ხმა, განგაში, შემოხვეული მანქანები, მძღოლები, მილიციელები, მგზავრები...

— თენგო! ეს რა ჩაიდინე! — ანცი, მოუსვენარი სხივი აციმციმდა ანანოს თვალებში.

— „როგორ გაიხარებდა ქალბატონი ელენე, ეს სცენა რომ ეხილა...“ — გაუელვა წამით.

გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ.

— სანამ შენამდე მოვაღწევდი, ჩემი დამემართა... — ჩაილაპარაკა თენგომ.

— რატომ?

— მეგონა ვერ გიპოვიდი...

ანანომ მოხედა, კარგა ხანს უმზირა. მოეჩვენა, რომ მთელი ეს თვეები, მასთან ცხოვრების მთელი ხანა, არ იცნობდა ქმარს, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა მასზე, რა უხაროდა და რა წყინდა, რით სულდგმულობდა. სრულიად უცხო, გარეშე კაცი იყო, ხოლო ახლა... თმენით ალვსილ მის მზერას ძნელად შესამჩნევი მამაკაცური ეშხი და მიმზიდველობა ახლდა, ყოველი მისი გამოხედვა, მოქმედება, გვერდით დგომა თუ თანადგომა, იმაზე მეტს ამბობდა, რისი თქმაც საჭირო იყო.

— „ყველაფერი იცის...“ — გაუელვა ქალს.

ამ ალმოჩენამ გააოცა ანანო, ერთხანს უხმოდ შესცქეროდა ვაჟს, თითქოს რასაც ის ამბობდა ან მოქმედებდა, არ ხჯეროდა. მერე თანდათან გაუთბა მზერა. დაცინვის ნაპერწკალიც გაუქრა თვალებში. მადლიერებით მოხედა და მის ნაბიჯებს ფეხი რომ აუწყო, მიხვდა, აწი, ამის შემდგომ, იმ გზით კი არ უნდა ევლოთ, რომლითაც ყველა დადიოდა, არამედ იმ გზით, რომლითაც სიარული მართებდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბარამიძე

# აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიური ნაფიქრ-ნააზრევი

ძველი ქართული მწერლობისადმი ინტერესი აკაკი წერეთელს ადრე გაეღვიძა. მისი სიტყვით, მაგალითად, ვეფხისტყაოსანი სწორედ ყრმობისას წაუკითხავს თავიდან ბოლომდე, „და თუმცა ზღაპრული მზრის მეტი არ გამიგია რა, მაგრამ მაინც გატაცებული ვიყავიო", წერს (ჩემი თავგადასავალი). უმაღლესი განათლება აკაკიმ მიიღო პეტერბურგში, 1859-1862 წლებში. იგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი. ქართულ მწერლობას მაშინ უნივერსიტეტში ასწავლიდა დავით ჩუბინაშვილი (1814-1891). სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოუმზადებია აკაკი წერეთელს სადიპლომო ნაშრომი (თვითონ აკაკი მას უწოდებს „საკანდიდატო დისერტაციას").

«Несколько слов в пользу оригинальности «Барсовой кожи». ამ ნაშრომის ავტორეფერატი მოიძიეს და შესაფერისი შენიშვნებით გამოაქვეყნეს ანდრო აბრამიშვილმა და ალექსანდრე ღლონტმა („მნათობი", 1957, № 10, გვ. 162—172; ორიგინალის ტექსტს ახლავს მისი ქართული თარგმანიც). აკაკის სადიპლომო ნაშრომი, რასაკვირველია, ძირითადად აშუქებს იმ პრობლემას, რაც მისი სათაურითვეა ნაგულისხმევი. ესაა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემა. მაგრამ დიპლომანტი არ იზღუდება მარტოოდენ აღნიშნული პრობლემით და იხილავს რუსთველის პოემის არაერთ სხვა საკითხს. ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თაობაზე აკაკი წერეთელი არსებითად იზიარებს, ავითარებს და ერთგვარად ამდიდრებს კიდევაც საძიებელ საკითხზე თავისი მასწავლებლის, დავით ჩუბინაშვილის, შეხედულებას. აკაკის დაკვირვებითაც ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი სავსებით ორიგინალურია და ალეგორიული ფორმით ასახავს საქართველოს ნამდვილი ისტორიული ცხოვრების ამბავს. არაბეთისა და ინდოეთის მომიზეზებით პოემის ავტორმა გამოხატაო „იმდროინდელი საქართველოს შვიდი სამეფო და ხუთი სამთავრო", თავისი ამოსავალი დებულების გასამყარებლად აკაკი წერეთელი იყენებს პოემის პერსონაჟთა ხასიათების ეროვნულ-ქართული თვისებების ძიების საიმედო ხერხებს. იგი ამტკიცებს, რომ, მაგალითად, ქალი პერსონაჟების ხასიათი, ყოფა, მდგომარეობა ოჯახში, საზოგადოებაში, საჭელმწიფო სარბიელზე და ასე შემდეგ სწორედ ქართული, ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე ქვეყნის სინამდვილის ნიშანთვისებებითაა აღბეჭდილი და არაფერი საერთო არ აქვს მუსლიმანურ სამყაროსთან. საინტერესო ისაა, რომ ქართულ ხასიათებს სახედყოფენ ვეფხისტყაოსნის არა მარტო უმთავრესი ქალი პერსონაჟები (ნესტან-დარეჯანი, თინათინი), არამედ ფატმანი და განსაკუთრებით ასმათიო. „ყველაზე მკვეთრად — ამბობს აკაკი — ქართული ხასიათი გამოვლენილია ასმათში", ასმათი და მისი როლი პოემის კვალობაზე ახალგაზრდა მკვლევარს აგონებს ძიძის როლს ქართველთა ცხოვრებაში. ფატმანიც კი მას ესახება სწორედ ქართული ცხოვრების ანარეკლად. აკაკი წერს: „ფატმანის სახით გამოყვანილია ქართველი ქალი, რომელიც მზადაა სასიყვარულო ინტრიგებისათვის მკვლელობაც ჩაიდინოს და ყველაფერი მოიმოქმედოს, ოღონდ მისი საიდუმლო ვინმემ არ გაიგოს, განსაკუთრებით ქმარმა", საერთოდ, ასკვნის აკაკი, „რუსთველთან ყველა ქალი ემანსიპირებულია. და ეს ავტორის გამონაგონი კი არ არის, ქართული ცხოვრების სინამდვილიდანაა აღებული".

ანალოგიურია მამაკაცთა ხასიათებიცო. აკაკის აზრით, მართალია, პოემის ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟი — პერსონაჟი ტარიელია. „მთავარ გმირზე უფრო გამოკვეთილია პოემის მეორეხარისხოვანი გმირები. ესენია ტარიელის მეგობრები ფრიდონი და ავთანდილი“. „ტარიელის სახით ავტორმა წარმოგვიდგინა მოხეტიალე რაინდი“. აკაკის სამართლიანი ფიქრით, მთავარი ისაა, რომ რუსთაველმა დაგვისურათხატა ჩვენი ქვეყნის ისტორიული სინამდვილის არა გარეგნული მხარე, არამედ „საქართველოს შინაგანი ცხოვრება“.

აკაკი წერეთელი ეკამათება ვახტანგ მეექვსეს, რომელმაც თავისი კომენტარებით ვეფხისტყაოსანს „რელიგიური მნიშვნელობა მიანიჭა“. აკაკის სიტყვით, ვეფხისტყაოსანს განუცდია „დევნა-შევიწროება“. იგი იზიარებს გადმოცემას, თითქოს ანტონ კათალიკოსის ბრძანებით სცადეს პოემის მოსპობა, ვითარცა „მავნე თხზულებისა“. ანტონი თავის „წყობილსიტყვაობაშიც“ „სიძულვილით იხსენიებს რუსთველსო“.

ძალზე საინტერესოა აკაკის დაკვირვებანი ვეფხისტყაოსნის ტექსტის თაობაზე. ისიც იმ აზრისაა, რომ ნანუჩა ციციშვილი და სხვები თვლიდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანი დამთავრებული არ არისო და მის გაგრძელებასაც კი წერდნენ და „ამახინჯებდნენ“ პოემის ტექსტსო. უფრო საყურადღებო ის არის, რომ დიპლომანტი მკვლევარი თამამად აცხადებს: „ყოველი ქართველი მეცნიერი თავის მოვალეობად თვლიდა გაესწორებინა პოემა თავისი ნებასურვილის მიხედვითო“.

ეს კრიტიკა ეხებოდა საკუთრივ მის მეცნიერ ნასწავლებელ დავით ჩუბინაშვილს.

აკაკი წერეთლის ტექსტოლოგიური ხასიათის კრიტიკული შენიშვნები ემყარება ერთი კონკრეტული ფაქტის შესანიშნავ ანალიზს. ტარიელმა რომ ავთანდილს თავისი თავგადასავალი უამბო, აწინდელი სადგომის თაობაზე უთხრა (654 652):

ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვენ, დევთა
შეეკაფნეს,
შემოვები, ამოვსწყვიდენ, ყოლა ვერას
ვერ მეხაფნეს;
მათ მონანი დამიხოცნეს, ჯაჭვნი ავად
მოექაფნეს.
საწუთრომან დამალრიჯა, ცქაფნი მისნი
კვლა მეცქაფნეს.
დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის
აიწეოდა;
მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა;
მზე დააბნელეს მტვერითა, ალვის შტო
შეირხეოდა,
ასი ერთ კერძოთ მომიხდეს, დავფრიწე,
დაირყოდა. „(65)

ასეა ეს ორი სტროფი ვეფხისტყაოსნის პირველ (1712 წლის ვახტანგისეულ), მეორე (ბროსესეულ 1841 წლის) და ჩუბინაშვილისეულ მესამე (1846 წლის) და მეოთხე (1860 წლის) გამოცემებში. ოთხივე გამოცემა ხელმისაწვდომი იყო აკაკი წერეთლისათვის (საფიქრებელია, რომ ის სარგებლობდა ჩუბინაშვილისეული გამოცემით).

აკაკის მოაქვს პირველი (654 652) სტროფის (სტროფის სათვალავი დამოწმებულია 1937 და 1988 (აკადემიური) წლების გამოცემათა მიხედვით: ტექსტი და იშვიათი სიმახვილით შენიშნავს, „აქ, როგორც ვხედავთ, ტარიელი ლაპარაკობს რომ გაულიტა დევები და თვითონ დაესახლა იქ, მაგრამ საოცარია: იგივე აზრი მეორდება ჰიპერბოლურად მომდევნო ტაეპშიო“ (ე. ი. სტროფში, ა. ბ. ციტირებულია ეს მომდევნო სტროფის ტექსტიც) დიპლომანტი მკვლევარი თვლის, რომ მეორე სტროფი სრულიად ზედმეტია და წარმოადგენს ჩანართს. იგი აცხადებს: „სრულიად ნათელია, რომ ეს ტაეპი (სტროფი) არ ეკუთვნის რუსთველს, იგი ხელოვნურად ჩართულია ვიღაცის მიერ პოემაში“. როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელი იყო იმ სარედაქციო კოლეგიის წევრი, რომელმაც მოამზადა ვეფხისტყაოსნის ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა 1888 წლისა. ეტყობა, ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ გაიზიარა აკაკის მოსაზრება.

საგულისხმოა, რომ საცილობელი სტროფი თავის გამოცემაში (თბილისი, 1934) კვლავ შეიტანა კონსტანტინე ჭიჭინაძემ. ამ სტროფის ავკარგიანობაზე ბევრი იმსჯელა ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის შემამზადებელმა კომისიამ და იგი ჩანართად მიიჩნია (სოლომონ ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, XX საუკ., 2. ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1978, გვ. 268-270), თუმცა, იმდროინდელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი გაბატონებული წესის წყალობით, სტროფი მაინც აღმოჩნდა პოემის ოფიციალურ ნაბეჭდ გამოცემაში. საბოლოოდ გამოეთხოვა ეს სტროფი ვეფხისტყაოსანს მხოლოდ 1966 წლის შანიძე-ბარამიძის კრიტიკული გამოცემიდან.

დასასრულ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ თავის აღრინდელ სადიპლომო ნაშრომში აკაკი წერეთელი წერდა: „ეს პოემა (ვეფხისტყაოსანი) ზეპირად იცის თითქმის ყოველმა ქართველმა, განსაკუთრებით ქალებმაო“. ეტყობა, ცხოვრებისეულმა დიდმა გამოცდილებამ შემდეგში ერთგვარად გადაარწმუნა ჩვენი დიდი პოეტი. 1910 წლის 11 აპრილს აკაკი წერეთელის ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში წაუკითხავს საჯარო ლექცია. ამ ლექციის დროს მას სხვათა შორის უთქვამს, მართალია, ძველად კი იცოდნენ ვეფხისტყაოსანი ზეპირათო, მაგრამ ახლა? საილუსტრაციოდ ლექტორს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმოწმებია ერთი მანადილოსანი, რომელიც თურმე რუსული ლიტერატურის საკითხებში კი ერკვეოდა, მაგრამ შეკითხვაზე, თუ რას იტყვით ვეფხისტყაოსანზეო პირდაპირ უპასუხნია: „კტო ტაკოი ეს რუსთაველიო?“ ეს ერთეული ფაქტი არ არისო, გულისტკივილით შეუნიშნავს აკაკის.

აკაკი წერეთელი რუსეთიდან თერგდალეულთა ხულისკვეთებით დაბრუნდა. მოგვიანებით, სახელდობრ 1898 წელს, აკაკი წერდა: „მეხამოცე წლებში რომ რუსეთიდან დავბრუნდით, ნიჰილისტობის საფუარი ცოტა-ოდნათ ჩვენც მოდებული გვქონდა“ (თხზულებნი, XIII, თბ., 1961, გვ. 884). ალბათ, ამითაც აიხსნება, რომ აკაკი წერეთელიც მაშინ ღირსეულად ვერ აფასებდა ძველ-ქართულ სახოტბო პოეზიას (შავთელისა და ჩახრუხაძის შემოქმედებას). „სადაც-კი რუსთველს ახსენებდენ ჩვენში, იქ, მაშინვე, თავში შავთელს წამოუსკუპებდენ და თუ არ მეტათ, ნაკლებ რუსთველზე არ აფასებდენ, — რა იყო ამ ორ მწერალში საერთო? არაფერი!... ერთი მგოსანი და მეორე კი გაბერილი, უნიჭო რიტორი!“ (იქვე, გვ. 215). ასევე აზასიათებდა აკაკი წერეთელი ჩახრუხაძესაც: „ჩვენშიაც შვიდი საუკუნის განმავლობაში, სადაც რუსთველს-კი ახსენებდნენ, იქვე წამოასკუპებდენ ხოლმე შავთელსა და ჩახრუხასაც, თითქოს უფრო მაღლაც აყენებდენ. რა იყო მიზეზი? მხოლოდ ერთხელვე ნათქვამის აყოლა!“ (იქვე, გვ. 355), ცხადია, ამ შემთხვევაში აკაკი წერეთელი მხარს უბამდა ილია ჭავჭავაძეს (ლ. მენაბდე. XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა. თბ. 1988, გვ. 165.).

ჩახრუხაძისა და შავთელის შეუფასებლობას, რასაკვირველია, ისიც უწყობდა ხელს, რომ მაშინ არ იყო ჯეროვნად გამოცემული და შესწავლილი მათი ენაწყლიანი სახოტბო თხზულებანი. 1902 წელს გამოქვეყნდა ნიკო მარის შესანიშნავი ნაშრომი „ძველ-ქართველი მეხოტბენი“ (კრიტიკული ტექსტები და ვრცელი გამოკვლევა). თუმცა ეს ნაშრომი შეიცავდა რიგ სადავო მოსაზრებას, მან ერთბაშად შუქი მოჰფინა ქართველ მეხოტბეთა ბრწყინვალე შემოქმედებას. ნიკო მარის პუბლიკაციას ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა აკაკი წერეთელი: „მცირე რამ პროფესორ მარრის უკანასკნელის თხზულების გამო“ (თხზულებანი, XIV, 1961, გვ. 129-134). აკაკი უყოყმანოდ აცხადებს, რომ მარის გამოკვლევა „სამაგალითო შრომაა“. „გადავშინჯე და კმაყოფილი დავრჩი. ეს შრომა... მართლა რომ მოსაწონია. რვა საუკუნის განმავლობაში გადამწერლებისაგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა (ე. ი. აბდულმესიანის და თამარიანისა, ა. ბ.) ბატონ მარრს წესიერად აღუდგენია და შესაფერისი ლექსიკონიც ჩაურთავს“. საყურადღებო ისაა, რომ აკაკის წერილი [illegible] იბეჭდა გაზეთ „ივერიამ“ (21.7, 1902, № 154). არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ აკაკის წერილს ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „ვბეჭდავთ ამ წერილს პატივცემულ პროფ. ნ. მარრის შესანიშნავ გამოკვლევის შესახებ იმ ფიქრით, რომ მცოდნე მწერალთა შენიშვნების მეოხებით გამოირკვას, შემცდარია თუ არა აზრი პროფესორის მარრისა შავთელის ხოტბის შესახებ“. მაშასადამე, აკაკი წერეთელიც და „ივერიის“ რედაქციაც ნ. მარის გამოკვლევას (სადაც თვალნათლივაა წარმოჩენილი შავთელისა და ჩახრუხაძის თხზულებათა სამაგალითო იდეურ-მხატვრული ღირსებანი) უწოდებენ „შესანიშნავ გამოკვლევას“. მართალია, აკაკის წერილის გამოქვეყნების დროს ილია ჭავჭავაძე უშუალოდ აღარ ხელმძღვანელობდა „ივერიას“ (მისი რედაქტორი იყო ილიას ერთგული თანამებრძოლი ალექსანდრე სარაჯიშვილი), მაგრამ ძნელია ვიფიქროთ, რომ „ივერიამ“ ილიასთან შეუთანხმებლად გამოაქვეყნა აკაკის წერილი. ამ წერილითა და სარედაქციო შენიშვნით ხომ არსებითად უარყოფილია ილიას თვალსაზრისი ჩახრუხაძის თამარიანის რაობაზე.

საინტერესოა სარედაქციო შენიშვნა შავთელის აბდულმესიანის ხოტბის ობიექტის შესახებ. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ ამ თხზულებაში შექებული უნდა იყვნენ თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი (და არა დავით აღმაშენებელი, როგორც ფიქრობდა მარი). ჩვენი ყურადღება ბუნებრივად მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ, აკაკი წერეთლის დაკვირვების თანახმად, აბდულმესიანი, თამარიანი და ვეფხისტყაოსანი, სამივე, ერთი და იმავე ავტორის შემოქმედების ნაყოფია და ეს ავტორია შოთა რუსთველი (აკაკი წერეთლის თხზულებანი, XIV 1961, გვ. 133).

აკაკი წერეთელი მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე განაგრძობდა ვეფხისტყაოსნის საკითხების კვლევა-ძიებას. თავს დასტრიალებდა, არკვევდა, აზუსტებდა, აყალიბებდა თავის ერთვნულ კონცეფციას უკვდავი პოემის თაობაზე. ამ მხრივ ფართოდ არის გახმაურებული მისი ლექციები ვეფხისტყაოსანზე (კითხულობდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქალაქში). პირველი ლექცია წაიკითხა 1881 წელს. აკაკი არ ჩქარობდა ლექციების ტექსტების ბეჭდურად გამოქვეყნებას, თუმცა ამ ლექციების გარშემო ცხარე სჯა-ბასი მიმდინარეობდა. სპეციალური კრიტიკული წერილი მიუძღვნა აკაკის ლექციებს ილია ჭავჭავაძემ 1887 წელს (ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, IV, 1927, გვ. 183-198). აკაკის „სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე“ პირველად დაიბეჭდა 1898 წელს (აკაკის კრებული, V; თხზულებანი, XII, 1960, გვ. 66-112). ხოლო უფრო ადრე, 1880 წელს, აკაკიმ უპასუხა ილიას შენიშვნებს: „რამდენიმე სიტყვა

პატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოთ ვეფხისტყაოსნის გამო" (აკაკის კრებული, 1890; V; თხზულებანი, XII, გვ. 888-851).

აკაკი წერეთლის თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანში დასახელებული ქვეყნები მხოლოდ გადარქმეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებია, ხალხიც ქართველთა ტომია და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენელი. ამას იმათი ზნე, ჩვეულება, და ცხოვრების წეს-წყობილება გვიმტკიცებს". რუსთველს სურდაო, ამბობს აკაკი, „დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდეალო გმირი როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც". რამდენადაც ქართველთა ტომები სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათისანი არიან, რუსთველმა „საჭიროთ დაინახა ერთი გმირის მაგიერ აელო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთიმეორით შეევსო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან ტარიელი, იმერიდან ავთანდილი და შავი ზღვის პირიდან ფრიდონი, და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოისა". პოემის ქალთა პერსონაჟთა თაობაზე აკაკი შენიშნავს: „რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით და დავინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაც". სახელდობრ, ნესტანი „ამერთა ქალია", თინათინი — „იმერთა". „ერთი მათგანი (ე. ი. ნესტან-დარეჯანი) ძალიან ემსგავსება ხასიათებით ტარიელს და მეორე (ე. ი. თინათინი) ავთანდილსო". აკაკის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანში გამოხატული ტიპები, როგორც კაცები, ისე ქალები, ნამდვილი ქართველები არიან, სხვადასხვა კუთხეებიდან აღებული".

ამრიგად, ვეფხისტყაოსნის გმირები აკაკი წერეთელმა წარმოგვიდგინა ინდივიდუალური ხასიათების მქონე პიროვნებებად, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართველი ტომების საკუთრივ, კერძოობით, თვისებებსაც ასახიერებენ და, მეორე მხრივ, ქართველთა მოდგმის განმაზოგადებელ საერთოეროვნულ ხასიათებსაც გამოხატავენ. კერძო ხასიათი იძენს ზოგადი ქართველის „ტიპის" თვისებას.

ეს პრობლემა აკაკი წერეთელმა შემდგომ კიდევ უფრო გააფართოვა, გაალრმავა და თვისობრივად განსხვავებული, უფრო ამაღლებული სიმბოლიკური ასპექტით გაიაზრა.

1918 წელს დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ნოველა „სიზმარი" (თემი, 29 აპრილი, № 121; აკაკის თხზულებანი, XIV, გვ. 551—555). აქ მოთხრობილია, თუ როგორ ნახა სიზმარში იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, როგორ ეახლა სიკვდილის წინ რაღაც ერთი თვით ადრე მონასტრის წინამძღვარს „ახოვანი ღრმა მოხუცი", „თავზე თუშური ქუდით" და მიართვა თავისი „ნაჯღაბნი" საწინასწარმეტყველო" ვეფხისტყაოსანი. ამ უცნაურმა მოხუცმა აუხსნა წინამძღვარს, მისი ნაწერი არის „ზღაპარი", მაგრამ ამ ზღაპარში აღწერილია, რაც [illegible] მინახავს და განმიცდიაო. „მე ვსცხოვრობდი თამარის დიდებულ დროს. ჩემის ხელებით დავაყარე მიწა მის კუბოს და მოვესწარ იმ უბედურ დროსაც", როდესაც საქართველო უფსკრულის პირას აღმოჩნდაო, მაგრამო, ამბობს რუსთველი, „დედაღვთისა არ გასწირავს იმის წილხვედრს", აი ეს გავითვალისწინე და ჩემი წიგნით „თვით საქართველო გამოვხატე ნესტან-დარეჯანად, ავწერე... როგორ ამოჰყო თავი ქაჯეთის ციხეში, ცხრაკლიტულში. ბოლოს უმახარობლე ქვეყანას მისი ტყვეობიდან გამოხსნა". „ვერც ტარიელი, განაგრძობს მთხრობელი, ქართლ-კახეთის წარმომადგენელი, მისი საარაკო რაინდობით, ვერც ავთანდილი, განხორციელებული იმერეთი, და ვერც ფრიდონი შავ ზღვის-პირის შვილი, აფხაზ-მეგრელ-გურულ-აჭარელთა ჯარი ცალკ-ცალკე ვერას გააწყობენ, თუ ყველა ერთად, შეერთებულად არ მიადგენ ქაჯეთს და მაშინ კი, გამოხსნილ ნესტან-დარეჯანს შეეცვლება ჰირი ლხინად". აი, ეს არის ნაწინასწარმეტყველები ჩემს ვეფხისტყაოსანშიო. დასასრულ მწერალი სთხოვს წინამძღვარს: „სადაც ჯვარის მონასტრის კედელზე მე დახატული ვარ ჩემი ხელითვე, სწორედ იმ კედლის პირას, ჩემ ნახატ-ქვეშ, გამითხარეთ სამარეო!" „ეს არის ცხადი, სიზმრად ჩაყოლილიო", ურთავს მგოსანთ-მგოსანი.

თავის ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ეროვნულ კონცეფციას ვეფხისტყაოსანზე აკაკი წერეთელი გვთავაზობს იმავე 1918 წელს გამოქვეყნებულ მეორე წერილშიც — „წერილი ს. კაკაბაძის მოხსენების გამო" (თხზულებანი, XIV, გვ. 588—541). აქ აკაკი წერეთელი ბრძანებს: „ქაჯეთში დატყვევებულ ნესტან-დარეჯანის გამოხსნა ტარიელის, ფრიდონისა და ავთანდილის შეერთებულის ძალით ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ" (ხაზი ჩემია, ა. ბ). დიდმა პოეტმა და მოაზროვნემ ვეფხისტყაოსნის მისეული გაგების სიმბოლიკით მშობლიურ ერს უმახარობლა მომავალი განთავისუფლების სანეტარო დღე. აკაკი წერეთელი რუსთველის პირით („სიზმარი") განცხადებულად აღიარებს, ქაჯეთის ციხის შემუსვრითა და ნესტანის განთავისუფლებით „ᲣᲛᲐᲮᲐᲠᲝᲑᲚᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ მისი ტყვეობიდან გამოხსნაო", ვეფხისტყაოსანში მოხდენილად ჩაქსოვილი მარადიული ოპტიმისტური იდეა ბოროტების დათრგუნვისა და სიკეთის გამარჯვებისა აკაკი წერეთელმა მიუსადაგა მისეულ თანამედროვე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეალებს. და როგორ ეხმაურება აკაკი წერეთლის ეს იმჟამინდელი ეროვნული კონცეფცია აწინდელი საქართველოს მღელვარე დღეებს!

ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს აკაკის წერილი „სარგის კაკაბაძის მოხსენების გამო" ვეფხისტყაოსნის შექმნის თარიღის თაობაზე.

ჯერ კიდევ თავის სტუდენტურ სადიპლომო შრომაში აკაკი წერეთელი წერდა, რომ ვეფხისტყაოსანი შეთხზულია XII საუკუნეში სახელოვანი თამარის მეფობის დროს. როგორც უკვე მოვიხსენიეთ, „სიზმარში", თავის ერთ-ერთ უგვიანეს ნოველაში, აკაკი წერეთელი ალაპარაკებს რუსთველს, რომ ის ცხოვრობდა „თამარის დიდებულ დროს", რომ ქებათა-ქებას უძღვნიდა თავის სათაყვანებელ დედოფალს, და რომ „ჩემის ხელებით დავაყარე მიწა მის კუბოსო". თავის გახმაურებულ მოხსენებაში, რომელსაც მიეძღვნა აკაკის წერილიც, სარგის კაკაბაძე ამტკიცებდა თითქო ვეფხისტყაოსანი დაიწერა XIV საუკუნეში. აკაკის სიტყვით, „ამ მოხსენებას აუღელვებია საზოგადოება და პრესაც". თვითონ აკაკი წერეთელი ძლიერ დამწვიდებით შეხვდა მოხსენებას და ერთგვარად (მხოლოდ ერთგვარად!) მხარი დაუჭირა კიდევაც ვეფხისტყაოსნის დაწერის გადათარიღების ცდას. ამჯერად აკაკი პირდაპირ აცხადებდა: „მე თვითონ არ ვარ დარწმუნებული, რომ ვეფხისტყაოსანი თამარის დროს იყოს შეთხზულიო". მისი ფიქრით, რუსთველი „თამარ მეფის ბედნიერ დროსაც მოსწრებია სიყმაწვილეში და რუსუდანის შავ-დღეებსაც სიბერეში". „მე მგონიაო, ასკვნის აკაკი, რომ რუსთველმა ნებით თუ უნებლიეთად იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში დამწყვდეულმა სიბერის დროს დასწერა ეს საარაკო თხზულება". რასაკვირველია, აკაკის ეს შეხედულება ვეფხისტყაოსნის შექმნის დროის შესახებ არსებითად განსხვავდება სარგის კაკაბაძის თვალსაზრისისაგან.

ისიც სათქმელია, რომ აკაკი წერეთელს არ აკმაყოფილებდა რუსთველოლოგიური მეცნიერების იმდროინდელი დონე. დიდი პოეტი და თვითონ რუსთველოლოგი მკვლევარი აღფრთოვანებით შეხვდა „რუსთაველის საზოგადოების" დაარსებას და რუსთველის ძეგლის დადგმის განზრახვას. იგი გახარებული წერდა: „უკვდავ მგოსნის შესწავლა და ძეგლის დადგმა თვით ერის უკვდავებაა და მარადისობა" (სადღეისო, თხზულებანი, XIV, გვ. 550).

აკაკი წერეთელი სამართლიანად იმედოვნებდა, რომ რუსთველისადმი ინტერესის გაღვივება და მისი სახელობის საზოგადოების დაარსება ხელს შეუწყობდა რუსთველო[illegible] სვლას. ისიც უნდა ითქვას, რო[illegible] საზოგადოების დაარსება რეალურად მხოლოდ ჩვენს დროში განხორციელდა.

რუსთველი უზარმაზარ კეთილისმყოფელ ზემოქმედებას ახდენდა ქართული პოეტური კულტურის განვითარებაზე. საუკუნეების მანძილზე ვეფხისტყაოსანი იყო ქართული პოეზიის შთამაგონებელი უშრეტი წყარო. რაღა თქმა უნდა, აკაკის მშვენიერ პოეზიაშიც აღბეჭდილია ამ წყაროს ნაკვალევი, მაგრამ ეს სხვა თემაა და იმას აქ არ ვეხებით. ამგზის ჩვენთვის ისაა ყურადსაღები, თუ როგორ აფასებდა თვითონ სულმნათი აკაკი თავისი დიდი სულმნათი წინამორბედის ზემოქმედების ხასიათს საზოგადოდ. თავის ლექციებში აკაკი წერეთელი იმ აზრს გამოთქვამდა, რომ დადებითთან ერთად რუსთველის ზემოქმედება ზოგჯერ უარყოფითს შედეგსაც იძლეოდა. პოეტობის მოჩემე ბევრ ვისმეს რუსთველის წამლეკავი გავლენა უჩლუნგებდა პოეტური აზროვნების უნარს, ახლის ძიების სურვილს. ისინი ბრმად ბაძავდნენ ქართული პოეზიის მამამთავარს, თავს არ იწუხებდნენ და შეუზღუდავად სარგებლობდნენ იმის მზამზარეული სახეებით, სპეციფიკური გამოთქმებით, პოეტური ფრაზეოლოგიით, ლექსიკით და ა. შ. ერთი სიტყვით, ულვთოდ ეპიგონობდნენ. აკაკი წერეთელი პირდაპირ ამბობს, რომ თავის მიმბაძველებზე რუსთველს „რაღაც ბატონური, მავნებელი გავლენა ჰქონდაო". მე არ ვიცი, იცნობდა თუ არა აკაკი წერეთელი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის პოეტ იესე ტლაშაძეს, რომელიც კიდევ უფრო გულისწყრომით ამხილებდა მსგავს ეპიგონთა კასტას: „რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენა-ტკბილო და შაქრიანო, ავმა მთქმელებმა, ქურდმა მგლებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო". აკაკი წერეთელი იწონებდა იმათ საქმიანობას, ვინც შემოქმედებითად კი განიცდიდა რუსთველის ცხოველმყოფელი ზემოქმედების ძალას, მაგრამ „საკუთარი გზით" სიარულს ეტანებოდა. ახეთად, უწინარეს ყოვლისა, აკაკი თვლიდა დავით გურამიშვილს. ამ შემთხვევაშიც აკაკის პოზიცია ორიგინალური და მოსაწონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავა

# ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ

ოთხი ელემენტი, ოთხი სტიქია განუწყესა უფალმა ღმერთმა ადამიანს დედამიწაზე: ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა. ისინი ერთგულებად მსახურებენ მას: კვებავენ, უკლავენ წყურვილს, ეფუძნებიან მისი სუნთქვის რიტმსა და სიხანგრძლივეს. მათი თანაზომიერი ურთიერთქმედება ადამიანში სიცოცხლისათვის აუცილებელ ტემპერატურას განამკვიდრებს, ხოლო გარე სამყაროში ჰქმნის სასიცოცხლო პროცესებისა და ფორმადქმნისათვის აუცილებელ პირობებს. ამ ელემენტებითაა განსაზღვრული ადამიანის ფიზიკური სხეულისა და გარე სამყაროს შემაძლივეს. მათი თანაზომიერი ურთიერთქმედება ქაოსის ალმოცენებისთანავე, უხსოვარი დროიდან, მარადიული სულისათვის, ვითარცა შეუდარებელი მძერწავ-მოქანდაკისათვის უებარ სამოქმედო მასალას წარმოადგენენ ისინი და გრძნობათა ორგანოებისათვის თვალსაჩინოს ხდიან ნებისმიერ სახესა და გვარს, იდეასა თუ ფორმას, ქაოსის კოსმოსად გარდავლენის ამ აშკარა დამადასტურებელ საბუთებს. ამ ელემენტების სათავე საფუძველში მათივე შემქმნელის სიწმინდე გამოსჭვივის. ბუნება უბიწოა და ქალწულებრივი. ამადაც ესოდენ ჭეშმარიტია ფრთეული სიტყვები შელლინგისა: „ბუნება ხილული სულია, ხოლო სული უხილავი ბუნება". უმეტესწილად შემთხვევით როდი ცვლიდა გოეტე თავის ქმნილებებში სიტყვა „ღმერთს" „ბუნებით", ჯერ თუნდაც იმიტომ, ხშირი ხსენებით რომ არ შეებილწა სიტყვათა შორის უმთავრესი და უწმინდესი, რითაც ერთდროულად ათი მცნების ცნობილ პუნქტსაც აღასრულებდა. მეორეც, შექმნილი ხომ ნიადაგ შეესატყვისება შემქმნელის ბუნებას, ასე რომ თავისი წარმომავლობით ბუნება ღვთაებრივია. ჰარმონიაში, მთლიანობაში აღიქვამდნენ ძველი ბერძნები ღვთაებებსა და ბუნებას. მშვენიერიდან და გონივრულიდან შექმნილში, ისინი ერთად-ერთ შემოქმედებამდე მაღლდებოდნენ. ბუნებას თავისებურად განაღმრთობდნენ ჯორდანო ბრუნო, სპინოზა, რუსო, ჰეგელი, გოეტე, ტოლსტოი, ვაჟა-ფშაველა, ალბერტ სტეფენი, ანდრეი ბელი, რუდოლფ შტაინერი და სხვები. ისინი ნიადაგ გასულიერებულს ხედავდნენ, გასულიერებულად წარმოაჩენდნენ მას. უმგზნებარესი გულებისათვის იგი მუდამ აღფრთოვანებისა და განცვიფრების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა, მისი შემეცნებაც ამგვარი განცვიფრებით იწყებოდა. სულის რელიგიით ატაცებულ ადამიანებში აროდეს მინავლებულა ბუნების რელიგია და სიკეთის მისხალსაც ბუნებაში, ისინი მუდამ ღვთის მადლად მიიჩნევდნენ. უმაღლესი ეროსი, დიონისე არეოპაგელის მიერ ქრისტესთან გაიგივებული, ყოვლისმომცველი, ყოვლისგამსჭვალავ სიყვარულს ჰგულისხმობდა მუდამ, არა მარტოოდენ ღვთისა და მოყვასის, არამედ ბუნების საუფლოთა სიყვარულსაც.

მაგრამ უკანასკნელ საუკუნეებში, განსაკუთრებით კი ჩვენს საუკუნეში, ყველაფრისადმი ეგოდენ უტილიტარულმა დამოკიდებულებამ მრავალში ძირფესვიანად ამოძირკვა ბუნებისადმი სიყვარული და მოწიწება. სწორედ ჩვენი საუკუნე, საუკუნეთა შორის უჭკვიანესი, მაგრამ არა ყოველთვის გონივრული, მეცნიერულ-ტექნიკური გიგანტიზმის, ამასთან გაციებული გულებისა და დახვეწილი ბიწიერების საუკუნე ულმობელად აღემართა ბუნების წინააღმდეგ, რათა წაებილწა ადამიანთა ამსოფლიური სამყოფელი და სარჩო-საბადებელი. შეიბღალა და გამოიფიტა ნიადაგი, დაბინძურდა წყალი და ჰაერი. ოთხი ელემენტიდან ერთად-ერთი ცეცხლიღა დარჩა შეუბილწავი. მხოლოდ იგი ვერ შერყვნა ადამიანის ხელმა, რამეთუ არავის იკარებს დაუსჯელად (თუმცა უგუნური ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონება აქაც ცდილობს ცეცხლის საიდუმლოში შეღწევას და წყალბადის ბომბის წარმოებით მისი სიწმინდის შებღალვას). ცეცხლი არა თუ იკარებს უწმინდურებას, დასაბამიდანვე ბიწიერისა და უკეთურის დასაწვავად და განსახჯელადაა მოვლინებული, დედამიწაზეც და განსაწმენდელშიც.

დავუშვათ გაუხეშებული ადამიანი დღეს ვეღარ აღიქვამს ღვთაებრიობას ბუნებისას და განუკითხავად ბილწავს გარემოს. მაგრამ იგი ხომ გამუდმებით ლებულობს თავის თავში მისივე შებილწულ ელემენტებს, ჰაერს, წყალსა და მიწას საკვების სახით, ბოლო ცეცხლს, მისსავე სულში მოგიზგიზეს, საკუთარ თავში ატარებს? მაშ რატომ არ განსჯის ადამიანი ამ სინდისად საზელდებული ცეცხლით თავისსავე თავს საკუთარი მოქმედებისათვის? განა უგუნურ ჩარევას ბუნების საქმეებში, უზარმაზარი მასშტაბების მშენებლობას, ტრანსპორტით, გზებით, გადატვირთვას, ნებმისმიერ გამონაბოლქვ შხამსა და წარმოებათა ნარჩენებს, წიაღისეული და ენერგეტიკული რესურსების ძიებით გაუმაძღრობას, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას, ატომური სადგურებით ზეაწეულ რადიაციას, ტყის საფარის გაუბადრუკებას და ა. შ. არ მივყავართ ეკოლოგიურ კატასტროფამდე, ფლორისა და ფაუნის, ცალკეულ პოპულაციათა განადგურებამდე, ან შემცირებამდე. დედამიწაზე ყოველივე ცოცხალის იავარყოფამდე? რას შეიძლება შეედაროს ეს ამბავი, თუ არა იგავს მუხისა და ღორის შესახებ? სავალალოა, მაგრამ მეცნიერულმა აზროვნებამ საკმაოდ გაუსწრო წინ კაცობრიობის მორალური განვითარების დონეს. სამწუხაროდ უძველეს ბრძენთა საკრალური მოწოდება: ერთი ნაბიჯი ცოდნისაკენ საჭიროებს მორალისაკენ ორ ნაბიჯს" — არ იქნა შესმენილი, ამას კი თავის მხრივ ძალუძს დედამიწა დააყენოს შეუბრალებელი მოულოდნელობებისა და ერთობ სახიფათო, გაურკვეველი მოვლენების წინაშე.

მაგალითისათვის ამგვარი რამის წარმოდგენაც შეიძლება: მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი დედამიწის ატმოსფეროს ვულკანური წარმომავლობა. ცნობილია ისიც, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბოროტად გამოყენება დღესდღეობით უმთავრესი მიზეზია ატმოსფეროში ჟანგბადის შემცირებისა. ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს და ჟანგბადის გამუდმებულმა კლებამ შეიძლება მასიურად გამოაღვიძოს მიძინებული ვულკანები, რაც თანამედროვე მსოფლიო ომზე არანაკლებ მსხვერპლს გამოიწვევს. ბუნება იძულებული იქნება შეიტანოს ამგვარი კორექტივი, გამოასწოროს ატმოსფეროში კაცთა უგუნურებით გამოწვეული შეუსაბამობა და ამით დედამიწაზე სასიცოცხლო პროცესების მოსპობას შეუშალოს ხელი. ბუნებაში ხომ ყველაფერი მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ერთმა მნიშვნელოვანმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მეორე, მოულოდნელი და სახიფათო. ბუნება შეიძლება საბოლოოდ გამოვიდეს კანონებისადმი მორჩილებიდან. ადამიანების უპატივცემულო და მავნებლურ დამოკიდებულებას ბუნების სტიქიების, ანუ დედამიწაზე არსებული სასიცოცხლო პირობებისა ამ ჭეშმარიტი საფუძვლების მიმართ, შეუძლია დაარღვიოს მათი დაკანონებული წესრიგი, რაც სტიქიურ უბედურებათა ტოლფასია და პასუხიც ამგვარ შემთხვევაში ადამიანთა საქციელის შესატყვისი იქნება.

ეკოლოგიური პრობლემა, როგორც დედამიწის ზურგზე არსებულ პრობლემათა შორის ყველაზე გლობალური და საჭირბოროტო, ყველაზე მეტად განაზრახებს ხალხებს ურთიერთმომთმენიანობისათვის და აიძულებს სახელმწიფოებს ისწრაფონ მშვიდობისაკენ, ურთიერთშეთანხმებისაკენ, სხვადასხვაგვარ ამბიციათა დათრგუნვისაკენ. ეს პრობლემა მოაგონებს ყველას, რომ დედამიწა ერთადერთი, ამასთან საერთო თავშესაფარია მთელი კაცობრიობისათვის წუთისოფლის სარბენ გზებზე.

საქართველოში ეკოლოგიური პრობლემა, რომელიც ერთდროულად ეროვნულიცაა და საყოველთაოც, ისევე მწვავედ დგას, როგორც მთელს მსოფლიოში, ვითარცა საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში. სხვადასხვა ტიპის ქარხნებისა და საწარმოთა მშენებლობისას აქაც არ ზრუნავენ ტექნიკურად დამუშავებული აუცილებელი გამწმენდი საშუალებების შექმნაზე. 1980 წლის 24 ოქტომბერს, საქართველოს სსრ სანიტარიის მთავარმა სახელმწიფო ექიმმა თ. ჭყონიამ გაგზავნა დასკვნა სამთო-ქიმიურ ქარხანაში დარიშხანის ნაერთთა წარმოებისათვის ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიურ საფუძველზე. ეს დასკვნა გაიგზავნა ამბროლაურის რაიონის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის, ხუციშვილის სახელზე (№ 001-05148). ორი წლით ადრე კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ე. ო. მინდელი, რომელსაც საშურის რაიონში შხამიან პრეპარატთა გამომშვები საწარმოს მშენებლობა დაუშვებლად მიაჩნდა, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, ვ. კაჭარავას წერდა შემდეგს (18-1/1566): „...იმის გამო, რომ დღემდე მეცნიერებას არ გააჩნია ამგვარი ტიპის საწარმოში მავნე ნივთიერებათა გამომდენი და გამომრიცხავი საიმედო მეთოდები და საშუალებები, ამიტომ შესაძლებელია მათი მოხვედრა ატმოსფეროში, ნიადაგში, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებში, წყალსატევებში". აქედან ირკვევა, რომ მავნე მომწამვლელი ნივთიერებების გამონაჟონისაგან თავად ამბროლაურის სამთო ქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიური ქარხანაც არ გახლავთ დაზღვეული. წარმოების მზამიანი პროდუქტები ხომ მნიშვნელოვან მანძილზე ვრცელდება ქარის, წვიმის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მეშვეობით. შეიწოვება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიერ, საიდანაც ხვდება ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში. ესოდენ მცირე ტერიტორიაზე, საქართველოს რომ გააჩნია, დაუშვებელია არა თუ ატომური ელექტროსადგურების, არამედ მომწამვლელი ნივთიერებებით გარემოს გამაბინძურებელი ქიმიური ქარხნების მშენებლობაც (თუმცაღა საქართველოს ტერიტორიაზე დღეისათვის მუშავდება პროექტი რამოდენიმე ატომური ელექტროსადგურისა, მაშინ როდესაც თბილისის მახლობლად უკვე მოქმედებს მცხეთის ატომური რეაქტორი, ხოლო თბილისში ფუნქციონირებს გარემოზე უარყოფითად მომქმედი იზოტოპების რეაქტორი).

ეკოლოგიური საფრთხე ემუქრება საქართველოს შავიზღვისპირეთსაც 1987 წლის 24 მარტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის ჯგუფის უფროსმა გ. ინაურმა განცხადება გააგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ო. ე. ჩერქეზიას სახელზე, სადაც ნათქვამია: „თქვენი დავალების თანახმად, საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა სამმართველოში შემავალი ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის ჯგუფი გაეცნო პროფესორ ლუპანდინის სამეცნიერო მოხსენებას, რომელშიც იგი საუბრობდა ახალ კონცეფციაზე კავკასიური შავიზღვისპირეთის ბუნებრივ პირობათა სამკურნალო-რეკრეაციული კომპლექსის შენარჩუნება-განვითარებისათვის. იგივე აზრი იყო გატარებული მოხსენებით ბარათში, რომელსაც ხელს აწერდნენ პროფესორები ა. გ. ხარჩევი და ვ. მ. ლუპანდინი".

ჩამოთვლილი დოკუმენტები ეხება ერთობ მნიშვნელოვან პრობლემას, სოციალურ-ეკოლოგიურ ვითარებას ქვეყნის ძირეულ კურორტებზე. მათი მონაცემები მოწმობენ კავკასიის შავიზღვისპირეთის სანაპირო კურორტების კატასტროფიულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე[1]. განსაკუთრებით არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი სოხუმ-ბათუმის რაიონში. ესაა ულტრაიისფერი გამოსხივების გაძლიერება, რაც ასუსტებს ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივ იმუნიტეტს, ესაა იზოტოპების მომეტებული კონცენტრაციაც (ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიასთან დაკავშირებით მოსალოდნელია კონცენტრაციის შემდგომი გადიდება). ამ უბანში ანალიზმა უჩვენა ფეკალური მასებით ზღვის აკვატორიის საკმაოდ საშიში დაბინძურება. გეპატიტის, პოლიომიელიტის, კანის მიკრობული დაზიანების და სხვა დაავადების გამომწვევი მიკრობები და ვირუსები.

უნდა აღინიშნოს: ბიოსფეროს ბაქტერიული გაბინძურების პროცესმა იმგვარი მასშტაბები მიიღო, რომ მოიცვა ჰიდრომინერალური რესურსები, მაგალითად, კურორტ წყალტუბოში. „... ჩვენს რესპუბლიკაში, — აგრძელებს გ. ინაური, — მიმდინარეობს კურორტების ჰიგიენური მდგომარეობის შემსწავლელი გამოკვლევები. რესპუბლიკის სანეპიდმომსახურეობისაგან მიღებული მონაცემებისა და პროფესორი ლუპანდინის მოხსენებაში მოყვანილი მონაცემების შედარებამ დაადასტურა მათი იგივეობა".

ამრიგად, შავ ზღვასა და მის აუზში იყრება წარმოების 404 ობიექტის ნარჩენები. აქედან 202-ის (50%) პროექციული სიმძლავრიდან ჯერჯერობით გამოიყენება მხოლოდ 45-60 პროცენტი. სანიტარული მომსახურეობის მხრიდან აფხაზეთის ასსრ შესაბამის უწყებათა მისამართით არაერთგზისი მითითების მიუხედავად, სააშენებელო დეფექტები ჯერაც არ მოსპობილა, ხოლო საწმენდი ალჭურვილობის მშენებლობა — ბიოლოგიური წმენდის განზრით (მეორე რიგი) ერთ წერტილზეა გაყინული. გუდაუთასა და ახალ ათონში ისინი საერთოდ არ ფუნქციონირებენ.

ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონის სანაპიროზე გამწმენდი საშუალებების მშენებლობა არც დაწყებულა. არადამაკმაყოფილებლად ტარდება წყალდასაცავი ღონისძიებები საქ. სსრ სახაგრომრეწვის რიგ ობიექტებზე. ერთობ არასასურველი მდგომარეობაა შექმნილი გალისა და ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკათა გაერთიანებებში, სადაც საერთოდ არ მოქმედებენ განმწმენდი საშუალებები.

აი, ამგვარ მდგომარეობაშია საქართველოს ეს უწარმტაცესი კუთხე, მიუხედავად ამისა, არც მოსახლეობა, არც დამსვენებლები შავიზღვისპირეთის არც ერთ კურორტზე არ ყოფილან გაფრთხილებულნი საზაფხულო სეზონის მანძილზე.

კიდევ უფრო კატასტროფულად მოქმედებენ ბუნებაზე იმგვარი ადამიანები, ბუნების საიდუმლოებებში წიაღისეულის გარეშე, რომ ნებავთ მასში ცვლილებების შეტანა, მისი „დამორჩილება" ვითომდაც, კაცობრიობის საკეთილდღეოდ. დამღუპველად მოქმედებს გარემოზე მესებისა და წყალსაცავების მშენებლობა. თუკი შაორის წყალსაცავიდან ამოცენებულმა სინესტემ თითქმის განადგურებამდე მიიყვანა უნიკალური ქრისტიანული ტაძრის, „ნიკორწმინდის" ქვის კედლები (XI ს.) როგორღა უნდა მოქმედებდეს იგი გარემოს ნიადაგზე? იგივე შეიძლება ითქვას ენგურის წყალსაცავზე, ხუდონჰესის, ნამოხვანჰესის, მინაძეჰესის (სვანეთში, ლეხუმსა და მეს-

---

[1] დღეისათვის შავი ზღვის დაბინძურება დასაშვებ ნორმას 25-ჯერ აღემატება (ფალავას მოხსენება ჯანმრთელობის სამინისტროს სხდომაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთში) აწ დაგეგმილი მშენებლობები ქმნიან სინესტის მომატების, ზვავებისა და წყალდიდობების საშიშროებას, მათი დამანგრეველი მოქმედება საკუთარ თავზე გამოსცადა გასულ წლებში საქართველოს მოსახლეობამ. მოვარდისფრო-ყავისფერმა ზვავებმა და გაუთავებელმა ბარდნამ ერთიანად დაფარეს მაღალმთიანი სვანეთისა და მთიულეთის სოფლები, დაანგრიეს და გაანადგურეს მრავალი ოჯახი. შემდეგ კი დამანგრეველი ძალით ჩაიარეს წყალდიდობებმა დასავლეთ საქართველოში. ყოველივე ამას უმსხვერპლოდ და უზარმაზარი მატერიალური ზარალის გარეშე არ ჩაუვლია. არ უნდა დაგვავიწყდეს: სითბო და სიცივე, სინესტე და სიმშრალე, ოკეანეები, ზღვები, მდინარეთა დამაპურებელი მთების მარადიული ყინულოვანი ჯავშანი და ცხელი, გამოხუთული უდაბნოები იმგვარადაა განლაგებული დედამიწაზე, რომ მათგან გამომდინარე ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებანი ქმნიან და აწესრიგებენ ცხელი და ცივი ქარებისა და ზღვის დინებათა მიმართულებებს. და აქედან გამომდინარე აფუძნებენ დედამიწაზე სტაბილურ, სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებს, ხოლო ადამიანის სიცოცხლე იმდენად განუყოფელია ოდითგან დაკანონებული კლიმატური პირობებისაგან, რომ ბუნების სფეროში მის მიერ შეტანილი ყოველი მოუფიქრებელი, ზემოაღნიშნული ურთიერთკავშირების დამარღვეველი ცვლილება აღუწერელი უბედურებების მიზეზი ხდება. ამგვარ ცვლილებას წარმოადგენს ნებისმიერი ხელოვნური გაფართოება წყლის ზედაპირისა დიდი მასშტაბებით.

ახლახანს ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა დაწერეს პეტიცია მ. გორბაჩოვისა და ჯ. პატიაშვილის სახელზე, რომელშიც ითხოვენ არ დაიშვას 90-იანი წლებისათვის დაგეგმილი მინაძე ჰესის (ასპინძის რაიონის) წყალსაცავის მშენებლობა, რამეთუ წყლით დაფარავს იგი სამცხის მნიშვნელოვან ნაწილს (სოფელ რუსთავიდან სოფელ მინაძემდე), არქეოლოგიურად შეუსწავლელ ადგილებს, დაფარავს დიდი რუსთველის მშობლიურ სოფელს — რუსთავს, სახოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვან ნაწილს. სინესტის მომატება დააზიანებს კულტურის უნიკალურ ძეგლებს, განსაკუთრებით ქვაბურ-მონასტრის, „ვარძიას კლდოვან ფენებს და რაც მთავარია დაარღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას, წყალდიდობებითა და ზვავებით თავს დაატეხს ადგილობრივ მოსახლეობას, მით უმეტეს, დიდი ხანია იავარქმნილა სამცხე-ჯავახეთის ტყის საფარი. ხელისმოწერა პეტიციაზე გრძელდება.

უკანასკნელ ხანს ქართველმა საზოგადოებამ უზარმაზარი ყურადღება დაუთმო ეკოლოგიურ პრობლემას ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის მოსამზადებელი სამუშაოები 3-4 წლის წინ დაიწყო. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს, მეფის რუსეთის ხანაში, არსებობდა განზრახვა გაეყვანათ რკინიგზა კავკასიონის ქედის გადავლით იმპერიის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. „ამასთან ერთად ამიერკავკასიის უსწრაფესი შეერთება ცენტრალურ რუსეთთან — სწერდა იმჟამად ინჟინერი კურინსკი საულელტეხილო გზასთან დაკავშირებულ მასალათა კრებულის შესავალ ნაწილში — წყვეტს ჩვენს სტრატეგიულ, კულტურულ და ეკონომიურ ამოცანებს“.

ირჩევდნენ რა რკინიგზისათვის უმოკლეს მანძილს, მშენებლები განზრახ უშვებდნენ მხედველობიდან თავად საქართველოს, მისი მოსახლეობის, ბუნებისა და კულტურის ძეგლების ინტერესებს. რკინიგზას ხომ მარტოოდენ პარალელის მიმართულებით შეეძლო შეეერთებინა საქართველოს სხვადასხვა რაიონები და მხოლოდ ასე მოეტანა სარგებლობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ხოლო მერიდიანული მიმართულება გააადვილებდა ცენტრიდან საქართველოს ადმინისტრირებას, ბუნებრივი სიმდიდრის ჩრდილოეთში გაზიდვას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საზიანო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას.

თუმცა ტრანსკავკასიის რკინიგზის ახალი პროექტი საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ყურადღება გამოწვეულია მოცემული ობიექტის მიმართ ქართველი საზოგადოების ნებისმიერი ფენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეთა, ასევე ახალგაზრდობის აშკარად წარმოჩენილი უარყოფითი დამოკიდებულებით. ყოველივე ეს გამოიხატა სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილ ზეპირ თუ წერილობით დასკვნებსა, მრავალ გამოუქვეყნებელ სტატიებსა და უხვად ხელმოწერილ პეტიციებში, რომლებიც სსრკ-სა და საქართველოს სსრ მთავრობის ხელმძღვანელებს გაეგზავნათ. ცნობილ მეცნიერ მუშაკთა და კომპეტენტურ პირთა ყოველი დასკვნა ერთიდაიმავეს ღაღადებს: რკინიგზის მშენებლობა მიზანშეუწონელია ნებისმიერი: ეკოლოგიური, სეისმოლოგიური გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, არქეოლოგიური, დემოგრაფიული და ეკონომიკური თვალსაზრისით. იგი არ შეესაბამება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. წინამდებარე წერილში მხოლოდ ეკოლოგიური პრობლემის განხილვით შემოვიფარგლებით, რომელიც თავისი მნიშვნელობით ყველა დანარჩენ პრობლემას გადაიწონის. ეჭვსგარეშეა, რომ რკინიგზის მშენებლობა და მისი ექსპლოატაცია უზარმაზარ ზიანს მიაყენებს არაგვის ხეობას.

ასეთი აზრისაა ამ მშენებლობაზე ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ნახუცრიშვილი. იგივე აზრია გატარებული ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. კაპარავას გამოსვლაში საქ. სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე: „ტყის, მიწის, ფლორის, ფაუნისა და წყლის პრობლემები არა თუ არ ასახულა, საერთოდ არ არსებობს ამ პროექტში".

ღიაზ, ინჟინრები და პროექტის ავტორები ბალანჩივაძე, ჩალაძე და სვანიშვილი, არც პროექტში, არც თავიანთ ზეპირ გამოსვლებსა თუ სტატიებში ოდნავადაც არ ასახავენ იმ საშიშროებას, ეს მშენებლობა რომ გვიქადის.

დავიწყოთ ყველაზე მთავარი საფრთხით, რომელიც ეკოლოგიის სფეროს შეეხება და უმთავრეს უბედურებას წარმოადგენს, რაც დაიწყო მას შემდეგ, როგორც კი ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს შეუდგნენ. ამგვარი საშიშროებაა სასმელი წყლის გაბინძურება. უზარმაზარი უბედურების მოტანა შეუძლია მას უშუალოდ თბილისისა და რუსთავის მცხოვრებლებისათვის. მათ ხომ სასმელი წყლით ძირითადად არაგვის ხეობა ამარაგებს. ამ მხრივ საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიური ექსპერტიზისა და მდინარე არაგვის დაცვის, ჟინვალის წყალსაცავისა და თბილწყალგამტარის სათავო ალჭურვილობის კომისიის წევრის, კათედრის — „წყალმომარაგება და კანალიზაცია" — გამგე, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის „სამრეწველო და კომუნალური წყალმომარაგება და კანალიზაცია" ხელმძღვანელის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. ლოლობერიძის მიერ ჯ. პატიაშვილისა და ო. ჩერქეზიას სახელზე გაგზავნილი დასკვნა. იგი აცხადებს, რომ მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მისმა კათედრამ ერთხელ უკვე შეისწავლა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობისა და ექსპლოატაციის გავლენა მდინარე არაგვის ეკოსისტემასა და თბილისის სასმელი წყლით მომარაგებაზე და სპეციალურ შრომაში დაადგინა, რომ არაგვის ხეობაში რკინიგზის მშენებლობა დაუშვებელია, თუ არ გადაწყდება თბილისის სასმელი წყლის მოსალოდნელ გაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემები. საპროექტო ორგანიზაცია სათანადო შესწავლის გარეშე შეუდგა ილუზორული პალიატიური გადაწყვეტილებების ძიებას „ამ ფაქტმა, აგრეთვე აქტიურად მიმდინარე მშენებლობის პარალელურად ქ. თბილისის სასამელი წყლის გაბინძურების მოახლოებულმა საფრთხემ გვაიძულა დღევანდელი საქმის ვითარების ამსახველი დოკუმენტის შედგენა", — წერს ლოლობერიძე და მოჰყავს რამოდენიმე არგუმენტი, რომელთა მეშვეობითაც ამტკიცებს, რომ რკინიგზის მშენებლობა არაგვის ხეობაში ყოვლად დაუშვებელია. ჯერ ერთი არ არის წინასწარ გაწმენდილი კომუნალურ-ყოფითი და დრენირებული წყლის ბოლომდე გაწმენდის საშუალება. კონკრეტულ შემთხვევაში ასევე შეუძლებელია [illegible] გამშვების მოწყობა, რადგან მიმდინარე წყლების ნებისმიერი გაშვება ისევ და ისევ მდინარე არაგვის გაბინძურებას გამოიწვევს. მშენებლობის საჭიროებისათვის არაგვის ხეობაში საამშენებლო მასალის მოსაპოვებლად მიმდინარეობს მძლავრი კარიერების ორგანიზება. ეს კი იქცევა მიზეზად მიწისქვეშა წყალგამტარი ფენების დარღვევისა. ჰიდროქიმიური ცვლილებანი, წყლის ნავთობპროდუქტებით გაბინძურება, კარიერში მუშაობისას მანქანები და მექანიზმები რომ გამოყოფენ, ჟინვალის წყალსაცავში დაჩქარება მყარი ფენების დალექვის პროცესისა, არაგვის ხეობაში კარიერების მოწყობა ეწინააღმდეგება საამშენებლო ნორმებს და საქ. სსრ მინსაბჭოს 1980 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებას „პატარა მდინარეების გაბინძურებისა და გამოფიტვისაგან დაცვის, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების თაობაზე", აგრეთვე ბევრ სხვა კანონებსა და ნორმებს.

როგორც მშენებელთა საქმეები ღაღადებენ, მათ ჩირადაც არ უღირან ეს კანონები.

მდინარის ინტენსიურ გაბინძურებას უთუოდ შეუწყობს ხელს ხიდის საბჯენთა და რკინიგზის საყრდენ კედელთა აღმართვა, აგრეთვე გვირაბების გაყვანა, ინერტული მასალებისა და ბეტონის ქარხნების დაგეგმილი მშენებლობა არაგვის ხეობაში, მაგისტრალის ტრასის გასწვრივ ტყისა და ბუჩქნარის ამოძირკვა და თავად რკინიგზის ექსპლუატაცია, რომელიც დააბინძურებს მდინარეს არა მარტოოდენ უსუფთაო მასალებითა და ნავთობპროდუქტებით, არამედ უკიდურესად ტოქსიკური ფენოლებითა და პესტიციდებით, ფეკალური და სხვა ნივთიერებებით სამგზავრო, ხოლო ცემენტით სატვირთო ვაგონებიდან[1].

აშკარა რისხვას იმსახურებს მშენებელთა ერთი წინადადება: გაუქმდეს დღეისათვის არსებული მიწისქვეშა წყაროები და ინფილტრაციული მოედნები და თბილისის წყალმომარაგება მთლიანად ჟინვალის წყალსაცავმა იტვირთოს. განა თანამოქალაქეთა მიმართ სრულ უპატივცემულობას არ გამოხატავენ, როცა ისინი უკეთესი სასმელი წყლის უარესით შეცვლას გვთავაზობენ? ჟინვალის წყალსაცავი ხომ ინტენსიურად ივსება მყარი ნალექებით, რასაც აქტიური ენტროფიკაცია მოჰყვება და რაც ახლო მომავალში უვარგისად აქცევს სასმელ წყალს.

ბოლოს ლოლობერიძე გვარწმუნებს: „არსებული ვითარების გათვალისწინებით, როცა სასმელი წყლით თბილისის მომარაგება პრაქტიკულად მარტოოდენ არაგვის ხეობას აკისრია, და

[1] დღეისათვის თბილისის სასმელი წყლის დაბინძურება ნორმას 7-ჯერ აღემატება (ფალავა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანამ მდ. არაგვისა და ჟინვალის წყალსაცავის ფილტრატთა სანიტარული დაცვის სისტემა ფუნქციონირებს, რკინიგზის მშენებლობა აღნიშნულ ხეობაში დაუშვებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოუსწორებელი შეცდომის ჩადენაა მოსალოდნელი. შეიძლება მრავალმა არ იცის, რომ მილიონნახევრიანი ქალაქის მარტოოდენ მიწისქვეშა წყლებით მომარაგება უნიკალური მოვლენაა მსოფლიო პრაქტიკაში. ხელყოფა იმისა, რისთვისაც ჩვენი წინაპრების ასწლეულობით შრომა დაიხარჯა, ნიშნავს არა მარტოოდენ მათ მიმართ უპატივცემულობას, არამედ ჩვენი მომავალი თაობის წინაშე მძიმე დანაშაულის ჩადენასაც. ეს კი, პროექტის ავტორებს როგორც ზნეობრივ, ასევე იურიდიულ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ურყევი არგუმენტები მოჰყავს ამ მშენებლობასთან დაკავშირებით ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ მ. გაგოშიძეს, თავის მეცნიერულ დასკვნაში იგი ყურადღებას ამახვილებს არაგვის ნებისმიერი ნაკადის პოტენციურ ღვარცოფიანობაზე, მეწყერებზე, ჩამონაქცევებზე, ფლატეებსა და ზვავებზე, მოსალოდნელი რომაა ხეობის დაცურებულ ფერდობებზე და რომელთა მოქმედებასაც უთუოდ შეუწყობს ხელს ადამიანის ნებისმიერი დაუფიქრებელი ჩარევა. მისი აზრით, დაცვითი ღონისძიებების იმედზე ყოფნა, პროექტის ავტორები რომ გვთავაზობენ, თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი. პროფესორი ამტკიცებს: „ნებისმიერი დაცვითი მოწყობილობა შეიძლება დაინგრეს და ინგრევა კიდეც სტიქიის კატასტროფული მომძლავრებისას, როცა მოსალოდნელს აჭარბებს იგი. ეხება რა ჰიდროეკოლოგიურ პრობლემას, ავტორი დასძენს: „რკინიგზის მშენებლობა და ექსპლუატაცია, ამასთან დაკავშირებით ახალი დასახლებების აღმოცენება, ხოლო უკვე არსებულის გაფართოება, რომ აღარაფერი ვთქვათ სამრეწველო ობიექტებზე, გამოიწვევს მდინარე არაგვის მეტისმეტ გაბინძურებას, არაგვისა, თბილისსა და რუსთავს სასმელი წყლით რომ ამარაგებს. რკინიგზისა და განსაკუთრებით ოცდასამკილომეტრიანი გვირაბის მშენებლობა მნიშვნელოვნად გაზრდის მდინარეში მყარი დანალექების რაოდენობას რის გამოც შესაბამისად გაიზრდება ისედაც მაღალი ექსპლუატაციური ხარჯები ჟინვალის წყალსაცავისა, მაშინ როდესაც ქვევით, დინების მიმართულებით საქართველოს დედაქალაქი, თბილისი იმყოფება.

როგორც ირკვევა, რკინიგზის მშენებლობა კატასტროფიული ცვლილებებისა და აუნაზღაურებელი დანაკარგების გარეშე ვერ ჩაივლის. უზარმაზარ ზიანს მიაყენებს იგი მოცემული რეგიონის ფლორასა და ფაუნას. რკინიგზისათვის ადგილის გასუფთავებას 284 ჰექტარი ტყის გაკაფვა დაჭირდება, რომლის შემდეგაც. გარდუვალი ბუნებრივი პროცესების შედეგად ტყის დანარჩენი ნაწილიც დაიღუპება, — გვაუწყებს მეტყველების ინსტიტუტის დირექტორი გ. გიგაური, ხოლო ტყის საფარის გაქრობასა და ვიწრო ხეობაში მატარებლების გამუდმებულ ხმაურს ფრინველებისა და ცხოველების გადახვეწა გადაშენება მოჰყვება. და ეს როდი გახლავთ სრულყოფილი სურათი არაგვის ხეობაში მოსალოდნელი უბედურებებისა. მათი ჯაჭვი უფრო შორს მიემართება. — ტყეების გაქრობიდან და ფერდობების გადაშიშვლებიდან ზვავსაშიშროების ზრდის, დამანგრეველი წყალდიდობების, მეწყერებისა და ნიაღვის ეროზიისაკენ, ყოველივე ამას ჯერჯერობით ტყის საფარი ელობება.

აი ასე ემუქრება უსულგულო ადამიანის დაუნდობელი ხელი ყოველივე წმინდას. ასე ებრძვის წვრილი, უტილიტარული გონება არა მარტოოდენ გონივრულს ბუნებაში, არამედ მშვენიერსაც. ეთნიკურ-ყოფითი უნიკალურობა და განუმეორებლობა ფშავ-ხევსურეთისა, სადაც რკინიგზის ტრასის გაყვანას აპირებენ, დიახაც იმსახურებს ამ მხარის ნაკრძალად გამოცხადებას. შეძლებისდაგვარად იგი თავისი ქალწულებრივი, უმანკო სახით უნდა შევინარჩუნოთ, ვითარცა მაგალითი უფლის შემოქმედებით სანწყისთა ძალუმი გამოვლინებისა ბუნებაში. ქართველმა მწერლებმა პირველებმა აღიმაღლეს ხმა ამ უძვირფასესი საგანძურის გადასარჩენად. დადგა დრო მათი ერთგულების გამოცდისა იმის მიმართ, რასაც ოდითგან უმღეროდნენ. ამ ღმრთივმომადლებული სიკეთის ხელყოფის დაშვებით განა არ დავამტკიცებთ, რომ მომკვდარა ჩვენში იმ სათაყვანო ისტერიის, გმირული წარსულისა და უზადო რაინდული თვისებების, მშვენიერებისა და განუმეორებელი კოლორიტის შეგრძნება, მთის მოსახლეობას რომ გააჩნია. დაგვიკარგავს ძარღვიანი, რეალისებრ მტკიცედ ნაჭედი ქართულის შეგრძნება, ვინაიდან ვერ შეგვიგნია, რომ მთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის აღრევით დაიწრიტება სიტყვიერებისა და პოეზიის ის მძლავრი ნაკადი, რითაც იგი პერმანენტულად ამდიდრებდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. მაგრამ ეს ვაჟკაცური პოეზია მთისა ხომ წარმოუდგენელია იმ თავისუფლებისმოყვარეობის, იმ დაუმორჩილებელი სულის გარეშე, მის შემქმნელ ხალხს რომ გააჩნია და რის გამოც ვერც შინაურებმა დაადგეს ოდესღაც თავს ბატონ-ყმობის უღელი და ვერც გარეშე მტრებმა დაიმორჩილეს იგი? ჭეშმარიტი ლიტერატურა ხომ არ არსებობს თავისუფლების, გულისნადებისა და ნააზრევის უშიშრად და თამამად გაცხადების გარეშე, რადგან არა ხმაგაკმენდილი ყმებისა და ლაჩრების, ოდითგანვე ვაჟკაცების საქმე ყოფილა იგი. მაგრამ ეს თავისუფლებისმოყვარეობა და ქედუხრელობა ხომ პირმშოა იმ ამაღლებულისა, მთას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ახასიათებს? მაშ თავისუფლებისმოყვარეობასთან ერთად დაგვიკარგავს ყოველივე ამაღლებულის შეგრძნებაც, რადგან მთებშია კონცენტრირებული უჩვეულო სიზვიადე, სიწმინდე, სილაღე, მონუმენტალური მშვენიერების, აღფრთოვანების, განცვიფრების, სიმაღლისა და უსაზღვროების განცდის შესაძლებლობანი. თუ ბუნება ზღვასთან გენიალური ფერმწერია, არანაკლებ გენიალური მოქანდაკეა იგი მთებში, უფრო მეტიც: არსად ისე არ იგრძნობა ექსპრესიულობა დედამიწისა, მისი მისწრაფება აღზევდეს საკუთარ თავზე, გაწყვიტოს ზღვართა ბორკილები და მისწვდეს ვარსკვლავეთს, როგორც მთებში. ოდესღაც ცისკენ ატყორცნილი გრანდიოზული ცეცხლოვანი მასსები ცეცხლადვე მოგიზგიზე დედამიწისა გასაოცარ ტესტებად გაიყინენ. ყალყზე შემდგარნი და გასაფრენად გამზადებულნი, თუმცა ვერ მოწყდნენ მიწას, მაგრამ სამუდამოდ აღიბეჭდეს საკუთარ თავზე აღზევების დაუოკებელი წყურვილი.

სწორედ ამადაც ალუნთიათ შემოქმედებითი ცეცხლით საქართველოს მთებს ქართველი, თუ არაქართველი პოეტები. აი, მიზეზი არაგვის ხეობის ძალუმი ზემოქმედებისა ნ. ბარათაშვილზე, გრ. ორბელიანზე, ი. ჭავჭავაძეზე და ვაჟა-ფშაველაზე, რაც აუხსნელია ფშავ-ხევსურეთის ბუნების გარეშე. ოდეს ბუნებისმიერი ფენომენის ცხოველმყოფელი ზეგავლენისათვის ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ნოვალისის გამონათქვამი მისივე „ესთეტიკური ფრაგმენტებიდან", რომ ადამიანი ნებისმიერ ლანდშაფტს უნდა აღიქვამდეს როგორც მთლიან, ცოცხალ ორგანიზმს, როგორც დრიადას და ირეადას. ბუნების ზეგავლენა ხელოვანზე შეიძლება იყოს როგორც უშუალო, კონკრეტული, ასევე იდუმალი, მისტიური, რაიც გამოხატება ბუნების მიღმა არსებულ ძალთა მაინსპირირებელ ზემოქმედებაში, რომელნიც განსაკუთრებულ ადგილებში, ჩვენებურად რომ ვთქვათ ადგილის დედათა მეშვეობით პოულობენ ფიზიკურ სამყაროში გამოსახვლელს და შესატყვისი ხედვისა და სმენის მქონე ადამიანებთან კონტაქტის შესაძლებლობას; ასე იქმნებოდა მრავალი ლიტერატურული, თუ სხვა სახის მხატვრული შედევრი, იქმნებოდნენ სამლოცველოები და მონასტრები. თუმცა XIX საუკუნის რუსი პოეტები თითქმის არ შეხებიან საქართველოს ძველეს ისტორიასა და კულტურას, რის გარეშეც შეუძლებელია ქართველი ერის სულში შეღწევა, მაგრამ საქართველოს ბუნებამ მათზე მაინც წარუხოცელი ზეგავლენა მოახდინა. კავკასიის მწვერვალებმა, საქართველოს სამხედრო გზამ და არაგვის ხეობამ გაიოგნა ისინი. აქ ისინი პოულობდნენ ახალ თემებს იმუხტებოდნენ მძლავრი ზემოქმედებითი იმპულსებით, ექცეოდნენ უჩვეულო პოეტური ინსპირაციების გავლენის ქვეშ. დიახ, საქართველო ძალუმად მოქმედებდა მათზე თავისი გამაოგნებელი ბუნებით, როგორც ოდესღაც ბაირონის, რუსოსა და [illegible] შეს წარმოსახვაზე — შვეიცარიის ალპები. საქართველოს სამხედრო გზისაგან განუყოფელია რუსული პოეზიის ისტორია. სწორედ არაგვის ხეობამ შთააგონა სული პუშკინისა და ლერმონტოვის მრავალ შედევრს. მაგრამ ამ მხარის აპოლოგიაში (წიგნში „ქარი კავკასიიდან"). ყველას ანდრეი ბელიმ გადააჭარბა. „ტყეები გაიშლაშნენ, ბუჩქებიც კი ჩამოისხიპნენ, მაგრამ ჩამონარღვევებისა და ვიწროების კატასტროფიულობა არ მიგრძვნია, და მაინც, ამის მსგავსი ალპებშიც, ნორვეგიაშიც არ მინახავს... სადაა სავრეთელი? კოლორიტები. ყოველივე ფერწერადია. ატმოსფეროს შუქწერაში: კონტურირების ალწერა როლია. შრეების კოლორიტი ციურ კოლორიტთან განზავებულია. წყდება ამღერებული მთების მონოფონიური მოძახილი. ქედები, როგორც ათეულობით ორღანი, გასაოცრად ხმოვანებენ... რაც ზეციური ფერების კულტურად ელვარებდა, უმძიმესი შრეების კულტურად იქცა, თითქო სინათლე განსხვავებულისას ბისონებად, ჯავშნებად, მორელიეფებად, მასსიურ კანკელად, რაღაც გონისწამრტყვევნელ კულტების შემქმნელ ძველებურ ტაძრად გამკვრივებულიყო".

ასე ძველ დროში მხოლოდ ღვთაებების მიმართ თუ გამოხატავდნენ აღფრთოვანებას. ასე სულსა და გულს მარტოოდენ სამყაროს შემქმნელის წინაშე თუ განაშიშვლებდნენ, მისი შემოქმედებით განცვიფრებულნი. დიახ, ბუნება აქ თავადაა საიდუმლოება და განსაწმენდელი და მის წიაღში აღმოცენებული ეს მოლალატე ლოცვითი განწყობილება „ტექნიკური პროგრესის" უხეში ჩარევით სურთ გაანეიტრალონ. არაგვის ვიწრო ხეობაში, რკინიგზის მშენებლობის დასასრულს, მდინარის ხედი მრავალი კილომეტრის მანძილზე ესტაკადებით დაიფარება. პირველყოფილ უმანკოებას დაკარგავენ მახტორალური იდილიები ტყეებისა და ველ-მინდვრებისა, რომლებზეც უკეთ თვით მეფე სოლომონი არ იმოსებოდა.

ბუნების საქმეებში ჩარევა, მასში ცვლილებების შეტანა მხოლოდ იქაა საშური, სადაც ბუნება თავად გვიტოვებს მოქმედების საშუალებას. ტელეოლოგიური ხედვის უნარით დაჯილდოებულ ადამიანს ძალუძს განსაზღვრა, თუ სად, ან რა ზომამდე შეიძლება ამ თვალსაზრისით მოქმედება. ვაჟა-ფშაველაზე არანაკლებ მესაიდუმლე ბუნებისა, დიდი პოეტი და ბუნებისმეტყველი გოეტე, თავის დროზე აღაფრთოვანა პანამის არხის იდეამ. მას განაცვიფრებდა სამყაროში გამოვლენილი სიბრძნე ღვთისა, რომელმაც ქმნადობისას ცენტრალურ ნაწილში იმდენად შეავიწროვა ამერიკის კონტინენტი და ამასთან კავშირში იმდენად დაადაბლა მთები, რომ ადამიანებს აშკარად მიუთითა არხის გაყ-

ვანის და ორი ოკეანის შეერთების შესაძლებლობაზე, ურომლისოდაც გემებს წარმოუდგენლად გაუგრძელდებოდათ გზა. ბუნებას არ უყვარს შესწორება იქ, სადაც ეს დაუშვებელია და ამგვარ შეცდომებზე პასუხი მისი ულმობელია. ამ თვალსაზრისით ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა ბუნების სფეროში ყველაზე უხეშ ჩარევად წარმოგვიჩნდება. ესპანელებმა და ფრანგებმა ურთიერთკავშირისათვის კავკასიონზე ნაკლებადმასშტაბური პირინეები როდი გაარღვიეს, არამედ ხმელთაშუაზღვისა და ატლანტიკის ოკეანის გაყოლებით გაიყვანეს რკინიგზის ორი ხაზი. რიგი სუვერენული სახელმწიფოების, აგრეთვე შეერთებული შტატების აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროთა ქალაქების დასაკავშირებლად, ზღვისპირა ბუნებრივი გასასვლელების უქონლობისა გამო აუცილებელი გახდა საულელტეხილო რკინიგზების გაყვანა ალპებში, ანდებსა და კორდილიერებში. მაგრამ რა საჭიროა საულელტეხილო რკინიგზა კავკასიაში, სადაც უკვე არსებობს რკინიგზის ორი ხაზი ორი ზღვისპირეთის გაყოლებით? რა საჭიროა ბუნების საზიანო მოქმედება იქ, სადაც ეს დაუშვებელია და რასაც თავად ბუნება არ გვაპატიებს?

რკინიგზის მშენებლობის საკითხი იმ საჯაროობისა და დემოკრატიის ხულიგნური ქმედებით როდი გაშუქებულა, რესპუბლიკის მთავრობა რომ დაგვპირდა. მრავალი წერილი თუ დასკვნა მოცემულ საკითხზე უქმად დაყოვნდა რედაქციებში. სხვადასხვა ინსტანციებში დაშინების მიზნით „საუბრისათვის" მიიწვიეს ზოგიერთი მოქალაქე, რკინიგზის საწინააღმდეგო პეტიციას რომ მოაწერა ხელი. ემუქრებოდნენ სამსახურიდან მოხსნით, უმაღლესი სასწავლებლებიდან გარიცხვით, თუკი ისინი უარს არ იტყოდნენ პეტიციაში მონაწილეობაზე. ამა წლის 10 ოქტომბერს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნდა სტუდენტების სტატია, სადაც ისინი უარყოფითად აფასებდნენ რკინიგზის მშენებლობას. რედაქციის განცხადებით, ავტორთა აზრი ეწინააღმდეგება დანარჩენ სტუდენტთა შეხედულებას. ამის საპასუხოდ თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ათასობით სტუდენტმა ხელი მოაწერა პეტიციას, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა სტატიის ავტორთა შეხედულებას და მოითხოვდა რკინიგზის მშენებლობის შეწყვეტას. და აი, აქ ამოქმედდა რეპრესიული მეთოდების გარდაქმნამდელი აპარატი. სხვადასხვა დროს იბარებდნენ, აკავებდნენ და ჩხრეკდნენ კიდეც სტუდენტებს, ითხოვდნენ მიეტანათ, ჩაებარებინათ, ან გაენადგურებინათ ხელისმომწერები რექტორატის ხელმძღვანელთა თანდასწრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გარიცხვით ემუქრებოდნენ. ამ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო კომკავშირის, პარტიული კომიტეტის და თვით რექტორატის რამოდენიმე წარმომადგენელმა, მათ შორის საქართველოს სსრ კომკავშირის კომიტეტის პირველმა მდივანმა მარგველიძემ, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა ხელმოწერების შეწყვეტას.

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ამ სამარცხვინო საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდა უნივერსიტეტის რექტორატი, ოდესღაც ივანე ჯავახიშვილისა და სხვა მამულიშვილთა მიერ ეროვნულ ტრადიციებზე აღმოცენებული, რომლის ზოგიერთი წარმომადგენელი ახლა იმდენად დაკნინდა, რომ პოლიციური მეთოდით ახშობდა აღსაზრდელთა სურვილს საკუთარი შეხედულებების ყველაზე მახსიური და დემოკრატიული საშუალებით გამოხატვისა.

ამგვარად, ცდილობდნენ გზა გადაელობათ პეტიციისათვის, არ დაეშვათ დანიშნულების ადგილამდე, რათა დაემტკიცებინათ, რომ რკინიგზის მშენებლობის საწინააღმდეგო მოსაზრება ვიწრო წრის პირმშოა და არა ქართველი ახალგაზრდობის უმრავლესობის სურვილი.

ახლახანს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო" დაიბეჭდა თ. კვაჭანტირაძის და გაბაშვილის ვრცელი წერილი, სადაც ავტორები არაობიექტურობისათვის აკრიტიკებდნენ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციას სტუდენტთა ზემოხსენებული ჯგუფის სტატიის თაობაზე პრესის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებით რამდენადმე გადატვირთვა ჯერ როდი მეტყველებს იმაზე, რომ მიღწეულია საჯაროობა ტრანსკავკასიის რკინიგზის საკითხთან დაკავშირებით. საჯაროობა ამ საკითხში მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა გამოქვეყნდება რედაქციაში შეჩერებული ყველა სტატია, ამასთან არა მარტოოდენ ქართულ, არამედ საკავშირო პრესაში. ჯერჯერობით ამის თაობაზე მარტოოდენ ერთადერთმა მოსკოვურმა გაზეთმა „ტრუდმა" 17.11.87. დაბეჭდა სტატია („**Отвратить опасность**"), მაშინ როდესაც მოსკოვის უამრავ რედაქციაში უქმადაა დადებული ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული სტატიები.

1987 წლის 26 ნოემბერს გაზეთ „იზვესტიაში" სტატიები გამოქვეყნდა „**В прокуратуру СССР**" და „**Просека у Байкала**" აღშფოთებულები, რომ აღნიშნავდნენ ტექნოკრატების დანაშაულებრივ მოქმედებას ბუნების მიმართ, მათ მიერ საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფას საუბრობდნენ კანონისადმი მათ პასუხისმგებლობაზე. მაგრამ განცვიფრებას იწვევს დანაშაულობათა ფაქტები, საბჭოთა კავშირის მინსაბჭოს სანქციით, რომ ჩადიან მსგავსი უწყებები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთში. სიტყვები „საქართველო" და „სომხეთი" მხოლოდ სხვათა შორის, მარტოოდენ ერთხელაა მოხსენიებული სტატიებში. არაფერია ნათქვამი, რომ ამ რესპუბლიკებში ხდება

იგივე, რაც ციმბირში და თანაც უარეს ფორმებში. და რაც მთავარია, ეს ყველაფერი მთავრობისგანაა სანქციონირებული. ტექნოკრატი საქმოსნები მთავრობის დაცვის ქვეშ იმყოფებიან, ხოლო ისინი, ვინც მათ მავნებლობასა დ უკანონობას პეტიციებით, საპროტესტო წერილებითა და სხვა კანონიერი საშუალებებით ებრძვიან, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებად ცხადდებიან. მათ ემუქრებიან სამსახურიდან გაძევებით, უმაღლესი სასწავლებლებიდან გარიცხვით და სხვა რეპრესიებით. აი, რას ვგულისხმობთ, როცა საქართველოს დისკრიმინაციაზე ვსაუბრობთ, აი რატომ მივიჩნევთ უპრეცედენტო მოვლენად იმ უკანონობებს, ჩვენთან რომ ხდება და რომელზეც თვით სასტალინობის პერიოდში შეგნებულად სდუმს ცენტრალური პრესა, ხოლო იგივე „იზვესტიას" ასე რომ ალუშფოთებია ბაიკალის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებს, საქართველოდან მილებული საკმაო მასალა გააჩნია იმაზე, თუ რა დაუნდობლად ანადგურებს ჩვენს ბუნებას ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც მიმდინარეობს სსრკ-ს მინსაბჭოს 1984 წლის 17 მაისის; 468 დადგენილებით. როგორ[illegible] ძურებს ეს მშენებლობა თბილისისა და [illegible] ვის სასმელ წყალს, როგორც არღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას, ანადგურებს კულტურის ძეგლებს და როგორაა წახალისებული ყოველივე ეს ხელისუფლების მიერ. ამავე დროს განცვიფრებას იწვევს „არაკოორდინირება" ცენტრალური პრესის სხვადასხვა ორგანოებს შორის. დაუშვებელია, რომ „იზვესტიას„ რედაქციამ არაფერი იცოდა იმ ცნობაზე („Отвратить опасность") 1987 წლის 17 ოქტომბერს, რომ გამოქვეყნდა გაზეთ „ტრუდში". რომელშიც ქართველი ინჟინრები საუბრობენ იმ საშიშროებაზე, რითაც ზემოხსენებული მშენებლობა ემუქრება ჩვენს დედაქალაქს. „იზვესტიას" მიერ ამ ფაქტის აღნიშნაობა დიახაც არ გახლავთ შემთხვევითი. რა არის ეს, თუ არა შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ? განა ძნელია მიხვედრა იმისა, თუ ვისგან მომდინარეობს იგი.

1987 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი ავალიანი

# „...განა სუყველას თქმა უნდა!“

რაისა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დვრესა თუალსა შინა თჳსსა არა განიცდი?

ხახარება ლუკასი, თ. 6, 42.

ქართული პუბლიცისტიკა დროულად და ღირსეულად ეხმაურება ერის საჭირბოროტო, უმტკივნეულეს მოვლენებს; სხვა საკითხია, რომ ამ ურთულეს ჟანრს შეეჭიდა ბევრი მედროვე, რომელნიც ულიმღამო, საეჭვო მხატვრული ღირებულების ნაწერებითაც იოლად გადიან ფონს, ამოფარებულნი „მომგებიან“ იდეებს. ამჯერად საუკეთესო პუბლიცისტთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ნააზრევიდან გამოვყოფ ერთ, საქართველოს მომავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს — პროფესიონალიზმის საკითხს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში, მათ შორის, რა თქმა უნდა, ლიტერატურულ კრიტიკაშიც.

სწორედ ამ თვალსაზრისით მინდა შევეხო თემურ მირიანაშვილის წერილს „პირზე მომდგარსა სიტყვასა...“ („ლიტერატურული საქართველო“, 1990 წელი, 8 ივნისი).

წერილის დასაწყისში თ. მირიანაშვილი ხამართლიანად წერს, რომ „...ლიტერატურის ჩამწყვდევას ეროვნულ თუ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში არ შეიძლება არ ჰქონდეს უკიდურესად უარყოფითი, ტრაგიკული შედეგები“; რომ „...ყველა უცხოური იდეისა და თეორიის წინაშე ქედიხმოდრეკაც დამღუპველია“; მოიხმობს ილიას სიტყვებსაც ამას თაობაზე და სინანულით აღნიშნავს „სხვისი ბაძის“ მსურველთა ზრდის ტენდენციას. „...ჩვენში არამცთუ არ კლებულობს, არამედ პირიქით, მატულობს „სხვისი ბაძის“ მსურველთა რიცხვი. ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო გლობალურ მასშტაბებს იღებსო“... ჩანს, ეს მართლაც ასეა, რის დასტურადაც, სამწუხაროდ, თავად კრიტიკოსის მიერ უადგილოდ მოხმობილი უცხოური სიტყვა „გლობალური“ მეხახება. როგორ იღებს „ჩვენში“ ანუ საქართველოში „გლობალურ“ ანუ მსოფლიო მასშტაბს ესა თუ ის ტენდენცია? მშობლიურ ენაზე თუნდაც გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი „გლობალურის“ სანაცვლო სიტყვა ვერ მოიძებნა? მაგრამ ეს ისე, სიტყვამ მოიტანა.

თ. მირიანაშვილი განაგრძობს: „...როგორც ყველა ლიტერატურულ ტენდენციას, მასაც სჭირდება თეორიული საფუძველი. ამ ამოცანის განხორციელება, „სხვისი ბაძის“ თეორეტიკოსობა იტვირთა ახალგაზრდა ლიტერატორმა კახა ჯამბურიამო“.

ამთავითვე ვიტყვი, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა კრიტიკოსის კახა ჯამბურიას დაცვის უწინარეს, სხვა მიზანი მაქვს, უფრო „გლობალური“.

ჯერ კი მხოლოდ ფაქტებს მოვუხმობ.

ავტორის აზრით, კახა ჯამბურია, ვთქვათ პირდაპირ — ანტიეროვნული მიმართულების თეორეტიკოსია. საფუძველი? აი ისიც: „ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიაში იგი უდიდეს სიკეთედ აცხადებს „ქართული პოეზიის ევროპულ რადიუსზე გამართვას“ (ავტორი ტიციან ტაბიძის ოდნავ სახეცვლილ ამ ფრაზას, როგორც ჩანს, ჯამბურიასეულად მიიჩნევს — ლ. ა.), „უცხოური ლიტერატურის რემინისცენციებს“. ასეთივე დიდ სიკეთედ მიაჩნია კ. ჯამბურიას აკაკისა და ვაჟას „გავლენისაგან“, აგრეთვე, მთელი ქართული კლასიკური მემკვიდრეობისაგან „თავის დაღწევა“.

მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ვაზვიადებ ან ცილს ვწამებ კოლეგას. მესმის მკითხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველისა. თავდაპირველად მეც ვერ დავუჯერე თვალებს, როდესაც „მნათობის“ (№ 8, 1986) ფურცლებზე ტიციან ტაბიძისადმი მიძღვნილ სტატიაში — „პოეტი და პიროვნება“ — წავიკითხე შემდეგი: „ფაქტიურად ეს იყო სწრაფვა („ცისფერყანწელებისა“ — თ. მ.) მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მიღწევებისაკენ, ლიტერატურული სიახლეების წვდომისა და ნოვაციების გადმონერგვის სურვილი. ვაჟა-ფშაველასა და აკაკის ლექსის გავლენისაგან თავის დასაღწევად ევროპული და რუსული მწერლობის მიღწევების ათვისება ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სწორი გზა იყო ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარებისათვის (გვ. 126“).

ტყუილად „ვერ დაუჯერა თვალებს“ ავტორმა; კაზა ჯამბურიას ამ სიტყვებში არაფერია საგანგაშო. მან თავისებურად გადმოსცა (არცთუ კატეგორიულად — „უცხო ბაძის“ „თეორეტიკოსმა“ სიტყვა „ალბათიც“ მოიშველია) ცნობილი თვალსაზრისი „ცისფერი ორდენის“ მრწამსისა და მხატვრული შემოქმედების თაობაზე. ეს უკანასკნელი კი ძირფესვიანად განსხვავდება 80-იანი წლების გაუნათლებელ „წითელ პროფესორთა“ შეხედულებებისაგან.

მოგახსენებდით, კაზა ჯამბურიას დაცვის უწინარეს, სხვა მიზანი მაქვს-მეთქი, ეს მიზანი, როგორ პარადოქსადაც არ უნდა ჟღერდეს, ცისფერყანწელთა დაცვაა.

საქმე ის არის, რომ ნებსით თუ უნებლიედ, თემურ მირიანაშვილის ბრალდებანი უმალ ცისფერყანწელებზე ვრცელდება, ვიდრე კაზა ჯამბურიაზე.

საერთოდ გაუგებარია, რად მიიჩნია დასაგმობად თ. მირიანაშვილმა ისეთი უცილობელი მადლი, როგორიცაა ქართული პოეზიის მსოფლიო რადიუსით გამართვის მცდელობა, ანდა მსოფლიო ლიტერატურის მონაპოვართა შემოქმედებითი ათვისებისაკენ სწრაფვა; მით უმეტეს, რომ ზემოთქმული ჩვენი საუკუნის 10-იან წლებს ეხება, როცა ცალკეულ პოეტურ გამონათებათა მიღმა, ილიას, აკაკისა და ვაჟას შემდეგ ქართული პოეზიის თითქოსდა დაცლილ სარბიელს დროებითი ერთფეროვნება და უსახო მიმბაძველობა დაპატრონებოდა.

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ე. წ. „ახალ პოეზიას“ ზიარებულ ცისფერყანწელებს აერთიანებდა ეპიგონური პოეზიის სიძულვილი, ლტოლვა ახალი, აუთვისებელი თემებისა და ახლებურ ფორმათა მიმართ. სიახლესმოწყურებული ცისფერყანწელები ცდილობდნენ, ქართული პოეზიის კუთვნილებად ექციათ მსოფლიოს უახლეს პოეზიაში გაბნეული სახეები. ზოგი მათგანი „გადმოქართულდა“, მშობლიურ პოეზიას შეერწყა, ზოგიც მივიწყებამ მოიცვა.

ცისფერყანწელთა დროებითი ქედმოხრა დასავლეთის პოეზიის მიმართ არ ნიშნავდა „მონურ მიბაძვასა“ და დამორჩილებას უცხოეთისადმი მშობლიური ქვეყნის საზიანოდ. პირიქით, მათი თავი და თავი მიზანი იყო ქართული პოეზიის წინსვლა ევროპული პოეზიის სიახლეთა ათვისების გზით, მისი გამართვა „მსოფლიოს რადიუსით“.

სარბიელზე გამოსვლისთანავე ცისფერყანწელებმა საფრანგეთს მიაპყრეს მზერა. ტიციან ტაბიძე მოითხოვდა, „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმეო“ და ბოდლერის „ბოროტ ყვავილებს“ რგავდა ბესიკის ბაღში („ქალდეას ქალაქები“). ვალერიან გაფრინდაშვილი ბოდლერის პოეტურ კრებულს სახარებას ადარებდა. პაოლო იაშვილი პირდაპირ მიუთითებდა „განახლების მგოსანთა“ ანუ ცისფერყანწელთა ძმებზე — ფრანგ პოეტებზე: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი, ...სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რიმბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“; ხოლო სონეტების „ტრაპტიხში“ აცხადებდა: „ვერლენი, ბოდლერ და მალარმე! ამ სამებაში მე ყველა მიყვარხო...“

ცისფერყანწელებს ფრანგული ორიენტაცია პოეზიაში მშობლიური მწერლობის ღალატად არ ესახებოდათ: „...როცა ხალხი იღებს სხვისგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონალური აპერცეპციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს“ — ასკვნიდა ტიციან ტაბიძე.

ევროპული ორიენტაციის მიღებით ცისფერყანწელები ფიქრობდნენ ბოლო მოეღოთ მშობლიური მწერლობის ჩამორჩენილობისათვის, მოესპოთ მისი „შინჩაკეტილობა და საკუთარ წვენში დუღილი“ (პაოლო იაშვილი). მათი ფიქრი „პოეზიის მსოფლიო არესაკენ“ (ესეც პაოლო იაშვილის სიტყვებია) იყო მიმართული.

ცისფერყანწელთა პატივმოყვარული, ამავე დროს, ღრმად პატრიოტული სწრაფვა ქართული პოეზიის მსოფლიოს სარბიელზე გაყვანისა — ქართული კულტურის გამარჯვებასაც მოასწავებდა უთუოდ, რადგან: „პოეზია აყვანილი ეთნოგრაფიიდან და ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც“.

სხვა საკითხია, რომ ჭაბუკ ცისფერყანწელებს ზოგჯერ ღალატობდა ზომიერების გრძნობა, არც პოზიორობა და პარადოქსებით თავმოწონება იყო მათთვის უცხო... ამჯერად კი, ვფიქრობ, ზემოთქმულის გათვალისწინებით, თემურ მირიანაშვილს კაზა ჯამბურიასთვის კი არა, ცისფერყანწელებისათვის უნდა „ესაყვედურებინა“ მათი ევროპული ორიენტაციის გამო:

„რომელი მწერლები ჰყავდა არჩეული ორიენტირად ტიციან ტაბიძეს? — სვამს კითხვას კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა ჭამბურია და, რა თქმა უნდა, პასუხიც მზად აქვს, — შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი, არტურ რემბო, სტეფან მალარმე, ემილ ვერჰარნი, პოლ კლოდელი, ჟიულ ლაფორგი, სიულ პრიუდომი, ლოტრემონი, პოლ ვალერი, ედგარ პო, ოსკარ უაილდი, ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი, კონსტანტინე ბალმონტი, ალექსანდრე ბლოკი, ბორის პასტერნაკი და სხვანი და სხვანი" (იქვე).

პირადად მე, ჭამბურიასეულ სიაში უადგილოდ მიმაჩნია მხოლოდ ბორის პასტერნაკის მოხსენიება (ნაწილობრივ ეს პოლ ვალერისაც ეხება). ტიციანისა და პასტერნაკის პიროვნული და შემოქმედებითი მეგობრობა ყველასათვის ცნობილი ფაქტია, მაგრამ მათი დაახლოებისას ტიციანი უკვე ცნობილი და სავსებით ჩამოყალიბებული პოეტი გახლდათ, ამდენად, ცისფერყანწელი ტიციანის „ორიენტირად" ბორის პასტერნაკი მართლაც რომ არ გამოდგება, ეს ანაქრონიზმია.

თემურ მირიანაშვილი განაგრძობს:

„ვნახოთ კ. ჭამბურიას კიდევ ერთი ტიპური სტატია — „ეს განწირულის სულისკვეთება..." („ლიტერატურული საქართველო", 9. IX-88).

დასაწყისში კ. ჭამბურია ახსენებს უცხოელ მწერლებს, უცხო ცნებებს: ფრიდრიხ ნიცშე და ზიგმუნდ ფროიდი, დოსტოევსკი და ოსვალდ შპენგლერი, ექსისტენციალიზმი და ავანგარდიზმი, ვირჯინია ვულფი და ტოტალური გაუცხოება.... ამის შემდეგ კ. ჭამბურია გვიცხადებს: „ცისფერყანწელებმა" „უარჰყვეს მთელი კლასიკური მემკვიდრეობა (იგულისხმება ქართული. — თ. მ.) და მზერა ევროპულ მოდერნიზმს მიაპყრეს".

აქ, როგორც ვხედავთ, უკვე არა მხოლოდ აკაკისა და ვაჟას უარყოფა ითვლება უდიდეს სიკეთედ, არამედ მთელი ქართული კლასიკური მემკვიდრეობისაც.

სტატია თავიდან ბოლომდე „წმინდა პოეზიის" დასაცავადაა მიმართული, ყოველი უბედურების თავიდათავი კი, კ. ჭამბურიას აზრით, ეს არის, რომ ლიტერატურას მავანმა და მავანმა ასეთი მოთხოვნა წაუყენა: „მას (ლიტერატურას. — თ. მ.) მაინცდამაინც ეპოქის მოთხოვნები და ხალხის პრობლემები უნდა აესახა და ეკვალა".

ალბათ, ძალიან დიდ ჩამორჩენილობად კი ჩამეთვლება, მაგრამ მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ ჩვენს მცირერიცხოვან, პოლიტიკურ და სხვაგვარ ძალას მოკლებულ ერს სიტყვაზე, ლიტერატურაზე მძლავრი იარაღი არ გააჩნია. ამ იარაღზე ნებაყოფლობით უარის თქმა, ევროპული მოდის გულისათვის „წმინდა პოეზიის" ქადაგება დამღუპველი იქნება ჩვენთვის". (იქვე).

აქ ერთი მოსაზრება ზოგადად „წმინდა პოეზიის" წინააღმდეგაა მიმართული, კერძო შენიშვნა კი ცისფერყანწელების კლასიკურ ქართულ მწერლობასთან მიმართების ჭამბურიასეულ შეფასებას ეხმიანება.

კრიტიკოსის შემდგომი მსჯელობა ამ შენიშვნების დაზუსტების მცდელობაა, ამიტომ, მკითხველთან ბოდიშის მოხდით, რაიმე უზუსტობის თავიდან ასაცილებლად, კვლავ ავტორისეულ სიტყვებს მოვიტან:

„კ. ჭამბურიას თუ დავუჯერებთ, ყველა, ვინც ლიტერატურისაგან „მაინცდამაინც ეპოქის მოთხოვნებისა და ხალხის პრობლემების კვლევას" მოითხოვს, პროლეტკულტელთა „კურიოზული ესთეტიკის" მიმდევარია, ალბათ, ამიტომაც არ მოსდის თვალში აკაკი და ვაჟა, რომელთა ნაწერებშიც უამრავჯერაა გამეორებული ლიტერატურის ცხოვრებასთან უმჭიდროვესად დაკავშირების მოთხოვნა და რომლებიც პრინციპულად არ იზიარებდნენ „წმიდა ხელოვნების" თეორიას.

ერთადერთი ქართველი კლასიკოსი, ვისაც ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და ვ. გაფრინდაშვილი არ უარყოფენ, კ. ჭამბურიას აზრით, არის ილია, მაგრამ ჯერ ერთი, ნუთუ ილია არ შედის „მთელს კლასიკურ მემკვიდრეობაში", რომელიც „ცისფერყანწელებმა" „უარჰყვეს"? ესეც არ იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტიციანს, პაოლოს და ვალერიანს ჩვენ, პირველ რიგში, სწორედ მათი ე. წ. „სიმბოლისტური" პერიოდის გამო ვაფასებთ და ეს სავსებით ბუნებრივია", გამოდის, რომ ქართულ სიმბოლიზმს (გაურკვეველია, რატომ ჩასვა ეს ცნება კ. ჭამბურიამ ბრჭყალებში და რატომ დაურთო წინ „ე. წ.") ილიასაგან აულია სათავე (უცნაური და, ჩემი აზრით, ულოგიკო დასკვნაა — ლ. ა.). ვერაფერს იტყვი, ორიგინალური აზრია! მაგრამ კარგი იქნებოდა, კ. ჭამბურიას ხელი აელო შიშველ დეკლამაციებზე (?! — ლ. ა.)და ამ აზრის არგუმენტირება ეცადა; მოეტანა ილიას თუნდაც ერთი გამონათქვამი, რომელიც რაიმეგვარად შეიძლება ჩაითვალოს „წმინდა ხელოვნებისა" და მოდერნიზმის საფუძვლად. ვგონებ, ვერ შესძლებს ამას კ. ჭამბურია" (იქვე).

მართალი გითხრათ, კახა ჭამბურიას ზემოხსენებული წერილი მეც დაუხვეწავად მიმაჩნია, მაგრამ თემურ მირიანაშვილის ბრალდებები გადაჭარბებულად მეჩვენება; მათ, ცოტა არ იყოს, დემაგოგიის ელფერი აქვთ: კრიტიკოსი თვლის, რომ „წმინდა ხელოვნების" ქადაგება დამღუპველია ჩვენი დღევანდელი სინამდვილისათვის, აქედან ლოგიკური იქნებოდა დასკვნა: კახა ჭამბურიას მოსაზრებაც დამღუპველია ჩვენთვის, „მავნებლურია". კრიტიკოსს მიაჩნია, რომ კახა ჭამბურია ქართული კლასიკური მემკვიდრეობის წინააღმდეგია (?!), ცისფერყანწელთა ადრინდელი დეკლარაციული უარმყოფლობის „საყმაწვილო სენს" ის, შეცდომით, ჭამბურიასეულ მოსაზრებად თვლის.

ერთგან ავტორი ცდილობს, შეარბილოს კრი-

ტიკული სუსხი, — „ქართული კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფას საფუძვლად უდევს არა რაიმე პრინციპული მოსაზრება ან, მითუმეტეს, ახალგაზრდა კრიტიკოსის ანტიქართულობა, არამედ უბრალოდ მოდის აყოლა ანუ სნობიზმით“ — მაგრამ არც სნობიზმის ბრალდებაა კარგი რამ; აქ სიზუსტისათვის შევახსენებთ თ. მირიანაშვილს, რომ „სნობიზმი“ და „მოდის აყოლა“ სულაც არ არის ერთი და იგივე.

არც ამ სიტყვებშია სიმართლე: „ქართველ კლასიკოსებზე შეგიძლია წერო ყველაფერი, რაც პირზე მოგადგება! განმკითხავი არავინაა. აკი კაზა ჯამბურიას განცხადებებიც წლების მანძილზე სრულიად უპასუხოდ რჩება“.

კვლავაც ვიმეორებ, შესაძლოა, კაზა ჯამბურია ზედმეტად არაკრიტიკულია ცისფერყანწელთა მრწამსის მიმართ, მაგრამ ეს ცისფერყანწელთა ნააზრევია და არა მისი საკუთარი.

ორიოდე საერთო შენიშვნა მაქვს თემურ მირიანაშვილისა და კაზა ჯამბურიას მისამართით: ცისფერყანწელთა ქართული კლასიკური მემკვიდრეობისადმი მიმართების საკითხის ზერელე ცოდნა; ამას უკავშირდება პირველწყაროთა და „ცისფერი ორდენის“ მკვლევართა ნაშრომების უგულებელყოფაც.

კაზა ჯამბურიას ზემოხსენებული წერილის მისამართით შარშან ვწერდი: „ამ წერილში ავტორი ბევრს რასმე კი გადასწვდა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ნაუცბათევად და ზედაპირულად. ...კაზა ჯამბურია იმედისმომცემი კრიტიკოსი გახლავთ და მას უთუოდ მეტიც მოეთხოვება. მაინცდამაინც კარგ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მისი ერთგვარი შეუვალი ტონი, განსაკუთრებით, პირველწყაროთა სრული უგულებელყოფისა (თუ უცოდინარობის) და შემთხვევით მოხმობილი ციტატების ფონზე; დაიძებნება ზოგიერთი ფაქტობრივი შეცდომაც. უფლებას ვიტოვებ... უფრო გამოწვლილვით განვიხილო კაზა ჯამბურიას მოსაზრებანი; ამჯერად კი მხოლოდ ერთ მათგანს შევახსენებ მკითხველს: „დიდხანს არ ახსენებდნენ ტიციანს და პაოლოს. მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოდან კვლავ გაისმა მათი სახელები და ფრთხილი „შესწორებებით“ გამოვიდა მათი წიგნები. ამავე დროს დაიწყო მათი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლაც. გამოითქვა ბევრი მცდარი და ცოტაც ჭეშმარიტი აზრი“. ნუთუ ავტორი არ იცნობს მირიან აბულაძის, გურამ ასათიანის, გრიგოლ ხერხეულიძის გიორგი მარგველაშვილის, თამაზ ჩხენკელის და სხვათა საინტერესო გამოკვლევებს; ან სერგო კლდიაშვილის, შალვა აფხაიძის, კოლაუ ნადირაძის, ნინო ტაბიძისა და ა. შ. მემუარებს? თუკი იცნობს, გაუგებარია, რად აცხადებს ეგზომ კატეგორიულად — „მთავარი სათქმელი ჯერ კიდევ წინაა!“ წინამორბედთა ნაღვაწის ნებსით თუ უნებლიე უგულებელყოფა, ლამის საყოველთაო სენად რომ გადაქცეულა, სწორედ რომ არ შეეფერება ახალგაზრდა ნიჭიერ ლიტერატორს“. (იხ. „ინტიმობა — პოეზია“ ზოგი რამ გრიგოლ რობაქიძესა და ცისფერყანწელებზე“, „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ., 5 მაისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე შენიშვნა, სამწუხაროდ, მეტი საფუძვლიანობით, თემურ მირიანაშვილზეც ვრცელდება.

ორივე კრიტიკოსს უნდა შევახსენოთ ცნობილი გარემოებანი:

ახლადმოვლენილმა „ცისფერმა ორდენმა“ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ავანგარდისტულ სკოლათა დარად, „ფასეულობათა გადაფასების“ პროცესში, ნაწილობრივ უარყო ქართული კლასიკური მწერლობა.

ამ უარყოფას ჰქონდა ობიექტური საფუძველიც. ეს იყო შეურიგებელი დამოკიდებულება XIX საუკუნის დიდი კლასიკოსების, განსაკუთრებით კი აკაკისა და ილიას მიმბაძველებისადმი.

შეცდომაა იმის მტკიცება, თითქოს ცისფერყანწელებმა უარყვეს მთელი ქართული კლასიკური მემკვიდრეობა (კაზა ჯამბურია), რადგან რუსთაველის „ამპარტავანი სახელი“ (ვალერიან გაფრინდაშვილის თქმით) შეუბღალავი დატოვეს. ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ვაჟა-ფშაველას... არაზუსტია ჯამბურიას მოსაზრებაც იმის თაობაზე, თითქოს ილია გადურჩა მათ შეტევებს: ილია ახცდაო ნამდვილი პოეზიის რკალს— წერს ტიციანი; „ჩვენთვის უხერხულია ილიას ბრუნდე ლექსები“—ბანს აძლევს მას გოგლა ლეონიძე; „ქართვლის დედას“ ძუძუები დაუშრაო — წერს პაოლო...

ცისფერყანწელთა იმჟამინდელ დამოკიდებულებას წარსულის ქართული მწერლობისადმი შეიძლება ეპიგრაფად წარუძღვეს ტიციან ტაბიძის სიტყვები·

„ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის უპეები“.

სახელმძღვანელო დევიზით — „სიკვდილი განაზლებაა“ — მათ მცირე ხნით უარყვეს ქართული მწერლობის მონაპოვარი, რათა, ევროპული პოეზიის უახლეს მიღწევათა გამოხმაურების შემდეგ, კვლავ მისკენ მიემართათ თვალთახედვა. 1923 წლისათვის ცისფერყანწელებმა ძირითადად უარყვეს მკრეხელური, ჩემი ღრმა რწმენით, „პოზიორული“ გამოხდომები ძველი ქართული მწერლობის მიმართ („ცისფერი ორდენის“ დამოკიდებულება ქართულ კლასიკურ მწერლობასთან განხილული მაქვს მონოგრაფიის— „პაოლო იაშვილი“, თბ., 1977 წ. — 82-94 გვერდებზე, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ).

ცდება თემურ მირიანაშვილიც, რომლის აზრით, ტიციან ტაბიძე თავის საპროგრამო წერილში „ცისფერი ყანწებით“ წინამორბედად სახავდა ვაჟას. არამც და არამც! პირიქით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერყანწელთა მიერ მრავალგზის გამჟღავნებულ თაყვანისცემას მათი იდეური ბელადისადმი, გრიგოლ რობაქიძისადმი, ხელი არ შეუშლია ტიციან ტაბიძისათვის მკვეთრად გამიჯვნოდა ვაჟას სიმბოლისტობის თეორიას და „ცისფერი ორდენის“ დაარსების პირველსავე, 1916 წელს გადაჭრით განეცხადებინა: „ქართულ კრიტიკაში ირევა ორი მცნება: სიმბოლიზმი, როგორც მეთოდი და სიმბოლიზმი, როგორც შკოლა. ეს, რასაკვირველია, შეცდომაა, მაგრამ უფრო უარესია, როცა ირევა ერთმანეთში სიმბოლიზმი და ალეგორია.

...ამას ჩვენში უფრო ბევრჯერ ქონია ადგილი. ს წ ო რ ე დ  ა ქ ე დ ა ნ  დ ა ი ბ ა დ ა  ლ ე გ ე ნ დ ა  ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ს  ს ი მ ბ ო ლ ი ს ტ ო ბ ი ს.

...ბევრი ქართველი მწერალი უცდია გრიგოლ რობაქიძეს გაეზომა სიმბოლიზმის საზომით. მისი მჭრელი ჭკუა ამ შემთხვევაში ათამაშებდა და ხელს უწყობდა, რაც სინამდვილეში არ არის, ის მოეჩვენებია სინამდვილედ და ისე იყვნენ დაგვირისტებული ეს აზრები, ვერც კი ამჩნევდი, რომ იკერებოდა შეუკერელი. ა ქ ე დ ა ნ  ა რ ი ს  ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ს  მ ო დ ე რ ნ ი ს ტ ო ბ ი ს  ი ს ტ ო რ ი ა.

...ჩვენში სიმბოლიზმს ლამეც არ გაუთევია. ...მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გახსნა, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯგუფება“ (ტ. ტაბიძე, „ცისფერი ყანწებით“, ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916 წელი).

თემურ მირიანაშვილს უკვირს, რად უწოდებს კაზა ჯამბურია ცისფერყანწელთა ჯგუფს ე. წ. „ქართულ სიმბოლიზმს“. მას უნდა მოეხსენებოდეს, რომ ზოგი მკვლევარი მხოლოდ პირობითად უწოდებს „ცისფერ ორდენს“ სიმბოლისტურ სკოლას, რადგანაც ამ ჯგუფს თითქმის იმდენივე რამ აქვს განმასხვავებელი სიმბოლიზმისაგან, რამდენიც საერთო. განა ჯგუფის ეკლექტიზმი, თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური სისტემის უქონლობა და ურთიერთგამომრიცხავ, ზოგჯერ სიმბოლიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებათა სიუხვე არ გვაძლევს მტკიცე საბუთს იმისათვის, რომ „ქართული სიმბოლიზმი“ მხოლოდ პირობით ტერმინად მივიჩნიოთ?

„ქართული სიმბოლიზმის“ პირობით ტერმინად აღიარება ოდნავადაც არ ამცირებს ცისფერყანწელთა ძალუმად გამორჩეულ, მკვიდრად შეკრულ და ძლიერ დაჯგუფებას. ეს იყო პრეცედენტი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როცა მეგობრობამ, შინაურმა ინტიმმა, ახლისმაძიებელ პოეტურ ნიჭთან მჭიდრო ურთიერთკავშირში, შექმნა ჯგუფი და ასეთ სიმაღლეზე აზიდა კიდეც.

„ცისფერი ორდენის“ ეკლექტიკურობა, ერთი მხრივ, ამ ჯგუფის, როგორც ლიტერატურული სკოლის, სისუსტეს მოასწავებდა, მეორე მხრივ, კი, მისი თავი და თავი მიზნისათვის—ქართული პოეზიის ნოვაციისათვის ფართო [illegible]ლეოდა. ცისფერყანწელებმა სიმბოლიზმს მიმართეს, რამეთუ საქართველოში ქართული პოეზიის „მსოფლიოს რადიუსით გამმართველი“ ძალა არ ეგულებოდათ. ხოლო როცა პოეტური წარმოსახვის განახლებისათვის რუდუნება ვერ მოთავსდა სიმბოლიზმის არტახებში, არც სიმბოლისტური დოგმების რღვევას მორიდებიან.

პირადად მე, ეს მოსაზრება ოციოდე წლის წინათ გამოვთქვი.

რაც შეეხება კაზა ჯამბურიას — „წმინდა პოეზიის“ ადეპტს, მკაცრად გაკრიტიკებულს ამის გამო, დაე, მეც მიგულვოს თემურ მირიანაშვილმა „წმინდა პოეზიის“ თაყვანისმცემელთა რიცხვში.

ერთი კია, გააჩნია, რა აზრს ჩავდებთ ამ ცნებაში — „სოცრეალისტურს“ თუ ჩვეულებრივს, ადამიანურს. ზოგადადამიანურ ფასეულობათა თვალსაზრისით კი, თუ მკაცრად განვსჯით, აბსოლუტურად „წმინდა ხელოვნება“ არც არსებობს. ძლივს წარსულს ჩაბარდა ეს ცდომილება. ისტორიის ჩარხს უკუღმა ხომ აღარ დავატრიალებთ! „წმინდა ხელოვნება“ სალანძღავი სიტყვა როდია! სწორედ წმინდა ხელოვნების მსახურთ ხელეწიფებათ მოუტანონ მარადიული დიდება მშობელ ქვეყანას.

ხოლო მსჯელობა იმის შესახებ, რომ „წმიდა ხელოვნებით“ გატაცებულ კაზა ჯამბურიას თვალში არ მოსდის (?!) აკაკი და ვაჟა, ყურით მოთრეულია.

თემურ მირიანაშვილმა კაზა ჯამბურიას დიდ ცოდვად ჩაუთვალა ცისფერყანწელთა მიერ ვაჟასა და აკაკის გავლენისაგან თავის დაღწევის მცდელობის დადებითი შეფასებაც. ჯერ ერთი, აშკარა გავლენა პოეზიაში მხოლოდ უარყოფითად შეიძლება შეფასდეს; მეორეც, ემჩევა(?) გარეშეა, რომ თემურ მირიანაშვილმა არ გაითვალისწინა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ქართველ კლასიკოსთა გავლენისაგან თავის დაღწევა, პირველ რიგში, ეპიგონიზმის უარყოფას მოასწავებდა.

XX საუკუნის 10-იანი წლები ქართული პოეზიის დაკნინებისა და დაცემის, ძველისა და ახლის შეგნებული თუ გაუცნობიერებელი ჭიდილის, თვისებრივად ახალი პოეტური სამყაროს თანდათანობითი დაფუძნების წლებია. ილიას მკვლელობამ, რამდენიმე წლის შემდეგ კი აკაკისა და ვაჟას გარდაცვალებამ მოამთავრა ერთი ბრწყინვალე პერიოდი ქართული პოეზიისა. ძველი გზით სიარული აღარ ხერხდებოდა, ახლის გამკვალავთ ჯერ ძალა არ შესწევდათ. ილიასა და აკაკის გავლენისაგან თავის დაღწევა ადვილი არ იყო! ქართული პოეზიის სარბიელს ჯერ კიდევ ღრმად აჩნდა ილიას, აკაკისა და ვაჟას „დევის ნაფეხურები“ (ტიციან ტაბიძის სიტყვებია). ამაოდ ცდილობდნენ პოეზიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილფეხა „რაინდები" — მიმბაძველები მათი გოლიათური ნაკვალევის მორგებას.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა 10-იანი წლების პოეზიის მთლიანად, ხელაღებით უარყოფა: ამ დროს გაბრწყინდა პირველად გალაკტიონის, გრიგოლ რობაქიძის, სანდრო შანშიაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის ხალასი მარგალიტები; ამაზე არცვინ დაობს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მიმბაძველობა იყო იმ პერიოდის ქართული პოეზიის ძირითადი და ფრიად შემაშფოთებელი ტენდენცია.

„ბატონი შაბლონი" დღეს მალაყიას გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი მრავალსახიანია, მრავალფეხიანი და კოშმარივით აწევს ქართულ სინამდვილეს. მარტო პოლიტიკური ცხოვრება არ არი მისი მოედანი, „ჭრიალა დროგით" მწერლობაშიც შემოდის" — წერდა ტიციან ტაბიძე 1916 წელს.

კოლაუ ნადირაძე კი თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გაიხსენებს: „გვწამდა, რომ არსებითად სწორ გზას ვადექით, რომ ქართული ლექსის ფორმა და მისი აღნაგობა დაკნინებას განიცდიდა, რომ აკაკი წერეთლის მიერ სავსებით ამოწურული ქართული ლექსის აკაკისებური წყობა გადაიქცა შტამპად, შაბლონად, რომ აკაკის ეპიგონებმა დაუკარგეს ქართულ ლექსს სილამაზე და ჟღერადობა, გააუბრალოეს, დააყრუეს იგი. ქართული ლექსი გახდა გემოვნების დაცემისა და საოცარი ჩამორჩენილობის მაჩვენებელი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რუსთაველი უფრო თანამედროვე პოეტი იყო, ვიდრე აკაკის მიმბაძველ პოეტთა ლეგიონი".

რაც შეეხება ვაჟას, თუკი ცისფერყანწელთა ძულვილს ილიასა და აკაკის ეპიგონებისადმი მიბაძვის ობიექტების მიმართ გალიზიანებაც მოჰყვა, ამგვარ რასმე გამორიცხავდა ვაჟა-ფშაველას პოეზიის ბუნება: მან ისე უხვად ვეღარ დააჯურა 10-იანი წლების ეპიგონური პოეზია, როგორც, ვთქვათ, აკაკის პოეზიამ. ეს იყო უთუოდ ერთ-ერთი, არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი ცისფერყანწელთა მიერ ვაჟას გენიის აღიარებისა.

ნიშანდობლივია, რომ ტიციან ტაბიძე შენიშნავდა: „ვაჟა-ფშაველა არავის არ უშლის პოეზიაში, ის პოეზიაში ისეთი სტრატეგიული პუნქტია, როგორც მამისონი საქართველოს ტერიტორიისათვის. ...არ უნდა თქმა იმას, რომ ვაჟას ლექსის ტექნიკას არ შეუძლია არავიზე მოახდინოს გავლენა. არ უნდა თქმა აგრეთვე იმასაც, რომ მასთან შედარებით თუნდაც ბესიკი წმინდა ალექსანდრიელია. პარნასელ ჰერედიად გამოჩნდება. ამას არავინაც არ თხოულობს მისგან, ამიტომაც იყო, რომ ვაჟა გამორჩა იმ აუტოდაფეს და იმ გილიოტინას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ აიმართა სხვა პოეტებისათვის"(გაზ. „ბახტრიონი", 1922 წ.).

1928 წელს „მეოცნებე ნიამორებში" დასტამბულ წერილში „დადაიზმი და „ცისფერი ყანწები" ტ. ტაბიძე ჰკენწლავდა, თუმცა უმისამართოდ, ვაჟა-ფშაველას მიმბაძველებს: „ყველაზე უფრო გასამასხრებელი საქართველოში არიან ვაჟას მიმდევარი პოეტები. მათ ერთხელ იფეთქებს ვულკანივით და შეიძლება ამოაგდოს ისტიოზავრი, სხვა დროს ის მშვიდია და მასზე ცხვრის ჯოგები ბალახს სძოვენ". ვაჟას ერთ-ერთი კონკრეტული მიმბაძველის შესახებ გაზ. „ბარრიკადში" (1922 წ.) ვკითხულობთ: „ტუქსიშვილს აქვს თავისი ხმა, მაგრამ მისი მოტივე ისეთმა პოეტმა აამღერა — ვაჟა-ფშაველამ, რომ სამუდამოდ უნდა უკარგავდეს (წერის) ხალისსო".

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ, თუ ზემოთქმულს გაითვალისწინებდა, თემურ მირიანაშვილს თითქმის აღარაფერი ექნებოდა სადავო კახა ჯამბურიასთან.

საერთოდ კი, ასეთ მძიმე ბრალდებებს (ქართული კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფა, ყოველივე უცხოურის წინაშე ქედის მოდრეკა, მოდის აყოლა, სნობიზმი და ა. შ.) უთუოდ მეტი საბუთიანობა მოეთხოვება. მით უმეტეს, რომ თემურ მირიანაშვილის კრიტიკული პათოსი ძირითადად დეკლარაციულია და ამდენად დამაჯერებელიც ვერ აქნება.

სწორედ დღეს, ფართო თვალსაწიერს მონატრებულთ, არც წმინდა ხელოვნების უკუგდება გვარგებს და არც საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდევა.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ 80-იანი წლების „ვულგარულ სოციოლოგიზმს", ახლა, ეროვნული თვითშეგნების ზეობის ჟამს, XX საუკუნის მიწურულს, „ვულგარული ნაციონალიზმი" შეენაცვლოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო ფირცხალავა

# ასტრონომიული კოსმოსის ეთიკურ კოსმოსად გარდაქმნის ცდა „ჯადოსნურ მთაში“

თომას მანი უყოყმანოდ დასთანხმდა მკვლევართა იმ თეზისს, რომ მისი რომანი „ჯადოსნური მთა“ უშუალოდ აგრძელებს „აღზრდის რომანის“ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, დაწყებულს თქმულებიდან წმინდა გრაალზე, ვიდრე გოეთეს „ფაუსტსა“ და „ვილჰელმ მაისტერამდე“.

თომას მანის ამ განცხადებაზე დაყრდნობით მკვლევარები დაუღალავად განიხილავდნენ „ჯადოსნური მთისა“ და გოეთესეული „ფაუსტისა“ და „ვილჰელმ მაისტერის“ ურთიერთმიმართების პრობლემებს. რა თქმა უნდა, თ. მანის რომანს „ფაუსტთან“ და „ვილჰელმ მაისტერთან“ აკავშირებს მთავარი გმირის მხატვრული სახე. მართლაც, ჰანს კასტორპის, ამ მაძიებელი გმირის სახე თავისებურად აგრძელებს „აღზრდის რომანის“ ტრადიციას. მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. სამწუხაროდ, მხედველობიდან რჩებათ გოეთეს კიდევ ერთი ნაწარმოები, რომელმაც გარკვეულ წილად გადამწყვეტი როლი ითამაშა „ჯადოსნური მთის“ კონცეფციის ჩამოყალიბებაში. მხედველობაში გვაქვს გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“. ამ ნაწარმოებთან „ჯადოსნური მთის“ კავშირი გაცილებით უფრო ღრმა და ორგანულია, ვიდრე გოეთეს სხვა რომელიმე თხზულებასთან; მაგრამ მკვლევართათვის საქმე უდავოდ გაართულა იმან, რომ „ფაუსტისა“ და „ვილჰელმ მაისტერისაგან“ განსხვავებით, თ. მანს ეს ნაწარმოები პირდაპირ უშუალოდ არასოდეს დაუსახელებია იმ ლიტერატურულ ქმნილებათა შორის, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს მისი რომანის კონცეფციაზე. „ჯადოსნური მთისა“ და „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ ერთგვარი ფარული კავშირი მჟღავნდება „ჯადოსნური მთის შესავალშიც“, სადაც თ. მანი მხოლოდ გაკვრით, სახელწოდების დაუსახელებლად იხსენიებს გოეთესეულ „დივანს“. იგი იხსენებს სტრიქონებს, რომელთა გამეორებაც ასე უყვარდა რომანზე მუშაობის დროს: „დასასრული რომ არ გაქვს, დიადი ხარ სწორედ ამით. ეს კი „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ ერთ-ერთი ლექსის „უსაზღვროს“ დასაწყისია. ამგვარად თ. მანი ერთგვარად ცდილობს მკითხველის სწორ გზაზე, სწორ კვალზე დაყენებას. ამიტომაც გაოცებას იწვევს სწორედ ის ფაქტი, რომ მკვლევარებს ყურადღება არ მიუქცევიათ არამც თუ ამ გადაკვრით ნათქვამი სიტყვებისათვის, არამედ იმ ეპიზოდისა და მოტივებისათვისაც კი, რომლებიც აშკარად გოეთეს „დივანიდანაა“ ნასესხები. პირველ რიგში, საქმე ეხება შვიდი მძინარე ყრმის ლეგენდის მოტივს, რომელიც თ. მანის რომანში აშკარად „დივანის“ გავლენით მოხვდა. ეს ლეგენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, განსაკუთრებულ სიმბოლიკურ დატვირთვას იძენს, როცა „ჯადოსნური მთის“ მითო-პოეტურ ფონზეა საუბარი. მას რომანში ყოვლისმომცველი სიმბოლოს ფუნქცია გააჩნია.

გასაოცარია, რომ ამ ლეგენდის კვალს „ჯადოსნურ მთაში“ ვერ მიაგნეს იმ მკვლევარებმაც კი, რომლებმაც მონოგრაფიები მიუძღვნეს მითიური ელემენტის ძიებას თ. მანის რომანში. ეს კი, პირველ რიგში, ალბათ გამოწვეულია იმით, რომ მათ უყურადღებოდ დარჩათ კავშირი, რომელიც გოეთესეულ „დივანსა“ და „ჯადოსნურ მთას“ შორის არსებობს. ამ კავშირის დანახვა კი შესაძლებელს ხდის „ჯადოსნური მთის“ მრავალი პრობლემის ახლებურად გაგებას.

გოეთემ თავისი ნაწარმოებისთვის შვიდი მძინარე ყრმის ადრექრისტიანული ლეგენდის აღმოსავლური წყაროები გამოიყენა. (ამას მოწმობს მაგალითად, ძაღლის, კიტმირის, მოხსე-

ნიება), სავარაუდოა, რომ გოეთემ, უწინარეს ყოვლისა, არაბულ თქმულებათა ჯგუფს მიმართა. შვიდი მძინარე ყრმის ლეგენდა ერთგვარად უნივერსალურია, რადგან მას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია როგორც დასავლურ-ქრისტიანულ, ისე აღმოსავლურ-მუსულმანურ მითოლოგიაში. ქრისტიანულ რელიგიაშიც და ისლამშიც ეს ლეგენდა დაკავშირებულია აღორძინების, აღდგომის იდეასთან. შვიდი მძინარე ყრმა ამ იდეის განხორციელებას წარმოადგენს. სწორედ მათი გამოღვიძებაა ქმნადობისა და განახლების გოეთესეული მაგიური ფორმულის: „მოკვდი და იქმენ" განხორციელება. რადგან თუ უზენერის განმარტებას მოვიშველიებთ, ძილი — ესაა „ნახევრად სიკვდილი".

შვიდი მძინარე ყრმის ლეგენდის მოტივი თ. მანის „ჯადოსნურ მთაში" ნამდვილად „დასავლურ-აღმოსავლური დივანიდან" შევიდა. გოეთეს „დივანი" გვაძლევს თ. მანის რომანის სრულიად ახლებური წაკითხვის საშუალებას. გარდა ამისა, თავად ეს ლეგენდა რომანის ბევრი ძნელად გასაგები ასპექტის ერთგვარ გასაღებად გვევლინება. იგი სიმბოლურ ფუნქციას იძენს და „ჯადოსნური მთის" მითო-პოეტურ ფონს ქმნის. ლეგენდა იმ სამი ძირითადი ელემენტის ურთიერთდამაკავშირებელია, რომლებიც მითოსური აზროვნების საფუძველს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში დროისა და სივრცის კატეგორიები, რიცხვის ცნებასთან ერთად თავიანთ აბსტრაქტულ-ლოგიკურ, რიცხვობრივ, უნივერსალურ მნიშვნელობას კარგავენ და საკუთარ განსაკუთრებულ სულიერ სიცოცხლეს, ხარისხობრივ შემფასებელ ფუნქციას იძენენ.

„ჯადოსნურ მთაში" სივრცითი მოწესრიგებულობა (მითოსური აპერცეფციის წყალობით) ეთიკურ წესრიგად გადაიქცევა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხდება ასტრონომიული კოსმოსის ეთიკურ კოსმოსად გარდაქმნა. შესაბამისად, დასავლეთი და აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი უბრალოდ ჰორიზონტის რეალურ გეოგრაფიულ წერტილებს კი აღარ წარმოადგენენ, არამედ სულიერი და ზნეობრივი პოტენციით არიან დამუხტულნი. ისინი ბნელი და ბოროტი ან ნათელი და კეთილი საწყისის მატარებელნი არიან. აქ ხდება კულტურულ სამყაროთა ურთიერთდაპირისპირება. ამ ეტაპზე უკვე თითქმის შეუძლებელია ისეთი უდარდელი, ლაღი და უშუალო დამოკიდებულება სამყაროსადმი, რის იდეალურ მაგალითს სწორედ გოეთეს „დივანი" წარმოადგენს. „ღვთისაა აღმოსავლეთი! ღვთისაა დასავლეთი! ჩრდილოეთი და სამხრეთიც მის მკლავებშია განსვენებული". „ყურანის II სურიდან აღებულ სიტყვებს: „ალაჰისაა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც". (II სურა, ძროხა, 109 (115). გოეთემ სულ სხვა პათოსი მიანიჭა. გოეთესთან უკვე მიღწეულია სამყაროს სივრცითი აღთქმისა და ღვთის განცდის უნივერსალური ერთობლიობა: ამ ერთობლიობაში მოხსნილია ყოველგვარი დაპირისპირებულობა. აქ მითოსური აზროვნება უმაღლეს უკანასკნელ სტადიას აღწევს, მან უკვე დასძლია ყოველგვარი წინააღმდეგობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ საპირისპირო მხარეს წმიდა ან უწმინდური, კეთილი ან ბოროტი თვისება ენიჭება, რადგან როგორც კასირერი ამტკიცებს, არ არსებობს ქვეყნად იმდენად „პრიმიტიული" კოსმოლოგია, რომელშიც ჰორიზონტის ოთხ ძირითად მხარეთა ურთიერთდაპირისპირებულობა კარდინალურ პუნქტს არ წარმოადგენს სამყაროს მითოსურ აღქმასა და გააზრებაში. მხოლოდ ამ ეტაპის გავლის შემდეგ მიაღწევს იგი იმ უმაღლეს სფეროს, სადაც ამ დაპირისპირებულობათა მოხსნას მოახერხებს. უნივერსალური ერთობლიობა სივრცის აღქმისა და ღვთის განცდას შორის, რაც გოეთეს „დივანშია" მიღწეული, გულისხმობს იმას, რომ ჰორიზონტის ოთხივე მხარე ღვთის სფეროს, ღვთის სამეფოს წარმოადგენს, ისინი კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ უფრო მეტიც, ისინი იდეალურად ჰომოგენურნი არიან. „ჯადოსნურ მთაში" კი სამყაროს ხარისხობრივად და ღირებულებრივად ჰეტეროგენულ ნაწილებად დაყოფის, გახლეჩის ტიპიური მექანიზმი მოქმედებს.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ თავში „ორი ბაბუის ამბავი..." (თომას მანი, ჯადოსნური მთა, თარგმ. დ. ფანჯიკიძისა, თბ., 1978, 1984). ვხვდებით ერთგვარ ალუზიას გოეთეს დივანის ზევით მოყვანილ სტრიქონებზე. ორი ბაბუა — ჯუზეპე სეტემბრინი და ჰანს ლორენც კასტორპი — „ორივე მუდამ შავ ტანსაცმელში დადიოდა, ჩრდილოელი ბაბუაც და სამხრეთელიც" და ორივე „ორ სამყაროს ან სამყაროს ორ სხვადასხვა წახნაგს" განასახიერებდა. ამ ორი საპირისპირო სამყაროს — სამხრეთისა და ჩრდილოეთის — ხსენებაზე ჰანს კასტორპს ასოციაციურად აგონდება ტბაზე ნავით სეირნობა, როცა მას თვალწინ ფანტასმაგორიული სურათი გადაეშლება. ეს ეპიზოდი უდაოდ რომანის ერთ-ერთი გადამწყვეტი საკვანძო მომენტია. აქ თითქმის სიტყვა-სიტყვითაა ციტირებული გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანის" ცნობილი სტრიქონები: „ჩასულია მზე. დასავლეთი კი ჯერ კიდევ განათებულია. მინდა ვიცოდე, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ბრწყინვალება". „ჯადოსნურ მთაში" ეს სტრიქონები ასეთი სახით შევიდა: „დასავლეთით ჩახჩახა დღე იდგა, მინასავით გამჭვირვალე, ნამდვილი დღის შუქი ანათებდა, მაგრამ თავს მოატრიალებდა თუ არა, აქეთაც ისეთივე ნამდვილ, უაღრესად ჯადოსნურ, ნოტიო ნისლით შებურულ მთვარიან ღამეს ხედავდა".

გოეთეს „დივანში" ეს ასტრონომიული კითხვა პედაგოგიურ ასპექტში დაისვა. „ააყი ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეში" (მწდეს წიგნი) პოეტი ესაუბრება ბიჭს — მწდეს და იმ უჩვეულო სურათს აღუწერს, როდესაც მზის წასვლის შემდეგ დასავლეთში მზე კვლავ ანათებს. ეს ის მდგომარეობაა, როცა ცაზე აისი და დაისი ერთდროულადაა გამეფებული. ბოლოს კი პოეტი-მასწავლებელი თავის ასტრონომიულ მოძღვრებას მხიარულად, ერთგვარი ირონიით, დასავლურ-აღმოსავლური მითიური პერსონაჟების ერთმანეთში აღრევით განავრცობს. ესაა წლის ის უმოკლესი ღამე, როდესაც („ჩალის ქვრივი „ავრორა ჰესპეროსის მიმართაა სიყვარულით ანთებული". ავრორას, ბერძნულ მითოლოგიაში ეოსის, და ჰესპეროსის მითიური სახეები ამ შემთხვევაში პარადიგმატულ ფუნქციას იძენენ აისისა და დაისის თანხვდომის ფანტასმაგორიული სურათის ნათელსაყოფად. ავრორა, ეოსი, როგორც ცნობილია, განთიადის ქალღმერთია, ხოლო ჰესპეროსი კი მწუხრის ვარსკვლავი, რომელსაც გოეთესეულ „დივანში" ფეხდაფეხ მისდევს მასზე შეყვარებული ეოსი. ბოლოს კი ამ ანტიკიზირებულ ავრორა — ჰესპეროსის კოლიზიას გოეთე დიდაქტიკური სენტენციით ამთავრებს. პოეტი-მოძღვარი ურჩევს ბიჭს — მერიქიფეს, სახლში შევიდეს და კარი დაკეტოს, რათა ჰესპეროსის მსგავსად ავრორამ ისიც არ გაიტაცოს.

გოეთეს თანამედროვეთ ეს ლექსი, რომელშიც განთიადისა და მწუხრის ერთდროული გამოჩენაა აღწერილი, ასტრონომიისა და ეთიკის მშვენიერ სინთეზად მიაჩნდათ. ალბათ ხწორედ ეს მომენტი აღმოჩნდა თომას მანისთვის გადამწყვეტი, როდესაც თავის რომანში ამ ლექსის სტრიქონების ციტირებას აბდენდა, რათა სამყაროს გოეთესეული ასტრონომიულ-ეთიკური გააზრებისთვის სრულიად ახლებური, თავისებური და ერთგვარად საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია დაეპირისპირებინა. თ. მანისათვის გოეთესთან პოლემიკის ამოსავალ წერტილად იქცა ამ უკანასკნელის ურყევი რწმენა იმისა, რომ არც აისს ანუ აღმოსავლეთს და არც დაისს ანუ დასავლეთს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რამეთუ „ღვთის წინაშე ყოველივე მშვენიერია" და სამყაროს ყველა ნაწილში, ყველა ელემენტში ღმერთის ხელი ურევია.

მოძღვარი-პოეტისა და მოსწავლე-მწდის მხატვრულ სახეებში ძნელი არაა „ჰუმანისტის", „პედაგოგის" სეტემბრინისა და ჰანს კასტორპის პროტოტიპების დანახვა. ამგვარად გოეთესეული „დივანის", ერთი შედარებით, მცირე ეპიზოდი გახდა თ. მანის რომანის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივის ამოსავალი წერტილი. რაც შეეხება ავრორა-ჰესპეროსის მეტაფორას, იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს „ჯადოსნურ მთაში", რადგან აშკარაა მათი კავშირი მადამ შოშასა და ჰანს კასტორპის მხატვრულ სახეებთან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მადამ შოშას, ამ რუსი ქალის მხატვრულ სახესთან ერთად რომანში შემოდის ორი კულტურული სამყაროს — დასავლეთისა და აღმოსავლეთის — რადიკალური დაპირისპირებულობა. თუ „ყირგიზულთვალებიანი" ქალი აღმოსავლეთის განსახიერებაა, ჰანს კასტორპი „ღვთიური დასავლეთის შვილია". ამიტომაცაა შესაძლებელი ანალოგიის ძიება ერთი მხრივ, განთიადის ქალღმერთ ეოსსა და ქალბატონ შოშას შორის, რადგან აისი ხომ ყოველთვის აღმოსავლეთთანაა დაკავშირებული, მეორე მხრივ, კი დასავლეთში მოკიაფე ვარსკვლავს ჰესპეროსსა და „ღვთიური დასავლეთის შვილს"; ჰანს კასტორპს შორის.

გოეთეს „დივანიდან" აღებული უჩვეულო სიტუაცია, როდესაც დასავლეთში ჩახჩახა დღეა, აღმოსავლეთში კი ნისლიანი ღამე, თომას მანთან განსაკუთრებულ აზრობრივ დატვირთვას იძენს. აქ ხდება ერთგვარი ინვერსია, პერსპექტივათა თავისებური აღრევა. ნამდვილად პარადოქსია, როდესაც დასავლეთი უეცრად შუქისა და ნათელი დღის, ხოლო აღმოსავლეთი კი ნისლისა და ღამის სუფეროდ გადაიქცევა; მაგრამ თ. მანთან ხივრცითი ორიენტაციის პერსპექტივათა შეგნებული, გააზრებული აღრევის გზით მიიღწევა სივრცით ურთიერთობათა ხარისხობრივი კვალიფიკაცია, როდესაც დასავლეთი და აღმოსავლეთი გაიაზრება, როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სულიერი და ზნეობრივი სამყარო, რომელთა შორისაც შეუვსებელი უფსკრულია გადაჭიმული. ამ ორ სფეროს ერთმანეთისაგან აშორებს არსებობის ორი სრულიად პოლარული პრინციპი, წესი: „ძალა და სამართალი, ტირანია და თავისუფლება, ცრუმორწმუნეობა და ცოდნა, უძრაობისა და მჩქეფარე მოძრაობის, პროგრესის პრინციპი. პირველს შეიძლება აზიური, მეორეს კი ევროპული პრინციპი ეწოდოს, რადგან ევროპა იყო ყოველთვის ამბოხის, კრიტიკისა და გარდაქმნის სამშობლო, მაშინ როცა დედამიწის აღმოსავლური ნაწილი უძრაობას და უმოქმედო სიმშვიდეს ანსახიერებდა". აღმოსავლეთი ამავე დროს ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს დასავლური სამყაროსათვის, რადგან აზია შთანთქავს მას. „საითაც არ უნდა გაიხედო, თათრულ სახეებს დაინახავ", „სულ პართები და სკვითები", რომლებშიც „მოსკოვიტური მონგოლეთიდან ჩამოსული ტიპები" (რუსებია ნაგულისხმევი), რომელთა ორმა „მდაბიო", „არაცივილიზებულმა" და „ბარბაროსმა" წარმომადგენელმა ბერგჰოფში ჩამოსვლის თითქმის პირველსავე დღეს შეაძრწუნა ჰანს კასტორპი.

სწორედ ამ ორი, დასავლური და აღმოსავლური, სამყაროს პოლარულობა უპირისპირებს ერთმანეთს „ჩრდილო ბაზუასა" და „სამხრეთელს", ამ ორ საწინააღმდეგო სამყაროს, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან სამხრეთელისა და ჩრდილოელის მიღმა უნდა დავინახოთ ორი ოპოზიციური სამყაროდან ერთ-ერთი — დასავლეთი ან აღმოსავლეთი. ამასთან დაკავშირებით უსაფუძვლო არ იქნებოდა ჰერდერის აზრის გახსენება „სამი დინების" შესახებ. ერთ-ერთი ამ დინებათაგან სათავეს აღმოსავლეთიდან (ორიენტიდან) იღებს და საბერძნეთისა და იტალიის გავლით მდორედ ეშვება სამხრეთ ევროპის ნიადაგზე, მას თან მოაქვს რბილი, ლმობიერი რელიგია, პოეტური წარმოსახვის ფაქიზი ძალა, მუსიკა, ხელოვნება, ზნეობა და აღმოსავლური სამხრეთის მეცნიერება; ამავე დროს მეორე დინება ევროპაში აზიის ჩრდილოეთიდან აღწევს და სწორედ ჩრდილოეთიდან წალეკავს მას. აღმოჩნდება, რომ სწორედ გერმანია წარმოადგენს იმ ნაყოფიერ ნიადაგს, რომელზეც მშვენივრად შეიძლება ჩრდილოეთის ისტორიის შესწავლა. საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთის ცნება ჰერდერთან არაერთმნიშვნელოვანია. ესაა, ერთი მხრივ, ორიენტი, მორგენლანდი (ახლო აღმოსავლეთი), საკუთრივ აღმოსავლეთი, უძველესი პოეზიის, ხელოვნების, მეცნიერებისა და მისტიკის სამშობლო, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია სამხრეთ ევროპელთა (იგულისხმება ფრანგები, იტალიელები, ესპანელები ანუ ჭეშმარიტი დასავლეთ ევროპელები) აზროვნებისა და გემოვნების ჩამოყალიბებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ესაა აზიატური აღმოსავლეთი, „აზიატურ სათათრეთად", „ციმბირად", „მონღოლეთად" წოდებული, სადაც გამეფებულია „ვანდალურ-გოთურ-სკვითურ-თათრული" ცხოვრების წესი, რომლის კვალიც საკმაოდ ღრმადაა ჩარჩენილი ჩრდილოეთ ევროპის ნიადაგში. თუკი ამ გარემოებამ გერმანული აზროვნების წესისა და არსებობის ფორმის ჩამოყალიბებაზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია, რუსული არსებობისა და აზროვნების წესი ერთგვარად მთლიანად ამითაა განპირობებული.

დასავლური, საკუთრივ ევროპული არსებობის წესი სამხრეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთშეხების პროდუქტია (ცხადია, იგულისხმება აღმოსავლეთის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უძველესი ცივილიზაციის სამშობლოა) — ესაა ესპანურ-იტალიური სამყარო. აქ ურთიერთგადაიკვეთება აღმოსავლური მისტიკის ელემენტები, როგორც სარაცინული და მავრიტანული დაპყრობების რელიქტები, კათოლიციზმის პირქუშ, ზვიად და თავდაჭერილ ზეიმურობასთან. ამ მხრივ, ესპანეთი „მკარა ექსტრემალიზმისკენ იხრება. „სიკვდილის სისასტიკე, შავი, კეთილშობილური და სისხლიანი, ეს არის ინკვიზიცია. გახამებული ბრიჟი, ლოიოლა, ესკორიალი" — სწორედ ესაა ესპანეთი. ამით საწინააღმდეგოდ კი, როგორც ჩრდილოეთის აღმოსავლეთთან შეუღლების შედეგი (აღმოსავლეთი ამ შემთხვევაში გაიგივებულია აზიასთან), „თათრული სახეები... ჩინგისხანი, ტრამალის მგლის ანთებული თვალები, თოვლი და [illegible] მათრახი, შლიუსელბურგი და ქრისტიანობა". ეს კი რუსეთია რომანში აღმოსავლეთად წოდებული, რომლის არსში ჩასაწვდომად „ჰუმანისტური ზნეობის მასშტაბით რომ მივუდგეთ, არაფერი გამოგვივა". ესაა ორი უკიდურესობა, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსი, „ორი ანტიჰუმანისტური ბანაკი". ლაბილური ამორფულობა და უმკაცრესი ზეფორმა, აორგიულობა და ზეორგანულობა წარმოადგენენ ხსენებულ ორ „ანტიჰუმანისტურ ბანაკს", რომელთა შორისაც მერყეობს გერმანული აზროვნების წესი.

ამ ფონზე უკვე ახლებურად, უფრო ნათლად წარმოჩნდება ორ შაჰ სამოსელში გამოწყობილი ბაბუის — იტალიელისა და გერმანელის, „სამხრეთელისა" და „ჩრდილოელის" დაპირისპირება, როგორც „ორი სამყაროს", ქვეყნის სხვადასხვა მხარეთა ოპოზიცია. ეს პარაბოლა, რომელიც ჩართულია ამ კონკრეტულ თავისებურ აზრობრივ კონტექსტში, იძენს მრავალმნიშვნელოვანი ქარაგმის ფუნქციას. იგი აადვილებს რომანის მრავალშრიან სიმბოლოთა წიაღში შეღწევას. აქ თითქოსდა ერთად შეიკრა ქვეყნის ოთხივე მხარე, რომლებიც ურთიერთმიმართებათა მეტად საინტერესო სტრუქტურას ამჟღავნებენ.

„ჯადოსნური მთის" მეთოდოლოგია ემყარება დროულ-სივრცით ურთიერთმიმართებათა მითოლოგიზირებულ მოდელირებას. პრობლემის არსს წარმოადგენს ის, რომ როგორც სივრცით, ისე დროული წესრიგით განისაზღვრება სპეციფიკური მითიური შეფასების სკალით. დროში ყოველგვარი ორიენტაცია გულისხმობს ორიენტაციას სივრცეშიც. ორიენტაციის სქემას კი განსაზღვრავს ზნეობრივი ასპექტის პრიმატი, რაც თავის მხრივ, რაოდენობრივი კრიტერიუმების ხარისხობრივით შეცვლას მოასწავებს. დასავლური და აღმოსავლური არსებობის წესის ანტაგონიზმი განპირობებულია იმით, რომ სივრცითმა ფორმამ წინაპირობა შექმნა გარკვეული დროული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის. ხდება დროის ერთგვარი ხარისხობრივი კვალიფიკაცია, რასაც სრულიად განსაკუთრებულ, თავისებურ ყოფიერებისა და აზროვნების ფორმამდე მივყევართ. დროულ-სივრცითი ურთიერთმიმართებანი „ჯადოსნურ მთაში" შეიძლება ითქვას, არითმეტიკული პროპორციის სახეს ავლენენ: დროის გაჭიმულობა სივრცის უსაზღვრობის პირდაპირპროპორციულია — „სადაც ბევრი სივრცეა, იქ დროც მეტია", მაშინ როდესაც შეკუმშული, შეზღუდული სივრცე ძალას ატანს დროს, კვეცავს და ამჭიდროვებს მას. ამგვარად, სადაც „მცირეა სივრცე" დროც ცოტაა. ამით განისაზღვრება დროის მიმართ განსხვავებული მიდგომა. ამით აიხსნება დროის გააზრება, განცდა როგორც ქმნადობის ან როგორც მოცემულობის.

იმის მიხედვით, თუ რომელს დარჩება ამ ორი მიდგომიდან პირველობა ადამიანის ცნობიერებაში, შეიძლება მსჯელობა არსებობის ევროპულ, დასავლურ პრინციპზე, ,,ევროპული ცხოვრების წესზე" ან აღმოსავლურ, ,,აზიურ სტილზე". აღმოსავლეთის შვილებს ,,ღვთიური დასავლეთის", ,,ცივილიზაციის პირმშოთაგან" განსხვავებით, მათი სივრცის უკიდეგანო მასშტაბებისა და განზომილებათა წყალობით, ახასიათებს გულუხვობა,... ბარბაროსული ხელგაშლილობა დრო-ჟამის ხარჯვაში". დროის ღირებულება უშუალოდაა დამოკიდებული სივრცის ღირებულებისაგან, როგორც პირდაპირი ისე გადატანითი მნიშვნელობით: ,,როგორც მიწა ძვირდება თანდათან იქ (ე. ი. დასავლეთში) და მიუტევებელი ბდება ფართობის განიავება, ისევე ძვირდება იქ დრო".

დროის ამგვარი კვალიფიკაცია გულისხმობს აქცენტების არაერთგვაროვან განლაგებას, გამორიცხავს დროის წმინდა სპეკულაციურ, გონებაჭვრეტით აღქმას, როდესაც ყოფიერება საგრძნობისაგან თავისუფლდება, შინაარსი კი წმინდა ფორმით, წმინდა თამაშით იცვლება ანუ გოეთეს თქმისა არ იყოს: ,,დღეს დღესაა, ხვალე კი ხვალ, ხოლო რაც მოსასვლელია და რაც გარდასულა, ვერც წინ გაუსწრებს და ვერც დაყოვნდება".

დროის ფენომენის კონკრეტულ-ხარისხობრივი გააზრება ყოველთვის გულისხმობს გრძნობითი აღქმის გარკვეულ დინამიკას, დროის, როგორც უნივერსალური ხანგრძლივობის განცდის ინტენსივობის სხვადასხვაგვარ დონეს. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს წორედ ისეთ საგანგებო სიტუაციაში, როდესაც ადამიანური წარმოსახვა ექვემდებარება გარკვეულ დროულ ზეპერსპექტივას, ანუ როდესაც დროის სუბიექტური წარმოსახვითი ხანგრძლივობა აშკარად აღემატება მის რეალურ ხანგრძლივობას. ადამიანური წარმოსახვის, ფსიქიკის ამგვარი არაბუნებრივი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ იგი ემორჩილება ერთგვარ ჰერმეტულ მაგიას, როდესაც ადამიანური ფსიქიკა აღმოჩნდება არაჩვეულებრივი, ანომალური, ცდის მიღმური ძალის ტყვეობაში. დროულ პერსპექტივათა აბსოლუტური შერევა-აღრევის განსაცდელად, როდესაც ადამიანი სრულიად უუნაროა განსაზღვროს დროის რეალური დინება, საკმარისია, რომ იგი აღმოჩნდეს მისთვის უჩვეულო პირობებში, როდესაც ,,ჰერმეტულად დახურული კონსერვის" მსგავსად ადამიანი ამოგდებულია დროის დინებიდან. დროისმიღმური მდგომარეობის განცდა სრულიად გარკვეული სივრცითი წესრიგითაა განპირობებული. ამგვარ უჩვეულო ქრონოტოპად სწორედ სანატორიუმი ,,ბერგჰოფი" შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც რომანის თხრობის მანძილზე ხდება მთავარი გმირის სუბსტანციის აბსოლუტური ალქიმიკური გარდაქმნა.

გარეგნულად სანატორიუმის შენობა, რომელსაც მრავალრიცხოვანი ლოჯები ,,პოროვან ღრუბელს" ამსგავსებს, გამოქვაბულის ასოციაციას იწვევს, ხოლო სანატორიუმის გვერდით ,,ხელოვნურად აშენებული მღვიმე" კი ამ ასოციაციას კიდევ უფრო აძლიერებს. მღვიმესთან ,,ბერგჰოფის" აშკარა გარეგნულ მსგავსებას მკვლევარები არაერთხელ დაუფიქრებია მისი და ჰერზელბერგის ანალოგიურობაზე. ამას არც თომას მანი უარჰყოფდა თავის დროზე. სწორედ ამის წყალობით, მკვლევართა დიდი ნაწილი ერთგვარად თავის მოვალეობადაც კი თვლის მიუთითოს ,,ბერგჰოფის" მსგავსებაზე ვენერას მღვიმესთან, რომელშიც ტანჰოიზერმა, ისევე როგორც ჰანს კასტორპმა, შვიდი წელი დაჰყო.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ვენერას მღვიმესთან მსგავსების ძიება საკმარისი არ არის, რადგან წმინდა იდეურ-კონცეპტუალურ პლანში ჯადოსნური მთა კიდევ უფრო ახლოსაა პლატონის გამოქვაბულის ცნობილ სიმბოლოსთან, რომელიც სულიერ დაბრმავებულობას განასახიერებს, სადაც სინათლის მიმართ ზურგშექცეული ადამიანები მხოლოდ გამოქვაბულის კედლებზე არეკლილ საგანთა ჩრდილებს ხედავენ; მაგრამ ეს ნამდვილი საგნები კი არა, არამედ მათი ჩრდილები, მსგავსებები და ანარეკლებია. პლატონი ადამიანის ნორმალური მხედველობის დაქვეითების ორ მიზეზს განასხვავებს: ,,ან როცა შუქიდან სიბნელეში გადადიან, ან როცა სიბნელიდან შუქზე" და ამტკიცებს, რომ იგივე ემართება დაბნეულობაში მყოფ სულსაც, რომელსაც უნარი არ გააჩნია რაიმე დაინახოს. სირთულე სწორედ იმის განსაზღვრაში მდგომარეობს, თუ საიდან მოვიდა ეს სული: ,,უფრო ნათელი ცხოვრებიდან და ამიტომაც მიუჩვევულობის გამო მოიღუშა, თუ პირიქით, სრული უმეცრებიდან ნათელ ცხოვრებაში გადასულს, კაშკაშა შუქმა მოსჭრა თვალი".

მართლაც რთულია, მეტისმეტად ძნელია იმის გარკვევა, თუ რა გზით იარა ,,ჯადოსნური მთის" ახალგაზრდა გმირმა, საიდან სად მოვიდა და სად მოუწია კვლავ დაბრუნება; მაინც სად ეწერა მას ჭეშმარიტ საგანთა და არა მათ ჩრდილთა ჭვრეტის უნარის შეძენა. მოხდა თუ არა მისი სულის ამაღლება ,,გონებითი განჭვრეტის სფეროში", თუ მრავალრიცხოვანი თავგადასავლების ბოლოს მხოლოდ ,,გაფუჭებული მხედველობაღა" შერჩა, როდესაც ჯადოსნური მთის ჰიშკარში უხეშად გამოსროლილი გაოგნებული იჯდა ბალახში და უჩვეულო განათების გამო თვალებს იფშვნეტდა.

ჰანს კასტორპის გონება და სული დავოსში ჩამოსვლის პირველივე დღიდანვე აღმოჩნდა სრულ დაბნეულობაში, როდესაც მან თვითკმაყოფილად განუცხადა სეტემბრინის, რომ აქ, ზევით, ყოფნის ერთი დღის მანძილზე, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე „ჩქეფს ცხოვრება“, მას თითქოს „ზანიც მოემატა და ჭკუაც“. ამათ აღმოჩნდა სეტემბრინის ყოველი ცდა მისი მზერა უშუალოდ „ჭეშმარიტი შუქისაკენ“ მიემართა, რადგან როგორც პლატონი ამტკიცებს, ბორკილებიდან გათავისუფლებული გამოქვაბულის ბინადარი, რომელსაც აიძულებენ შეხედოს შუქს, რათა მიუახლოვდეს „სრულყოფილებას“ და „უფრო ჭეშმარიტს“ და ჩასწვდეს „სიკეთის“ იდეას, სასტიკ წინააღმდეგობას გასწევს, რადგან მას თვალები ასტკივდება. საქმე იმაშია, რომ გზააბნეულ სულს მეტად უჭირს „ღამეული დღიდან ყოფიერების ჭეშმარიტი დღისკენ აღმასვლა“. ჰანს კასტორპს არ ეწერა ამ „სიკეთის“ შეცნობა, რადგან „ქედმაღლობით თვალდავსებული ჩრდილებს საგნებად იღებდა“; იგი ბოლოს და ბოლოს მხოლოდ „საგნების სულიერ ჩრდილებზე ოცნებობდა, მაგრამ თვით საგნებს არაფრად აგდებდა“. ჭეშმარიტ საგანთა და მათ აჩრდილთა ცნებების ამგვარი ინვერსია ორი საპირისპირო ცნებათა წყვილის — აზრ-ქმნადობისა და აზროვნება-არსის — ურთიერთაღრევის ტოლფასია. საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ ჯადოსნური მთის ტყვეს მართავდა არა არსზე დამყარებული აზროვნება, არამედ აზრი, რის გამოც მას ეწერა მხოლოდ ოდნავ შეხებოდა „სიკეთის აჩრდილს“. ასეთი ადამიანი პლატონისათვის „თავის ამჟამინდელ ცხოვრებას ძილსა და ზმანებაში ატარებს და ვიდრე აქ გამოფხიზლდება, უკვე მიცვალებულთა სამეფოში აღმოჩნდება“ და იქ კი უკვე საბოლოოდ სამუდამო „ძილს მიეცემა“.

ესქილესთან კი გამოქვაბულის ბინადარნი იყურებიან და ვერაფერს ხედავენ, უსმენენ და არაფერი ესმით, რადგან მთელი „სიცოცხლე თითქოს სიზმრის სამეუფოში“ დააბიჯებენ.

ჰანს კასტორპსაც, რომელიც თვით საგნებს ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ მათი სულიერი ჩრდილები ეზმანებოდა, რადგან ღრმა ძილში ჩაფლულს, სიზმრების ტყვეობაში, მას ალარავითარი უნარი ალარ შესწევდა საგანთა და მათ ანარეკლთა ერთმანეთისაგან გამორჩევისა.

ამგვარად ეს „ძილისგუდა“, ან გოეთეს მეტაფორა რომ მოვიშველიოთ, „ძილის რჩეული“, ეს „ერთი უბრალო ყმაწვილი კაცი“, აღმოჩნდა, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოების მთავარი გმირი. ნავარაუდოა რომ თომას მანის ყურადღება მან მიიპყრო. სწორედ როგორც შვიდი მძინარე ყრმის ლეგენდის მატარებელმა. თავის ავტობიოგრაფიულ ესეში, „ძილის განცხრომა“, თ. მანი ცდილობს თავისი ძილისადმი „გააზრებული სიყვარულის“ მოტივირებას; იგი იხსენებს ბავშვობაში მოსმენილ ზღაპარს კაცზე, რომელმაც ძილი არ იცოდა. ეს კაცი ისეთი „უგუნური დაჟინებით ცდილობდა გამოეყენებინა დრო, რომ ხან დაკარგო ძილი“. ამან იმდენად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ მწერალზე, რომ მას შემდეგ იგი „უოველთვის სიამოვნებით ინიშნავდა წიგნებში ყველაფერს, რაც კი ძილის საქებრად იყო ნათქვამი“. ასე გახდა ჰანს კასტორპი, ეს მძინარე ყრმა, ერთგვარი ანტიპოდი კაცისა, რომელმაც ძილი არ იცოდა, რა იყო.

იმ უდიდესი ინტერესის გათვალისწინებით, რომელსაც თ. მანი იჩენდა ყველაფერი იმის მართ, რაც ძილთან იყო დაკავშირებული, სრულიად ბუნებრივია, რომ ჰანს კასტორპის, ამ მძინარე ყრმის, ისტორიას დიდხანს ჰქონდა მწერლის ფანტაზია შეპყრობილი. საქმე იმაშია, რომ შვიდი მძინარე ყრმის მითში ჩადებულია ხანგრძლივი ძილის ლეგენდარული, მოარული თემა. რომაელი იმპერატორის, დეციუსის, მიერ დევნილმა შვიდმა ქრისტიანმა ეფესელმა ყრმამ თავი შეაფარა გამოქვაბულს სელიონის მთაზე. აქ, ამ ამოქოლილ გამოქვაბულში ეძინათ მათ მრავალი ათეული წლის მანძილზე იმპერატორ თეოდოსიუს II-ის მმართველობამდე. ძილის მთელი პერიოდის მანძილზე ისინი ერთგვარად ამოვარდნილნი იყვნენ დროის უწყვეტი დინებიდან. ღვთისმოსავ ყრმათა მრავალწლიანი ძილის შემდეგ უეცარი გამოღვიძების სასწაულზე მოთხრობილია აგრეთვე „ყურანის“ ცნობილ XVIII სურაში (გამოქვაბული). მუსულმანურ სამყაროში „გამოქვებულის ბინადარნი“ წარმოსდგებიან „სიმბოლოდ ჩვენს ზეციურ სასწაულთა შორის“ (ყურანი, XVIII ს.) თანაც ჰაბუკებს გახელილი თვალებით ეძინათ: „შენ გგონია, რომ მათ ღვიძავთ, მათ ღვიძავთ, მათ კი სძინავთ“. თვალგახელილი მძინარე ყრმათა სურათი ჰანს კასტორპის მდგომარეობას მოგვაგონებს, რომელმაც შვიდი წელი იძინა გახელილი თვალებით ჯადოსნური მთის ჰერმეტულად დახშულ სივრცეში. ნიშანდობლივია, რომ ჭაბუკებს, რომლებიც ძილის პერიოდში დროის მიღმა, უჩვეულო, თავგზააბნევ ვითარებაში აღმოჩნდნენ, გამოღვიძების შემდეგ დრო იმდენად შემოკლებული მოეჩვენათ, რომ გამოქვაბულში გატარებული უგრძესი ვადა, რომლის ჭეშმარიტი ხანგრძლივობა მხოლოდ „ალაჰმა უკეთ უწყის“, მათ მხოლოდ „ერთ დღედ ან დღის ნაწილად“ მიიჩნიეს. ამრიგად მათი გამოღვიძების წამი, სასწაულის ზედროითი ერთჯერადობა აბათილებს დროის რეალურ დინებას, მის ობიექტურ ხანგრძლივობას. ჰერმეტულად დაკეტილ სივრცეში სივრცითი ჩარჩოების მარწუხებში მოქცეული დრო საგრძნობლად შეკუმშული, რედუცირებულია.

ჰანს კასტორპი რომ ნამდვილად სხვადასხვა ხალხთა თქმულებებში გავრცელებული ხანგრძლივი ძილის მითის მატარებელია, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თავის მითიურ წინამორბედთა მსგავსად ინტერესს მხოლოდ ძილის პროცესსა და გამოღვიძების მომენტში იწვევს. (ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია თქმულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენდიმიონზე, გახელილი თვალებით მარად მთვლემარე ჰაბუკზე; ეპიმენიდეზე, რომელიც ორმოცდაჩვიდმეტწლიანი ძილის შემდეგ მაშინვე მოხუცად გადაიქცა. თალმუდში მოთხრობილია ლეგენდა ხონიზე, რომელმაც სამოცდაათი წელი იძინა; ცნობილია თალმუდისეული ვარიანტის ქრისტიანული ძველი აღთქმის აპოკრიფი წინასწარმეტყველ იერემიას მოხწავლის აბიმელექის შესახებ, რომელმაც აგრეთვე სამოცდაათი წელი იძინა). ყურადღების ცენტრში დგას თავად ფაქტი, ძილის პროცესი და სასწაულებრივი გაღვიძების მომენტი, ხოლო შემდგომი ბედი უკვე აღარ იწვევს ალარავითარ ინტერესს. თ. მანიც თავის „ძილისგუდას" გამოღვიძების შემდეგ დაუფარავი „უდარდელობით" ტოვებს ღიად საკითხს იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია მის გმირს. მას ისიც კი აღარ აინტერესებს, გადარჩება თუ არა ცოცხალი „სიკვდილის ამ მსოფლიო ზეიმის" ქაოტურ „ორომტრიალში" ჩაბმული ეს „უბრალო კაცი".

თომას მანის „ჯადოსნურ მთაში" ყველა მოტივი, პრობლემა, თემა და თვით მხატვრული სახეებიც კი ამბივალენტურია. ამიტომაც არაა საკმარისი ჰანს კასტორპის მხოლოდ როგორც „ძილისგუდას" წარმოდგენა, რომელიც რეალური დროის დინებიდან ამოგდებული, ღრმა ძილში წასული მხოლოდ ერთადერთი ამითაა საინტერესო ავტორისათვის. ეს რომანის მხოლოდ ცალმხრივი გაგება იქნება, რადგან სწორედ ძილია ის სასწაულებრივი მომენტი, როდესაც ახალგაზრდა გმირს გონება გაუნათდება. ეს ის მომენტია, როდესაც „საშუალო ადამიანი" ჰანს კასტორპი ხედავს იმას, რაც თითქმის შეუთავსებელია მის ინტელექტუალურ დონესა და სულიერ შესაძლებლობებთან.

ჰანს კასტორპი, ეს „თავისი შედგენილობით არარითული ნივთიერება", რომანში განიცდის ე. წ. „ალქიმიურ" „აქტივიზაციას". ყოველივე ეს ხდება იმის წყალობით, რომ კასტორპი აღმოჩნდა თუ არა დახშულ, ჰერმეტულ სივრცეში, მისი ცნობიერების დამაბრმავებელმა, ყოვლისშთანშთქმელმა ალმა თანდათან იწყო ქრობა, რამაც ახალგაზრდა კაცს პირობა შეუქმნა თავის ჭეშმარიტ, პირვანდელ, ნეტარ მდგომარეობას დაბრუნებოდა და ამავე დროს ხელი შეუწყო მასში ისეთი მორალური და გონებრივი თვისებების განვითარებას, რაც ამ მომენტამდე ყოვლად წარმოუდგენელი იყო. აღმოჩნდა თუ არა ძილის ტყვეობაში, ანუ მისი არსებისთვის ყველაზე ბუნებრივ მდგომარეობაში, სწორედ ძილმა გახადა შესაძლებელი მისი ინტელექტუალური და სულიერი ზრდა და განვითარება.

ძილის საბურველში გახვეული დათრგუნული, დასუსტებული აღქმის ფსიქიური აქტივობის წყალობით მიდის ჰანს კასტორპი მისთვის უჩვეული იმგვარ აღმოჩენებამდე სულიერ და ინტელექტუალურ სფეროში, რაც სხვა სამყაროში ანუ იქ „ქვევით", „ბარში" სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ეს აღმოჩენები კი, როგორც წესი, თან ხდევს მორიგ სიზმარს. საქმე იმაშია, რომ თავისთავად სიზმარში ხდება ძილის პროცესში დაკარგული ფსიქიური აქტივობის პერიოდული აღდგენა. რომანაში მრავალრიცხოვანი გრძნეული თუ ასოციაციური სიზმრები იძენენ სრულიად ახალ ფუნქციას. ისინი აძლიერებენ, ამწვავებენ სულიერი, ზნეობრივი და გონებრივი განცდის ინტენსივობას. „აქ, ზევით ლამლამობით შემოჩვეულ, ზედმიწევნით ცხად სიზმრებში" ეწერა ჰანს კასტორპს სიცოცხლის ისეთ საიდუმლოებათა შეცნობა, რომელთაც ადრე მისი ფიქრიც კი არ შეხებია. ამ სიზმრებში ხდება გარე სამყაროს მიერ გამოწვეული ქვეცნობიერი განცდების პროეცირება. ყველაფერი — წარსული, აწმყო და მომავალი — გაივლის ახალგაზრდა კაცის სიზმრების პრიზმაში, ყოველივე სწორედ მათში ობიექტივირდება. ეს ზმანებები გარკვეულ წილად ფორმალიზდებიან, შეგრძნებადი ხდებიან. ამას ყველაფერს ხელს უწყობს თავად მთავარი გმირის ფსიქოფიზიკური კონსტიტუციაც, მისი მუდმივ „სომნამბულური" მდგომარეობა.

სწორედ სიზმარში გაუნათა გონება მოულოდნელმა აზრმა ჰანს კასტორპს დროის არსის შესახებ. იგი მიხვდა, რომ დრო „სხვა არა იყო რა, თუ არა „მუნჯი დაიკო", „უსკალო ვერცხლისწყლის სვეტი", ანუ ყოველგვარ რაოდენობრივ თვისებას მოკლებული, არა ჰომოგენური არამედ ჰეტეროგენული ხარისხობრივი კატეგორია, რომელიც თავის დინებაში აბსოლუტურად არაერთგვაროვანია. „ხან უსასრულოდ გაჭიანურებული, ხან კი შეუმჩნევლად და უხმაუროდ მსრბოლი, განსაკუთრებით მისთვის, ვინც ზმანების ტყვეობაშია. ამის საუკეთესო ნიმუშს სწორედ სიცხის გაზომვის ის შვიდწუთიანი ინტერვალი წარმოადგენს, რომელიც „ბერგჰოფში გატარებული შვიდი წლის ერთგვარი მიკრომოდელია, ესაა ერთგვარი მიკროსფერო შვიდწლიანი ხანგრძლივობის მაკროსფეროში.

ამრიგად, დრო ორგვარად გაიაზრება, ესაა ერთი მხრივ, განცდილი პირადული სივრცისგან დამოუკიდებელი, ხოლო მეორე მხრივ, კი პირობითი, სივრცის კატეგორიაზე დამოკიდებული დრო. სავულისხმოა, რომ თავის დროზე ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა ანრი ბერგსონმაც შემოიტანა რეალური ხანგრძლივობის ცნება, რომელიც წარმოადგენს არა ერთგვაროვან ჰომოგენურ უცვლელობას, არამედ მუდმივ ჰეტეროგენულ ცვალებადობას. ბერგსონი განასხვავებს ხანგრძლივობის ორ ცნებას, ერთია — ჭეშმარიტი, ყოველგვარი ექსტენსიურობისა და რაოდენობრიობისაგან თავისუფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი „ხარისხობრივ" ცვალებადობათა უწყვეტი ჯაჭვი, ანუ „წმინდა ჰეტეროგენულობა". მეორე შემთხვევაში კი ადამიანის ცნობიერებაში შემოვლით შემოიპარება სივრცის იდეა და ხანგრძლივობას სრულიად მცდარად მიეწერება ჰომოგენურობა. ამგვარად, ბერგსონისთვის რეალური „ჭეშმარიტი დრო" ჰეტეროგენულ-ხარისხობრივია და არა ჰომოგენურ-რაოდენობრივი.

სივრცითი სიმბოლოებისა და რაოდენობრივი ერთეულების ჩვეული ჩარჩოების ტვირთისაგან გათავისუფლებას აზროვნება მხოლოდ ძილის პროცესში აღწევს, რადგან სწორედ ძილში თავისუფლდება ადამიანი გარე სამყაროს სივრცობრიობის დაწოლისაგან. ფხიზელი ადამიანისათვის სივრცეა ხანგრძლივობისა და დროის ერთადერთი მასშტაბი, იგი ჰომოგენური დროის ტყვეა. მხოლოდ ძილში დგება ჰეტეროგენული დროის მეფობის ხანა, რადგან ჩვენ კი აღარ ვზომავთ, არამედ შევიგრძნობთ ხანგრძლივობას, ე. ი. რაოდენობრივად იგი გადადის ხარისხობრივ სფეროში.

მარსელ პრუსტიც თავის ცნობილ რომანში, „დაკარგული დროის ძიებაში", უშვებს ორგვარი დროის არსებობას. ესაა ერთი მხრივ, ფხიზელ ადამიანთა დრო, რომელიც საათის მეშვეობით იზომება და მეორე მხრივ, კი მძინარე ადამიანთა დრო. ეს არა მარტო სხვა დროა, არამედ სხვა ცხოვრებაცაა, რომელიც განზომილებად დროს არ ექვემდებარება. პრუსტისთვის მძინარე ადამიანის დრო ხარისხობრივი და არა რაოდენობრივი ხასიათისაა.

ამგვარად, ხარისხობრივი, ჰეტეროგენული დროის შეფასების სკალა ასტრონომიულ და მათემატიკურ პირობით განზომილებათა სისტემის მიღმაა. იგი მთლიანად ემყარება სუბიექტურ განცდასა და აღქმას. ამასთანა დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა იმის გახსენება, რომ დროის გაგება მითიურ აზროვნებაშიც მოკლებულია რაოდენობრივ ხასიათს, იგი არადიფერენცირებული და განუზომელია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხანგრძლივობას მიაწერენ მას, ანუ ეს დროულ ინტერვალთა მწყობრი თანმიმდევრობა კი არა, არამედ დროა თავისთავად. ამიტომაც ეს დრო მთლიანად ხარისხობრივია. აქვე საჭიროა დავსძინოთ, რომ სწორედ ძილში ხდება დროის გადასვლა რაოდენობრივიდან ხარისხობრივ დონეზე. ამდენად გასაკვირი აღარ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მითიურ დროს ხშირად აიგივებენ „სიზმრების დროსთან", რადგან მითიური დროის მაგიური ემანაცია მითის მატარებლისთვის ხორციელდება ძილის პროცესში. თუ გავითვალისწინებთ, რომ „კადონსური მთის" ძირითად მეთოდოლოგიას სამყაროს მითიური მოდელირება წარმოადგენს, სრულიად ბუნებრივია ის, რომ თავის ყველაზე გასაოცარ აღმოჩენებს დროის შესახებ ჰანს კასტორპი სწორედ ძილში, სიზმრებში აღწევს.

ჰანს კასტორპის მხატვრული სახის წინააღმდეგობრივ, ამბივალენტურ არსზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შვიდი წლის მანძილზე ჰერმეტულ სივრცეში გამოკეტილი, დროის ჩვეული ნაკადიდან ამოვარდნილი, იგი გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძილის რჩეული" იყო. ძილი კი ერთი მხრივ, ნახევრად სიკვდილია, რადგან ამ დროს, როგორც უკვე ითქვა, ატროფირებულია ადამიანის ფსიქო-ფიზიკური აქტივობა, მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ძილში, სიზმარში თავისუფლდება ადამიანის პირველადი სუბსტანცია. მე. ყოველდღიური ცხოვრების სივრცითი სიმბოლოებისა და რაოდენობრივი ერთეულების ჩვეული ტვირთისაგან. სიზმარში ხდება აღქმის უნარის აქტივობის უფრო ინტენსიური აღდგენა, აღორძინება. ამდენად სრულიად მართებული იქნებოდა ჰანს კასტორპის, ამ მძინარე ყრმის, მიერ განვლილი გზა გოეთესეული ფორმულის „მოკვდი და იქმენ"

რეალურ განხორციელებად მიგვეჩნია, რადგან მის ხანგრძლივ ძილს, ანუ ნახევრად სიკვდილს, ამ არართულ სუბსანატიაში თურმე ისედი პოტენციური ენერგიის გაღვიძება და აღორძინება შესძლებია, რაც იქ, „ზეგანზე", ანუ ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოვდა დინა

# ეგზისტენციალური არჩევანი

მხატვრის მსოფლმხედველობა, ცხოვრების კანონები გასაგები ხდება თვით მხატვრის ბიოგრაფიიდან, მისი „მე“-დან. განუმეორებელი, ინდივიდუალური აღქმა და გამოხატვა სამყაროსი მხატვრულ სახეებში ჩვენ სინამდვილის ახალ ფილოსოფიურ გააზრებას გვაძლევს.

„ცხოვრების სიხარული და საყოველთაო სიყვარული“ ლ. ტოლსტოისა და „ყველაზე უბედური“ კირკეგორისა, „ზეადამიანი“ ნიცშესი და „იატაკქვეშელი ადამიანი“ დოსტოევსკისა გაპირობებულნი არიან არა მხოლოდ მწერლის, ქარაქტეროლოგიური და ბიოგრაფიული მონაცემებით, არამედ ცხოვრების საზრისის ძიებითაც.

„იმის ცოდნის გარეშე, თუ ვინ ვარ მე და რატომ ვარ აქ, შეუძლებელია ცხოვრება. მაგრამ ამის ცოდნა მე არ შემიძლია. მაშასადამე, ცხოვრება შეუძლებელია“, ამბობს ლ. ტოლსტოის ავტობიოგრაფიული გმირი ლევინი, ქვემოთ მოგვაქვს ამ კითხვაზე პასუხის ტოლსტოისეული ვარიანტები. ლევინის ეჭვები და ძიებანი გადაჭრილია გლეხი ფოკანიჩის სიტყვებით, რაც მან სხვა გლეხზე თქვა: „ცხოვრობს სულისათვის, ღმერთი ახსოვს, სიმართლით ცხოვრობს, ღვთისნიერად“. ლევინის გაგებით, ღმერთისათვის ცხოვრება ნიშნავს სინდისიერ ცხოვრებას, მოყვასზე ზრუნვას. ტოლსტოი თანაუგრძნობს ღატაკ გლეხს, რომელსაც შთააგონებენ, რომ თუ მან მოიპარა ბატონის მიწიდან ფიჩხი, ის ქურდია. მიწა უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც მას ამუშავებს. მაგრამ ტოლსტოიმ თავისი მიწები გადასცა არა უმიწო გლეხებს, არამედ თავის ცოლსა და შვილებზე გადაწერა. სხვათა შორის, ის კი არაა მთავარი, თუ ვის მისცემ, რადგან ტოლსტოის მიხედვით, საკუთრებისაგან განთავისუფლება შეიძლება შინაგანადაც, სულიერად, მისი ზედმეტობის შეგნებით.

„ბედნიერება, — წერს ტოლსტოი მოთხრობაში „ბავშვობა“, — არაა დამოკიდებული გარეგან მიზეზებზე, არამედ მხოლოდ მისდამი ჩვენს მიმართებაზე და ადამიანი, რომელიც ტანჯვას შეეჩვია, არ შეიძლება უბედური იყოს. მთავარია, შეაჩვიო თავი ტანჯვის გადატანას. და ტოლსტოი „საკუჭნაოში გაშიშვლებულ ზურგს იშოლტავდა თოკით და გაწვდილ ხელებში ტატიშჩევის ლექსიკონები ეჭირა“. სურვილი მსხვერპლგაღებისა, და ზიარება გლეხის დამქანცველი შრომისადმი — შეშის ჭრა, მიწის ხვნა, ღარიბი ქვრივი ქალის ღუმელის აწყობა, ესეც ფარსია — ამ დროს კი ქვრივის ფანჯრებ წინ მიჭქრიან შესანიშნავ ცხენებზე მწევარი ძაღლების ხროვით ტოლსტოის ვაჟები (იხ. ვ. ვერესიევი. ცოცხალი ცხოვრება, ტ. 8. მოსკოვი, 1929, გვ. 160).

შემთხვევითი არ არის ტოლსტოის კომპრომისი ცოლის მიმართ, რომელსაც ქმრის დაკარგვის შიში ხელს არ უშლიდა მკაცრად ედევნებინა თვალი შემოსავლისათვის, დაეჯარიმებინა და გაეგზავნა გლეხები ჯარისკაცებად, ტყის დატაცებისათვის. ასევე იქცევიან საკუთრებით დატვირთული საყვარელი გმირები ტოლსტოისა. იმარჯვებს სიცოცხლის ინსტინქტი და არა მიწიერი კეთილდღეობის უარყოფა „დედამიწაზე სიმართლის გამარჯვების სახელით“. ლ. ტოლსტოის ერთ-ერთი გმირი, პიერი ამბობს, რომ ყველა იტანჯება, ეწვალება, ირყვნება და რომ ამიტომ ჩვენი ვალია ღარიბებს მივეშველოთ. „რა თქმა უნდა, ის მართალია, — ამბობს თავადის ქალი მარია, — მაგრამ მას ავიწყდება, რომ ჩვენ გვაქვს სხვა მოვალეობანი, რაზეც თვით ღმერთმა მიგვითითა და რომ ჩვენ შეგვიძლია საფრთხეში ჩვენი თავი ჩავიგდოთ და არა ბავშვები“. თავადის ქალ მარიას, რომელიც მიისწრაფოდა „დაუსრულებელის, მარადიულის, სრულყოფილისაკენ, ერთგვარად ეჩოთირება ქმრის მიწიერება, რომელიც უცებ ბავშვების შემდეგ იწყებს ლაპარაკს გამოსყიდვაზე, ვალის გადახდაზე“, მაგრამ იმის შიშით, რომ ოჯახური მყუდროება არ დაკარგოს, ჩქარობს, დაეთანხმოს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინდისთან კომპრომისი არ არღვევს გმირთა სიმშვიდეს, მათ ოჯახურ მყუდროებას. ტოლსტოი, რომელსაც განდეგილობა სწყურია, გარემოსილია საყვარელი მეუღლის ზრუნვით, მრავალრიცხოვანი შინამოსამსახურეებით, მეგობრებით, ხოლო კირკეგორს, რომელსაც ვნებიანად სურს სიცოცხლე, ბედნიერება, უსაზღვრო მარტოობით იტანჯება. ის „ყველაზე უბედურია“, რომელსაც არც ერთი მონათესავე სული არ ჰყავს, არა აქვს მოგონებები, თვით იმედებიც კი. ის, რომელიც არაა დაცული სამყაროში არც ერთი არსებისაგან, უსასრულობის წინაშე დგას. „არც ერთ ადამიანს არ ძალუძს, აიტანოს უსასრულობის ჭვრეტა“ (კირკეგორი. ტკბობა და მოვალეობა. სპბ., 1894, გვ. 326. რუსულ ენაზე).

ტოლსტოის და კირკეგორს, აკრიტიკებდნენ რა ოფიციალური ქრისტიანული ეკლესიის დოგმატებს, სურდათ ღმერთთან უშუალო (პროტესტანტული) კავშირი. მაგრამ თუ ტოლსტოისათვის მორჩილებისა და ასკეტიზმის ქადაგება იყო განყენებული ჭეშმარიტება, კირკეგორისათვის ჭეშმარიტების ცოდნა არ შეიძლება, ჭეშმარიტებაში შეიძლება ყოფნა. ჭეშმარიტება პიროვნულია და არა ზოგადი მნიშვნელობისა. კირკეგორის ეგზისტენციალური ფილოსოფია შესტოვმა ასე განსაზღვრა: „კირკეგორი აზროვნებდა, რომ ეცხოვრა და არ ცხოვრობდა იმისთვის, რომ ეაზროვნა“ (ლ. შესტოვი. გონებრივი ჭვრეტა და გამოცხადება. პარიზი. 1964). უყენებს რა თავის თავსა და ადამიანებს აბსოლუტურ მოთხოვნილებებს, ადამიანი ხდება ღირსი ღმრთისა და ამით მოიპოვებს უფლებას მასთან კავშირისას. ადამიანები კი არათანმიმდევრულნი არიან. სულმოკლეა მათი იდეალებიც. ისინი ვერ უძლებენ ცთუნებას სინამდვილისას. კირკეგორის მიერ სამყაროს უარყოფა აიხსნება მისი ხევდით სრულყოფილებისადმი. „მე რომ ერთგულება დამენახა, რომელიც ძლევს ყოველ გამოცდას, ყოვლადძლიერი გატაცება, რწმენა, მთებს რომ სძრავს და რომელიც სასრულს არიგებს უსასრულოსთან“ (კირკეგორი. ტკბობა და მოვალეობა. სპბ., 1894, გვ. 17. რუსულ ენაზე). ასეთ მოთხოვნილებათა წამოყენება — არის უდიდესი პატივისცემა, ადამიანის მიერ ღმერთის პატივისცემა. ასეთი მოთხოვნები ვერ უძლებენ გამოცდას, რადგან ადამიანის ღმერთთან მიმსგავსება ცხოვრების წინააღმდეგობათა უარყოფაა. „პოეტი ხედავს იდეალებს, — წერს კირკეგორი, — მაგრამ იმისათვის, რომ დასტკბეს მათი ჭვრეტით, პოეტი უნდა გაექცეს სამყაროს: მას არ ძალუძს ატაროს თავისთავში ეს ღვთაებრივი სახეებიც ცხოვრებისეულ ამაოებაში“.

პიროვნებამ შეგნებულად უნდა ამოირჩიოს თავისი თავი. უარყოფს რა სამყაროს და ირჩევს რა თავის სულს, ადამიანი როგორღაც დამოუკიდებელი ხდება გარემო პირობებისაგან. არჩევანის წყალობით „პირველად იბადება პიროვნება, პიროვნება არა უშუალო ბუნებრივი გაგებით, როგორც რიგ თავისებურებათა ერთიანობა, არამედ მისი ჭეშმარიტი ქრისტიანული მნიშვნელობით, როგორც დაბადება თვით ადამიანის მიერ და არა მისი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბება. თავის თავის არჩევა — ესაა ადამის ხელმეორედ დაბადება“ (კირკეგორი. ტკბობა და მოვალეობა. სპბ. 1894, გვ. 288).

კირკეგორთან არჩევანი აბსოლუტის არჩევას ნიშნავს. დაქორწინება — მეუღლის შემთხვევითი არჩევის გააბსოლუტურებას. ამომრჩევლის ბედი — ესაა მარტოობის სასოწარკვეთილება. ასეთ ადამიანს, როგორც უნდა სწყუროდეს ბედნიერება და მხარდაჭერა, არ ძალუძს, დაძლიოს უფსკრული, არსებული მას და მიწიერი ბედით მცხოვრებ ადამიანებს შორის — „ვირჩევ რა აბსოლუტს, მე ვირჩევ სასოწარკვეთილებას, ხოლო ვირჩევ რა სასოწარკვეთილებას, ვირჩევ აბსოლუტს, რადგან აბსოლუტი მე თვითონ ვარ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვირჩევ რა აბსოლუტს, მე ჩემსავე თავს ვირჩევ“. არჩევანის გაბედულება ნიშნავს დაუსრულებელ თავისუფლებას. არჩევანი ადამიანს ღმერთს უთანასწორებს. მხოლოდ სიცოცხლის ფასად განვლის რა ადამიანი აბრამის „შიშსა და ძრწოლას“, ღმერთთან უშუალო საუბრის უფლებას, პირისპირ საუბრის უფლებას მოიპოვებს.

დავუბრუნდეთ ტოლსტოის. ერთი შეხედვით, ტოლსტოისთან ადამიანი სიხარულით ცხოვრობს, სვინდისიერად ცხოვრობს, ახსოვს მოყვასი. მაგრამ არსებობს სიკვდილიც და თუ სიკვდილი განადგურებაა, მაშინ სიცოცხლეს ეკარგება აზრი. თვით ტოლსტოი აღიარებდა „აღსარებაში“, რომ მისი მსოფლმხედველობის ამოსავალი პუნქტი და მოტივი იყო შიში სიკვდილისა. თავად ანდრეის პატივმოყვარული ოცნებები ექვემდებარებიან სიკვდილის გამოცდას. „სამ სიკვდილში“, „ომსა და ზავში“, „ანა კარენინაში“, „ივან ილიჩის სიკვდილში“ — ბედნიერება, საზოგადოებრივი პრესტიჟი, სიმდიდრე, ფუფუნება, გრძნობადი ტკბობა — ყოველივე არარაობაა და მოჩვენებაა სიკვდილის წინაშე.

გიყვარდეს ყველა, მაგრამ განსაკუთრებით კი არავინ, — ამ დასკვნამდე მივიდა დაჭრილი ბალკონსკი, „როდესაც მისი „მე“-ს ცხოველური სანთელი თითქმის ქრებოდა, ქრისტიანული სიყვარულის სინათლემ გააცისკროვნა იგი“. ასევე გლეხ კარატაევს ერთნაირად უყვარდა საპატიმროს დარაჯები და თანამემამულენი. „ღმერთი სიყვარულია და სიკვდილი ჩემთვის ნიშნავს იმას, რომ სიყვარულის ნაწილი დაუბრუნდეს საერთო მარადიულ საწყისს“, — ასე ესმის უკვდავება ტოლსტოის. „გიყვარდეს ყველა, ნიშნავს არ გიყვარდეს არავინ, ნიშნავს

ამ მიწიერი ცხოვრებით არ ცხოვრობდე". სიკვდილზე თავის შეხედულებებში, იმ სიკვდილზე, სადაც ტანჯვის საშუალებით ადამიანის ყველა სწრაფვა „არარაობად" იქცევა, ტოლსტოი შოპენჰაუერის მიმდევარია. შოპენჰაუერისათვის სიკვდილი „უდიდესი სიხარულია", „მონანიებაა", თუ შოპენჰაუერისათვის სიკვდილთან ერთად ქრება არა მხოლოდ მოვლენა, არამედ თვით არსიც, რომელსაც მხოლოდ მოვლენაში და მხოლოდ მისი საშუალებით ჰქონდა სუსტი არსებობა („სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა"), ტოლსტოისათვის „ერთიანი" და „მთელი", რისკენაც აბრუნებს სიკვდილი ადამიანს — არის ღმერთი.

ნაწილის შერწყმა მთელთან, რაც ინდივიდუალობის დაკარგვაში გამოიხატება, სპობს სიკვდილის შიშს. „ინდივიდუალობა, — ამბობს ტოლსტოი, — ადამიანის მხოლოდ მატერიალური ნაწილი, მისი წყევლაა, რადგან ინდივიდუალობა ნიშნავს ბრძოლას. ადამიანისათვის, რომელიც სულისთვის ცხოვრობს, სხეულის დაშლა სიკეთეა, მისი განთავისუფლებაა. და რადგან ცოცხალი ღმერთი არის „მთელი", ხოლო ადამიანის სული კი მთელის ნაწილი, რომელიც წარმავალ სხეულში ცხოვრობს, „ნაწილი" სიკვდილთან ერთად „მთელს" უბრუნდება (ნ. გუსევი, სიცოცხლის გზა).

უდრტვინველად, ბუნებრივად, კვდება გლეხი მოთხრობაში „სამი სიკვდილი". გლეხები სახარების ჭეშმარიტების მატარებელნი არიან. ხალხურ მოთხრობებში ტოლსტოი მოხეტიალე ცხოვრებას, ქონების უარყოფას აიდეალებს, „ცისური ფრინველნი არ იმკიან, არ თესავენ". ხალხისათვის დამახასიათებელია მორჩილება, ბედთან შეგუება.

ტოლსტოი ქადაგებდა მოთმინებასა და ასკეტიზმს. ის ხომ მოყვასთა სიყვარულით, კეთილდღეობით, დიდებით იყო გარემოცული. მოთხრობაში — „სადაც სიყვარულია, იქ ღმერთიც არის" — ღარიბი მშრომელი ფეხსაცმელების მკერავი, რომელმაც მახლობლები დაკარგა, დედამიწაზე ჯოჯოხეთის ტანჯვა განვლო, ღმერთი მოიპოვა. მიწიერი სიხარულის უარყოფა, მათხოვრობა, ტოლსტოის მიხედვით, სათნოებაა, ასევე ესმის ასკეტიზმი შოპენაუერსაც: „ასკეტიზმი მიზანია თავისთავად და ის უნდა იყოს ნების ნამდვილი დათრგუნვა იმისათვის, რათა სურვილთა დაკმაყოფილებამ და სიცოცხლის სიტკბოებამ კვლავ არ გამოაღვიძონ ნებისყოფა, რომლის თვითშემეცნება ზიზღით აღივსო" (შოპენჰაუერი. სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა).

ნიცშეს მიხედვით, ის ადგილი, რომელიც ადამიანს იერარქიულ კიბეზე უკავია, იმ ტანჯვით განისაზღვრება, რის ატანაც მას ძალუძს. ნიცშეს, განწირულს სიკვდილისათვის, სურდა ტანჯვათა ძლევა ისე, რომ არავითარი ნუგეში არ ჰქონდა აწმყოში და არც იმედი რჩებოდა სამაგიეროს მიგებისა იმ ქვეყანაში. ის უარყოფდა ტანჯვის შემმეცნებელ და ამით იმედის მომცემ ქრისტიანობას. ტანჯვის ატანა იმედის გარეშე ღირსებას ჰმატებს ადამიანს. ტანჯვა არისტოკრატად აქცევს ადამიანს. ზარატუსტრას უყვარდა უფსკრულზე სიარული.

კირკეგორი ამტკიცებდა, რომ სიცოცხლისადმი ეთიკური დამოკიდებულება გამოიხატება არა მხოლოდ მხდალ გაქცევაში, არამედ ბრძოლაში და ნიცშემ მარტოობა არჩია, განსხვავებით ტოლსტოისაგან, რომელიც განუწყვეტლივ იმეორებდა, რომ სამარცხვინოა იყო მაძღარი და კმაყოფილი მაშინ, როდესაც სამყაროში ამდენი უბედურებაა. ისევე როგორც ტოლსტოი გვთავაზობს, დავიწყოთ სასოწარკვეთილებიდან, ნიცშეც უიმედობიდან დაწყებას გვთავაზობს. თავის წერილებში ნიცშე ლაპარაკობს თავის თავზე როგორც ადამიანზე, რომელსაც არაფერი არ სწყურია ისე, როგორც დამამშვიდებელი ილუზიების დაკარგვა. ბედნიერება სულ უფრო და უფრო მეტ სულიერ განთავისუფლებაშია.

ბრძოლა სიმარტოვესთან, ავადმყოფობასთან, რომლის ბოლოს ჩანს არა იმედი გამოჯანმრთელებისა, არამედ სიკვდილი, ტანჯვათა ძლევის ნებისყოფაში გამოიხატა. ასეთი ბრძოლა მხოლოდ ზეკაცს, ღვთაებრივ ადამიანს ძალუძს. ნიცშე უარყოფს ქრისტიანობას, მიუხედავად ამისა, ქრისტიანობას აძლევს უპირატესობას სხვა რელიგიებთან შედარებით, რადგან ის ღვთაებრივ ადამიანობას ემყარება. ქრისტიანული ღმერთის რწმენა უმაღლესი სიმართლის რწმენას ნიშნავს. ქრისტეს აღდგომა ეს სასწაული კი არაა, არამედ უმაღლესი ჭეშმარიტებაა, ისაა, რაც უნდა იყოს. ჭეშმარიტება ღვთაებრივ ადამიანურობას ნიშნავს და ადამიანისა და სამყაროს თანამონაწილეობას მოითხოვს. ადამიანის ღვთაებრიობაში ნიცშე ხედავდა არა ზებუნებრივს, არამედ სულიერ საწყისს. „აზრციელებს რა თავის თავში ღვთაების სახეს, ადამიანი ამით თავის თავში ახორციელებს ადამიანურ სახეს და პირიქით. ამაშია ღმერთკაცობის საიდუმლოება" (ნ. ბერდიაევი. ღვთაებრივისა და ადამიანურის ეგზისტენციალური დიალექტიკა).

ღმერთ-კაცისათვის მორალი, — ესაა იდეა მოვალეობისა; ზნეობა — ადამიანური არსის ბუნებრივი გამოვლენაა. ზარატუსტრა სათნოებას თვლის არა რაღაც სამოსად, არამედ ადამიანის არსად. სიკეთისათვის სამაგიეროს არ უნდა ელოდე. იგი ისეთივე ბუნებრივია, როგორც დედის სიყვარული, რომელიც საზღაურს არ ელის.

კითხვაზე — „რაში მდგომარეობს ღვთაების არსი?" — ტოლსტოი კრებულში „მწიფე თავთავები" შემდეგ პასუხს იძლევა: „ღმერთი სიყვარულია — სიკეთის, სიხარულის გრძნობა და ადამიანისათვის დამახასიათებელი ნეტარი, ჭეშმარიტი ცხოვრება, რომელმაც არ უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უის სიკვდილი" (ახალგაზრდობის დღიური 7 აგვისტო, 1862). ტოლსტოისთან სიყვარული სინდისში და მოყვრისადმი თანაგრძნობაში ვლინდება. მაგრამ ტოლსტოის გმირების მიერ ძიება სიცოცხლის აზრისა სიკეთეში დამაჯერებელი არაა. ვრონსკის მიერ მიტოვებული კიტი ერთობა უბედურთა და ბედკრულთა სიყვარულით, მაგრამ ძალზე ჩქარა რწმუნდება, რომ ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა სხვა არაფერია, თუ არა თავის მოტყუება. არაა დამაჯერებელი არც ოლენინის მიერ აღმოჩენილი ბედნიერების რეცეპტი. „როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ ბედნიერი ვიყოთ? — „სიყვარული, თავგანწირვა! მას ისე გაეხარდა და ისე აღელდა ამ აღმოჩენის გამო, რაც მას ახალ ჭეშმარიტებად მოეჩვენა, რომ წამოხტა და მოუთმენლად დაიწყო ძიება იმისა, თუ ვისთვის გაეწირა თავი". მართალია, ოლენინს ხანდახან ავიწყდებოდა თავისი აღმოჩენა, მაგრამ როგორც კი გამოფხიზლდებოდა, მაშინვე „შეგნებული თავგანწირვის აზრს ექიდებოდა"...

განუკურნებლად დაავადებულ ნიცშეს სძულდა „კეთილნი". დოსტოევსკის კატორღელებმა, იატაკქვეშელმა ადამიანებმაც იციან თანაგრძნობის უნაყოფობა. თანაგრძნობა დოსტოევსკის გმირებისადმი მით უფრო მეტად არის უაზრო, რომ მათი ტანჯვა შედეგია მათი საკუთარი პიროვნების წინააღმდეგობრიობის, მათი ვნებების. ადამიანი წინააღმდეგობრივია, გაორებულია — ადამიანი — „პატარა, საზიზღარი" თავის დამანგრეველ ვნებებს სამაგიეროს მიღების იმედით აკავებს. ის არის სამყაროს ცენტრი, რომელიც ამაყად აცხადებს უარს უკვდავებაზე. დოსტოევსკის აზრით, არ არსებობს ბოროტება და საზიზღრობა, რომელიც არ იტაცებდეს ადამიანს. რაში სჭირდება რასკოლნიკოვს სიყვარული და თანაგრძნობა, როცა ცხოვრების მიზანს ის თავისუფლებასა და ძალაუფლებაში ხედავს: „თავისუფლება და ძალა, მთავარია ძალა! — მთელ ამ მოკანკალე ნაძირალებზე და მთელ ამ ჭიანჭველების ბუდეზე. „მთავარია, გაბედო, ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. — მე იმიტომ კი არ მოვკალი, რომ მოვიპოვებდი რა საშუალებასა და ძალას, ქველმოქმედი ადამიანი გავმხდარიყავი. სისულელეა!.. მე მინდოდა გამეგო მაშინ... ტილი ვარ, თუ ადამიანი? შევძლებ თუ არა გადავაბიჯო ზღურბლს? არარაობა ვარ, თუ მაქვს უფლება". რასკოლნიკოვმა ზღვარი გადალახა — მოკლა. მაგრამ ის ვერ უძლებს ასეთ თავისუფლებას, თვითონვე ჰბარდება მართლმსაჯულებას.

დიდმა ინკვიზიტორმა იცოდა ეს საიდუმლოება — ადამიანს ჰყავდეს ვიღაც, ვინც მასზე მაღლა იდგება. „არასოდეს არაფერი არ იყო ადამიანისათვის უფრო აუტანელი, ვიდრე თავისუფლება! — ამბობს დიდი ინკვიზიტორი. — ისინი მეამბოხენი არიან, მაგრამ მეამბოხენი სუსტი ნებისანი არიან, რომლებიც საკუთარ ამბოხებას ვერ იტანენ". ღმერთის მოსპობასთან ერთად ტოლსტოისა და დოსტოევსკის გმირები ცხოვრების აზრსა და მიზანს კარგავენ. ნიცშესთან, პირიქით — ზეკაცის შემოქმედებითი თავისუფლება მას ანიჭებს აბსოლუტურ მნიშვნელობას. ღმერთი ზეკაცისა პიროვნების შემოქმედებით თვითდამკვიდრებაში იხსნება. ნიცშეს ზეკაცის თავისუფლება და კირკეგორის „არჩევანის სიმამაცე" მათ მუდმივი მარტოობისათვის სწირავს. მარტოობა არ გულისხმობს აუცილებლად ინდივიდუალიზმს, იგი იმასაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ პიროვნებამ თავისი გარემო დასძლია. ნიცშესა და კირკეგორის მარტოობაში გაცილებით მეტია ზოგადკაცობრიული, ვიდრე ზოგჯერ საზოგადოებრიობაში. მით უმეტეს, რომ რელიგიური გზა პიროვნებიდან საზოგადოებისაკენ მიემართება და არა პირიქით.

ტოლსტოის ყველა უბედურებათა პანაცეა — „ბოროტებისადმი წინააღმდეგობის არგაწევა" — გულისხმობს ინდივიდუალობისაგან უარის თქმას, კირკეგორისათვის პირიქით „ზოგადსაკაცობრიო" მიიღწევა არა იმით, რომ ადამიანი უარს აცხადებს თავის კონკრეტულობაზე (ასეთი უარყოფა საკუთარი თავის მოსპობას უტოლდება), არამედ იმით, რომ ის შეგნებულად უფრო მეტად განიმსჭვალება ამით და, ამავე დროს, თავის თავში „ზოგადსაკაცობრიოს" მიიღებს (ს. კირკეგორი. ტკბობა და მოვალეობა). „ზოგადკაცობრიული, რომელიც ყოველი ინდივიდუუმის კონკრეტულობაშია, გამოდის მისგან და შემდეგ განასხივოსნებს მას სასოწარკვეთილების ანუ არჩევანის აქტის მეშვეობით".

ტოლსტოისთან ცხოვრება სიცოცხლის აზრს განსაზღვრავს, დოსტოევსკისთან პირიქით: სტავროგინი ვერ პოულობს არსებობის აზრს, თავს ჩამოიღრჩობს. დოსტოევსკის გმირებს ჯერ „აზრის ახსნა" სჭირდებათ.

თუ ტოლსტოისთან სიკვდილის პრობლემა წყდება როგორც ნაწილის (ადამიანის) მთელთან (ღმერთთან) დაბრუნება, დოსტოევსკისთან სასიკვდილოდ განწირული იპოლიტე განცვიფრებულია: „რაში მჭირდება მე თქვენი ბუნება, თქვენი მზის ამოსვლა და ჩასვლა, თქვენი ლურჯი ცა, როცა მთელი ეს სამყარო, რომელსაც ბოლო არა აქვს, იმით დაიწყო, რომ მარტო მე ჩამთვალა ზედმეტად?"

დოსტოევსკის მარტოხელა ადამიანი ცხოვრობს დაძაბულად, თვითჩაღრმავებული ცხოვრებით. ბუნებაც მტრულად უყურებს თავისი ოთახიდან — ნაჭუჭიდან გამომზირალ ადამიანს: ნისლი, ტალახი, წვიმა, ქარი ღმუის სიბნელეში. ტოლსტოისთან ბუნება ღვთაებრივად ბრძენია და ადამიანს ისღა რჩება, რომ მის კანონებს დაემორჩილოს. ადამიანის ინსტინქტურ, ბუნებრივ მოთხოვნილებებთან დაბრუნე-

ბაში ტოლსტოი თითქმის ხსნას ხედავდა — „როგორც კი ადამიანმა თავიდან მოიშორა პიროვნება, მასში მოქმედებს უკვე არა ის, არამედ ღმერთი" („ცხოვრების გზა"). მაგრამ ინდივიდუალობის მოსპობა ეწინააღმდეგება ღმერთთან ურთიერთობის პროტესტანტულ ცნებას, რაზეც ტოლსტოი პრეტენზიას აცხადებს.

კირკეგორისათვის ადამიანი თავადაა აბსოლუტი ღმერთის წინაშე, სასოწარკვეთილების გზით ის თავის თავს ირჩევს „არა დროული, შემთხვევითი ინდივიდუუმის აზრით, როგორიცა ხარ შენ შენს ბუნებრივ უშუალობაში, არამედ ადამიანის მუდმივი მნიშვნელობის აზრით" („ტკბობა და მოვალეობა"). არჩევანის შემწეობით ადამიანი შეიცნობს თავის თავს როგორც პიროვნება. მაგრამ ყოვლადძლიერების შეგრძნებას ადგილი მხოლოდ არჩევანის პირველ წამებში აქვს, შემდეგ კი დგება უსასრულობის წინაშე დაუცველობის შიში — „არც ერთ ადამიანს არ შეუძლია ეროვნული ბიბლიოთეკა უსასრულობის ჭვრეტას გაუძლოს". თვითმკვლელობა უარყოფითი ფორმაა „უსასრულო თავისუფლებისა (კირილოვი დოსტოევსკისა: ყველას, ვისაც კი სურს თავისუფლება, თავის მოკვლა უნდა გაბედოს"). (ტკბობა და მოვალეობა).

კირკეგორის ეგზისტენციალური ფილოსოფია — ეს არის ადამიანის აბსოლუტური სიმართლის კავშირი ღმერთის სიმართლესთან. არჩევანი ადამიანს ღმერთთან ათანაბრებს, მაგრამ ადამიანი, რომელმაც ასეთი თავისუფლება გაბედა, უნდა ნანობდეს მას. კირკეგორმა ადამიანები და სამყარო უარყო, მაგრამ ღმერთიც ვერ ჰპოვა, საქმე ისაა, რომ ჭეშმარიტება ღმერთკაცურია, არ შეიძლება ადამიანი მისი სისუსტეების გამო დააკნინო, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აბსოლუტს გაუთანაბრო, რადგან ღმერთი ადამიანის ცნობიერებაზე მაღლა დგას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქიმანდრიტი რაფაილი

# ბიბლიის სიმბოლური ენა

ჩემს თხზულებას „ბიბლიის" სიმბოლური ენა ვუწოდე. უნდა დავსძინო, რომ მიზნად არ მქონია, ბიბლიის გამომსახველობითი საშუალებანი და მისი მხატვრული ღირსება გამერჩია. ეს დიდი მეცნიერული მომზადებითა და პროფესიონალიზმით შეუძლიათ გააკეთონ ლიტერატურისმცოდნეებმა.

შევჩერდები ბიბლიურ სიმბოლიკაზე, როგორც მისი საკრალური გეგმის გამოვლენის საშუალებაზე. საგანგებო სიმბოლიკაზე, რომელიც ახახავს და თავს უყრის წმიდა სახეებში ბიბლიის იდეალურ და ინტელიგიბელურ მხარეებს, ე. ი. ონტოლოგიურ შინაარსს. მე გამოვიყენე სიტყვა „ინტელიგიბეულური" იმიტომ რომ ბიბლია ღვთიური ძალითა და ენერგიითაა სავსე, და, გარკვეული აზრით, მარად ცოცხალ ორგანიზმად ითვლება.

ჩვენს დროში, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის თქმით, ყველა კულტურულ ოჯახს აქვს ან უნდა, რომ ჰქონდეს ბიბლია. მაგრამ ეს ცოტაა. ამასთანავე საჭიროა, შევძლოთ მისი წაკითხვა, ვიცოდეთ მისი ენა, როგორც განსაკუთრებულ ნიშანთა სისტემა, სადაც თითოეული სიმბოლო არა მარტო მხატვრულ-ემოციურ სახედ, არამედ მალოგიკურებელ ძალად, მისტიკური გამოცხადების განხორციელებად ითვლება. ყოველი ბიბლიური სიმბოლო სიტყვაში ჩაქსოვილი ღვთიური გნოსისის მანათობელი კრისტალია. გამოხატვის სხვა საშუალებათაგან განსხვავებით, სიმბოლო სულიერ ღირებულებათა იერარქიას გვიჩვენებს. მას არა მხოლოდ ინფორმაციული, არამედ კომიკაციური მნიშვნელობაც აქვს. სიმბოლო — ესაა მჭვრეტელი სუბიექტის მაკავშირებელი რგოლი სულიერ ობიექტთან, რომელიც უშუალო გრძნობითი აღქმის მიღმა იმყოფება. იმისათვის, რომ სიმბოლო გავიგოთ, იგი ემოციურ და ინტელექტუალურ დონეზე უნდა აღვიქვათ, გავარკვიოთ კონტექსტის მიხედვით, ანალოგიური ნიშნებით, და რაც ყველაზე მთავარია, ნაწარმოების საერთო იდეით ჩავწვდეთ სიმბოლოს, გავხადოთ იგი ჩვენი სულიერი შინაარსის შინაგანი ფაქტი, სიმბოლოთი დავინახოთ და ვიგრძნოთ ის, რასაც იგი გამოხატავს. სიმბოლოს გარკვევა ადამიანისათვის უცილობლად დაკავშირებულია შინაგან ინტერპრეტაციასთან, რომელიც პირად სულიერ გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციებს, რომლის ფარგლებშიაც წარმოიშვება და ინტერპრეტირდება სიმბოლოები. რაც უფრო ახლოა და ადეკვატურია ტრადიციები, მით უფრო სწორი და ღრმაა ტექსტის გაგება. ბიბლია ყველაზე ღრმა და ყველაზე მისტიკური წიგნია ყველა წიგნს შორის. ხატოვნად რომ ვთქვათ, რამდენი სიტყვაცაა მასში — იმდენივე საიდუმლოა. ბიბლიის ენა — ეს არის უზარმაზარი შინაგანი ტევადობის ენა, მრავალმხრივი განზომილებით. ბიბლიურ ენას განსაკუთრებული სიმკვრივე და კონცენტრირებულობა გააჩნია, მაგრამ არა მატერიალურად ვერბალური სიმკვრივე, არამედ უფრო სინათლის ტალღების ენერგეტიკული სიმკვრივე. ბიბლიის ენა უბრალოა და, ამავე დროს, ამოუწურავი, როგორც უბრალო და უსასრულოა მისი ღვთიური ავტორი. თავისი სულიერი დონიდან გამომდინარე მასში ყველა პოულობს თავისას. ბიბლია ყოველთვის იკითხება როგორც ახალი წიგნი, მისი შეცნობა და ამოწურვა ბოლომდე არავის ხელეწიფება, თუნდაც ზეპირად ისწავლოს. ერთი სიღრმის ქვეშ ჩნდება მეორე, რომელსაც უფრო მეტი სულიერი სინათლე ახლავს. სიმაღლისაკენ მავალი მგზავრისთვის თვალსაწიერის მიღმა იშლება სხვა სივრცეები და ჰორიზონტები.

ბიბლიური ტექსტი რამდენიმე აზრობრივ მნიშვნელობას შეიცავს. წმინდა ისტორიულს, სიმბოლურს, დიდაქტიკურს, სულიერ-ანაგოგიკურს და მისტიკურს. ისინი ჰგვანან უზარმაზა-

რი და დიდებული ტაძრის სართულებსა და იარუსებს, რომლებიც ერთ სიბრტყეზე — ბიბლიის ფურცლებზე დაუპროექტებიათ, როგორც საინჟინრო გამოთვლები. მაგრამ ბიბლია არამარტო მალოგიკურებელი სტრუქტურაა, იგი განსაკუთრებული ტიპისა და ხასიათის ღვთიური პოეზიაა, რომელიც თავის თავში შეიცავს გამომხატველობით საშუალებებსა და პოეზიის ელემენტებს, რიტმიკას, ასონანსს, ალიტერაციას და ა. შ. ბიბლიურ სიმბოლიკას არაფერი აქვს საერთო სიმბოლიზმთან, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობასთან. სიმბოლისტურ პოეზიაში სიმბოლო სუბიექტური და ელიტარულია. იგი ააქტიურებს ქვეცნობიერს, მაგრამ მკრთალი ასოციაციებისა და მოგონებების დონეზე, იგი ინდივიდუალურ განცდებშია ჩაკეტილი. ჩვენი აზრით, ობიექტივიზაციას მოკლებული სიმბოლო უკვე სიმბოლო აღარ არის. ბიბლიურ სიმბოლოს აქვს ინტეგრირებისა და უნიფიცირების უნარი. იგი აღვიძებს სულის სიცოცხლეს, რომელიც ჩვეულებრივ ლატენტურ მდგომარეობაშია. ბიბლიური წიგნები — წმიდა პოეზიაა, პოეზია კი თხოულობს თანაგანცდასა და შინაგან ჩართვას მასში. პოეტური სახეები შეუძლებელია მხოლოდ სემანტიკური სიბრტყის დონეზე გაიგო. პოეზიას ემოციური ხასიათის ინფორმაცია მოაქვს, ესაა ემოციის გნოსისი, ამბობენ, რომ პოეზიის კითხვა საპასუხო შთაგონებას მოითხოვს.

მთელი ბიბლია — ეს არის უდიდესი კოსმიური პოემა, ესაა ღვთის სადიდებელი წმიდა ჰიმნი. ბიბლია, უპირველეს ყოვლისა, მისტიკური წიგნია. იგი მოგვითხრობს სულიერ რეალიებზე, მახზედ, რომ იგი არ შეიძლება იყოს აქსიომატური ცოდნისა და სენსორული აღქმის ობიექტი. ამიტომ იგი იყენებს მიწიერ სახეებს, როგორც უნივთო სუბსტანციის რაღაც ანარეკლებს. უკვდავების საიდუმლო ადამიანს არამარტო ჭვრეტითა და აზროვნებით, არამედ სიმპატიკური კავშირებითაც, შეთანხმებულობითა და ჰარმონიითაც ეძლევა. ამიტომ ბიბლიის გაგებისათვის საჭიროა მისტიკური ჩართვა, ბიბლიური ზნეობრივი ორიენტირებით ცხოვრება და რელიგიური ინტუიციის გააქტიურება.

ყოველ ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია მხოლოდ თავის ცოცხალ გარემოში იარსებოს. სულიერი გარემო, სადაც დაიბადა, ინახება, ცოცხლობს და მოქმედებს ბიბლია — ეს ეკლესიაა. ცოცხალი გარემოს გარეშე ორგანიზმი კვდება. ბიბლია ეკლესიის გარეშე მკვდარია. ადამიანის გვამი შეიძლება დაანაწევრო, გაზომო, შეისწავლო ანატომიურად, მაგრამ აქედან ჩვენ ვერაფერს გავიგებთ ადამიანის სულიერ სამყაროზე, — რითი ცხოვრობდა, რაზე ფიქრობდა, ვინ უყვარდა და ვინ სძულდა, რისკენ მიისწრაფვოდა. ტაძრის გარეშე შეიძლება შეისწავლო ბიბლიის მორფოლოგია და არა პნევმატოლოგია, დაინახო მისი ვერბალური სხეული და არა ცოცხალი და სიცოცხლის მიმნიჭებელი სული.

საეკლესიო ღვთისმსახურება — ეს ბიბლიის მუდმივი აქტუალიზაციაა, ბიბლიის ლიტურგიული სიცოცხლეა, ეს არის შესაძლებლობა მათთვის, ვინც ღვთისმსახურებაში მონაწილეობს, ბიბლიის ისტორიიდან ტაძარში მისტიკურად მიმდინარე მოვლენების სუბიექტებად იქცნენ. ბიბლიური სიმბოლიკა სულიერი აღმავლობის საფეხურებს წარმოადგენს, იგი განსაზღვრავს წესრიგსა და თანდათანობითობას თავად სულიერი შემეცნების პროცესში. ბიბლიური სიმბოლო აქსიოლოგიურია, იგი უხსნის ღირსეულთ (მხედველობაში მაქვს ჭეშმარიტების მძებნელი და არა ინტელექტუალური ელიტა) და უკეტავს უღირსთ (უმეცართა და თავდაჭერებულთ) ბიბლიის შინაგან აზრს. სანიმუშოდ მოვიყვან შილერის ცნობილ ლექსს: ტაძარში იყო ფარდა, რომელსაც ეწერა, რომ ის, ვინც ამ ფარდას გადასწევდა, შეიტყობდა უდიდეს საიდუმლოს. ვილაც ჭაბუკი ყაჩაღივით შეიჭრა ტაძარში და უხეშად ჩამოგლიჯა ფარდა და რა... რა დაინახა? მხოლოდ სიცარიელე იმიტომ, რომ ცარიელი იყო ჭაბუკის გული. სულიერი გნოსისი განუხორციელებელია, თუ ადამიანი გულს არ განიწმედს, თუ არ ებრძვის საკუთარ ვნებებს — ეგოიზმს, ეგოცენტრიზმს, ე. ი. ყოველთვის ღალატობს საკუთარ თავს. ამიტომ ემოციური თვითშემეცნება, ეკლესიაში ალსარებას რომ უწოდებენ, სულიერი ცხოვრების მძლავრ მამოძრავებელ ძალად გვევლინება და განუწყვეტლივ აფართოებს სულიერი გნოსისის საზღვრებს.

როგორც ვთქვით, ბიბლია რომ გავიგოთ, უნდა შეგვეძლოს მისი წაკითხვა. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ონტოლოგიური შინაარსი — ესაა მისი საკრალური გეგმა. უნდა შევაღწიოთ მის აზრში და ჩავწვდეთ მისი ალეგორიების დანიშნულებას, მეტაფორების, ანთროპომორფული სახეებისა და ესქატოლოგიური ნიშნების მნიშვნელობას, დავინახოთ ისინი იერარქიულ დაქვემდებარებაში. ბიბლიის მთავარ იდეასა და მის საბოლოო მიზანთან ჰარმონიაში. მთავარი იდეა ის არის, რომ ადამიანმა თავისი სიამაყის წყალობით ღმერთი დაკარგა, ხოლო უფალმა თავისი განუსაზღვრელი სიყვარულით ადამიანი შეიძინა. ბიბლია — ღვთიური სინათლის სხივია, სიტყვაში განხორციელებული; ადამიანური გულის ბნელ კუნჭულებში ჩამარხული ბიბლიური სიტყვები შესაძლებელია კვლავ სინათლედ გადაიქცეს, რომელიც ადამიანის მთელ ცხოვრებას მასში შეჭრილი სულიერი ბრწყინვალებით გაანათლებს. ჰომო საპიენსიდან გარდაქმნის მას ნათლის ძედ და მარადისობის გამოცხადებად დედამიწაზე.

ახლა გადავდივართ შემდეგ პრობლემაზე — ბიბლიის გაგებისათვის წმიდა მამათა სწავლების დანიშნულებაზე. წმიდა მამები ბიბლიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ამიტომ ნუმენატიურ სიღრმემდე სწვდებოდნენ მას. ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთი მაერით სუნთქავდნენ ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან, ლოცვით, სულიერი ჰარმონიით იყვნენ მათთან დაკავშირებულნი და იმყოფებოდნენ რა მათთან, სულიერად ერთ მისტიკურ-ინფორმაციულ ტალღაზე დაწერეს თავიანთი ეგზეგიკურ-ჰერმენევტიკული ნაწარმოებები და დაგვიტოვეს ისინი, როგორც სალვთო წერილის გასაღები. პატრისტიკა — ესაა ბიბლიის მომდევნო სულიერი ფენა, იგი იმავე ღვთაებრივი წყაროს სხივებითაა გასხივოსნებული და გამსჭვალული, მაგრამ ეს სხივები ადამიანის შემოზღუდულობის პრიზმაშია გარდატეხილი, და ამიტომ უფრო მკრთალი და გაფანტულია, მაგრამ შემეცნების ნათელი განსაკუთრებითაა საჭირო ჩვენთვის. სალვთო წერილს ჩვენ სალვთო გადმოცემის საშუალებით ვიღებთ, ბიბლიას კი — ეკლესიის საშუალებით.

ბიბლიის პატრისტიკული განმარტებანი არაა ერთმანეთის ადეკვატური, მამები კი არ იმეორებენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს. სულიერი ეგზეგეტიკის პრინციპია არა ადეკვატურობა, არამედ შინაგანი ერთიანობა. ბიბლიური კომენტარების ერთიდაიგივეობა და დამთხვევა უფრო იმას უნდა მოწმობდეს, რომ ბიბლიური გნოსისი — ღვთიური გონების გნოსისი — შეუძლებელია, ადამიანის გონებისათვის მისაწვდომი გახდეს. წმიდა მამების კომენტარები ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ერთი საგნის გამოსახულება, რომელიც სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვა მანძილიდანაა დახატული.

## მეორე ნაწილი

მინდა შევჩერდე ერთ ბიბლიურ ტექსტზე, რომელსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ქრისტიანულ ფილოსოფიასა და ანთროპოლოგიაში (ფილოსოფიაში ვგულისხმობ არა სისტემას, არამედ — ინტერპრეტაციას). ეს არის ამბავი ადამიანის შექმნის შესახებ (არ შევეხები ბიბლიურ დღეებს — ბიბლიური კოსმოგონიის შექმნის პერიოდებს). შემოქმედების ბოლო ეტაპზე, როგორც კოსმოსის გვირგვინი, გაჩნდა ადამიანი. „ვინ" არის ადამიანი, თუ იგი მხოლოდ „რა" არის? საიდან არის და რატომ მოვიდა დედამიწაზე? ღვთიურია თუ ცხოველური? ეს კითხვა მთავარ წყალგამყოფად ითვლება ძველსა და ახალ აზროვნებას შორის. ეს კოსმოლოგიის არამარტო ერთი ძირითადი საკითხთაგანია თეოლოგიასა და ანთროპოლოგიასთან ერთად, არამედ ისეთივე საკითხია ეთიკის, ფსიქოლოგიისა და აქსიოლოგიისათვის. რამ შექმნა ადამიანი — ევოლუციის მექანიკურმა კანონმა თუ ცოცხალი ღმერთის ცოცხალმა სიყვარულმა? ბიბლია მოგვითხრობს, რომ უფალმა მიწისაგან შექმნა ადამიანი და შთაბერა მას ცოცხალი სული.

ადამიანის სხეული კოსმოსის ყველა ელემენტს შეიცავს, ამიტომ ადამიანი პატრისტიკულ ლიტერატურაში ხანდახან მიკროკოსმოსად იწოდება. „უფალმა ადამიანის სხეულს სული შთაბერა", შთაბერა მოქმედება, რომელიც მიანიშნებს ადამიანის სულის სიახლოვეზე მის დამბადებელთან, მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ, პავლე მოციქულის თქმით, „ვენათესავებით მას". უფალმა ადამიანი შექმნა „ხატად თვისად". „ხატად" ნიშნავს დამთხვევასა და მსგავსებას, მაგრამ არა იგივეობასა და სუბსტანციურ თანასწორობას. ეს საკითხი იქცა გადაუჭრელ პრობლემად და პრინციპულ განსხვავებად თეიზმსა და პანთეიზმს შორის. პანთეისტური ეგოთეიზმისათვის თვით პიროვნება ფიქციაა, მეონური ყოფა ირევა ანტიკურობაში, ხოლო ანტიკურობა მეონურთან ერთად აბსოლუტურ არარაობაში შთაინთქმება. სულის, როგორც სუბსტანციის არსებობა, ძირითად და მთავარ ფაქტად ითვლება მთელ ქრისტიანულ ანთროპოლოგიაში. ადამიანი --ესაა სხეულით შემოსილი სული. იგი ორი სამყაროს — ხილულისა და არახილულის საზღვარზე დგას. ის არის რგოლი, რომელიც თავისთავში აერთიანებს სულიერსა და მატერიალურს, მაქსიმე აღმსარებლის სიტყვით. ადამიანი კოსმოსის წარმომადგენელი ან იპოსტასია. ადამიანი — ესაა სამყაროს ინტეგრაციისა და განსულიერების უნიკალური ფაქტორი. ადამიანი ტრიადული მონადაა. თუ სამშვინველი სუბსტანაციურად განსხვავდება სულისაგან, მაშინ თვითონ ადამიანის სამშვინველში ამჩნევენ ღვთიურ სულს, რომელიც მისგან ფუნქციურად განსხვავდება. ქრისტიანი მწერლები მიანიშნებენ სულის სამ ძალაზე:

1. შინაგანი ლოგოსი — იდეისა და რაობის უშუალო განჭვრეტის უნარი, ინტელიგიბელური სამყაროს ხედვა და სინთეტიკური აზროვნება.

2. რელიგიური გრძნობა — სულის დამოწმება ღმერთზე, ინტუიციური შეღწევა სულიერ სფეროში, მარადისობის განცდა.

3. ისახისი — სულიერი ენერგია, ადამიანური სულის ღვთიურთან მიმართება.

ასევე სამშვინველსაც გააჩნია სამი ძალა:

1. ნუსი — სულიერი ძალების ერთობლიობა, გონებრივი დასკვნისა და წარმოდგენის უნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ეპიტიმია — მშვენიერების წყურვილი.

3. ტიმოსი — სამშვინველის რეაქტიულობა, მისი გამააქტიურებელი ძალა. ადამიანი შეიქმნა დროებითი და მარადიული ცხოვრებისათვის, ამიტომ სულიერი და მშვინვიერი ძალები აუცილებელი იყო მისი არსებობისათვის. ისინი იმყოფებოდნენ სრულ ჰარმონიასა და სუბორდინაციაში: უმდაბლესი ემორჩილებოდა უმაღლესს. მიწისაგან ადამის შექმნისა და მისი ნეკნისაგან ევას წარმოშობის ამბავი ჩვენს რაციონალისტებში არც თუ ისე იშვიათად სიბეცესა და დაცინვას იწვევს. ნუ ვუპასუხებთ დაცინვას, რომელიც მოწმობს მხოლოდ, როგორც ხლესტაკოვი ამბობდა: „გონების განსაკუთრებულ სიმსუბუქეს", მაგრამ სიბეცეს უნდა ვუპასუხოთ, ევა რომ არარასაგან შექმნილიყო როგორც ანგელოზი, ან მიწისაგან, როგორც ადამი, მაშინ კაცობრიობას ექნებოდა ორი საწყისი, იგი იქნებოდა არა ერთიანი არამედ სინკრეტული. კაცობრიობა კი — ეს არის ერთობა მრავალში და მრავალი ერთობაში, ამიტომ მას უნდა ჰქონდეს ერთი წყარო, ერთი საწყისი. მთელი კაცობრიობა პოტენციურად ერთ ადამიანში — ადამში იყო. ადამის ნეკნიდან ევას შექმნას არამარტო ანთროპოლოგიური, არამედ ზნეობრივ-ეთიკური აზრიც ჰქონდა. კაცი და ქალი ისე ახლოს არიან ერთმანეთთან, როგორც გული და ნეკნი. აქ არამარტო ემოციური, არამედ ონტოლოგიური კავშირიცაა. კიდევ ერთი შტრიხი: ნეკნი იცავს გულს, და პირველ შეხედვისთანავე როგორც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ქალი ფსიქოლოგიურად უფრო ხშირად იცავს მამაკაცს. ადამი სამოთხეში იყო და სამოთხე იყო ადამში. საუცხოო მცენარეები იზრდებოდნენ ედემში, ხოლო ადამის გულში ყვაოდა ალისფერი ვარდები — მისი ლოცვები და თეთრი შროშანები — ღვთიურის ჭვრეტა. ედემში იდგა ორი საიდუმლო ხე. ხე ცხოვრებისა და ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა. ცხოვრების ხიდან ადამმა მიიღო უკვდავება, ხოლო ცნობადის ხის ნაყოფს არ უნდა გაეკარებოდა. ღვთიური მცნება, როგორც ზნეობრივი გამოცდა, უნდა ქცეულიყო სულიერ კიბედ ადამიანის სულიერი ამაღლებისათვის.

ბიბლია მოგვითხრობს ადამის ცდუნებაზე, ტრაგედიაზე, რომელმაც შესძრა მთელი კოსმოსი. გველი — ფრთებშეკვეცილი ანგელოზი, რომელმაც დაკარგა ღვთის სიყვარული, სულიერი სფეროებიდან შავ უფსკრულში გადაჩეხილი — ღვთისგან განდგომისათვის ბნელსა და ქაოსში დაცემული, კვლავ იწვევს ზეცას ახალი ბრძოლის ველზე, ეს ბრძოლის ველია ედემი — ადამიანის გული. დემონი შთააგონებს ადამიანს, რომ მცნება — ეს არის უსამართლო და იძულებითი შეზღუდვა, რომელიც ხელს უშლის ადამიანს, გახდეს თავისუფალი და ძლიერი, როგორც ღმერთი.

სატანა, გასხივოსნებული ლუციფერი, [illegible]ლოვანებული თავისი ბიწიერი სილამაზით, მოინდომებს ღმერთთან გათანაბრებას და ჩავარდება სასოწარკვეთილებასა და უგონობაში, სიბნელისა და ბოროტების უფსკრულში. ადამმა მოინდომა ღმერთად გახდომა უფლის გარეშე, ნაყოფის, როგორც თილისმის საშუალებით და გადაწყვიტა გამხდარიყო თავისუფალი მეუფე თავისი კოსმოსური ყოფისა (ცოტას გადავუხვევ და შევნიშნავ, რომ ვედანტას სკოლის ნეოწარმართებსაც სურთ, ღმერთები გახდნენ, აღწევენ რა აბსოლუტთან თავის იგივეობის მედიტაციას. მსგავსება ფრიად საინტერესოა). ნაყოფი მოიწყვიტა, ღმერთთან კავშირი დაირღვა. ადამის ცხოვრების შინაგანი ფაქტიდან გამომდინარე ადამიანის წარმოდგენაში ღმერთი გახდა გარეშე, დამსჯელი, მარეპრესირებელი ძალა. ღვთიური ენერგიის ნათელი, რომელიც არამარტო აცოცხლებდა წინაპართა სულებს, არამედ მათი სხეულებიდანაც გამოდიოდა და მოსავდა მათ ნათელი სამოსელით, — ჩაქრა. ადამიანებმა დაინახეს, რომ ისინი შიშვლები არიან, იგრძნეს თავიანთი სულიერი სიღარიბე, სიცარიელე და გაღვიძებული მგრძნობიარობის ტალღები. გრიგოლი ღვთისმეტყველი წერს, რომ მისი აზრით ხე ცნობადისა, კეთილისა და ბოროტისა — ესაა რაღაც უმაღლესი სულიერი განჭვრეტის ხარისხი, რომელიც ჯერ არაა ხელმისაწვდომი ადამიანისათვის. ცხოვრების ხე — ეს არის ღმერთთან კონტაქტი. ღმერთთან კავშირით ადამიანი უნდა ამაღლებულიყო ღმერთის შეცნობამდე, ღვთიურ გნოსისამდე. ძალზე ძლიერი, დამაბრმავებელი ნათელი ავსებს ადამიანის თვალს შეუღწეველი სიბნელით. ადამის ცოდვა ნებისყოფის სისუსტის ცოდვა კი არ იყო, არამედ ღვთისმბრძოლობის ცოდვა. თუ ადრე ადამიანის ცხოვრების ცენტრი და მაინტეგრირებელი ძალა ღვთის სიყვარული იყო, შემდეგ, როცა ადამიანმა ეს ცენტრი დაკარგა, უნდა ეპოვა მეორე — მონანიება. პირველშობილ წყვილს უფალი ცხოველთა ტყავს აცმევს. რას ნიშნავს ეს გრიგოლ ნოსელის მიხედვით? ეს ნიშნავს მათი სხეულების გამიწიერებას, ნაკლოვანებას და, ამასთან ერთად, ნივთიერი სამყაროს კატასტატიკურ მდგომარეობას. ღმერთმა ედემის კართან დააყენა ქერაბინი ცეცხლოვანი მახვილით ხელში. ძველი ალთქმის მისტიკოსისა და პლატონიკოსის, ფილონის აზრით, ქერაბინი ნიშნავს, კოსმოსს, ხოლო, მბრუნავი ცეცხლოვანი მახვილი — დროს.

რა მოხდა ადამიანის დაცემის შედეგად? ჰარმონია ღმერთსა და კოსმოსს შორის დაირღვა. მთავარი რგოლი, რომელიც აერთიანებდა სულიერ და მატერიალურ სამყაროს — ადა-

მიანი კოსმიური განათების იერარქიას გამოეთიშა. ქაოსმა, ხრწნამ, სიკვდილმა, კატასტროფიკურმა დაცემამ ყოფიერების ყველა დონეზე თავის სასიკვდილო კლანჭებში მოაქცია კოსმოსი.

შეიცვალა თავად ნივთიერებაც: გახდა იგი ინერტული, უძრავი, გაუგონარი და ურჩი წმიდა სულისათვის. თვით ადამიანის სამშვინველმა კატასტროფიკური ცვლილება განიცადა. სულიერი ძალები პასიურ, ლატენტურ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. სამშვინველი სხეულს დაემორჩილა, სული კი — სამშვინველს. ადამიანის აქსიოლოგიური ძალების იერარქიული პირამიდა დაყირავებული აღმოჩნდა. სულიერი ძალები მოქმედებდნენ დუნედ, სპორადულად, მოითხოვდნენ ძალების განუწყვეტელ დაძაბვას, რათა გამოეცოცხლებინათ და გაეაქტიურებინათ ისინი. მაგრამ თავად ნებისყოფა უკვე პარალიზებული აღმოჩნდა. მშვინვიერი გონება განსჯითა და ლოგიკით აენთო. განსჯის უნარი აგებს სილოგიზმებსა და გონებრივ დასკვნებს, ადგენს მოვლენის მიზეზ-შედეგობრიობის კავშირებს, მას ეკუთვნის აგრეთვე მეცნიერულ-ევრისტიკული აზროვნება. ლოგიკას მიეკუთვნება გრძნობით-მხატვრული წარმოდგენები, წარმოსახვა, ფანტაზია და ა. შ. მშვინვიერი განსჯა მიწიერი, ვნებიერი და აფექტური გახდა. ცოდვით დაცემის შემდეგ სულიერი ლოგოსი თითქოსდა თავისთავში ჩაიკეტა. იგი ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფება და იშვიათად ავლენს თავს ადამიანის ინტუიციაში. ერთადერთი საშუალება მისი გამოღვიძებისა რელიგიური მოღვაწეობა და ქრისტიანული ასკეტიზმია სულიერ ლოგოსთან ურთიერთობაში მშვინვიერი განსჯა უზურპატორის როლში გვევლინება. მან მიიტაცა ადამიანის სამ განზომილებაში ცენტრალური ადგილი და კონტროლს ყველა გნოსტიკურ სფეროზე ახორციელებს. მეტიც, მას უნდა, რომ კატასტროფიკურად დაცემული ადამიანი ხრწნადი სამყაროს ხრწნად მეუფედ აქციოს. მან უზარმაზარი აქტივობა და შეუპოვრობა განავითარა დასახული მიზნის მისაღწევად. ადამიანის სულიერი გონება შეიცავდა კოსმიურ იერარქიას, იგი დედამიწის მეუფე იყო კოსმოსისა და ღმერთის კავშირის ჰარმონიზაციისათვის. მშვინვიერი გონება აგრესორია კოსმოსთან მიმართებაში. მას სურს დაიმორჩილოს, დაიპყროს კოსმოსი, თუნდაც ამისათვის მთელი სამყაროს საბოლოო დეჰარმონიზაცია დასჭირდეს. მშვინვიერი განსჯა ენანტური გახდა სულისთვის, ესაა უდიდესი პოზიტივისტი, მატერიალისტი და სკეპტიკოსი. იგი გააფთრებით უარყოფს მას, რაც არ ესმის. მისთვის არ არსებობს უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე თვითონაა. იგი ეჭვით უყურებს თავის ბრძანებლობას და უმოწყალოა მტრებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრი იმის შესახებ, რომ არსებობს მასზე მაღლა მდგომი, აღიზიანებს მშვინვიერ განსჯას, რომელიც ადვილად გადადის მძვინვარებასა და მრისხანებაში. სულიერი იერარქიის იდეა, როგორც თანდათანობითი ამაღლება ზევით, მისთვის გაუგებარი და საძულველია, რადგან არ სცნობს სხვა მწვერვალებს საკუთარი თავის გარდა, თავის აბსტრაქციებსა და წარმოდგენებში. ადამიანის კატასტროფიკური დაცემის მიზეზი, ღვთის გარეშე ღმერთად გახდომის სურვილი ღრმად ჩაიმარხა მშვინვიერი გონების განსჯასა და ლოგიკაში, რომელიც გარე სამყაროზეა ორიენტირებული. ადამიანი, როგორც სულიერი მონადა, კატასტროფიკური განსჯისთვის დაკარგულია. მისი თვითშემეცნება რეფლექსიისა და თავისი ბნელი ქვეცნობიერების შინაარსის აბსტრაქციური ნიშნებით გაშიფრვას იქით არ ვრცელდება. მშვინვიერ აზროვნებასა და სულიერ აზროვნებას შორის მტრობა ხშირად ინიღბება ხოლმე მეცნიერებისა და ფილოსოფიის სახელით. მაგრამ არც თუ იშვიათად უნიღბოდაც გვევლინება, სატანური სიძულვილის სახით, სიწმიდეების უსაფუძვლო უარყოფითა და გესლიანი დაცინვით.

მშვინვიერი გონება მოწყვეტილია სულიერ ლოგოსს, არ შეუძლია რელიგიური იყოს. თუ იგი იღებს ღმერთის იდეას, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვას: „ღმერთი — ეს მე ვარ" (პანთეიზმი). თუ იგი იღებს რელიგიურ სისტემას, იმ წუთშივე ცდილობს მის შეცვლას თავისი აფექტური მდგომარეობის შესაბამისად, ხოლო თავად რომ შეიცვალოს, არ უნდა. საკმარისია ლატენტური სულიერი გონის გამოღვიძება და მასთან შეერთება, რომ განსჯა კვლავ ადამიანის სულის გამომხატველი თვალი ხდება. ავტონომიური განსჯის რელიგია შეიძლება იყოს ეგოთეიზმი (თვითგაღმერთება), თუნდაც იგი ქრისტიანული ან სხვა ტერმინოლოგიით ინიღბებოდეს.

ადამიანის მეორე მშვინვიერი ძალა — ეპითემია — ღვთიური სილამაზის განცდის სურვილი, დაემთხვა სიამოვნების წყურვილსა და მწუხარებისადმი ზიზღს. ორ პოლუსს, სიამოვნებასა და უსიამოვნებას შორის მიმდინარეობს ეპითემიის მოქმედება. ეპითემიის რელიგია — კოსმოფილია — არსებობს ბუნების პოეტური აღქმიდან ვულგარულ ეროტიზმამდე. როცა მოქმედებენ სულიერი ძალები და ეპითემია რელიგიურ გრძნობას უკავშირდება, მაშინ მასში იღვიძებს დაკარგული სამოთხის სევდა და მიწიერზე ამაღლებულ სილამაზისკენ სწრაფვა.

მესამე ძალა — ტიმოსი — ენერგია, მშვინვიერი ნება და რეაქტიულობა იქცა თავმოყვარეობად და მრისხანებად. კატასტროფიკური ტიმოსი გახდა მტრობისა და სიძულვილის წყარო, რომელიც ვლინდება ყველაზე განსხვავე-

ბულ ფორმებში — ემოციური გულგრილობისა და ხალხისგან ცივი განრიდებისაგან სისხლიან დანაშაულობამდე და მსოფლიო ჰეკატომბამდე. ტიმოსი იღებს რა სულიერ იმპულსებს, შეუძლია თავი გამოავლინოს როგორც ნებისყოფამ, შეუვალობათა სიმტკიცემ, სიკეთის დამცველმა და ბოროტებასთან მებრძოლმა. კატასტატიკური ტიმოსი ჩვეულებრივ ცხოვრებაში მუდმივი ფორმით წარმოგვიდგება ქრონიკული გაღიზიანების სახით, როცა ადამიანი სიბინძურით დატენილ ბომბს ემსგავსება, რომელიც შეხამლებელია ნებისმიერ წუთს აფეთქდეს, ან კიდევ სიამაყის ჩირქოვან ანთებას, რომლის ხელის ხლებაც კი საზიზღარი და საშინელია. აულორძინებელი ეპიტემია აზროვნებას ჰედონისტურად გარდაქმნის, ხოლო ტიმოსი — სიმკაცრედ, თავმოყვარეობად და ფანატიზმად.

ბიბლიის კითხვის პროცესში, გულმოდგინე ლოცვისას და მედიტაციის (ვგულისხმობ ამ სიტყვის სწორ მნიშვნელობას, როგორც ყოფიერების ონტოლოგიურ საკითხებზე გააზრებას) დროს ხდება ადამიანის მშვინვერი ძალების კონცენტრაცია და სუბლიმაცია სულიერ ძალებთან. მაგრამ ჭეშმარიტი აღდგენა ხდება მადლის საშუალებით, ენერგეტიკული სიყვარულის საშუალებით მის მიმართ, ვინც შექმნა ადამიანი.

ბიბლიაში ადამიანს რამდენიმე კუთხით ვხედავთ:

1. ადამიანი, როგორც ღმერთის იდეა, როგორც ღვთის ხატი კოსმიურ სამყაროში, როგორც დედამიწის პოტენციური მბრძანებელი.

2. ადამიანის ცხოვრება ღმერთთან ურთიერთობაში, მაგრამ ესაა რელატიური, კრეაცული ცხოვრება, ადამიანის თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრების პერიოდი, როგორც პიროვნებისა ღმერთთან, სამყაროსთან და თავთან — თავისუფალ, სულიერ მონადასთან ურთიერთობაში.

3. ღვთისგან განდგომა — ეშმაკთან მსგავსება, როგორც მის ფეხქვეშ უეცრად გახსნილი უფსკრული. მიწიერი ცხოვრება — როგორც სამშვინველის მისტიკური ოდისეა, როგორც დაკარგული და დაბრუნებული სამოთხის ისტორია. ცოდვით დაცემა — უდიდესი ფაქტორი, რომელსაც უარყოფენ ანტიკური და თანამედროვე ფილოსოფოსები და ჰუმანიტარული სისტემები, ამიტომაც შედიოდნენ პესიმისტურ ან უტოპიურ ჩიხში. ცოდვა, როგორც დელოგიზირებული, დემონური ძალა, როგორც შავი პირველყოფილი ქაოსი, როგორც სასიკვდილო რადიაციის მქონე ღრუბელი, ამოიჭრა ადამიანური გულის ჯურღმულებიდან, განგმირა თვითონ ადამიანი და კოსმოსი. დაიწყო დეზინტეგრაციის პროცესი — პროცესი განდგომისა და დაცემისა. ადამიანი გამოეყო ღმერთს, კოსმოსი ადამიანს, გაიყვნენ მშვინვიერი და სულიერი ძალები. მაშინდელმა სულიერმა [illegible] ადგილი დაუთმო ფსიქიკურ კომპლექსებს. პოტენციურად ერთიანი კაცობრიობა დაემსგავსა ენანტურ მრავალგვარობას. ცოდვა და სულიერზნეობრივი დაცემა სულ უფრო და უფრო ინტენსიურად იზრდებოდა, როგორც წყარო, რომელიც იერთებს პატარა ნაკადულებსა და მიწისქვეშა წყლებს და ხდება უზარმაზარი მდინარე, რომელიც მთელ დედამიწას ცრემლითა და სისხლით არწყულებს. როგორც თოვლის გუნდა, რომელიც მოსწყდება რა მთის თავს, განუწყვეტლივ იზრდება და ხდება უშველებელი ზვავი, რომლის შეჩერებაც არავის ძალუძს. იგი გრუხუნით მიექანება დაბლობისაკენ და მოაქვს სიკვდილი, ანადგურებს თავის გზაზე ყოველივეს.

კაცობრიობა ადამში დაეცა, ადამიანმა დაკარგა ღმერთი, მაგრამ უფალმა არ მიატოვა ადამიანი. ადამიანის ცოდვით დაცემისს გაიხსნა ღვთიური სიყვარულის უფსკრული. ახალი ადამი ქრისტე, — ღვთიური ლოგოსი — მოევლინა დედამიწას. ბიბლია — ესაა კაცობრიობის ისტორია, ისტორია ჩვენი სულისა.

პლატონს აქვს ასეთი არაკი: გამოქვაბულში კედლისკენ სახით სხედან პატიმრები. გამოქვაბულის შესასვლელის მახლობლად ქარავნები დადიან, ჩქარობენ მგზავრები, მათი ჩრდილები გამოქვაბულის სიღრმეში ეცემა. ამ გამოუცნობი, მორიალე ჩრდილების მიხედვით პატიმრები ცდილობენ გამოიცნონ, თუ ვინ იმყოფება გამოქვაბულის მახლობლად. უჭირთ პატიმრებს — ყოველი მათგანი თავისებურად ფიქრობს და მარჩიელობს, არავინ იცის, ცდება თუ მართალია, დაინახა თუ ვერა სახე ჩრდილოვან გამოსახულებაში, დააღწია თუ ვერა თავი ვარაუდებისა და წარმოდგენების წრეს, ჭეშმარიტების მკვდარ აჩრდილებს. პლატონიკოსებს სამყაროს ისტორიის გამოსაცნობი გასაღები არ გააჩნდათ. მაგიურ პლატონიზმს შეეძლო, მხოლოდ დაეშიფრა და დაემალა საიდუმლოებანი, მაგრამ მათი ამოხსნის ძალა მას არ შესწევდა. ჩვენ გვაქვს დედამიწაზე ყველაზე დიდი საიდუმლოს — წმიდა წიგნის — ბიბლიის გასაღები. ესაა ეკლესიის გნოსისი, ესაა პატრისტიკული ლიტერატურა, რომელიც სულიერი გზის მტკიცე და ზუსტ ორიენტირებს იძლევა, ესაა ეკლესიის ლიტურგიკული ცხოვრება. ბიბლია და ეკლესია — ერთი ღვთიური ლოგოსის აღმოჩენაა. ესაა ადამიანის შინაგანი რელიგიური გამოცდილება, რომელიც შემოწმებული და კორექტირებულია მთელი ეკლესიის გამოცდილებით.

წმიდა სიმბოლო არ შეიძლება გამოვიცნოთ როგორც რებუსი ანდა შარადა. იგი არამხოლოდ ინფორმაციაა, არამედ კომუნიკაციაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნა, რომელიც მას აქვს, ილუმინაციურია, ეს არის სულიერი განათლება.

ბიბლიურ წმიდა სიმბოლოს მკაცრი და რთული იერარქია გააჩნია. აი, მისი შემეცნების ძირითადი ეტაპები: ტექსტის ზედაპირიდან სიმბოლოების გამოყოფა, გაგება, განცდა, მედიტაცია (ვგულისხმობ ღრმა აზროვნებას), მასში ჩართვა, შესისხლხორცება, ათვისება, სიმბოლოების საშუალებით პირველწყაროსთან ურთიერთობა და ბოლოს საკუთარი თავის გადაქცევა მოქმედ პირად ამ მისტიკურ ურთიერთობაში.

ხშირად გვეკითხებიან: როგორ უნდა ვიკითხოთ ბიბლია? შუა საუკუნეების თეოლოგებს ჰქონდათ ასეთი აფორიზმი: „ახალი ძველში იმალება, ძველი ახალში მჟღავნდება", ე. ი. ძველი აღთქმა შესაძლებელია გავიგოთ მხოლოდ ახალი აღთქმის გაგების შედეგად, როგორც გაცხადებული წინასწარმეტყველება, როგორც მისი მისტიკური და მესიანისტური იდეის გახსნა. ახალი აღთქმის წაკითხვის შემდეგ ძველი აღთქმის წიგნების კითხვისას შეიძლება ასეთი თანამიმდევრობა შემოგთავაზოთ:

თავიდან — ზნეობრივ ეთიკური წიგნები: „სიბრძნე სოლომონისა", „იგავნი სოლომონისა", „სიბრძნე ზირაქისა", „ეკლესიასტე", შემდეგ — ისტორიული წიგნები, მათ შემდეგ — მოსეს ხუთწიგნეული, და ბოლოს — წინასწარმეტყველური წიგნები.

ბიბლიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „ფსალმუნს". იგი ყველა ქრისტიანის, ფილოსოფოსისა და პოეტის სამაგიდო წიგნი უნდა იყოს. „დავითნი" — ღვთაებრივი ჰიმნებისა და ადამიანური სულის ულრმესი აღსარების წიგნია. „დავითნში" ადამიანი თავის თავს პოულობს, ხედავს საკუთარი გულის საიდუმლო კუნჭულებს, ხედავს სულს, დაცემის სიღრმეში და ფავორულ სინათლეში აღორძინებულს.

ბიბლიის კითხვის უნარი — ესაა მისი მოსმენის უნარი, უნარი იმისა, რომ მუდმივ თანამავალ ვარსკვლავად იყოლიო მთელი მიწიერი ცხოვრების მანძილზე, გქონდეს მასთან იდუმალი საუბრის ნიჭი. ბიბლიის სიმბოლოები და სახეები ამოუწურავი და მრავალწახნაგოვანია. ისინი ჰგვანან ძვირფას ქვებს, რომლებიც ყოველ მიახლოებაზე სულ ახალ-ახალი ფერებით ბრწყინავენ, გადადიან ერთმანეთში, საიდუმლოებით მოცულნი ციმციმებენ და იდუმალი ნათელი ჩაბუდებიათ კრისტალის სიღრმეში. ბიბლია — ესაა დროში გამოცხადებული მარადისობის ენა, სადაც ზესამყაროულ ყოფიერებას არა აქვს წარსული, სადაც წარსული და მომავალი დამაბრმავებელ აწმყოშია შერწყმული.

ბიბლია — ძველი და მუდამ ახალი წიგნია დედამიწაზე.

თარგმნა ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია ჯალიაშვილი

# წარმოსახვა და რეალობა

„სანდრო ცირეკიძე იყო სანთელი არა ფიგურალური. სანთელი ანთებული ხის საქვარეში უცნობი ხელით. სიგრილე, სიმარტოვე, იდუმალება ირგვლივ, როგორც სამარეში." — გრიგოლ რობაქიძის ამ სიტყვებში ხატოვნად წარმოჩნდება სანდრო ცირეკიძის პოეტური სულის ძირითადი თვისებები, მის მინიატურებსაც რომ აგრერიგად ახასიათებს. მინიატურა თავისი სპეციფიკით მწერლისგან მოითხოვს სიტყვის გზნებასა და მის არსში წვდომას, რათა ფრაზათა მინიმალური რაოდენობით შეიქმნას ახალი პოეტური სამყარო, რომელიც მოვლენათა ავტორისეულ აღქმას ეფუძნება.

„სანდრო ცირეკიძის შემოქმედება იყო ფარდის შერხევა, რომლის იქით იმალება გამოუთქმელი" (გრიგოლ რობაქიძე), იდუმალის, მიღმურის, მისტიურის გზნებაა მისი მინიატურების თავისებურებაც. იდუმალთან მიმართებაში იკვეთება მისი პოეტური სათქმელი. მინიატურაში არ მცირდება არც დრო, არც სივრცე, არამედ იკუმშება, იწნიხება იმდენად, რომ უდროობისა და უსივრცობის ილუზია იქმნება, მაგრამ საკმარისია, ჭეშმარიტი მკითხველი „შეეხოს", მაშინვე იფეთქებს წარმოსახვა და განივრცობა. „გათავისუფლდება" ერთბაშად ეს ერთგვარად სამყაროს წარმოშობის პირველ წამებს ჩამოჰგავს. მინიატურაც ხომ ახალი სამყაროა თავისი გმირებით, ლანდებით, სიზმრითა და სინამდვილით. მინიატურაში ყველაზე უფრო ძნელდება სიტყვების პოვნა, მათი „სინედლის" მიგნება, იმგვარი სიტყვათკავშირების შექმნა, საიდანაც უფრო გაბრწყინდება, უფრო გაიშლება და განივრცობა ყოველი სიტყვა. მინიატურაში იწნიხება აზრიც, შეიძლება ის დაკარგვის საზღვრამდეც კი მივიდეს, მარტო განწყობილებაღა დარჩეს, მაგრამ განწყობილებას ხომ რაღაც აზრი იწვევს და სწორედ ამ აზრის პოვნა ხდება შემდეგ მკითხველის მიერ, როგორც ლექსში. მინიატურაშიც ტრიქონების კვალდაკვალ შენდება და ინგრევა სახლები, ჭკნება და ყვავილდება ხეები. აქ არ არის სხვადასხვა დეტალების თანმიმდევრული რიგი, აქ მხოლოდ ერთი ან რამდენიმე დეტალია, რომელნიც ხშირად არც კი შეიძლება მხატვრული თვალსაზრისით დეტალად ჩაითვალოს. ისინი სიმბოლოები, მინიშნებები უფროა გაცილებით დიდ და ვრცელ, იდუმალ და ამოუხსნელ სამყაროზე. იდუმალების საფარველს მინიატურა ბოლომდე არ იხსნის. იგი ჰგავს იმ აისბერგს, რომლის უდიდესი ნაწილი არ ჩანს — ავტორის ფიქრსა და წარმოსახვაში რჩება და მკითხველს „სიმბოლოებით, სიტყვიერად გამოუთქმელი გადაეცემა".

ევროპაში მინიატურას ჰყავდა სახელოვანი „კავალრები": კატულ მენდესი, შარლ ბოდლერი, ოსკარ უაილდი, სტეფან მალარმე, ვილიე დე ლილ ადანი, ალტენბერგი, ტეტმაიერი... საქართველოში: ვაჟა-ფშაველა, შიო არაგვისპირელი, ჯაჭუ ჯორჯიკია, ნიკო ლორთქიფანიძე, სერგო კლდიაშვილი, დია ჩიანელი, სანდრო ცირეკიძე, რომელიც ცისფერყანწელი გახლდათ და ამ პოეტური ორდენის სხვა წევრებთან ერთად პოეტური სიახლეებისთვის, ქართული სიტყვის განახლებისა და აღორძინებისთვის იღვწოდა.

„მინიატურა წერტილებით იწერება, იმას ზანტი, მოზომილი ხატვა უნდა" — აღნიშნავდა სანდრო ცირეკიძე. ეს ორიგინალური აზრი იყო. მინიატურის გენეზისი XX ს.-ში ელექტრონს, ტრამვაის, ცხოვრების ტემპის აჩქარებას დაუკავშირეს, რასაც სანდრო ცირეკიძე შეცდომად თვლიდა: „მინიატურას მოცლილი სპარსელი უნდა ხატავდეს შუადღის ჭადრის ჩრდილში... სადაც მინიატურაზე ფიქრობენ, იქ ცხოვრების ჭრელი კარუსელი ისე ნელა უნდა ბრუნავდეს, როგორც არსად სხვაგან."

სანდრო ცირეკიძის მინიატურების პატარა კრებული (1921 წელს გამოიცა ქუთაისში „მთვარეულების" სახელწოდებით) ხორცშესხმა იყო ქართველ სიმბოლისტთა თეორიული პრინციპებისა. ამ მინიატურებს ეტყობოდათ გავლენა აგრეთვე ბოდლერისა და მალარმეს სკოლისა.

ხერგო კლდიაშვილი წერდა: „მთვარეულებმა“ დაგვანახა სამყარო ჯერ არნახული. ცირეკიძის თვალებმა სხვანაირად დაინახა ის და თავისებურად გადმოგვცა.“

სანდრო ცირეკიძე ცდილობდა საგანთა და მოვლენათა არსის წვდომას, იდუმალის, დაფარულის ახსნასა და მკითხველამდე მიტანას. იგი მიიჩნევდა, რომ „მოვლენებს იქით საგნები იზმორებიან უცხონი“, ამიტომ იგი „ნივთებს აითვისებს, როგორც გამოუთქმელის ნიშნებს“ და აქცევს ღირებულებად. რეალურისა და ირეალურის დამოკიდებულება, სინამდვილისა და წარმოსახულის საზღვრების დადგენაა მისი პოეტური ფიქრის უმთავრესი საგანი. მის მინიატურებში „რეალობა, მეტაფორად გაგებული, იცრიცება და ხდება გამჭვირვალე“ (სანდრო ცირეკიძე).

სანდრო ცირეკიძის მინიატურების სამყაროში ირეალური შემოდის, როგორც საგრძნობი და ხაზილველი. აქ წაშლილია ზღვარი წარმოსახულსა და მატერიალურს შორის. გმირები თანაბრად განიცდიან როგორც ნამდვილ, ასევე ოცნების სიზმარეულ სამყაროს. წარმოსახული აქ რეალურს უტოლდება. შარლ ბოდლერი ერთ წერილში შენიშნავდა: „რამდენადაც წარმოსახვამ შექმნა სამყარო (ამაზე შეიძლებოდა საუბარი რელიგიური თვალსაზრისითაც), სავსებით სამართლიანია, რომ სწორედ წარმოსახვა მართავს მას. წარმოსახვა მეფობს ჭეშმარიტების უსაზღვრო სამფლობელოში მაშინ, როცა სინამდვილეს (დამაჯერებლობას) მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი უკავია. წარმოსახულის შესაძლებლობა უსაზღვროა“.

სხვადასხვა მეცნიერებამ, განსაკუთრებით კი მეცხრამეტე საუკუნისამ, როგორც ამერიკელი მწერალი ჯონ სტაინბეკი შენიშნავდა, „სამყაროს სხვენზე“ აზიდა ის საგნები და მოვლენები, რომელთაც ახსნა ვერ მოუძებნა. „ჩვენგან აუხსნელი საგნები კი,—წერს იგი,—მაინც განაგრძობენ არსებობას ჩვენი ლოცვა-კურთხევის გარეშეც. რასაც ვერ ვხსნით, არც გვინდა დავინახოთ, ხოლო ამასობაში საგანთა და მოვლენათა უდიდესი ნაწილი მიგდებული გვაქვს ბავშვებისთვის, გიჟებისთვის, ხნეულებისა და მისტიკოსებისთვის, რომელთაც თვით საგანი უფრო აინტერესებთ, ვიდრე მისი ახსნა.“

სანდრო ცირეკიძესაც, როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს, საგნები და მოვლენები უფრო აინტერესებს, ვიდრე მათი ახსნა, ამიტომაა, რომ ხშირად მის მინიატურებში პატარა გამოცანებია, წარმოსახვით გაჩირაღდნებული. აქ მოჩანს ლანდები საგნებისა თუ მოვლენებისა, რომელთა რეალობაშიც ეჭვი გვეპარება, მაგრამ მწერალს ვენდობით, მივყვებით მას და უხილავს ვერწმუნებით.

სანდრო ცირეკიძე მინიატურაში „მთვარეული“ პერსონაჟად ირჩევს გიჟს, როგორც ბუნების უშუალო ნაწილს. იგი მოვლენებს აღიქვამს უშუალოდ და არა ჩვეულებრივი ადამიანური განსჯის გზით. აქვე წარმოდგენილია იდუმალი კავშირი მთვარისა და ადამიანისა, რომელთაც ეს[illegible] მანეთის. მინიატურაში აღწერილი [illegible] მთლიანად მოწყვეტილია ამქვეყნიურ ყოფას, სულიერ პლანში მოიაზრება. „სავსეა საღარო სიზმართა დედოფლის და უხვად აბნევს ოქროს შუქს მტვრიან კოლოფში“. გიჟი კოლოფებში, აგროვებს ამ ღვთაებრივ სხივებს, როგორც უძვირფასეს სიმდიდრეს და ბედნიერებას განიცდის. „უველა გაავსო მთვარემ, პირდამჭკნარ დედოფალს რომ ჰგავს ცისფერ ფარჩაში. უხვად აბნევს ოქროს შუქს ჭლექიან ხეებს და ბალის ბილიკებს. ტაძრის გუმბათიც მოოქრულა. სიკვდილის წინ თავის სიმდიდრეს ანიავებს მთვარე“. — წერს სანდრო ცირეკიძე. ეს ის სიმდიდრეა, უმეტესწილად რომ ვერ ამჩნევენ და გვერდს უვლიან ადამიანები. აქ არის ცდა მწერლის მიერ სამყაროსთან აბლებურად მიახლებისა, საგნებსა და მოვლენებში იმაზე მეტის დანახვისა, ვიდრე დღის სინათლეზე ჩანს, საგნის ნოუმენის, არსის წვდომისა და არა იმისა, როგორადაც ის გვევლინება. კანტმა, როგორც ცნობილია, უარყო ადამიანის მიერ საგანთა და მოვლენათა ამგვარი წვდომის შესაძლებლობა. რ. შტაინერმა ეს გზა წმინდა აზროვნების სფეროზე გაატარა. მისტიკოსები კი თვითჩაღრმავების, საკუთარ სულში ჩაძირვის საშუალებით ცდილობდნენ და ცდილობენ იმ სიღრმეთა წვდომას, რაც უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელია, ხოლო პოეტური სიტყვა ამ სიღრმეების, იდუმალი სამყაროსკენ მომავალი უხილავი გზების მარადიული მაძიებელია.

მინიატურაში განვითარებული მოქმედების მიხედვით, გიჟი შეგროვებული „განძით“ სავსე კოლოფებს ხსნის დუქანში, მაგრამ შიგ ველარაფერს ნახულობს. მთვარის ნაჩუქარი არ არის მატერიალური, ყოფითი რამ, ის არ არის, რაც ადამიანური გრძნობის ორგანოებით შეიგრძნობა და შეიმეცნება. მინიატურაში აღწერილია პროცესი მისტიური შეგრძნებისა, როცა ადამიანი ოთხ შემადგენელ ელემენტად (მიწა, ცეცხლი, წყალი, ჰაერი) „იშლება“ და სამყაროს უერთდება, ამიტომ იქმნება სიზმარეული ყოფა, როგორც კი სწყდება და ბრუნდება საკუთარ „[illegible]ვთან — როცა ხდება პიროვნულის „მე“-ს ინდივიდუაცია, კავშირი მთლიანთან ირღვევა. გიჟი ხსნის კოლოფებს, ეძებს მათში შეგროვებულ სხივებს და ვერაფერს პოულობს. ეს იმიტომ ხდება, რომ თავისთავად არსებულის ძებნა არ შეიძლება. მისი ხილვის უნარი ჩვეულებრივ ადამიანს არ გააჩნია და პოვნაც არ ძალუძს, აქედან გამომდინარე, ძებნასაც არა აქვს აზრი. სამყაროში არსებობა თავისთავად ნიშნავს ყველაფრის მოპოვებას, ხოლო კვლავ რაღაცის ძიება ბუნებისგან მოწყვეტაა.

ამ მინიატურით მწერალი ადამიანს იმ დროში აბრუნებს, როცა მას სამყაროში ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს ხედავდა და, ამგვარად, თავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ბუნების, როგორც მთლიანობის, შემადგენელ ჰარმონიულ ნაწილს წარმოადგენდა. ახლა კი, ეს გზა, სანდრო ცირეკიძის მიხედვით, მხოლოდ პოეზიაზე გადის, მხოლოდ მისი საშუალებითღა შეიძლება იმ სამყაროს წვდომა, რაც უშორეს წარსულში ადამიანს თავისთავად ეძლეოდა. მინიატურაში აღწერილი მთვარის სხივების შეგროვების პროცესი სწორედ ამგვარი პოეზიაა. „მთვარეულის" გიჟის ტირილი კი გლოვაა კაცობრიობისა, რომელიც ცარიელ კოლოფებში მთვარის საჩუქრებს ვერ პოულობს.

მთვარის საჩუქარი ფაქტიურად საიდუმლოა, რომელიც ასევე გაუხსნელი უნდა დარჩეს „ფხიზელი" გონებისთვის. როგორც გრიგოლ რობაქიძე ამბობს, „სიფხიზლე ყოველი დღის მას ანგრევს". მხოლოდ ინტუიციით მიიწვდომება იგი. „საიდუმლო უნდა მივილოთ, როგორც საიდუმლო, — წერს ს. ავერინცევი. — გამოცნობა ბრიყვების საქმეა. უჩინარი (უხილავი) სულაც არ არის მიუწვდომელის სინონიმი. მას აქვს სხვა მისასვლელი სულთან. გამოუთქმელს, ირაციონალურს მგრძნობიარე სული ითვისებს გამოუცნობლადვე, საიდუმლო მიიწვდომება არა მისი გამოცნობით, არამედ მისი განცდით. „მთვარეულის" გმირი სწორედ ამგვარად განიცდის მთვარის საიდუმლოს.

სანდრო ცირეკიძე შემთხვევით არ ირჩევს მინიატურის გმირად გიჟს. იგი ხომ უმთავრესად ჩვეულებრივი ყოფით არ ცხოვრობს. თ. დოსტოევსკის „იდიოტში" მიშკინს ეპილეფსიის შემოტევისას ასეთი განცდა ეუფლება: „მერე თითქოს რაღაც განიხვნა მის წინ ანაზდად: უჩვეულო შინაგანი ნათელი მოეფინა მის სულს".

შეშლილობის სტადიაზე ადამიანი თითქოს აღიდგენს იმ სახეს, რომელიც ჰქონდა უცოდველობის ჟამს, სანამ ბოროტისა და კეთილის ცნობადის ხის ნაყოფს იგემებდა სამოთხეში (გერმანელი ფილოსოფოსი ფ. შლეგელი შენიშნავდა: „ჩვენ შევიცანით კეთილი და ბოროტი და ამით დავკარგეთ სულის უმანკოება და თავისუფალი ჰვრეტის უფლება.")

გიჟის სულის კარი გახსნილია ირაციონალური სამყაროსთვის. იგი, როგორც სანდრო ცირეკიძე წერს, „შუა ქუჩაში ლანდივით მიიპარება და უბით მთვარის სიმდიდრე მიაქვს". მაგრამ, როგორც კი ცხოვრების გარკვეულ პირობითობას უბრუნდება, მაშინვე ყველაფერი იკარგება. ყოველივე იმის გარდა, რაც „გიჟური ალტკინების" ჟამს ეძლევა ადამიანს, ამაოებაა. „გიჟური ალტკინება" ამ შემთხვევაში ის ბუნებითი განცდაა, რომელიც დიდი ხანია დაკარგა ადამიანმა. აი, ასეთია არსი მინიატურა „მთვარეულისა".

თ. დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელის" პერსონაჟი, სვიდრიგაილოვი ამბობს: „მოჩვენებები სხვა სამყაროთა ნაწყვეტებია და ნაგლეჯები, მათი დასაწყისი. ჯანმრთელი კაცი, რასაკვირველია, არ საჭიროებს მათ დანახვას იმიტომ, რომ ნამდვილი შვილია იგი დედამიწისა [illegible] რებაშიც მხოლოდ ამქვეყნიურის [illegible] რობდეს, რომ წესიერება არ დაირღვეს. მაგრამ თუ ოდნავ ავად გახდა, დაირღვა ნორმალური წესი მისი ორგანიზმისა, მაშინვე თავს იჩენს იმქვეყნიური არსებობაც და რამდენადაც უფრო ძლიერ ავად არის ადამიანი, იმდენად უფრო მეტი საშუალება ეძლევა იმ ქვეყანასთან შეხებისა. სიკვდილის შემდეგ ხომ პირდაპირ იმ ქვეყნის მცხოვრები ხდება".

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ სანდრო ცირეკიძის მინიატურებში წაშლილია ზღვარი რეალურსა და წარმოსახულს შორის („ვინ ინიშნავს სანიშნებელი არსებულის და არარსებულის?"). მის მინიატურებში ირაციონალური შემოდის, როგორც მატერიალური და ამდენად, აღარ განსხვავდება ერთურთისაგან ლანდი და ხორციელი. ამის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს მინიატურის პრინციპებით დაწერილი „რომანი", რომლის გმირი „ნავახშმევს მორთულობას სკამით თავთან დააწყობს და სიზმრისთვის ჩაწვება სუფთა ლოგინში". ის სიზმარში „მიდის", როგორც რეალურ სამყაროში. მისი ცხოვრების დრო არ არის გაყოფილი დროდ სიზმრამდე და სიზმარში, რომელიმისადმი უპირატესობის მინიჭებით. პირიქით, სიზმარში, უფრო აქტიური, აქ ლაღობს მისი სული, აქ ბობოქრობენ მისი ვნებები. „ფეხაკრეფით მოდის ძველი მეგობარი, იხსენებენ პირველ შეხვედრას, მიდიან გელათში, მოწამეთაში უხარიათ მონასტრის სიმშვიდე, მოგზაურობენ უცხო ქვეყნებში, ითოშებიან მოსკოვის ყინვაში და თბებიან ეგვიპტეში." იგი ურთიერთობას ამყარებს სიზმრის ქალთან და გამოფხიზლება აღიქმება, როგორც ცუდი სიზმარი, აქ სიზმარი ახოცირებულია წარმოსახულ, ირეალურ სამყაროსთან. რეალურად კი მის გარშემო არის ბალავანი ავადმყოფები, მარტოობა. „ოთახები არ იგვება მტვრით იფარება სავარძლები, მაგიდები, ჩარჩოები, იძინებენ ოთახები და ნაცრისფერდებიან."

სანდრო ცირეკიძის შესახებ შეიძლება გავიმეოროთ სიტყვები, რომელიც ვალერიან გაფრინდაშვილმა მალარმეზე თქვა: „იგი იყო ბრწყინვალე იმპროვიზატორი თავისი ოცნების და ცხოვრება როგორც უვარგისი სუფლიორი, სამუდამოდ უარყოფილ იქნა პოეტის მიერ".

ა. ბელი ერთგან შენიშნავს: „მე ბევრ რამეს ცნობიერად ვაგებ სიზმრის პრინციპებზე (სიზმრებს აქვთ თავიანთი პრინციპები). სიზმარი ისევეა ჩემი პოეტური ფიქრის საგანი, როგორც ყოველგვარი საგანი საერთოდ. თუკი კრიტიკოსები იმას მიხვდებიან, რომ მე ვარ მხატვარი ძალიან საინტერესო სამყაროსი, გაუგებარი აღარაფერი იქნება. სიზმრისეულ სამყაროს აქვს თავისი ლოგიკა, რომელიც ჩვენი ლოგიკისაგან გადახრილია 40 გრადუსით და მასში შეუცნობელის „აბდა-უბდა" ორგანიზებულია ჩვენივე ლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიკით, რომელიც მრუდდება სიზმარში და თავისებურ სახეს იძენს". სანდრო ცირეკიძის მინიატურებში ბევრი რამ ხშირად სიზმრის თავისებურ, უჩვეულო პრინციპებზეა აგებული. „რომანში" სიყვარულია ის ძალა, რომელიც გმირს სიზმარში გადაასახლებს. ეს იხსნის მას მოსალოდნელი თვითმკვლელობისაგან, რადგან მას სხვა გზა აღარ დარჩენოდა რეალურ სამყაროში. სანდრო ცირეკიძე წერს:

„ერთხელ სიზმარში დაუკაკუნეს, ის მოსულიყ თავსაფრით, ფეხშიშველი.

ცეცხლი დაანთო.

ქალი ხელებს ითბობდა ბუხართან და სწუხდა."

აქ არ არის სიზმარი, როგორც მხატვრული დეტალი კლასიკური ნაწარმოების მსგავსად. აქ იგი არ უნდა ამოიხსნას, როგორც რაღაც აზრისა თუ იდეის დანამატი, მოიაზრება, როგორც მინიშნება რაღაც იდუმალზე. პირიქით, ის რჩება ერთადერთ ნამდვილ რეალობად, იმ დროდ და სივრცედ, რომელსაც თავისი ცხოვრებისთვის ირჩევს „რომანის" გმირი. ესაა ერთგვარი ცდა სიზმრებად და რეალობად გაყოფილი სამყაროს გამთლიანებისა. ჯერ კიდევ როდის წერდა „ვისრამიანის" ავტორი: „საწუთრო ძილია. ჩვენ შიგან სიზმართ ვგავთო" და ამ სიტყვებით იგი ცხოვრების წარმავლობაზე მიანიშნებდა. ალბათ ნებისმიერი მოდერნისტი მწერალი მოაწერდა ხელს ამგვარ ხახეს.

პოლ ვერლენი ლექსში „ჩემი სიზმარი" აცხადებს: „სიზმარი მიყვარს იმიტომაც, რომ ჩემი იდუმალი სამყარო მხოლოდ მისთვის არის მისაწვდომი". როცა არ ხდებოდა სამყაროს ამგვარი გამთლიანება, ეს ჰბადებდა გმირის ტრაგიკულ განცდას. სანდრო ცირეკიძე წერს: „ცარიელი იყო წლები, არავინ ახსოვს, რომ მოელანდოს". გმირის მარტოობას მძაფრად გამოხატავს ეს სიტყვები. როცა რეალობა გისპობს გზას ირეალურისაკენ, როცა აღარც ლანდებია იმიტომ, რომ აღარავინ გახსოვს ე. ი. აქედან იქით, რეალურიდან ირეალურისაკენ პირდაპირი გზა, იკეტება, მაშინ საჭიროა გაიხსნას ახალი გზა იქიდან აქეთ. არა ხსოვნიდან ლანდებისკენ, არამედ, პირიქით, უშუალოდ ლანდებიდან, რომელნიც ხსოვნიდან კი არ ამოიზრდებიან, არამედ თავისთავად შემოვლენ შენში, როგორც ეს ს. ცირეკიძის „რომანშია". მინიატურა „ეპილოგში" კი გაბლეჩილ სამყაროში ერთ მხარეს რჩებიან მოხუცები. უდიდესი ტრაგიზმითაა აღსავსე მათი პატარა დიალოგი:

„— რა ჩუმი ზამთარია.

— აღარავინ მოდის.

— აღარ არიან".

ამ ბოლო სტრიქონით თითქოს გამყოფი ხაზია გავლებული რეალურ და ირეალურ სამყაროთა შორის. მოხუცები საკმაოდ „ჯანმრთელი გონებისანი" არიან საიმისოდ, რომ მათ ცხოვრებაში წარმოსახვა რეალობად იქცეს. მინიატურას „ეპილოგი" ჰქვია და ყოველგვარი წინა ნაწილების გარეშეა წარმოდგენილი. მკითხველის წარმოსახვით არის მინდობილი ამ ადამიანთა ცხოვრება. ესაა ძალზედ ადამიანური, მხოლოდ რეალურ ყოფას მიჯაჭვული კაცთა ცხოვრების ტრაგედია. ეს მინიატურა ზომიერების უდიდესი გრძნობით არის დაწერილი, მოძებნილია ზუსტი ფსიქოლოგიური სიტყვიერი შესატყვისობები ადამიანთა განცდებისა.

მინიატურა „ჯაგლაგას" გმირიც ცდილობს რეალობისაგან გაქცევას. იგი ყველასგან ათვალწუნებული, მარტოსული და უბედურია. ჯაგლაგა ტყეში გარბის და მუხასთან პოულობს საერთოსა და სიმშვიდეს. მინიატურაში ვკითხულობთ: „მუხა მიილტვის ჯაგლაგასკენ. შეჩერებია მას თვალებში, უშლის თავის ჩახვეულ გულს და გარეტებული მოჯადოებული ჯაგლაგა გრძნობს რაღაც საერთოს თავის თავსა და მუხას შორის".

მაგრამ მათი „გამთლიანება" მაინც რეალურ სამყაროში არ ხდება. მინიატურაში ჩნდება შავად მოკიაფე ვარსკვლავი — სიკვდილის სიმბოლო, მუხა ეუბნება ჯაგლაგას: „იქ უნდა მივიდეთ, იმ მკრთომარე ვარსკვლავ-მთასთან. იგი მთაა ჭეშმარიტების ცნობისა. იგი საზღვარია სიმართლისა და მოსვენებისა. იქ მიისწრაფვის ყოველი არსი. ამ საზღვარს გადასული პატარა ობლები უერთდებიან მარადისობას", მაგრამ ცხოვრების „პირობითობა" მაინც იმძლავრებს ჯაგლაგში, მუხაში მას ქალი შეუყვარდება და არა თვითონ იგი ე. ი. მასში ირეალური არ არის თავისთავადი. აქ ბუნება ჯერ უშუალოდ შემოდის, მერე კი წარმოსახვაში ტრანსფორმირდება. ჯაგლაგა „არეულია", მას აღარც რეალობაში დაბრუნება ძალუძს, აღარც მხოლოდ წარმოსახულით ცხოვრება. ამიტომ იქცევა მუხისა და ჯაგლაგას ურთიერთობის ერთადერთ ხსნად სიკვდილი. მუხა მიმართავს ჯაგლაგას: „მაშ, მეგობრულად ჩამკიდე ხელი და მომეხმარე არსთა გარდაქმნაში!.. წადი, ყოველი არსი მოიყვანე აქ და წუთიერების საზღვარს გადააცილე. ოდესმე ჩვენ მარტო დავრჩებით. მაშინ ჩვენ გადავცდებით საზღვარს და მარადისობას შევუერთდებით. წადი და ჩემ უსაზღვრო სიყვარულით ანთებულმა ყოველი არსი მოკალ". აქ უკვე სიყვარული იქცევა ბოროტ ძალად, მუხა კი კვლავ ბუნების შვილად რჩება ყოველგვარი პირობითობის გარეშე, იგი, როგორც სანდრო ცირეკიძე წერს: „გაურბის მოხარხარე ტყეს და ხელებგაშლილი დაეძებს მეგობარს".

გრიგოლ რობაქიძის ტაბა-ტაბაი არიგებდა არჩიბალდ მეკეშს: „ქვეყანა რომ ისუნთქო, საჭიროა ოცნება." სწორედ ამგვარად „ისუნთქავდა" ქვეყნიერებასა და საერთოდ მთელ კოსმოსს სანდრო ცირეკიძე.

თითოეული სიმბოლისტი პოეტი თავისებურად ასხამდა ხორცს ფანტაზიას. „მალარმე ნახულობდა თავის ოცნებისთვის სამოსს, თითქმის უხილავს გამჭირვალეს და ლანდურს".

არტურ რემბომ სინამდვილე პირამიდებში, გადაიტანა. შარლ ბოდლერმა — შუშის პეიზაჟებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში... სანდრო ცირეკიძეს უმეტესად სიზმარსა და ზმანებაში გადააქვს.

წარმოსახული სამყაროს ყველაზე ძლიერი და თავისთავადი სახე სანდრო ცირეკიძის მინიატურებში პირიმზეა, რომელიც ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც გალაკტიონის მერი ან ბლოკის სოფია.

სანდრო ცირეკიძისთვის პირიმზე იყო იდუმალების ქალურ სახეში ხორცშესხმა, ეს იყო ერთგვარი სახე-იდეა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე სტანჯავდა მას, რამეთუ ბოლომდე არ იხდიდა საბურველს და ამოუცნობი რჩებოდა, თუმცა გარკვეული ხიბლი ამ შეუცნობლობასაც გააჩნდა, ეს ასაზრდოებდა პოეტის ფანტაზიას, ულვიძებდა სურვილსა და სწრაფვას დაფარულის ხილვისაკენ.

ვალერიან გაფრინდაშვილი მალარმეზე წერდა: „იგი ლოცულობს იზიდასთვის, მოხიბლული იმით, რომ ვერასოდეს ვერ დაინახავს მის ღვთაებრივ სახეს, რომ მას შეუძლია მუდამ იოცნებოს მასზე და მორცხვად გადაშალოს მისი სამოსის ხვეულები, როგორც გრძნეული ყელსაბამის ქვები, როგორც სიმები პიანურის, უქამანჩოდ რომ ქვითინებს. იდუმალება — ეს მარად ქალწულებრივი იზიდა — თითქოს მადლობელი იყო მალარმესი, რომ ის ასე ფრთხილად ეხებოდა მას, ანანავებდა მას თავის ოცნებაში და იდუმალებამ მოკლა თავისი თავი მალარმეს სამბოროდ".

ასევე „ლოცულობდა" სანდრო ცირეკიძეც პირიმზისათვის. „უდაბნო გზაზე იყო ბროლის კოშკი, დაისი რომ გაფითრდებოდა ჩამავალ მზისთვის.

დაგვიანებული მგზავრები დაისვენებდნენ ბრინჯაოს კარებთან.

პირიმზე მოიწვევდა ერთს."

პირიმზე მხოლოდ რეალურ ყოფაზე მიჯაჭვულთათვისაა უჩინარი, იგი პოეტის სამყაროდან მოდის დრო და დრო, ბროლის კოშკიდან, სადაც „სდარაჯობენ თეთრი თავადები და მწვანე აზნაურები" („პირიმზე"). მას სიხარული და ბედნიერება მოაქვს. „მგოსნები ლექსებით ამკობდნენ, მხატვრები მის ტანზე ოცნებობდნენ" („ლურჯთვალა"). მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მეცნიერმა დურბინდით გახედა მყინვარს, პირიმზის სამოსახლოს და იქ დედოფალი ველარ დაინახა:

„იქ მარტო თოვლი იყო,
და ათასობით დურბინდი მიაჩერდა კოშკს.
ლურჯთვალა არსად ჩანდა.

ათასობით მოხსენებას კითხულობდნენ ცრუ დედოფალზე, ცრუ მგოსნებზე."

ტექნიკის განვითარებამ, ბუნებაზე გაბატონების ილუზორულმა სურვილმა კიდევ უფრო დაუხშო ადამიანს გულის თვალი. მატერიალური, ხილული სამყარო ადამიანთა უმრავლესობისთვის ერთადერთ რეალობად იქცა.

რელიგიის გარდა პოეზიაშიღა დარჩა ირეალობასთან მისვლის ჭეშმარიტი გზა. „მარტო ფერმკრთალი ჭაბუკი, რომელმაც თავისი დურბინდი დაამსხვრია, მთვარიან ღამეში ისევ ხედავდა ლურჯ შუქს. თეთრ თოვლზე მო[illegible] დურბინდმა ვერ შესძლო მისი შინაგანი მზერის გამრუდება ან ჩახშობა. მას როგორც ილია იტყოდა, არ სჭირდებოდა საგნის რწმენისთვის მისი დანახვის აუცილებლობა. სხვები კი ისე ვერ ირწმუნებდნენ. ასეთებმა არ უწყოდნენ ოცნებით ცხოვრების სიტკბო.

სანდრო ცირეკიძის მინიატურათა პერსონაჟები ებოდიშებიან პირიმზეს, რომელსაც ნალვლიანი თვალები აქვს: „გვაპატიე, რომ ასეთი ცუდია ქვეყანა." პირიმზე კვლავ უბრუნდება თავის ბროლის კოშკს, სადაც სითბო, სინათლე და ბედნიერებაა.

სანდრო ცირეკიძემ ვერ მოასწრო დაოჯახება. ჩვენ არ ვიცით, რომელი მშვენიერი ქალის მალული ცრემლი დაიღვარა მის საფლავზე. ვინ იყო ის ოცნების ფერია, მის მინიატურებში ფარჩის კაბას რომ დააშარიშურებდა.

ტიციან ტაბიძე შენიშნავდა ალექსანდრ ბლოკზე: „ცხელი ეგვიპტის ცხვირდამტვრეული სფინქსებიდან გამოჩენილი მისტიური ქალი ბლოკმა შეიყვარა პეტერბურგის ნისლსა და თოვლში და თავისთავად ფანტაზია გარდაიქმნა ფანტასმაგორიად."

სწორედ ამგვარი ფანტასმაგორიით არის გარემოცული სანდრო ცირეკიძის შორეული პირიმზის ხატება.

ვალერიან გაფრინდაშვილის აზრით, პოეზიის და ლიტერატურის გმირებს შეეძლოთ თავიანთი ლანდური სამეფოს დაარსება და თავის შემქმნელთა მიტოვება. სწორედ ასეთი სამეფოა სანდრო ცირეკიძის მინიატურებში. ავტორი, როგორც უცხო, ისე მოგზაურობს ამ ირეალურ სამეფოში და ისევე განიცდის მას, როგორც რეალურს...

შარლ ბოდლერის მინიატურის „ოცნებების" გმირი, მას შემდეგ, რაც ქუჩაში სეირნობისას ოცნებით ერთი ადგილიდან მეორეზე, — ჯერ მდიდრულ სასახლეში, მერე მშვენიერ ზღვისპირზე, შემდეგ პატარა მყუდრო სასტუმროში გადაინაცვლებს, სახლში დაბრუნებული დაასკვნის: „დღეს მე გამოვიცვალე სამი საცხოვრებელი და ყოველ მათგანში თავს ერთნაირად კარგად ვგრძნობდი, რა საჭიროა სხეულის შეჭირვება ადგილების მონაცვლეობით, თუკი სულს შეუძლია ასე მსუბუქად მოგზაურობა? რა საჭიროა ოცნებათა განხორციელება, თუკი ამდენ სიხარულს გვანიჭებენ თვითონ ოცნებები?"

სანდრო ცირეკიძის პერსონაჟებისთვის განუყოფელია ოცნება და რეალობა, შინაგანი და გარეგანი სამყარო. სინამდვილიდან გასაქცევად ერთადერთი გზაა, გზა, რომელსაც ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძე ასწავლიდა: „ნამდვილი სინამდვილე ტლანქი და უხეშია, ხელოვნება მოქნილი და ნარნარია. სინამდვილე საზიზღარია და შემზარავი, ხელოვნება მშვენიერია და მიმზიდველი... რით სცილდება ხელოვნება სინამდვილეს? ოცნებით, „მშვენიერი ტყუილით", მხატვრული სიცრუით. ამრიგად, შესაძლებელი ყოფილა ცხოვრების სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტლანქის დამალვა. „მშვენიერი ტყუილი“, „მხატვრული სიცრუე“ ყოფილა თავშესაფარი, ნავთსაყუდელი.“

ხანდრო ცირეკიძე ამ თავშესაფარს აფარებს თავს და თავის უკიდეგანო ნაღველს მხოლოდ თავისივე შექმნილ გმირებს ანდობს. ყოველი საგნისა თუ მოვლენის იქით იმას ჭვრეტს, რაც მის ფანტაზიასა და წარმოსახვას ეთანხმება.

ფრანგი პარნასელი პოეტი ვილიე დე ლილ ადანი წერდა: „მე ვამტკიცებ, რომ რეალურს აქვს თავისი არსებობის ხარისხები. ყველა საგანი ჩვენთვის იმდენადაა რეალური, რამდენადაც ის ჩვენ გვაინტერესებს. საგანი, რომელიც არ გვაინტერესებს, თითქოს სავსებით არ არსებობს. სხვა სიტყვებით, რეალური ხელშესახებია. ის არსებობს ჩვენთვის მცირე ხარისხით, ვიდრე არარეალური ჩვენ რომ გვაინტერესებს“.

ხანდრო ცირეკიძის წარმოსახულ სამყაროში ორგანულად შემოდის წარსული, როგორც ნოსტალგია გარდასულისა. ეს გრძნობა მძაფრად გამომჟღავნდა მინიატურა „ნანგრევში“. აქ უფაქიზესი შტრიხებით არის გადმოცემული გამქრალი დიდების სევდა, შეურაცხმყოფელი დამდაბლების ტკივილი. იქმნება მეტად მკვეთრად გამოხატული ვიზუალური ხატი ნანგრევისა, რომელიც აღიქმება როგორც სულიერი, თითქოს გვესმის მისი ხუნთქვა, ოხვრა. მას აქვს წარსული — დიდებული და შეუდარებელი. იყო დრო, როცა სდარაჯობდნენ ვაჟკაცნი, ერთგულნი და უღალატონი. ხანდრო ცირეკიძე წერს: „დგას თავჩაღუნული, გულმკვდარი და მალული ცრემლით დანამულ თვალებს განებივრებულ მტრებს აშტერებს.“

მკითხველს გულს უჩუყებს ნანგრევის მარტოობა და უძლურება, რომელსაც „პაწია კიანჭველაც კი აღარ ეპუება და მედიდურად დასეირნობს მის მკერდზე.“ და ხანდრო ცირეკიძის წარმოსახვაში მაშინვე მთლიანდება ნანგრევი, დიდებული კოშკი აღდგება, აბჯარასხმული მეომრებიც გადმოდგებიან ქონგურებიდან და მტერს თვალს მოხჭრის მათი ბრაზიანი მზერა.

„რა ამაყი იყო მაშინ ეს ციხე!

და ახლა?

სად წავიდა იგი დიდება? რა დარჩა მისგან?

მხოლოდ გულისმკვლელი მოგონება, ტკბილი, მაგრამ მწარეზე უარესი...“

ხანდრო ცირეკიძე თავის დაღლილ ფიქრებს საქართველოს წარსულში ავანებდა, იქ იყო მისი სულიერი ნავთსაყუდელი, „აქ“ კი ხედავდა, როგორ „ლაპა-ლუპით ჩამოსდიოდა მალული ცრემლი უმეგობროდ დარჩენილ, დაჯაბნულ ნანგრევს, მტრები კი ნადიმობდნენ.“ მინიატურის ბოლო სტრიქონები თითქოს ნაჯახით არის მოკვეთილი ცრემლები და ნადიმი... ეს კონტრასტები მკითხველში აღვიძებენ სიოცარ გრძნობას, რომელსაც მამულის სიყვარული ჰქვია.

დღიურში ჩაუწერია ხანდრო ცირეკიძეს: „1 ოქტომბერი... გუშინ მე და შალიკო (შალვა აფხაიძე) ფეხით გეგუთში ვიყავით, ძალიან ვიხიამოვნეთ. გეგუთის ციხეშივე დავწერე მინიატურა „ნანგრევი“, რომელიც ამ საღამოს რედაქციაში მივიტანე.“

ხანდრო ცირეკიძეს ძლიერ მჯყვარებია წარსულის ნატერფალებზე სიარული. დიდხანს იჯდა ხოლმე თურმე ბაგრატის ტაძრის ეზოში და თვალმიშტერებული შესცქეროდა ჩამოქცეულ გუმბათს... ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა მასზე: „პოეტი დგას დაჩოქილი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან და იხედება წარსულში. ცირეკიძე არ არის ბანალური პესიმისტი, მაგრამ მისი სევდა სიმბოლური ფენომენია, რადგან მას არ სჯერა ეს ქვეყანა და საგნებს იქით იხედება“. მისივე აზრით, პოეტს შეუძლია შექმნას მხოლოდ ბუტაფორია იმ იდეალური ჰსოფლიოსი, რომელსაც პოეტი-ოცნება ეშურება. „თითქოს ქვეყანა ეკითხება პოეტს, როგორც მის ლიზ ლე ეკითხებოდა ლაფორგს, იტყვის თუ არა ის რეკვიემს, მაგრამ მთელი მისი შემოქმედება არის რეკვიემი.“

ხანდრო ცირეკიძის სიყვარული წარსულისადმი, მისი გარდასულ ლანდებთან ლიცლიცი ნაცნობი იყო მისი მეგობრებისათვის, ამიტომ ხშირად მისადმი მიძღვნილ ლექსებში სწორედ წარსულის გამოტირება ისმოდა. კოლაუ ნადირაძე ასეთ სტრიქონებს უძღვნიდა:

„შედიხარ ჩუმად, გრილი ტაძარი,
მოთაფლისფერო სახე მამების,
და საცეცხლურში ცოტა ნაცარი,
და შავი ხატი წმინდა სამების.“

მინიატურა „რაინდთა ლანდებშიც“ წარმოსახულ წარსულში გადაგვახედებს მწერალი. „ორი ზურმუხტოვანი მთის შუამდინარის პირას ხავსიანი ნანგრევია, იგი მოჩვენებათა სახახლეა.“

ყოფიერება ფენომენია, მაგრამ მწერალს გულის ხედვა აქვს და „შიგნიდან“ იმზირება, ამიტომ მატერიალურის, ნანგრევის მიღმა ჭვრეტს მოჩვენებათა სასახლეს. ეს არის თითქოს გასაღები მინიატურისა, რომლითაც ახალი სამყარო იღება მკითხველის წინაშე. ეს ხანდრო ცირეკიძის პოეტური სტილია. მოჩვენებათა სასახლე ხანდრო ცირეკიძის მიხედვით, რეალობის მისნური ათვისებაა, ამ შემთხვევაში იგი მისტიფიკატორია და ქმნის ნანგრევის სახის პოეტურ ლირებულებას, „დალავს“ მას პოეტური არსებობის უფლებით თავის წარმოსახულ სამყაროში. მერე, როცა უკვე გახსნილია კარი მინიატურისა, მკითხველი ოთლად „იგზნებს“ მისნურ ჩვენებებს და მიჰყვება ავტორს განცდათა ლაბირინთებში.

შარლ ბოდლერი თავის ერთ მინიატურაში აღწერს წარმოსახვის „აფეთქების“ პროცესს. გმირი ფანჯრის მიღმა იხედება და იქ შენიშნულ მოხუცის ისტორიას წარმოიდგენს. მისი წარმოსახვა იმდენად ძლიერია, რომ გმირი ცხოვრობს და განიცდის არა თავისთავში, არამედ სხვაში. „შეიძლება თქვენ მკითხოთ, — წერს შარლ ბოდლერი, — დარწმუნებული ხარ, რომ მართალია შენი ლეგენდა. მაგრამ, მე რა მესაქმება სინამდვილესთან, რომელიც ჩემს გარეშეა, თუკი წარმოსახვა

მომეხმარა მეგრძნო, რომ ვცოცხლობ და ვცხოვრობ და საშუალება მომცა, შემეცნო საკუთარი თავი“.

სანდრო ცირეკიძის მინიატურების გმირებს სხვა, ლანდური ცხოვრება აქვთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი რეალურ სამყაროს მოწყვეტილი არიან, ეს უბრალოდ ცხოვრების სხვა მხარეა, მაგრამ ისევე აუცილებელი, როგორც ყოველდღიურობა. რაინდები თითქოს დაიხოცნენ, ალარსად გვესმის მათი გულამაყი დაქადნება მტერთან შებრძოლებაზე, ალარც ფარჩებით შემოსილი უმშვენიერესი დედოფალი დააბიჯებს სასახლის მარმარილოს ფილაქანზე, ყველაფერი რიჟრაჟთან ერთად ქრება, მაგრამ ისინი მაინც არსებობენ და ჩვენი მთლიანობისა და სრულყოფილების აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. სანდრო ცირეკიძე, როგორც გრიგოლ რობაქიძე შენიშნავდა, არხევს მარადისობის ფარდას, რომლის იქით გამოუთქმელი იმალება და თავისი პოეტური წარმოსახვებით წარმოგვიჩენს მას.

სანდრო ცირეკიძე დროს ერთიან, დაუნაწევრებელ მდინარებაში აღიქვამდა და წარსულთან მიახლებასაც განიცდიდა, როგორც [illegible] დავიწყებულთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო ცირეკიძეს წინაპრები მუდამ სათვალავში ჰყავს და თავისი მინიატურებით თანამემამულეებს უნერგავს აზრს, არ დაკარგონ მამა-პაპური მადლი, სული და გული, სიყვარული და ერთგულება მამულისადმი.

სანდრო ცირეკიძის წარსულთან დამოკიდებულება კარგად ჩანს ალი არსენიშვილის მოგონებაში. იგი წერს:

„ის ხომ შეუდარებელი განმგრძობი იყო თუნდაც ბაგრატის ტაძრის აწ მოჩვენებული ზვიადობისა. ბაგრატის რუინების ჩუმი ტრფიალი სწვავდა მას. იგი მთელი დღეები იდგა მათ წინ და პირანეზის გეგმებით ახდენდა ბაგრატის რესტავრაციას. მან იცოდა ყველა პატარა ქვის ნამტვრევის წინანდელი და ნამდვილი ადგილი. უთუოდ თავის იშვიათ, ბედნიერ წუთებს განიცდიდა იგი, როცა მოელანდებოდა ბაგრატი აღდგენილი და თავისი თავი — მაშინდელ მგოსანთან და ფილოსოფოსთან მოსაუბრე. ისინი უთუოდ გამონახავდნენ საერთო ენას. ჩუმი სანდრო არაფრით არ გაამჟღავნებდა საუკუნეთა განსხვავებას.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპარტაკ რეხვიაშვილი

# საქართველო—მალყარის ურთიერთობის ისტორიიდან

მალყარი[1] თავისი ისტორიული წარსულითა და ყოფაცხოვრებით წარმოადგენს ფრიად საინტერესო მხარეს, რომლის მიმართ ინტერესი წარსულში დიდი იყო. არაერთ მკვლევარ-მოგზაურს აღუწერია იქაური ბუნება, ისტორია, წეს-ჩვეულებები და სხვ. მაგრამ ცარიზმის ინტერესების შესაბამისად მოქმედი რუსი და უცხოელი მოგზაურები თუ მისიონერები, რომლებსაც პოლიტიკური, კომერციული, სარწმუნოებრივი და სხვა მოსაზრებები უფრო ამოძრავებდათ ცალმხრივად სჭვრეტდნენ სინამდვილეს და ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე აკეთებდნენ დასკვნებს. ამდენად, რასაკვირველია, მათ არ შეეძლოთ მოეცათ საერთოდ კავკასიელ მთიელთა და კერძოდ მალყარელთა აწმყო ან წარსული ყოფაცხოვრების ობიექტური ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობა. ამიტომ მათი შეხედულებები ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შეფასებასა და გააზრებაში დაზღვეული არ იყო შეცდომებისაგან.

აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ რევოლუციამდელ და შემდგომი პერიოდის ზოგიერთ ისტორიკოსთა ნააზრევებიდან იღებს სათავეს მცდარი შეხედულება, — თითქოს მალყარელი მთიელები, ჩვენი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის დასასრულს დუნაისა და ვოლგისპირეთიდან მოსული და შემდგომში ხაზართა მიერ შევიწროებული ჩრდილო კავკასიის სტეპებიდან კავკასიონის მთებში შეხიზნული სავირთა (ბულგარელ) მეომართა ნაშთების შთამომავალნი იყვნენ. მათი აზრით ამ ხალხის ისტორიული ეთნო-გენეზის ასეთ ფორმულირებას იღებს: სავირ-ბოლგარ-ბოლკარ, რომლის უსაფუძვლობა არა მარტო ხალხური გადმოცემებით, არამედ სპეციალური ლიტერატურითაც დასტურდება. სადაც ყველგან და ყოველთვის ხსენებული ხალხის აღმნიშვნელ ეთნიკურ ტერმინად მოხსენიებულია მალყარელი, დასახლების ადგილის სახელად კი მალყარი, ბასიანი ან მაჩიანი. ამ სახელებით იცნობენ მათ უძველესი და ახალი დროის მკვლევარები. რაც ერთ-ერთი უტყუარი საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ მალყარლები კავკასიონის მთიანეთის ადგილობრივი ბინადარი ხალხია. ამასთან ერთად ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ ჭეშმარიტების კიდევ ერთი კარგი დასტური თვით ხალხის ნება და აღიარებაა, რომელიც თავის თავს მალყარელს, მამაპაპურ მშობლიურ მხარეს კი მალყარს ეძახის, მისთვის უცხო და მიუღებელია გამოთქმები ბალყარი და ბალყარელი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მალყარელები თავდაპირველად მდ. ჩერეკის ზემო წელში, ეგრეთ წოდებულ „დიდ მალყარში“ უნდა დასახლებულიყვნენ, სადაც ძლიერი იყო ქართულ (სვანურ) საგვარეულოთა გავლენა.

მაინც ვინ არის საუკუნეებით ჩვენს გვერდით, ახლო მეზობლად მცხოვრები ეს მცირერიცხოვანი, მაგრამ ამაყი, თავისუფლებისმოყვარე და მამაცი ხალხი?

მალყარელი მთიელები ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთის მთის კალთებზე მოსახლე უძველესი ხალხია. დამკვიდრებული ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული მაღალმთიანი და ვიწროკლდოვანი ჩეგემის, ჩერეკის, ბაქსანის, ბეზინგის, ხულამის ხეობებში.

მათ უცხოელ დამპყრობთა და ადგილობრივ დამრბევთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლითა და თავდადებული შრომით შეინარჩუნეს საკუთარი თვითმყოფობა.

---

1 მალყარი — ამჟამად ადმინისტრაციულად შედის ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ მალყარელთა მიერ განვლილი გზის მთელი სიცხადით წარმოჩენა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რაც უმთავრესად წერილობითი წყაროების სიმცირით აიხსნება. ამიტომ რაც არის და მოგვეპოვება საჭიროა მათი ხალხური გადმოცემებითა და ლეგენდებით შეჯერება, რითაც ასე მდიდარია მალყარული ფოლკლორი. ამასთან ერთად ისიც გასათვალისწინებელია, რომ მალყარის ისტორიული წარსულის საფუძვლიანი შესწავლა წარმოუდგენელია, საერთოდ საქართველოს და კერძოდ, მის კარის მეზობელ საქართველოს ცალკეული რეგიონების (რაჭა, სვანეთი) ისტორიულ წარსულთან კავშირის გარეშე, ეს ისტორიული სინამდვილის ცალმხრივ განჭვრეტამდე მიგვიყვანდა, რაც ერთ-ერთი მიზეზია საკითხში გაურკვევლობისა.

კავკასიონის მთის სამხრეთით მთის რაჭა და ზემო სვანეთი, ბოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით: დიდგორი (ჩრდ. ოსეთი), ჩრდილო-დასავლეთით ყარაჩაი და სხვ. ჰქმნიდნენ შეხების თავისებურ სასაზღვრო ზოლს, რომელთა მოსახლეობას ოდითგანვე მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა ერთმანეთთან და ამიტომ, მათ წეს-ჩვეულებებში, მატერიალური ძეგლებისა და სოციალურ ინსტიტუტებში მრავალი საერთო ჰქონდათ.

ქართველ და მალყარელ მთიელთა ურთიერთობა წარსულში ძნელ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. ეკონომიკურ მოთხოვნათა დაკმაყოფილების აუცილებლობასთან ერთად ჩვენსა და მალყარელთა კეთილმეზობლობასა და მეგობრობას საერთო მტერთან ერთობლივი ბრძოლის ინტერესებიც განსაზღვრავდა, რაც ტერიტორიული სიახლოვითაც იყო განპირობებული. ამის დასტურად, 1828 წლის ერთ რუსულ წყაროში ვკითხულობთ: „ყაბარდოელი თავადები მძიმე გადასახადებით ძალზე ავიწროებდნენ თავის გავლენის ქვეშ მყოფ მალყარელ მთიელებს. მათ რუსეთისა და ყაბარდოს სამრეწველო ქალაქებისაკენ მიმავალ ყველა გზას უკეტავდნენ და სავაჭროდ არ უშვებდნენ. ამის გამო ჩრდილოეთიდან შეწუხებული და კარჩაკეტილი მალაყარლები ყოველთვის საქართველოსაკენ მიისწრაფოდნენ, საითაც მუდამ გზა ხსნილი ჰქონდათ. პირველ რიგში რაჭა იყო მათი სადგური“.

საქართველოსთან კეთილმეზობლურ და მჭიდრო სავაჭრო სააღებმიცემო კავშირურთიერთობას ძველთაგანვე დიდად აფასებდნენ ჩრდილოკავკასიელი ხალხები. ისინი ცდილობდნენ არ დარღვეულიყო ისტორიულად ჩამოყალიბებული და განმტკიცებული კერძომოკეთეობა და მეგობრობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეგობრობის სი[illegible] ძლიერების მთავარი და ჯემშა[illegible] და მართლაც ძალზე აღნიშნული მეგობრობისა იმდენად ძლიერი იყო, რომ მ. აბაევი მალყარელი ხალხის ეთნიკური თავისთავადობისა და თვითმყოფობის შენარჩუნების მთავარ პირობად იქაურ მკაცრ და შეუვალ გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად საქართველოსთან ახლო სავაჭრო ურთიერთობასა და კეთილმეზობლობას მიიჩნევს. იგი წერს: „ჩრდილო კავკასიის ველებსა და ტრამალებში მომთაბარე ხალხებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში, ადგილობრივი მცხოვრები მალყარლები იხსნა: თვით ბუნებამ, მთების შეუვალობამ, მშობლიური კუთხისადმი მთიელების ძლიერმა სიყვარულმა ერთსულოვნებამ, მმართველობის შინაურმა წესრიგმა, შესაძლებლობამ საქართველოდან სასიცოცხლო აუცილებელი საქონლის შემოტანისა, პირუტყვისა და მატყლის ნაწარმზე გაცვლა-გამოცვლის საშუალებით. აღნიშნულ პირობებს უნდა უმადლოდნენ მალყარლები, რომ მათ შეინარჩუნეს თავის დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა“.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ და მალყარელ მთიელებს არა მარტო ტერიტორიული სიახლოვე და სავაჭრო ურთიერთობა, არამედ, უხსოვარი დროიდან საერთო ტერიტორიაზე თანაცხოვრებაც აკავშირებდათ. ამიტომ არის, რომ აღნიშნულ რეგიონში ქართულ საგვარეულოთა განსახლების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს მალყარელ მთიელთა წარსულის, მათი წარმომავლობის და ეთნიკურ სახელწოდებათა სრულყოფილად გაშუქებისა და ტერმინთა დაზუსტების საქმეში, რაც დღემდე რთულ და დაუდგენელ პრობლემად არის მიჩნეული, თუმცა ამის ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

ტომის სახელწოდება, — წერს გ. იოანე, — რომელმაც მალყარის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების კულტურა შექმნა და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მალყარელი ხალხის ფორმირებას, ჯერ-ჯერობით უცნობია. შეიძლება ვიფიქროთ, — დასძენს იგი, — რომ ისინი იყვნენ აშდიგორლები, რომლებიც თავის მხრივ პირველი ათასწლეულის დასაწყისში ასიმილირებული იყვნენ ირანულენოვან სკვით-სარმატთა მიერ.

მკვლევარის აღნიშნული ვარაუდი, რომელიც ეყრდნობა უძველეს სომხურ წერილობით წყაროს, ჩვენი აზრით, ახლო დგას ისტორიულ სინამდვილესთან, რამდენადაც მალყარის ტერიტორიაზე მართლაც დასტურდება ოსური (დიდგორული) მოსახლეობის ნაკვალევი, მაგრამ მას ავიწყდება, რომ წარსულში ჩრდილო კავკასიის მთის ზოლში ქართული (სვანური, რაჭული, მეგრული, იმერული) საგვარეულო-

ები იყვნენ ფართოდ განსახლებულნი. რაც მალყარში ქართული საგვარეულოების სიმრავლითა და სპეციალური ლიტერატურითაც დასტურდება. ასე რომ ქართულმა საგვარეულოებმა უდიდესი როლი შეასრულეს მალყარელი ხალხის ფორმირებასა და განვითარებაში, ქართული კულტურის ძეგლებს დღესაც მრავლად შევხვდებით იქ.

ასევე საგულისხმო და უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ეთნოგრაფიული მასალებისა და სპეციალური ლიტერატურული ცნობების მიხედვით მალყარელ მთიელთა სატომო სახელი, — მალყარელი და ადგილის აღმნიშვნელი ტერმინი — მალყარი, მონადირე მალყარისგან მომდინარეობს.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ მოსაზრებაში საეჭვო და დაუჯერებელი არაფერია, რადგან მამაკაცის სახელიდან სატომო სახელის წარმოშობის კანონზომიერება სხვა წყაროებითაც დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ ტერმინები მალყარი და მალყარელი, როგორც ეთნონიმის ისე ტოპონიმის სახითაც გვხვდება და დიდი ხნის ისტორიული წარსულიც აქვს.

ამრიგად, საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე და ხალხის ფსიქიკაში ღრმად გამჯდარი ეს ტერმინები საყურადღებოა იმითაც, რომ სრულყოფილად ასახავენ მალყარელთა წარსულ ისტორიას, ცხადყოფენ მათ წარმომავლობას, სადაურობას და ვინაობას. ამიტომ არის, რომ ხალხი არ ივიწყებს და პატივისცემით მოიხსენიებს მონადირე მალყარის სახელს, რომელსაც იქაური მთიელები თავის წინაპრებად თვლიან. ცხადია, რომ ამ სახით მალყარელ ხალხს, როგორც ადრეული ისტორიის მქონეს, თავდაპირველი სატომო სახელი უნდა ჰქონდეს შემონახული. ამის შესახებ მალყარში ლეგენდას დღესაც ჰყვებიან, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მალყარის პირველ მოსახლენი თავის თავს თაულუს (მთიულებს) უწოდებდნენ.

ლეგენდა მრავალმხრივ საყურადღებოა ისტორიული სინამდვილის აღდგენის თვალსაზრისით. ბევრის მთქმელია აგრეთვე, იქაურ პირველმოსახლეთა ეთნიკური სახელი თაულუ (მთიულეთი), რომელიც თავისი წარმოშობით უფრო ძველია ვიდრე ეთნონიმი მალყარელი.

საგულისხმოა, რომ წარსულში სვანეთის კუთვნილება დღევანდელი მთის რაჭა ისტორიულ წყაროებში ისევე მთიულეთად მოიხსენიება (ს. კაკაბაძე). „მთიულეთის“ ქვეშ სვანეთის ტერიტორიის ერთი ნაწილი რომ უნდა იგულისხმებოდეს, ამას ადასტურებს, ეგრეთ წოდებული, „ჯაფარიძეთა სიგელიც“, რომელიც მე-15 საუკუნით არის დათარიღებული. ისიც უნდა ითქვას, რომ სახელწოდებათა ეს დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს, რამდენადაც ცნობილია, რომ სვანეთის მთიულეთთან (დღევანდელი მთის რაჭა) ერთად მთიულეთად იწოდებოდა მისი მიმდებარე ტერიტორია ჩრდილოეთით, მერმინდელი მალყარი, ანუ ბასიანი (თ. მიბჩუანი), და ორივე მთიულეთზე სვანური გავლენა ვრცელდებოდა.

ამრიგად, ლეონტი მროველის „მთიულეთი“ და „ჯაფარიძეთა სიგელის“ „მთიულეთი“ ერთი და იგივე უნდა იყოს. მთიულეთი რომ სვანეთის ტერიტორიის ერთი ნაწილი იყო ეს ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. ნ. ბერძენიშვილი წერს: „მე-18 საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს პოლიტიკური ჰეგემონობა კავკასიის ქედს სცილდებოდა და იქაურ მთის ხალხებზეც ვრცელდებოდა“ (ნ ბერძენიშვილი).

თ. მიბჩუანი ეყრდნობა რა მთქმელთა გადმოცემას აღნიშნავს, რომ „დიდი სვანეთი“ მხარეს ეწოდებოდა მაშინ, როცა მისი საზღვრები კავკასიონის ქედს სცილდებოდა, მოიცავდა სვანეთისა და ყუბანის სათავეებს.

მალყარის ტერიტორიაზე სვანების განსახლების შესახებ საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული თ. მიბჩუანს, რომელიც აღნიშნავს, რომ „ბალყარლები მე-14-15 საუკუნემდე უნდა ვიგულვოთ ჩრდილო კავკასიის სტეპებში, კავკასიონის მთის წინეთში, ხოლო მათ დღევანდელ ტერიტორიაზე, ასევე მდ. ყუბანისა და მდ. კუმის სათავეებში უნდა ეცხოვრათ სვანებს ოსებთან ერთად და ბალყარელებთან უშუალო მეზობლობაში. ამ შემთხვევაში სვანებსა და ბალყარელებს შორის უშუალო კავშირი და ახლო ურთიერთობა სავსებით შესაძლოა აღნიშნულ ტერიტორიაზე, — დასძენს შემდეგ თ. მიბჩუანი, — სვანების განსახლების შესახებ სავარაუდო ცნობები მოგვეპოვება ჯერ ანტიკური ხანის, ხოლო შემდეგ შუა საუკუნეების წყაროებში.

...ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ პირველმოსახლე თაულუ (მთიულები), რომლებიც მონადირე მალყარს იქ მისვლისას დახვდნენ სვანები უნდა ყოფილიყვნენ.“

აღსანიშნავია, რომ გარდა შორეული მოძალადეებისა მალყარს ხშირად თავს ესხმოდნენ და არჩანაგებდნენ მეზობელ მთიელ მებატონეთა ბასიათასა და ბადილათას შეიარაღებული ბრბოები. მათ ჯერ დიგორის ურუხის ხეობა დაუმორჩილებიათ. შემდეგ მალყარის ჩეგემის ხეობასაც დაპატრონებიან და დაპყრობილი ადგილები გაუყვიათ. ამ დროიდან ადგილობრივ მოსახლეთა შორის ოსები (დიგორლები) მოიხსენიებიან, სარწმუნოებით ნაწილი წარმართნი, ნაწილი ქრისტიანნი, ასევე იყო ქართულ მოსახლეობაშიც.

106 წლის ადილ რახაევი (აული ბეზინგი) გადმოგვცემს, რომ მისი მამაპაპა ქრისტიანები ყოფილან. აღდგომას წითელი კვერცხებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლორების დაკვლით ეგებებოდნენ. მხოლოდ მე, — დასძენს, იგი, — რაც თავი მახსოვს მუსლიმანი ვარ. მტრებმა აგვიძულეს რჯული გამოგვეცვალა, მაგრამ ეროვნულობის ხსოვნა ჩვენში ვერ ჩაკლეს, ვიცით ვისი გორისა ვართ, ქართველთა შთამომავალნი.

ისტორიული წყაროებიც გვაუწყებენ იმის შესახებ, რომ თავდაპირველად მალყარელი, ყარაჩაელი, დიგორელი მთიელები წარმართობის მიმდევარნი ყოფილან, მერე ქრისტიანობა ულიარებიათ, მაგრამ 1772 წლიდან თურქეთის აგენტის ისხაკ ეფენდის ქადაგებით მუსლიმანობა მიუღიათ.

სწორედ მოძალადეთა გავლენით ერთხანს მალყარი ისტორიულ წყაროებში ბახიათად მოიხსენიება. ასე ხდებოდა საერთოდ ადრეულ შუა საუკუნეებში ხშირად ესა თუ ის მხარე დამპყრობელთა სახელით იწოდებოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში ძალად შერქმეული სახელი, როგორც ნაძალადევი და ხალხისთვის მიუღებელი, მალე დავიწყებას ეძლეოდა და საბოლოოდ ჭეშმარიტება იმარჯვებდა.

კარჩაკეტილობა და ცალკეულ მეზობელ ტომებს შორის მტრობა და მიხტომ-მოხტომა აუძლურებდა მთიელებს. მეფის რუსეთის ჯარს, ამ მთის „ველური მხარის“ მორჩილებისკენ რომ მოისწრაფოდა. სწორედ ტომთა შორის გამუდმებულმა ქიშპობამ გაუადვილა მალყარის ძნელად მისადგომ მაღალკლდოვან ვიწრო ხეობებში შეღწევა და მთიელთა დამორჩილება. ეს მოხდა 1882 წელს.

იქაურობას ახსოვს ალანთა, ჰუნთა, ბულგართა, სარმატთა, ხაზართა ყივჩაღთა, თათარმონღოლთა, მეფის რუსეთის ჯართა და სხვა ურიცხვ მომხდურთა თარეში, რომლებმაც შეძლეს მთიელთა დაპყრობა, მათი სარწმუნოებრივ-ეროვნული სახის შეცვლა, მაგრამ დამპყრობლებმა საბოლოოდ ვერ შეძლეს ადგილობრივ მკვიდრთა თვითშეგნებისა და კავკასიელისათვის დამახასიათებელი სიამაყის გრძნობის ჩაკვლა, ამიტომ არის, რომ ბასიანი, ბალყარი თუ მთიელებისათვის ხელოვნურად თავსმოხვეულ სხვა სახელთა ხსენება, გაქრა, თუმცა ხალხის ცხოვრებისათვის შეუსაბამო ტერმინი — ბალყარი ისევ წარმოითქმება სხვათა მიერ, ფესვმაგარი და ძირძველი ხატოვანი სახელი — მალყარი კი დღემდე შემორჩა მხოლოდ საკუთრივ მალყარელთა და მათ მეზობელ ქართველ (რაჭველ) მთიელთა შორის, რომლებიც უძველესი დროიდან ამ სახელით იცნობდნენ მოსაზღვრე მთიელებს. ქართველ მთიელებს ხომ მალყარელ ხალხთან ისტორიული კეთილმეზობლობა, მეგობრობა, კერძომოკეთეობა, ხზვისშვილობა-ათალიკობა აკავშირებდათ.[1]

ფასის მთის სამხრეთით, რიონის სათავეებში, ქართველები ცხოვრობენ. მთას იქით, ჩერეკის ხეობის ზემო წელში, მალყარლები ბინადრობენ. ფასის მთა საერთო დედაა, რომლის ერთი ძუძუთი ქართველები იკვებებიან, მეორეთი კი — მალყარლები. ამიტომ ვამბობთ, რომ საქართველო და მალყარი ძმები არიან.

მეზობელი ხალხების ჭირი და ლხინი განუყოფელი იყო. ფასის მთის ძნელად სავალი საუღელტეხილო ბილიკებით მათ ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ, ისინი ხელს უმართავდნენ ერთმანეთს შრომაში, ვაჭრობა-აღებმიცემობაში, სახელოსნო საქმიანობაში, კარზე მომხდურ გარეშე თუ შინაურ მტრებსაც ერთიანი ძალით ებრძოდნენ. მეგობრობის ამ დიდმა ძალამ შეაძლებინა მათ მთის მიუვალ ადგილებში ეშენებინათ თავდასაცავი და საცხოვრებელი ქვიტკირის ციხე-კოშკები, დუროიანი სახლები, საკულტო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

უფრო მტკიცე რომ ყოფილიყო ქართველი და მალყარელი ხალხების მეგობრობა, ისინი ერთმანეთში კერძმოკეთეობას ამყარებდნენ ძუძუთ ბავშვებს (ვაჟებს) ერთმანეთში აშვილებდნენ. ეს წეს-ჩვეულება მთის რაჭაში „ხზვის შვილობის“ სახელით არის ცნობილი, მალყარში კი „ათალიკობას“ ეძახიან.

მალყარელი დედა თავის ძუძუთი კვებავდა და 11-12 წლამდე მზრუნველობით ზრდიდა ქართველ ბიჭუნას, რომელსაც ღვიძლ შვილებში არ არჩევდა. ამ ტრადიციის წყალობით, მეგობრობა თანდათან ხელოვნურ ნათესაობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ძიძიშვილობით ქართველ და მალყარელ მთიელთა ოჯახების ძმობა კიდევ უფრო მტკიცდებოდა.

„ხზვისშვილი“ მალყარელის ოჯახში სწავლობდა მოძმეთა ენას, ეცნობოდა მათ წესჩვეულებებს, უახლოვდებოდა ხალხს, მისი ნაცნობ-მეგობართა წრე საგრძნობლად ფართოვდებოდა.

მალყარელები, მათ ოჯახში აღზრდილ ქართველ ყმაწვილებს „ემჩეკებს“ (ძუძუთძმებს; მათთან კერძომოკეთეობით დაკავშირებულ ქართველებს (რაჭველებს, სვანებს) კი „ჭუღუმ ყონაღებს“, ე. ი. უადრესად ახლობელ და პატივსაცემ მეგობრებს ეძახდნენ; სტუმრად მისულ რაჭველ და სვან მეგობრებს ასეთი მზიარული შეძახილებით ხვდებოდნენ: „ჭუყლარქელ გენდელე“, ე. ი. ახლობლები მოგვივიდნენო.

კარგად მახსოვს, — იგონებს მალყარელი

[1] სპ. რეხვიაშვილი, ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელთა მეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი ყაისინ ყულიევი, ჩემს ბავშვობაში, როგორ გადმოდიოდნენ სვანები და მეგრელები ჩვენს სოფელში (ზემო ჩეგემი ს. რ). სტუმრად, სავაჭროდ... ისინი ხომ მაღალ მთებსაც ადვილად ლახავდნენ მალყარული ჯიშის ხარებს, რომლებსაც „მთვარის რქიანებს" უწოდებდნენ. მალყარელები „მთვარის რქიანებს" პატარა და გამძლე მეგრულ ცხენებზე „მალყარებზე" ცვლიდნენ. ჩვენები სამეგრელოს ახლაც „მალგარიას ეძახიან.

ქართველი და მალყარელი ხალხების ძმობის დასტურად ყ. ყულიევი გვაუწყებს: „ერთხელ მამაჩემი ავად იყო და რაღაც ბედად სწორედ იმ დროს ჩვენი სამთვრებიდან ხარები გაიტაცეს. მამაჩემმა მოიწვია[1] თავისი ძმობილი სვანი. მოაძებნინა გამტაცებლები და ხარებიც დააბრუნებინა. მერე კი, მამა რომ გარდაიცვალა, ოცდაათამდე სვანი გადმოვიდა ჩეგემში მის დასატირებლად. დღემდე წმიდათაწმიდად მახსოვს მამაჩემის ანდერძი: ქართველებთან მეგობრობას ნურასდროს მოშლით".

ახეთივე პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდნენ მოძმე მალყარელი მთიელები ჩვენში.

ნუ დავივიწყებთ, რომ არც თუ ისე შორეულ წარსულში კავკასიონზე გადიოდა არა მარტო მთიელ ტომთა და ხალხთა შორის შუღლისა და მტრობის ბილიკები და უფსკრულები, არამედ ქრისტიანულ და ისლამურ სამყაროსთან მეგობრობისა და ძმობის საზღვრებიც.

ჩემი ხალხი, — წერს ყ. ყულიევი, — ყოველთვის უახლოესი მეზობელი იყო ქართველი ხალხის...

როგორც ყაჩაღთა შთამომავალი, — დასძენს იგი, — მალყარლები ალ ჩიდანვე დაუკავშირდნენ საქართველოს ბედსა და იღბალს. ბევრი მალყარელი შეეწირა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას; ისინი ქართულ ყორღანებში წვანან. ეს მარტო მეცნიერებმა კი არა, მგზოსნებმაც უნდა იცოდნენ.

ქართველი და მალყარელი ხალხების ახლო მეგობრობა და ნათესაობა საგვარეულო კავშირებითაც გამოიხატებოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მალყარულ ლეგენდაში მოხსენიებული მისაკა. „მთის იქიდან" გადმოსული კაცი და ამ სახელიდან წარმომდგარი გვარი მისაკაევი, იგივე, მუსუკაევი (მუსკალარ), რომელიც ქართველური წარმოშობის უნდა იყოს. ამის თქმის უფლებას ჩვენ გვაძლევს ხალხური გადმოცემა, რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ მალყარლები „მთას იქიდან" გადმოსულში, ყოველთვის საქართველოდან გადმოსულ კაცს გულისხმობდნენ. ამის შესახებ ეთნოგრაფიული მასალები და სპეციალური ლიტერატურული ცნობებიც ლაპარაკობენ, რომლებიც გვაუწყებენ, რომ დღევანდელი მალყარული გვარი მუსუკაევი (მუსუკალარ) რეხვიაშვილები არიან" (თ. მიბჩუანი).

ხალხურ გადმოცემებთან და ისტორიულ წყაროებთან ერთად, ჩრდილო კავკასიაში დღემდე შემონახული ქართული წარმოშობის ტოპონიმები, გვარები, მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ. ნათლად მიუთითებენ, რომ რაჭა-სვანეთის მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიის მთის ზოლში წარსულში უცხოვრიათ ქართველებს. თ. მიბჩუანი მე-8-12 საუკუნეებში დღევანდელი მალყარის ტერიტორიაზე სვანების ცხოვრებას ადასტურებს, რომლებიც შემდეგ ან ადგილობრივ მოსახლეობას შერწყმიან ან მოძალადეთა გამუდმებული თარეშისათვის ვეღარ გაუძლიათ და სხვაგან გადასახლებულან. მაგრამ ისტორიის ბედუკუღმართობას მათი ნაკვალევი მაინც ვერ წაუშლია. ჩრდილო კავკასიის აულებში და დაბებში დღესაც ბევრს შეხვდებით, ვინც თავს ქართველის შთამომავლად თვლის. მათი გვარსახელებიც ამასვე მოწმობენ. ყველამ კარგად იცის ვისი გორის და რა წარმომავლობის არიან, ამის შესახებ თქმულება-გადმოცემებს თვალისჩინივით უფრთხილდებიან, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ასე მათ ოჯახებში თავიანთი ვინაობისა და სადაურობის შესახებ ცოდნა არ იკარგება.

როგორც მემატიანეები გვაუწყებენ, ზურგის სიმტკიცისათვის, რაჭის ფეოდალების „ჩრდილოეთით გაწევის პროცესი უნდა დაწყებულიყო მე-12 საუკუნეში, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ზრდამ ხუთ მილიონს გადააჭარბა" (ს. მაკალათია).

აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ მიზეზით ქართველ სიზანთა ჩრდილო კავკასიისაკენ ლტოლვა შემდეგ დროშიც არ შეწყვეტილა.

მთას იქით ქართველების ცხოვრებისა და მათი საგვარეულოების წარმომავლობის შესახებ ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხებში დღემდე მრავალი თქმულება შემორჩენილა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართველი რეხვიაშვილებისა და მალყარული რახაილარების, ამჟამად რახაევების, გვარების წარმოშობისა და მათი ნათესაობის ისტორია. აქედან იღებს სათავეს აგრეთვე ზემოთხსენებულ მუსუკაევისა და რეხვიაშვილების საგვარეულოების ნათესაობა და ერთიანი წარმომავლობა.

ამ მოსაზრებათა ჭეშმარიტებას ცხადყოფს და კიდევ უფრო ნათელს ხდის ძველ რახაევის გადმოცემა.

„ჩვენი წინაპარი, — იგონებს იგი, ქართველი ყოფილა, თავდაპირველად საქართველოში უცხოვრია. ურჩი მებატონე მოუკლავს და იქ რომ აღარ ედგომებოდა ზემო მალყარში გადმოხვეწილა. სოფელ მტულუში (შთვილდა) დასახლებულა. მას ოთხი შვილი ჰყოლია: რახაიტელი, რახაი, მუსუკა (მისაკა) და დეუ. ზემო

მალუარის მთის მაღალ ზოლში მცხოვრებ მათ მრავალსულიან ოჯახს ყოველ წელს ხანგრძლივი ზამთარი და დიდთოვლობა აწუხებდა. ზამთრის ერთ დღეს დიდთოვლობით თავმობეზრებულ რაზაიტელს, რომელიც სახლის სახურავიდან თოვლს ჰყრიდა, შორიდან გუგულის ხმა ესმენია, ნიჩაბი ხელიდან გაუგდია და წყრომით უთქვამს: ყველგან გაზაფხულია, ჩვენ კი დიდთოვლობა გვიხუთავს სულს, აქედან უნდა გადავსახლდე. ამის შემდეგ რაზაიტელი საქართველოში წასულა. ლების მახლობლად რიონის ხეობაში დასახლებულა და გამრავლებულა. ახლა მისი შთამომავალი რეხვიაშვილები ხოფელ ქიორაში ცხოვრობენ. მეორე ძმა რაზაი ბეზინგში დამკვიდრებულა მისი შთამომავალი რაზაილარის გვარის. ამჟამად რაზაევები აულში მრავლად არიან. მესამე ძმა მუსუკას საცხოვრებლად აული მალუარი აურჩევია სადაც დღესაც ცხოვრობს მისი შთამომავალი მუსუკაევების გვარისა. მეოთხე ძმა დაუ ყაბარდოში დასახლებულა დღეს მის შთამომავალთა სამკვიდრო აული ურვანია. ამ მონათესავე გვარებმა კარგად იციან თავიანთი წარმომავლობის შესახებ. ნათესაურ კავშირს არ წყვეტენ და ერთმანეთში ძმური ურთიერთობა აქვთ.

ყურადღებას იპყრობს გადმოცემაში გამოთქმული, ერთი მხრივ, რაზაევების წინაპრების თავდაპირველად საქართველოში ცხოვრების, ძალმომრეობით იქიდან გადახვეწისა და ჩრდილო კავკასიაში დასახლება-გამრავლების თქმულება, მეორე მხრივ, დროთა ვითარებაში ერთ-ერთი ძმის ისევე საქართველოში დაბრუნებისა და გამრავლების ამბავი, რაც იმის უტყუარი მაუწყებელია, რომ ხიზნობის ტრადიცია მთას იქით თუ პირიქით, იქიდან საქართველოსაკენ ცალმხრივი არ ყოფილა. ხიზანთა მოძრაობას ორივე მხრივ ჰქონდა ადგილი, რასაც საფუძვლად ედო, როგორც ძალმომრეობა ისე ნებაყოფილობითი მოქმედება.

ალექსანდრე მეფის სიგელითა (1482 წ.). და სხვა ისტორიული წყაროებით დასტურდება. მკვლელობის გამო რაჭველ ფეოდალებსა და სვანებს შორის გამუდმებული მტრობა. სვანების მიერ მე-15 საუკუნეში რაჭის ფეოდალ ჯაფარიძეებისათვის სისხლის საფასურად „მთიულეთის "დათმობა (ე. გაბლიანი). მემატიანეები გვაუწყებენ, რომ ამ ბრძოლაში სვანეთის მთიულეთი (დღევანდელი მთის რაჭა) ძლიერ დაზარალებულა. მჭიდროდ დასახლებული აქაური სოფლები გაპარტახებულა. მოსახლეობა გაჟლეტილა, რომლებიც მებატონეთა თვითნებობას გადაურჩნენ. სხვაგან გადახვეწილან (ს. მაკალათია).

აღსანიშნავია, რომ მეტ წილად აქაური მთიელები ისტორიულად კერძმოკეთეობით დაკავშირებულ მალუარისაკენ მიისწრაფოდნენ, სადაც ამავე დროს, თვისტომთა მ[illegible] მომადგენელი ეგულებოდათ. „[illegible] წერს თ. მიბჩუანი, — გვაფიქრებინებს, რომ მალუარელთა წინაპრების ერთი ნაწილი რაჭიდან არის გადასული სვანებსა და რაჭველებს შორის მომხდარი ინციდენტის შემდეგ. ცხადია, რომ მალუარელთა ის წინაპრებიც სვანები იყვნენ", რომლებიც საქართველოდან მოსახლეობის ამ გაზიზვნამდე იქ ცხოვრობდნენ.

ამასთან ერთად, თუ ხოფელ ქიორის დაარსების და იქ რეხვიაშვილების საგვარეულოს დამკვიდრების თვით ქიორულ ლეგენდასაც გავეცნობით, კიდევ უფრო ნათელი და დამაჯერებელი იქნება ორმხრივი ხიზნობის, მალუარელ არაზაევებისა და ქართველ რეხვიაშვილთა საგვარეულოების ნათესაური ტრადიციები.

ზემო მალუარიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდ. ჩერეკის სათავეებისაკენ, ფასის მთის კალთების ძირში არის ნასოფლარი შტულუ რელ არაზაევებისა და ქართველ რეხვიაშვილები შთვილას ეძახიან და თავიანთ თავდაპირველ სამოსახლო ადგილად თვლიან.

— ჩვენს წინაპრებს ფასის მთის იქით უცხოვრიათო, — დღესაც გაიგონებთ ხოფელ ქიორაში. ხალხური გადმოცემით მთის რაჭის მოსახლეობის ნაწილი ჩრდილო კავკასიური წარმოშობის ქართველებად ითვლება. ქიორის დაარსება მალუარიდან გადმოხვეწილი რაზაიტელის სახელს უკავშირდება (ს. მაკალათია).

ამრიგად, ლეგენდა ქიორის დაარსების, რომელიც მალუარელი ლეგენდის იდენტურია, საყურადღებოა იმითაც, რომ შორეულ წარსულში დღევანდელი მალუარის ტერიტორიაზე ქართველების ცხოვრებასა და კონკრეტულად მათ ნამოსახლარ ადგილსაც მიგვანიშნებს. მეორეს მხრივ მალუარელ რაზაევებთან (რაზაილარებთან რეხვიაშვილების ნათესაურ კავშირზე მიუთითებს, რაც ხალხური გადმოცემების გარდა ისტორიული წყაროებითაც დასტურდება. „როგორც სვანურ გვართან, წერენ რ. ხარაძე და ა. რობაქიძე, — მაგალითად, ერისთავი და ბალყარული ერისთავლარ, ასევე რაჭველ რეხვიაშვილებთან ნათესაური კავშირი დასტურდება ბალყარულ გვარ რაზაილარისა" (რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე).

ჩრდილო კავკასიის მთის ზოლში ქართველების ფართო განსახლებას და საქართველოს მთიანეთში მცხოვრებ მთიულებთან მათ ნათესაურ და ახლო მეგობრულ კავშირს შუქს ფენს აგრეთვე, დღემდე მალუარში შემორჩენილი ხალხური გამოთქმები: ბაქსან ებზე (ბაქსანელი ქართველები), მალყარ ებზე (მალყარელი ქართველები), ჩეგემ ებზე (ჩეგემელი ქართველები), ებზე კალა (ქართული ციხე). ტერმინით „ებზე" მალყარლები საერთოდ ქართველებს მოიხსენიებენ, კერძოდ კი სვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებსა და რაჰკელებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ეს მოსაზრება, რამდენადაც ცნობილია, რომ მალყარის საზოგადოებასთან ახლო მოსახლე ლეზელ და ქიორელ მთიელებს, მ. აბაევი „მალყარ ებზეს" (მალყარელ ქართველებს) უწოდებს, რაც უეჭველია მათ სადაურობასა და მალყარლებთან ნათესაურ კავშირზე მიანიშნებს.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ როგორც სპეციალური ლიტერატურით დასტურდება მალყარელი ხალხის ფორმირება და განვითარება მიმდინარეობდა მეზობელ კავკასიელ ხალხებთან ოსებთან, ყაბარდოელებთან, ჩერქეზებთან, ყარაჩაელებთან მჭიდრო ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის პირობებში დამოუკიდებელ ტომობრივ გაერთიანებად ჩამოყალიბდნენ მოსულ ირანულენოვან ალანებთან, თურქულენოვან ბულგარელებთან და ყივჩაღებთან შერწყმის საფუძველზე. იგივე აზრია გამოთქმული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-10 ტომში. ანალოგიურ აზრს ანვითარებს ისტორიკოსი გ. იონე, ყაბარდო მალყარეთის ასსრ ისტორიის პირველ ტომში, რომელიც მალყარელი ხალხის გენეზისისა და წარმოშობის საკითხებს ეხება.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ შრომებში გამოთქმული მოსაზრებები სიცხადესა და დამაჯერებლობას აკლებს ისტორიული სინამდვილის ცალმხრივი განსჯა, რაც იმაში გამოიხატება, რომ არცერთ მათგანში მოხსენებულ ხალხებთან ერთად, მალყარელთა ფორმირებისა და განვითარებაში ქართული საგვარეულოების დიდი როლის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

ისტორიული სინამდვილის ცალმხრივი გაშუქება-გაყალბება იმის კარგი მაგალითია, თუ წინამორბედთა მცდარი მოსაზრებები, ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის გარეშე, როგორც გადაეცემა თაობიდან თაობას. წარსულის კვლევის ტენდენციურ მიდგომაზე დროა უარი ვთქვათ. საჭიროა ისტორიული მემკვიდრეობის ახლებურად გააზრება, გარდასული დროების მართალი და სრული სურათის აღდგენა, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ მსგავსი შეცდომები და აღვადგინოთ ისტორიული ჭეშმარიტება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატა ჩხეიძე

# არდავიწყება ღვაწლისა

მრავალი ღირსეული პიროვნება, მოღვაწე შეეწირა 20-30-იანი წლების სასტიკ რეპრესიებს. მხოლოდ დღეს მოგვეცა შესაძლებლობა ბევრი მათგანის გახსენებისა, ნახევარი საუკუნის შემდეგ გვიბრუნდება ერის კეთილდღეობისათვის თავდადებულ ქართველთა ტაბუდადებული სახელები. წინამდებარე წერილის მიზანია ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს გააცნოს, მცირე ნაწილს კი მოაგონოს თავისი დროის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, შესანიშნავი მამულიშვილის ევგენ (გენო) ღვალაძის სახელი.

დაიბადა იგი მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, — 1900 წლის 18 მაისს (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის თვალწარმტაც სოფელ სვერში, ჭიათურის მახლობლად, მანგანუმის მრეწველის, გიორგის საბრძოლო ჯვრის კავალერის არტემ ღვალაძისა (1864-1918) და ნატალია ბიწაძის (1881-1940) მრავალშვილიან ოჯახში, რომლის უფროსი ძეც თავად იყო. ღვალაძეების ოჯახთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა არაერთ ცნობილ პიროვნებას, მათ შორის ვასილ და მიხაკო წერეთლებს, ვანო და ისიდორე ვარაზიშვილებს, სიმონ წერეთელს, კიტა აბაშიძეს, დეკანოზ იოსებ წერეთელს (ე. ღვალაძის ნათლია), ვანო გომელაურს, იპოლიტე ვართაგავას. იმერეთში ცნობილი პიროვნებანი იყვნენ როგორც გენოს მამა, ისე მისი ბიძები ფარსადან (მანგანუმის მრეწველი, იმ კუთხეში ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტი) და ზაქარია (დეკანოზი) ღვალაძეები, ბიძაშვილები: ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ელეფთერ ღვალაძე, საქართველოში ბიოქიმიური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი პროფესორი ვარლამ (ვალიკო) ღვალაძე, თვალსაჩინო იურისტი აბესალომ ღვალაძე, ჟურნალისტი და პედაგოგი კონსტანტინე ღვალაძე. გენოს უმცროსი ძმა — პედაგოგი, წლების მანძილზე ჭიათურის განათლების განყოფილების გამგე, ომის დროს დივიზიონის სამხედრო კომისარი, ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპული დავით ღვალაძე...

პირველდაწყებითი განათლება ევგენ ღვალაძემ ოჯახში და ტყემლოვანის სასოფლო სკოლაში მიიღო, 1917 წელს კი დაასრულა ჭიათურის საქალაქო სასწავლებელი, რომლის ინსპექტორი იყო ელეფთერ ღვალაძე (1880-1955). ამავე სასწავლებელში მოღვაწეობდნენ ქართული პედაგოგიური აზრის საუკეთესო წარმომადგენლები ვანო გომელაური, ნიკო ჯაყელი, იპოლიტე ვართაგავა, ივანე წერეთელი და სხვანი. სწავლის პარალელურად გენო სისტემატურად ესწრებოდა საჯარო ლექციებს ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტში. განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოუხდენია მასზე იმხანად შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის, სახელგანთქმული კრიტიკოსისა და ორატორის კიტა აბაშიძის ლექციებს.

სასწავლებლის დასრულებისთანავე გენო ღვალაძემ თბილისს მოაშურა. აქ რამდენიმე თვის მანძილზე კ. აბაშიძის ოჯახში ცხოვრობდა. ამ დიდებულ ოჯახში გენომ პირველად იხილა და პირადად გაიცნო დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც ახალი ჩამოსული იყო თბილისში და უნივერსიტეტის გახსნისათვის სამზადისს ედგა სათავეში. მიუხედავად დიდი ასაკობრივი სხვაობისა, მათ შორის გაცნობისთანავე მეტად თბილი ურთიერთობა დამყარდა და ეს ახლობლობა ე. ღვალაძის ტრაგიკულ აღსასრულამდე გაგრძელდა.

1917 წლის დამლევიდან გენო ღვალაძემ ხელი მიჰყო წერა-კითხვის უცოდინართა კერძო მასწავლებლობას, მეტად რთულსა და შრომატევად სამუშაოს. გენოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად გაართვა თავი ამ მძიმე და საპატიო მოვალეობას. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ იგი 1926 წლამდე თავად განაგრძობდა ჯერ სრულ გიმნაზიაში, შემდეგ კი უნივერსიტეტში სწავლას. პედაგოგიურ მოღვაწეობას კი 1924 წლამდე ეწეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ჩამოსვლიდან მცირე ხნის შემდეგ ევგენ ღვალაძე დაუმეგობრდა ჩემს ბიძაშვილებს, — ქეთო, მამიკა და შალვა (ბიჭიკო) ჩხეიძეებს. ამდენად, ჩემთვის კარგად არის ცნობილი მისი შემდგომი ბიოგრაფია.

1918 წლის დამდეგს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან მცირე ხნის შემდეგ ე. ღვალაძე ჩაირიცხა სრული გიმნაზიის უფლებით მოქმედ კერძო სასწავლებელში — საბაღზო განათლების კურსებზე, რომელიც მისი დირექტორის შალვა ნუცუბიძის პატივსაცემად ნუცუბიძის კურსებად იწოდებოდა. იქვე სწავლობდა შემდგომში გენოს მეუღლე, ჩემი უახლოესი მეგობარი, ცნობილი მკვლევარი-ბიბლიოგრაფი და პედაგოგი თამარ კუცია-ღვალაძე (1902-1986). კურსებზე მათი პედაგოგები იყვნენ ვასილ ბარნოვი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ნეიმანი, ელისაბედ ჯამბაკურ-ორბელიანი, გიორგი ახვლედიანი, ერასტი ფხალავა, თედო ბეგიაშვილი და სხვანი.

გენოს და თამარის მეგობარი, შემდგომში უცხო ენების ცნობილი სპეციალისტი, აწ განსვენებული ელენე (ელიკო) ხიდირბეგიშვილი იგონებდა, რომ „გენო ღვალაძე დიდი პატივისცემით სარგებლობდა როგორც მსმენელებს ისე პედაგოგებს შორის. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მას არც თუ იშვიათად თავის ნაცვლად გაკვეთილების ჩატარებას ანდობდა ხოლმე ვასილ ბარნოვი, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ქართულ სიტყვიერებას კითხულობდა. ასე, რომ, ბევრი ჩვენი მეგობარი თავის მასწავლებლად თვლიდა გენოს. იგი იყო ჩვენთვის მეგობრობის, პატიოსნების, სიკეთის, მჭერმეტყველების, კაცთმოყვარეობის, კაცურ-კაცობის ეტალონი". მცირე ხანს ე. ღვალაძე რედაქტორობდა კურსების ხელნაწერ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ კვირის გაზეთს, რომელშიც თანამშრომლობდნენ კურსების მსმენელები ტერენტი გრანელი, რაჟდენ გვეტაძე, ვანგო ლოლობერიძე, იონა ვაკელი, გრიგოლ ცეცხლაძე და სხვა შემდგომში ცნობილი ლიტერატორები.

1920 წელს ე. ღვალაძემ დაასრულა ნუცუბიძის კურსები. ჯერ კიდევ კურსებზე სწავლისას დაუმეგობრდა გენო შალვა ნუცუბიძეს. იმდენად ახლო იყო ეს მეგობრობა, რომ მოგვიანებით ბატონი შალვა ღვალაძეების მეჯვარეც კი გახლდათ. იგი ხშირი სტუმარი იყო ღვალაძეების ოჯახისა იმჩანად განოვის, აწ გალაკტიონის ქუჩაზე. მომდევნო 1921 წელს გენო ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე კი გიმნაზიადამთავრებული პოდპორუჩიკი მცირე ხანს ქართული ეროვნული გვარდიის რიგებში იმყოფებოდა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის არმიის შემადგენლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ბათუმიდან ოსმალო ოკუპანტთა განდევნის საქმეში...

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე გენო, თამარი და მე ერთად ვსწავლობდით. 1922 წელს უნივერსიტეტში სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი გაიხსნა სოციალური (იურიდიული) და ეკონომიური დარგებით. ფაკულტეტის პირველი დეკანის შ. ნუცუბიძის რჩევით ე. ღვალაძე იურიდიულ დარგზე გადავიდა. ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას გენო დიდად დაინტერესდა იურისპრუდენციით. წარმატებამაც არ დააყოვნა — იურიდიულ დარგზე გადასვლისთანავე მიიპყრო პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ყურადღება. იგი სამართლიანად ითვლებოდა გამოჩენილი მეცნიერის ერთ-ერთ უახლოეს და უნიჭიერეს მოწაფედ. ევგენ ღვალაძის ნიჭი, მისი მოქალაქეობრივი მრწამსი იურისპრუდენციის დარგში შექმნილ მის პირველივე ნაშრომში გამოვლინდა. ეს სტატია სახელწოდებით „ადვოკატურა და ეთიკა" გაზეთ „ტრიბუნის" 1922 წლის ნოემბრის ორ ნომერში გამოქვეყნდა. ვამახვილებთ რა ყურადღებას ამ ნაშრომზე, გვსურს აღვნიშნოთ, რომ სტატიის დასაწყისში ცენზურის მიერ ჩართულ იქნა რამდენიმე ფრაზა, რამაც ავტორის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. გარდა ამისა, პუბლიკაციაში (იგი შეჯერებულ იქნა დედანთან) ვხვდებით სტილისტურ დამახინჯებებსაც. მოვიყვანთ ერთ ადგილს ამ წერილიდან, რათა მკითხველთათვის ნათელი გახდეს ავტორის დამოკიდებულება ადვოკატურისადმი, ადვოკატის დანიშნულებისადმი: „...მრავალგზის დასმულა როგორც იურიდიულს კანონმდებლობაში, ისე ლიტერატურაშიც შემდეგი საკითხი: „უნდა მიიღოს თუ არა ვექილმა ყოველი საქმე, რომელსაც მას შესთავაზებს თავისი კლიენტი?".

ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთიკასთან, იმ ფილოსოფიურს მოძღვრებასთან, რომელიც იკვლევს ადამიანთა ზნეობის საკითხს.

...თუ პროკურორის პოზიცია და მისი ოფიციალური ფიგურა სასამართლოში — ეს გამაგრებაა სახელმწიფოს, კანონის ინტერესების დაცვის ორგანიზაციისა. თუ პროკურორი სახელმწიფოს რწმუნებულია, ვექილი დიახაც უნდა იყოს აღიარებული კერძო პიროვნების უფლებების დამცველად, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილდღეობის პოზიციიდან.

ამდენად, ვექილი სასამართლოში საზოგადოების რწმუნებულია. მაშასადამე, ვექილმა ყოველი საქმის დაცვის მომენტში უნდა იხელმძღვანელოს საზოგადოებრივი ინტერესებით. საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის მორალის მოთხოვნა კანონის მოთხოვნაზედ მაღალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...კოლეგიის წევრთა არჩევის პერიოდში მოსამართლეთა საბჭომ უნდა იხელმძღვანელოს მთავრობის (საქართველოს მთავრობის — ნ. ჩ.) მიერ გამოცემული დებულებით. საუბედუროდ, დებულებაში არ არის აღნიშნული ორი გარემოება, ორი აუცილებელი პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა წევრი საქართველოს დამცველთა კოლეგიისა. პირველი პირობა — სახელმწიფო ენის, — ქართულის ზედმიწევნით ცოდნა და მეორე — საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობა.

ეს ორი გარემოება განსაზღვრულია კონსტიტუციის მიერ და უნდა ყოფილიყო გამოთქმული დებულებაშიდაც.

...არის მესამე პირობა, რომელიც უნდა იქნეს მიღებული, როგორც საზომი ვექილთა კორპორაციის შედგენის პერიოდში. ეს არის ზნეობრივი საზომი.

არ არის სასურველი, რომ ახლად აღდგენილს კორპორაციაში შეიჭრას ისეთი ელემენტი, რომლის პროფესიონალური მუშაობის გზაზედ დგას შავი აჩრდილი შავი საქმეებისა. ვერიდოთ ასეთ სუბიექტებს!"

სწორედ ხელისუფლების, სასამართლოს თვითნებურმა, ამორალურმა მოქმედებამ მოგვიანებით, — 1931 წლის დამლევს ევგენ ღვალაძე აიძულა დაეტოვებინა დამცველთა კოლეგია, ხელი აეღო საყვარელ საქმეზე!

ოთხი წლის მანძილზე ისმენდა გენო ღვალაძე ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, გიორგი გეხტმანის, ალექსანდრე ვაჩეიშვილის, გრიგოლ რცხილაძის, ერეკლე ტატიშვილის, მიხეილ პოლიევქტოვის ლექციებს. სტუდენტობის წლებშივე ლუარსაბ ანდრონიკაშვილის დავალებით მან ქართულად თარგმნა ხვოსტოვის „რომის სამართლის ისტორიის კურსი" და გ. ელლინეკის „სწავლება სახელმწიფო სამართალზედ". ორივე ნაშრომი უნივერსიტეტის სტამბა-სტეკლოგრაფში იქნა დასტამბული.

1922 წლის გაზაფხულზე გენომ და თამარმა ჯვარი დაიწერეს. შალვა ნუცუბიძესთან ერთად მეჯვარე იყო შემდგომში ცნობილი დასტაქარი, პროფესორი სერგო ჩახუნაშვილი. ჯვრის წერა კი მიტროპოლიტმა კალისტრატე ცინცაძემ აღასრულა.

გენო ღვალაძისათვის საბედისწერო აღმოჩნდა 1924 წლის აგვისტო. ხელისუფლების განკარგულებით იგი დაპატიმრებულ იქნა, როგორც მემარჯვენე ფედერალისტი და ე. წ. „პარიტეტული კომიტეტის" ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პიროვნება. ხსენებული პარტიის რიგებში ირიცხებოდა იგი 1918 წლიდან მის თვითლიკვიდაციამდე. გენოსთან ერთად საკანში აღმოჩნდნენ კონსტანტინე გამსახურდია და გერონტი ქიქოძე, გვერდით საკანში კი კალისტრატე ცინცაძე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია [illegible] მცირე ხანს თავისი ბიძაშვილის, [illegible] ბილი მოღვაწის კატო ტყემალაძის ბინაში იფარებდა პარიტეტული კომიტეტის წევრებს შალვა ამირეჯიბსა და იასონ ჯავახიშვილს. ალბათ, შინსახკომისთვის ეს ფაქტიც იყო ცნობილი. გენო სიკვდილმისჯილთა სიაში იყო შეყვანილი. საბედნიეროდ, იმავე წლის ნოემბერში გაიცა განკარგულება დახვრეტების შეწყვეტის შესახებ, რამაც არაერთი შესანიშნავი მამულიშვილი მათ შორის ე. ღვალაძეც იხსნა ფიზიკური განადგურებისაგან. მათი უდიდესი ნაწილისათვის ეს შვება ,ეს თავისუფლება დროებითი აღმოჩნდა...

მართალია, ამჯერად გენო ღვალაძე გადაურჩა სასტიკი განაჩენის სისრულეში მოყვანას და წლის დამლევს განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან, მაგრამ ამ ამბებს შეეწირა მისი თითქმის ერთი წლის ვაჟი, რამაც უდიდესი სულიერი ტკივილი მიაყენა ღვალაძეების ოჯახს.

1926 წელს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისტთა პირველი გამოშვება. გადაწყდა რამდენიმე ყველაზე ნიჭიერი კურსდამთავრებულის საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვება. ერთ-ერთი მათგანი ე. ღვალაძე გახლდათ, მაგრამ მან უარი განაცხადა ამ წინადადებაზე. ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერაზე და პრაქტიკული მოღვაწეობა არჩია. მისი მასწავლებელი და მეგობარი, პროფესორი ალექსანდრე ვაჩეიშვილი მოგვიანებით ხშირად ამბობდა — გენოს, როგორც მეცნიერის დაკარგვით ქართულმა იურისპრუდენციამ დიდი დანაკლისი განიცადაო. ღვალაძეებთან ლ. ანდრონიკაშვილის დავალებით რამდენჯერმე მისულან კიდეც ბატონი ალექსანდრე და ს. ჯაფარიძე მაგრამ ამაოდ. გენოს გადაწყვეტილება ურყევი აღმოჩნდა.

იურისპრუდენციის დარგში პრაქტიკული მოღვაწეობა ე. ღვალაძემ ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო. 1925 წლის შუა ხანებში იგი დაინიშნა საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პ/მგ. აღმასრულებლად. სწორედ ამ დროს მოხდა ერთი ღირსშესანიშნავი შემთხვევა. ერთხელ გენო, როგორც აღმასრულებელი მოსკოვის ქუჩაზე, ბინაზე ეწვია გამოჩენილ ლიტერატორსა და საზოგადო მოღვაწეს თედო სახოკიას, რომელსაც უზომო დავალიანება ჰქონოდა. თამარ ღვალაძე იხსენებდა: „მახსოვს, შინ დაბრუნებული გენო დიდად დამწუხრებული ,ყვებოდა მწერლის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ:

— ბატონი თედო შეუძლოდ იყო. სახლში ისევე წვიმს, როგორც გარეთ. შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. რა უნდა ელაპარაკო მთავრობას, რომელიც ესოდენ აუტანელ პირობებში აცხოვრებს ერის საუკეთესო შვილებს. იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად, რომ ზედი შეუწყონ, ფალების გადაბლას ხაზოვენ, ეს არის ამათი სამართალი!!".

რამდენიმე დღის შემდეგ ე. ღვალაძე მოხსენების გამოხმული უზენაესი სასამართლოს კოლეგიის სხდომაზე, დამსწრეთათვის შეუხსნებია თედო სახოკიას უდიდესი დამსახურება ერის წინაშე და მოუთხოვია მწერლის დავალიანების უგულვებელყოფა. მისი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. იუსტიციის იმჟამინდელ სახალხო კომისარს იაკობ ვარძიელს, რომელიც დიდად აფასებდა ახალგაზრდა იურისტის ნიჭს, დიდი დახმარება აღმოუჩენია გენოსათვის. სასამართლოს დადგენილებით უგულვებელყოფილ იქნა მწერლის მთელი დავალიანება. წარმოებას გადაეცა თ. სახოკიას რამდენიმე გამოუქვეყნებელი თარგმანი

— თქვენი თავი ნამდვილად ღმერთმა გამომიგზავნა. არაერთხელ მოსულან ჩემთან სასამართლო აღმასრულებლები. მაგრამ უხეშობისა და შეურაცხყოფის მეტი მათგან არაფერი მახსოვს — ეთქვა ბატონ თედოს გენოსათვის.

ამის შემდეგ ისინი განუყრელ მეგობრებად იქცნენ.

1926 წლის დამდეგს ე. ღვალაძე გადაყვანილ იქნა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განყოფილების პ/მგ. მდივნად.

იმავე წლის ნოემბერში იგი აირჩიეს საქართველოს სსრ დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრად. 1928 წლამდე საადვოკატო მოღვაწეობას ეწეოდა ქიათურაში. პარალელურად ასრულებდა შავი ქვის (მანგანუმის) მრეწველთა სააქციო საზოგადოების — სამთამადნო კავშირის იურისკონსულტის მოვალეობას. მისი ახლო მეგობარი, აწ განსვენებული ცნობილი იურისტი ვლადიმერ (ვოლია) მაყაშვილი იგონებდა: „გენო ღვალაძე სამართლიანად შეიძლება იქნეს მიჩნეული ქართული სასამართლო მჭევრმეტყველების ბრწყინვალე, უზადო ოსტატად. ამ მხრივ მის შეგირდად, მოწაფედ თვლიდა თავს არაერთი შემდგომში სახელმოხვეჭილი იურისტი, მათ შორის ბიძინა ბარათაშვილი, თიკო წერეთელი, ნიკოლოზ (ნიკუშა) წერეთელი, სიმონ ჯაფარიძე (ორი სიმონ ჯაფარიძე იყო, ორივე იურისტი. მე უმცროსი მყავს მხედველობაში), შალვა ტუავაძე, ვალერიან ფხალაძე და სხვანი. მის ნიჭს დიდად აფასებდნენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილი, შალვა ალექსი-მესხიშვილი, ზოზო ნანეიშვილი, ალექსანდრე ვაჩეიშვილი, პეტრე ქავთარაძე. კარგად მახსოვს გენოს მონაწილეობით ჩატარებული რამდენიმე სასამართლო პროცესი. თითოეული მათგანი გახლდათ მჭევრმეტყველების ჭეშმარიტი ზეიმი. ხალხის ტევა არ იყო დარბაზში. სამწუხაროდ, ადრე, ძალიან ადრე დაანება თავი პრაქტიკულ საადვოკატო მოღვაწეობას, უფრო სწორედ კი — აიძულეს გადაედგა ეს მისთვის მეტად მტკივნეული ნაბიჯი. იგი ორატორად, ადვოკატად იურ[illegible] დებული. მწამს, რომ დასცლოდა, [illegible] უბრუნდებოდა საყვარელ საქმეს".

ე. ღვალაძის ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1928 წელს იგი, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან ერთად მიწვეულ იქნა „ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების" (ე. წ. „ჩემო") სალიკვიდაციო კომისიის კონსულტანტად.

იმავე წელს გენო თბილისს დაბრუნდა და დაინიშნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სამშენებლო ტრესტის იურისკონსულტად. საადვოკატო მოღვაწეობას განაგრძობდა 1931 წლის შუა ხანებამდე.

1931 წელს იგი პასუხსაგებ თანამდებობაზე დაინიშნა ხსენებული ტრესტის საგეგმო-საფინანსო განყოფილებაში და 1935 წლის ოქტომბრამდე იყო მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი. აქაც გამოიჩინა თავი. საერთოდ, ხშირად იტყოდა ხოლმე: „ბედნიერია კაცი, რომლისთვისაც არ არსებობს პირველ და მეორეხარისხოვანი საქმე"-ო 1933-1936 წლებში ე. ღვალაძე არჩეული იყო საქართველოს სსრ ცაკ-ის სახელმწიფო კრედიტის ხელშემწყობი ცენტრალური რესპუბლიკური კომისიის წევრად, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ანალოგიური კომისიის პ/მგ. მდივნად.

1935 წლის ოქტომბერში გენო გორში გადავიდა, დაინიშნა რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაციის საფინანსო დარგის ხელმძღვანელად. მის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯიც იძულებითი იყო. თბილისიდან წასვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახლდათ მისი რამდენიმე უახლოესი მეგობრის, მათ შორის პროფესორ ალექსანდრე წერეთლის დაპატიმრება. მოსიყვარულე მეუღლისა და შვილისათვის ითლი როდი იყო ოჯახისაგან მოწყვეტა.

პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად მან ხელი მიჰყო აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას — დაპატიმრებამდე, 1937 წლის აგვისტომდე ლექციებს კითხულობდა გორის ახლადდაარსებულ ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტში.

ცნობილი ეთნოგრაფი, დოცენტი კოტე კახიანი, რომელიც 1935 წლის დამლევს გორში ე. ღვალაძესთან ცხოვრობდა, იგონებს: „1935 წელს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოს ზინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების შემსწავლელი ეთნოგრაფიული ექსპედიცია. მე დავალებული მქონდა მასალების მოძიება და შესწავლა ზემო ქართლსა და ქვემო იმერეთში. სწორედ ამ მიზნით ვიმყოფებოდი გორში. მე ახლოს ვიცნობდი ქალბატონ თამარ ღვალაძეს, რომლის საშუალებითაც გავიცანი ბატონი გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო. დიდი პიროვნება იყო, ბრწყინვალე ქართველი. მოჯადოებული ვიყავი მისი უზადო პიროვნული თვისებებით, შესანიშნავი მეტყველებით, ფართო განსწავლულობით. ჩვენს შორის საგრძნობი ასაკობრივი სხვაობა იყო, გენო თითქმის ათი წლით იყო ჩემზე უფროსი. გადამყვა, ჩემი მასალების შესანახად ორი ოთახიდან ერთი დამითმო. რომ არა გენო ღვალაძის ესოდენ გულითადი და უანგარო დახმარება, ბევრი რამ დააკლდებოდა იმ დიდმნიშვნელოვან სამუშაოს, რომლის საფუძველზეც დღეს მიმდინარეობს „საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის მასალების" ხუთტომეულის გამოცემა. მეგობრების ბრწყინვალე წრე ჰყავდა გენოს. ერთხელ მასთან ხშირად ჩამოვიდნენ ვახტანგ კოტეტიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, მწერალ ანა ხახუტაშვილის ძმა და კიდევ მათი რამდენიმე მეგობარი.

გენო ღვალაძესთან ურთიერთობა — ეს იყო ადამიანობის, მამულიშვილობის, მჭევრმეტყველების, ქართული სუფრის თამადობის შეუდარებელი სკოლა. თბილისში დაბრუნებიდან მცირე ხნის შემდეგ დამაპატიმრეს, ხუთიოდე წლის შემდეგ გამანთავისუფლეს, თუმცა კარგა ხანს, რეაბილიტაციამდე აკრძალული მქონდა ადამიანურად ცხოვრების უფლება. დაბრუნებულმა მოვიკითხე ახლობლები. ბევრი მათგანი, მათ შორის გენო ღვალაძეც სასტიკ რეპრესიებს ემსხვერპლა. საზარელი სანახავი იყო გაპარტახებული, ნალებმოხდილი ქართველი ინტელიგენცია".

გენო ღვალაძის პორტრეტი არასრული იქნება, თუ ყოველივე ზემოთქმულს არ დავუმატებთ იმას, რომ იგი შესანიშნავი მცოდნე იყო რუსული, გერმანული და ლათინური ენებისა: დედანში კითხულობდა გოეთესა და შილერს. ადრეული ასაკიდან იყო გატაცებული ფილოსოფიით, — შესანიშნავად იცნობდა კანტისა და სპინოზას, ნიცშეს და შოპენჰაუერის თხზულებებს, ძველ ქართველ სიბრძნისმეტყველთა მოძღვრებებს. მისი მეგობრები ხშირად ვყოფილვართ მოწმენი შალვა ნუცუბიძესთან და მოსე გოგიბერიძესთან გენოს პაექრობისა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ევგენ ღვალაძის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი, პუბლიცისტური მოღვაწეობა.

1923-1937 წლებში გენო იყო მუდმივი მონაწილე გამორჩეული სასულიერო მოღვაწისა და მწიგნობრის, ეფრემ მიტროპოლიტის, შემდგომში კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ბინაზე საზოგადო მოღვაწეთა ე. წ. „ხუთშაბათობის" შეკრებებისა, რომლებსაც ესწრებოდნენ ვასილ ბარნოვი, თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, კორნელი კეკელიძე, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე წერეთელი და სხვანი. ეს შეკრებები ერთგვარი გაგრძელება დიდი ილიას მიერ დაფუძნებული ტრადიციებისა. პირველი ამგვარი და ამავე საზელწოდების თავყრილობები ხშირად მისი თაოსნობით იმართებოდა. როგორც ცნობილია, 20-30-იანი წლები ის ხანაა საქართველოს უახლესი ისტორიისა, როდესაც ხელისუფალთა მიერ იდევნებოდა ჯანსაღი აზროვნებისა და ეროვნულ საკითხებზე სალი მსჯელობის ყოველგვარი გამოვლინება. ამგვარ პირობებში ასეთი შეკრებების მოწყობა მისი მესვეურისა და მონაწილეების დიდ პირად გამბედაობას მოითხოვდა. ხსენებულ შეკრებებზე წარმოებდა ხანგრძლივი სჯა-ბაასი ქართული კულტურისა და ჩვენი ერის საზოგადოებრივი თუ სულიერი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე.

ხშირად ეწყობოდა ანალოგიური შეკრებები ღვალაძეების ბინაზეც. აქ ხშირად იკრიბებოდნენ ვასილ წერეთელი, თედო სახოკია, იოსებ წერეთელი, ხარიტონ ვარდოშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე წერეთელი, სვიმ დევდარიანი, მოსე გოგიბერიძე, ვიქტორ ბროსე, მარიკა ხოშტარია, ვანო ცინცაძე...

1915 წლიდან „ობოლი ნაკვერცხლის", „ახალგაზრდას", „გ.-ელის", „გენოს" და სხვა ფსევდონიმებით ე. ღვალაძე აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ პრესაში („სამშობლო", „ჩვენი მეგობარი", „მეგობარი", „ჩვენი ქვეყანა", „საქართველო", „ტრიბუნა", „ლომისი", „თეატრი და ცხოვრება", „ჭიათურის მაღაროელი" და ა. შ.). 1917-1919 წლებში 17-19 წლის ყმაწვილი არჩეული იყო გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" სარედაქციო კოლეგიის წევრად. 1921-1928 წლებში კი იყო გაზეთ „ტრიბუნის" კორესპონდენტი. აქვეყნებდა თეატრალურ რეცენზიებს, ნარკვევებს, კორესპონდენციებს, პუბლიცისტურ წერილებს, რომელთა საერთო რაოდენობა 80-ს აღემატება.

1917 და 1920 წლებში ქუთაისსა და თბილისში გამოიცა გენო ღვალაძის მონაწილეობით შედგენილი კრებულები — „ზღაპრები" და „საობუნჭო იგავ-არაკები".

აღსანიშნავია გენოს ახლო მეგობრობა დიდ ქართველ მწერალთან და მოაზროვნესთან გრიგოლ რობაქიძესთან, რომელიც ღვალაძეების უფროსი ქალიშვილის, — ლონდას ნათლია გახლდათ.

1924 წელს მიიღო რა აქტიური მონაწილეობა გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" დაარსებაში, ე. ღვალაძემ დიდი ამაგი დასდო მშობლიურ რაიონში კულტურის განვითარების საქმეს. ასევე დიდია მისი დამსახურება მშობლიური სოფლის წინაშე — მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით სვერის რვაწლიანი სკოლა სრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა, მანვე ძრავალი წიგნი შესწირა სოფლის სამკითხველოს. გენოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარებით არაერთი თანამოღვაწეობის გზით მეცნიერებისა და კულტურის ამა თუ იმ დარგს.

1926 წელს მისი ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურმა ფაკულტეტმა შეიძინა ქიათურის სააქციო საზოგადოება „ჩემო"-ს მდიდარი წიგნთსაცავი.

იმავე წელს ე. ლვალაძე იყო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" ერთ-ერთი დამაარსებელი, რითაც ამ საქმის სხვა მოთავეებთან — ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან, იაკობ ვარძიელთან, სიმ. ჯაფარიძესთან, პეტრე ქავთარაძესთან და სხვებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ქართული იურიდიული ბეჭდვითი სიტყვის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ „ანტისაზოგადოებრივი" საქმიანობისათვის ჟურნალის გამოცემა შეწყვიტეს, რედაქციის მუშაკთა დიდი ნაწილი კი 37-ში „ხალხის მტრებად" მონათლეს. „საბჭოთა სამართლის" გამოცემა მხოლოდ სტალინის პიროვნების კულტის დაგმობისა და ჟურნალის დამაარსებელთა რეაბილიტაციის შემდეგ, — 1957 წელს განახლდა.

არანაკლები ამაგი დასდო გენო ლვალაძემ გორის სახელმწიფო ისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსების საქმეს 1935 წელს.

ერთგული და ულალატო მეგობარი გახლდათ, მოსიყვარულე მამა და მეუღლე, უტეხი, კარგისა და ცუდის პირში მთქმელი, სიმართლის მოყვარე და რაც ყველაზე მთავარია, — სამშობლოზე უზომოდ, უანგაროდ შეყვარებული. სძაგდა უსამართლობა, ვერაგობა, ამპარტავნობა, პატივმოყვარეობა. ყოველთვის და ყველგან გამოარჩევდით არისტოკრატული მანერებით, სიდარბაისლით, მუდამ ზომიერი სიტყვა-პასუხით, ერუდიციით, შინაგანი ტაქტით, ნატიფი იუმორით. ამა თუ იმ საკითხზე მის მიერ გამოთქმული აზრი იყო ყოველთვის დასაბუთებული და კომპეტენტური. წინააღმდეგ შემთხვევაში არც ჩაერეოდა კამათში. ასე ცხოვრობდა ეს ალალ-მართალი კაცი, დიდებული პიროვნება, ხანამ მასაც მისწვდებოდა 1937 წლის რეპრესიების მსახვრალი ხელი. 9 აგვისტოს დააპატიმრეს იგი, იმავე წლის 5 ოქტომბერს კი შინსახკომის ე. წ. „დიდმა სამეულმა" დახვრეტა მიუსაჯა ყოვლად უსამართლოდ „ხალხის მტრად" შერაცხულს. აქაც იხინა თავი გენო ლვალაძის უზადო პიროვნულმა თვისებებმა, — მან, სასიკვდილოდ განწირულმა, ჯალათის ხელით ულმობლოდ ნაწამებმა არ მოაწერა ხელი სამეულის მიერ შეთითხნილ ბრალდებებსა და ოქმებს!

ასე დაქვრივდა თამარ ლვალაძე, ასე დაობლდა მამით მისი ოთხი შვილი. ქალბატონ თამარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, ადამიანმა, რომლისთვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ნათლის სვეტი იყო მეუღლის წმინდა სახელი, მრავალი დაბრკოლებისა და სიდუხჭირის მიუხედავად სახელოვანი მამის ღირსეული მემკვიდრენი აღზარდა. ოთხივემ დაასრულა უმაღლესი სასწავლებელი, ოთხივე წარმატებით იღწვის მეცნიერებისა და კულტურის ამა თუ იმ დარგში.

იმ ავადმოსაგონარი დღიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ, — 1955 წლის დეკემბერში ოჯახმა მიიღო ცნობა ევგენ ლვალაძის სრული რეაბილიტაციის შესახებ.

ამ შესანიშნავი მამულიშვილის ხანმოკლე, მაგრამ ნათელი, ლამაზი ცხოვრება, მისი ნამოღვაწარი მშობელი ერისადმი თავდადებული და უანგარო სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი პოეტისა და მისი ორი ლირიკული კრებულის შესახებ

ორმა, მართალია, მცირე მოცულობის ლირიკულმა კრებულმა კი არა, ორიოდ ლექსმაც შესაძლოა, გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას ავტორის პოეტურ შესაძლებლობებზე.

ჯერ პირველი წიგნის „ზილვადობის" შესახებ. ეს მცირე მოცულობის ლირიკული კრებული პოეტის წიგნია და არა პოეზიით გატაცებული ლექსმწერისა. პოეზიით გატაცებამ დღეს, მართლაც, უამრავი ლექსმწერი წარმოშვა და ამიტომაც ძალზედ მომრავლდა წიგნები — ურითმოც, რითმიანიც, პოეზია კი, ხშირ შემთხვევაში, არ ჩანს.

სწორედ ამ თვალთახედვით „ზილვადობის" ავტორი, ვაჟა ოთარაშვილი, უნდა ითქვას, ამაოდ არ დამაშვრალა. მისი ლექსი ტრადიციულ, კონვენციურ საწყისს ემყარება, და, აქ, არა მარტო რითმა, საერთოდ აზროვნებაც, ეროვნული კლასიკური პოეზიიდან იღებს სათავეს.

თემატიკური რკალი ძირითადად ორი განშტოებით იკვრება: მამული, რომელშიც ერთიანდება წარსული, აწმყო, — ზოგადად თანამედროვეობა და ამ თვალსაწიერიდან აღქმული მომავალი; მეორე, — სიყვარული — ინტიმური ლირიკის სფერო.

კრებული იხსნება უსათაურო ლექსით („...„მე დღეს პირველად გავდივარ ზღვაში"). სადაც ზღვა, პირობითად, ცხოვრებაა; ლირიკული გმირი კი ზღვის ანუ ცხოვრების ზვირთებთან შესარკინებლად შემართული პიროვნება, დალოცვას თხოვს დედას: „მე დღეს პირველად გავდივარ ზღვაში, დამლოცე დედა!" აქვე ჩნდება მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით საჭოჭმანო, მაგრამ აზრობრივად საინტერესო პოეტური ასოციაცია: „ზღვა მეც გემივით ამატორტმანებს და ჩემს ხერხემალს ანძად აღმართავს..." მაგრამ ეს ამაღლებული ლირიკულ-ინტონაციური მაჯისცემა შემდგომ ტაეპებში კლებულობს და ლექსის საერთო ემოციური განწყობილება ნელდება, პოეზიიდან უცაბედად პროზამდე ვეშვებით და განცდით — მედიტაციური რეჩიტატივი გვრჩება ხელთ. და თუმცა ლექსის ბოლო დამამთავრებელი სტროფი კვლავ საწყის ამაღლებულ განწყობილებასთან გვაბრუნებს და ერთგვარი „კომპენსატორის" როლს ასრულებს, მაინც, ცნობილ პოეტურ ფორმულას თუ დავეხსენებით, რომ ლექსში, — დასაწყისიდან დასასრულამდე — ერთი ლირიკული განწყობილება უნდა იყოს წარმმართველი. ვერ ამართლებს და დარღვეული ლირიკულ-ლექსემური მთლიანობაც სრული პოეტური ძალმოსილებით ვერ ხხივოხნდება; თუმცა კი პოეტის სათქმელის აზრობრივი სიღრმე და პოეტური მრწამსი მიზანმიმართული და გამართლებულია. ავტორის ეს ლექსი ჩვენ მაინც გვესახება ურმობისდროინდელი დღეების გამოძახილად, როდესაც იგი პირველ ნაბიჯებს დგამდა როგორც პოეზიაში, ისე ცხოვრებაში. და ალბათ, სწორადაც მოიქცა ავტორი, როდესაც ეს ლექსი წარუმძღვარა კრებულს. ლექსი — მიამიტობა, ეჭვი, იმედი, რწმენა — ერთად! ამავე დროს, პოეტური ხორკლიანობა, გაუშალაშინებელი ტაეპობრივი ხელწერა და, აქედან გამომდინარე, ლექსემური გულუბრყვილო სიმარტოვე კი არ გვალიზიანებს, პირიქით, ავტორისადმი განგვაწყობს თანადგომით, — რადგან სწორედ ეს ლექსი გვევლინება იმ კარის გასაღებად, რომელსაც ვაჟა ოთარაშვილის პოეტური სამყარო ჰქვია. იგი არ კომპეზურობს, სათქმელს გულღიად, ლაღი ხალხური პატიოსნებით სთავაზობს მკითხველს და ეს პატიოსნება ყოველთვის რაღაც აუმღვრეველი, ხალხური ჰეროიკული სულით სუნთქავს.

უნდა აღინიშნოს, რომ, დღეს, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

(განსაკუთრებით გალაკტიონისა და სიმბოლისტების შემდეგ) ძალზედ გაიზარდა ლექსის „თქმის'' ტექნიკური არსენალი და პოეტობა ერთგვარ მოდადაც იქცა. (რაც არა მარტო პროფესიონალი, არამედ თვით რიგით მკითხველსაც არცთუ იშვიათად აღიზიანებს). ძალზედ მომრავლებულ ეპიგონთა და ცრუმელექსეთა რაზმებში ჭირს კიდეც საკუთარი გზის გაგნება. და ასეთ დროს, როდესაც შენი ლექსი, თუნდაც ორიოდე, მკითხველს გულზედ მოხვდება და გალიარებს, ესეც გეყოფა პოეტს (მითუმეტეს ახალგაზრდას!) გამოსარჩლებად და ამქვეყნად მოვლინების გასამართლებლად.

პოეტობა ნიჭია და ნიჭთან ერთად კი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. პოეტობა ღვთაებრივი დამღაა და იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ავტორი თავად საუბრობს პოეტისა და პოეტური სიტყვის დანიშნულებაზე უსათაურო ლექსში, რომელსაც წამძღვარებული აქვს ილიასეული „მე ცა მნიშნავს''. ამავე დროს, პოეტი ერთგვარ მეამბოხედაც გვევლინება სოციალური არსებული სინამდვილის მანკიერებათა მიმართ: „სხვა არლა მინდა, ბატონო ჩემო, სახწაული ხომ ღმერთის ენით ლაპარაკია... ნუ ცდილობ, ისევ, რომ შემაჩერო, ვიყო მორჩილი როგორც ლაქია... მე ქვეყნად უნდა სიმართლე ვწერო, არ შევუშინდე დროის ქარიშხალს... ბედია იქნებ ან ბედისწერა, თუკი უფალმა სიტყვა განიშნა...''

მაგრამ, როგორც ვაჟა ოთარაშვილის ამ ორი პოეტური კრებულის თუნდაც ზერელე გადაკითხვიდან ჩანს, იგი არ ელტვის ამ „დამღას'', პირიქით: ვფიქრობთ, იგი არც არის შეპყრობილი პოეტობის მანიაკალური ჟინით. ერთი რამ კი ცხადია: მას არ შეუძლია ცხოვრება ლექსის, პოეზიის გარეშე, რადგან ის ცხოვრებას, სიცოცხლეს პოეზიად აღიქვამს და ამ მაგიური წრიდან გამოსვლა არათუ არ სურს, ვერც ძალუძს და სწორედ ამ წრის შუაგულისაკენ მიილტვის. იგი კი არ მოგვითხრობს რაიმე ამბავს, თანაგრძნობა რომ აღძრას თუ გამოიწვიოს ჩვენში, არამედ თავად ლექსია უკვე თანაგრძნობა. მისი სტრიქონი შეიძლება იყოს ხორკლიანი, ალაგ-ალაგ თვალშისაცემად გაურანდავიც, მაგრამ არაგულწრფელი კი ძალზედ იშვიათად. და ამდენად, როგორც აღვნიშნეთ, ის კი არ კეკლუცობს ვინმეს თავმოსაწონი ლექსემური რაფინირებით, არამედ იმაზედ წერს, რაც ძვირფასი და დაუოკებლად ამოსათქმელია მისთვის. „თებერვალს თეთრი ცხენები უყვარს და ენძელების დაქალწულება''-ო, — იტყვის პოეტი და ფერწერული სახეობრიობით იშლება თებერვლის ქართა რაშებრივი ქროლვა-თარეში და, ამავდროულად, ზამთრის სუსხით გაფერმკრთალებულ თეთრ ქალწულთა წინაზე. სიწმინდე და ჰაეროვნება პოეზიას ბევრი რამ ძალუძს, თუ ის ნათელი და ამაღლებულია. აი ლექსი-მონოლოგი — „[illegible]ემი''. ქართველი მოხუცი გლეხკაცი, ქართლური დიალექტით, ამსოფლიური ქვეყნიერებიდან განსვლის ჟამს — მიწევნილი ზესთასოფლიურ ჭეშმარიტებას: „ა, ემ ცასა და მიწას შევაცვდი და უცვეთელი დამრჩა ორთავე.. მაგათ შემყურე ისე შევნაცრდი, რომ საიმქვეყნოდ მალე მომრთავენ... ა, ემ ცამა და მიწამ შემჭამა. ა ემ ცასა და მიწას ვუმღერდი, და ვწევდი ჭაპანს დაუკვნესავად, ლომასთან ერთად მედგა უღელი.. ა, ემ ცასა და მიწას ვებრძოდი, ა, ეგ ზეცა და მიწა მფარავდა... ხან მღალატობდა, ხანაც ვეძმოდი, ხან შუბად ვედექ, ხანაც ფარადა... ორივე დამრჩა გაუცვეთელი, ახლა შენია ორთავ შენ გაწვდი... როგორც თედორეს საყდრის კედელი, ა, ემ ცასა და მიწას შევაცვდი...'' ამ ლექსიდან კი უკვე არც თუ დიდი მანძილილაა ზოგად ადამიანური ყოფნა-არყოფნის არსის ფილოსოფიურ გააზრებამდე: „თუ გინახავთ მიმწუხრისას სხივი, ასე ნელა ჩვენ სიცოცხლეს ვკარგავთ...'' ამ თვალსაზრისით საინტერესო ლექსია „თვალები''. მოგეხსენებათ, რას წარმოადგენს თვალი ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის და მითუმეტეს ადამიანისათვის; მაგრამ, თვალი არა მარტო მხედველობითი ორგანოა, არამედ სწორედ თვალია ადამიანის ადამიანობის სრულად წარმომჩენი და განმსაზღვრელი... იქნებ, სწორედ თვალის არსში მდგომარეობს ღმერთის მიერ ადამიანის საკუთარ „ხატად და სახედ თვისად'' შექმნის მიწიერ-ღვთაებრივი მისტერია. თვალი სარკეა სულის! — ამბობდნენ ძველები. ქართულ ქრისტიანულ მხატვრულ აზროვნებაშიც ხომ ნებისმიერი წმინდანის სულისმიერი მდგომარეობის გამოხატვა სწორედ თვალებს ეკისრებოდა (ხელებთან ერთად!); მათი წარმოდგენით, ადამიანის სული ყველაზე უკეთესად თვალებსა და ხელებში გამოსჭვიოდა. და მართლაც, თვალი შეიძლება იყოს კეთილი და ბოროტი, გულუხვი და ხარბი, უშურველი და შურიანი და ა, შ. და ა. შ.... ასევე სხვადასხვაგვარი ფერის, ფორმისა და მოყვანილობის. ამდენად, თავად თვალი ყოფილა კაცობრიული ყოფიერ-ცნობიერებითი არსის განმსაზღვრელი. და მაინც, როგორ ახსნას უძებნის ვაჟა ოთარაშვილი თვალის ამგვარ თვალსაწიერულ ფენომენს? ერთია, საკითხის დასმა, და მეორე — მისი გადაწყვეტა, — მითუმეტეს, პოეტური! პირველი საცდელი ნაბიჯი ამ დილემის სასიკეთოდ გადასაჭრელად არის ამგვარი ფსიქოლოგიური სენტენცია: „ყველა დიდი გზა დაიწყო თვალთან, თვალსაწიერი მისწვდა სადამდეც...'' და ორიოდე ტაეპის შემდგომ გამოკვეთავს სათქმელის დედა-არსს: „და აბრალებდნენ ყველაფერს თვალებს, (თვალი ხვდებოდა თვალებს მახვილად...) და მოკვეთილან ხშირად თავები, როცა თვალები ძირს არ დახრილან''

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, პოეტის მიერ სათქმელი ნათლადაა გამოკვეთილი და კომენტარი აქ ზედმეტად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ვაჟა ოთარაშვილის ორივე პოეტური კრებულიდან, საანალიზოდ, არაერთი ლექსის მოხმობა და განხილვა შეიძლებოდა (ეს, გარკვეულწილად, აუცილებელიც კი არის, რადგან ახალგაზრდა ავტორი უკეთ რომ გაერკვეს და დარწმუნდეს თავის ღირსება-ნაკლოვანებებში; მაგრამ, ამჯერად, ჩვენი მხრიდან „დარწმუნების" მეთოდებით მიდგომა და ანალიზი, მაინც გაუმართლებლად და, ჯერჯერობით, მიუღებლად გვეჩვენება...), მაგრამ ჩვენ მხოლოდ ძირითად იდეურ-თემატიკურ ხაზებს გავადევნებთ თვალს. პირველი — გახსენება: მისთვის, არა მარტო როგორც პოეტისათვის, ახლობელია „მოგონებანი გარდასულ დღეთა", განსაკუთრებით სკოლისა და სტუდენტობის ანუ ბავშვობისა და ჭაბუკობის წლების მეგობრები. სწორედ ბავშვობის ცისფერ და კამკამა დღეებს უკავშირდება მისი პირველი სიყვარულის ამაღლებული განცდა. ბარემ აქვე უნდა ითქვას, რომ ვაჟა ოთარაშვილის მხატვრული აზროვნება ამ ფენომენთან მიმართებაში, საერთოდ, სადაა, ადამიანურად წრფელი და დამაჯერებელი: „ჩემი ბავშვობა თოვლზე თეთრია და გაზაფხულის ცაზე კამკამა... ცაში აფრენაც თურმე ბედია, ყველას არ ძალუძს მხრების ატანა... დროს დავაბრუნებ, რომ ძველებურად გითხრა: მიყვარხარ..." სიყვარულისათვის არ არსებობს დრო, მანძილი, ასაკი თუ სივრცისეული საზანები. „მელაპარაკე" დრო და მანძილი, რომ არ არსებობს სიყვარულისთვის... სიჩუმეს ვილევ, როგორც სამძიმარს და მეშინია ჩემივ გულისთქმის... მელაპარაკე: რომ ისევ ერთად ვიქნებით დღესაც, ხვალაც... მუდამაც, რომ შეისმინა მაღალმა ღმერთმა, ჩვენი ლოცვები, ჩვენი მუდარა... მელაპარაკე: რომ ჩემთან გინდა და გეშინია მარტო დარჩენის... მელაპარაკე: თუ როგორ წვიმდა, წვიმისგან ცრემლებს როგორ არჩევდი... მელაპარაკე: დრო და მანძილი გულში ტკივილებს როგორ ალაგებს... რადგან ძილშიაც ვილევ სამძიმარს, სიზმრებში მაინც მელაპარაკე..." საერთოდ, სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, ლექსიდან-ლექსში, ტაეპიდან — ტაეპამდე როგორ იზრდება პოეტი, როგორ ისწრაფვის ზრდისაკენ, როგორც უკვე აღინიშნა, ინტიმური ლირიკა — პატრიოტულთან ერთად, ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის ქვაკუთხედია. სწორედ ამ ორ ფენომენთან მიმართებაში მჟღავნდება მისი, სრული პოეტური შესაძლებლობანი — მხატვრული აღქმისა და გამომსახველობითი საშუალებების თვალსაზრისით. ამ მხრივ, ორივე კრებულიდან არაერთი ლექსის მოხმობა შეიძლებოდა, თუნდაც ამგვარი: „აგვისტოს ხვატი, წინ შენი ხატი... გადაძოვს [illegible] როსფერ ჩალას, მზე, (მერამდენედ) თითქოს ლალიტით ქერა ქედების გადაღმა ჩავა... ტრიალებს ველურ ყვავილთა სუნი და შენი თმები შერთვია ველებს..., მთვარეს ღრუბლებში ელევა სული, ვეამბორები უნაზეს ფერებს... მოთიბულ მინდორს ჭრიჭინა გლოვობს, ნიავმა ზვინებს ჩამოუარა... წლები გაფრინდა „ბებერო ლომო" და ახლა ვფიქრობ იყო თუ არა?..."

ვაჟა ოთარაშვილის, როგორც პოეტის ნიჭიერება მაინც მის პატრიოტულ ლირიკაში მჟღავნდება. ამის დასტურია არაერთი ლექსი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთს მოვუხმობთ: „გაივლის დრო და თაობები შეიცვლებიან, დაილევება დასალევი ოქრო და რკინა,.. ა იმ ქედებზე პაპიჩემის პაპის ძვლებია და ბერ თევდორეს ხავსმოდებულ საყდარში სძინავს... გადაწინწკლულან ყაყაჩოთი ქართლის ველები, თურქთა ჯარივით ჩამომდგარა თრიალეთს სიცხე... ჩაუყვანიათ ნოსტელ ბიჭებს წყალზე ცხენები გააგელვებენ მერე რაშებს რკონისკენ ფიცხელ... ა იმ ქედებზე პაპიჩემის პაპის ძვლებია, (ქარმანისლები საფლავებთან მიაფარფატა...) გაივლის დრო და... ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან, კაცმა არ იცის, ვინ იქნება მათში პაატა..." ეს ლექსი, გამორჩეულია როგორც სახეობრივ-ემოციური აზროვნებით, ასევე მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით.

განსაკუთრებით ტკივილიანია ის ლექსები, რომლებიც დედის ხსოვნას ეძღვნება. დედის სახე-სიმბოლო სამშობლოს ფერადოვან სამოსელშია გახვეული. იგი არის ყველგან, სადაც პოეტი სამყაროსეულ სიწმინდესა და ნათელს ლანდავს თუ ეძიებს; „...და დედაჩემის სიკვდილის მერე, თვითონ სიკვდილიც გახდა იოლი..." საინტერესოა აგრეთვე ვაჟა ოთარაშვილის მიძღვნითი ლექსებიც, განსაკუთრებული სითბო გამოსჭვივის მეუღლისა და შვილებისადმი (იგი, თურმე, ოთხი შვილის მამაა) მიძღვნილ პოეტურ სტრიქონებში. აი, ამგვარად მიმართავს იგი მცირეწლოვან პირმშოვაჟიშვილს: „წარსული ჩვენი გალავანია, პაპის პაპების ძვლებით ნაგები და მომავალში შენც გავალია, დაიცვა გმირთა სარკოფაგები... შეგეშინდება ზოგჯერ დაცემის, ხანაც სიმაღლის შეგაკრთობს შიში... წმინდა ხარ, როგორც ხორბლის მარცვალი, ივერიელთა ერთგული ჯიშის..."

დასასრულს, მიუხედავად ჩვენი აქ წარმოდგენილი არასრულყოფილი განხილვა-ანალიზისა, ეს ორი პოეტური კრებული ვაჟა ოთარაშვილისა გვიწერგავს რწმენას, რომ იგი მომავალში უფრო სრული და შთამბეჭდავი სახით წარსდგება ქართველი მკითხველის წინაშე.

თემურ შალვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მნათობის" 1990 წლის ნომრის შინაარსი

## მოთხრობები, რომანები, პიესები. ნარკვევები

**ახალი აღთქმა.** ძველბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. №1-10.

**აბაშიძე გრიგოლ** — მიწისძვრა. პიესა. № 8.

**ბობლიაშვილი ადამ** — ტყვე ღამეში. ნაწყვეტი ძველებური მოთხრობისა. № 11.

**გეწაძე აკაკი** — გვიანი რეკვიემი. მოთხრობა. № 9.

**გოთუა თამარ, გოთუა ალექსანდრე** — თავგადასავალი ლევან გოთუასი. № 1-10.

**დაბრუნდაშვილი ნინო** — ხარის თვალი. მოთხრობა. № 3.

**დავლიანიძე ჯემალ** — მოთხრობები. № 2.

**ინანიშვილი რევაზ** — ორი ეტიუდი. №7. ოთხი მოთხრობა. № 11.

**კასრაძე სტეფანე** — თარიღიანი. რომანი. № 3-8.

**კობიაშვილი გული** — ოცდამეთექვსმეტე. მოთხრობა. № 9.

**ლობჟანიძე ზურაბ** — ცოტნე. მოთხრობა. № 10.

**ლორთქიფანიძე გიორგი** — ანტირაბიული მკურნალობის კურსი. მოთხრობა. № 5.

**მაისურაძე გოგი** — აკბაი. მოთხრობა. № 7.

**მესხი ლეილა** — სიმარტოვის თავშესაფარი. მოთხრობა. № 12.

**მიშველაძე რევაზ** — ნოველები. № 6.

**მიწიშვილი ნიკოლო** — თებერვალი. მოთხრობა. № 7.

**პაიჭაძე სოსო** — სადილი დაეცა. მოთხრობა. № 12.

**სიხარულიძე ვლადიმერ** — მტაცვალი. ნაწყვეტი რომანიდან. № 8.

**ცომაია ლეილა** — თვითმკვლელთა სასაფლაო. მოთხრობა. № 2.

**ჭილაძე ოთარ** — ლაბირინთი. პიესა. № 11.

**ხალვაში ფრიდონ** — წყალს ჩაფოტი ჩამოჰქონდა. რომანი. № 9, 10.

**ჯიბლაშვილი თამაზ** — ბართლომეს ღამე. მოთხრობა. № 1.

**თანამედროვე ჩინური მოთხრობები.** (ლუ იაო. ეეი ოუე) თარგ. მანანა მიქელაძემ. № 7.

## ლექსები, პოემები

**აბრამიშვილი მარი** — ლექსები. № 3, 10.

**ალხაზიშვილი გივი** — ლექსები. № 12.

**ალიმონაკი ლერი** — ლექსები. № 4.

**ბაბირაქი ჰაინალკა** — ქართული მონასტრის გახსენება. ლექსი. თარგ. ვაჟა ბოჭორიშვილმა. № 11.

**ბარჯაძე თამაზ** — ლექსები. № 6.

**ბაქრაძე ეკა** — ლექსები. № 7.

**ბატიაშვილი დარეჯან** — ლექსები. № 10.

**ბედიანიძე დალილა** — ლექსები. № 11.

**ბექიშვილი თედო** — ლექსები. № 4.

**ბობლიაშვილი ადამ** — ლექსები. № 4.

**ბუაჩიძე ანდრო** — ლექსები. № 7.

**გაბური ალექსანდრე** — ლექსები. № 10.

**გაბური ლელა** — ლექსები. № 12.

**გეგეჭკორი გივი** — ლექსები. № 4.

**გიგაური გიორგი** — ლექსები. № 8.

**გიგიტაშვილი ალექსანდრე** — ლექსები. № 12.

**გოჩიაშვილი ელა** — მერე... ლექსი. № 4.

**დანელია ბათუ** — ლექსები. № 2.

**დიდებაშვილი ალექსანდრე** — ლექსები. № 3.

**დუმბაძე ლევან** — ლექსები. № 2.

**თოთაძე ლალი** — ლექსები. № 8.

**თურმანაული მზისავარ** — ლექსები. № 6.

**ივარდავა დილარ** — ლექსები. № 2.

**კალანდია გენო** — ლექსები. № 11.

**კალისტრატე (მთავარეპისკოპოსი)** — ტაძარს. ლექსი. № 1.

**კალანდაძე ანა** — ინება ცამან. ლექსი. № 1.

**კვიცარიძე დავით** — ლექსები. № 5.

**კვიტაიშვილი ემზარ** — თავშესაფარი. ლექსი. №3. ლექსები, № 8.

**კიტოშვილი არჩილ** — ლექსები. № 4.

**კლდიაშვილი გურამ** — ლექსები. № 9.

**კოსტავა მერაბ** — ლექსები. № 3.

**მათიაშვილი სანდრო** — ლექსები. № 2.

**მაჭავარიანი მუხრან** — ლექსები. № 1.

**მირნელი მირიან** — ლექსები. № 7.

**ნარსია ნოდარ** — ლექსები. № 7.

**პო ედგარ** — ყორანი. ლექსი. თარგმ. პოლიკარპე იაშვილმა. № 9.

**სარიშვილი მაია** — ლექსები. № 1.

**სტურუა ლია** — ლექსები. № 6.

**სულაბერიძე ლადო** — წიგნიდან „კლდის სული". ლექსები. №3; ოთარ ჩხეიძე. ლექსი. № 10.

**სულაკაური გიგი** — ნაპრალი. ლექსი. № 6.

**ქადაგიძე გიორგი** — ლექსები. № 4.

**შალამბერიძე ოთარ** — ლექსები. № 2, 8.

**შალვაშვილი მერი** — ლექსები. № 5.

**ჩარკვიანი ჯაბსულ** — ლექსები. № 12.

ჩარკვიანი გიორგი — ლექსები. № 11.

ჩარკვიანი ირაკლი — ლექსები. № 6.

ჩალაური თენგიზ — ლექსები. № 11.

ჩანტლაძე შოთა — ჰროხორ!!! ლირიკულ დრამატული პოემა. № 4.

ჩიტიშვილი მანანა — ლექსები. № 6.

ჩხენკელი თამაზ — ლექსები. № 1.

ჩხეტიანი თემურ — ლექსები. № 12.

ციგროშვილი ირაკლი — ლექსები. № 5.

ძიგვაშვილი გიორგი — ლექსები. № 7.

ჭანტურია ტარიელ — ლექსები. № 2.

ხარანაული ბესიკ — ლექსები. № 1, 9.

ხორნაული ვაჟა — ლექსები. № 5.

ჯავახაძე ვახტანგ — ლექსები. № 5.

ჯანგულაშვილი თეიმურაზ — ლექსები. № 2.

ჯანელიძე ჯანო — ლექსები. № 9.

ჯაში ნანი — ლექსები. № 5.

ჯულუხიძე გრიგოლ — ლექსები. № 9.

## 150 — აკაკი წერეთელი — 150

ბარამიძე ალექსანდრე — აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიური ნაფიქრ-ნააზრევი. № 12.

ხალია კალისტრატე — აკაკი წერეთელი. № 11.

## კრიტიკა. პუბლიცისტიკა

აბაშიძე გრიგოლ — მონოლოგი დიალოგიდან. № 1.

აბულაძე ფატი — დღეის დღის პოეზია. № 8.

ავალიანი ლალი — „...განა სუყველას თქმა უნდა!". № 12.

არქიმანდრიტი რაფაილი — ბიბლიის სიმბოლური ენა. № 12.

არჩვაძე ლია — ჯანსულ ჩარკვიანი. № 3.

ბაქრაძე აკაკი — მწერლობის მოთვინიერება. № 4-10.

ბედუკაძე ანდრო — ჟანრისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ქართულ რომანტიკულ ლირიკაში. № 10.

ბოსტაშვილი ნელი — ახალგანთავისუფლებულ მიწა-წყალზე. № 11.

გოგოჭური დავით, ლიკოქელი ივანე — ფრთხილად, ეროვნული გმირებია. № 3.

გურგენიძე ვახტანგ — ჟამი ნგრევისა. № 1; ქართველი გრიგორიანები. № 10.

დინა კოვდა — ეგზისტენციალური არჩევანი. № 12.

თავართქილაძე ქეთინო — თაობათა ურთიერთობისა და ლიტერატურული ეთიკის საკითხები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში. № 4.

თინხუა ჯაე — დაუვიწყარი დღეები. № 2.

კანკავა გია — ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი ტენდენციის შესახებ. № 6.

კანკავა გურამ — საჭირო წიგნ... ბიჯის მაგიერ — ნახტომი... №

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტოზია ალექსანდრე — აუცილებელი განმარტება. № 8.

კოსტავა მერაბ — გზა ჭეშმარიტებისაკენ. № 2; ტურიზმი და ძეგლები. №5; გალაკტიონი. № 6; მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში. № 7; ფერისცვალების მოლოდინში. № 9; მოსახლეობის ემიგრაციის შესახებ. № 10. ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ. № 12.

მარგიშვილი სოსო — შენიშვნები აკად. ი. ჯორჯაძის ნაშრომზე. № 11.

მერკვილაძე გიორგი — რეკვიემი ძიხეილ ჯავახიშვილისა. № 3, 4.

ნატროშვილი გიორგი — ფიქრისა და ძიების გზით. (ლევან ასათიანის დაბადების 90 წლისთავის გამო). № 8.

ონაშვილი ნათელა — „ხატვრის ხე". № 1.

ოქროპირიძე იროდიონ — საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ისტორიიდან. № 9.

რეხვიაშვილი სპარტაკი — საქართველო — მაღყარის ურთიერთობის ისტორიიდან. № 12.

სიხარულიძე გიორგი — მჭევრმეტყველი. № 6.

ფრუიძე ლევან — გიორგი ბოჭორიძის ცხოვრება. № 9.

ყატაშვილი ლია — ოთარ ჩხეიძის სტილი. № 10.

ჩხაიძე თენგიზ — წიგნი ილიას და აკაკის თანამებრძოლებზე. № 1; ჩაუკლავი სული № 4.

ჩხეიძე ნატა — არდავიწყება ლეაწლისა. № 12.

ჭელიძე მერი — „მკვდრის მზის" ფილოსოფიური საზრისი. № 6.

ჭილაძე თამაზ — მონოლოგი დიალოგიდან. № 9.

ხარაძე კობა — ისტორიულ წყაროებს მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. № 4.

ჯალიაშვილი მაია — წარმოსახვა და რეალობა. № 12.

ჯოხაძე მაკა — „ოქვეხ გმირი მოგხიბლავდათ..." № 11.

## მეცნიერება

ბარამიძე რევაზ — გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრების" სამიჯნური ეპიზოდების გაგებისათვის. № 1.

გოილაძე ვახტანგ — ვახტანგ გორგასალი და პეტრე იბერი. № 7; როდის მოღვაწეობდა ჯუანშერ ჯუანშერიანი? № 10.

გრიგოლია კოტე — ზოგიერთი მოსაზრება პავლე ინგოროყვას ნაშრომის „გიორგი მერჩულის" გამო. № 3.

თაყაიშვილი ექვთიმე — დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო. № 2; ქართული სიძველენი ევროპულ ანტიქვარებთან. № 3; სამუსულმანო საქართველო. № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინაძე მერი** — კულტი და კულტმსახურება ძველ კოლხეთში. № 1.
**კანდელაკი ნოდარ, ცერცვაძე გურამ** — ქორონიკონი, მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის. № 3, 10.
**მაღრაძე დათო** — რათა ვიყვნეთ ყოველნი ერთგვამ. № 6.
**ქუმსიშვილი მანანა** — ყოფიერება, დრო, სივრცე და ადამიანი ჰაიდეგერის ფილოსოფიაში. № 8.
**შარაძენიძე თინათინ** — სახელმწიფო ენა. № 1.
**ჩართოლანი ნელი** — გრიგოლ ლორთქიფანიძის ძიებანი. № 2.
**ჩხარტიშვილი მარინა** — „მოქცევაი ქართლისაის“ ერთი ანაქრონიზმის შესახებ. № 9.
**ჩხეიძე როსტომ** — პავლე ინგოროყვა და ხეთების პრობლემა. № 10.
**ხოშტარია-ბროსე ედიშერ** — მეცნიერის არქივიდან. № 5.

## მწერლის არქივიდან

**პაჭკორია ოტია** — სხვადასხვა დროს ჩანაწერები. № 4.

## საზღვარგარეთის ლიტერატურა

**თოფურიძე ეთერი** — ფაუსტის სახის გაგებისათვის შექსპირის შემოქმედებაში. № 3.
**ორლოვსკაია ნატალია** — საქართველო ჟიუმზ მორიერის ნაწარმოებებში. № 11.

## მოგონებები, ფაქტები

**ანდღულაძე თამარ** — წერილები. № 9.
**ჯოგიბერიძე სიმონ** — ბრძოლა სამშობლოსათვის. № 7, 8, 9.
**სიგუა ალექსანდრე** — მრავალი ნიჭით შემკული. № 10.
**ცინცაძე კალისტრატე** — ჩემი დაკითხვა. № 9.
**შალამბერიძე გიორგი** — ერთად გატარებული ოთხი წელი. № 1.
**ბოსტაშვილი ნელი** — რატომ დაიხურა გაზეთი „დროება“. № 6.

## ხელოვნება

**კაშია ჭაბრი** — უბისი ანუ რენესანსი „ურენესანსოდ“. № 5.
**კობახიძე ოლღა** — მუსიკალური სახის ზოგიერთი კონცეფციის კრიტიკული ანალიზი. № 5.

## წიგნების მიმოხილვა

**მაისურაძე გურამ** — საინტერესო წიგნი VXIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. № 5.
**ნადარეიშვილი გიორგი** — ეროვნებათშორისო ურთიერთობის ისტორიიდან. № 8.
**ცანავა აპოლონ** — ქართული კრიტიკის მნიშვნელოვანი შენაძენი. № 5.
**ფრუიძე ლევან** — ცხოვრების მხარდამხარ. № 1.
**შავლაძე თემურ** — ერთი პოეტისა და მისი ორი ლირიკული კრებულის შესახებ. № 12.

## გამოსათხოვარი

(რევაზ თაბუკაშვილის გარდაცვალების გამო).

**მაღრაძე დათო** — ყველა საჭურვლით შემკული. № 8.
**შენგელაია ელდარ** — სიკეთით განათებული გზა. № 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-18 და განყოფილებების — 93.55.16; 93-55-17; 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 21. 11. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 01. 91 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58. ტირაჟი 30.700. შეკვ. 2501.
გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა
მ. კოსტავას ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 139/24

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ